ი. სტალინი

თხზულებანი

7

იბეჭდება
საკავშირო
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И.В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва • *1947*

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ს.კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი • 1949

ი.ბ.სტალინი

ტომი

7

1925

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეშვიდე ტომი შეიცავს 1925 წლის განმავლობაში დაწერილ ნაწარმოებებს.

ამ პერიოდში მუშათა კლასი და გლეხობა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სახალხო მეურნეობის აღდგენას ამთავრებდნენ. საბჭოების ქვეყანა გადადიოდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, რა ნიშნითაც ჩაიარა ბოლშევიკური პარტიის XIV ყრილობამ. საკითხი ჩვენი ქვეყნის განვითარების ხასიათის, პერსპექტივების შესახებ, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ბედის შესახებ ამ დროს პარტიის წინაშე წამოიჭრა უკვე როგორც პრაქტიკის საკითხი.

ნაწარმოებებში: «რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის», «კითხვა-პასუხი», «ოქტომბერი, ლენინი და ჩვენი განვითარების პერსპექტივები», «ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ.პ.(ბ) XIV ყრილობისადმი» და სხვებში, ი. ბ. სტალინი ყოველმხრივ ასაბუთებს ბოლშევიკური პარტიის გენერალურ ხაზს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისაკენ კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში და ამხილებს ტროცკისტთა და ზინოვიეველთა — კაპიტალიზმის რესტავრატორთა კაპიტულანტურ ხაზს.

გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცების, მშრომელი მასებისა და ახალგაზრდობის აღზრდისა და

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობაში მათი ჩაბმის საკითხები გაშუქებულია ნაშრომებში: «„დიმოვკის" შესახებ», «პროლეტარიატისა და გლეხობის საკითხისათვის», «სოფლის კომკავშირული აქტივის შესახებ», «კომკავშირის ამოცანების შესახებ», «პროლეტარული სტუდენტობის პირველი სრულიად საკავშირო კონფერენციისადმი», «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ», აგიტპროპგანყოფილებათა თათბირის მონაწილეებთან 1925 წლის 14 ოქტომბრის საუბარსა და სხვა ნაშრომებში.

მეშვიდე ტომში შევიდა სტატიები და სიტყვები, მიძღვნილი საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების მდგომარეობისა და ამოცანებისადმი კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის პირობებში: «საერთაშორისო მდგომარეობისა და კომპარტიების ამოცანებისათვის», «ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შესახებ», «ნაციონალური საკითხისათვის იუგოსლავიაში», «გერმანიის კომპარტიის პერსპექტივებისა და ბოლშევიზაციის შესახებ» და «წერილი ამხ. მე — რტს».

პირველად ქვეყნდება: რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1925 წლის 19 იანვარს წარმოთქმული სიტყვა, 1925 წლის 14 ოქტომბრის საუბარი აგიტპროპგანყოფილებათა თათბირის მონაწილეებთან, წერილი «კომსომოლსკაია პრავდის» რედაქციის წევრებისადმი და წერილები ამხ. დ — ოვისა, მე — რტისა და ერმაკოვსკისადმი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი.

1925

მუშა და გლეხო ქალებო, გახსოვდეთ და შეასრულეთ ილიჩის ანდერძი!

ერთი წლის წინათ, მიდიოდა რა ჩვენგან, მშრომელთა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა, ჩვენმა ლენინმა, დაგვიტოვა ანდერძი, გვიჩვენა გზები, რომლებითაც უნდა წავიდეთ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ. შეასრულეთ ილიჩის ეს ანდერძი, მუშა და გლეხო ქალებო! აღზარდეთ თქვენი შვილები ამ ანდერძის სულისკვეთებით!

ამხანაგმა ლენინმა ანდერძად დაგვიტოვა — მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი. მაშ განამტკიცეთ ეს კავშირი, მუშა და გლეხო ქალებო!

ამხანაგი ლენინი ასწავლიდა მშრომელებს მხარი დაუჭირონ მუშათა კლასს მის ბრძოლაში შინაური და გარეშე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. გახსოვდეთ ეს ანდერძი, მუშა და გლეხო ქალებო! მხარი დაუჭირეთ მუშათა კლასის ხელისუფლებას, იმ კლასისა, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს!

ამხანაგი ლენინი გვასწავლიდა მაღლა გვეჭიროს კომუნისტური პარტიის, ყველა ჩაგრულთა ბელადის დროშა. მაშ

მჭიდროდ დაირაზმეთ ამ პარტიის გარშემო, მუშა და გლეხო ქალებო, — იგი თქვენი პარტიაა!

ილიჩის გარდაცვალების წლისთავის დღეს პარტია მოგვიწოდებს — ფართო გზა მუშა ქალსა და გლეხ ქალს, რომელნიც პარტიასთან ერთად აშენებენ ახალ ცხოვრებას.

ი. სტალინი

დაწერილია 1925 წ. 5 იანვარს.
დაიბეჭდა ჟურნალ «რაბოტნიცაში»
№ 1, 1925 წ. იანვარი.

მასწავლებელთა ყრილობას [1]

სახალხო მასწავლებელთა ფალანგა ერთ-ერთი უსაჭიროესი ნაწილია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიადი არმიისა, რომელნიც აშენებენ ახალ ცხოვრებას სოციალიზმის საფუძველზე.

გზა, რომლითაც მუშათა კლასი სოციალიზმისაკენ მიდის, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ძლევამოსილი, თუ მრავალმილიონიანი გლეხობის მშრომელი მასები ამ გზით ივლიან მუშათა კლასის მხარდამხარ, თუ მშრომელი მასებისადმი მუშათა კლასის ხელმძღვანელობა განუხრელად განხორციელდება.

სოფლის მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურა, ხოლო ასეთი დიქტატურის გარეშე ჩვენი ქვეყანა არ შეიძლება თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს.

გახდეს ერთი იმ რგოლთაგანი, რომელნიც გლეხთა მასებს მუშათა კლასთან აკავშირებენ, — აი სოფლის მასწავლებლის მთავარი ამოცანა, თუ მას ნამდვილად სურს ემსახუროს თავისი ხალხის საქმეს, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეს.

ი. სტალინი

1925 წ. 6 იანვარი.

«უჩიტელსკაია გაზეტა» № 2,
1925 წ. 10 იანვარი.

ჟურნალ «კრასნაია მოლოდიოჟის» [2] ამოცანების შესახებ

რედაქციის წევრებთან საუბარში ამხანაგი **სტალინი** შეჩერდა ჟურნალის ამოცანებზე და განაცხადა შემდეგი:

ჟურნალმა ძირითად ამოცანად უნდა დაისახოს პროლეტარული უპარტიო სტუდენტობის ჩაბმა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მუშაობაში. ამას ჟურნალი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა საქმით გახდება საბჭოთა სტუდენტობის ნამდვილი ჟურნალი. უმაღლეს სასწავლებლებში, განსახკომის ორგანოებში და სხვ. მუშაობას, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. სტუდენტობა, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს ამ ნაკლოვანებებს, სისტემატურად უნდა ააშკარავებდეს, აკრიტიკებდეს, აღნიშნავდეს მათ, რათა ჩვენ შევძლოთ საერთო ძალღონით გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა. ამიტომ საჭიროა ჟურნალში მონაწილეობისათვის ფართოდ მოვიზიდოთ საუკეთესო ადამიანები უპარტიო პროლეტარული სტუდენტობიდან. სტუდენტობამ უნდა იგრძნოს, რომ ეს მისი მშობლიური ჟურნალია, რომელიც ეხმარება მას იმაში, რომ იმუშაოს და განვითარდეს.

ამხანაგი **სტალინი** შეეხო ჟურნალის ზოგიერთი განყოფილების ამოცანებს და აღნიშნა შემდეგი:

ჟურნალის პოლიტიკურ განყოფილებებში საჭიროა შუქდებოდეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მუ-

შაობის მხოლოდ ძირითადი საკითხები. აქ საჭირო არ არის სხვა ჟურნალების დუბლირება. ჩვენს კავშირში ყოველ ბეჭდვით ორგანოს თავისი გარკვეული ადგილი უნდა ჰქონდეს საერთო მუშაობაში. დიდად უნდა განვითარდნენ განყოფილებანი: «სტუდენტობის ცხოვრება», «ლიტერატურული», «მეცნიერება და ტექნიკა». სწორედ ის განყოფილებანი, სადაც სტუდენტობას თვითონ შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს და თავი გამოიჩინოს. განყოფილებაში «უმაღლესი სკოლის რეფორმა» აგრეთვე საჭიროა მასწავლებლებთან და პროფესურასთან ერთად სტუდენტობაც ჩავაბათ ცალკეული საკითხების დამუშავებაში.

განახორციელებს რა ლოზუნგს — «უფრო ახლოს სტუდენტობასთან», — ჟურნალი უკეთ შეასრულებს თავის ამოცანას და ნამდვილად გახდება საბჭოთა სტუდენტობის მშობლიური ორგანო.

ჟურნალი «კრასნაია მოლოდიოჟ»
№ 1 (5), 1925 წ. იანვარი.

სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე [3]

1925 წ. 17 იანვარი

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დავალებით მე უნდა გავაკეთო ერთგვარი აუცილებელი განცხადება იმ საქმეებზე, რომლებიც დისკუსიას ეხება, და დისკუსიასთან დაკავშირებულ რეზოლუციებზე. სამწუხაროდ, ტროცკის გამოსვლის საკითხი იძულებული ვართ მის დაუსწრებლად განვიხილოთ, ვინაიდან მას, როგორც დღეს გვაცნობეს, ავადმყოფობის გამო არ შეუძლია პლენუმზე მოვიდეს.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ დისკუსია დაიწყო ტროცკის გამოსვლით, მისი «ოქტომბრის გაკვეთილებით».

დისკუსია ტროცკიმ დაიწყო. დისკუსია თავს მოახვიეს პარტიას.

პარტიამ ტროცკის გამოსვლას უპასუხა ორი ძირითადი ბრალდებით. პირველი — ტროცკი ცდილობს ლენინიზმის რევიზია მოახდინოს; მეორე — ტროცკი ცდილობს მიაღწიოს პარტიული ხელმძღვანელობის ძირფესვიან შეცვლას.

ტროცკის არაფერი უთქვამს თავის გასამართლებლად პარტიის მხრივ ამ ბრალდებათა გამო.

ძნელი სათქმელია — რატომ არაფერი თქვა მან თავის გასამართლებლად. ჩვეულებრივი განმარტება იმით განისაზღვრება, რომ იგი ავად გახდა და საშუალება არ ჰქონდა რაიმე ეთქვა თავის გასამართლებლადო. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, პარტიის ბრალი არ არის. თუ პარტიის წინააღმდეგ ყოველი იერიშის შემდეგ ტროცკის სიცხეს აძლევს, ეს პარტიის ბრალი როდია.

ახლა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ტროცკის განცხადება (15 იანვრის განცხადება ცენტრალური კომიტეტისადმი), სადაც ნათქვამია, რომ იგი არ გამოსულა და თავის გასამართლებლად არაფერი უთქვამს იმიტომ, რომ არ სურდა გაეღრმავებინა პოლემიკა და არ სურდა გაემწვავებინა საკითხი. რა თქმა უნდა, შეიძლება გჯეროდეს ან არ გჯეროდეს ასეთი განმარტების საფუძვლიანობა. პირადად მე არ მჯერა. ჯერ-ერთი, განა დიდი ხანია შეიგნო ტროცკიმ, რომ მისი გამოსვლები პარტიის წინააღმდეგ ურთიერთობას ამწვავებენ? და სახელდობრ როდის შეიგნო ტროცკიმ ეს ჭეშმარიტება? პირველად ხომ არ გამოდის ტროცკი პარტიის წინააღმდეგ და პირველად როდი უკვირს ან ნანობს, რომ მისმა გამოსვლამ გამწვავება გამოიწვია. მეორეც, თუ იგი მართლა ზრუნავს იმისათვის, რომ პარტიაში ურთიერთობა არ გაუარესდეს, რატომ გამოუშვა მან «ოქტომბრის გაკვეთილები», რაც მიმართულია პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის წინააღმდეგ და მოწოდებულია გააუარესოს, გაამწვავოს ურთიერთობა? აი ამიტომ ტროცკის ეს განმარტება მე სრულიად არადამაჯერებლად მიმაჩნია.

რამდენიმე სიტყვა ტროცკის 15 იანვრის იმ განცხადებაზე ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე და რომელიც ცენტრალური კომიტეტისა და

ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებს დაურიგდათ. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავი და მხედველობაში მისაღებია ტროცკის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მზად არის დაიკავოს ყოველი პოსტი პარტიის მითითებით, რომ იგი მზად არის მიიღოს ყოველგვარი კონტროლი მის მიმართ, რამდენადაც საქმე ეხება მის შესაძლო გამოსვლებს, და რომ საქმის ინტერესებისათვის მას აბსოლუტურად აუცილებლად მიაჩნია მისი რაც შეიძლება მალე მოხსნა რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, უნდა მივიღოთ ცნობად.

რაც შეეხება საქმის არსს, საჭიროა აღინიშნოს ორი პუნქტი: «პერმანენტული რევოლუციისა» და პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ. ტროცკი ამბობს, რომ თუ მას ოქტომბრის შემდეგ საერთოდ შემთხვევა ჰქონია კერძო საბაბის გამო დაჰბრუნებოდა «პერმანენტული რევოლუციის» ფორმულას, ეს ხდებოდა მხოლოდ პარტიის წესით, წარსულისადმი მიმართვის წესით და არა ახლანდელი პოლიტიკური ამოცანების გარკვევის წესით. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ლენინური იდეოლოგიის საფუძვლებს ეხება. მე მიმაჩნია, რომ ტროცკის ეს განცხადება არ შეიძლება აღიარებულ იქნას არც განმარტებად და არც გამართლებად. აქ თავისი შეცდომების აღიარების ნასახიც არ არის. ეს საკითხისათვის გვერდის ავლაა. რას ნიშნავს განცხადება იმის შესახებ, რომ «პერმანენტული რევოლუციის» თეორია ისეთ რამეს წარმოადგენს, რასაც დამოკიდებულება აქვს პარტიასთან? როგორ გავიგოთ ეს? პარტია პარტიული დოკუმენტების არა მარტო საცავია, არამედ მათი განმმარტებელიც. იქ არის დოკუმენტები, რომლებსაც თავის დროზე ძალა ჰქონდათ და შემდეგ და-

კარგეს იგი. იქ ისეთი დოკუმენტებიც არის, რომლებსაც ჰქონდათ და კვლავაც აქვთ ხელმძღვანელი მნიშვნელობა პარტიისათვის. იქ არის აგრეთვე ისეთი დოკუმენტები, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი ხასიათი, უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდათ, და რომლებსაც პარტია ვერ შეურიგდება. რა დოკუმენტების კატეგორიას აკუთვნებს ტროცკი თავის «პერმანენტული რევოლუციის» თეორიას? დადებითი თუ უარყოფითი დოკუმენტების კატეგორიას? ამაზე ტროცკის არაფერი უთქვამს თავის განცხადებაში. მან თავი აარიდა საკითხს. გვერდი აუარა მას. ამიტომ ბრალდება ლენინიზმის რევიზიის შესახებ ძალაში რჩება.

შემდეგ ტროცკი ამბობს, რომ XIII ყრილობის გადაჭრილ საკითხებზე ის ერთხელაც არ გამოსულა არც ცენტრალურ კომიტეტში, არც შრომისა და თავდაცვის საბჭოში, არც მით უმეტეს ქვეყნის წინაშე რაიმე წინადადებით, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აღძრავდა უკვე გადაჭრილ საკითხებს. ეს მართალი არ არის. რაზე ლაპარაკობდა ტროცკი XIII ყრილობის წინ? კადრების უვარგისობაზე და პარტიული ხელმძღვანელობის ძირფესვიანი ცვლილების აუცილებლობაზე. რაზე ლაპარაკობს ახლა იგი «ოქტომბრის გაკვეთილებში»? პარტიის ძირითადი ბირთვის უვარგისობაზე და მისი შეცვლის აუცილებლობაზე. ასეთია «ოქტომბრის გაკვეთილების» დასკვნა. «ოქტომბრის გაკვეთილები» გამოცემულია ამ დასკვნის დასასაბუთებლად. ეს არის «ოქტომბრის გაკვეთილების» დანიშნულება. ამიტომ ბრალდება პარტიული ხელმძღვანელობის ძირფესვიანი შეცვლის ცდისა ძალაში რჩება.

მთლიანად ტროცკის განცხადება წარმოადგენს, ამის გამო, არა განმარტებას ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელო-

ბით, არამედ დიპლომატიური ფანდების კრებულს და პარტიის მიერ უკვე გადაჭრილი ძველი დავის განახლებას.

ასეთ დოკუმენტს როდი მოითხოვდა პარტია ტროცკისაგან.

ტროცკიმ, აშკარაა, ვერ გაიგო, და მეეჭვება როდისმე გაიგოს, რომ პარტია თავისი ყოფილი თუ ახლანდელი ლიდერებისაგან მოითხოვს არა დიპლომატიურ ფანდებს, არამედ იმას, რომ პატიოსნად აღიარონ თავიანთი შეცდომები. ტროცკის, ეტყობა, გამბედაობა არ ეყო აშკარად ეღიარებინა თავისი შეცდომები. მან ვერ შეიგნო, რომ პარტიაში გაიზარდა ძალისა და ღირსების გრძნობა, რომ პარტია ბატონ-პატრონად გრძნობს თავს და მოითხოვს ჩვენგან, რომ ქედი მოვიხაროთ მის წინაშე, როცა ამას ვითარება მოითხოვს. ეს ვერ შეიგნო ტროცკიმ.

როგორ გამოეხმაურნენ ჩვენი ორგანიზაციები ტროცკის გამოსვლას? თქვენ იცით, რომ არსებობს ადგილობრივი ორგანიზაციების მთელი რიგი რეზოლუციები ამ საკითხზე. ისინი დაბეჭდილია «პრავდაში». ისინი შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად. ერთი კატეგორია ამ რეზოლუციებისა მოითხოვს, რომ ტროცკი გარიცხულ იქნას პარტიიდან. მეორე კატეგორია მოითხოვს, რომ ტროცკი მოიხსნას რევოლუციური სამხედრო საბჭოდან და გამოყვანილ იქნას პოლიტბიუროდან. რეზოლუციათა მესამე კატეგორია, რომელსაც ეკუთვნის რეზოლუციის უკანასკნელი პროექტიც, რაც დღეს გამოგზავნეს ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგებმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ურალიდან, უკრაინიდან, მოითხოვს, რომ ტროცკი მოიხსნას რევოლუციური სამხედრო საბჭოდან და პირობით დატოვებულ იქნას პოლიტბიუროში.

ასეთია სამი ძირითადი ჯგუფი რეზოლუციებისა ტროცკის გამოსვლის საკითხზე.

ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ არჩევანი უნდა მოახდინონ ამ რეზოლუციებში.

ეს არის ყველაფერი, რაც უნდა მეცნობებინა თქვენთვის იმ საქმეებზე, რომლებიც დისკუსიას ეხება.

ი. სტალინი. ტროცკიზმის შესახებ.
მ., 1925.

სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

1925 წ. 19 იანვარი

მე სიტყვა ავიღე იმისათვის, რომ ყოველნაირად დავუჭირო მხარი ამხ. ფრუნზეს წინადადებას. ვფიქრობ, რომ ჩვენ აქ დაგვჭირდება დადგენილება მივიღოთ სამ რამეზე.

ჯერ-ერთი, უნდა მივიღოთ ამხ. ფრუნზეს წინადადება 5 მილიონი მანეთის ახალ ასიგნობათა, სულ 405 მილიონის ასიგნობათა ხაზით.

მეორეც, უნდა მივიღოთ დადგენილება რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ამხ. ფრუნზეს დამტკიცების შესახებ.

მესამეც, უნდა დავავალოთ პარტიას ყოველნაირად დაეხმაროს ადამიანებით ახალ რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

უნდა ვთქვა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი სამეურნეო ორგანოების ზოგიერთ გაზრდილ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ სამეურნეო-კულტურული მოთხოვნილებანი აღემატებიან ჩვენს შესაძლებლობებს, ჩვენში შეიქმნა ერთგვარი ლიკვიდატორული განწყობილება არმიის მიმართ. ჩვენს შორის მოიპოვებიან

ამხანაგები, რომლებიც ამბობენ, რომ ნელნელა, თანდათანობით უნდა შევამციროთ არმია და მილიციად გადავაქციოთ იგი. ლაპარაკია არა სამილიციო სისტემაზე, არამედ მშვიდობიან არმიაზე, არმიის გადაქცევაზე უბრალო მილიციად, რომელსაც უნარი არ ექნება მზად იყოს სამხედრო გართულებათათვის.

სავსებით კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ საჭიროა გადაჭრით ლიკვიდირებულ იქნას ეს ლიკვიდატორული განწყობილება.

რატომ? იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს საერთაშორისო ვითარება ძირფესვიანად იცვლება. მწიფდება ახალი წინაპირობები, რომლებიც ახალ გართულებებს გვიქადის, და ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. ინტერვენციის საკითხი კვლავ აქტუალური ხდება.

რა ფაქტებია ეს?

ჯერ-ერთი, კოლონიური და საერთოდ განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება აღმოსავლეთში. ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე, სუდანი იმპერიალიზმის დიდმნიშვნელოვანი ბაზებია. იქ კოლონიური მოძრაობა მატულობს და კვლავაც იმატებს. ამან არ შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ, საბჭოების წინააღმდეგ არ აამხედროს დიდ სახელმწიფოთა მბრძანებელი ფენები, ვინაიდან მათ იციან, რომ თესლი, რომელიც აღმოსავლეთში ამ ნოყიერ ნიადაგზე ეცემა, ღივდება და აღმოცენდება. უთუოდ აღმოცენდება.

მეორე ფაქტი: მწიფდება გართულებანი ჩრდილოეთ აფრიკაში, მაროკოსა და ტუნისის რაიონში. ამასთან დაკავშირებით ხდება ძალთა ახალი გადაჯგუფება, ახალი მზადება ახალ სამხედრო გართულებათათვის იმპერიალისტებს შორის. ის, რომ ესპანეთი მაროკოში დამარცხდა*; ის, რომ საფრანგეთი ხელს უპოტინებს მაროკოს; ის, რომ ინგლისი ვერ შეურიგდება მაროკოში საფრანგეთის გაძლიე-

რებას; ის, რომ იტალია ცდილობს ახალი ვითარება გამოიყენოს, რათა ხელი წაუპოტინოს ტუნისს; ის, რომ სხვა სახელმწიფოები ამას არ დაანებებენ; ის, რომ ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს უსწრებენ და ყოველნაირად ცდილობენ უზრუნველყონ თავიანთი გავლენა ბალკანეთში, ავსტრია-უნგრეთის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ სახელმწიფოებში, — ყოველივე ეს მოგვაგონებს ჩვენთვის ცნობილ ფაქტებს წარსული ომის ისტორიიდან, მოგვაგონებს იმ ფაქტებს, რომლებიც წინ უძღოდა წარსულ ომს. ალბანეთი — ეს შემთხვევითი ამბავი როდია[5], ეს არის დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა ამ პატარა ნაკვეთზე თავიანთი გავლენის დამკვიდრებისათვის. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მთელ ევროპაში წარმოებს ძალთა მომზადება და მათი გადაჯგუფება შორეულ აღმოსავლეთში დაწყებულ გართულებებთან დაკავშირებით და იმ ახალ პერსპექტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკაში ისახება. ყოველივე ეს ახალი ომის წინაპირობებია. ახალი ომი კი არ შეიძლება არ შეეხოს ჩვენს ქვეყანას.

მესამე ფაქტი: რევოლუციური განწყობილების გაძლიერება ინგლისის მუშებში. ეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტია. ინგლისი მბრძანებელი ქვეყანაა ევროპაში. განხეთქილება, რაც ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოსა და მუშათა პარტიას შორის იწყება, განხეთქილება, რაც ინგლისის მუშათა პარტიის შიგნით დაიწყო და ვითარდება, — ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ იქ რაღაც რევოლუციური, რაღაც ახალი ახლოვდება. ეს აშფოთებს ინგლისის მბრძანებელ ფენებს. ამან არ შეიძლება არ აამხედროს ისინი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ვინაიდან ინგლისში მოძრაობის გამოცოცხლება რუსეთთან მეგობრობის დროშით ხდება.

მეოთხე ფაქტი: იმ წინაპირობებთან დაკავშირებით, რომლებზეც მე ვილაპარაკე, იმასთან დაკავშირებით, რომ ომის წინაპირობები მწიფდება და ომი, რა თქმა უნდა, არა ხვალ და არა ზეგ, არამედ რამდენიმე წლის შემდეგ, შეიძლება გარდუვალი გახდეს, იმასთან დაკავშირებით, რომ ომმა არ შეიძლება არ გაამწვავოს შინაგანი, რევოლუციური კრიზისი როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, — ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე არ შეიძლება არ წამოიჭრას ის საკითხი, რომ მზად ვიყოთ ყველაფრისათვის. მე ვფიქრობ, რომ რევოლუციური მოძრაობის ძალები დასავლეთში დიდია, ისინი იზრდებიან, ისინი კვლავაც გაიზრდებიან, მათ შეიძლება გამოიწვიონ ის, რომ აქა-იქ დაამხობენ ბურჟუაზიას. ეს ასეა. მაგრამ გაძლება მათ ძალიან გაუჭირდებათ. ამას ნათლად მოწმობენ ლიმიტროფების, მაგალითად, ესტონეთის, ლატვიის მაგალითები. ჩვენი არმიის, მისი ძლიერების, მისი მზადყოფნის საკითხი აუცილებლად წამოიჭრება ჩვენს წინაშე ჩვენს გარემომცველ ქვეყნებში მომხდარ გართულებათა დროს, როგორც საჭირბოროტო საკითხი.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ ასეთ ვითარებაში აქტიური გამოსვლა ვინმეს წინააღმდეგ. ეს სწორი არ არის. თუ ვინმეს ასეთი მიდრეკილება ემჩნევა — ეს სწორი არ არის. ჩვენი დროშა ძველებურადვე **მშვიდობიანობის** დროშაა. მაგრამ თუ ომი დაიწყო, ჩვენ გულხელდაკრეფილი ვერ გავჩერდებით, — ჩვენ უნდა გამოვიდეთ, მაგრამ უნდა გამოვიდეთ ყველაზე გვიან. და ჩვენ გამოვალთ იმისათვის, რომ გადამწყვეტი საწონი შევაგდოთ სასწორზე, **საწონი**, რომელიც გადაწონას შესძლებს.

აქედან დასკვნა: მზად ვიყოთ ყველაფრისათვის, ვამზადოთ ჩვენი არმია, ტანთ და ფეხთ ჩავაცვათ მას,

გავწვრთნათ, გავაუმჯობესოთ ტექნიკა, გავაუმჯობესოთ ქიმია, ავიაცია, და საერთოდ ჯეროვან სიმაღლეზე ავიყვანოთ ჩვენი წითელი არმია. ამას მოითხოვს ჩვენგან საერთაშორისო ვითარება.

აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მტკიცედ და უყოყმანოდ უნდა დავაკმაყოფილოთ სამხედრო უწყების მოთხოვნები.

იბეჭდება პირველად.

«რაბოჩაია გაზეტას» [6]

გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი.

ებრძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს და სძლიეთ ისინი, — ილიჩისებურად.

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა, — ილიჩისებურად.

არასოდეს არა სთქვათ უარი მცირედზე მუშაობაში, ვინაიდან მცირედისაგან შენდება დიდი, — ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ანდერძი.

ი. სტალინი

«რაბოჩაია გაზეტა» № 17,
1925 წ. 21 იანვარი.

წერილი ამხ. დ—ოვს

ამხ. დ — ოვ!

გიპასუხებთ დაგვიანებით: მოუცლელობის გამო დროზე ვერ გიპასუხეთ.

1) მე ვფიქრობ, თქვენ ცუდად წაგიკითხავთ სტატია[7], თორემ უთუოდ ნახავდით იქ ციტატას ილიჩის სტატიიდან, სადაც ლაპარაკია «სოციალიზმის გამარჯვებაზე ერთ ქვეყანაში».

2) თუ სტატიას დაკვირვებით წაიკითხავთ, ალბათ გაიგებთ, რომ ლაპარაკია არა **სრულ** გამარჯვებაზე, არამედ სოციალიზმის გამარჯვებაზე საერთოდ, ე. ი. იმაზე, რომ განვდევნოთ მემამულეები და კაპიტალისტები, ავიღოთ ძალაუფლება, მოვიგერიოთ იმპერიალიზმის იერიშები და დავიწყოთ სოციალისტური მეურნეობის შენება, — ყოველივე ეს შეიძლება სავსებით მოახერხოს პროლეტარიატმა ერთ ქვეყანაში, მაგრამ რესტავრაციისაგან სრული გარანტია შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ «რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების საერთო ღონისძიებათა» შედეგად.

სისულელე იქნებოდა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის დაწყება იმ რწმენით, რომ რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატი, მაშინ როცა სხვა ქვეყნების პროლეტარები აშკარად თანაუგრძნობენ მას, მაგრამ მოპოვებული არ არის გამარჯვება რამდენიმე ქვეყანაში, «ვერ გაუმკლავდება

კონსერვატიულ ევროპას». ეს მარქსიზმი კი არ არის, არამედ სავსებით ჩვეულებრივი ოპორტუნიზმია, ტროცკიზმია და ყველაფერი, რაც გნებავთ. ტროცკის თეორია რომ სწორი იყოს, მართალი არ იქნებოდა ილიჩი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნეპურ რუსეთს გადავაქცევთ სოციალისტურ რუსეთად, რომ ჩვენ მოგვეპოვება «ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის» (იხ. «კოოპერაციის შესახებ» [8]).

3) თქვენ, ალბათ, ყურადღება არ მიგიქცევიათ, რომ გამოქვეყნებული სტატია «წინასიტყვაობის» ნაწილს წარმოადგენს. ამისათვის ყურადღება რომ მიგექციათ, მე მგონია, გაიგებდით, რომ «წინასიტყვაობა» მთლიანად უნდა ავიღოთ.

4) ჩვენს პოლიტიკურ პრაქტიკაში ყველაზე საშიშია იმის ცდა, რომ გამარჯვებული პროლეტარული ქვეყანა განვიხილოთ, როგორც რაღაც პასიური რამ, რომელსაც უნარი შესწევს მხოლოდ ერთი ადგილი ტკეპნოს იმ მომენტამდე, სანამ გაჩნდებოდეს დახმარება სხვა ქვეყნების გამარჯვებული პროლეტარების მხრივ. დავუშვათ, რომ რუსეთში საბჭოთა წყობილების არსებობის ხუთი-ათი წლის განმავლობაში კიდევ არ მოხდა რევოლუცია დასავლეთში; დავუშვათ, რომ ამ პერიოდში ჩვენმა რესპუბლიკამ მაინც იარსება როგორც საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელიც აშენებს სოციალისტურ ეკონომიკას ნეპის პირობებში *, — ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ ამ ხუთი-ათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციას კი არ შეუდგება, არამედ წყლის ნაყვას დასჯერდება? საკმარისია დავსვათ ეს კითხვა, რომ გავიგოთ, თუ

* ამ მეორე ვარაუდს მე სრული საფუძვლით ვაყენებ, ვინაიდან ჩვენი რესპუბლიკის ძალები იზრდება და კვლავაც გაიზრდება, ხოლო დასავლეთელი ამხანაგების მხრივ დახმარება მატულობს და იმატებს.

რამდენად საშიშია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების უარყოფის თეორია.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ეს გამარჯვება სრული, საბოლოო იქნება? არა, არ ნიშნავს (იხ. ჩემი «წინასიტყვაობა»), ვინაიდან, სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ყოველთვის იქნება სამხედრო ინტერვენციის საფრთხე. მაგრამ ეს რომ მაინც სოციალიზმის გამარჯვებაა და არა დამარცხება, ამას ყველა ხედავს. და ეს გამარჯვება რომ ამასთან სხვა ქვეყნებში რევოლუციის გამარჯვების წინაპირობა არის, — ეს არა მგონია საეჭვო იყოს.

მე ვხედავ, რომ ზოგიერთ ამხანაგს ჯერ კიდევ ვერ მოუშორებია თავიდან ძველი სოციალ-დემოკრატიული თეორია იმის შესახებ, რომ პროლეტარული რევოლუცია უნიადაგოა იმ ქვეყნებში, რომლებიც კაპიტალისტურად ნაკლებად არიან განვითარებულნი, ვიდრე, ვთქვათ, ინგლისი ან ამერიკა.

5) გირჩევთ გადაიკითხოთ ილიჩის ზოგიერთი სტატია კრებულში «დინების წინააღმდეგ»[9], მისი ბროშურები «პროლეტარული რევოლუციის»[10] შესახებ და «საყმაწვილო სენი»[11], აგრეთვე მისი სტატია «კოოპერაციის შესახებ».

კომ. სალამით **ი. სტალინი**

1925 წ. 25 იანვარი.

ბეჭდება პირველად.

«დიმოვკის» შესახებ

სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე [12]

1925 წ. 26 იანვარი

უწინარეს ყოვლისა სოსნოვსკის საკითხი, თუმცა ეს ცენტრალურ საკითხს არ წარმოადგენს. მას ბრალს სდებენ, თითქოს იგი სადღაც პრესაში ამტკიცებდა, რომ მთელი საბჭოთა აპარატი, სისტემაც კი — გაიხრწნაო. მე ეს მტკიცება არ წამიკითხავს, და არავის არ მიუთითებია, სად დაწერა ეს სოსნოვსკიმ. მას რომ სადმე განეცხადებინა — საბჭოების სისტემა გაიხრწნაო, იგი კონტრრევოლუციონერი იქნებოდა.

აი მისი წიგნი. აქ ნათქვამია: «რადგან საკმაოდ კარგად ვერ ვიცნობ უკრაინულ სოფელს, ვერ ვკისრულობ განვსაჯო, რამდენად ტიპიურია დიმოვკა მთელი უკრაინული სოფლისათვის. ეს საბჭოთა უკრაინის უფრო კარგმა მცოდნეებმა განსაჯონ. მაგრამ თავს ნებას ვაძლევ ვამტკიცო, რომ დიმოვკა სრულებითაც არ არის გამონაკლისი. ადგილობრივი პრესიდან, მუშაკებთან საუბრებიდან, გლეხებთან შეხვედრებიდან, ზოგიერთი დოკუმენტიდან, რაც ხელთ ჩამივარდა, მე დავასკვენი, რომ «დიმოვშჩინის» ელემენტები სხვა სოფლებშიც არის».

ეს ძალიან რბილად არის ნათქვამი, და აქ კრინტიც არ არის დაძრული მთლიანად საბჭოთა სისტემის ან საბჭოთა აპარატის რაიმე გახრწნაზე. ამიტომ კომისიის ან ცალკეული ამხანაგების მიერ სოსნოვსკის წინააღმდეგ წამოყენებუ-

ლი ბრალდებანი სწორი არ არის. საგუბერნიო კომიტეტი აყენებს ამას, საოლქო კომიტეტი, კომისია თუ ცალკეული პირები, — სულ ერთია, ეს არაფრით არ არის დადასტურებული, დოკუმენტები არ არის.

პირიქით, მე მინდა აღვნიშნო, რომ აქ სოსნოვსკის დამსახურებაა. ამაზე არავის არაფერი უთქვამს. «პრავდის» ღამსახურება, სოსნოვსკის დამსახურება, დემიან ბედნის დამსახურება, — ის, რომ მათ გამბედაობა ეყოთ გამოეტანათ ცოცხალი ცხოვრების მოვლენა და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ეჩვენებინათ, — ეს დამსახურება აუცილებლად აღსანიშნავია. ამაზე უნდა ვლაპარაკობდეთ, და არა იმაზე, რომ მათ ჯოხი გადახარეს.

ამბობენ, სოსნოვსკიმ ჯოხი გადახარაო. მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როცა საერთო გადახრაა ოფიციალობისაკენ, ხოლო წყლულები მაინც სადღაც იქ იფარება და მთელ მუშაობას აფუჭებს, ასეთ შემთხვევებში ჯოხის გადახრა საჭიროა. უთუოდ საჭიროა. ეს გარდუვალია. ამით პლუსის მეტი არაფერი იქნება. რასაკვირველია, ზოგ ვინმეს აწყენინებს, მაგრამ ამით საქმე მოიგებს. ხოლო თუ ცალკეულ პირებს რამდენადმე არ ვაწყენინებთ, ისე საქმეს ვერ გამოვასწორებთ.

ძირითადი საკითხი ამ საქმეში, ჩემი აზრით, ის კი არ არის, რომ სოფლკორი მოკლეს, ისიც კი არა, რომ ჩვენში დიმოვკაა, — ყოველივე ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ამაში როდია საქმის საფუძველი. საფუძველი იმაშია, რომ ჩვენი ადგილობრივი მუშაკები აქა-იქ სოფლად, თემში, რაიონში, ოლქში მხოლოდ მოსკოვს შესცქერიან, მათ არ სურთ მიბრუნდნენ გლეხობისაკენ, არ ესმით, რომ არ კმარა შეეწყო მოსკოვს, უნდა შეგეძლოს გლეხობასაც შეეწყო. აი ამაშია ძირითადი შეცდომა, სოფლად ჩვენი მუშაობის ძირითადი საშიშროება.

ბევრი მუშაკი ამბობს, რომ ჩვენს ცენტრში მოდად შემოვიდა ახალი სიტყვები სოფლის შესახებ, რომ ეს დიპლომატიაა გარესამყაროსათვის, რომ ჩვენ, თითქოს, არა გვაქვს სერიოზული და ურყევი სურვილი — გავაუმჯობესოთ ჩვენი პოლიტიკა სოფლად. აი ეს მიმაჩნია მე ყველაზე საშიშრად. თუ ჩვენს ამხანაგებს ადგილებზე არ სურთ დაიჯერონ, რომ ჩვენ სერიოზულად მოვკიდეთ ხელი იმას, რათა ჩვენს მუშაკებს ჩავუნერგოთ ახალი მიდგომა სოფლისადმი, გლეხობისადმი, თუ მათ ეს ვერ შეიგნეს, თუ არ სურთ ამ საქმის რწმენა იქონიონ, — ეს უაღრესად სერიოზული საშიშროებაა. მოვახდინოთ გარდატეხა ადგილობრივი მუშაკების ამ განწყობილებაში, მკვეთრად შევაბრუნოთ გეზი სხვა მიმართულებით, რათა ჩვენს პოლიტიკას სოფლის მიმართ უყურებდნენ როგორც რაღაც სერიოზულს, აბსოლუტურად აუცილებელს, — აი რა გვესაჭიროება ჩვენ ახლა.

ჩვენ სამი მოკავშირე გვყავს: საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელიც არ ჩქარობს რევოლუცია მოახდინოს; კოლონიები, რომლებიც ძალიან ნელა იწყებენ ამოძრავებას, და გლეხობა. მეოთხე მოკავშირეზე, ე. ი. კონფლიქტებზე ჩვენი მტრების ბანაკში, ახლა არ ვლაპარაკობ. როდის დაიძრება საერთაშორისო რევოლუცია, — ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ როცა იგი დაიძრება, ეს გადამწყვეტი საქმე იქნება. როდის ამოძრავდებიან კოლონიები, — ესეც ძნელი სათქმელია, — ეს მეტად სერიოზული და ძნელი საკითხია, ამაზე გარკვეულს ვერაფერს იტყვი. გლეხობასთან კი ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ, — ეს ჩვენი მესამე მოკავშირეა, თანაც ისეთი მოკავშირე, რომელიც პირდაპირ დახმარებას გვიწევს ახლავე, გვაძლევს არმიას, პურს და სხვ. ამ მოკავშირესთან, ე. ი. გლეხობასთან, ჩვენ ერთად ვმუშაობთ, მასთან ერთად ვაშენებთ სოციალიზმს, ავად

თუ კარგად, მაინც ვაშენებთ, და უნდა ვიცოდეთ ამ მოკავშირის დაფასება სწორედ ახლა, განსაკუთრებით ახლა.

აი რატომ არის, რომ ჩვენი მუშაობის პირველ რიგში ახლა გლეხობის საკითხს ვაყენებთ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი პოლიტიკის ახლანდელი კურსი არის ახალი კურსი, რომელიც აღნიშნავს სოფლის მიმართ ჩვენი პოლიტიკის ახალ გეზს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ამის გაგება არ სურთ ამხანაგებს. თუ ეს ძირითადი რამ ვერ შეიგნეს, — არავითარი მუშაობა არ გამოგვივა, არავითარი სოციალისტური მშენებლობა არ გვექნება. და რამდენადაც ჩვენი ამხანაგები ამ ძირითადს ივიწყებენ და გატაცებული არიან თავიანთი, ასე ვთქვათ, უწყებრივი მოსაზრებებით იმის შესახებ, რომ საჭიროა მოსკოვს «საქონელი კარგი პირით» უჩვენო, რომ ჩვენში, თითქოს, ყველაფერი რიგზეა, რომ წყლულები უნდა მიჩქმალო, რომ კრიტიკა, თითქოს, საჭირო არ არის, ვინაიდან იგი სახელს უტეხს ადგილობრივ ხელისუფლებას, ადგილობრივ მუშაკებს, — რამდენადაც ასეთ რამეებს ამბობენ, ამაში მე უაღრესად სერიოზული საფრთხის საფუძველს ვხედავ. ამას ბოლო უნდა მოვუღოთ და უნდა ვუთხრათ ამხანაგებს, რომ არ უნდა გვეშინოდეს მზის სინათლეზე გამოვიტანოთ ცხოვრების მოვლენები, რარიგ არასასიამოვნოც არ უნდა იყვნენ ისინი. ჩვენი ამხანაგები უნდა მოვაბრუნოთ იმ მხრივ, რომ ისინი მარტო მოსკოვს კი არ შესცქეროდნენ, არამედ ისწავლონ პირი მიიბრუნონ გლეხობისაკენ, რომელსაც ისინი ემსახურებიან, რომ წყლულები კი არ მიჩქმალონ, არამედ, პირიქით, დაგვეხმარონ თავისი შეცდომების გამომჟღავნებაში, მათს დაძლევაში და წარმართონ მუშაობა იმ გზით, რომელიც ამჟამად პარტიის მიერ არის დასახული.

ორში ერთი (მე უკვე არა ერთხელ მითქვამს ეს): ან ჩვენ უპარტიო გლეხობასთან ერთად, ჩვენს საბჭოთა და პარტიულ მუშაკებთან ერთად ადგილებზე თვითონ გავაკრიტიკებთ ჩვენს თავს იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა, ან გლეხობის უკმაყოფილება დაგუბდება და აჯანყებათა სახით გადმოხეთქს. მხედველობაში იქონიეთ, რომ ახალი პირობების საფუძველზე, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, ახალი ტამბოვი ან ახალი კრონშტადტი[13] სრულებითაც არ არის გამორიცხული. დიდი გაფრთხილება მოგვცა ამიერკავკასიაში, საქართველოში მომხდარმა აჯანყებამ[14]. ასეთი აჯანყებანი მომავალში შესაძლებელია, თუ არ ვისწავლეთ ჩვენი წყლულების დაძლევა და გამომჟღავნება, თუ გარეგნულად მოვაჩვენეთ, თითქოს ყველაფერი რიგზეა.

აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ აქ უნდა ვილაპარაკოთ არა იმ ცალკეულ მწერალთა ნაკლოვანებებსა და გატაცებაზე, რომლებიც ჩვენი მუშაობის დეფექტებს ამჟღავნებენ, არამედ მათს დამსახურებაზე.

აქ უნდა გადავიდე ჩვენი მწერლების, კორესპონდენტების საკითხზე. მე ვფიქრობ, ჩვენ იმ პერიოდს მივაღწიეთ, როცა სოფლად ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის გამოსწორების საქმეში, ჩვენი ნაკლოვანებების გამომჟღავნების და, მაშასადამე, საბჭოთა მუშაობის გამოსწორებისა და გაუმჯობესების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი შეიძლება გახდნენ მუშკორები და სოფლკორები. შესაძლოა, ყველას როდი გვესმოდეს ეს, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ სწორედ აქედან უნდა დაიწყოს ჩვენი მუშაობის გაუმჯობესება. ეს, მეტწილად შთაბეჭდილების ადამიანები, სიმართლის ნაპერწკლით აგზნებულნი, რომელთაც სურთ ამხილონ, სურთ რადაც უნდა დაუჯდეთ გამოახწორონ ჩვენი ნაკლოვანებანი, ადამიანები, რომლებსაც

ტყვიისა არ ეშინიათ, — აი ეს ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა გახდნენ ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი ჩვენი ნაკლოვანებების გამომჟღავნებისა და ადგილებზე ჩვენი პარტიული და საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობის გამოსწორების საქმეში.

აი ამიტომ კი არ უნდა გავკიცხოთ ჩვენი პრესის მუშაკები, არამედ საჭიროა ყურად ვიღოთ ამ ამხანაგების ხმა. მათი მეშვეობით, როგორც ერთგვარი ბარომეტრით, რომელიც უშუალოდ ასახავს ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ნაკლოვანებებს, ჩვენ ძალიან ბევრი რამის გამომჟღავნებასა და გამოსწორებას შევძლებდით.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის შესახებ მე ვფიქრობ, რომ ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ საერთოდ სწორი რეზოლუცია მიიღო, — შესაძლოა ზოგი რამ შესასწორებელი იყოს, ხელახალ რედაქციას საჭიროებდეს.

პრესაში დიმოვკის საქმე ისე უნდა გავაშუქოთ, რომ ჩვენი ამხანაგები მიხვდნენ, საიდან წარმოსდგა ყოველივე ეს. საქმე ის კი არ არის, რომ სოფლკორი მოკლეს, მით უმეტეს — არა ის, რომ საოლქო ან საგუბერნიო კომიტეტის მდივანს არ ვაწყენინოთ, არამედ ის, რომ რელსებზე დავაყენოთ სოფლად ჩვენი აღმშენებლობითი სოციალისტური მუშაობის გაუმჯობესების საქმე. ძირითადი ეს არის. საქმე ამას ეხება.

ი. სტალინი. გლეხობის
საკითხი. მ. — ლ., 1925.

პროლეტარიატისა და გლეხობის საკითხისათვის

სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის XIII საგუბერნიო კონფერენციაზე [15]

1925 წ. 27 იანვარი

ამხანაგებო! მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა იმ პოლიტიკის საფუძვლებზე, რომელსაც ამჟამად დაადგა პარტია გლეხობის მიმართ. ამჟამად გლეხობის საკითხის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა. ბევრნი გატაცებას იჩენენ და იმასაც კი ამბობენ, რომ დადგა ახალი ერა — გლეხობის ერა. ზოგმა ლოზუნგი «პირით სოფლისაკენ» გაიგო როგორც ისეთი ლოზუნგი, რომელიც მოგვიწოდებს — ზურგი შევაქციოთ ქალაქს. ზოგი იქამდე მივიდა, რომ პოლიტიკურ ნეპზეც კი ალაპარაკდა. ეს, რა თქმა უნდა, ფუჭი საქმეა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გატაცებაა. მაგრამ თუ განზე დავტოვებთ ამ გატაცებას, რჩება ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ გლეხობის საკითხს ამჟამად, სწორედ ახლა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რატომ? საიდან?

ამას ორი მიზეზი აქვს. მე ვლაპარაკობ ძირითად მიზეზებზე.

პირველი მიზეზი იმისა, რომ გლეხობის საკითხს ამჟამად ჩვენში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა,

იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოკავშირეთაგან, პროლეტარიატის ყველა არსებულ ძირითად მოკავშირეთაგან, — ასეთი მოკავშირე კი, ჩემი აზრით, ოთხია, — გლეხობა ერთადერთი მოკავშირეა, რომელსაც შეუძლია **ახლავე** გაუწიოს ჩვენს რევოლუციას პირდაპირი დახმარება. საქმე ეხება პირდაპირ დახმარებას სწორედ ახლა, ამ მომენტში. ყველა დანარჩენ მოკავშირეებს, თუმცა დიდი მომავალი აქვთ და ჩვენი რევოლუციის უდიდეს რეზერვს წარმოადგენენ, მაინც, სამწუხაროდ, ახლა არ ძალუძთ პირდაპირი დახმარება გაუწიონ ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს სახელმწიფოს.

რა მოკავშირენი არიან ესენი?

პირველი მოკავშირე, ჩვენი ძირითადი მოკავშირეა განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატი. მოწინავე პროლეტარიატი, დასავლეთის პროლეტარიატი, — ეს უდიდესი ძალაა და ეს ჩვენი რევოლუციისა და ჩვენი ხელისუფლების ყველაზე ერთგული, ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეა. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმის ვითარება ისეთია, რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ისეთია, რომ დასავლეთის პროლეტარიატს ახლა არ ძალუძს პირდაპირი და გადამწყვეტი დახმარება გაგვიწიოს. ჩვენ იგი გვიწევს არაპირდაპირ, მორალურ დახმარებას, რომლის ღირებულებას ვერც კი დაასახელებ, რომელიც ფასდაუდებელია, — იმდენად დიდმნიშვნელოვანია იგი, ეს დახმარება. მაგრამ ეს მაინც არ არის ის პირდაპირი და უშუალო დახმარება, რომელიც ჩვენ ახლა გვჭირდება.

მეორე მოკავშირეა კოლონიები, ჩაგრული ხალხები ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებსაც უფრო განვითარებული ქვეყნები ჩაგრავენ. ეს, ამხანაგებო, ჩვენი რევოლუციის უდიდესი რეზერვია. მაგრამ ეს მოკავშირე

მეტად ნელა იწყებს ამოძრავებას. იგი მოდის ჩვენთვის პირდაპირი დახმარების გასაწევად, მაგრამ, ეტყობა, მალე ვერ მოვა. და სწორედ ამიტომ მას არ ძალუძს ახლავე გაგვიწიოს პირდაპირი დახმარება ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში, ძალაუფლების განმტკიცების საქმეში, სოციალისტური ეკონომიკის აშენების საქმეში.

ჩვენ მოგვეპოვება მესამე მოკავშირე, უხილავი, უპიროვნო, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი. ეს არის ის კონფლიქტები და წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, რომლებსაც სახე არა აქვთ, მაგრამ რომლებიც უეჭველად უდიდეს დახმარებას წარმოადგენენ ჩვენი ხელისუფლებისა და ჩვენი რევოლუციისათვის. ეს შეიძლება უცნაური გვეჩვენოს, მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო. კაპიტალისტური ქვეყნების ორ ძირითად კოალიციას 1917 წელს იმპერიალისტური ომის დროს ერთმანეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რომ არა ჰქონოდა, ისინი რომ ერთმანეთს ყელში არა სწვდომოდნენ, თავიანთი საქმით რომ არ ყოფილიყვნენ გართულნი, საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის დაწყებისათვის მოუცლელნი რომ არ ყოფილიყვნენ, — საეჭვოა მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას გაეძლო. ბრძოლა, კონფლიქტები და ომები ჩვენს მტრებს შორის — ეს, ვიმეორებ, ჩვენი უდიდესი მოკავშირეა. როგორია ამ მოკავშირის საქმის ვითარება? საქმის ვითარება ისეთია, რომ მსოფლიო კაპიტალმა, რომელმაც ომის შემდეგ რამდენიმე კრიზისი გადაიტანა, წელში გასწორება იწყო. ეს უნდა ვაღიაროთ. ძირითადმა გამარჯვებულმა ქვეყნებმა — ინგლისმა და ამერიკამ — ახლა ისეთი ძალა მოიპოვეს, რომ მატერიალური შესაძლებლობა მიიღეს არა მარტო შინ ასე თუ ისე მოაგვაროონ კაპიტალის საქმე, არამედ საფრანგეთს, გერმანიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებსაც შემატონ სისხლი. ეს —

ერთის მხრივ. და საქმის ამ მხარეს იქით მივყავართ, რომ წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ჯერჯერობით ისეთი გაძლიერებული ტემპით აღარ ვითარდებიან, როგორითაც უშუალოდ ომის შემდეგ ვითარდებოდნენ. ეს პლუსია კაპიტალისათვის, ეს მინუსია ჩვენთვის. მაგრამ ამ პროცესს აქვს მეორე მხარეც — უკანა მხარე. უკანა მხარე კი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად მთელი შედარებითი სიმყარისა, რომლის შექმნაც კაპიტალმა ჯერჯერობით მოახერხა, წინააღმდეგობანი ურთიერთობის მეორე კიდეზე, წინააღმდეგობანი ექსპლოატაციის გამწევ მოწინავე ქვეყნებსა და ექსპლოატირებულ ჩამორჩენილ ქვეყნებს, კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებს შორის, უფრო და უფრო მწვავდებიან და ღრმავდებიან, ქმნიან იმის საფრთხეს, რომ ახალი, «მოულოდნელი» კიდიდან ჩაშალონ კაპიტალის «მუშაობა». კრიზისი ეგვიპტესა და სუდანში, — ამის თაობაზე, ალბათ, გაზეთებში წაიკითხავდით, — შემდეგ წინააღმდეგობათა მთელი რიგი კვანძები ჩინეთში, რომლებმაც შეიძლება ერთმანეთს წაჰკიდონ ახლანდელი «მოკავშირენი» და ააფეთქონ კაპიტალის ძლიერება, წინააღმდეგობათა მთელი რიგი ახალი კვანძები ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც ესპანეთი კარგავს მაროკოს, რომელსაც ხელს უპოტინებს საფრანგეთი, მაგრამ რომლის აღებასაც იგი ვერ შესძლებს, იმიტომ რომ ინგლისი არ დაუშვებს საფრანგეთის კონტროლს გიბრალტარზე, — ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც ბევრად მოგვაგონებენ ომისწინა პერიოდს და რომლებმაც არ შეიძლება არ შეუქმნან საფრთხე საერთაშორისო კაპიტალის «აღმშენებლობითს საქმეს».

ასეთია პლუსები და მინუსები წინააღმდეგობათა განვითარების საერთო ბალანსში. მაგრამ რადგან პლუსები კაპიტალისათვის ამ დარგში ჯერჯერობით სჭარბობენ მინუ-

სებს და რადგან კაპიტალისტებს შორის საომარ შეჯახებებს დღესა თუ ხვალ არ უნდა მოველოდეთ, ცხადია, რომ ჩვენი მესამე მოკავშირის საქმის ვითარება ჯერ კიდევ ისეთი არ არის, როგორიც ჩვენ გვსურს იყოს.

რჩება მეოთხე მოკავშირე — გლეხობა. იგი ჩვენს გვერდით არის, ჩვენ მასთან ერთად ვცხოვრობთ, მასთან ერთად ვაშენებთ ახალ ცხოვრებას, ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც მასთან ერთად. ეს მოკავშირე, თქვენ თვითონ იცით, ძალიან მტკიცე არ არის, გლეხობა ისეთი საიმედო მოკავშირე როდია, როგორიც კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატი. მაგრამ იგი მაინც მოკავშირეა, და ყველა არსებულ მოკავშირეთაგან ის ერთადერთია, რომელიც ახლავე გვიწევს და შეუძლია გაგვიწიოს პირდაპირი დახმარება, რის სანაცვლოდ ჩვენს დახმარებას იღებს.

აი ამიტომ გლეხობის საკითხს სწორედ ამჟამად, როცა რევოლუციური და ყოველნაირი სხვა კრიზისების განვითარების მსვლელობა რამდენადმე შენელდა, გლეხობის საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ასეთია გლეხობის საკითხის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის პირველი მიზეზი.

მეორე მიზეზი იმისა, რომ ჩვენს პოლიტიკაში ამჟამად მთავარ ადგილს გლეხობის საკითხს ვუთმობთ, ის არის, რომ ჩვენი მრეწველობა, რომელიც სოციალიზმის საფუძველსა და ჩვენი ხელისუფლების საფუძველს შეადგენს, ეს მრეწველობა ეყრდნობა საშინაო ბაზარს, გლეხურ ბაზარს. მე არ ვიცი, როგორი იქნება საქმის ვითარება, როცა ჩვენი ინდუსტრია სავსებით განვითარდება, როცა ჩვენ საშინაო ბაზარს დავძლევთ, და როცა ჩვენს წინაშე წამოიჭრება საგარეო ბაზრის დაპყრობის საკითხი. ხოლო ეს საკითხი მომავალში წამოიჭრება ჩვენს წინაშე, — ამაში შე-

გიძლიათ ეჭვი არ შეიტანოთ. არა მგონია, მომავალში ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცეს ვიქონიოთ იმის იმედი, რომ წავართვათ ჩვენზე უფრო გამოცდილ კაპიტალს საგარეო ბაზრები დასავლეთში. მაგრამ რაც შეეხება ბაზრებს აღმოსავლეთში, რომელთანაც ჩვენი ურთიერთობა არ შეიძლება ცუდად ჩაითვალოს, ხოლო ეს ურთიერთობა კიდევ გაუმჯობესდება, — აქ ჩვენ უფრო ხელსაყრელი პირობები გვექნება. უეჭველია, რომ საფეიქრო პროდუქცია, თავდაცვის საგნები, მანქანები და სხვ. იქნება ის ძირითადი პროდუქტები, რომლებსაც ჩვენ აღმოსავლეთს მივაწვდით და კონკურენციას გავუწევთ კაპიტალისტებს. მაგრამ ეს ჩვენი მრეწველობის მომავალს შეეხება. რაც შეეხება აწმყოს, როცა ჩვენი გლეხური ბაზრის მესამედი ნაწილიც კი ვერ ამოგვიწურავს, ახლა, დღევანდელ მომენტში, ჩვენს ძირითად საკითხს წარმოადგენს საშინაო ბაზრის საკითხი და, უწინარეს ყოვლისა, გლეხური ბაზრის საკითხი. სწორედ იმიტომ, რომ ამჟამად გლეხური ბაზარი ჩვენი მრეწველობის ძირითად ბაზას წარმოადგენს, სწორედ ამიტომ ჩვენ, როგორც ხელისუფლება, და ჩვენ, როგორც პროლეტარიატი, დაინტერესებული ვართ იმით, რომ ყოველნაირად გავაუმჯობესოთ გლეხური მეურნეობის მდგომარეობა, გავაუმჯობესოთ გლეხობის მატერიალური მდგომარეობა, ავამაღლოთ გლეხობის მყიდველობითი ძალა, გავაუმჯობესოთ პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობა, მოვაგვაროთ ის კავშირი, რომელზეც ლაპარაკობდა ლენინი, მაგრამ რომელიც ჯერჯერობით ჩვენ მაინც ვერ მოგვიგვარებია სათანადოდ.

•ი საიდან გამომდინარეობს იმის მეორე მიზეზი, რომ ჩვენ, როგორც პარტიამ, ამჟამად პირველ რიგზე უნდა წამოვწიოთ გლეხობის საკითხი, რომ ჩვენ განსაკუთრებული

გულისხმიერება და განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ გლეხობის მიმართ.

ასეთია წინაპირობები ჩვენი პარტიის პოლიტიკისა გლეხობის საკითხში.

მთელი უბედურება, ამხანაგებო, ის არის, რომ ბევრ ჩვენს ამხანაგს არ ესმის ან არ სურს გაიგოს ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობა.

ხშირად ამბობენ: მოსკოვში ჩვენმა ლიდერებმა მოდად შემოიღეს გლეხობაზე ლაპარაკიო. ეს, ალბათ, სერიოზულად როდია. ეს დიპლომატიაა. მოსკოვს ესაჭიროება, რომ ეს სიტყვები გარესამყაროსათვის წარმოითქვას. ჩვენ კი შეგვიძლია ძველი პოლიტიკა განვაგრძოთო. ასე ამბობენ ზოგიერთნი. სხვები ამბობენ, რომ გლეხობაზე ლაპარაკი მხოლოდ ლათაიებია. მოსკოველები კანცელარიებში რომ არ ისხდნენ, არამედ ადგილებზე ჩამოსულიყვნენ, ისინი დაინახავდნენ, რა არის გლეხობა და როგორ იკრიფება გადასახადებიო. ასეთი სიტყვების მოსმენა გვიხდება. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ მთელ იმ საშიშროებათაგან, რაც ჩვენს წინაშე დგას, ჩვენი ადგილობრივი მუშაკების მიერ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანის ეს გაუგებლობა ყველაზე სერიოზული საშიშროებაა.

ორში ერთი:

ან ჩვენი ამხანაგები ადგილებზე შეიგნებენ გლეხობის საკითხის მთელ სერიოზულობას, — და მაშინ ისინი ნამდვილად მოჰკიდებენ ხელს ჩვენს აღმშენებლობითს მუშაობაში გლეხობის ჩაბმის საქმეს, მოჰკიდებენ ხელს გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებისა და მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საქმეს; ანდა ამხანაგები ამას ვერ შეიგნებენ, — და მაშინ საქმე შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების მარცხით დამთავრდეს.

არ იფიქრონ ამხანაგებმა, რომ მე ვინმეს ვაშინებდე. არა, ამხანაგებო, დაშინება საჭირო არ არის და მას არც აზრი აქვს. საკითხი მეტად სერიოზულია, და მას ისე უნდა მივუდგეთ, როგორც სერიოზულ ადამიანებს შეეფერება.

მოსკოვში რომ ჩამოდიან, ამხანაგები ხშირად ცდილობენ «საქონელი კარგი პირით» გვიჩვენონ, — სოფლად ჩვენში ყველაფერი რიგზეაო. ეს კაზიონური კეთილდღეობა ზოგჯერ გულის ამრევია. ამავე დროს კი ცხადია, რომ კეთილდღეობა არ არის და არც შეიძლება იყოს. ცხადია, არის ნაკლოვანებანი, რომლებიც უნდა გამოვამჟღავნოთ, ისე რომ კრიტიკისა არ გვეშინოდეს, და რომლებიც შემდეგ უნდა აღმოვფხვრათ. საკითხი ხომ ასე დგას: ან ჩვენ, მთელი პარტია, უპარტიო გლეხებსა და მუშებს საშუალებას მივცემთ გაგვაკრიტიკონ, ანდა კრიტიკას გაგვიწევენ აჯანყებათა გზით. საქართველოში მომხდარი აჯანყება კრიტიკა იყო. ტამბოვის აჯანყებაც კრიტიკა იყო. კრონშტადტის აჯანყება — განა ეს კრიტიკა არ არის? ორში ერთი: ან ჩვენ ხელს ავიღებთ ჩინოვნიკურ კეთილდღეობაზე და საქმისადმი ჩინოვნიკურ მიდგომაზე, არ შევუშინდებით კრიტიკას და ჩვენი გაკრიტიკების საშუალებას მივცემთ უპარტიო მუშებსა და გლეხებს, რომლებიც ხომ თავიანთ საკუთარ ზურგზე განიცდიან ჩვენი შეცდომების შედეგებს; ანდა ჩვენ ამას არ ვიზამთ, უკმაყოფილება დაგუბდება, იმატებს, და მაშინ დაიწყება კრიტიკა აჯანყებათა გზით.

ყველაზე დიდი საშიშროება ახლა ის არის, რომ ბევრ ჩვენს ამხანაგს არ ესმის ახლანდელი მდგომარეობის ეს თავისებურება.

აქვს თუ არა ამ საკითხს — გლეხობის საკითხს — რაიმე კავშირი ტროცკიზმის საკითხთან, იმ საკითხთან, რომელზეც აქ თქვენ მსჯელობდით? უეჭველად აქვს.

რა არის ტროცკიზმი?

ტროცკიზმი არის ჩვენი რევოლუციის ძალებისადმი ურწმენობა, მუშათა და გლეხთა კავშირის საქმისადმი ურწმენობა. რა არის ჩვენი ძირითადი ამოცანა ახლა? ის, რომ, ილიჩის სიტყვებით თუ ვიტყვით, ნეპური რუსეთი გადავაქციოთ სოციალისტურ რუსეთად. შეიძლება თუ არა განვახორციელოთ ეს ამოცანა მუშათა და გლეხთა კავშირის განუხორციელებლად? არა, არ შეიძლება. შეიძლება თუ არა განვახორციელოთ ეს კავშირი, მუშათა და გლეხთა კავშირი, თუ არ გავანადგურეთ ამ კავშირისადმი ურწმენობის თეორია, ე. ი. ტროცკიზმის თეორია? არა, არ შეიძლება. დასკვნა ნათელია: ვისაც სურს ნეპიდან გამარჯვებული გამოვიდეს, მან უნდა დაასამაროს ტროცკიზმი, როგორც იდეური მიმდინარეობა.

ოქტომბრის რევოლუციის წინ ილიჩი ხშირად ამბობდა, რომ იდეურ მოწინააღმდეგეთაგან ყველაზე საშიში არიან მენშევიკები, ვინაიდან ისინი ცდილობენ ოქტომბრის გამარჯვებისადმი ურწმენობა დანერგონო. ამიტომ, — ამბობდა იგი, — მენშევიზმის დაუმარცხებლად არ შეიძლება ოქტომბრის გამარჯვებას მივაღწიოთო. მე ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს ერთგვარი ანალოგია მაშინდელ, ოქტომბრის პერიოდის მენშევიზმსა და ახლანდელ, ნეპის პერიოდის ტროცკიზმს შორის. მე ვფიქრობ, კომუნიზმის იდეურ მიმართულებათა შორის ამჟამად, ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, ნეპის ახლანდელ პირობებში, ყველაზე საშიშად უნდა ჩაითვალოს ტროცკიზმი, ვინაიდან იგი ცდილობს დანერგოს ჩვენი რევოლუციის ძალებისადმი ურწმენობა, მუშათა და გლეხთა კავშირის საქმისადმი ურწმენობა, ნეპური რუსეთის სოციალისტურ რუსეთად გადაქცევის საქმისადმი ურწმენობა. ამიტომ ტროცკიზმის დაუმარ-

ცხებლად არ შეიძლება მივაღწიოთ გამარჯვებას ნეპის პირობებში, არ შეიძლება მივაღწიოთ ახლანდელი რუსეთის გადაქცევას სოციალისტურ რუსეთად.

ასეთია კავშირი გლეხობის მიმართ პარტიის პოლიტიკასა და ტროცკიზმს შორის.

«პრავდა» № 24,
1925 წ. 30 იანვარი.

გერმანიის კომპარტიის პერსპექტივებისა და გოლშევიზაციის შესახებ

საუბარი გერმანიის კომპარტიის წევრ ჰერცოგთან

1-ლი კითხვა (ჰერცოგი). მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ პოლიტიკური და სამეურნეო ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ-კაპიტალისტურ რესპუბლიკაში ისეთია, რომ მუშათა კლასს, მეტად თუ ნაკლებად ახლო მომავალში, მოუხდება ბრძოლა აწარმოოს ძალაუფლებისათვის?

პასუხი (სტალინი). ძნელი იქნებოდა ამ კითხვაზე ზუსტად გარკვეული პასუხის მოცემა, თუ ლაპარაკია ვადებზე და არა ტენდენციაზე. მტკიცება არ ესაჭიროება იმას, რომ ახლანდელი სიტუაცია არსებითად განსხვავდება 1923 წლის სიტუაციისაგან როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო პირობებით. მაგრამ ეს როდი გამორიცხავს იმას, რომ უახლოეს ხანში სიტუაცია შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს რევოლუციის სასარგებლოდ, საგარეო ვითარებაში შესაძლებელ სერიოზულ ცვლილებათა გამო. საერთაშორისო ვითარების მერყეობა იმის გარანტიაა, რომ ეს ვარაუდი შეიძლება ფრიად შესაძლებელი გახდეს.

მე-2 კითხვა. საჭირო იქნება თუ არა ჩვენში, ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობისა და ძალთა ახლანდელი

თანაფარდობის გამო, უფრო ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, რომ პროლეტარიატის უმრავლესობა მივიმხროთ (მოთხოვნა, რომელიც ლენინმა წაუყენა ყველა ქვეყნის კომპარტიებს როგორც ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის წინ)?

პასუხი. რამდენადაც ლაპარაკია ეკონომიურ მდგომარეობაზე, მე შემიძლია შევაფასო საქმე მხოლოდ იმ ზოგადი მონაცემების თვალსაზრისით, რომლებიც მომეპოვება. მე ვფიქრობ, რომ დაუესის გეგმამ [16] უკვე გამოიღო ერთგვარი შედეგები, რამაც გამოიწვია მდგომარეობის შედარებითი სიმყარე. გერმანიის მრეწველობაში ამერიკის კაპიტალის დანერგვას, ვალუტის სტაბილიზაციას, გერმანიის მრეწველობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგების გაუმჯობესებას, — რაც სრულებითაც არ მოასწავებს გერმანიის ეკონომიკის ძირეულ გაჯანსაღებას, — დასასრულ, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის ერთგვარ გაუმჯობესებას, — ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ბურჟუაზიის პოზიციების ერთგვარი განმტკიცება გერმანიაში. ეს დაუესის გეგმის, ასე ვთქვათ, «დადებითი» მხარეა.

მაგრამ დაუესის გეგმას აქვს «უარყოფითი» მხარეებიც, რომლებმაც გარდუვალად უნდა იჩინონ თავი განსაზღვრულ პერიოდში და რომლებმაც უნდა ააფეთქონ ამ გეგმის «დადებითი» შედეგები. უეჭველია, რომ დაუესის გეგმა გერმანიის პროლეტარიატისათვის მოასწავებს კაპიტალის ორმაგ წნეხს, საშინაოსა და საგარეოს. წინააღმდეგობანი გერმანიის მრეწველობის გაფართოებასა და ამ მრეწველობისათვის საგარეო ბაზრების ასპარეზის შემცირებას შორის, შეუფარდებლობა ანტანტის ჰიპერტროფირებულ მოთხოვნებსა და გერმანიის სახალხო მეურნეობის მხრივ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ზღვრულ

შესაძლებლობებს შორის, — ყოველივე ეს გარდუვალად აუარესებს პროლეტარიატის, წვრილი გლეხების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის მდგომარეობას და არ შეიძლება არ გამოიწვიოს აფეთქება, პროლეტარიატის პირდაპირი ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისათვის.

მაგრამ ეს გარემოება არ შეიძლება მივიჩნიოთ გერმანიის რევოლუციის ერთადერთ ხელსაყრელ პირობად. ამ რევოლუციის გამარჯვებისათვის, გარდა ამისა, აუცილებლად საჭიროა, რომ კომპარტია მუშათა კლასის უმრავლესობას წარმოადგენდეს, რომ იგი მუშათა კლასში გადამწყვეტი ძალა გახდეს. აუცილებლად საჭიროა, რომ სოციალ-დემოკრატია მხილებულ და დამარცხებულ იქნას, რომ იგი ჩამოქვეითებულ იქნას მუშათა კლასში სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის მდგომარეობამდე. უამისოდ პროლეტარიატის დიქტატურაზე ფიქრიც მეტია. მუშებმა გამარჯვება რომ შესძლონ, მათ უნდა აღაფრთოვანებდეს ერთი ნებისყოფა, მათ უნდა მიუძღოდეს ერთი პარტია, რომელიც მუშათა კლასის უმრავლესობის უეჭველი ნდობით სარგებლობს. თუ მუშათა კლასში ორი, ერთმანეთისათვის კონკურენციის გამწევი, თანაბარი ძალის პარტიაა, მაშინ ხელსაყრელ საგარეო პირობებშიც კი მტკიცე გამარჯვება შეუძლებელია. ლენინი პირველი იყო, რომელიც განსაკუთრებით მტკიცედ მოითხოვდა ამას ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში, როგორც პროლეტარიატის გამარჯვების სრულიად აუცილებელ პირობას.

რევოლუციისათვის ყველაზე ხელსაყრელ ვითარებად შეიძლებოდა ჩათვლილიყო ის ვითარება, რომლის დროსაც გერმანიის შინაგანი კრიზისი და კომპარტიის ძალების გადამწყვეტი ზრდა დაემთხვეოდა სერიოზულ გართულებებს გერმანიის გარეშე მტრების ბანაკში.

მე ვფიქრობ, რომ 1923 წლის რევოლუციურ პერიოდში ამ უკანასკნელი გარემოების არარსებობას უკანასკნელი უარყოფითი როლი როდი შეუსრულებია.

მე-3 კითხვა. თქვენ სთქვით, რომ გერმანიის კომპარტიას თავის მხარეზე უნდა ჰყავდეს მუშათა უმრავლესობა. ამ მიზანს დღემდე მეტად მცირე ყურადღებას აქცევდნენ. თქვენი აზრით, რა უნდა ვაკეთოთ, რომ გერმანიის კომპარტია გადავაქციოთ ასეთ ენერგიულ პარტიად, რომელსაც პროგრესიულად მზარდი შემკრები ძალა ექნება?

პასუხი. ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ პარტიის განმტკიცება და მისი ბოლშევიზაციის განხორციელება ნიშნავს პარტიიდან ყველა სხვანაირად მოაზროვნეთა განდევნას. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. სოციალ-დემოკრატიის მხილება და მუშათა კლასში სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის როლამდე მისი ჩამოქვეითება შეიძლება მხოლოდ ყოველდღიური ბრძოლით მუშათა კლასის კონკრეტული საჭიროებებისათვის. სოციალ-დემოკრატია სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ არა პლანეტარული საკითხების საფუძველზე, არამედ იმ ყოველდღიური ბრძოლის საფუძველზე, რომელსაც მუშათა კლასი თავისი მატერიალური და პოლიტიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეწევა, ამასთან ხელფასის, სამუშაო დღის, საბინაო პირობების, დაზღვევის, გადასახადების, უმუშევრობის, ცხოვრების სიძვირისა და სხვა საკითხები უაღრესად სერიოზულ როლს უნდა ასრულებდნენ, თუ გადამწყვეტს არა. ყოველდღიურად ვურტყათ სოციალ-დემოკრატებს ამ საკითხების საფუძველზე, გამოვააშკარაოთ მათი გამცემლობა, — ასეთია ამოცანა.

მაგრამ ეს ამოცანა მთლიანად ვერ განხორციელდება, თუ ყოველდღიური პრაქტიკის საკითხები არ იქნება დაკავშირებული ძირეულ საკითხებთან გერმანიის საერთაშორისო

და შინაგანი მდგომარეობის შესახებ, და თუ მთელი ეს ყოველდღიური მუშაობა არ გაშუქდება პარტიის მთელ მუშაობაში რევოლუციის და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის თვალსაზრისით.

მაგრამ ასეთი პოლიტიკის გატარება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელსაც სათავეში უდგანან ხელმძღვანელთა კადრები, საკმაოდ გამოცდილნი იმისათვის, რომ გამოიყენონ სოციალ-დემოკრატიის ყველა და ყოველგვარი შეცდომა თავიანთი პარტიის გასაძლიერებლად, და თეორიულად საკმაოდ მომზადებულნი იმისათვის, რომ ნაწილობრივ წარმატებათა გამო არ დაკარგონ რევოლუციური განვითარების პერსპექტივა.

უმთავრესად სწორედ ამით აიხსნება, რომ საერთოდ კომპარტიების, მათ შორის აგრეთვე გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელი კადრების საკითხი ბოლშევიზაციის საქმის ერთ-ერთი არსებითი საკითხია.

ბოლშევიზაციის გასატარებლად საჭიროა მიღწეულ იქნას ზოგიერთი ძირითადი პირობა მაინც, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია კომპარტიების ბოლშევიზაცია.

1) აუცილებელია, რომ პარტიას თავისი თავი მიაჩნდეს არა საპარლამენტო საარჩევნო მექანიზმის დანამატად, როგორადაც, არსებითად, მიაჩნია თავი სოციალ-დემოკრატიას, და არა პროფესიული კავშირების უფასო დამატებად, როგორც ზოგჯერ ამას გაიძახიან ზოგიერთი ანარქისტულ-სინდიკალისტური ელემენტები, — არამედ პროლეტარიატის კლასობრივი გაერთიანების **უმაღლეს** ფორმად, რომელიც მოწოდებულია **უხელმძღვანელოს** პროლეტარული ორგანიზაციების ყველა დანარჩენ ფორმას, პროფკავშირებიდან პარლამენტის ფრაქციამდე.

2) აუცილებელია, რომ პარტია, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი ელემენტები სავსებით დაეუფლონ მარქსიზმის რევოლუციურ თეორიას, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია რევოლუციურ პრაქტიკასთან.

3) აუცილებელია, რომ პარტიამ ლოზუნგები და დირექტივები შეიმუშაოს არა დაზეპირებული ფორმულებისა და ისტორიული პარალელების საფუძველზე, არამედ რევოლუციური მოძრაობის კონკრეტული, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობების გულდასმითი ანალიზის შედეგად, ყველა ქვეყნის რევოლუციათა გამოცდილების უთუოდ გათვალისწინებით.

4) აუცილებელია, რომ პარტია ამოწმებდეს ამ ლოზუნგებისა და დირექტივების სისწორეს მასების რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში.

5) აუცილებელია, რომ პარტიის მთელი მუშაობა, განსაკუთრებით, თუ სოციალ-დემოკრატიული ტრადიციები მასში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის, გარდაიქმნას ახალ, რევოლუციურ ყაიდაზე, რაც ნავარაუდევი უნდა იყოს იმისათვის, რომ პარტიის ყოველი ნაბიჯი და ყოველი მისი გამოსვლა ბუნებრივად იწვევდეს მასების გარევოლუციურებას, მუშათა კლასის ფართო მასების მომზადებასა და აღზრდას რევოლუციის სულისკვეთებით.

6) აუცილებელია, რომ პარტიას თავის მუშაობაში ჰქონდეს უნარი — შეუხამოს უმაღლესი პრინციპულობა (არ არიოთ სექტანტობაში!) მასებთან კავშირისა და კონტაქტის მაქსიმუმს (არ არიოთ მაჩანჩალობაში!), რის გარეშეც პარტიისათვის შეუძლებელია არა მარტო ასწავლოს მასებს, არამედ კიდეც ისწავლოს მათგან, არა მარტო გაიყოლიოს მასები და აამაღლოს ისინი პარტიის დონემდე, არამედ კიდეც ყურად იღოს მასების ხმა და გამოიცნოს მათი მტკივნეული საჭიროებანი.

7) აუცილებელია, რომ პარტიას ჰქონდეს უნარი — შეახამოს თავის მუშაობაში შეურიგებელი რევოლუციონერობა (არ არიოთ რევოლუციურ ავანტიურიზმში!) მოქნილობისა და მანევრუნარიანობის (არ არიოთ შემგუებლობაში!) მაქსიმუმთან, რის გარეშეც პარტიისათვის შეუძლებელია დაეუფლოს ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმას, დაუკავშიროს პროლეტარიატის ყოველდღიური ინტერესები პროლეტარული რევოლუციის ძირეულ ინტერესებს და შეუხამოს თავის მუშაობაში ლეგალური ბრძოლა არალეგალურ ბრძოლას.

8) აუცილებელია, რომ პარტია არ მალავდეს თავის შეცდომებს, რომ მას არ ეშინოდეს კრიტიკისა, რომ მას უნარი ჰქონდეს — გააუმჯობესოს და აღზარდოს თავისი კადრები საკუთარ შეცდომათა გათვალისწინებით.

9) აუცილებელია, რომ პარტიას უნარი ჰქონდეს — შეარჩიოს ძირითადი ხელმძღვანელი ჯგუფისათვის საუკეთესო ელემენტები მოწინავე მებრძოლებისა, რომელნიც საკმაოდ ერთგულნი უნდა იყვნენ იმისათვის, რომ ნამდვილად გამოხატავდნენ რევოლუციური პროლეტარიატის მისწრაფებებს, და საკმაოდ გამოცდილნი იმისათვის, რომ გახდნენ პროლეტარული რევოლუციის ნამდვილი, ლენინიზმის ტაქტიკისა და სტრატეგიის გამოყენების უნარის მქონე ბელადები.

10) აუცილებელია, რომ პარტია სისტემატურად აუმჯობესებდეს თავისი ორგანიზაციების სოციალურ შემადგენლობას, იწმინდებოდეს გამხრწნელი ოპორტუნისტული ელემენტებისაგან და მიზნად ისახავდეს მაქსიმალური მონოლითურობის მიღწევას.

11) აუცილებელია, რომ პარტიამ შეიმუშაოს რკინისებური პროლეტარული დისციპლინა, აღმოცენებული იდეური შემჭიდროების, მოძრაობის მიზნების სიცხადის,

პრაქტიკული მოქმედების ერთიანობისა და პარტიის ამოცანებისადმი ფართო პარტიული მასების შეგნებული დამოკიდებულების საფუძველზე.

12) აუცილებელია, რომ პარტია სისტემატურად ამოწმებდეს თავის საკუთარ გადაწყვეტილებათა და დირექტივათა შესრულებას, რის გარეშეც ამ უკანასკნელთ ის საფრთხე მოელით, რომ გადაიქცნენ ფუჭ დაპირებებად, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ დაუკარგონ პარტიას ფართო პროლეტარული მასების ნდობა.

ამ და ამის მსგავსი პირობების გარეშე ბოლშევიზაცია ფუჭი სიტყვაა.

მე-4 კითხვა. თქვენ სთქვით, რომ დაუესის გეგმის უარყოფით მხარეებთან ერთად გერმანიის კომპარტიის მიერ ძალაუფლების დაპყრობის მეორე პირობას წარმოადგენს ისეთი მდგომარეობა, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტია მასების თვალწინ სავსებით მხილებული დგას და როცა იგი მუშათა კლასში სერიოზულ ძალას აღარ წარმოადგენს. ასეთ ვითარებამდე, რეალური ფაქტების გამო, ჯერ კიდევ შორი მანძილია. აქ აშკარად იჩენენ თავს პარტიის მუშაობის ახლანდელი მეთოდების ნაკლოვანებანი და სუსტი მხარეები. როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა? როგორ აფასებთ თქვენ 1924 წლის დეკემბრის არჩევნების შედეგს, როცა სოციალ-დემოკრატიამ, — სავსებით მოსყიდულმა და გახრწნილმა პარტიამ, — არა თუ არაფერი დაკარგა, არამედ ორ მილიონამდე ხმაც შეიძინა?

პასუხი. საქმე აქ გერმანიის კომპარტიის მუშაობის ნაკლოვანებებში როდია. საქმე აქ უწინარეს ყოვლისა იმაშია, რომ ამერიკის სესხებმა და ამერიკის კაპიტალის დანერგვამ პლუს სტაბილიზებული ვალუტა, რამდენადმე გააუმჯობესა მდგომარეობა და შექმნა იმის ილუზია, თითქოს შესაძლებელი იყოს გერმანიის მდგომარეობასთან დაკავ-

წერილი ამხ. მე—რტს

პატივცემულო ამხ. მე — რტ!

თქვენი 20 თებერვლის წერილი მივიღე. უწინარეს ყოვლისა მიიღეთ ჩემი სალამი. ახლა კი — საქმეზე.

1) თქვენ მეტად გააზვიადეთ (და არა მარტო თქვენ) ჰერცოგისათვის მიცემული ინტერვიუს საქმე *. მე არ შემეძლო კინწისკვრით გამეგდო იგი და არც ვიზამ ამას არა მარტო იმიტომ, რომ ის პარტიის წევრია, არამედ იმიტომაც, რომ ის ჩემთან მოვიდა ამხ. გეშკეს წერილით, სადაც ეს უკანასკნელი მემუდარებოდა — მიმეცა ჰერცოგისათვის ინტერვიუ. ამ წერილის ასლს თქვენ გიგზავნით. წერილის გერმანული დედანი უკვე გავუგზავნე გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მარტო ჰერცოგისათვის ინტერვიუს მიცემის ფაქტიდან, მაშინ როცა ამხ. გეშკეს წერილობითი თხოვნა არსებობს, იმ დასკვნის გამოტანა, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ახდენს, ან აპირებს მოახდინოს მიბრუნება ბრანდლერისაკენ, — ეს იმას ნიშნავს, რომ ბუზი კი არა, ნულიც სპილოდ მოგეჩვენოს და ნახტომი შეგეშალოს. რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს რომ შეეტყო, რომ თქვენ ან გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ბრანდლერ-ტალჰეიმერისადმი[117] სიმპა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 37 — 45. რ ე დ.

თიებს და მემარცხენეებისაგან მემარჯვენეებისაკენ მიბრუნებას სწამებთ, იქ ეს დიდ ხარხარს გამოიწვევდა.

2) თქვენ სავსებით მართალი ხართ, როცა ამტკიცებთ, რომ გერმანიის კომპარტიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. უეჭველია, ბრანდლერი და ტალჰეიმერი იმ, ძველი ტიპის, დრომოჭმულ ხელმძღვანელთა კატეგორიას ეკუთვნიან, რომლებსაც უკანა რიგში სწევენ ახალი ტიპის ხელმძღვანელები. ჩვენშიც, რუსეთში, ჰქონდა ადგილი ლიტერატორთაგან გამოსული მთელი რიგი ძველი ხელმძღვანელებისა და ძველი «ბელადების» ჩამოშორების პროცესს. ეს პროცესი მწვავდებოდა რევოლუციური კრიზისების პერიოდებში, იგი ნელდებოდა ძალების დაგროვების პერიოდებში, მაგრამ მას ყოველთვის ჰქონდა ადგილი. ლუნაჩარსკები, პოკროვსკები, როჟკოვები, გოლდენბერგები, ბოგდანოვები, კრასინები და ა. შ., — ასეთია ნიმუშები ყოფილი ბოლშევიკი ბელადებისა, რომლებიც შემდეგ მეორეხარისხოვან როლებზე გადავიდნენ და რომლებიც ახლა პირველნი მომაგონდნენ. ესაა ცოცხალი და განვითარების პროცესში მყოფი პარტიის ხელმძღვანელი კადრების გადახალისების აუცილებელი პროცესი. ამასთან უნდა ითქვას, განსხვავება ბრანდლერ-ტალჰეიმერებსა და ამ უკანასკნელ ამხანაგებს შორის ის არის, რომ ბრანდლერებსა და ტალჰეიმერებს, ყოველივე დანარჩენს გარდა, ძველი სოციალ-დემოკრატიული ტვირთიც ჰკიდიათ, მაშინ როცა ზემოთ დასახელებული რუსი ამხანაგები ასეთი ტვირთისაგან თავისუფალი იყვნენ. და ეს განსხვავება, როგორც ხედავთ, ბრანდლერ-ტალჰეიმერის სასარგებლოდ კი არ მეტყველებს, არამედ მათ წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ გერმანიის კომპარტიამ შესძლო უკუეგდო და ასპარეზიდან განედევნა ბრანდლერები და ტალჰეიმერები, — უკვე მარტო ეს ფაქტი მოწმობს, რომ გერმანიის კომპარტია იზრდება, წინ

მიდის, წარმატებას აღწევს. აღარას ვამბობ გერმანიის კომპარტიის იმ უეჭველ წარმატებებზე, რომელთა შესახებ თქვენ სავსებით სწორად სწერთ თქვენს წერილში. ახლა იმის ფიქრი, რომ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც განზრახული აქვთ უკუღმა დაატრიალონ გერმანიის კომპარტიის განვითარების ჩარხი, — იმას ნიშნავს, რომ მეტისმეტად ცუდს ფიქრობდე რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტზე. მეტი სიფრთხილე, ამხ. მე — რტ...

3) თქვენ ლაპარაკობთ გერმანიის კომპარტიის ხაზზე. უეჭველია, რომ მისი ხაზი — მე პოლიტიკურ ხაზზე ვლაპარაკობ — სწორია. არსებითად, ამით აიხსნება ის მახლობელი, მეგობრული (და არა მარტო ამხანაგური) ურთიერთობა რუსეთის კომპარტიასა (ბ) და გერმანიის კომპარტიას შორის, რაზედაც თვითონ თქვენ ლაპარაკობთ თქვენს წერილში. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა მივჩქმალოთ გერმანიის კომპარტიის ან რუსეთის კომპარტიის (ბ) პოლიტიკური მუშაობის ცალკეული შეცდომები? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. შეიძლება თუ არა მტკიცება, რომ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი თავისუფალი არიან ცალკეული შეცდომებისაგან? შეიძლება თუ არა მტკიცება, რომ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის **ნაწილობრივი** კრიტიკა (ბარმატის საქმის [18] არასაკმაოდ გამოყენება, პრუსიის პარლამენტში კომფრაქციის ცნობილი ხმისმიცემა პარლამენტის პრეზიდენტის არჩევნების საკითხზე, საკითხი გადასახადებისა დაუესის გეგმასთან დაკავშირებით და სხვ.) შეუთავსებელია გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის **საერთო** ხაზისადმი სრულ სოლიდარიზაციასთან? ცხადია, არ შეიძლება. რა მოუვათ ჩვენს პარტიებს, ჩვენ რომ ერთ-

მანეთთან შეხვედრისას, ვთქვათ, კომინტერნის აღმასკომში, თვალი ავარიდოთ ჩვენი პარტიების ცალკეულ შეცდომებს, გაგვიტაცოს «სრული თანხმობისა» და «კეთილდღეობის» პარადმა და ყველაფერი დავუდასტუროთ ერთმანეთს? მე ვფიქრობ, ასეთი პარტიები ვერასოდეს ვერ გახდებოდნენ რევოლუციურნი. ეს მუმიები იქნებოდნენ და არა რევოლუციური პარტიები. მე მგონია, ზოგიერთ გერმანელ ამხანაგს ხანდახან მიდრეკილება აქვს მოგვთხოვოს, რომ ყველაფერს ვუდასტურებდეთ გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო თავის მხრივ მუდამ მზად არიან ყველაფერი დაუდასტურონ რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ ასეთი ურთიერთდადასტურებისა. თქვენი წერილის მიხედვით, თქვენც წინააღმდეგი ხართ. მით უკეთესი გერმანიის კომპარტიისათვის.

4) მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ განდევნის პოლიტიკისა ყველა სხვანაირად მოაზროვნე ამხანაგის მიმართ. წინააღმდეგი ვარ ასეთი პოლიტიკისა არა იმიტომ, რომ სხვანაირად მოაზროვნენი მებრალებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ასეთი პოლიტიკა პარტიაში წარმოშობს დაშინების რეჟიმს, დაფრთხობის რეჟიმს, რეჟიმს, რომელიც თვითკრიტიკისა და ინიციატივის სულისკვეთებას ახშობს. კარგი არ არის, თუ პარტიის ბელადებისა ეშინიათ, ამავე დროს კი პატივს არ სცემენ მათ. პარტიის ბელადები შეიძლება ნამდვილი ბელადები იყვნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი არა მარტო ეშინიათ, არამედ პატივსაც სცემენ პარტიაში, ცნობენ მათს ავტორიტეტს. ასეთი ბელადების შექმნა ძნელია, ეს ხანგრძლივი და ძნელი, მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელი საქმეა, ვინაიდან ამ პირობის გარეშე პარტიას არ შეიძლება ნამდვილი ბოლშევიკური პარტია ეწოდოს, ხოლო პარტიის დისციპლინა არ შეიძლება შეგნებული დისციპლინა იყოს. მე ვფიქრობ, გერმანელი ამხანა-

გები სცოდავენ ამ აშკარა ჭეშმარიტების წინააღმდეგ. იმისათვის, რომ ტროცკი და მისი მომხრეები გვემხილებინა, ჩვენ, რუსეთის ბოლშევიკებმა, გავაჩაღეთ უაღრესად ინტენსიური პრინციპულ-ახსნაგანმარტებითი კამპანია ბოლშევიზმის საფუძვლებისათვის ტროცკიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, თუმცა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ძალისა და ხვედრითი წონის მიხედვით თუ განვსჯით, ჩვენ შეგვეძლო არ გაგვეშალა ეს კამპანია. საჭირო იყო თუ არა ეს კამპანია? უთუოდ საჭირო იყო, ვინაიდან მისი საშუალებით ჩვენ ბოლშევიზმის სულისკვეთებით აღვზარდეთ პარტიის ასეულათასობით ახალი წევრი (და არაწევრი). მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენი გერმანელი ამხანაგები არ გრძნობენ იმის აუცილებლობას, რომ ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს წარუმძღვარონ ან დაუმატონ ფართო პრინციპულ-ახსნაგანმარტებითი კამპანია, რითაც აძნელებენ პარტიის წევრებისა და პარტიის კადრების ბოლშევიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. ბრანდლერისა და ტალჰეიმერის გაგდება ძნელი არ არის, — ეს იოლი საქმეა. მაგრამ ბრანდლერიანობის დაძლევა რთული და სერიოზული საქმეა, აქ მარტო რეპრესიებით შეიძლება საქმე მხოლოდ გააფუჭო, — აქ საჭიროა ღრმად მოხნა ნიადაგი და სერიოზულად გაანათლო ადამიანები. რკპ(ბ) მუდამ წინააღმდეგობებით ვითარდებოდა, ე. ი. არაკომუნისტურ მიმდინარეობებთან ბრძოლაში, და მხოლოდ ამ ბრძოლაში მტკიცდებოდა იგი, ჭედავდა ნამდვილ კადრებს. გერმანიის კომპარტიის წინაშე განვითარების იგივე გზაა — წინააღმდეგობებით, არაკომუნისტურ მიმდინარეობებთან, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებთან, ბრანდლერიანობასთან და სხვ. ნამდვილი, სერიოზული და ხანგრძლივი ბრძოლით განვითარების გზა. მაგრამ ასეთი

ბრძოლისათვის მარტო რეპრესიები კი არ კმარა. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შინაპარტიული პოლიტიკა უფრო მოქნილი უნდა გავხადოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ გერმანიის კომპარტია შესძლებს ამ დარგში ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

5) თქვენ სავსებით მართალი ხართ პროფკავშირებში მუშაობის საკითხში. პროფკავშირების როლი გერმანიაში ის არ არის, რაც რუსეთში. რუსეთში კავშირები პარტიის შემდეგ წარმოიშვნენ, და ისინი, არსებითად, პარტიის დამხმარე ორგანოებს წარმოადგენდნენ. ასე როდი იყო გერმანიაში და საერთოდ ევროპაში. იქ პარტია კავშირებიდან გამოვიდა, კავშირები წარმატებით უწევდნენ კონკურენციას პარტიას მასებზე გავლენის მხრივ და ხშირად ძალიან ბორკავდნენ პარტიას. გერმანიაში ან საერთოდ ევროპაში ფართო მასებს რომ შეეკითხოთ, რომელი ორგანიზაცია მიაჩნიათ თავისთან უფრო მახლობლად, პარტია თუ პროფკავშირები, ისინი, უეჭველია, გიპასუხებენ, რომ კავშირები უფრო ახლოს დგანან მათთან, ვიდრე პარტია. ცუდია ეს თუ კარგი, მაგრამ ფაქტია, რომ უპარტიო მუშებს ევროპაში კავშირები მიაჩნიათ თავიანთ ძირითად ციხე-სიმაგრეებად, რომლებიც ეხმარებიან მათ კაპიტალისტებთან ბრძოლაში (ხელფასი, სამუშაო დღე, დაზღვევა და სხვ.), მაშინ როცა პარტია მიაჩნიათ რაღაც დამხმარედ და მეორეხარისხოვნად, თუმცა აუცილებელ რამედ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ახლანდელ პროფკავშირებთან პირდაპირი ბრძოლა, რომელსაც «ულტრამემარცხენენი» გარედან აწარმოებენ, მუშათა ფართო მასებს მიაჩნიათ ბრძოლად მათი ძირითადი ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი ათეული წლების განმავლობაში აშენებდნენ და რომლებსაც ახლა «კომუნისტები» უპირებენ

დანგრევას. ამ თავისებურების გაუთვალისწინებლობა იმას ნიშნავს, რომ დაღუპო დასავლეთში კომუნისტური მოძრაობის მთელი საქმე. მაგრამ აქედან ორი დასკვნა გამომდინარეობს:

ჯერ-ერთი, დასავლეთში არ შეიძლება მიიმხრო მუშათა კლასის მრავალმილიონიანი მასები, თუ არ მიიმხრე პროფკავშირები,

და, მეორეც, არ შეიძლება მიიმხრო პროფკავშირები, თუ არ იმუშავე ამ პროფკავშირებს შიგნით და არ განიმტკიცე იქ გავლენა.

აი რატომ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ჩვენი ამხანაგების მუშაობას პროფკავშირებში.

ჯერჯერობით მეტი არაფერი. ნუ დამემდურებით პირდაპირი და მკვეთრი პასუხისათვის.

ი. სტალინი

28. II. 25 წ.

ბეჭდება პირველად.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ჩაგრულთა არც ერთ დიდ მოძრაობას კაცობრიობის ისტორიაში არ ჩაუვლია ისე, რომ მასში მონაწილეობა არ მიეღოთ მშრომელ ქალებს. მშრომელი ქალები, ჩაგრულთა შორის ყველაზე მეტად ჩაგრულნი, არასოდეს არ დარჩენილან და არც შეიძლებოდა განზე დარჩენილიყვნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის შარაგზიდან. მონების განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, როგორც ცნობილია, ასობით და ათასობით წამოაყენა დიდი წამებული და გმირი ქალები. ყმების განთავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ათეულათასობით იდგნენ მშრომელი ქალები. გასაკვირველი არ არის, რომ მუშათა კლასის რევოლუციურმა მოძრაობამ, ჩაგრული მასების განმათავისუფლებელ მოძრაობათა შორის ყველაზე მძლავრმა მოძრაობამ, თავისი დროშის ქვეშ მოიზიდა მილიონობით მშრომელი ქალი.

ქალთა საერთაშორისო დღე მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობის უძლეველობის მაჩვენებელი და მისი დიადი მომავლის მაუწყებელია.

მშრომელი ქალები, მუშა და გლეხი ქალები, მუშათა კლასის უდიდეს რეზერვს წარმოადგენენ. ეს რეზერვი ნახევარ მოსახლეობას მაინც შეადგენს. მუშათა კლასის მხარეზე იქნება ქალთა რეზერვი თუ მის წინააღმდეგ, — ამაზეა დამოკიდებული პროლეტარული მოძრაობის ბედი,

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება თუ დამარცხება, პროლეტარული ხელისუფლების გამარჯვება თუ დამარცხება. ამიტომ პროლეტარიატისა და მისი მოწინავე რაზმის, კომუნისტური პარტიის, პირველი ამოცანა ის არის, რომ გააჩაღონ გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიის გავლენისაგან ქალთა, მუშა და გლეხ ქალთა, განთავისუფლებისათვის, მუშა და გლეხ ქალთა პოლიტიკური განათლებისა და პროლეტარიატის დროშის ქვეშ დარაზმვისათვის.

ქალთა საერთაშორისო დღე იმის საშუალებას წარმოადგენს, რომ პროლეტარიატმა მიიმხროს ქალთა შრომითი რეზერვი.

მაგრამ მშრომელი ქალები მარტო რეზერვს როდი წარმოადგენენ. ისინი შეიძლება გახდნენ და უნდა გახდნენ კიდეც — მუშათა კლასის სწორი პოლიტიკის პირობებში — მუშათა კლასის ნამდვილი არმია, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მოქმედი არმია. გამოჭედოს ქალთა შრომითი რეზერვიდან მუშა და გლეხ ქალთა არმია, რომელიც პროლეტარიატის დიადი არმიის მხარდამხარ იმოქმედებს, — ეს არის მუშათა კლასის მეორე და გადამწყვეტი ამოცანა.

ქალთა საერთაშორისო დღე იმის საშუალება უნდა გახდეს, რომ მუშა და გლეხი ქალები მუშათა კლასის რეზერვიდან გადაიქცნენ პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოქმედ არმიად.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს!

ი. სტალინი

«პრავდა» № 56,
1925 წ. 8 მარტი.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი— გომინდანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თქვენთან ერთად წუხს გომინდანის [19] ბელადის და ჩინელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩინეთის სახელმწიფოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ჩინეთის მუშათა და გლეხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორის დაკარგვას.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეჭვი არ ეპარება, რომ სუნ იატ-სენის დიადი საქმე არ მოკვდება სუნ იატ-სენთან ერთად, რომ სუნ იატ-სენის საქმე იცოცხლებს ჩინელი მუშებისა და გლეხების გულში ჩინელი ხალხის მტრების თავზარდასაცემად.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სჯერა, რომ გომინდანი მაღლა დაიჭერს სუნ იატ-სენის დროშას იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში, რომ გომინდანი შესძლებს ღირსე-

ულად მიიტანოს ეს დროშა იმპერიალიზმზე და ჩინეთში მის აგენტებზე სრულ გამარჯვებამდე.

სუნ იატ-სენი მოკვდა, — გაუმარჯოს სუნ იატ-სენის საქმეს, ცოცხლობდეს და განმტკიცდეს სუნ იატ-სენის ანდერძი!

რუსეთის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ი. სტალინი

1925 წ. 13 მარტი.

«პრავდა» № 60,
1925 წ. 14 მარტი.

საერთაშორისო მდგომარეობისა და კომპარტიების ამოცანებისათვის

მთელი რიგი მოვლენებიდან, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო მდგომარეობის სფეროში, აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი ფაქტები:

1. უეჭველია, რომ კაპიტალმა მოახერხა თავი დაეღწია ომისშემდგომი კრიზისის ჭაობისათვის. ვალუტის სტაბილიზაცია მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მსოფლიო ვაჭრობის ზრდა და წარმოების გაფართოება ცალკეულ ქვეყნებში, კაპიტალის, განსაკუთრებით ინგლის-ამერიკის კაპიტალის გატანა და დანერგვა ევროპისა და აზიის ქვეყნებში, — ყოველივე ეს კაპიტალის «აღმშენებლობითი მუშაობის» წარმატებებს მოწმობს. ეს «მუშაობა», როგორც ცნობილია, წარმოებს ინგლის-ამერიკის ბლოკის მეთაურობით. ამ «მუშაობის» ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად უნდა ჩაითვალოს გერმანიის ეგრეთწოდებული «დაუესიზაცია», ე. ი. სამხედრო ინტერვენციის მეთოდიდან საფინანსო ინტერვენციის მეთოდზე, გერმანიის ფინანსურად დამორჩილების მეთოდზე გადასვლა.

2. უეჭველია აგრეთვე, რომ ევროპის ცენტრში, გერმანიაში, რევოლუციური აღმავლობის პერიოდი უკვე დამთავრდა. რევოლუციის აღმავლობის პერიოდი, როცა მოძრაობა აზვირთებულია, დუღს და გადმოდის, ხოლო პარტიის ლოზუნგები მოძრაობას ჩამორჩებიან, როცა

მასები ამსხვრევენ ლეგალობის ფარგლებს, იერიში მიაქვთ ძველ წყობილებაზე და თავისი ნებით ქმნიან ახალ სამართალს, — ეს პერიოდი გერმანიაში უკვე უკან დარჩა. იერიშის პერიოდიდან გერმანიის მუშათა მოძრაობა შევიდა ძალთა დაგროვების პერიოდში, პროლეტარული არმიის ჩამოყალიბებისა და კომუნიზმის დროშის ქვეშ წვრთნის პერიოდში. არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ამ გარემოებას არ შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდეს. მით უფრო დაბეჯითებით უნდა ითქვას ეს იმისათვის, რომ სწრაფად გავერკვეთ ახალ ვითარებაში და ახლებურად დავიწყოთ მუშაობა რევოლუციის მოსამზადებლად.

ასეთია ფაქტები, რომლებსაც **დადებითი** მნიშვნელობა აქვთ ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან ეს ფაქტები მოწმობენ კაპიტალის ძალასა და წარმატებებს დღევანდელ მომენტში.

მაგრამ ამ ფაქტებთან ერთად არსებობენ კიდევ მთელი რიგი ფაქტები, რომლებსაც **უარყოფითი** მნიშვნელობა აქვთ კაპიტალიზმისათვის.

1. უეჭველია, რომ კაპიტალიზმის გაძლიერებასთან ერთად იზრდებიან წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის, იზრდებიან ის ძალები, რომლებიც ასუსტებენ და ხრწნიან კაპიტალიზმს. ბრძოლა ინგლისსა და ამერიკას შორის ნავთისათვის, კანადისათვის, გასაღების ბაზრებისათვის და სხვ.; ბრძოლა ინგლის-ამერიკის ბლოკსა და იაპონიას შორის აღმოსავლეთის ბაზრებისათვის; ბრძოლა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ევროპაში გავლენისათვის; დასასრულ, ბრძოლა დამონებულ გერმანიასა და გაბატონებულ ანტანტას შორის, — ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია, რომლებიც მოწმობენ, რომ კაპიტალის წარმატებანი მტკიცე არ არის, რომ

კაპიტალიზმის «გაჯანსაღების» პროცესი მისი შინაგანი სისუსტისა და გახრწნის წინაპირობებს შეიცავს.

2. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა და განმტკიცება ინდოეთში, ჩინეთში, ეგვიპტეში, ინდონეზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში და სხვ., რაც ასუსტებს კაპიტალიზმის ზურგს. თუ იმპერიალიზმის «გაჯანსაღება» მოითხოვს გავლენის სფეროს გაფართოებას კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, ხოლო ამ ქვეყნების ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უეჭველად ძლიერდება, ცხადია, რომ იმპერიალიზმის წარმატებანი ამ დარგში არ შეიძლება მყარი იყოს.

3. ბრძოლა ევროპაში პროფმოძრაობის ერთიანობისათვის და ამსტერდამის გაერთიანების[20] კრიზისი. ინგლისის პროფკავშირების ბრძოლა პროფმოძრაობის ერთიანობისათვის, საბჭოთა პროფკავშირების მხრივ ამ მოძრაობისათვის მხარდაჭერა, პროფმოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლის გადაქცევა ბრძოლად ამსტერდამის კონტრრევოლუციური ზედაფენის (უდეგესტი, ზასენბახი, ჟუო და სხვ.) წინააღმდეგ, რომელიც პროფკავშირების გათიშვის ხაზს ატარებს, — ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ამსტერდამის გაერთიანება ღრმა კრიზისის მდგომარეობას განიცდის. ხოლო რა არის ამსტერდამის კრიზისი? ეს არის ბურჟუაზიული ხელისუფლების უმყარობა, ვინაიდან ამსტერდამის პროფკავშირული ბიუროკრატია ამ ხელისუფლების ნაწილაკსა და დასაყრდენს შეადგენს.

4. საბჭოთა კავშირის ეკონომიური ზრდა. უეჭველია, რომ ბურჟუაზიულ მჯღაბნელთა ჭორებმა, თითქოს საბჭოებს მრეწველობის მოწყობის უნარი არ შესწევთ, სრული კრახი განიცადა. უეჭველია, რომ ინტერვენციისა და ბლოკადის შემდეგ უკანასკნელ ორ წელიწადში საბ-

ჭოთა კავშირის მრეწველობა აღორძინდა და განმტკიცდა. უეჭველია, რომ მუშების მატერიალური და კულტურული მდგომარეობა ამ მოკლე ხანში არსებითად გაუმჯობესდა. უეჭველია, რომ ეს გაუმჯობესება კვლავაც გაგრძელდება. ყველა ამ გარემოებას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტური ქვეყნების მუშების გარევოლუციონერებისათვის. მე ვფიქრობ, რომ დასავლეთის მუშებს არასოდეს არ გამოუჩენიათ ისეთი ინტერესი რუსეთისადმი, როგორსაც ისინი ახლა იჩენენ. რატომ? იმიტომ, რომ მათ ყურამდე აღწევს ხმები საბჭოთა მუშების **ახალ ყოფაცხოვრებაზე** მუშათა სახელმწიფოში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდება, და მათ სურთ შეამოწმონ ამ ხმების სისწორე. ის ფაქტი, რომ ათობით და ასობით მუშები, განურჩევლად მიმართულებისა, ჩამოდიან ევროპიდან რუსეთში და ათვალიერებენ ყოველ კუნჭულს, — ეს ფაქტი უეჭველად მოწმობს, რომ ინტერესი რუსეთისადმი დასავლეთის მუშებში თვედათვე გაიზრდება. უეჭველია, რომ ეს სწრაფვა რუსეთისაკენ იმატებს. და როცა ისინი დარწმუნდებიან, რომ რუსეთში მრეწველობის განვითარების ყოველი ნაბიჯი ამასთან ერთად მოასწავებს ნაბიჯის გადადგმას მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და არა გაუარესებისაკენ, როგორც ეს ჩვეულებრივად კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება, — მაშინ ისინი მიხვდებიან, რომ დროა მათაც, დასავლეთის მუშებმა, მოაწყონ მუშათა სახელმწიფო თავიანთ ქვეყანაში. აი რატომაა, რომ უკვე მარტო ის ფაქტი, რომ საბჭოთა სახელმწიფო არსებობს, სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს იმპერიალიზმისათვის. აი რატომ არის, რომ არ შეიძლება მტკიცე იყოს იმპერიალიზმის არავითარი წარმატება, სანამ ქვეყნად არსებობს და ვითარდება საბჭოთა სახელმწიფო.

ასეთია ფაქტები, რომლებსაც **უარყოფითი** მნიშვნელობა აქვთ ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან ისინი მოწმობენ რევოლუციური მოძრაობის ძალას და უახლოეს მომავალში მის მოსალოდნელ წარმატებებს.

ამ, ერთიმეორის საწინააღმდეგო, უარყოფითი და დადებითი ტენდენციების ბრძოლა შეადგენს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საფუძველსა და შინაარსს.

წინააღმდეგობათა ამ ბრძოლაში გაიზარდა და დაჭკნა ეგრეთწოდებული პაციფიზმი, ისე რომ გაფურჩქვნაც ვერ მოასწრო და თავისგან ვერც «ერა» შექმნა, ვერც «ეპოქა» და ვერც «პერიოდი». მან ვერც შემთანხმებელთა იმედები გაამართლა და ვერც კონტრრევოლუციონერთა შიში.

ამავე ბრძოლაში დაიღუპა პუანკარესა და იუზის, მაკდონალდისა და ერიოს «განთქმული» სახელები.

ამ ტენდენციებში რომელი გაიმარჯვებს, დადებითი თუ უარყოფითი?

ეჭვს გარეშეა, რომ **დროთა განმავლობაში** უნდა გაიმარჯვონ კაპიტალიზმისათვის უარყოფითმა, რევოლუციისათვის ხელსაყრელმა ტენდენციებმა, ვინაიდან იმპერიალიზმს უნარი არ შესწევს გადაჭრას მისი მღრღნელი წინააღმდეგობანი, ვინაიდან მას შეუძლია მხოლოდ დროებით მოაშუშოს ისინი ისე, რომ ეს წინააღმდეგობანი შემდეგ გამომჟღავნდნენ და ახალი გამანადგურებელი ძალით გაჩაღდნენ. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ **ამჟამად** უპირატესობას იძენენ კაპიტალიზმისათვის დადებითი, ხელსაყრელი ტენდენციები.

ამაშია ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურება.

ამის შედეგად ევროპასა და ამერიკაში გვაქვს მიწყნარების ერთგვარი ხანა, რასაც «არღვევს» ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა კოლონიებში და «შხამავს»

საბჭოთა კავშირის არსებობა, განვითარება და გაძლიერება.

ბურჟუაზიისათვის ეს მოასწავებს **შესვენებას**, კაპიტალის გაძლიერებულ გატანას, შემდგომ გამდიდრებას, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის გაძლიერებას კოლონიებში, საბჭოთა კავშირზე მოწოლის გაძლიერებას, ინგლის-ამერიკის კაპიტალის გარშემო კონტრრევოლუციის მთელი ძალების კონცენტრაციას.

კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატისათვის ეს მოასწავებს ძალთა დაგროვების პერიოდის დადგომას, იმ პერიოდის დადგომას, როცა ხდება პროლეტარული არმიების ჩამოყალიბება და წვრთნა კომუნიზმის დროშის ქვეშ, რეპრესიების იმ სისტემის პირობებში, რომელსაც დროდადრო ცვლის «თავისუფლებათა» სისტემა.

კოლონიებისათვის ეს მოასწავებს ნაციონალური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

საბჭოთა კავშირისათვის ეს მოასწავებს მთელი ძალების დაძაბვას მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა ქვეყნის რევოლუციური ძალების კონცენტრაციისათვის.

აქედან — კომუნისტური პარტიების ამოცანები:

1. ბოლომდე გამოიყენონ ყველა და ყოველგვარი წინააღმდეგობა ბურჟუაზიის ბანაკში იმისათვის, რომ დაშალონ და შეასუსტონ მისი ძალები, იმისათვის, რომ გააძლიერონ პროლეტარიატის პოზიციები.

2. დასახონ კონკრეტული ფორმები და საშუალებანი მოწინავე ქვეყნების მუშათა კლასის დაახლოებისა კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების ნაციონალურ-რევო-

ლუციურ მოძრაობასთან იმისათვის, რომ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ამ მოძრაობას საერთო მტრის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

3. წინ წასწიონ და ბოლომდე მიიყვანონ პროფმოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლის საქმე, ამასთან ახსოვდეთ, რომ ეს საქმე მუშათა კლასის მრავალმილიონიანი მასების მიმხრობის ყველაზე საიმედო საშუალებაა. ეს იმიტომ, რომ არ შეიძლება მიიმხრო პროლეტარიატის მრავალმილიონიანი მასები, თუ არ მიიმხრე პროფკავშირები, ხოლო პროფკავშირების მიმხრობა შეუძლებელია, თუ ამ პროფკავშირებში არ მუშაობ და იქ თვედათვე, წლითი-წლობით არ იხვეჭ მუშების ნდობას. უამისოდ პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებაზე ფიქრიც მეტია.

4. დასახონ კონკრეტული ფორმები და საშუალებანი მუშათა კლასის დაახლოებისა წვრილ გლეხობასთან, რომელიც დაბეჩავებულია ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბიუროკრატიული მანქანით და ყოვლისშემძლე ტრესტების მძარცველური ფასებით, ამასთან ახსოვდეთ, რომ წვრილი გლეხობისათვის ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისაკენ მიმავალი პარტიის მორიგი ამოცანაა.

5. მხარი დაუჭირონ საბჭოთა ხელისუფლებას და ჩაშალონ იმპერიალიზმის ინტერვენციონისტული ხრიკები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამასთან ახსოვდეთ, რომ საბჭოთა კავშირი ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ბურჯია, რომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნება და გაძლიერება ნიშნავს მსოფლიო ბურჟუაზიაზე მუშათა კლასის გამარჯვების დაჩქარებას.

«პრავდა» № 66,
1925 წ. 22 მარტი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შესახებ

სიტყვა კომინტერნის აღმასკომის ჩეხოსლოვაკიის კომისიაში [28]

1925 წ. 27 მარტი

ამხანაგებო! თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ კერძო და პირად მომენტს, რაც საქმეს მიატმასნა ზოგმა ამხანაგმა, უთანხმოება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში შეიძლება შემდეგი 9 საკითხით განისაზღვროს:

1) არის თუ არა კრიზისი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში?

2) რა არის კრიზისის ძირითადი მიზეზი?

3) როგორია კრიზისის ხასიათი, ე. ი. საიდან მოდის საფრთხე, მარცხნიდან თუ მარჯვნიდან?

4) რომელი საფრთხეა უფრო სერიოზული — მემარცხენე თუ მემარჯვენე?

5) რატომ არის მარჯვნიდან მომდინარე საფრთხე უფრო რეალური?

6) როგორ ვაწარმოოთ ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, რომ ბრძოლის შედეგად მივიღოთ ნამდვილი ბოლშევიზაცია და კრიზისისაგან ნამდვილად თავის დაღწევა?

7) როგორია უახლოესი ამოცანა ბოლშევიზაციისა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში?

8) ნაციონალური სექციების მიმართ კომინტერნის უფლებათა შესახებ.

9) ამხ. კრეიბიხისა და გათიშვის საფრთხის შესახებ.

არის თუ არა კრიზისი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში? დიახ, არის. ამას ორივე მხარე აღიარებს. ამაში მათ შორის უთანხმოება არ არის. ამხ. შმერალი უფრო შორს წავიდა, — მან თქვა, კრიზისი უფრო ღრმაა, ვიდრე ზოგიერთ ამხანაგს ეს ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ.

რა არის კრიზისის ძირითადი მიზეზი? ამხ. შმერალი სავსებით მართალია, როცა ამტკიცებს, რომ კრიზისის ძირითადი მიზეზია რევოლუციური აღმავლობის პერიოდიდან მიწყნარების პერიოდზე გადასვლასთან დაკავშირებული სიძნელენი. გარდამავალი პერიოდი, რომელიც ახალ ორიენტაციას მოითხოვს, ჩვეულებრივად პარტიაში ამა თუ იმ კრიზისს იწვევს. ასეთია საქმის ვითარება ამჟამად ჩეხოსლოვაკიაშიც.

როგორია კრიზისის ხასიათი და საიდან მოდის საფრთხე, მარცხნიდან თუ მარჯვნიდან? აქაც ამხ. შმერალი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ საფრთხე ორივე მხრიდან მოდის — მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც. არსებობს ძირითად მოთხოვნათა საზიანოდ ნაწილობრივი მოთხოვნების გადაჭარბებით შეფასების საფრთხე, საპარლამენტო მოღვაწეობისა და პროფკავშირებში მუშაობის გადაჭარბებით შეფასების საფრთხე. ეს არის საფრთხე მარჯვნიდან, ვინაიდან იგი იწვევს ბურჟუაზიასთან შეგუებას. არსებობს, მეორე მხრივ, ნაწილობრივი მოთხოვნების, საპარლამენტო მოღვაწეობის, პროფკავშირებში მუშაობის და სხვ. შეუფასებლობის საფრთხე. ეს არის საფრთხე მარცხნიდან, ვინაიდან იგი იწვევს მასებისაგან მოწყვეტას და სექტანტობას. ამხ. შმერალის სურვილი — დაიკავოს ცენტრის პოზიცია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადახრის ამ ბრძოლაში — სავსებით კანონიერი სურვილია. ოღონდ

უბედურება ის არის, რომ მან ვერ მოახერხა ამ პოზიციაზე დარჩენილიყო, და მემარჯვენეების უკან წაჩანჩალდა.

ამ საფრთხეთაგან რომელია უფრო სერიოზული, მემარცხენე თუ მემარჯვენე? მე ვფიქრობ, რომ ამხ. შმერალი ამ საკითხში ვერ გაერკვა. იგი თავის კრიტიკას უმთავრესად მემარცხენეების წინააღმდეგ მიმართავს, რადგან ფიქრობს, რომ მთავარი საფრთხე აქ არის. ფაქტები კი მოწმობენ, რომ მთავარი საფრთხე მარჯვნიდან მოდის და არა მარცხნიდან. ამხ. შმერალმა ეს ვერ გაიგო, და ეს არის მისი პირველი შეცდომა.

რატომ არის მარჯვნიდან მომდინარე საფრთხე ამჟამად ყველაზე სერიოზული საფრთხე? სამი მიზეზით.

ჯერ-ერთი. აღმავლობიდან მიწყნარებაზე გადასვლა თავისთავად, თავისი ბუნებით ზრდის მარჯვნიდან საფრთხის შანსებს. თუ აღმავლობა რევოლუციურ ილუზიებს წარმოშობს და ქმნის მემარცხენე საფრთხეს, როგორც ძირითადს, მიწყნარება, პირიქით, სოციალ-დემოკრატიულ, რეფორმისტულ ილუზიებს წარმოშობს და ქმნის მემარჯვენე საფრთხეს, როგორც ძირითადს. 1920 წელს, როცა მუშათა მოძრაობა აღმავლობისაკენ მიდიოდა, ლენინმა დაწერა ბროშურა ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენის» შესახებ. რატომ სწორედ ეს ბროშურა დაწერა ლენინმა? იმიტომ, რომ მემარცხენე საფრთხე მაშინ ყველაზე სერიოზული საფრთხე იყო. მე ვფიქრობ, ლენინი რომ ცოცხალი იყოს, ახლა იგი დაწერდა ახალ ბროშურას «მემარჯვენეობის ბებრული სენის» შესახებ, ვინაიდან ახლა, მიწყნარების პერიოდში, როცა შემთანხმებლობის ილუზიები უნდა იზრდებოდნენ, მემარჯვენე საფრთხე ყველაზე სერიოზული საფრთხეა.

მეორე. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში, როგორც ეს ამხ. შმერალმა მოგვახსენა, სულ მცირე 70 პრო-

ცენტი ყოფილი სოციალ-დემოკრატებია. არა მგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ სოციალ-დემოკრატიული რეციდივები ასეთ პარტიაში არა თუ შესაძლებელია, არამედ გარდუვალიც არის. რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება არ შეიძლება არ აძლიერებდეს საფრთხეს მარჯვნიდან.

მესამე. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჩეხების ნაციონალური გამარჯვების სახელმწიფოა. თავიანთი ნაციონალური სახელმწიფო ჩეხებმა უკვე მიიღეს როგორც გაბატონებულმა ერმა, მუშები იქ ჯერჯერობით ცუდად როდი ცხოვრობენ: უმუშევრობა არ არის, ნაციონალური სახელმწიფოს იდეით გატაცება რეალურად არსებობს. ყოველივე ეს არ შეიძლება არ წარმოშობდეს ჩეხოსლოვაკიაში კლასთა შორის ნაციონალური მშვიდობის ილუზიებს. რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება თავის მხრივ წარმოშობს და აძლიერებს საფრთხეს მარჯვნიდან. ამაშივე უნდა ვეძებოთ იმის მიზეზი, რომ მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის უთანხმოება ნაციონალური ხაზით წარიმართა, რომ სლოვაკები და გერმანელები (ჩაგრული ერები) მარცხენა ფლანგზე აღმოჩნდნენ, ჩეხები კი — მოპირდაპირე ფლანგზე. ამხ. შმერალი ასეთი გაყოფის საშიშროებაზე ლაპარაკობდა. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ ისიც სწორია, რომ ასეთი გაყოფა სავსებით გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ზემოთ აღნიშნულ ნაციონალურ თავისებურებებს და ჩეხების გაბატონებულ მდგომარეობას.

ასეთია ძირითადი მიზეზები, რომლებიც მემარჯვენე საფრთხეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხედ ხდიან.

როგორ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში? ამ კითხვას

უთანხმოების თვით არსში შევყავართ. თითქოს, ამ საფრთხესთან ბრძოლა უაღრესად გადამწყვეტი და ულმობელი უნდა იყოს. მაგრამ ჩეხ კომუნისტებს პირიქით გამოუვიდათ. ებრძვის თუ არა ამხ. შმერალი მემარჯვენე საფრთხეს? დიახ, ებრძვის. მაგრამ ისე ებრძვის, რომ მემარჯვენეთა ლიკვიდაციის ნაცვლად საბოლოო ანგარიშით გამოუდის მემარჯვენეთა დანერგვა, მათთვის მხარდაჭერა, მათი დაცვა მემარცხენეთა დარტყმისაგან. ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ამხანაგებო. ეს არის ამხ. შმერალის მეორე და ძირითადი შეცდომა.

თვითონ განსაჯეთ.

1. ფაქტია, რომ არსებობს ამხ. კრეიბიხის სტატია ტროცკიზმის სასარგებლოდ. ფაქტია, რომ ეს დოკუმენტი ცნობილია პარტიულ წრეებში და ხელიდან ხელში გადადის. საჭირო იყო მზის სინათლეზე გამოეტანათ ეს დოკუმენტი და მიებეგვათ მისი ავტორი, იდეურად მიებეგვათ, შუშების თვალწინ, რათა პარტიისათვის საშუალება მიეცათ გარკვეულიყო ტროცკიზმის საშიშროებაში და აღეზარდა კადრები ბოლშევიზმის სულისკვეთებით. ვინაიდან — რა არის ტროცკიზმი, თუ არა მემარჯვენე ფრთა კომუნიზმში, თუ არა საფრთხე მარჯვნიდან? როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში ამხ. შმერალი? მან აიღო და ნაცვლად იმისა, რომ ამხ. კრეიბიხის ტროცკისტობის საკითხი მთელი პარტიისათვის გაეცნო, მიჩქმალა, მიაფუჩეჩა საკითხი, პარტიის კულისებში გადაიტანა და იქ «გადაჭრა» ფარულად, ჩვეულებრივ «გაუგებრობათა» მოგვარების წესით. ამით მოიგეს ტროცკიზმმა და ამხ. კრეიბიხმა. წააგო პარტიამ. მემარჯვენეებთან ბრძოლის ნაცვლად გამოვიდა მემარჯვენეთა დაცვა.

2. ცნობილია, რომ სამი პროფესიული კავშირის — ტრანსპორტელების, ხისდამმუშავებლებისა და მშენებელი

მუშების კავშირების — ზოგიერთმა ლიდერმა გამოსცა ცნობილი დოკუმენტი, რომელიც მოითხოვს კავშირების სრულ დამოუკიდებლობას პარტიისაგან. ცნობილია, რომ ეს დოკუმენტი ჩეხოსლოვაკიის კავშირებში მთელი რიგი მემარჯვენე ელემენტების არსებობის მაჩვენებელია. საჭირო იყო ამ დოკუმენტის გარჩევა პარტიის თვალწინ და პარტიის გაფრთხილება, რომ მას პროფკავშირების მოწყვეტის საფრთხე მოელოდა. როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში ამხ. შმერალი? მან აიღო და ეს საკითხიც მიაფუჩეჩა, დოკუმენტი ხმარებიდან ამოიღო და, ამგვარად, პარტიულ მასებს დაუმალა. მემარჯვენეებიც ხელუხლებელი დარჩნენ და «პარტიული პრესტიჟიც» — დაკმაყოფილებული. ამას ჰქვია მემარჯვენეებთან ბრძოლა!

3. ცნობილია, რომ პარლამენტის კომუნისტურ ფრაქციაში მემარჯვენე ელემენტები მოიპოვებიან. ცნობილია, რომ ეს ელემენტები ხშირად გაუსხლტებიან ხოლმე პარტიის ხელმძღვანელობას და ცდილობენ თავი დაუპირდაპირონ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ამ ელემენტებთან ბრძოლა საარსებო აუცილებლობას წარმოადგენს განსაკუთრებით ახლა, განსაკუთრებით მიწყნარების დღევანდელ პირობებში. როგორ ებრძვის ამხ. შმერალი ამ საფრთხეს? ნაცვლად იმისა, რომ გამოააშკარაოს კომფრაქციის მემარჯვენე ელემენტები, იგი მათ მფარველობას უწევს და იხსნის ხოლმე მოქნილი რეზოლუციით პარტიული ხელმძღვანელობის აღიარების შესახებ, რაც მიღებულ იქნა ფარული შინაგანი ბრძოლის შედეგად, პარტიის არსებობის მეოთხე წელს. ამჯერადაც: მემარჯვენეებმა მოიგეს, პარტიამ წააგო.

4. დასასრულ, ბუბნიკის საქმე. მე უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ მიწყნარების პერიოდი ისეთი პერიოდი როდია, რომ არავითარი გამოსვლა არ ხდებოდეს. მიწყნარების

პერიოდი არის პროლეტარული არმიების ჩამოყალიბებისა და წვრთნის პერიოდი, რევოლუციისათვის მათი მომზადების პერიოდი. მაგრამ პროლეტარული არმიების წვრთნა შეიძლება მხოლოდ გამოსვლების პროცესში. ცხოვრების სიძვირე, რაც ამ ბოლო დროს ჩეხოსლოვაკიაში დადგა, ასეთი გამოსვლების ერთ-ერთი ხელსაყრელი პირობაა. ცნობილია, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ მომენტი გამოიყენა და ამას წინათ მთელი რიგი დემონსტრაციები ჩაატარა ცხოვრების სიძვირის ნიადაგზე. ცნობილია, რომ მემარჯვენე კომუნისტმა ბუბნიკმაც, რომელიც ამჟამად გარიცხულია პარტიიდან, შემთხვევით ისარგებლა, სცადა ჩაეშალა მუშების გამოსვლა და ზურგში დაერტყა პარტიისათვის. რა გააკეთა ამხ. შმერალმა იმისათვის, რომ დაეცვა პარტია მემარჯვენეების მხრივ ზურგში დარტყმისაგან? ნაცვლად იმისა, რომ გამოეყენებინა ბუბნიკის «შემთხვევა» და ულმობლად ემხილებინა ამ საქმის გამო, პარტიის თვალწინ, მემარჯვენეთა მთელი ჯგუფი, ამხ. შმერალმა პრინციპული საკითხი მემარჯვენეთა შესახებ ბუბნიკის ინდივიდუალური საქმით განსაზღვრა, თუმცა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ბუბნიკი მარტო როდია, რომ მას მომხრეები ჰყავს კავშირებშიც, პარლამენტის კომფრაქციაშიც და პრესაშიც. მცირე მსხვერპლის ფასად (ბუბნიკის გარიცხვა) მან განადგურებას გადაარჩინა მემარჯვენეთა ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ძირითადი ინტერესების საზიანოდ. და ამას ამხ. შმერალი მემარჯვენეებთან ბრძოლის ტაქტიკას უწოდებს!

ამხ. შმერალი ამ ტაქტიკას «დახვეწილ», «დელიკატურ» ტაქტიკას უწოდებს. შესაძლოა, ეს ტაქტიკა მართლაც დახვეწილი იყოს, მაგრამ მას რომ მემარჯვენეთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ბოლშევიკურ ტაქტიკასთან საერთო არა აქვს რა, — ეს სავსებით უეჭველია.

ამხ. შმერალს ავიწყდება რუსული ანდაზა: «ძაფი სადაც წვრილადაა დახვეწილი, იქ გაწყდებაო». მას დაავიწყდა, რომ დახვეწილობა არ შეიძლება გარანტია იყოს კრახის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ასეც მოხდა, ვინაიდან მემარჯვენეების მიმართ ეს «დახვეწილი» ტაქტიკა ჩაფლავდა და კრახი განიცადა პირველი გამოცდისთანავე, როცა ამ ტაქტიკით ნასაზრდოებმა ბუბნიკის ჯგუფმა კინაღამ ჩაშალა ჩეხი პროლეტარიატის ამასწინანდელი გამოსვლა. მემარჯვენეთა გაძლიერება და ბუბნიკის გამცემლობა — აი ამხ. შმერალის «დახვეწილი» ტაქტიკის შედეგი. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ამხ. შმერალის «დახვეწილი» ტაქტიკა არის მემარჯვენეთა გადარჩენის ტაქტიკა, კრიზისის გაღრმავების ტაქტიკა, ტაქტიკა, რომელიც დაღუპვას უქადის პარტიას.

რამ დაღუპა ძველი სოციალ-დემოკრატია როგორც რევოლუციური პარტია? სხვათა შორის იმან, რომ კაუცკი და კომპანია სინამდვილეში იყენებდნენ მემარჯვენეთა დაფარვისა და გადარჩენის «დახვეწილ» ტაქტიკას, ედ. ბერნშტეინთან და კომპანიასთან «ერთობისა და მშვიდობის» «დელიკატურ» ტაქტიკას. მერე რა შედეგი მოჰყვა ამას? ის შედეგი მოჰყვა, რომ კრიტიკულ მომენტში უშუალოდ ომის წინ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა უღალატეს მუშებს, «ორთოდოქსები» მემარჯვენეთა ტყვეებად იქცნენ, ხოლო მთლიანად სოციალ-დემოკრატია «ცოცხალი ლეში» აღმოჩნდა. მე ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება იგივე დაემართოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას, თუ თქვენ ამხ. შმერალის «დახვეწილი» ტაქტიკა სწრაფად და გადაჭრით არ შესცვალეთ კომუნიზმში არსებულ მემარჯვენე დაჯგუფებებთან ულმობელი ბრძოლის ბოლშევიკური ტაქტიკით. ამით მე ის კი არ მინდა, რომ ამხ. შმერალი სოციალ-დემოკრატებს გავუთანაბრო. სრულებითაც არა.

იგი, უდავოდ, კომუნისტია და, შესაძლოა, ჩინებული კომუნისტიც. მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ, თუ მან ხელი არ აიღო თავის «დახვეწილ» ტაქტიკაზე, იგი უთუოდ სოციალ-დემოკრატიზმამდე დაქვეითდება.

როგორია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის უახლოესი ამოცანა?

მისი უახლოესი ამოცანა ის არის, რომ «ულტრამემარცხენე» გადახრების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღოს მემარჯვენე საფრთხესთან მემარჯვენეთა სრული იზოლაციისა და მათი საბოლოო ლიკვიდაციის მიზნით. პარტიის ყველა ნამდვილად რევოლუციური ელემენტის გაერთიანება მემარჯვენე დაჯგუფებათა სრული ლიკვიდაციისათვის — ასეთია პარტიის ამოცანა, ასეთია კრიზისიდან გამოსავალი. უამისოდ ფიქრიც მეტია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ბოლშევიზაციაზე.

ეს, რასაკვირველია, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად გარიცხულ იქნას ყველა და ყოველი მემარჯვენე. გარიცხვა გადამწყვეტი საშუალება როდია მემარჯვენეებთან ბრძოლაში. მთავარი საქმე ის არის, რომ პრინციპული ბრძოლის პროცესში იდეურად და მორალურად განადგურებულ იქნან მემარჯვენე დაჯგუფებანი და ამ ბრძოლაში ჩაბმულ იქნან ფართო პარტიული მასები. ესაა ბოლშევიზმის სულისკვეთებით პარტიის აღზრდის ერთ-ერთი მთავარი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. გარიცხვა უნდა მოხდეს, თუ ეს ნამდვილად აუცილებელია, როგორც მოწინააღმდეგის იდეური განადგურების ბუნებრივი შედეგი. ამ მხრივ მემარცხენეებმა ჩეხოსლოვაკიაში სერიოზული შეცდომა დაუშვეს, ბუბნიკის გარიცხვა რომ დააჩქარეს. ნაცვლად იმისა, რომ ბოლომდე გამოეყენებინათ ბუბნიკის «შემთხვევა», დაეკავშირებინათ იგი მემარჯვენეთა პრინციპულ პოზიციასთან მასობრივი გამოსვლების

საკითხში და გამოეაშკარავებინათ მათი ნამდვილი სახე, ისინი დაეჩქარნენ გარიცხვას და თვითონვე გადაიჭრეს ამ ნიადაგზე მემარჯვენეების წინააღმდეგ შემდგომი შეტევის ყველა გზა.

რაც შეეხება კომინტერნის უფლებებს და ნაციონალური პარტიების საქმეებში მის ჩარევას, მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ არ ვეთანხმები ზოგიერთ ამხანაგს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ უფლებათა შეკვეცას. სურთ, რომ კომინტერნი გადაიქცეს ვარსკვლავთზედა ორგანიზაციად, რომელიც გულგრილად უცქერის იმას, რაც ცალკეულ პარტიებში ხდება, და მოთმინებით ეწევა მოვლენათა რეგისტრაციას. არა, ამხანაგებო, კომინტერნი ვარსკვლავთზედა ორგანიზაცია ვერ გახდება. კომინტერნი პროლეტარიატის საბრძოლო ორგანიზაციაა, იგი დაკავშირებულია მუშათა მოძრაობასთან თავისი არსებობის მთელი ფესვებით, და მას არ შეუძლია არ ჩაერიოს ცალკეული პარტიების საქმეებში, არ შეუძლია მხარი არ დაუჭიროს რევოლუციურ ელემენტებს და არ ებრძოლოს მათს მოწინააღმდეგეებს. რა თქმა უნდა, პარტიებს თავიანთი შინაგანი ავტონომია აქვთ, პარტიების ყრილობები თავისუფალი უნდა იყვნენ და ცენტრალურ კომიტეტებს ყრილობებზე უნდა ირჩევდნენ. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ კომინტერნს ხელმძღვანელობის და, მაშასადამე, ჩარევის უფლება არა აქვს, — ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნიზმის მტრების სასარგებლოდ მუშაობდე.

დასასრულ, ამხ. კრეიბიხის შესახებ. მე ვფიქრობ, მთელი მისი სიტყვა იმისათვის იყო ნავარაუდევი, რომ ვიღაც დაეშინებინა გათიშვის მუქარით. ხელი არ ახლოთ, — ამბობდა იგი, — ბრიუნელ მემარჯვენეებს, თორემ საქმე ცუდად წავა, ნუ ებრძვით მათ, თორემ გათიშვა მოხდებაო. რა გაეწყობა, ვნახოთ. ოღონდ ნუ გვა-

შინებს ამხ. კრეიბიხი, — სულ ერთია, ვერ შეგვაშინებს. მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჩვენ გამობრძმედილი ხალხი ვართ, და გათიშვის მუქარით ჩვენთან ვერაფერს გაიტან. და თუ მან მუქარიდან საქმეზე გადასვლა სცადა, — შემიძლია დავარწმუნო, რომ ამ საქმეში მხოლოდ ის დაზარალდება და სხვა არავინ.

ვაჯამებ. პარტიაში კრიზისი არსებობს. კრიზისის მიზეზები ეჭვს არ იწვევენ. მთავარი საფრთხე მარჯვნიდან მოდის. ამ საფრთხესთან გადამწყვეტი და შეურიგებელი ბრძოლა — ეს არის ამოცანა. პარტიის ყველა რევოლუციური ელემენტის გაერთიანება მემარჯვენეთა სრული ლიკვიდაციისათვის — ეს არის გამოსავალი კრიზისიდან.

უნდა გამოვიყენოთ მიწყნარების პერიოდი იმისათვის, რომ განვამტკიცოთ პარტია, გავაბოლშევიკუროთ იგი და გავხადოთ «მუდამ მზადმყოფი» ყოველგვარი შესაძლო «გართულებისათვის», ვინაიდან «არ ვუწყით არც დღე, არც ჟამი», როდესაც «მოვალს სიძე» და გზას გაუხსნის ახალ რევოლუციურ აღმავლობას.

«პრავდა» № 72,
1925 წ. 29 მარტი.

ნაციონალური საკითხისათვის იუგოსლავიაში

სიტყვა კომინტერნის აღმასკომის
იუგოსლავიის კომისიაში

1925 წ. 30 მარტი

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, რომ სემიჩი სულ მთლიანად ვერ გარკვეულა ბოლშევიკების მიერ ნაციონალური საკითხის დაყენების დედაარსში. ბოლშევიკებს არასოდეს არ მოუწყვეტიათ ნაციონალური საკითხი რევოლუციის საერთო საკითხისაგან, არც ოქტომბრამდე, არც ოქტომბრის შემდეგ. ნაციონალური საკითხისადმი ბოლშევიკური მიდგომის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკები ნაციონალურ საკითხს ყოველთვის განიხილავდნენ რევოლუციურ პერსპექტივასთან განუყრელ კავშირში.

სემიჩს ციტატა მოჰყავდა ლენინიდან და ამბობდა, რომ ლენინი მხარს უჭერდა ნაციონალური საკითხის ცნობილი გადაწყვეტის აღბეჭდვას კონსტიტუციაში. ამით მას, სემიჩს, ალბათ სურდა ეთქვა, თითქოს ლენინს ნაციონალური საკითხი მიაჩნდა კონსტიტუციურ საკითხად, ე. ი. არა რევოლუციის, არამედ რეფორმის საკითხად. ეს სრულებით არ არის სწორი. ლენინს არასოდეს არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა კონსტიტუციური ილუზიები. საკმარისია გადაათვალიეროთ მისი თხზულებები, რომ

ამაში დარწმუნდეთ. თუ ლენინი კონსტიტუციაზე ლაპარაკობდა, მას მხედველობაში ჰქონდა ნაციონალური საკითხის გადაჭრის არა კონსტიტუციური გზა, არამედ რევოლუციური გზა, ე. ი. კონსტიტუციას იგი განიხილავდა როგორც რევოლუციის გამარჯვების შედეგს. ჩვენ სსრ კავშირში აგრეთვე გვაქვს კონსტიტუცია, და იგი ასახავს ნაციონალური საკითხის ცნობილ გადაჭრას. მაგრამ ეს კონსტიტუცია გაჩნდა არა ბურჟუაზიასთან გარიგების შედეგად, არამედ ძლევამოსილი რევოლუციის შედეგად.

შემდეგ სემიჩი იმოწმებს სტალინის ცნობილ ბროშურას ნაციონალურ საკითხზე, რომელიც დაწერილია 1912 წელს[22], და ცდილობს იქ იპოვოს თავისი სიმართლის თუნდაც არაპირდაპირი დადასტურება. მაგრამ ეს მითითება უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან მან ვერ იპოვა და არც შეიძლება იპოვოს არა თუ ციტატა, არამედ თუნდაც შორეული, გადაკრული მითითება, რომელიც ოდნავ მაინც ამართლებდეს მის «კონსტიტუციურ» მიდგომას ნაციონალური საკითხისადმი. ამის დასადასტურებლად შემიძლია მოვაგონო სემიჩს ცნობილი ადგილი სტალინის ბროშურიდან, სადაც ნაციონალური საკითხის გადაჭრის ავსტრიული მეთოდი (კონსტიტუციური) დაპირისპირებულია რუსი მარქსისტების მეთოდისადმი (რევოლუციურისადმი).

აი ეს ადგილი:

«ავსტრიელები ფიქრობენ განახორციელონ «ეროვნებათა თავისუფლება» წვრილი რეფორმების გზით, ნელი ნაბიჯით. აყენებენ რა კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას, როგორც პრაქტიკულ ღონისძიებას, ისინი სრულიადაც არ ამყარებენ იმედს ძირფესვიან ცვლილებაზე, დემოკრატიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელიც მათ პერსპექტივაში არა აქვთ. რუსი მარქსისტები კი «ეროვნებათა თავისუფლების» საკითხს აკავშირებენ მოსალოდნელ ძირფესვიან ცვლილებასთან, დემოკრატიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რაკი სა-

ფუძველი არა აქვთ იმედი დაამყარონ რეფორმებზე. ეს კი არსებითად სცვლის საქმეს რუსეთში ერების მოსალოდნელი ბედის მხრივ».

მგონი, ნათელია.

და ეს სტალინის პირადი თვალსაზრისი კი არ არის, არამედ საერთო თვალსაზრისია რუსი მარქსისტებისა, რომლებიც ნაციონალურ საკითხს განიხილავდნენ და განიხილავენ რევოლუციის საერთო საკითხთან განუყრელ კავშირში.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური საკითხის დაყენებას რუსეთის მარქსიზმის ისტორიაში ორი სტადია ჰქონდა: პირველი, ე. ი. ოქტომბრამდელი, და მეორე, ე. ი. ოქტომბრისშემდგომი. პირველ სტადიაში ნაციონალური საკითხი განიხილებოდა როგორც ნაწილი საერთო საკითხისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შესახებ, ე. ი. როგორც ნაწილი საკითხისა პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის შესახებ. მეორე სტადიაში, როცა ნაციონალური საკითხი გაფართოვდა და კოლონიების საკითხად იქცა, როცა ნაციონალური საკითხი მინასახელმწიფოებრივი საკითხიდან მსოფლიო საკითხად იქცა, — ნაციონალური საკითხი განიხილებოდა უკვე როგორც ნაწილი საერთო საკითხისა პროლეტარული რევოლუციის შესახებ, როგორც ნაწილი საკითხისა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. იქაც და აქაც მიდგომა, როგორც ხედავთ, სავსებით რევოლუციური იყო.

მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ამაში სემიჩი სავსებით ჯერ კიდევ ვერ გაერკვა. აქედან წარმოსდგება მისი ცდები — ჩამოაქვეითოს ნაციონალური საკითხი კონსტიტუციურ ნიადაგზე, ე. ი. განიხილოს იგი როგორც რეფორმის საკითხი.

ამ შეცდომიდან გამომდინარეობს მისი მეორე შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მას არ სურს გა-

ნიხილოს ნაციონალური საკითხი როგორც არსებითად გლეხობის საკითხი. არა აგრარული, არამედ გლეხობის საკითხი, ვინაიდან ეს სხვადასხვა რამეა. სრული სიმართლეა, რომ ნაციონალური საკითხი არ შეიძლება გავაიგივეოთ გლეხობის საკითხთან, ვინაიდან, გლეხობის საკითხს გარდა, ნაციონალური საკითხი შეიცავს კიდევ ნაციონალური კულტურის, ნაციონალური სახელმწიფოებრიობისა და სხვა საკითხებს. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ნაციონალური საკითხის საფუძველს, მის შინაგან არსს მაინც გლეხობის საკითხი შეადგენს. სწორედ ამით აიხსნება, რომ გლეხობა წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობის ძირითად არმიას, რომ გლეხთა არმია თუ არა ჰყავს, ისე არ არის და არც შეიძლება იყოს მძლავრი ნაციონალური მოძრაობა. სწორედ ესა აქვთ მხედველობაში, როცა ამბობენ, რომ ნაციონალური საკითხი, **არსებითად**, გლეხობის საკითხია. მე ვფიქრობ, იმ გარემოებაში, რომ სემიჩს არ სურს მიიღოს ეს ფორმულა, იფარება ნაციონალური მოძრაობის შინაგანი ძლიერების შეუფასებლობა და ნაციონალური მოძრაობის ღრმა ხალხური, ღრმა რევოლუციური ხასიათის გაუგებლობა. ეს გაუგებლობა და ეს შეუფასებლობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან პრაქტიკაში ნიშნავს იმ შინაგანი პოტენციური ძალის შეუფასებლობას, რომელსაც შეიცავს, ვთქვათ, ხორვატების მოძრაობა ნაციონალური თავისუფლებისათვის, შეუფასებლობას, რომელიც სერიოზულ გართულებებს უქადის მთელ იუგოსლავიის კომპარტიას.

ეს არის სემიჩის მეორე შეცდომა.

უეჭველად მცდარად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სემიჩის ცდა — განიხილოს ნაციონალური საკითხი იუგოსლავიაში საერთაშორისო ვითარებასთან და ევროპაში მოსალოდნელ პერსპექტივებთან დაუკავშირებლად. სემიჩი,

ეყრდნობა რა იმას, რომ ამჟამად ხორვატებსა და სლოვენებში არ არსებობს სერიოზული სახალხო მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ერთა გამოყოფის უფლების საკითხი აკადემიური საკითხია, ყოველ შემთხვევაში აქტუალური არ არის. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არაა. კიდევაც რომ დავეთანხმოთ, რომ ეს საკითხი ამჟამად აქტუალური არ არის, იგი შეიძლება სავსებით აქტუალური გახდეს, **თუ ომი დაიწყო,** ან როცა ომი დაიწყება, **თუ ევროპაში რევოლუცია მოხდა,** ან როცა იგი მოხდება. ხოლო ომი რომ აუცილებლად დაიწყება და რომ **ისინი** იქ აუცილებლად წაეკიდებიან ერთმანეთს, ეს სავსებით უეჭველია, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმპერიალიზმის ბუნებასა და განვითარებას.

1912 წელს, როცა ჩვენ, რუსი მარქსისტები, ნაციონალური პროგრამის პირველ პროექტს ვადგენდით, რუსეთის იმპერიის ჯერ კიდევ არც ერთ განაპირა მხარეში არ გვქონია სერიოზული მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვეტანა ჩვენს პროგრამაში პუნქტი ერთა თვითგამორკვევის უფლების, ე. ი. თვითეული ეროვნების გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლების შესახებ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ვეყრდნობოდით არა მარტო იმას, რაც მაშინ არსებობდა, არამედ იმასაც, რაც ვითარდებოდა და ახლოვდებოდა საერთაშორისო ურთიერთობის საერთო სისტემაში, ე. ი. ჩვენ მაშინ ანგარიშს ვუწევდით არა მარტო აწმყოს, არამედ მომავალსაც. და ჩვენ ვიცოდით, რომ თუ რომელიმე ეროვნება გამოყოფას მოითხოვდა, რუსი მარქსისტები იბრძოლებდნენ იმისათვის, რომ გამოყოფის უფლება უზრუნველყოფილი ჰქონოდა ყოველ ასეთ ეროვნებას. სემიჩი თავის სიტყვაში არა ერთგზის იმოწმებდა სტალინის ბროშურას ნაციონალურ საკითხზე.

მაგრამ აი რა არის ნათქვამი სტალინის ამ ბროშურაში თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის შესახებ:

«იმპერიალიზმის ზრდა ევროპაში შემთხვევითი როდია. ევროპაში კაპიტალი გასაქანს ვეღარ პოულობს, იგი ეტანება უცხო ქვეყნებს, ეძებს ახალ ბაზრებს, იაფ მუშა-ხელს, გამოყენების ახალ პუნქტებს. მაგრამ ეს იწვევს საგარეო გართულებებსა და ომს... სავსებით შესაძლებელია საშინაო და საგარეო კონიუნქტურათა ისეთი შეხამება, როდესაც რუსეთის ესა თუ ის ეროვნება საჭიროდ დაინახავს დააყენოს და გადაწყვიტოს თავისი დამოუკიდებლობის საკითხი. და, რა თქმა უნდა, მარქსისტების საქმე როდია, რომ ასეთ შემთხვევებში დაბრკოლებანი შეუქმნან მას».

ეს დაწერილია ჯერ კიდევ 1912 წელს. თქვენ იცით, რომ ეს დებულება სავსებით დადასტურდა შემდეგში, როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგ, განსაკუთრებით რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ.

მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს გავითვალისწინოთ ასეთი შესაძლებლობანი საერთოდ ევროპაში და განსაკუთრებით იუგოსლავიაში, მეტადრე ახლა, ჩაგრულ ქვეყნებში ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებისა და რუსეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ იუგოსლავია სავსებით დამოუკიდებელი ქვეყანა როდია, რომ იგი დაკავშირებულია განსაზღვრულ იმპერიალისტურ დაჯგუფებებთან, და რომ, მაშასადამე, მას არ შეუძლია გვერდი აუაროს ძალთა იმ დიდ ჭიდილს, რომელიც იუგოსლავიის გარეთ წარმოებს. და თუ თქვენ ადგენთ ნაციონალურ პროგრამას იუგოსლავიის პარტიისათვის, — ხოლო ამ შემთხვევაში საქმე სწორედ ამას ეხება, — საჭიროა გაიხსენოთ, რომ პროგრამა უნდა ემყარებოდეს არა მარტო იმას, რაც ამჟამად არის, არამედ იმასაც, რაც ვითარდება და გარდუვალად მოხდება საერთაშორისო ურთიერთობის

გამო. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხად უნდა ჩაითვალოს.

ახლა ნაციონალური პროგრამის შესახებ. ნაციონალური პროგრამის გამოსავალი პუნქტი უნდა იყოს დებულება იუგოსლავიაში საბჭოთა რევოლუციის შესახებ, ის დებულება, რომ ბურჟუაზიის დაუმხობლად და რევოლუციის გაუმარჯვებლად ნაციონალური საკითხი არ შეიძლება რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებლად გადაიჭრას. რა თქმა უნდა, შესაძლოა გამონაკლისები. ასეთი გამონაკლისი იყო, მაგალითად, ომამდე შვეციისაგან ნორვეგიის გამოყოფის დროს, რაზედაც დაწვრილებით ლაპარაკობს თავის ერთ-ერთ სტატიაში ლენინი [23]. მაგრამ ეს მოხდა ომამდე და ხელსაყრელ გარემოებათა განსაკუთრებულ ვითარებაში. ომის შემდეგ, განსაკუთრებით კი რუსეთში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, არა გვგონია ასეთი შემთხვევები შესაძლებელი იყოს. ყოველ შემთხვევაში ასეთ შესაძლებლობათა სასარგებლო შანსები ახლა ისე მცირეღა დარჩა, რომ ისინი შეიძლება ნულს გავუტოლოთ. მაგრამ თუ ასეა, მაშინ ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ნულის მნიშვნელობის მქონე სიდიდეებზე დავაფუძნოთ პროგრამა. სწორედ ამიტომ დებულება რევოლუციის შესახებ ნაციონალური პროგრამის გამოსავალი პუნქტი უნდა იყოს.

შემდეგ. ნაციონალურ პროგრამაში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას სპეციალური პუნქტი ერთა თვითგამორკვევის უფლებისა თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. ზემოთ უკვე ვთქვი, თუ რატომ არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ასეთ პუნქტს ახლანდელ საშინაო და საერთაშორისო პირობებში.

დასასრულ, პროგრამაში უნდა იყოს აგრეთვე სპეციალური პუნქტი ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის შესახებ იუგოსლავიის იმ ეროვნებათათვის, რომლებიც საჭიროდ არ ჩათვლიან იუგოსლავიისაგან გამოყოფას. მართალი არ არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ასეთი კომბინაცია გამორიცხული უნდა იყოს. ეს სწორი არ არის. განსაზღვრულ პირობებში, იუგოსლავიაში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების შედეგად, სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა ეროვნებამ გამოყოფა არ მოისურვოს, იმის ანალოგიურად, როგორც ეს ჩვენში, რუსეთში, მოხდა. გასაგებია, რომ ასეთი შემთხვევისათვის საჭიროა პროგრამაში იყოს პუნქტი ავტონომიის შესახებ, ამასთან ნავარაუდევი უნდა იყოს იუგოსლავიის სახელმწიფოს გარდაქმნა ავტონომიურ ნაციონალურ სახელმწიფოთა ფედერაციად საბჭოთა წყობილების საფუძველზე.

ამრიგად, გამოყოფის უფლება იმ ეროვნებათათვის, რომელნიც გამოყოფას მოისურვებენ, და ავტონომიის უფლება იმ ეროვნებათათვის, რომელნიც ამჯობინებენ იუგოსლავიის სახელმწიფოს ფარგლებში დარჩნენ.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ვთქვა, რომ გამოყოფის **უფლება** არ უნდა გავიგოთ როგორც გამოყოფის **მოვალეობა,** ვალდებულება. ერს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება იმ მხრივ, რომ გამოიყოს, მაგრამ მას შეუძლია არც გამოიყენოს ეს უფლება, და თუ ამას არ მოისურვებს, — ეს მისი საქმეა, და ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ზოგიერთი ამხანაგი გამოყოფის უფლებას მოვალეობად აქცევს და, მაგალითად, ხორვატებისაგან მოითხოვს, რომ **მაინცდამაინც** გამოიყონ. ეს პოზიცია სწორი არ არის, და იგი უკუგდებულ უნდა იქნას. არ შეიძლება უფლება მოვალეობაში ავრიოთ.

ჟურნალი «ბოლშევიკ» № 7,
1925 წ. 15 აპრილი.

სოფლის კომკავშირული აქტივის შესახებ

სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე

1925 წ. 6 აპრილი

ამხანაგებო! პირველი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ახალგაზრდობის კავშირისათვის მისი ძირითადი პროლეტარული ბირთვი, როგორც მთელი კავშირის ხელმძღვანელი ბირთვი. მომხსენებელს არაფერი უთქვამს ამ საკითხზე. ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან ლაპარაკია კომკავშირის მუშაობაზე სოფლად, და არა პროლეტარულ ბირთვზე. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ პროლეტარული ბირთვის უზრუნველყოფა კომკავშირის ძირითად ამოცანად რჩებოდეს. მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კომკავშირში მეტად თუ ნაკლებად წარმატებით მიმდინარეობს. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ კომკავშირში მუშა ახალგაზრდობის ჩაბმა წარმატებით მიმდინარეობს, და შორს აღარ არის ის დრო, როცა კავშირი მთელი მუშა ახალგაზრდობის სულ ცოტა ცხრა მეათედს მოიცავს.

მეორე ამოცანაა პროლეტარული ბირთვის მუშაკების სწორად განაწილება კავშირის საკვანძო პუნქტებსა და ძირითად რაიონებში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახალგაზრდობის გლეხური ნაწილის მიმართ რეა-

ლური ხელმძღვანელობა ამ ბირთვის ძალებით. მე იქიდან გამოვდივარ, რომ ახალგაზრდობის გლეხური ნაწილი რაოდენობრივად სჭარბობს მის პროლეტარულ ნაწილს. მე იქიდან გამოვდივარ, რომ ახალგაზრდობის პროლეტარული ძალები არ კმარა იმისათვის, რომ ისინი თანაბრად გავანაწილოთ საბჭოთა კავშირის ყველა მაზრასა და თემში. ამიტომ საჭიროა ამ ძალების განაწილება ისე და ისეთ პუნქტებში, საიდანაც ყველაზე ადვილი იქნებოდა გლეხი ახალგაზრდობისადმი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. არა მგონია, რომ კომკავშირი ამ ამოცანას ისევე წარმატებით ასრულებდეს, როგორც პირველ ამოცანას. მაგრამ მაინც საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ კომკავშირი მთელი ენერგიით ეწევა მუშაობას ამ ამოცანის შესასრულებლად, და ეს მუშაობა უახლოეს ხანში აუცილებლად მოგვცემს თავის შედეგებს.

მესამე ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ კომკავშირისათვის გლეხი ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი აქტივი სოფლად, პოლიტიკურად აღვზარდოთ ეს აქტივი, გავხადოთ იგი სოფლად პროლეტარული პოლიტიკის გამტარებელი და გადავაქციოთ იმ ცემენტად, რომელიც პროლეტარიატს გლეხობის მშრომელ მასებთან დააკავშირებს. ეს ძნელი და უაღრესად რთული საქმეა. ამ ამოცანის გადაჭრა მოკლე ვადაში სრულიად შეუძლებელია. კომკავშირის პროლეტარული ბირთვის მხრივ საჭიროა განსაკუთრებული მონდომება და ძალთა უდიდესი დაძაბვა იმისათვის, რომ ეს ამოცანა დაძლეულ იქნას. მაგრამ ეს ამოცანა უნდა გადაიჭრას, რადაც უნდა დაჯდეს. ვინაიდან უამისოდ არ შეიძლება არც კომკავშირის განმტკიცება, არც მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის უზრუნველყოფა.

მაგრამ როგორ უზრუნველვყოთ კომკავშირისათვის გლეხური აქტივი, როგორ აღვზარდოთ ეს აქტივი და როგორ მივაღწიოთ იმას, რომ მან შესძლოს სოფლად პროლეტარული პოლიტიკის გამტარებელი გახდეს?

ამბობენ, რომ მარტო სოფლის უჯრედების მდივნები კომკავშირში სულ ცოტა 27 ათასი კაცია. ამბობენ, რომ, უჯრედების მდივნებს გარდა, არიან კიდევ აქტიური კომკავშირელი მუშაკები კოოპერაციაში, საბჭოებში, გლეხთა კომიტეტებში, კულტურულ დაწესებულებებში და სხვ. ამბობენ, რომ ყოველივე ამან ერთად უნდა მოგვცეს კომკავშირის სოფლის აქტივის სულ ცოტა 100 ათასი კაცი. ძნელი სათქმელია, სწორია თუ არა ყოველივე ეს. მაგრამ თუ ყოველივე ეს სწორია, უნდა ვთქვა, რომ ეს აქტივი, თუ მას უნარიანად გამოვიყენებთ, შეიძლება უდიდეს ძალად იქცეს, რომელსაც სასწაულთა მოხდენა შეეძლება. ეს გარემოება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ პარტიას ამჟამად გაცილებით უფრო ნაკლები აქტივი ჰყავს სოფლად.

და აი ამოცანა: **როგორ აღვზარდოთ ეს მრავალრიცხოვანი აქტივი, როგორ გავხადოთ იგი სოფლად პროლეტარული პოლიტიკის გამტარებელი არა სიტყვით, არამედ საქმით.**

მე არ ვაპირებ აქ ამომწურავი პასუხის მოცემას. მოკლე სიტყვაში ეს ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ ამ ამოცანისადმი სწორად მიდგომისათვის საჭირო ზოგიერთი ძირითადი პირობის დასახვა სავსებით შესაძლებელია მოკლე სიტყვაშიც. რა პირობებია ეს? ეს პირობები რვა მაინც არის.

პირველი. საჭიროა, რომ ახალგაზრდობის სასოფლო აქტივი მომარაგებული იყოს პოპულარული ბროშურებით და ცნობარებით, რომლებიც განმარტავენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ღარიბი გლეხობის სასარგებლოდ გამო-

ცემულ დეკრეტებს. საჭიროა, რომ ამ აქტივმა ზედმიწევნით იცოდეს ეს დეკრეტები, რომ მას შეეძლოს მათი განმარტება ღარიბი გლეხობისათვის და ამ დეკრეტების საფუძველზე შეეძლოს სოფლის ღარიბთა ინტერესების დაცვა კულაკობის ძალმომრეობისაგან. მე ვფიქრობ, რომ ამ დეკრეტების არცოდნა და მათი სისტემატურად დარღვევა სოფლად «ძალაუფლების მპყრობელთა» მიერ წარმოადგენს სოფლად არსებული ახლანდელი წესების ერთ-ერთ ძირითად ბოროტებას. სოფლის კომკავშირული აქტივი რევოლუციური კანონიერების სადარაჯოზე უნდა იდგეს. იგი თავგამოდებით უნდა იცავდეს სოფლის ღარიბებს. ეს ამოცანა უეჭველად უბრალო და პრობაულია. უეჭველია, გაცილებით უფრო ადვილია მსოფლიო რევოლუციაზე ლაყბობა, ვიდრე საბჭოთა დეკრეტებთან დაკავშირებული ამ უბრალო და ყოველდღიური ამოცანის განხორციელება. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ უამისოდ არავითარი კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის არ არის შესაძლებელი.

მეორე. საჭიროა, რომ სოფლის ახალგაზრდობის აქტივი მომარაგებული იყოს პოპულარული ბროშურებით აგრონომიის ელემენტარული საფუძვლების შესახებ. საჭიროა, რომ ეს აქტივი სწავლობდეს სოფლის მეურნეობას, ეცნობოდეს მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს და შეეძლოს გლეხისათვის ამ დარგში საჭირო ცნობების მიწოდება. ხშირად გლეხი არასერიოზულად, დაცინვით უყურებს კომკავშირელს. ეს იმიტომ ხდება, რომ გლეხი მას თვლის მეურნეობისაგან მოწყვეტილად, უმეცრად, ზარმაცად. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — დავუახლოოთ და დავუკავშიროთ კომკავშირელი მეურნეობას. აქტივისტ კომკავშირელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოიპოვოს გლეხის პატივისცემა და ნდობა, თუ მჭიდროდ დაუკავშირდება სოფლის მეურნეობას, თუ ისწავლის სასარგებლო

რჩევა-დარიგების მიცემას გლეხური მეურნეობის ასამაღლებლად, მის გასაუმჯობესებლად და განსამტკიცებლად. ეს, რა თქმა უნდა, იოლი საქმე როდია და, შესაძლებელია, მოსაწყენიც იყოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს აუცილებლად საჭირო საქმეა იმისათვის, რომ გლეხობაში ნდობა მოიპოვო.

მესამე. საჭიროა, რომ სოფლის კომკავშირული აქტივი მომარაგებული იყოს პოპულარული ბროშურებით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, ადგილობრივი ბიუჯეტის, ჩვენი ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. გადასახადი და ადგილობრივი ბიუჯეტი ამჟამად პირველი საქმეა სოფელში. ამ ნიადაგზე ახლა აურაცხელი ბოროტმოქმედება ხდება. როგორ განაწილდეს გადასახადები, რომ ღარიბი გლეხი არ დაიჩაგროს, ხოლო კულაკი არ განთავისუფლდეს გადასახადის სიმძიმისაგან; როგორ იხარჯებოდეს ფული ადგილობრივი ბიუჯეტით და სახელდობრ რა საჭიროებისათვის; როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ამ ნიადაგზე მომხდარი ბოროტმოქმედებანი გამომჟღავნდეს და აღმოიფხვრას, — ყოველივე ეს ისეთი საკითხებია, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის აქტივისტი კომკავშირელი. ჩავერიოთ მთელ ამ საქმეში და დახმარება გავუწიოთ მშრომელ გლეხობას, — ასეთია ამოცანა. არც ეს საქმეა ადვილი და მაინცდამაინც წარმტაცი. მაგრამ ასეთი საქმის შეუსრულებლად არავითარი საბჭოთა მშენებლობა არ არის სოფლად და არც შეიძლება იყოს.

მეოთხე. საჭიროა, რომ სოფლის კომკავშირული აქტივი მომარაგებული იყოს პოპულარული ცნობარებით საბჭოთა მშენებლობის, საბჭოების გამოცოცხლებისა და სოფლის, თემის, რაიონის, მაზრის და სხვ. მართვის საქმეში გლეხობის ჩაბმის საკითხებზე. საჭიროა, რომ აქტივისტმა კომკავშირელმა ზედმიწევნით იცოდეს დებულებანი ადგი-

ლობრივი საბჭოების უფლება-მოვალეობათა, საბჭოების მიმართ გლეხების უფლება-მოვალეობათა შესახებ, საარჩევნო სისტემის, არჩევნების ჩატარების წესის შესახებ და სხვ. განვუმარტოთ გლეხობას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სოფლად, მივაღწიოთ იმას, რომ ეს პოლიტიკა პატიოსნად და კეთილსინდისიერად ხორციელდებოდეს, — ასეთია ამოცანა. უამისოდ ფიქრიც არ შეიძლება გლეხობაში ნდობის მოპოვებაზე, გლეხური აქტივის გაფართოებაზე, სოფლად პროლეტარული დემოკრატიის დანერგვაზე.

მეხუთე. საჭიროა მოვამარაგოთ სოფლის კომკავშირული აქტივი პოპულარული ბროშურებით სასოფლო-სამეურნეო, საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ, არტელებისა და საერთოდ კოლექტიური მეურნეობების შესახებ. საჭიროა, რომ აქტივისტ კომკავშირელს შეეძლოს ჩააბას გლეხობა სოფლად კოოპერაციული საზოგადოებრიობის დანერგვის საქმეში. ეს უაღრესად ძნელი და რთული საქმეა, მაგრამ იგი აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რომ სოფელი ჩავაბათ სოციალისტურ მშენებლობაში. სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციას ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს გლეხისათვის. მივაღწიოთ იმას, რომ კოოპერაცია საკუთარი და მახლობელი საქმე გახდეს გლეხობისათვის, — ეს არის ამოცანა. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გლეხობის ღარიბი ფენების უინვენტარობა ქმნის სოფლად განსაკუთრებულ ვითარებას, რომელიც ხელს უწყობს არტელებისა და კოლექტიურ მეურნეობათა შექმნას, სახელმწიფოს საკრედიტო დაწესებულებების მხრივ გარკვეული დახმარების პირობებში. ამოცანა ის არის, რომ გლეხობის ღარიბ ფენებს საშუალება ჰქონდეთ მიიღონ ამასთან სათანადო შეღავათიანი კრედიტი. აქტივისტი

კომკავშირელი გვერდს ვერ აუვლის ამ საარსებო საკითხებს.

მეექვსე. საჭიროა, რომ სოფლის კომკავშირული აქტივი მომარაგებული იყოს აუცილებელი მითითებებითა და მასალებით სოფლად კულტურული მშენებლობის შესახებ — ქოხ-სამკითხველოების განვითარების, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სხვ. შესახებ. აქტივისტი კომკავშირელი, როგორც საბჭოებისა და საერთოდ სოფლად კულტურული ძალების ბუნებრივი თანაშემწე საბჭოთა კულტურის დანერგვის საქმეში, — ასეთია ამოცანა.

მეშვიდე. საჭიროა, რომ სოფლის კომკავშირულ აქტივს ზუსტი მითითებანი ჰქონდეს კომკავშირელების უფლება-მოვალეობათა, კომკავშირისა და პარტიის, საბჭოებისა და კომკავშირის ურთიერთობის შესახებ. აუცილებლად საჭიროა, რომ აქტივისტი კომკავშირელი თავის თავს უყურებდეს, როგორც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების თანაშემწეს სოფლად. მბრძანებლობა სოფელში, უწესოება საბჭოების არჩევნების დროს, პარტიული, კოოპერაციული და საბჭოთა ორგანიზაციების მაგივრობის გაწევის ცდები, ხულიგნური გამოსვლები ეგრეთწოდებული ანტირელიგიური პროპაგანდის დროს, — ყოველივე ეს დაუყოვნებლივ უკუგდებულ და ლიკვიდირებულ უნდა იქნას, როგორც ისეთი რამ, რაც ჩირქსა სცხებს კომკავშირის დროშას და სრულიად შეუფერებელია კომკავშირელის სახელწოდებისათვის. ამ უმსგავსობათა წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა და კომკავშირსა და საბჭოთა-პარტიულ ორგანოებს შორის სწორი ურთიერთობის დამყარება, — ასეთია ამოცანა.

მერვე. საჭიროა, რომ სოფლის კომკავშირული აქტივი მომარაგებული იყოს პოპულარული ბროშურებით მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ, ამ კავშირის აზრისა და

მნიშვნელობის, პროლეტარიატის დიქტატურის, კომუნიზმის საფუძვლების შესახებ, დასასრულ, ოქტომბრის რევოლუციის ისტორიისა და იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ გლეხები წინათ, მეფისა და მემამულის დროს, როგორ ცხოვრობენ ისინი ახლა და როგორ იცხოვრებენ ამ კავშირის განმტკიცებისა და სოციალიზმის დამკვიდრების პირობებში. აქტივისტი კომკავშირელი სრულებითაც არ უნდა ეგუებოდეს გლეხის ცრურწმენას. ამ ცრურწმენისათვის ანგარიშის გაწევა და მასთან შეგუება სხვადასხვა რამეა. აქტივისტ კომკავშირელს უნდა შეეძლოს ელაპარაკოს გლეხს კომუნისტის ენით. მას უნდა შეეძლოს კონკრეტული ფაქტებით დაარწმუნოს გლეხი, რომ სოციალიზმის გარეშე მისთვის ხსნა არ არსებობს.

ასეთია ის პირობები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია იმისათვის, რომ პოლიტიკურად აღვზარდოთ კომკავშირის სოფლის აქტივი და გავხადოთ იგი სოფლად პროლეტარული პოლიტიკის გამტარებელი.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამოცანა ის არის, რომ გააადვილოს ამ პირობების განხორციელება და კონტროლი გაუწიოს მას.

ლაპარაკობენ სოფლად კომკავშირის კოლოსალური ზრდის საშიშროებაზე. ლაპარაკობენ კომკავშირში გლეხი ახალგაზრდობის მოზღვავებაზე. ეჭვს გარეშეა, რომ აქ ერთგვარი საფრთხე არსებობს. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ კომკავშირს შეუძლია არ ეშინოდეს ამ საფრთხისა, თუ იგი შესძლებს ღირსეულად შეასრულოს ზემოთ დასახული ამოცანები. 100 ათასი კაცისაგან შემდგარი კომკავშირული აქტივი სოფლად — ეს ისეთი ძალაა, რომლისთვისაც არ შეიძლება საშიში იყოს გლეხი ახალგაზრდობის არავითარი მოზღვავება. მთელი საქმე ის არის, რომ ენერგიული მუშაობა გავაჩაღოთ ამ აქტივის პოლიტიკური

აღზრდისათვის. მთელი საქმე ის არის, რომ უნარიანად წარვმართოთ ამ აქტივის მუშაობა მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისაკენ. მთელი საქმე ის არის, რომ გამოვიყენოთ ეს აქტივი ახალ საბჭოთა მშენებლობაში გლეხობის ჩასაბმელად.

ამრიგად: ა) კომკავშირში პროლეტარული ბირთვის, როგორც ძირითადი ხელმძღვანელი ძალის, უზრუნველყოფა; ბ) ამ ბირთვის აქტიური ძალების განაწილება საბჭოთა კავშირის ძირითად რაიონებში ამ ხელმძღვანელობის თვალსაზრისით; გ) ახალგაზრდობის სოფლის აქტივის აღზრდა სოფლად პროლეტარული პოლიტიკის უზრუნველყოფის სულისკვეთებით, — ასეთია საერთოდ კომკავშირის და განსაკუთრებით კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მორიგი ამოცანები.

თუ ამ ამოცანებს დავისახავთ და ყოველდღიური მუშაობის პროცესში შევასრულებთ, შეგვიძლია არ გვეშინოდეს სოფლად კომკავშირის გზაზე აღმართული საფრთხეებისა.

«პრავდა» № 86,
1925 წ. 15 აპრილი.

პროლეტარული სტუდენტობის პირველი სრულიად საკავშირო კონფერენციისადმი [24]

მიმართვა

ამხანაგებო! თქვენმა წარმომადგენლებმა წინადადებით მომმართეს — გამოვთქვა მოსაზრებანი პროლეტარულ სტუდენტობაში პარტიისა და პარტიული მუშაობის ამოცანებზე.

ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა გითხრათ ამის შესახებ.

მდგომარეობის თავისებურება ამჟამად ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა შესძლო შეექმნა თავისთვის ისეთი ვითარება, რომელიც საჭიროა სოციალისტური მშენებლობისათვის. მართალი არ არის, თითქოს არ შეიძლებოდეს სოციალიზმის შენება ერთ ქვეყანაში, რომელმაც დაამარცხა და გარეკა კაპიტალისტები და მემამულეები. ქვეყანას, სადაც პროლეტარიატის დიქტატურაა, ქვეყანას, რომელსაც უდიდესი რესურსები მოეპოვება და რომელიც ყველა ქვეყნის პროლეტართა მხარდაჭერით სარგებლობს, — ასეთ ქვეყანას შეუძლია აშენოს და კიდეც უნდა აშენოს სოციალიზმი. ლენინი მართალია, როცა ამ-

ბობს, რომ ჩვენს ქვეყანას ყველა მონაცემი აქვს «სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის». ახლანდელი მომენტის თავისებურება ის არის, რომ ჩვენ უკვე მოვასწარით სერიოზული ნაბიჯების გადადგმა სოციალიზმის აშენების საქმეში, გადავაქციეთ რა სოციალიზმი ხატიდან ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის პროზაულ საგნად.

როგორი უნდა იყოს პროლეტარული სტუდენტობის როლი ამ სააღმშენებლო მუშაობაში?

მისი როლი პირველხარისხოვანი თუ არა, უეჭველად დიდმნიშვნელოვანია. უმაღლესი სასწავლებლები და კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები, მუშფაკები და ტექნიკუმები, — ეს სკოლებია მეურნეობისა და კულტურის დარგში საჭირო მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად. მედიკოსები და ეკონომისტები, კოოპერატორები და პედაგოგები, სამთო საქმის ოსტატები და სტატისტიკოსები, ტექნიკოსები და ქიმიკოსები, სოფლის მეურნეობის მუშაკები და საგზაო საქმის ოსტატები, ვეტერინარები და მეტყევეები, ელექტრიკოსები და მექანიკოსები, — ესენი ყველანი არიან მომავალი მეთაურები ახალი საზოგადოების აშენების საქმეში, სოციალისტური მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის შექმნის საქმეში. არ შეიძლება აშენო ახალი საზოგადოება, თუ მეთაურთა ახალი შემადგენლობა არა გყავს, ისევე როგორც არ შეიძლება აშენო ახალი არმია, თუ მეთაურთა ახალი შემადგენლობა არა გყავს. მეთაურთა ახალი შემადგენლობის უპირატესობა ის არის, რომ იგი მოწოდებულია აშენოს არა მშრომელთა ექსპლოატაციისათვის ერთ მუჭა მდიდართა სასარგებლოდ, არამედ მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ერთ მუჭა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. მთელი საქმე ის არის, რომ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა —

მუშებმა და გლეხებმა, პარტიულებმა და უპარტიოებმა — შეიგნონ ეს თავიანთი საპატიო როლი და შეუდგნენ მის შესრულებას შეგნებულად, არა შიშით, არამედ სინდისის კარნახით.

ამრიგად, მივალწიოთ იმას, რომ პროლეტარული სტუდენტობა სოციალისტური მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის შეგნებული მშენებელი გახდეს, — ასეთია პარტიის პირველი ამოცანა.

მაგრამ ახალი საზოგადოების შენება არ შეიძლება მარტო მეთაურთა შემადგენლობის ძალებით, მშრომელი მასების მხრივ პირდაპირი დახმარების გაუწევლად. სოციალიზმის ასაშენებლად ის არ კმარა, რომ მეთაურთა ახალ შემადგენლობას ცოდნა ჰქონდეს. ამისათვის საჭიროა კიდევ ის, რომ ამ მეთაურთა შემადგენლობას ენდობოდნენ და მხარს უჭერდნენ მშრომელი მასები. დამახასიათებელი თვისება მეთაურთა ძველი შემადგენლობისა, რომელიც კაპიტალიზმის დროს ეწეოდა მშენებლობას, ის არის, რომ იგი მოწყვეტილი იყო მუშებსა და გლეხებს, იგი მშრომელ მასებზე მაღლა აყენებდა თავს, იგი არ აფასებდა ამ მასების არც ნდობას და არც მხარდაჭერას, რის გამო ერთსაც მოკლებული იყო და მეორესაც. ჩვენი ქვეყნისათვის ეს გზა სრულიად გამოუსადეგარია. ახალი მეურნეობისა და ახალი კულტურის მშენებლობის მეთაურთა ახალ შემადგენლობას სწორედ იმიტომ ეწოდება ახალი, რომ მან მკვეთრად და საბოლოოდ უნდა გაწყვიტოს კავშირი მეთაურობის ძველ გზებთან. მასებისაგან მოწყვეტა კი არა, — უმჭიდროესი კავშირი მათთან; თავისი თავის მასებზე მაღლა დაყენება კი არა, — მასების წინ გაძღოლა, მათი გაყოლიება; მასებისაგან განკერძოება კი არა, — მათთან შეზრდა და მასების ნდობის, მასების მხარდაჭერის მოპოვება, — ასეთია მეთაურთა ახალი შემადგენლობის მიერ

სამეურნეო საქმის გაძღოლის ახალი გზები. ამ გზების გარეშე არავითარი სოციალისტური მშენებლობა არ არის შესაძლებელი.

ამრიგად, მივაღწიოთ იმას, რომ პროლეტარულ სტუდენტობას თავი მიაჩნდეს მშრომელი მასების განუყრელ ნაწილად, მივაღწიოთ იმას, რომ სტუდენტები თავს გრძნობდნენ საზოგადოებრივ მუშაკებად და ისე იქცეოდნენ, როგორც ნამდვილი საზოგადოებრივი მუშაკები, — ასეთია პარტიის მეორე ამოცანა.

დასასრულ, სპეციალურად კომუნისტ სტუდენტებზე. ამბობენ, კომუნისტ სტუდენტებს სწავლაში ნაკლები წარმატება აქვთო. ამბობენ, ისინი ამ მხრივ უპარტიოებს სერიოზულად ჩამორჩებიანო. ამბობენ, კომუნისტი სტუდენტები ამჯობინებენ «მაღალ პოლიტიკაზე» იმსჯელონ და ორ მესამედ დროს «მსოფლიო საკითხებზე» დაუსრულებელ კამათს ანდომებენო. მართალია თუ არა ყოველივე ეს? მე ვფიქრობ, მართალია. მაგრამ თუ ეს მართალია, აქედან გამომდინარეობს, სულ მცირე, ორი დასკვნა. ჯერერთი, კომუნისტ სტუდენტებს საფრთხე მოელით სოციალისტური მშენებლობის ცუდი ხელმძღვანელები გახდნენ, ვინაიდან არ შეიძლება სოციალისტური საზოგადოების აშენებას უხელმძღვანელო ისე, თუ მეცნიერებას არ დაეუფლე. მეორეც, იქმნება იმის საფრთხე, რომ მეთაურთა ახალი შემადგენლობის მომზადების საქმე გადაიქცეს მონოპოლიად ძველი პროფესორების ხელში, რომლებსაც ესაჭიროებათ ახალი ცვლა ახალი ადამიანებისაგან, ვინაიდან არ შეიძლება მოამზადო ახალი ცვლა და ახალი მეცნიერი თანამშრომლები ისეთი ადამიანებისაგან, ვისაც არ სურს ან უნარი არ შესწევს დაეუფლოს მეცნიერებას. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამან არ შეიძლება პირდაპირი საფრთხე არ შეუქმნას სოციალისტური მშენებლობის

მთელ საქმეს. შეიძლება თუ არა შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას? ცხადია, არ შეიძლება. ამიტომ კომუნისტმა სტუდენტებმა და საერთოდ საბჭოთა სტუდენტებმა ნათლად და გარკვეულად უნდა დაისახონ მორიგი ამოცანა: დაეუფლონ მეცნიერებას და შეუქმნან პროფესორთა ძველ შემადგენლობას ახალი ცვლა ახალი, საბჭოთა ადამიანებისაგან. ამით მე სრულებითაც არ მინდა ვთქვა, რომ სტუდენტებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ პოლიტიკაში. სრულებითაც არა. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ კომუნისტ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ შეათავსონ პოლიტიკური მუშაობა მეცნიერების დაუფლების საქმესთან. ამბობენ, ამ შეთავსების მიღწევა ძნელიაო. ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ როდის მომხდარა, რომ კომუნისტებს სიძნელეებისა შეშინებოდეთ? სიძნელენი ჩვენი მშენებლობის გზებზე სწორედ იმისათვის არსებობენ, რომ ვებრძოლოთ მათ და დავძლიოთ ისინი.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ ერთი გარემოება. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა თავისი რევოლუციური ჩვევებითა და ტრადიციებით, თავისი ბრძოლით აზრის უძრაობისა და გაყინვის წინააღმდეგ, წარმოადგენს ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგს მეცნიერებათა განვითარებისათვის. არა მგონია საეჭვო იყოს, რომ მეშჩანური გონებაშეზღუდულობა და რუტინა, რაც კაპიტალისტური სკოლის ძველ პროფესორებს ახასიათებს, ბორკავს მეცნიერებას. არა მგონია საეჭვო იყოს, რომ სრული და თავისუფალი მეცნიერული შემოქმედების უნარი შესწევთ მხოლოდ ახალ ადამიანებს, რომელნიც თავისუფალი არიან ამ ნაკლოვანებათაგან. ჩვენს ქვეყანას ამ მხრივ დიდი მომავალი აქვს, — იგი ბორკილებისაგან თავისუფალ მეცნიერებათა ციხე-სიმაგრე და კერა უნდა გახდეს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უკვე ვადგებით ამ გზას.

მაგრამ სავალალო და შეუფერებელი იქნებოდა, კომუნისტი სტუდენტები რომ მეცნიერების განვითარების შარაგზის განზე დარჩენილიყვნენ. აი რატომ არის, რომ მეცნიერების დაუფლების ლოზუნგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამრიგად, მივაღწიოთ იმას, რომ პროლეტარულმა სტუდენტობამ და, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტმა სტუდენტებმა შეიგნონ მეცნიერების დაუფლების აუცილებლობა და დაეუფლონ მას, — ასეთია პარტიის მესამე ამოცანა.

მიიღეთ სალამი. **ი. სტალინი**

15/IV — 25 წ.

«პრავდა» № 87,
1925 წ. 16 აპრილი.

რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის

მოხსენება რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე
1925 წ. 9 მაისი

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, აზრი არა აქვს დაწვრილებით გავარჩიოთ აქ ჩვენი პარტიის XIV კონფერენციაზე [25] მიღებული რეზოლუციები. ეს დიდ დროს წაგვართმევდა, და არც საჭიროა. მე ვფიქრობ, შეიძლება დავჯერდეთ იმ ძირითადი ხაზების აღნიშვნას, რომლებიც წითელი ძაფივით გასდევს ამ რეზოლუციებს. ეს საშუალებას მოგვცემს ხაზგასმით აღვნიშნოთ მიღებული რეზოლუციების ძირითადი დასკვნები. ეს კი, თავის მხრივ, გაგვიადვილებს ამ რეზოლუციების შესწავლას შემდეგში.

თუ მივმართავთ რეზოლუციებს, დავინახავთ, რომ იქ აღძრული მრავალგვარი საკითხები შეიძლება განვსაზღვროთ საკითხთა ექვსი ძირითადი ჯგუფით. საკითხთა პირველი ჯგუფი ის საკითხებია, რომლებიც საერთაშორისო მდგომარეობას ეხება. საკითხთა მეორე ჯგუფი ის საკითხებია, რომლებიც ეხება კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიების მორიგ ამოცანებს. საკითხთა მესამე ჯგუფი ის საკითხებია, რომლებიც ეხება კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების კომუნისტური ელემენტების მორიგ

ამოცანებს. საკითხთა მეოთხე ჯგუფი ის საკითხებია, რომლებიც ეხება სოციალიზმის ბედს ჩვენს ქვეყანაში, ახლანდელ საერთაშორისო ვითარებასთან დაკავშირებით. საკითხთა მეხუთე ჯგუფი ის საკითხებია, რომლებიც ეხება ჩვენს პარტიულ პოლიტიკას სოფლად და პარტიული ხელმძღვანელობის ამოცანებს ახალ პირობებში. და, ბოლოს, მეექვსე ჯგუფი ის საკითხებია, რომლებიც ეხება მთელი ჩვენი ინდუსტრიის ძირითად ნერვს, სახელდობრ — ლითონის მრეწველობას.

I

საერთაშორისო მდგომარეობა

რა წარმოადგენს იმ ახალ და თავისებურ მოვლენას საერთაშორისო მდგომარეობაში, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს მიმდინარე მომენტის ხასიათს?

ახალ მოვლენას, რამაც თავი იჩინა უკანასკნელ პერიოდში და დაღი დაასვა საერთაშორისო მდგომარეობას, წარმოადგენს ის, რომ ევროპაში დაიწყო რევოლუციის უკუქცევა, დაიწყო ერთგვარი მიწყნარება, ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ კაპიტალიზმის დროებითს სტაბილიზაციას, ხოლო **ამავე დროს** იზრდება საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარება და პოლიტიკური ძლიერება.

რა არის რევოლუციის უკუქცევა, მიწყნარება? ხომ არ არის ეს მსოფლიო რევოლუციის დასასრულის დასაწყისი, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ლიკვიდაციის დასაწყისი? ლენინი ამბობდა, რომ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ დაიწყო ახალი ეპოქა, მსოფლიო რევოლუციის ეპოქა, კონფლიქტებითა და ომებით, შეტევითა და უკანდახევით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით აღსავსე ეპოქა, ეპოქა, რომელსაც მივყა-

ვართ პროლეტარიატის გამარჯვებისაკენ კაპიტალიზმის ძირითად ქვეყნებში. თუ ევროპაში რევოლუციის უკუქცევა დაიწყო, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ამით ძალას კარგავს ლენინის დებულება ახალი ეპოქის შესახებ, მსოფლიო რევოლუციის ეპოქის შესახებ? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ამით მოხსნილია პროლეტარული რევოლუცია დასავლეთში?

არა, არ ნიშნავს.

მსოფლიო რევოლუციის ეპოქა არის რევოლუციის ახალი ეტაპი, მთელი სტრატეგიული პერიოდი, რომელიც მოიცავს მთელ რიგ წლებს და, შესაძლოა, მთელ რიგ ათეულ წლებსაც. ამ პერიოდის მანძილზე შეიძლება მოხდეს და უნდა მოხდეს კიდეც რევოლუციის უკუქცევა და აზვირთება.

ჩვენმა რევოლუციამ თავის განვითარებაში განვლო ორი ეტაპი, ორი სტრატეგიული პერიოდი და ოქტომბრის შემდეგ შევიდა მესამე ეტაპში, მესამე სტრატეგიულ პერიოდში. პირველი ეტაპი (1900 — 1917 წლები) 15 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მისი მიზანი იყო ცარიზმის დამხობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება. ამ პერიოდის მანძილზე ჩვენ გვქონდა რევოლუციის არა ერთი უკუქცევა და აზვირთება. ჩვენ გვქონდა რევოლუციის აზვირთება 1905 წელს. ეს აზვირთება რევოლუციის დროებითი დამარცხებით დამთავრდა. შემდეგ გვქონდა უკუქცევა, რომელიც მთელ რიგ წლებს გრძელდებოდა (1907 — 1912 წლები). მერე გვქონდა ახალი აზვირთება, რომელიც დაიწყო ლენის ამბებით (1912 წ.), ხოლო შემდეგ შეიცვალა ახალი უკუქცევით ომის დროს. 1917 წელს (თებერვალში) დაიწყო ახალი აზვირთება, რაც დაგვირგვინდა ხალხის გამარჯვებით ცარიზმზე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებით. ყოვე-

ლი უკუქცევის შემდეგ ლიკვიდატორები ირწმუნებოდნენ, რევოლუციას ბოლო მოეღოო. მაგრამ რევოლუციამ მთელი რიგი უკუქცევა-აზვირთება განვლო და 1917 წლის თებერვალში გამარჯვებას მიაღწია.

რევოლუციის მეორე ეტაპი 1917 წლის თებერვლიდან დაიწყო. მისი მიზანი იყო იმპერიალისტური ომიდან გამოსვლა, ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება. ამ ეტაპმა თუ ამ სტრატეგიულმა პერიოდმა სულ 8 თვეს გასტანა. მაგრამ ეს იყო 8 თვე უღრმესი რევოლუციური კრიზისისა, როცა ომი და ნგრევა ბიძგს აძლევდა რევოლუციას, უაღრესად აჩქარებდა მის სრბოლას. სწორედ ამიტომ რევოლუციური კრიზისის ეს 8 თვე შეიძლება უდრიდეს და უდრის კიდეც ჩვეულებრივი კონსტიტუციური განვითარების სულ მცირე 8 წელს. ამ სტრატეგიულ პერიოდს, ისევე როგორც წინა სტრატეგიულ პერიოდს, ახასიათებს რევოლუციის არა განუწყვეტელი აღმავლობა პირდაპირი აღმავალი ხაზით, როგორც ეს ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ რევოლუციის ობივატელებს, არამედ უკუქცევა-აზვირთების მომენტების არსებობა. ჩვენ გვქონდა ამ პერიოდში რევოლუციური მოძრაობის უდიდესი აზვირთება ივლისის დემონსტრაციის დღეებში. მერე, ჩვენ გვქონდა რევოლუციის უკუქცევა ივლისში ბოლშევიკების დამარცხების შემდეგ. ეს უკუქცევა შეიცვალა ახალი აზვირთებით უშუალოდ კორნილოვშჩინის შემდეგ, აზვირთებით, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით დამთავრდა. ამ პერიოდის ლიკვიდატორები ლაყბობდნენ რევოლუციის სრულ ლიკვიდაციაზე ივლისის დამარცხების შემდეგ. მაგრამ რევოლუცია, რომელმაც არა ერთი განსაცდელი და უკუქცევა განვლო, როგორც ცნობილია, პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ჩვენ შევედით მესამე სტრატეგიულ პერიოდში, რევოლუციის მესამე ეტაპში, რომლის მიზანია ბურჟუაზიის დაძლევა მსოფლიო მასშტაბით. რამდენ ხანს გასტანს ეს პერიოდი, — ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ იგი ხანგრძლივი იქნება, ისევე როგორც უეჭველია ის, რომ მას თავისი აზვირთება-უკუქცევა ექნება. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა ამჟამად შევიდა რევოლუციის უკუქცევის ხანაში, ამასთან ეს უკუქცევა მთელი რიგი მიზეზების გამო, რომლებზეც ქვემოთ ვილაპარაკებ, უნდა შეიცვალოს აზვირთებით, რომელიც შეიძლება დამთავრდეს პროლეტარიატის გამარჯვებით, მაგრამ შეიძლება არც დამთავრდეს გამარჯვებით, არამედ შეიცვალოს ახალი უკუქცევით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შეიცვალოს რევოლუციის ახალი აზვირთებით. მიმდინარე პერიოდის ლიკვიდატორები ამბობენ, ახლანდელი მიწყნარება მსოფლიო რევოლუციის დასასრულიაო. მაგრამ ისინი ცდებიან, ისევე როგორც ცდებოდნენ წინათ, ჩვენი რევოლუციის პირველი და მეორე ეტაპის პერიოდებში, როცა რევოლუციური მოძრაობის ყოველ უკუქცევას რევოლუციის განადგურებად მიიჩნევდნენ ხოლმე.

ასეთია რყევა რევოლუციის თვითეული ეტაპის შიგნით, თვითეული სტრატეგიული პერიოდის შიგნით.

რას მოწმობს ეს რყევა? ხომ არ მოწმობს იმას, რომ ლენინის დებულებამ მსოფლიო რევოლუციის ახალი ეპოქის შესახებ დაკარგა ან შეიძლება დაკარგოს თავისი მნიშვნელობა? რა თქმა უნდა, არა! ეს რყევა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ რევოლუცია ჩვეულებრივ ვითარდება არა პირდაპირი აღმავალი ხაზით, აღმავლობის განუწყვეტელი გაძლიერების წესით, არამედ ზიგზაგების გზით, შეტევათა და უკანდახევათა გზით, აზვირთება-უკუქცევის გზით, რაც

განვითარების მსვლელობაში აწრთობს რევოლუციის ძალებს და ამზადებს მის საბოლოო გამარჯვებას.

ასეთია რევოლუციის ახლანდელი უკუქცევის ხანის ისტორიული აზრი, დღევანდელი მიწყნარების ისტორიული აზრი.

მაგრამ რევოლუციის უკუქცევა საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. საქმის მეორე მხარე ის არის; რომ, ევროპაში რევოლუციის უკუქცევასთან ერთად, ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების სწრაფი ზრდა და მისი პოლიტიკური ძლიერების მატება. სხვანაირად რომ ვთქვათ, გვაქვს არა მარტო კაპიტალიზმის სტაბილიზაცია. ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს საბჭოთა წყობილების სტაბილიზაცია. ამრიგად, ჩვენ გვაქვს ორი სტაბილიზაცია: კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია და საბჭოთა წყობილების სტაბილიზაცია. ამ ორ სტაბილიზაციას შორის ერთგვარი დროებითი წონასწორობის მიღწევა — ასეთია ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანი.

მაგრამ რა არის სტაბილიზაცია? ხომ არ არის ეს ერთ წერტილზე გაყინვა, და, თუ სტაბილიზაცია ერთ წერტილზე გაყინვაა, შეიძლება თუ არა შევუფარდოთ იგი საბჭოთა წყობილებას? არა. სტაბილიზაცია არ ნიშნავს ერთ წერტილზე გაყინვას. სტაბილიზაცია არის არსებული მდგომარეობის განმტკიცება და შემდგომი განვითარება. მსოფლიო კაპიტალიზმმა არა მარტო ფეხი მოიკიდა ახლანდელი მდგომარეობის საფუძველზე. იგი წინ მიიწევს და შემდგომ ვითარდება, აფართოებს თავისი გავლენის სფეროს და ამრავლებს თავის სიმდიდრეს. მართალი არ არის, თითქოს კაპიტალიზმს არ შეეძლოს განვითარდეს, რომ კაპიტალიზმის ლპობის თეორია, რომელიც ლენინმა თავის «იმპერიალიზმში» [26] წამოაყენა, თითქოს გამორიცხავდეს კაპიტალიზმის განვითარებას. ლენინმა თავის ბროშურაში «იმპე-

რიალიზმის» შესახებ სავსებით დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმის ზრდა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს და ამზადებს კაპიტალიზმის პროგრესიულ ლპობას.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს ორი სტაბილიზაცია. ერთ პოლუსზე ხდება სტაბილიზაცია კაპიტალიზმისა, რომელიც განიმტკიცებს მიღწეულ მდგომარეობას და შემდგომ ვითარდება. მეორე პოლუსზე ხდება სტაბილიზაცია საბჭოთა წყობილებისა, რომელიც განიმტკიცებს დაპყრობილ პოზიციებს და წინ მიდის გამარჯვების გზით.

ვინ ვის — ეს არის თავიდათავი.

რატომ მიმდინარეობს ერთი სტაბილიზაცია მეორის პარალელურად, საიდან არის ეს ორი პოლუსი? იმიტომ, რომ ერთიანი და ყოვლისმომცველი კაპიტალიზმი მსოფლიოში აღარ არსებობს. იმიტომ, რომ მსოფლიო გათიშულია ორ ბანაკად — კაპიტალიზმის ბანაკად, ინგლის-ამერიკის კაპიტალის მეთაურობით, და სოციალიზმის ბანაკად, საბჭოთა კავშირის მეთაურობით. იმიტომ, რომ ამიერიდან საერთაშორისო მდგომარეობა სულ უფრო და უფრო განისაზღვრება ამ ორი ბანაკის ძალთა თანაფარდობით.

ამრიგად, ახლანდელი მომენტის დამახასიათებელია არა მარტო ის, რომ კაპიტალიზმისა და საბჭოთა წყობილების სტაბილიზაცია მოხდა, არამედ ისიც, რომ ამ ორი ბანაკის ძალებმა მიაღწიეს ერთგვარ დროებით წონასწორობას, ერთგვარი პლუსით კაპიტალისათვის და, მაშასადამე, ერთგვარი მინუსით რევოლუციური მოძრაობისათვის, ვინაიდან ახლანდელი მიწყნარება, რევოლუციურ აღმავლობასთან შედარებით, უეჭველი, თუმცა დროებითი, მინუსია სოციალიზმისათვის.

რა განსხვავებაა ამ ორ სტაბილიზაციას შორის? საით მივყავართ ერთ და საით — მეორე სტაბილიზაციას?

სტაბილიზაცია კაპიტალიზმის პირობებში დროებით აძლიერებს კაპიტალს და ამასთან ერთად უთუოდ იწვევს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებას: ა) სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის; ბ) თვითეული ქვეყნის მუშებსა და კაპიტალისტებს შორის; გ) იმპერიალიზმსა და ყველა ქვეყნის კოლონიურ ხალხებს შორის.

ხოლო სტაბილიზაცია საბჭოთა წყობილების პირობებში აძლიერებს სოციალიზმს და ამასთან ერთად უთუოდ იწვევს წინააღმდეგობათა შენელებას და ურთიერთობის გაუმჯობესებას: ა) ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატსა და გლეხობას შორის; ბ) პროლეტარიატსა და ჩაგრული ქვეყნების კოლონიურ ხალხებს შორის; გ) პროლეტარიატის დიქტატურასა და ყველა ქვეყნის მუშებს შორის.

საქმე ის არის, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია განვითარდეს მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერების, მშრომელთა უმრავლესობის ნახევრად-მშიერი არსებობის გარეშე, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგვრის გაძლიერების, მსოფლიო ბურჟუაზიის სხვადასხვა იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის კონფლიქტებისა და შეტაკებების გარეშე. საბჭოთა წყობილებასა და პროლეტარიატის დიქტატურას კი შეუძლიათ განვითარდნენ მხოლოდ მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის განუხრელი აღმავლობის პირობით, საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთა მდგომარეობის განუხრელი გაუმჯობესების პირობით, ყველა ქვეყნის მუშების პროგრესიული დაახლოებისა და გაერთიანების პირობით, პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის გარშემო კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა დარაზმვის პირობით.

კაპიტალიზმის განვითარების გზა არის გზა მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის გაღატაკებისა და ნახევრადმშიერი არსებობისა, როცა ამ მშრომელთა უმნიშვნელო ზედაფენა მოსყიდულია და ნასუფრალით იკვებება.

პროლეტარიატის დიქტატურის განვითარების გზა, პირიქით, არის მშრომელთა უდიდესი უმრავლესობის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის გზა.

სწორედ ამიტომ კაპიტალიზმის განვითარებას არ შეუძლია არ წარმოშვას კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამამწვავებელი პირობები. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმს არ ძალუძს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა.

რა თქმა უნდა, რომ არ არსებობდეს კანონი კაპიტალისტური განვითარების უთანაბრობისა, რაც კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის იწვევს კონფლიქტებსა და ომებს კოლონიებისათვის; კაპიტალიზმს რომ შეეძლოს განვითარდეს ისე, რომ კაპიტალები არ გაჰქონდეს ჩამორჩენილ ქვეყნებში, იაფი ნედლეულისა და მუშა-ხელის ქვეყნებში; «მეტროპოლიების» კაპიტალისტური დაგროვების ნამეტი რომ კაპიტალების გატანას კი არ ხმარდებოდეს, არამედ მიწათმოქმედების სერიოზულ განვითარებას და გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას; დასასრულ, ეს ნამეტი მუშათა კლასის მთელი მასის საარსებო დონის ამაღლებას რომ ხმარდებოდეს, — მაშინ ლაპარაკიც არ იქნებოდა კაპიტალიზმის პირობებში მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერებაზე, გლეხობის გაღატაკებაზე, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ჩაგვრის გაძლიერებაზე, კაპიტალისტებს შორის კონფლიქტებსა და ომებზე.

მაგრამ მაშინ კაპიტალიზმი ხომ კაპიტალიზმი არ იქნებოდა.

მთელი საქმე ის არის, რომ კაპიტალიზმი ვერ განვითარდება, თუ არ გაამწვავა ყველა ეს წინააღმდეგობა და

ამით არ დააგროვა პირობები, რომლებიც გააადვილებენ, საბოლოო ანგარიშით, კაპიტალიზმის დამხობას.

მთელი საქმე ის არის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, პირიქით, შემდგომ ვერ განვითარდება, თუ არ შექმნა პირობები, რომლებსაც უმაღლეს საფეხურზე აჰყავთ ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობა და რომლებიც პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას ამზადებენ.

ასეთია განსხვავება ორ სტაბილიზაციას შორის.

ეი რატომ ვერ იქნება კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ვერც ხანგრძლივი და ვერც მტკიცე.

კონკრეტულად განვიხილოთ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხი.

რაში გამოიხატა კონკრეტულად კაპიტალიზმის სტაბილიზაცია?

ჯერ-ერთი, იმაში, რომ ამერიკამ, ინგლისმა და საფრანგეთმა მოახერხეს დროებით მორიგებულიყვნენ გერმანიის გაძარცვის საშუალებათა და ზომის თაობაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ მოახერხეს მორიგება, რომელსაც ისინი გერმანიის დაუესიზაციას უწოდებენ. შეიძლება თუ არა ამ მორიგებას რამდენადმე მაინც მტკიცე მორიგება ეწოდოს? არა, არ შეიძლება. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ეს მორიგება მოხდა პატრონის, ე. ი. გერმანელი ხალხის გვერდის ავლით; მეორეც, იმიტომ, რომ ეს მორიგება გერმანელი ხალხისათვის მოასწავებს ორმაგ უღელს — ნაციონალური ბურჟუაზიის უღელს და უცხოელი ბურჟუაზიის უღელს. იმის ფიქრი, რომ ისეთი კულტურული ერი, როგორიც არის გერმანია, და ისეთი კულტურული პროლეტარიატი, როგორიც არის გერმანიის პროლეტარიატი, დათანხმდებიან აიტანონ ორმაგი უღელი რევოლუციური აფეთქების მთელი რიგი სერიოზული ცდების მოუხდენლად, — იმას ნიშნავს, რომ სასწაულები გწამდეს. ისეთი, არსებითად

რეაქციული, ფაქტიც კი, როგორიც არის პრეზიდენტად ჰინდენბურგის არჩევა[27], სავსებით უეჭველს ხდის, რომ გერმანიის წინააღმდეგ ანტანტის დროებითი მორიგება იმდენად არამტკიცეა, რომ პირდაპირ სასაცილოა.

მეორეც, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია გამოიხატა იმაში, რომ ინგლისის, ამერიკისა და იაპონიის კაპიტალმა მოახერხა დროებითი მორიგება ჩინეთში, საერთაშორისო კაპიტალის ამ უდიდეს ბაზარში, გავლენის სფეროების დაწესების, მისი გაძარცვის საშუალებათა თაობაზე. შეიძლება თუ არა ეს მორიგება რამდენადმე მაინც მტკიცედ ჩაითვალოს? ისევ და ისევ — არ შეიძლება. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მორიგებულნი გააფთრებით ეჩხუბებიან ერთმანეთს და კვლავაც იჩხუბებენ ნაძარცვის განაწილებისათვის; მეორეც, იმიტომ, რომ ეს მორიგება მოხდა ჩინელი ხალხის ზურგს უკან, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს და არც დაემორჩილება უცხოელ მძარცველთა კანონებს. განა ჩინეთში რევოლუციური მოძრაობის ზრდა იმას არ ნიშნავს, რომ უცხოელ იმპერიალისტთა მახინაციები განწირულია ჩასაფუშავად?

მესამეც, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია გამოიხატა იმაში, რომ მოწინავე ქვეყნების იმპერიალისტურმა ჯგუფებმა მოახერხეს დროებით მორიგებულიყვნენ «თავიანთი» კოლონიების ძარცვისა და ჩაგვრის საქმეში ურთიერთჩაურევლობის თაობაზე. შეიძლება თუ არა ეს მორიგება ან მორიგების ეს ცდა რამდენადმე მაინც მტკიცედ ჩაითვალოს? არა, არ შეიძლება. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ თვითეული იმპერიალისტური ჯგუფი ცდილობს და ეცდება თავის სასარგებლოდ წაჰგლიჯოს სხვისი კოლონიების ნაჭერი; მეორეც, იმიტომ, რომ იმპერიალისტური ჯგუფების ძალადობა და ჩაგვრითი პოლიტიკა კოლონიებში მხოლოდ აწრთობს და არევოლუციურებს ამ კოლონიებს

და მით ამწვავებს რევოლუციურ კრიზისს. იმპერიალისტები ცდილობენ «დააშოშმინონ» ინდოეთი, ალაგმონ ეგვიპტე, მოათვინიერონ მაროკო, ხელ-ფეხი შეუკრან ინდოჩინეთს, ინდონეზიას, რისთვისაც ყველა და ყოველნაირ ფანდსა და მახინაციას მიმართავენ. შესაძლოა, მათ ამ მხრივ ერთგვარ «შედეგებს» მიაღწიონ. მაგრამ არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ეს მახინაციები დიდხანს არ იკმარებს და არც შეიძლება იკმაროს.

მეოთხეც, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია შეიძლება იმაში გამოიხატოს, რომ მოწინავე ქვეყნების იმპერიალისტური ჯგუფები შეეცდებიან მორიგდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შესახებ. დავუშვათ, რომ მათ მოახერხეს ამ მორიგების შეკოწიწება. დავუშვათ, რომ მათ მოახერხეს რაღაც ერთიანი ფრონტის მსგავსი რამის შედგენა, ყველა და ყოველგვარი კომბინაციის, ისეთი თაღლითური სიყალბის გამოყენებითაც კი, როგორიც სოფიაში მომხდარ აფეთქებასთან [28] დაკავშირებით ჩაიდინეს, და სხვ. გვაქვს თუ არა საფუძველი ვიფიქროთ, რომ მორიგება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ან სტაბილიზაცია ამ დარგში, შეიძლება რამდენადმე მაინც მტკიცე, რამდენადმე მაინც წარმატებითი იყოს? მე ვფიქრობ, ამის საფუძველი არა გვაქვს. რატომ? ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ კაპიტალისტების ერთიანი ფრონტისა და გაერთიანებული შეტევის საფრთხე შექმნიდა უდიდეს სალტეს, რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანას უმაგალითოდ შეამჭიდროებდა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო და გადააქცევდა მას ურყევ ციხესიმაგრედ უფრო მეტად, ვიდრე ეს მოხდა, მაგალითად, «14 სახელმწიფოს» შემოსევის დროს. გაიხსენეთ საკმაოდ ცნობილი ჩერჩილის მუქარა 14 სახელმწიფოს შემოსევის შესახებ. თქვენ იცით, რომ საკმარისი გახდა ამ მუქარის გამოთქმა, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა გაერთიანებულიყო საბ-

ჭოთა ხელისუფლების გარშემო იმპერიალისტ მტაცებელთა წინააღმდეგ. მეორეც, იმიტომ, რომ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ლაშქრობა აუცილებლად გაბსნის მთელ რიგ რევოლუციურ კვანძებს მოწინააღმდეგეთა ზურგში, რღვევასა და დემორალიზაციას შეიტანს იმპერიალიზმის რიგებში. ხოლო ეს კვანძები რომ უამრავი დაგროვდა ამ ბოლო დროს და ისინი რომ კარგს არაფერს უქადიან იმპერიალიზმს,—ეს არა გვგონია საეჭვო იყოს. მესამეც, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა მარტო აღარ არის, ვინაიდან მას ჰყავს მოკავშირენი დასავლეთის მუშებისა და აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების სახით. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი მომასწავებელი იქნება იმპერიალიზმის ომისა თავისი საკუთარი მუშებისა და კოლონიების წინააღმდეგ. მე არ მჭირდება იმის მტკიცება, რომ, თუ ჩვენს ქვეყანას თავს დაესხნენ, ჩვენ გულხელდაკრეფილი არ გავჩერდებით, რომ ჩვენ ყოველგვარ ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ ავუშვათ რევოლუციის ლომი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ამ დარგში ჩვენ ერთგვარი გამოცდილება გვაქვს.

ასეთია ფაქტები და მოსაზრებანი, რომლებიც მოწმობენ, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არ შეიძლება მტკიცე იყოს, რომ ეს სტაბილიზაცია ნიშნავს ისეთი პირობების წარმოშობას, რომლებსაც მივყავართ კაპიტალიზმის დამარცხებისაკენ, რომ საბჭოთა წყობილების სტაბილიზაცია, პირიქით, ნიშნავს ისეთი პირობების განუხრელად დაგროვებას, რომლებსაც მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისაკენ, ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისა და სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

ორი სტაბილიზაციის, კაპიტალისტური სტაბილიზაციისა და საბჭოთა სტაბილიზაციის, ეს პრინციპული წინააღმდეგობა წარმოადგენს მეურნეობისა და მართვა-გამგეობის ორ სისტემას შორის, კაპიტალიზმის სისტემასა და სოციალიზმის სისტემას შორის არსებული წინააღმდეგობის გამოხატულებას.

ვისაც ეს წინააღმდეგობა ვერ გაუგია, იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად არსს.

ასეთია ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობის საერთო სურათი.

II

კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების მოკრიგი ამოცანები

გადავდივარ საკითხთა მეორე ჯგუფზე.

ახალ და თავისებურ მოვლენას კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების მდგომარეობაში ამჟამად წარმოადგენს ის, რომ რევოლუციის აზვირთების პერიოდი შეიცვალა მისი უკუქცევის პერიოდით, მიწყნარების პერიოდით. ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ ახლანდელი მიწყნარების პერიოდი კომუნისტური პარტიების განმტკიცებისათვის, მათი ბოლშევიზაციისათვის, მათი გადაქცევისათვის პროფკავშირებზე დაყრდნობილ ნამდვილად მასობრივ პარტიებად, პროლეტარიატის გარშემო არაპროლეტარულ კლასთა მშრომელი ელემენტების და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის დარაზმვისათვის, დასასრულ, რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის სულისკვეთებით პროლეტარების მომზადებისათვის.

მე არ შევუდგები დასავლეთის კომუნისტური პარტიების წინაშე მდგომ ყველა მორიგ ამოცანათა ჩამოთ-

ვლას. თუ წაიკითხავთ სათანადო რეზოლუციებს, განსაკუთრებით კომინტერნის გაფართოებული პლენუმის რეზოლუციას ბოლშევიზაციის შესახებ [29], არ გაგიჭირდებათ გაიგოთ, სახელდობრ რაში მდგომარეობს კონკრეტულად ეს ამოცანები.

მე მინდა შევჩერდე ძირითად ამოცანაზე, დასავლეთის კომუნისტური პარტიების იმ ამოცანაზე, რომლის გარკვევაც აადვილებს ყველა დანარჩენი მორიგი ამოცანის გადაჭრას.

რა ამოცანაა ეს?

ეს ამოცანა ის არის, რომ დასავლეთის კომუნისტური პარტიები მჭიდროდ შევაკავშიროთ პროფკავშირებთან. ეს ამოცანა ის არის, რომ განვავითაროთ და ბოლომდე მივიყვანოთ პროფმოძრაობის ერთიანობის კამპანია, რომ კომუნისტები აუცილებლად და უთუოდ ყველანი შევიდნენ პროფკავშირებში, გააჩაღონ იქ სისტემატური მუშაობა მუშების გასაერთიანებლად კაპიტალის საწინააღმდეგო ერთიან ფრონტად და, ამრიგად, შექმნან პირობები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ კომუნისტურ პარტიებს დაეყრდნონ პროფკავშირებს.

ამ ამოცანის განუხორციელებლად არ შეიძლება არც კომუნისტური პარტიების გადაქცევა ნამდვილ მასობრივ პარტიებად, არც პროლეტარიატის გამარჯვებისათვის აუცილებლად საჭირო პირობების მომზადება.

პროფკავშირები და პარტიები დასავლეთში ის როდია, რაც პროფკავშირები და პარტია ჩვენში, რუსეთში. პროფკავშირებისა და პარტიების ურთიერთობა დასავლეთში სრულებითაც არ ემთხვევა იმ ურთიერთობას, რაც ჩამოყალიბდა ჩვენში, რუსეთში. პროფკავშირები ჩვენში გაჩნდნენ მუშათა კლასის პარტიის შემდეგ და პარტიის გარშემო. ჩვენში პროფკავშირები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ,

როცა პარტია და მისი ორგანიზაციები უკვე ხელმძღვანელობდნენ მუშათა კლასის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ ბრძოლასაც, პატარა და სულ პატარა გაფიცვებსაც კი. უმთავრესად ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ავტორიტეტი, რითაც სარგებლობდა ჩვენი პარტია მუშებში თებერვლის რევოლუციამდე პროფკავშირთა იმ ჩანასახებთან შედარებით, რომლებიც მაშინ ჩვენში აქა-იქ არსებობდნენ. ნამდვილი პროფკავშირები ჩვენში მხოლოდ 1917 წლის თებერვლის შემდეგ გაჩნდნენ. უკვე ოქტომბრის წინ ჩვენ გვქონდა ჩამოყალიბებული პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მუშებში. ლენინი უკვე მაშინ ამბობდა, რომ ისეთი დასაყრდენის გარეშე, როგორიც პროფკავშირებია, არც პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვება შეიძლება და არც მისი შენარჩუნებაო. პროფკავშირები ჩვენში ყველაზე უფრო ძლიერ განვითარდნენ ძალაუფლების აღების შემდეგ, განსაკუთრებით ნეპის პირობებში. უეჭველია, რომ ახლა ჩვენი მძლავრი პროფკავშირები პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ. ჩვენი პროფკავშირების განვითარების ისტორიაში ყველაზე დამახასიათებელი ის არის, რომ ისინი წარმოიშვნენ, ვითარდებოდნენ და განმტკიცდნენ პარტიის შემდეგ, პარტიის გარშემო და პარტიასთან მეგობრობაში.

სულ სხვა პირობებში ვითარდებოდნენ პროფკავშირები დასავლეთ ევროპაში. ჯერ-ერთი, ისინი იქ წარმოიშვნენ და განმტკიცდნენ მუშათა კლასის პარტიის გაჩენამდე ბევრად ადრე. მეორეც, იქ პროფკავშირები კი არ განვითარდნენ მუშათა კლასის პარტიის გარშემო, არამედ, პირიქით, თვით მუშათა კლასის პარტიები წარმოიშვნენ პროფკავშირებისაგან. მესამეც, ვინაიდან ბრძოლის ეკონომიური სფერო, მუშათა კლასისათვის ყველაზე მახლობელი, უკვე იყო,

ასე ვთქვათ, დაპყრობილი პროფკავშირების მიერ, ამიტომ პარტიებს მოუხდათ ჩაბმულიყვნენ, უმთავრესად, საპარლამენტო პოლიტიკურ ბრძოლაში, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მათი მუშაობის ხასიათზე და მათს ხვედრით წონაზე მუშათა კლასის თვალში. და სწორედ იმიტომ, რომ პარტიები იქ პროფკავშირების შემდეგ წარმოიშვნენ, სწორედ იმიტომ, რომ პროფკავშირები პარტიებამდე ბევრად ადრე იშვნენ და, არსებითად, ისინი შეადგენდნენ პროლეტარიატის ძირითად ციხე-სიმაგრეებს მის ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ, — სწორედ ამიტომ პარტიები, როგორც ისეთი დამოუკიდებელი ძალები, რომელნიც არ ეყრდნობოდნენ პროფკავშირებს, უკანა რიგებში გადაწეული აღმოჩნდნენ.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თუ კომუნისტურ პარტიებს სურთ გახდნენ ნამდვილი მასობრივი ძალა, რომელსაც უნარი ექნება წინ წასწიოს რევოლუცია, მაშინ ისინი მჭიდროდ უნდა შეუკავშირდნენ პროფკავშირებს და მათ დაეყრდნონ.

დასავლეთში არსებული მდგომარეობის ეს თავისებურება რომ არ გაითვალისწინო, ეს იმას ნიშნავს, რომ დანამდვილებით დაღუპო კომუნისტური მოძრაობის საქმე.

იქ, დასავლეთში, ჯერ კიდევ მოიპოვებიან ცალკეული «კომუნისტები», რომლებსაც არ სურთ გაიგონ ეს თავისებურება და რომლებიც კვლავ ელოლიავებიან ანტიპროლეტარულ და ანტირევოლუციურ ლოზუნგს: «მივატოვოთ პროფკავშირებიო». უნდა ითქვას, რომ ვერავინ ისე ვერ ავნებს კომუნისტურ მოძრაობას დასავლეთში, როგორც ეს და მათი მსგავსი «კომუნისტები». ეს ადამიანები ფიქრობენ გარედან «მიიტანონ იერიში» პროფკავშირებზე, რადგან ისინი მტრულ ბანაკად მიაჩნიათ. მათ არ ესმით, რომ ასეთი პოლიტიკის დროს მუშები სწორედ ამ ადამიანებს მიიჩნე-

ვენ მტრებად. მათ არ ესმით, რომ ავია თუ კარგი ეს პროფკავშირები, მასობრივი მუშა მაინც მათ თვლის თავის ციხე-სიმაგრეებად, რომლებიც ხელს უწყობენ მას შეინარჩუნოს ხელფასი, სამუშაო დღე და სხვ. მათ არ ესმით, რომ ასეთი პოლიტიკა კი არ აადვილებს, არამედ ძირს უთხრის მუშათა კლასის მილიონიან მასებში კომუნისტების შეღწევის საქმეს.

«თქვენ იერიში მიგაქვთ ჩემს ციხე-სიმაგრეზე, — შეუძლია უთხრას ასეთ «კომუნისტებს» საშუალო მასობრივმა მუშამ, — თქვენ დანგრევას უპირებთ იმ საქმეს, რომელსაც მე ათეული წლების მანძილზე ვქმნიდი, და მიმტკიცებთ, კომუნიზმი სჯობია ტრედ-უნიონიზმსო. მე არ ვიცი, იქნებ თქვენ მართალიც იყოთ თქვენს თეორიულ მსჯელობაში კომუნიზმის შესახებ, — სად შემიძლია მე, უბრალო მუშას, გავერკვე თქვენს თეორიებში, — მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ მე მაქვს ჩემი პროფკავშირული ციხე-სიმაგრეები, ისინი მიმიძღოდნენ ბრძოლაში, ისინი მიცავდნენ — ავად იყო თუ კარგად — კაპიტალისტთა თავდასხმისაგან, და ყველა ის, ვინც ამ ციხე-სიმაგრეების დანგრევას აპირებს, ჩემს საკუთარ მუშურ საქმეს ანგრევს. თავი დაანებეთ ჩემს ციხე-სიმაგრეებზე იერიშის მოტანას, შემოდით პროფკავშირებში, იმუშავეთ აქ ხუთიოდე წელიწადი, ან კიდევ მეტიც, ხელი შეუწყეთ მათს გაუმჯობესებასა და განმტკიცებას, მე კი შეგხედავთ, რა ბიჭები ხართ, და, თუ მართლაც შესაფერისი ბიჭები გამოდგებით, რა თქმა უნდა, მხარდაჭერაზე უარს არ გეტყვითო» და ა. შ.

ასე ან დაახლოებით ასე ხვდება დასავლეთის ახლანდელი საშუალო მასობრივი მუშა ანტიპროფესიონალისტებს.

ვისაც ევროპის საშუალო მუშის ფსიქოლოგიის ეს თავისებურება ვერ გაუგია, ის ვერაფერს გაიგებს ჩვენი კომუნისტური პარტიების დღევანდელ მდგომარეობაში.

რა წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიის ძალას დასავლეთში?

ის, რომ იგი პროფკავშირებს ეყრდნობა.

რა წარმოადგენს ჩვენი კომუნისტური პარტიების სისუსტეს დასავლეთში?

ის, რომ ისინი ჯერ კიდევ მჭიდროდ არ შეჰკავშირებიან, ხოლო ამ კომუნისტური პარტიების ზოგიერთ ელემენტს არ სურს შეუკავშირდეს პროფკავშირებს.

ამიტომ დასავლეთის კომუნისტური პარტიების ძირითადი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ განავითარონ და ბოლომდე მიიყვანონ პროფმოძრაობის ერთიანობის კამპანია, რომ კომუნისტები უკლებლივ ყველანი შევიდნენ პროფკავშირებში, გააჩაღონ იქ სისტემატური, მოთმინებით აღსავსე მუშაობა კაპიტალის წინააღმდეგ მუშათა კლასის დასარაზმავად და, ამრიგად, მიაღწიონ იმას, რომ კომუნისტურმა პარტიებმა შესძლონ პროფკავშირებს დაეყრდნონ.

ასეთია დედააზრი კომინტერნის გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილებებისა დასავლეთის კომუნისტური პარტიების ახლანდელი მორიგი ამოცანების შესახებ.

III

კაპიტალისტური და დამოკიდებული ქვეყნების კომუნისტური ელემენტების მორიგი ამოცანები

გადავდივარ საკითხთა მესამე ჯგუფზე.

ამ დარგში ახალია შემდეგი:

ა) მოწინავე ქვეყნებიდან ჩამორჩენილ ქვეყნებში კაპიტალის გაძლიერებული გატანის გამო, რასაც ხელს

უწყობს კაპიტალიზმის სტაბილიზაცია, კაპიტალიზმი კოლონიურ ქვეყნებში ვითარდება და კვლავაც განვითარდება სწრაფი ტემპით, ამსხვრევს რა სოციალურ-პოლიტიკური პირობების ძველ ფორმებს და ნერგავს ახალს;

ბ) პროლეტარიატი ამ ქვეყნებში იზრდება და კვლავაც გაიზრდება გაძლიერებული ტემპით;

გ) იზრდება და კვლავაც გაიზრდება მუშათა რევოლუციური მოძრაობა და რევოლუციური კრიზისი კოლონიებში;

დ) ამასთან დაკავშირებით იზრდებიან და კვლავაც გაიზრდებიან ნაციონალური ბურჟუაზიის განსაზღვრული, ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი ფენები, რომლებსაც თავიანთ ქვეყანაში რევოლუციისა უფრო ეშინიათ, ვიდრე იმპერიალიზმისა; ამიტომ ისინი უმჯობესად ჩათვლიან იმპერიალიზმთან შეთანხმებას, ვიდრე იმპერიალიზმისაგან თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებას და, ამრიგად, უღალატებენ თავიანთ საკუთარ სამშობლოს (ინდოეთი, ეგვიპტე და სხვ.);

ე) ყოველივე ამის გამო ამ ქვეყნების განთავისუფლება იმპერიალიზმისაგან შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემთანხმებელი ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლით;

ვ) მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ მრეწველობის მხრივ განვითარებულ და განვითარების გზაზე მდგომ კოლონიებში მუშების და გლეხების კავშირისა და პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხი აქტუალური საკითხი უნდა გახდეს, ისევე, როგორც იგი აქტუალური გახდა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ 1905 წელს.

დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ აღმოსავლეთზე ჩვეულებრივ ლაპარაკობდნენ როგორც მთლიან და ერთსახოვან ქვეყანაზე. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ

ერთიანი, ერთსახოვანი აღმოსავლეთი აღარ არსებობს, რომ ახლა არსებობენ კაპიტალისტურად განვითარებული და ასეთი განვითარების გზაზე მდგომი კოლონიები და ჩამორჩენილი და ჩამორჩენის პროცესში მყოფი კოლონიები, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთნაირი საზომით მივუდგეთ.

დღემდე ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ისე წარმოედგინათ, რომ იგი მიაჩნდათ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ყველა ნაციონალური ძალების მთლიან ფრონტად — უკიდურესი რეაქციონერი ბურჟუებიდან უკიდურეს რევოლუციონერ პროლეტარებამდე. ახლა, მას შემდეგ, რაც ნაციონალური ბურჟუაზია რევოლუციურ და ანტირევოლუციურ ფრთად გაითიშა, ნაციონალური მოძრაობის სურათი რამდენადმე სხვა სახეს იღებს. ნაციონალური მოძრაობის რევოლუციურ ელემენტებთან ერთად ბურჟუაზიაში ჩნდებიან შემთანხმებლური, რეაქციული ელემენტები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს იმპერიალიზმთან გარიგებას ამჯობინებენ.

აქედან გამომდინარეობს კოლონიური ქვეყნების კომუნისტური ელემენტების ამოცანა: მჭიდროდ შეუკავშირდნენ ბურჟუაზიის რევოლუციურ ელემენტებს, უწინარეს ყოვლისა — გლეხობას, იმპერიალიზმისა და «თავისი» ბურჟუაზიის შემთანხმებლური ელემენტების ბლოკის წინააღმდეგ იმისათვის, რომ პროლეტარიატის მეთაურობით გააჩალონ ნამდვილი რევოლუციური ბრძოლა იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის.

დასკვნა ერთია: მთელი რიგი კოლონიური ქვეყნები ამჟამად უახლოვდებიან თავიანთ 1905 წელს.

ამოცანა ის არის, რომ დავრაზმოთ კოლონიური ქვეყნების მუშათა მოწინავე ელემენტები ერთიან კომუნისტურ

პარტიად, რომელსაც უნარი ექნება უხელმძღვანელოს მზარდ რევოლუციას.

აი რას ამბობდა ლენინი ჯერ კიდევ 1922 წელს კოლონიურ ქვეყნებში მზარდი რევოლუციური მოძრაობის შესახებ:

«პირველ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტაში ახლანდელ «გამარჯვებულთ» ისიც კი არ ძალუძთ, რომ პატარა, უმნიშვნელოდ პატარა ირლანდია დაამარცხონ, ისიც კი არ ძალუძთ, რომ დასძლიონ ის არევდარევა, რაც თვით მათ შორის ფინანსებისა და ვალუტის საკითხებში შეიქმნა. ინდოეთი და ჩინეთი კი ბობოქრობენ. ეს 700 მილიონზე მეტი კაცია. ეს, თუ ახლომახლო და სავსებით მათ მსგავს აზიის ქვეყნებს დავუმატებთ, დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტია. იქ ახლოვდება, შეუკავებლად და სულ უფრო სწრაფად ახლოვდება, 1905 წელი, — იმ არსებითი და უდიდესი განსხვავებით, რომ 1905 წელს რევოლუცია რუსეთში კიდევ შეიძლებოდა მომხდარიყო (დასაწყისში მაინც) იზოლირებულად, ე. ი. ისე, რომ ერთბაშად არ ჩაება რევოლუციაში სხვა ქვეყნები. ხოლო ინდოეთი და ჩინეთი, სადაც რევოლუცია ძლიერდება, უკვე ამჟამად ებმიან და ჩაებნენ რევოლუციურ ბრძოლაში, რევოლუციურ მოძრაობაში, საერთაშორისო რევოლუციაში» (იხ. ტ. XXVII, გვ. 293).

კოლონიური ქვეყნები თავიანთი 1905 წლის წინაშე დგანან — ასეთია დასკვნა.

ასეთივეა კომინტერნის გაფართოებული პლენუმის მიერ კოლონიურ საკითხზე მიღებული რეზოლუციების აზრიც.

IV

სოციალიზმის გედის შესახებ საბჭოთა კავშირში

გადავდივარ საკითხთა მეოთხე ჯგუფზე.

აქამდე მე ვლაპარაკობდი ჩვენი პარტიული კონფერენციის რეზოლუციებზე იმ საკითხების გამო, რომლებიც უშუალოდ კომინტერნს ეხება. ახლა ჩვენ გადავდივართ იმ საკითხებზე, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება

აქვთ როგორც კომინტერნთან, ისე რუსეთის კომპარტიასთან (ბ) და რომლებიც, ამრიგად, წარმოადგენენ შემაერთებელ რგოლს საგარეო და საშინაო საკითხებს შორის.

რა გავლენა უნდა მოახდინოს კაპიტალიზმის დროებითმა სტაბილიზაციამ სოციალიზმის ბედზე ჩვენს ქვეყანაში? ხომ არ არის ეს სტაბილიზაცია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის დასასრული ან დასასრულის დასაწყისი?

შეიძლება თუ არა, საერთოდ, საკუთარი ძალებით ავაშენოთ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ტექნიკურ-ეკონომიურად ჩამორჩენილია, იმ პირობებში, თუ სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმი მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დარჩება?

შეიძლება თუ არა შეიქმნას სრული გარანტია ინტერვენციის და, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში ძველი წესწყობილების რესტავრაციის საფრთხის წინააღმდეგ, როცა არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, თანაც ამჟამად სტაბილიზებული?

ყოველივე ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც გარდუვალად დგება ჩვენს წინაშე საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში შექმნილ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით და რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით მათზე ზუსტი და გარკვეული პასუხის გაუცემლად.

ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს წინააღმდეგობათა ორ ჯგუფს. წინააღმდეგობათა ერთი ჯგუფია შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებობენ. წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფია საგარეო წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობენ ჩვენს ქვეყანასა, როგორც სოციალიზმის ქვეყანასა, და ყველა დანარჩენ ქვეყნებს, როგორც კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის.

ცალ-ცალკე განვიხილოთ წინააღმდეგობათა ორივე ეს ჯგუფი.

პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ერთგვარი წინააღმდეგობანი რომ არსებობენ, — ამის უარყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. საკმარისია გავიხსენოთ ყოველივე ის, რაც ჩვენში ხდებოდა და ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების პოლიტიკასთან დაკავშირებით, ლიმიტებთან დაკავშირებით, ფაბრიკატების ფასების დაკლების კამპანიასთან დაკავშირებით და სხვ., რომ გავიგოთ ამ წინააღმდეგობათა მთელი რეალობა. ორი ძირითადი კლასი დგას ჩვენს წინაშე: პროლეტართა კლასი და კერძო მესაკუთრეთა, ე. ი. გლეხობის კლასი. აქედან წარმოსდგება მათ შორის წინააღმდეგობათა აუცილებლობა. მთელი საკითხი ის არის, შეგვიძლია თუ არა ჩვენი საკუთარი ძალებით დავძლიოთ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებული ეს წინააღმდეგობანი. როცა ამბობენ: შეიძლება თუ არა საკუთარი ძალებით სოციალიზმის აშენებაო? — ამით სურთ თქვან: შესაძლებელია თუ არა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევა?

ლენინიზმი დადებით პასუხს იძლევა ამ კითხვაზე: დიახ, ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმი, და ჩვენ მას ავაშენებთ გლეხობასთან ერთად, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

სად არის ასეთი პასუხის საფუძველი, მოტივები?

ასეთი პასუხის მოტივები იმაში მდგომარეობს, რომ, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა გარდა, არის კიდევ საერთო ინტერესები განვითარების ძირითად საკითხებში, რომლებიც ფარავენ და, ყოველ შემთხვევაში, შეუძლიათ დაფარონ ეს წინააღმდე-

გობანი და რომლებიც წარმოადგენენ მუშათა და გლეხთა კავშირის ბაზას, საფუძველს.

რაში მდგომარეობს ეს საერთო ინტერესები?

საქმე ის არის, რომ არსებობს მიწათმოქმედების განვითარების ორი გზა: კაპიტალისტური გზა და სოციალისტური გზა. კაპიტალისტური გზა ნიშნავს ისეთ განვითარებას, რომელიც გულისხმობს გლეხობის უმრავლესობის გაღატაკებას ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიის ზედაფენების გასამდიდრებლად. სოციალისტური გზა, პირიქით, ნიშნავს ისეთ განვითარებას, როდესაც გლეხობის უმრავლესობის კეთილდღეობა განუხრელად იზრდება. როგორც პროლეტარიატი, ისე, განსაკუთრებით, გლეხობა დაინტერესებულია იმით, რომ განვითარება წარიმართოს მეორე გზით, სოციალისტური გზით. ვინაიდან ეს გზა წარმოადგენს გლეხობის ერთადერთ ხსნას გაღატაკებისა და ნახევრად-მშიერი არსებობისაგან. რაღა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც ხელთ უპყრია მეურნეობის ძირითადი ძაფები, ყოველგვარ ზომას მიიღებს იმისათვის, რომ გაიმარჯვოს მეორე გზამ, სოციალისტურმა გზამ. მეორე მხრივ, თავისთავად ცხადია, რომ გლეხობა უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ განვითარება ამ მეორე გზით წარიმართოს.

აქედან გამომდინარეობს პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესთა ერთობა, რაც ფარავს მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებს.

აი რატომ ამბობს ლენინიზმი, რომ ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ და უნდა ავაშენოთ კიდეც სრული სოციალისტური საზოგადოება გლეხობასთან ერთად, მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე.

აი რატომ ამბობს ლენინიზმი, პროლეტართა და გლეხთა საერთო ინტერესებზე დაყრდნობით, რომ ჩვენ შეგ-

ვიძლია საკუთარი ძალებით დავძლიოთ და უნდა დავძლიოთ კიდეც პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ასე უყურებს ამ საქმეს ლენინიზმი.

მაგრამ, ეტყობა, ყველა ამხანაგი როდი ეთანხმება ლენინიზმს. აი რას ამბობს, მაგალითად, ტროცკი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა საკითხზე:

«მუშათა მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, შეიძლება გადაიჭრას **მხოლოდ** * საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე» (იხ. წინასიტყვაობა ტროცკის წიგნისა «1905 წელი»).

სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ არ შეგვიძლია, არ ძალგვიძს საკუთარი ძალებით დავძლიოთ და ამოვწუროთ შინაგანი წინააღმდეგობანი ჩვენს ქვეყანაში, წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ვინაიდან მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის შედეგად და მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის საფუძველზე შევძლებთ, თურმე, ამოვწუროთ ეს წინააღმდეგობანი და ავაშენოთ, ბოლოს, სოციალიზმი.

რაღა თქმა უნდა, ამ დებულებას ლენინიზმთან საერთო არა აქვს რა.

იგივე ტროცკი შემდეგ განაგრძობს:

«ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას და ვერ გადააქცევს თავის დროებით ბატონობას ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად. ამაში დაეჭვება ერთ წუთსაც არ შეიძლება» (იხ. ტროცკის «ჩვენი რევოლუცია», გვ. 278).

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

სხვანაირად რომ ვთქვათ, სანამ დასავლეთის პროლეტარიატი ძალაუფლებას არ აიღებს და სახელმწიფოებრივ დახმარებას არ გაგვიწევს, ჩვენ ოცნებაც არ შეგვიძლია ძალაუფლების რამდენადმე მაინც ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნებაზე.

შემდეგ:

«უიმედოა იმის ფიქრი, — ...რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას» (იხ. ტროცკის თხზ., ტ. III, ნაწილი I, გვ. 90).

სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ, თურმე, არა თუ არ შეგვიძლია სოციალიზმი ავაშენოთ, არამედ მცირე ხანსაც კი ვერ გავუმკლავდებით «კონსერვატიულ ევროპას», თუმცა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩვენ არა მარტო გავძელით, არამედ კიდევაც მოვიგერიეთ კონსერვატიული ევროპის მთელი რიგი გააფთრებული იერიშები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

და ბოლოს:

«სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში, — ამბობს ტროცკი, — შესაძლებელი გახდება **მხოლოდ მას შემდეგ** *, რაც პროლეტარიატი **გაიმარჯვებს** * ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში» (იხ. იქვე, გვ. 93).

თითქოს ნათელია.

მე, ამხანაგებო, ეს ციტატები იმისათვის მოვიყვანე, რომ დავუპირდაპირო ისინი ციტატებს ლენინის თხზულებებიდან და, ამრიგად, საშუალება მოგცეთ ჩასწვდეთ კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცულ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის საკითხის ძირითად არსს.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

გადავიდეთ ახლა ციტატებზე ლენინის თხზულებებიდან.

აი რას წერდა ლენინი ჯერ კიდევ 1915 წელს იმპერიალისტური ომის დროს:

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, **დაუპირისპირდებოდა** დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების ჩაგრულ კლასებს, აჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ»... ვინაიდან «შეუძლებელია სოციალიზმში ერების თავისუფალი გაერთიანება ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232 — 233).

სხვანაირად რომ ვთქვათ, კაპიტალისტების მიერ გარშემორტყმულ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანას, თურმე, შეუძლია არა მარტო საკუთარი ძალებით ამოწუროს შინაგანი წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, არამედ მას შეუძლია ააშენოს და კიდევაც უნდა ააშენოს სოციალიზმი, მოაწყოს სოციალისტური მეურნეობა და შექმნას შეიარაღებული ძალა იმისათვის, რომ დაეხმაროს მეზობელი ქვეყნების პროლეტარებს მათს ბრძოლაში კაპიტალის დასამხობად.

ასეთია ლენინიზმის ძირითადი დებულება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

ამასვე ამბობს ლენინი, თუმცა რამდენადმე სხვა ფორმით, 1920 წელს საბჭოების VIII ყრილობაზე, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საკითხთან დაკავშირებით:

«კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა დარჩება წვრილ-გლეხურ ქვეყნად, და საჭირო ეს ნათლად შევიგნოთ. ჩვენ უფრო სუსტი ვართ, ვიდრე კაპიტალიზმი, არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ ქვეყნის შიგნითაც. ეს ყველასათვის ცნობილია. ჩვენ ეს შევიგნეთ, და საქმეს იქამდე მივიყვანთ, რომ სამეურნეო ბაზა წვრილ-გლეხურიდან მსხვილ-სამრეწველო ბაზად იქცეს. მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკური ბაზა შეექმნება, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ **საბოლოოდ *»** (იხ. ტ. XXVI, გვ. 46 — 47).

სხვანაირად რომ ვთქვათ, ლენინს სავსებით შეგნებული აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ტექნიკური სიძნელენი, მაგრამ მას სრულებითაც არ გამოჰყავს აქედან აბსურდული დასკვნა იმის შესახებ, რომ «სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში», არამედ მიაჩნია, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი საკუთარი ძალებით დავძლიოთ ეს სიძნელენი იმისათვის, რომ მივაღწიოთ «საბოლოო გამარჯვებას», ე. ი. სრული სოციალიზმის აშენებას.

ხოლო აი რას ამბობს ლენინი ერთი წლის შემდეგ, 1921 წელს:

«10 — 20 წელი სწორი ურთიერთობისა გლეხობასთან — და უზრუნველყოფილია გამარჯვება **მსოფლიო მასშტაბით** * (თუნდაც რომ მოაგვიანდეთ პროლეტარულ რევოლუციებს, რომლებიც მწიფდება)» («გეგმა და კონსპექტები ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ»», 1921 წ. — იხ. ტ. XXVI, გვ. 313).

სხვანაირად რომ ვთქვათ, ლენინს სავსებით შეგნებული აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების პოლიტი-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

კური სიძნელენი, მაგრამ მას სრულებითაც არ გამოჰყავს აქედან არასწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ «ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას», არამედ მიაჩნია, რომ გლეხობის მიმართ სწორი პოლიტიკის პირობებში ჩვენ სავსებით შეგვიძლია მოვიპოვოთ «გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით» სრული სოციალიზმის აშენების მხრივ.

ხოლო რა არის სწორი პოლიტიკა გლეხობის მიმართ? სწორი პოლიტიკა გლეხობის მიმართ არის ისეთი რამ, რაც მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია ჩვენზე და მხოლოდ ჩვენზე, როგორც პარტიაზე, რომელიც ხელმძღვანელობს სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

ამასვე, მაგრამ კიდევ უფრო მეტი გარკვეულობით, ამბობს ლენინი 1922 წელს თავის შენიშვნებში კოოპერაციის შესახებ:

«მართლაც, სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციისაგან, მარტოოდენ კოოპერაციისაგან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, **განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის?** * ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის **ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმარისია** * ამ აშენებისათვის» (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

სხვანაირად რომ ვთქვათ, პროლეტარიატის დიქტატურის დროს ჩვენ, თურმე, გვაქვს ყველა მონაცემი, რაც

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

აუცილებელია იმისათვის, რომ ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, დავძლიოთ ყველა და ყოველგვარი შინაგანი სიძნელენი, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია დავძლიოთ და კიდევაც უნდა დავძლიოთ ისინი ჩვენი საკუთარი ძალებით.

თითქოს ნათელია.

ლენინს იერიში მიაქვს იმ საწინააღმდეგო მოსაზრებაზე, თითქოს ჩვენი ქვეყნის შედარებითი ეკონომიური ჩამორჩენილობა გამორიცხავდეს სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, და ამსხვრევს ამ მოსაზრებას, როგორც სოციალიზმთან შეუთავსებელ რამეს:

«უსაზღვროდ შაბლონურია მათი საბუთი, — ამბობს ლენინი, — რომელიც დაუზეპირებიათ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს, და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სოციალიზმისათვის არ მოვმწიფებულვართ, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ამბობენ სხვადასხვა «სწავლული» ვაჟბატონები მათი წრიდან, ობიექტური ეკონომიური წინაპირობები სოციალიზმისათვის» (იხ. ტ. XXVII, გვ. 399).

წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროც არ იყო ძალაუფლების აღება ოქტომბერში და ოქტომბრის რევოლუციის მოწყობა. ვინაიდან თუ სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა და აუცილებლობა გამორიცხულია ამა თუ იმ მოსაზრებით, ამით თვით ოქტომბრის რევოლუციასაც აზრი ეკარგება. ვინც უარყოფს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, მან აუცილებლად უნდა უარყოს ოქტომბრის რევოლუციის კანონზომიერებაც. და პირიქით: ვისაც ოქტომბერი არა სწამს, იგი არ უნდა ცნობდეს კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. ოქტომბრისადმი ურწმენობასა და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ შესაძლებლობათა არცნობას შორის სრული და უშუალო კავშირია.

«მე ვიცი, — ამბობს ლენინი, — მოიპოვებიან, რასაკვირველია, ბრძენები, რომლებსაც თავი ძალიან ჰკვიან ადამიანებად მიაჩნიათ და სოციალისტებსაც კი უწოდებენ თავიანთ თავს, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ არ უნდა აგვეღო ძალაუფლება მანამდე, სანამ რევოლუცია ყველა ქვეყანაში არ გაჩაღდებოდა. ისინი ვერ მიმხვდარან, რომ, როცა ასე ლაპარაკობენ, ამით რევოლუციას შორდებიან და ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან. დაცდა მანამდე, სანამ მშრომელი კლასები რევოლუციას მოახდენენ საერთაშორისო მასშტაბით, — ეს იმას ნიშნავს, რომ ყველანი გაიყინონ მოლოდინში. ეს უაზრობაა» (იხ. ტ. XXIII, გვ. 9).

ასეთია საქმის ვითარება პირველი რიგის წინააღმდეგობათა, შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობათა მხრივ, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხის მხრივ.

ახლა გადავიდეთ მეორე რიგის წინააღმდეგობებზე, საგარეო წინააღმდეგობებზე, რომლებიც არსებობენ ჩვენს ქვეყანასა, როგორც სოციალიზმის ქვეყანასა, და ყველა დანარჩენ ქვეყნებს, როგორც კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის.

რაში მდგომარეობენ ეს წინააღმდეგობანი?

ეს წინააღმდეგობანი მდგომარეობენ იმაში, რომ, სანამ არის კაპიტალისტური გარემოცვა, უნდა იყოს კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ ინტერვენციის საფრთხეც, ხოლო სანამ ასეთი საფრთხე არსებობს, უნდა არსებობდეს რესტავრაციის საფრთხეც, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენის საფრთხე.

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ ამ წინააღმდეგობათა დაძლევა სავსებით შეუძლია ერთ ქვეყანას? არა, არ შეიძლება. ვინაიდან ერთი ქვეყნის ძალღონე, თუნდაც რომ ეს ქვეყანა პროლეტარული დიქტატურის ქვეყანას წარმოადგენდეს, არ კმარა იმისათვის, რომ იგი სავსებით გარანტირებული იყოს ინტერვენციის საფრთხისაგან. ამიტომ ინტერვენციისაგან სრული გარანტია და, მაშასადამე, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაც შესაძლებელია მხოლოდ სა-

ერთაშორისო მასშტაბით, მხოლოდ მთელი რიგი ქვეყნების პროლეტარების ერთობლივ ღონისძიებათა შედეგად, ან — უკეთ — მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის პროლეტართა გამარჯვების შედეგად.

რა არის სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება?

სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება არის სრული გარანტია ინტერვენციის და, მაშასადამე, რესტავრაციის ცდებისაგან, ვინაიდან რესტავრაციის რამდენადმე მაინც სერიოზული ცდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარედან სერიოზული დახმარებით, მხოლოდ საერთაშორისო კაპიტალის დახმარებით. ამიტომ ჩვენი რევოლუციისადმი ყველა ქვეყნის მუშების დახმარება, და მით უმეტეს ამ მუშების გამარჯვება თუნდაც რამდენიმე ქვეყანაში, წარმოადგენს იმის აუცილებელ პირობას, რომ პირველი გამარჯვებული ქვეყანა სავსებით გარანტირებული იყოს ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდებისაგან, წარმოადგენს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების აუცილებელ პირობას.

«სანამ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა, — ამბობს ლენინი, — მთელი კაპიტალისტური სამყაროს განმარტოებულ განაპირა მხარედ დარჩება, მანამდე ფიქრი... ამა თუ იმ საფრთხის გაქრობაზე ყოვლად სასაცილო ფანტაზიორობა და უტოპიზმი იქნებოდა. რა თქმა უნდა, სანამ ასეთი ძირითადი წინააღმდეგობანი დარჩნენ, — რჩება საფრთხეც, და მას ვერსად გაექცევი» (იხ. ტ. XXVI, გვ. 29).

და შემდეგ:

«ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ **სახელმწიფოთა სისტემაშიც**, და საბჭოთა რესპუბლიკის ხანგრძლივად არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოს და ბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე» (იხ. ტ. XXIV, გვ. 122).

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«საბოლოო გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით და მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშების საერთო ღონისძიებებით» (იხ. ტ. XXIII, გვ. 9).

ასეთია საქმის ვითარება მეორე რიგის წინააღმდეგობათა მხრივ.

ვინც ერთმანეთში ურევს პირველი ჯგუფის წინააღმდეგობებს, რომელთა დაძლევაც სავსებით შესაძლებელია ერთი ქვეყნის ძალღონით, და მეორე ჯგუფის წინააღმდეგობებს, რომელთა გადასაჭრელადაც საჭიროა რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების ძალღონე, — ის ყოვლად უხეშ შეცდომას სჩადის ლენინიზმის წინაალმდეგ, ის ან გზააბნეულია, ან გამოუსწორებელი ოპორტუნისტი.

ასეთი თავგზააბნეულობის ერთგვარ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ერთი ამხანაგის მიერ ამა წლის იანვარში ჩემს სახელზე გამოგზავნილი წერილი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის შესახებ. იგი გაკვირვებული იწერება:

«თქვენ ამბობთ, რომ ლენინური თეორია... იმაში მდგომარეობს, რომ **სოციალიზმს შეუძლია ერთ ქვეყანაში გაიმარჯვოს.** მე, სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე ლენინის შრომების სათანადო ადგილებში მითითებანი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ».

უბედურება, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ ამ ამხანაგმა, რომელიც მე მიმაჩნია ერთ-ერთ საუკეთესო ამხანაგად ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობაში, «ვერ იპოვა ლენინის შრომების სათანადო ადგილებში მითითებანი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ». მოვა დრო, როცა ის წაიკითხავს და იპოვის, ბოლოს, ასეთ მითითებებს. უბედურება ის არის, რომ მან ერთმანეთში აურია შინაგანი წინააღმდეგობანი და საგარეო წინააღმდეგობანი და საბოლოოდ აებნა თავგზა ამ ალრევაში. იქნებ ზედმეტი არ იყოს გაგაცნოთ ჩემი პასუხი ამ ამხანაგის წერილზე. აი ეს პასუხი:

«ლაპარაკია არა **სრულ** გამარჯვებაზე, არამედ სოციალიზმის გამარჯვებაზე საერთოდ, ე. ი. იმაზე, რომ განვდევნოთ მემამულეები

და კაპიტალისტები, ავიღოთ ძალაუფლება, მოვიგერიოთ იმპერიალიზმის იერიშები და დავიწყოთ სოციალისტური მეურნეობის შენება, — ყოველივე ეს შეიძლება სავსებით მოახერხოს პროლეტარიატმა ერთ ქვეყანაში, მაგრამ რესტავრაციისაგან სრული გარანტია შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ «რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების საერთო ღონისძიებათა» შედეგად.

სისულელე იქნებოდა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის დაწყება იმ რწმენით, რომ რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატი, შეშინ როცა სხვა ქვეყნების პროლეტარები აშკარად თანაუგრძნობენ მას, მაგრამ მოპოვებული არ არის გამარჯვება რამდენიმე ქვეყანაში, «ვერ გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას». ეს მარქსიზმი კი არ არის, არამედ სავსებით ჩვეულებრივი ოპორტუნიზმია, ტროცკიზმია და ყველაფერი რაც გნებავთ. ტროცკის თეორია რომ სწორი იყოს, მართალი არ იქნებოდა ილიჩი, რომელიც ამტკიცებს, რომ ნეპურ რუსეთს გადავაქცევთ სოციალისტურ რუსეთად, რომ ჩვენ მოგვეპოვება «**ყველაფერი**, რაც აუცილებელია **სრული** სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის» * (იხ. «კოოპერაციის შესახებ»)...

ჩვენს პოლიტიკურ პრაქტიკაში ყველაზე საშიშია იმის ცდა, რომ გამარჯვებული პროლეტარული ქვეყანა განვიხილოთ როგორც რაღაც პასიური რამ, რომელსაც უნარი შესწევს მხოლოდ ერთი ადგილი ტკეპნოს იმ მომენტამდე, სანამ გაჩნდებოდეს დახმარება სხვა ქვეყნების გამარჯვებული პროლეტარების მხრივ. დავუშვათ, რომ რუსეთში საბჭოთა წყობილების არსებობის ხუთი-ათი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ არ მოხდა რევოლუცია დასავლეთში; დავუშვათ, რომ ამ პერიოდში ჩვენმა რესპუბლიკამ მაინც იარსება როგორც საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელიც აშენებს სოციალისტურ ეკონომიკას ნეპის პირობებში, — ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ ამ ხუთი-ათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციას კი არ შეუდგება, არამედ წყლის ნაყვას დასჯერდება? საკმარისია დავსვათ ეს კითხვა, რომ გავიგოთ, თუ რამდენად საშიშია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების უარყოფის თეორია.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ეს გამარჯვება სრული, საბოლოო იქნება? არა, არ ნიშნავს.., ვინაიდან, სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ყოველთვის იქნება სამხედრო ინტერვენციის საფრთხე». (1925 წლის იანვარი).

---

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბედის საკითხის მხრივ ჩვენი პარტიის XIV კონფერენციის ცნობილი რეზოლუციის თვალსაზრისით.

V

პარტიის პოლიტიკა სოფლად

გადავდივარ საკითხთა მეხუთე ჯგუფზე.

სანამ გადავიდოდე XIV კონფერენციის იმ რეზოლუციებზე, რომლებიც ეხება პარტიის პოლიტიკას სოფლად, მინდა რამდენიმე სიტყვით შევჩერდე იმ ხმაურზე, რაც ბურჟუაზიულმა პრესამ ატეხა სოფლად ჩვენი საკუთარი ნაკლოვანებების იმ კრიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენმა პარტიამ გააჩაღა. ბურჟუაზიული პრესა სიხარულით ცას სწვდება და ყველას და ყოველივეს არწმუნებს, რომ ჩვენი საკუთარი ნაკლოვანებების აშკარა კრიტიკა საბჭოთა ხელისუფლების სისუსტის ნიშანია, მისი გახრწნისა და დაშლის ნიშანია. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ეს ხმაური თავიდან ბოლომდე ყალბი და ცრუა.

თვითკრიტიკა ნიშანია ჩვენი პარტიის ძლიერებისა და არა სისუსტისა. მხოლოდ ძლიერ პარტიას, ცხოვრებაში ფესვებგადგმულ და გამარჯვებისაკენ მიმავალ პარტიას შეუძლია ნება მისცეს თავს — გასწიოს თავის საკუთარ ნაკლოვანებათა ის ულმობელი კრიტიკა, რომელიც მან დაუშვა და ყოველთვის დაუშვებს მთელი ხალხის თვალწინ. პარტია, რომელიც სიმართლეს უმალავს ხალხს, პარტია, რომელსაც სინათლისა და კრიტიკისა ეშინია, პარტია კი არ არის, არამედ დასაღუპავად განწირულ მატყუარათა ხროვაა. ბატონი ბურჟუები თავიანთი ადლით გვზომავენ. მათ სინათლისა ეშინიათ და გულმოდგინედ უმალავენ ხალხს სიმართლეს, ფარავენ თავიანთ ნაკლოვანებებს კეთილდღეობის

პარადული აბრით. და აი, ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენც, კომუნისტები, უნდა ვუმალავდეთ ხალხს სიმართლეს. მათ სინათლისა ეშინიათ, იმიტომ რომ საკმარისია დაუშვან რამდენადმე მაინც სერიოზული თვითკრიტიკა, თავიანთ საკუთარ ნაკლოვანებათა რამდენადმე მაინც თავისუფალი კრიტიკა, რომ ბურჟუაზიული წყობილებისაგან ქვა ქვაზე აღარ დარჩეს. და აი, ისინი ფიქრობენ, რომ რაკი ჩვენ, კომუნისტებმა, თვითკრიტიკა დავუშვით, ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ ალყაშემორტყმული და ჰაერში გამოკიდებული ვართ. თავიანთი ადლით გვზომავენ ისინი, პატივცემული ბურჟუები და სოციალ-დემოკრატები. მხოლოდ იმ პარტიებს ეშინიათ სინათლისა და კრიტიკისა, რომლებიც წარსულს ჰბარდებიან და განწირული არიან დასაღუპავად. ჩვენ არც ერთისა გვეშინია და არც მეორისა, არ გვეშინია იმიტომ, რომ ჩვენ ალმავალი, გამარჯვებისაკენ მიმავალი პარტია ვართ. სწორედ ამიტომ თვითკრიტიკა, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა წარმოებს, წარმოადგენს ჩვენი პარტიის უდიდესი ძლიერებისა და არა სისუსტის ნიშანს, მისი განმტკიცებისა და არა დაშლის საშუალებას.

ახლა კი გადავიდეთ სოფლად პარტიის პოლიტიკის საკითხზე.

რა ახალი მომენტები შეიძლება აღინიშნოს სოფლად საშინაო და საერთაშორისო ხასიათის ახალ ვითარებასთან დაკავშირებით?

მე ვფიქრობ, შეიძლება აღინიშნოს ოთხი ძირითადი ფაქტი:

1) საერთაშორისო ვითარების შეცვლა და რევოლუციის შენელებული ტემპი, რაც გვიკარნახებს ავირჩიოთ ყველაზე ნაკლებად მტკივნეული, თუნდაც ხანგრძლივი გზები სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის ჩაბმისათვის,

იმისათვის, რომ სოციალიზმი ვაშენოთ გლეხობასთან ერთად;

2) სოფლის სამეურნეო ზრდა და გლეხობის ფენებად დაყოფის პროცესი, რაც მოითხოვს სოფლად სამხედრო კომუნიზმის გადმონაშთების ლიკვიდაციას;

3) გლეხობის პოლიტიკური აქტივობა, რაც მოითხოვს სოფლად ხელმძღვანელობისა და ადმინისტრირების ძველი მეთოდების შეცვლას;

4) საბჭოების გადარჩევა, რამაც გამოააშკარავა ის უეჭველი ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში **საშუალო გლეხი კულაკის მხარეზე აღმოჩნდა ღარიბი გლეხის წინააღმდეგ.**

რაში მდგომარეობს, ამ ახალ ფაქტებთან დაკავშირებით, პარტიის ძირითადი ამოცანა სოფლად?

ზოგიერთი ამხანაგი, ეყრდნობა რა სოფლის დიფერენციაციის ფაქტს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ პარტიის ძირითადი ამოცანაა სოფლად კლასობრივი ბრძოლის გაღვივება. ეს სწორი არ არის. ეს ფუჭი ლაყბობაა. ეს როდია ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა. ეს ძველი მენშევიკური ენციკლოპედიიდან ამოღებული ძველი მენშევიკური ჰანგების გადამღერებაა.

მთავარი ახლა სრულებითაც ის როდია, რომ სოფლად კლასობრივი ბრძოლა გავაღვივოთ. **მთავარი ახლა ის არის, რომ დავრაზმოთ საშუალო გლეხები პროლეტარიატის გარშემო, ხელახლა მივიმხროთ ისინი.** მთავარი ახლა ის არის, რომ მჭიდროდ შევუკავშირდეთ გლეხობის ძირითად მასას, ავამაღლოთ მისი მატერიალური და კულტურული დონე და ამ ძირითად მასასთან ერთად გავწიოთ წინ სოციალიზმის გზით. მთავარი ის არის, რომ ვაშენოთ სოციალიზმი გლეხობასთან ერთად, აუცილებლად გლეხობასთან ერთად და აუცილებლად მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ვი-

ნაიდან მუშათა კლასის ხელმძღვანელობა იძლევა იმის ძირითად გარანტიას, რომ მშენებლობა სოციალიზმის გზით წავა.

ეს არის ახლა პარტიის ძირითადი ამოცანა.

იქნებ ზედმეტი არ იყოს გავიხსენოთ ილიჩის სიტყვები ამის შესახებ, რომლებიც მან ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების მომენტში თქვა და რომლებსაც დღემდე შენარჩუნებული აქვთ მთელი თავისი ძალა:

«მთელი საქმე ის არის, რომ ახლა წინ გავწიოთ შეუდარებლად უფრო ფართო და მძლავრი მასით, აუცილებლად გლეხობასთან ერთად» (იხ. ტ. XXVII, გვ. 272).

და შემდეგ:

«მჭიდროდ შევუკავშირდეთ გლეხობის მასას, რიგითს მშრომელ გლეხობას, და შევუდგეთ წინსვლას განუზომლად, უსაზღვროდ უფრო ნელა, ვიდრე ვოცნებობდით, მაგრამ სამაგიეროდ ისე, რომ ჩვენთან ერთად ნამდვილად მოდიოდეს მთელი მასა. მაშინ ამ მოძრაობის აჩქარებაც თავის დროზე ისეთი დადგება, რანაირზედაც ამჟამად ოცნებაც არ შეგვიძლია» (იხ. ტ. XXVII, გვ. 231 — 232).

ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე სოფლად ორი ძირითადი ამოცანა დგას.

1) ჯერ-ერთი, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გლეხური მეურნეობა მოქცეულ იქნას საბჭოთა სამეურნეო განვითარების საერთო სისტემაში. წინათ საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ ჩვენ ორი პარალელური პროცესი გვქონდა: ქალაქი თავისი გზით მიდიოდა, სოფელიც — თავისით. კაპიტალისტი ცდილობდა მოექცია გლეხური მეურნეობა კაპიტალისტური განვითარების სისტემაში. მაგრამ ეს მოქცევა ხდებოდა გლეხთა მასების გაღატაკებისა და გლეხობის ზედაფენის გამდიდრების გზით. ცნობილია, რომ ამ გზას შედეგად მოჰყვა რევოლუცია. პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა სამეურნეო განვითარების საერთო სისტე-

მაში გლეხური მეურნეობის მოქცევა იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ წინ წავწიოთ სახალხო მეურნეობა გლეხთა უმრავლესობის კეთილდღეობის თანდათანობითი, მაგრამ განუხრელი აღმავლობის საფუძველზე, ე. ი. ისეთი გზით, რაც უპირისპირდება იმ გზას, რომლითაც რევოლუციამდე კაპიტალისტებს გლეხობა მიჰყავდათ და მოუწოდებდნენ მას წასულიყო.

მაგრამ როგორ მოვაქციოთ გლეხური მეურნეობა სამეურნეო მშენებლობის სისტემაში? კოოპერაციის მეშვეობით. საკრედიტო კოოპერაციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, სამომხმარებლო კოოპერაციის, სარეწაო კოოპერაციის მეშვეობით.

ასეთია ის გზები და ბილიკები, რომლებითაც გლეხური მეურნეობა ნელნელა, მაგრამ საფუძვლიანად უნდა მოექცეს სოციალისტური მშენებლობის საერთო სისტემაში.

2) მეორე ამოცანა ის არის, რომ თანდათანობით, მაგრამ განუხრელად გავატაროთ სოფლად ადმინისტრირებისა და ხელმძღვანელობის ძველი მეთოდების ლიკვიდაციის ხაზი, საბჭოების გამოცოცხლების ხაზი, საბჭოების ნამდვილ არჩევით ორგანოებად გადაქცევის ხაზი, სოფლად საბჭოთა დემოკრატიის საწყისების დანერგვის ხაზი. ილიჩი ამბობდა, რომ პროლეტარული დიქტატურა არის უმაღლესი ტიპი დემოკრატიისა მშრომელთა უმრავლესობისათვის. ილიჩი ამბობდა, რომ დემოკრატიის ეს უმაღლესი ტიპი შეიძლება შემოღებულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი ძალაუფლებას დაიპყრობს, და მას შემდეგ, რაც ჩვენ ამ ძალაუფლების განმტკიცების შესაძლებლობა მოგვეცემა. და აი, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და საბჭოთა დემოკრატიის დანერგვის ეს

ფაზა უკვე დაიწყო. ჩვენ ამ გზით უნდა ვიაროთ ფრთხილად, აუჩქარებლად და მუშაობის პროცესში შევქმნათ პარტიის გარშემო მრავალრიცხოვანი აქტივი უპარტიო გლეხობისაგან.

თუ პირველი ამოცანა, სამეურნეო მშენებლობის საერთო სისტემაში გლეხური მეურნეობის მოქცევის ამოცანა, შესაძლებლობას გვაძლევს ჩავაბათ გლეხობა პროლეტარიატთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის საერთო ფერხულში, მაშინ მეორე ამოცანამ, სოფლად საბჭოთა დემოკრატიის დანერგვისა და საბჭოების გამოცოცხლების ამოცანამ, შესაძლებლობა უნდა მოგვცეს გადავაკეთოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, დავუკავშიროთ იგი ხალხის მასებს, გავხადოთ იგი საღი და პატიოსანი, მარტივი და იაფი, იმისათვის, რომ შევქმნათ ისეთი პირობები, რომლებიც გაგვიადვილებენ პროლეტარიატის დიქტატურის საზოგადოებიდან კომუნისტურ საზოგადოებაში თანდათანობით გადასვლას.

ასეთია ჩვენი პარტიის XIV კონფერენციის მიერ სოფლად ჩვენი პარტიის პოლიტიკის საკითხზე მიღებული რეზოლუციების ძირითადი ხაზები.

ამის შესაბამისად უნდა შეიცვალოს სოფლად პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდიც.

პარტიაში ჩვენ გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ: რახან ახალი ეკონომიური პოლიტიკა არსებობს, ხოლო კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია იწყება, ჩვენი ამოცანა ის არის, რომ გავატაროთ მაქსიმალური შეზღუდვის პოლიტიკა პარტიაშიც და სახელმწიფო აპარატშიც, ისე, რომ ირგვლივ ყველაფერს ჭრიალი გაჰქონდესო. მე უნდა ვთქვა, რომ ეს პოლიტიკა არასწორი და დამღუპველია. ჩვენ ახლა გვესაჭიროება არა მაქსიმალური შეზღუდვა, არამედ მაქსიმალური მოქნილობა რო-

გორც პოლიტიკაში, ისე ორგანიზაციაში, მაქსიმალური მოქნილობა როგორც პოლიტიკურ, ისე ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაში. უამისოდ ვერ შევინარჩუნებთ საჭეს ახლანდელ რთულ პირობებში. მაქსიმალური მოქნილობა გვესაჭიროება იმისათვის, რომ შევუნარჩუნოთ პარტიას საჭე და უზრუნველვყოთ პარტიის ხელში სრული ხელმძღვანელობა.

შემდეგ. აუცილებელია, რომ კომუნისტებმა სოფლად ხელი აიღონ ადმინისტრირების მახინჯ ფორმებზე. არ შეიძლება ფონს გავდიოდეთ მხოლოდ განკარგულებებით გლეხობის მიმართ. უნდა შევეჩვიოთ იმას, რომ მოთმინებით განვუმარტოთ გლეხებს მათთვის გაუგებარი საკითხები, უნდა ვისწავლოთ გლეხების დარწმუნება და ამ საქმისათვის არც დრო დავიშუროთ და არც ძალღონე. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო იოლი და მარტივია განკარგულება გასცე და შემდეგ წერტილი დასვა, როგორც ამას ხშირად სჩადის ჩვენში თემაღმასკომის ზოგიერთი თავმჯდომარე. მაგრამ ყველაფერი, რაც მარტივი და იოლი არის, კარგი როდია. ამას წინათ ერთ-ერთი სათემო უჯრედის მდივანს საგუბერნიო კომიტეტის წარმომადგენლის შეკითხვაზე თემში გაზეთების უქონლობის შესახებ უპასუხნია: «რად გვინდა გაზეთები? უგაზეთოდ უფრო მოსვენებით და უკეთესად ვართ, თორემ გლეხები წაიკითხავენ, გაიმართება ყოველნაირი გამოკითხვა, და შემდეგ მათთან დავიდარაბას ვეღარ აუხვალო». და ამ მდივანს კომუნისტი ჰქვია! არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ეს კომუნისტი კი არა, ნამდვილი უბედურებაა. საქმე ის არის, რომ ახლა ხელმძღვანელობა «უდავიდარაბოდ» არასგზით არ შეიძლება, მით უმეტეს — უგაზეთოდ. ეს უბრალო ჭეშმარიტება უნდა შევიგნოთ და შევითვისოთ, თუ

გვსურს შევუნარჩუნოთ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ხელმძღვანელობა სოფლად.

შემდეგ. ამჟამად ხელმძღვანელობა რომ გასწიო, უნდა იცოდე მეურნეობის გაძღოლა, უნდა იცნობდე მეურნეობას და გესმოდეს იგი. მარტო «მსოფლიო პოლიტიკაზე», ჩემბერლენსა და მაკდონალდზე ყბედობით ახლა შორს ვერ წახვალ. ჩვენში სამეურნეო მშენებლობის ხანა დაიწყო. ამიტომ ხელმძღვანელობა შეუძლია იმას, ვისაც მეურნეობის საქმე ესმის, ვისაც შეუძლია მისცეს გლეხს სასარგებლო რჩევა-დარიგება სამეურნეო განვითარების დარგში, ვისაც შეუძლია დაეხმაროს გლეხს სამეურნეო მშენებლობის საქმეში. შეისწავლონ მეურნეობა, მჭიდროდ დაუკავშირდნენ მეურნეობას, ჩასწვდნენ სამეურნეო მშენებლობის ყველა დეტალს — ასეთია ახლა კომუნისტების ამოცანა სოფლად. უამისოდ ხელმძღვანელობაზე ოცნებაც არ შეიძლება.

ძველებურად ხელმძღვანელობა ახლა აღარ შეიძლება, ვინაიდან გლეხობის პოლიტიკური აქტივობა გაძლიერდა, და საჭიროა, რომ ამ აქტივობამ საბჭოთა ფორმა მიიღოს, რომ იგი საბჭოების გზით მიმდინარეობდეს და არა საბჭოების გვერდის ავლით. ხელმძღვანელობს ის, ვინც ხელს უწყობს საბჭოების გამოცოცხლებას და პარტიის გარშემო ქმნის გლეხურ აქტივს სოფლად.

ძველებურად ხელმძღვანელობა ახლა აღარ შეიძლება, ვინაიდან სოფლის სამეურნეო აქტივობა გაძლიერდა, და საჭიროა, რომ ამ აქტივობამ კოოპერაციის ფორმა მიიღოს, რომ იგი კოოპერაციის გზით მიმდინარეობდეს და არა კოოპერაციის გვერდის ავლით. ხელმძღვანელობს ის, ვინც სოფლად კოოპერაციულ საზოგადოებრიობას ნერგავს.

ასეთია, ზოგადად, სოფლად პარტიული ხელმძღვანელობის კონკრეტული ამოცანები.

VI

ლითონის მრეწველობის შესახებ

გადავდივარ ჩვენი პარტიის XIV კონფერენციის მიერ აღძრულ საკითხთა უკანასკნელ ჯგუფზე.

რა არის ახალი და თავისებური ჩვენს სამეურნეო ხელმძღვანელობაში?

ეს ახალი და თავისებური ის არის, რომ ჩვენი სამეურნეო გეგმები უკვე ჩამორჩებიან ჩვენი მეურნეობის ნამდვილ განვითარებას, ისინი უკვე არასაკმარისი არიან და ხშირად კვალდაკვალ ვერ მისდევენ მეურნეობის ნამდვილ ზრდას.

ამ ფაქტის ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი. თქვენ იცით, რომ ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ იძულებული გავხდით სამჯერ შეგვეცვალა ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ჩვენი ბიუჯეტის საშემოსავლო მუხლების სწრაფი ზრდის გამო, რაც გათვალისწინებული არ იყო ჩვენი ხარჯთაღრიცხვის ვარაუდებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი ხარჯთაღრიცხვის ვარაუდები და ჩვენი საბიუჯეტო გეგმები უკან რჩებოდნენ სახელმწიფო შემოსავლის ზრდას, რის გამო სახელმწიფო სალაროში ზედმეტი თანხები აღმოჩნდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება შეუკავებელი ძალით მიისწრაფის წინ და ამსხვრევს ჩვენი საფინანსო სპეციალისტების ყველა და ყოველგვარ მეცნიერულ გეგმებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ განვიცდით ისეთ მძლავრ სამეურნეო შრომითს აღმავლობას, რომელიც არ ჩამოუვარდება, თუ არ აღემატება, იმას, რასაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ამერიკაში სამოქალაქო ომის შემდეგ.

ჩვენი მეურნეობის ცხოვრებაში ამ ახალი მოვლენის ყველაზე მკაფიო გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს

ჩვენი ლითონის მრეწველობის ზრდა. შარშან ლითონის წარმოება 191 მილიონ ომამდელ მანეთს შეადგენდა. გასული წლის ნოემბერში 1924/25 წლის წლიური გეგმა შედგენილი იყო 273 მილიონი ომამდელი მანეთის ოდენობით. ამა წლის იანვარში ეს გეგმა, ლითონის მრეწველობის ფაქტიური ზრდის ტემპისადმი მისი შეუსაბამობის გამო, შეიცვალა და გადიდებულ იქნა 317 მილიონამდე. ამა წლის აპრილში ეს გაფართოებული გეგმა კვლავ შეუფერებელი აღმოჩნდა, რის გამო საჭირო გახდა მისი 350 მილიონამდე გადიდება. ახლა გვეუბნებიან, რომ ეს გეგმაც არასაკმაო გამოდგა, ვინაიდან საჭირო გახდება მისი შემდგომი გადიდება და 360 — 370 მილიონამდე აყვანა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ლითონის მრეწველობის წარმოება წელს, შარშანდელ წარმოებასთან შედარებით, თითქმის ერთიორად გადიდდა. აღარაფერს ვამბობ ჩვენი მსუბუქი მრეწველობის კოლოსალურ ზრდაზე, ტრანსპორტის, სათბობი მასალის მრეწველობის ზრდაზე და სხვ.

რას მოწმობს ყოველივე ეს? იმას, რომ ინდუსტრიის მოწესრიგების მხრივ, — ინდუსტრია კი სოციალიზმის ძირითად ბაზას წარმოადგენს, — ჩვენ უკვე გამოვედით განვითარების ფართო გზაზე. რაც შეეხება ლითონის ინდუსტრიას, რომელიც საერთოდ მთელი ინდუსტრიის მთავარი ძარღვია, მკვდარი პერიოდი აქ უკან მოვიტოვეთ, და ჩვენს ლითონის მრეწველობას ყველა საფუძველი აქვს გასწიოს აღმავლობისაკენ, სრული აყვავებისაკენ. ამხ. ძერჟინსკი მართალია, როცა ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია ლითონის ქვეყანა გახდეს და უნდა გახდეს კიდეც.

არა გვგონია კიდევ მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს როგორც ჩვენი ქვეყნის შინაგანი განვითარებისათვის, ისე საერთაშორისო რევოლუციისათვის.

უეჭველია, რომ, შინაგანი განვითარების თვალსაზრისით, ჩვენი ლითონის მრეწველობის განვითარება, მისი ზრდის მნიშვნელობა კოლოსალურია, ვინაიდან იგი მოასწავებს მთელი ჩვენი ინდუსტრიისა და მთელი ჩვენი მეურნეობის ზრდას, ვინაიდან ლითონის მრეწველობა საერთოდ მრეწველობის ძირითადი ბაზაა, ვინაიდან ვერც მსუბუქ მრეწველობას, ვერც ტრანსპორტს, ვერც სათბობს, ვერც ელექტროფიკაციას, ვერც სოფლის მეურნეობას ფეხზე ვერ დავაყენებთ, თუ მძლავრად არ განვითარდა ლითონის მრეწველობა. ლითონის ინდუსტრიის ზრდა საერთოდ მთელი ინდუსტრიისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის ზრდის საფუძველია.

აი რას ამბობს ლენინი «მძიმე ინდუსტრიაზე», გულისხმობს რა მძიმე ინდუსტრიად, უმთავრესად, ლითონის ინდუსტრიას:

«რუსეთის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში, — ეს კიდევ ცოტაა, — და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს აწვდის გლეხობას, — ესეც კიდევ ცოტაა, — ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე **მძიმე** ინდუსტრია. ხოლო იქ კარგი მდგომარეობა რომ შევქმნათ, ამისათვის საჭირო იქნება მრავალი წლის მუშაობა».

და შემდეგ:

«თუ არ ვიხსენით მძიმე მრეწველობა, თუ არ აღვადგინეთ იგი, ისე ჩვენ ვერავითარ მრეწველობას ვერ შევქმნით, უიმისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა» (იხ. ტ. XXVII, გვ. 349).

რაც შეეხება ჩვენი ლითონის მრეწველობის განვითარების საერთაშორისო მნიშვნელობას, იგი, შეიძლება ითქვას, განუზომელია. ვინაიდან რა არის ლითონის მრეწველობის სწრაფი ზრდა პროლეტარიატის დიქტატურის დროს, თუ არა იმის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი, რომ პროლეტარიატს უნარი შესწევს არა მარტო ძველი

დაანგრიოს, არამედ ახალიც აშენოს, რომ მას უნარი შესწევს თავისი საკუთარი ძალებით ააშენოს ახალი მრეწველობა და ახალი საზოგადოება, რომელიც თავისუფალი იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან? ხოლო ამის დამტკიცება საქმით და არა წიგნით — იმას ნიშნავს, რომ საიმედოდ და საბოლოოდ წასწიო წინ საერთაშორისო რევოლუციის საქმე. დასავლეთ ევროპის მუშების სწრაფვა ჩვენი ქვეყნისაკენ შემთხვევითი მოვლენა როდია. მას უდიდესი სააგიტაციო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის. ის გარემოება, რომ ჩვენში მუშები ჩამოდიან, ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნების ყოველ კუნჭულს სინჯავენ, — ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ მათ წიგნებისა არ სჯერათ და სურთ საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ იმაში, რომ პროლეტარიატს უნარი შესწევს აშენოს ახალი მრეწველობა, შექმნას ახალი საზოგადოება. და როცა ისინი ამაში დარწმუნდებიან, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ საერთაშორისო რევოლუციის საქმე ბუმბერაზული ნაბიჯით წავა წინ.

«ამჟამად, — ამბობს ლენინი, — მთავარ ზეგავლენას **საერთაშორისო** რევოლუციაზე ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შემოსცქერის ყველა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა მშრომელი, სრულიად უკლებლივ და სრულიად გაუზვიადებლად... ამ ასპარეზზეა გადატანილი ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით. გადავწყვეტთ ამ ამოცანას — და მაშინ **უეჭველად და საბოლოოდ** გავიმარჯვებთ საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ფრონტზე ჩვენ გამარჯვება უნდა მოვიპოვოთ ნელი, თანდათანობითი, — ჩქარით არ შეიძლება, — მაგრამ განუხრელი ალმავლობითა და წინსვლით» * (იხ. ტ. XXVI, გვ. 410 — 411).

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

ასეთია საერთოდ ჩვენი ინდუსტრიის და განსაკუთრებით ლითონის მრეწველობის ზრდის საერთაშორისო მნიშვნელობა.

ამჟამად ჩვენ 4 მილიონამდე ინდუსტრიული პროლეტარიატი გვყავს. ეს, რასაკვირველია, ცოტაა, მაგრამ ეს ზოგი რამ მაინც არის იმისათვის, რომ ვაშენოთ სოციალიზმი და მოვაწყოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა პროლეტარიატის მტრების თავზარდასაცემად. მაგრამ ჩვენ ამაზე ვერ შევჩერდებით და არც უნდა შევჩერდეთ. ჩვენ გვესაჭიროება 15 — 20 მილიონი ინდუსტრიული პროლეტარი, ჩვენი ქვეყნის ძირითადი რაიონების ელექტროფიკაცია, კოოპერირებული სოფლის მეურნეობა და დიდად განვითარებული ლითონის მრეწველობა. და მაშინ ჩვენთვის საშიში აღარ იქნება არავითარი საფრთხე. და მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ საერთაშორისო მასშტაბით.

XIV კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ნათლად დასახა გზა ამ დიადი მიზნისაკენ.

ეს გზა კი სწორია, ვინაიდან ის არის ლენინის გზა, რომელსაც ჩვენთვის საბოლოო გამარჯვება მოაქვს.

ასეთია ზოგადად ჩვენი პარტიის XIV კონფერენციის მუშაობის შედეგები.

«პრავდა» №№ 106 და 107;
1925 წ. 12 და 13 მაისი.

აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ

სიტყვა აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებაზე

1925 წ. 18 მაისი

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, მოგესალმოთ აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის არსებობის მე-4 წლისთავთან დაკავშირებით. რაღა თქმა უნდა, მე ვუსურვებ თქვენს უნივერსიტეტს ყოველნაირ წარმატებას აღმოსავლეთისათვის კომუნისტური კადრებიხ გამოზრდის ძნელ გზაზე.

ახლა კი გადავიდეთ საქმეზე.

თუ ანალიზს გავუკეთებთ აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის შემადგენლობას, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ამ შემადგენლობის რამდენადმე ორნაირი ხასიათი. ეს უნივერსიტეტი აღმოსავლეთის სულ ცოტა 50 ერისა და ეროვნული ჯგუფის წარმომადგენლებს აერთიანებს. უნივერსიტეტის მსმენელები ყველანი აღმოსავლეთის შვილები არიან. მაგრამ ეს განსაზღვრა კიდევ არ იძლევა რაიმე გარკვეულსა და დამთავრებულს. საქმე ის არის, რომ უნივერსიტეტის მსმენელთა შორის არის ორი ძირითადი ჯგუფი,

რომლებიც წარმოადგენენ განვითარების სრულიად სხვადასხვა პირობების ორ წყებას. პირველი ჯგუფი ის ადამიანები არიან, რომლებიც ჩვენში მოვიდნენ **საბჭოთა** აღმოსავლეთიდან, იმ ქვეყნებიდან, სადაც ბურჟუაზიის ძალაუფლება აღარ არსებობს, იმპერიალისტური ჩაგვრა დამხობილია, ხოლო ძალაუფლება მუშებს უპყრიათ. მსმენელთა მეორე ჯგუფი ის ადამიანები არიან, რომლებიც ჩვენში მოვიდნენ **კოლონიური** და **დამოკიდებული ქვეყნებიდან,** იმ ქვეყნებიდან, სადაც ჯერ კიდევ მეფობს კაპიტალიზმი, სადაც იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრას შენარჩუნებული აქვს მთელი თავისი ძალა, და სადაც ჯერ კიდევ საჭიროა დამოუკიდებლობის მოპოვება — იმპერიალისტების განდევნის გზით.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა ორი აღმოსავლეთი, რომლებიც სხვადასხვანაირი ცხოვრებით ცხოვრობენ და სხვადასხვა პირობებში ვითარდებიან.

რაღა თქმა უნდა, მსმენელთა შემადგენლობის ეს ორნაირი ხასიათი არ შეიძლება თავის დაღს არ ასვამდეს აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის მუშაობას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ უნივერსიტეტს ცალი ფეხი საბჭოთა ნიადაგზე უდგას, მეორე კი — კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ნიადაგზე.

აქედან წარმოსდგება უნივერსიტეტის საქმიანობის ორი ხაზი: ერთი ხაზი მიზნად ისახავს ისეთი კადრების შექმნას, რომლებიც შესძლებენ მომსახურება გაუწიონ აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების საჭიროებებს, ხოლო მეორე ხაზი მიზნად ისახავს ისეთი კადრების შექმნას, რომლებიც შესძლებენ მომსახურება გაუწიონ აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელი მასების რევოლუციურ საჭიროებებს.

აქედანვე გამომდინარეობენ აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის წინაშე მდგომი ორგვარი ამოცანები.

ცალ-ცალკე განვიხილოთ აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ეს ამოცანები.

I

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ამოცანები აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ

რაში მდგომარეობენ ამ ქვეყნების, ამ რესპუბლიკების არსებობისა და განვითარების დამახასიათებელი თავისებურებანი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებისაგან განსხვავებით?

ჯერ-ერთი, იმაში, რომ ეს რესპუბლიკები თავისუფალი არიან იმპერიალისტური ჩაგვრისაგან.

მეორეც, იმაში, რომ მათი განვითარება და კონსოლიდაცია, როგორც ერებისა, ხდება არა ბურჟუაზიული წესწყობილების, არამედ საბჭოთა ხელისუფლების მფარველობით. ეს არის ისტორიაში უმაგალითო ფაქტი, მაგრამ ეს მაინც ფაქტია.

მესამეც, იმაში, რომ, რამდენადაც ისინი ნაკლებად განვითარებული არიან მრეწველობის მხრივ, მათ შეუძლიათ თავიანთ განვითარებაში მთლიანად და სავსებით დაეყრდნონ საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროლეტარიატის დახმარებას.

მეოთხეც, იმაში, რომ, რაკი კოლონიური ჩაგვრისაგან თავისუფალი არიან, პროლეტარიატის დიქტატურის მფარველობაში იმყოფებიან და საბჭოთა კავშირის წევრებად ჩრიცხებიან, ამ რესპუბლიკებს შეუძლიათ ჩაებან და უნდა

ჩაებან კიდეც ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში.

ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გავაადვილოთ ამ რესპუბლიკათა მუშებისა და გლეხების ჩაბმა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, შევქმნათ და განვავითაროთ, ამ რესპუბლიკათა არსებობის განსაკუთრებული პირობების შესაბამისად, ისეთი წანამძღვრები, რომლებითაც შეიძლება წინ წავწიოთ და დავაჩქაროთ ეს საქმე.

აქედან გამომდინარეობენ საბჭოთა აღმოსავლეთის აქტიური მუშაკების წინაშე მდგომი მორიგი ამოცანები:

1) შექმნან აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში მრეწველობის კერები, როგორც მუშათა კლასის გარშემო გლეხების დარაზმვის ბაზები. თქვენ იცით, რომ ეს საქმე უკვე დაწყებულია და იგი წინ წავა საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდასთან ერთად. ამ რესპუბლიკებში სხვადასხვანაირი ნედლეულის არსებობა იმის საწინდარია, რომ ეს საქმე დროთა განმავლობაში ბოლომდე იქნება მიყვანილი.

2) განავითარონ სოფლის მეურნეობა და, უწინარეს ყოვლისა, რწყვა. თქვენ იცით, რომ ეს საქმეც წინ დაიძრა, ამიერკავკასიასა და თურქესტანში მაინც.

3) განავითარონ და წინ წასწიონ გლეხთა და შინამრეწველთა ფართო მასების კოოპერირების საქმე, როგორც იმის ყველაზე საიმედო გზა, რომ აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკები ჩაებან საბჭოთა სამეურნეო მშენებლობის საერთო სისტემაში.

4) მიუახლოონ საბჭოები მასებს, გახადონ ისინი შემადგენლობით ნაციონალურნი და, ამრიგად, დანერგონ ნაციონალურ-საბჭოთა სახელმწიფოებრიობა, მშრომელი მასებისათვის მახლობელი და გასაგები.

5) განავითარონ ნაციონალური კულტურა, დანერგონ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიულ-ტექნიკური ხასიათის კურსებისა და სკოლების ფართო ქსელი დედაენაზე, ადგილობრივ ადამიანთაგან საბჭოთა-პარტიული და პროფესიულ-სამეურნეო კადრების მოსამზადებლად.

ამ ამოცანების შესრულება — სწორედ ეს ნიშნავს აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის საქმის გაადვილებას.

ლაპარაკობენ საბჭოთა აღმოსავლეთის სანიმუშო რესპუბლიკებზე. მაგრამ რა არის სანიმუშო რესპუბლიკა? სანიმუშო რესპუბლიკა ისეთი რესპუბლიკაა, რომელიც ყველა ამ ამოცანას პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებს, რითაც ქმნის მეზობელი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მუშათა და გლეხთა ლტოლვას განმათავისუფლებელი მოძრაობისაკენ.

ზემოთ მე ვილაპარაკე საბჭოების მიახლოებაზე ეროვნებათა მშრომელ მასებთან, — საბჭოების ნაციონალიზაციაზე. მაგრამ რას ნიშნავს ეს და როგორ გამოვლინდება ეს პრაქტიკულად? მე ვფიქრობ, რომ მასებთან ასეთი დაახლოების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ამას წინათ თურქესტანში დამთავრებული ნაციონალური გამიჯვნა [30]. ბურჟუაზიული პრესა ამ გამიჯვნაში «ბოლშევიკების მზაკვრობას» ხედავს. ამავე დროს კი ნათელია, რომ აქ თავი იჩინა არა «მზაკვრობამ», არამედ თურქმენეთისა და უზბეკეთის ხალხთა მასების უღრმესმა მისწრაფებამ — ჰყავდეთ ხელისუფლების თავიანთი საკუთარი, მათთვის მახლობელი და გასაგები ორგანოები. რევოლუციამდელ ეპოქაში ორივე ეს ქვეყანა ნაკუწ-ნაკუწად იყო დაქუცმაცებული სხვადასხვა სახანოებსა და სახელმწიფოებს შორის და ხელსაყრელ ასპარეზს წარმოადგენდა «ძალაუფლების მპყრობელთა» ექსპლოატატორული მახინაციებისათვის. ახლა დადგა მომენტი,

როცა შესაძლებელი გახდა ამ დაჩუცმაცებული ნაკუწების **გაერთიანება** დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იმისათვის, რომ უზბეკეთისა და თურქმენეთის მშრომელი მასები დაუახლოვდნენ და მჭიდროდ დაუკავშირდნენ ხელისუფლების ორგანოებს. თურქესტანის გამიჯვნა არის, უწინარეს ყოვლისა, ამ ქვეყნების დაჩუცმაცებული ნაწილების **გაერთიანება** დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. თუ ამ სახელმწიფოებმა შემდეგ მოისურვეს საბჭოთა კავშირში შესვლა მის თანასწორუფლებიან წევრებად, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ბოლშევიკები ჩასწვდნენ აღმოსავლეთის ხალხთა მასების უღრმეს მისწრაფებებს, ხოლო საბჭოთა კავშირი სხვადასხვა ეროვნების მშრომელი მასების ერთადერთი ნებაყოფლობითი გაერთიანებაა მსოფლიოში. პოლონეთის გასაერთიანებლად ბურჟუაზიას მთელი რიგი ომები დასჭირდა. თურქმენეთისა და უზბეკეთის გასაერთიანებლად კი კომუნისტებს დასჭირდათ მხოლოდ რამდენიმე თვის ახსნა-განმარტებითი პროპაგანდა.

აი როგორ უნდა მართვა-გამგეობის ორგანოების, ამ შემთხვევაში საბჭოების, მიახლოება სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ფართო მასებთან.

აი სად არის იმის დადასტურება, რომ ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა.

შემდეგ, მე ვილაპარაკე ნაციონალური კულტურის აღმავლობაზე აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში. მაგრამ რა არის ნაციონალური კულტურა? როგორ შევათავსოთ იგი პროლეტარულ კულტურასთან? განა ლენინი ჯერ კიდევ ომამდე არ ამბობდა, რომ ჩვენ ორი კულტურა გვაქვს — ბურჟუაზიული და სოციალისტური, რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგი რეაქციული ლოზუნგია ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობს ნაციონალიზმის შხამით მოწამლოს მშრომელთა შეგნება? [31] როგორ შევათავ-

სოთ ნაციონალური კულტურის მშენებლობა, დედაენაზე სკოლებისა და კურსების განვითარება და ადგილობრივ ადამიანთაგან კადრების გამოზრდა სოციალიზმის მშენებლობასთან, პროლეტარული კულტურის მშენებლობასთან? ხომ არ არის აქ დაუძლეველი წინააღმდეგობა? რა თქმა უნდა, არ არის! ჩვენ პროლეტარულ კულტურას ვაშენებთ. ეს სავსებით სწორია. მაგრამ ისიც სწორია, რომ პროლეტარული კულტურა, თავისი შინაარსით სოციალისტური, გამოხატულების სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს იღებს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხებში, ენის, ყოფაცხოვრების და სხვ. განსხვავების მიხედვით. თავისი შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური, — ასეთია ის საერთო-საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა კი არ უარყოფს ნაციონალურ კულტურას, არამედ შინაარსს აძლევს მას. და, პირიქით, ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიული ლოზუნგი იყო, სანამ ძალაუფლება ხელთ ეპყრა ბურჟუაზიას, ხოლო ერების კონსოლიდაცია ბურჟუაზიული წესწყობილების პირობებში ხდებოდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი პროლეტარული ლოზუნგი გახდა, როცა ძალაუფლება პროლეტარიატმა მოიპოვა, ხოლო ერების კონსოლიდაცია უკვე საბჭოთა ხელისუფლების მფარველობით მიმდინარეობს. ვისაც ორი სხვადასხვა ვითარების ეს პრინციპული განსხვავება ვერ გაუგია, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ლენინიზმს და ვერც ნაციონალური საკითხის არსს.

ამბობენ (მაგალითად, კაუცკი), სოციალიზმის პერიოდში ერთიანი საერთო-საკაცობრიო ენა შეიქმნება, ყველა დანარჩენი ენა კი მოკვდება. მე ნაკლებად მჯერა ეს

ერთიანი ყოვლისმომცველი ენის თეორია. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილება ამ თეორიის წინააღმდეგ მეტყველებს და არა მის სასარგებლოდ. დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ სოციალისტური რევოლუცია კი არ ამცირებდა, არამედ ზრდიდა ენათა რაოდენობას, ვინაიდან, მოძრაობაში მოჰყავს რა კაცობრიობის უღრმესი დაბალი ფენები და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჰყავს ისინი, იგი ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებს მთელ რიგ ახალ ეროვნებებს, რომლებიც წინათ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყვნენ. ვინ იფიქრებდა, რომ მეფის ძველი რუსეთი სულ ცოტა 50 ერსა და ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენდა? მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ძველი ბორკილები გაგლიჯა და ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი დავიწყებული ხალხები და ეროვნებანი, რითაც მისცა მათ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება. ახლა ლაპარაკობენ ინდოეთზე როგორც მთლიან ერთეულზე. მაგრამ არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ, თუ ინდოეთში რევოლუციური ძვრა მოხდა, ასპარეზზე ათობით გამოვლენ წინათ უცნობი, თავიანთი განსაკუთრებული ენის, თავიანთი განსაკუთრებული კულტურის მქონე ეროვნებანი. და თუ საქმე ეხება იმას, რომ პროლეტარულ კულტურას ეზიარონ სხვადასხვა ეროვნებანი, არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ეს ისეთ ფორმებში მოხდება, რომლებიც ამ ეროვნებათა ენასა და ყოფაცხოვრებას შეესაბამება.

ამას წინათ ბურიატი ამხანაგებისაგან მივიღე წერილი, სადაც მთხოვდნენ განმემარტა საერთო-საკაცობრიო და ნაციონალური კულტურის ურთიერთდამოკიდებულების სერიოზული და ძნელი საკითხები. აი ეს წერილი:

«დაბეჯითებით გთხოვთ განმარტება მოგვცეთ ჩვენთვის შეტად სერიოზულ და ძნელ შემდეგ საკითხებზე. კომუნისტური პარტიის საბოლოო მიზანი ერთიანი საერთო-საკაცობრიო კულტურაა. როგორ

გვაქვს წარმოდგენილი გადასვლა იმ ნაციონალურ კულტურათა მეშვეობით, რომლებიც ჩვენი ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების ფარგლებში ვითარდებიან, ერთიან საერთო-საკაცობრიო კულტურაზე? როგორ უნდა ხდებოდეს ცალკეული ნაციონალური კულტურების თავისებურებათა ასიმილაცია (ენა და სხვ.)?»

მე ვფიქრობ, რომ ის, რაც ზემოთ ვთქვი, შეიძლებოდა გამომდგარიყო პასუხად კითხვაზე, რომელიც ბურიატ ამხანაგებს აწუხებს.

ბურიატი ამხანაგები აყენებენ საკითხს საერთო-საკაცობრიო პროლეტარული კულტურის შენების მსვლელობაში ცალკეულ ეროვნებათა ასიმილაციის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ ზოგიერთმა ეროვნებამ შეიძლება განიცადოს ასიმილაციის პროცესი და, ალბათ, ნამდვილადაც განიცდის ამ პროცესს. ასეთი პროცესები წინათაც მომხდარა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგი ეროვნების ასიმილაციის პროცესი კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს საწინააღმდეგო პროცესს, მთელი რიგი ცოცხალი და განვითარების გზაზე მდგომი ერების გაძლიერებისა და განვითარების პროცესს, ვინაიდან ცალკეულ ეროვნებათა ასიმილაციის ნაწილობრივი პროცესი ერთა განვითარების საერთო პროცესის შედეგია. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ცალკეული ეროვნების შესაძლო ასიმილაცია კი არ ასუსტებს, არამედ ადასტურებს იმ სავსებით სწორ დებულებას, რომ პროლეტარული საერთო-საკაცობრიო კულტურა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს და ასაზრდოებს ხალხთა ნაციონალურ კულტურას ისევე, როგორც ხალხთა ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს, არამედ შეავსებს და ამდიდრებს საერთო-საკაცობრიო პროლეტარულ კულტურას.

ასეთია ზოგადად აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების აქტიური მუშაკების წინაშე მდგომი მორიგი ამოცანები.

ასეთია ამ ამოცანების ხასიათი და შინაარსი.

საჭიროა გამოვიყენოთ გაძლიერებული სამეურნეო მშენებლობის და გლეხობის მიმართ ახალ დათმობათა დღევანდელი პერიოდი იმისათვის, რომ წინ წავწიოთ ამ ამოცანების შესრულება და ამით გავაადვილოთ აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების — ამ, უმთავრესად, გლეხური ქვეყნების — საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმის საქმე.

ამბობენ, გლეხობის მიმართ პარტიის ახალი პოლიტიკა, რომელიც მთელ რიგ ახალ დათმობებს გულისხმობს (მოკლევადიანი იჯარა, დაქირავებული შრომის დაშვება), უკანდახევის ერთგვარ ელემენტებს შეიცავსო. მართალია თუ არა ეს? დიახ, მართალია. მაგრამ ეს უკანდახევის ისეთი ელემენტებია, რომლებიც ჩვენ დავუშვით **მაშინ, როცა** პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე შენარჩუნებული გვაქვს ძალთა უდიდესი უპირატესობა. მტკიცე ვალუტა, განვითარების პროცესში მყოფი მრეწველობა, განვითარების პროცესში მყოფი ტრანსპორტი, განმტკიცების გზაზე მდგომი საკრედიტო სისტემა, რომლის დახმარებითაც, შეღავათიანი კრედიტის მეშვეობით, შეიძლება გააჩანაგო ან უმაღლეს საფეხურზე აიყვანო მოსახლეობის რომელიც გნებავს ფენა ისე, რომ ოდნავი შერყევაც არ მოახდინო, — ყოველივე ეს ისეთი რეზერვებია პროლეტარული დიქტატურის ხელში, რომელთა საფუძველზეც ფრონტის ერთ უბანზე უკანდახევის ზოგიერთმა ელემენტმა შეიძლება მხოლოდ გააადვილოს მთელ ფრონტზე შეტევის მომზადება. სწორედ ამიტომ პარტიის მიერ გლეხობის მიმართ დაშვებულმა ზოგიერთმა ახალმა დათმობამ კი არ უნდა გააძნელოს, არამედ უნდა გააადვილოს ამჟამად სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის ჩაბმის საქმე.

რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ გარემოებას აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებისათვის? მას შეიძლება მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ ამ რესპუბლიკების აქტიურ მუშაკებს იგი ხელში აძლევს ახალ იარაღს, რომელიც აადვილებს და აჩქარებს საბჭოთა სამეურნეო განვითარების საერთო სისტემასთან ამ ქვეყნების მჭიდროდ დაკავშირების საქმეს.

ასეთი კავშირი აქვს პარტიის პოლიტიკას სოფლად საბჭოთა აღმოსავლეთის აქტიური მუშაკების წინაშე მდგომ მორიგ ნაციონალურ ამოცანებთან.

ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანა აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ ის არის, რომ აღზარდოს კადრები ამ რესპუბლიკებისათვის იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს ზემოთ აღნიშნული მორიგი ამოცანების შესრულებას.

აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტი ცხოვრებას ვერ მოსწყდება. იგი არ არის და არც შეიძლება იყოს ცხოვრებისაგან განყენებულად მდგომი დაწესებულება. იგი რეალურ ცხოვრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული თავისი არსებობის მთელი ფესვებით. ამის გამო მას არ შეუძლია განზე გაუდგეს აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე მდგომ მორიგ ამოცანებს. სწორედ ამიტომ აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანა ის არის, რომ გაითვალისწინოს ამ რესპუბლიკების მორიგი ამოცანები მათთვის სათანადო კადრების აღზრდისას.

ამასთან საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საბჭოთა აღმოსავლეთის აქტიური მუშაკების პრაქტიკაში არსებობს ორი გადახრა, რომლებთან ბრძოლაც ამ უნივერსიტეტის კედლებში საჭიროა იმისათვის, რომ აღვზარ-

დოთ ნამდვილი კადრები და ნამდვილი რევოლუციონერები საბჭოთა აღმოსავლეთისათვის.

პირველ გადახრას წარმოადგენს გაუბრალოება, იმ ამოცანების გამარტივება, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკე, იმის ცდა, რომ მექანიკურად გადაიტანონ სამეურნეო მშენებლობის ის ნიმუშები, რომლებიც სავსებით გასაგები და გამოსაყენებელია საბჭოთა კავშირის ცენტრში, მაგრამ სრულიად შეუფერებელია ეგრეთწოდებული განაპირა მხარეების განვითარების პირობებისადმი. იმ ამხანაგებს, რომლებიც ამ გადახრას უშვებენ, ორი რამ არ ესმით. მათ არ ესმით, რომ პირობები ცენტრში და «განაპირა მხარეებში» ერთნაირი არ არის, სრულიადაც არ ემთხვევა ერთმანეთს. გარდა ამისა, მათ არ ესმით, რომ თვით აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკები ერთნაირი არ არიან, რომ ზოგი მათგანი, მაგალითად საქართველო და სომხეთი, ნაციონალური ჩამოყალიბების უმაღლეს საფეხურზე დგანან, მეორენი, მაგალითად ჩაჩნეთი და ყაბარდო, ნაციონალური ჩამოყალიბების დაბალ საფეხურზე დგანან, მესამენი კი, მაგალითად ყირგიზეთი, ამ ორ უკიდურესობას შორის საშუალო მდგომარეობაში არიან. ამ ამხანაგებს არ ესმით, რომ ადგილობრივ პირობებთან შეუგუებლად, თვითეული ქვეყნის ყველა და ყოველგვარ თავისებურებათა გულდასმით გაუთვალისწინებლად რაიმე სერიოზულის აშენება არ შეიძლება. ამ გადახრის შედეგს წარმოადგენს მასებისაგან მოწყვეტა და მემარცხენე ფრაზიორებად გადაგვარება. აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანა ის არის, რომ აღზარდოს კადრები ამ გაუბრალოებასთან შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით.

მეორე გადახრას წარმოადგენს, პირიქით, ადგილობრივ თავისებურებათა გაზვიადება, იმ საერთოს და მთავარის

დავიწყება, რაც აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებთან აკავშირებს, სოციალისტური ამოცანების მიჩქმალვა, ვიწრო და შეზღუდული ნაციონალიზმის ამოცანებთან შეგუება. ის ამხანაგები, რომლებიც ამ გადახრას უშვებენ, ნაკლებად ზრუნავენ თავიანთი ქვეყნის შინაგანი მშენებლობისათვის, ისინი ამჯობინებენ — მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას მიანდონ ეს განვითარება. მათთვის მთავარია არა შინაგანი მშენებლობა, არამედ «საგარეო» პოლიტიკა, თავიანთი რესპუბლიკის საზღვრების გაფართოება, მეზობელ რესპუბლიკებთან დავა, იმის სურვილი, რომ ზედმეტი ნაკვეთი წაჰგლიჯონ მეზობლებს და, ამრიგად, თავი მოაწონონ თავიანთი ქვეყნის ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს. ამ გადახრის შედეგს წარმოადგენს სოციალიზმისაგან მოწყვეტა და ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებად გადაგვარება. აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანა ის არის, რომ აღზარდოს კადრები ამ ფარულ ნაციონალიზმთან შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით.

ასეთია აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანები აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

II

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ამოცანები აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მიმართ

გადავიდეთ მეორე საკითხზე, აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მიმართ აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ამოცანების საკითხზე.

რაში მდგომარეობენ ამ ქვეყნების არსებობისა და განვითარების დამახასიათებელი თავისებურებანი აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით?

ჯერ-ერთი, იმაში, რომ ეს ქვეყნები ცხოვრობენ და ვითარდებიან იმპერიალიზმის უღელქვეშ.

მეორეც, იმაში, რომ ორმაგი უღლის, შინაგანი (საკუთარი ბურჟუაზიის) უღლისა და გარეშე (უცხოეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის) უღლის არსებობა ამწვავებს და აღრმავებს ამ ქვეყნებში რევოლუციურ კრიზისს.

მესამეც, იმაში, რომ ზოგიერთ ამ ქვეყანაში, მაგალითად ინდოეთში, კაპიტალიზმი გაძლიერებული ტემპით იზრდება, წარმოშობს და აყალიბებს რა ადგილობრივ პროლეტართა მეტად თუ ნაკლებად მრავალრიცხოვან კლასს.

მეოთხეც, იმაში, რომ რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად ასეთი ქვეყნების ნაციონალური ბურჟუაზია ითიშება ორ ნაწილად, რევოლუციურ (წვრილი ბურჟუაზია) და შემთანხმებლურ (მსხვილი ბურჟუაზია) ნაწილებად, რომელთაგან პირველი განაგრძობს რევოლუციურ ბრძოლას, მეორე კი ბლოკს ჰკრავს იმპერიალიზმთან.

მეხუთეც, იმაში, რომ იმპერიალისტური ბლოკის გვერდით ასეთ ქვეყნებში ყალიბდება მეორე ბლოკი, მუშებისა და რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის ბლოკი, ბლოკი ანტიიმპერიალისტური, რომელიც მიზნად ისახავს იმპერიალიზმისაგან სრულ განთავისუფლებას.

მეექვსეც, იმაში, რომ ასეთ ქვეყნებში პროლეტარიატის ჰეგემონიისა და შემთანხმებლური ნაციონალური ბურჟუაზიის გავლენისაგან ხალხთა მასების განთავისუფლების საკითხი სულ უფრო და უფრო საჭირბოროტო ხასიათს იღებს.

მეშვიდეც, იმაში, რომ ეს გარემოება მნიშვნელოვნად აადვილებს დასავლეთის მოწინავე ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობასთან ასეთი ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაკავშირების საქმეს.

აქედან გამომდინარეობს, სულ ცოტა, სამი დასკვნა:

1) იმპერიალიზმისაგან კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების განთავისუფლების მიღწევა შეუძლებელია ძლევამოსილი რევოლუციის მოუხდენლად: დამოუკიდებლობას მუქთად ვერ მიიღებ.

2) კაპიტალისტურად განვითარებულ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში რევოლუციის წინ წაწევა და მათი სრული დამოუკიდებლობის მოპოვება შეუძლებელია, თუ არ მოხდა შემთანხმებლური ნაციონალური ბურჟუაზიის იზოლაცია, თუ წვრილბურჟუაზიული რევოლუციური მასები განთავისუფლებულ არ იქნენ ამ ბურჟუაზიის გავლენისაგან, თუ არ გატარდა პროლეტარიატის ჰეგემონიის პოლიტიკა, თუ მუშათა კლასის მოწინავე ელემენტები არ დაირაზმნენ დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიად.

3) კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მტკიცე გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია, თუ არ მოხდა რეალური შეკავშირება ამ ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასა და დასავლეთის მოწინავე ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობას შორის.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების კომუნისტთა ძირითადი ამოცანა ის არის, რომ თავიანთ რევოლუციურ მუშაობაში ამ დასკვნებს დაეყრდნონ.

რაში მდგომარეობენ კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის მორიგი ამოცანები ამ გარემოებებთან დაკავშირებით?

კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების თავისებურება ამჟამად ის არის, რომ ერთიანი და ყოვლისმომცველი კოლონიური აღმოსავლეთი ბუნებაში აღარ არსებობს. წინათ კოლონიური აღმოსავლეთი წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც რაღაც მთლიანი და ერთსახოვანი. ახლა ეს წარმოდგენა სინამდვილეს აღარ შეეფერება. ახლა ჩვენ გვაქვს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების, სულ ცოტა, სამი კატეგორია. ჯერ-ერთი, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა მაროკო, რომლებსაც არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ თავიანთი პროლეტარიატი და რომლებიც მრეწველობის მხრივ სრულიად განუვითარებელი არიან. მეორეც, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი და ეგვიპტე, რომლებიც მრეწველობის მხრივ ნაკლებად განვითარებული არიან და რომლებსაც შედარებით მცირერიცხოვანი პროლეტარიატი ჰყავთ. მესამეც, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი, რომლებიც კაპიტალისტურად მეტ-ნაკლებად განვითარებული არიან და რომლებსაც მეტად თუ ნაკლებად მრავალრიცხოვანი ნაციონალური პროლეტარიატი ჰყავთ.

ცხადია, რომ ყველა ამ ქვეყნის ერთ ტაფაში მოქცევა ყოვლად შეუძლებელია.

ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა მაროკო, სადაც ნაციონალურ ბურჟუაზიას ჯერ კიდევ საფუძველი არა აქვს რევოლუციურ და შემთანხმებლურ პარტიებად გაითიშოს, კომუნისტური ელემენტების ამოცანა ის არის, რომ ყველა ღონისძიება მიიღონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთიანი ნაციონალური ფრონტის შესაქმნელად. კომუნისტური ელემენტების ერთიან პარტიად გამოყოფა ასეთ ქვეყნებში შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმპერიალიზმთან ბრძოლის მსვლელობაში, განსაკუთრებით იმპერიალიზმის

წინააღმდეგ ძლევამოსილი რევოლუციური ბრძოლის შემდეგ.

ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ეგვიპტე ან ჩინეთი, სადაც ნაციონალური ბურჟუაზია უკვე გაითიშა რევოლუციურ და შემთანხმებლურ პარტიებად, მაგრამ სადაც ბურჟუაზიის შემთანხმებლური ნაწილი ჯერ კიდევ მჭიდროდ ვერ შეკავშირებია იმპერიალიზმს, კომუნისტებს უკვე აღარ შეუძლიათ მიზნად დაისახონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთიანი ნაციონალური ფრონტის შექმნა. ერთიანი ნაციონალური ფრონტის პოლიტიკიდან კომუნისტები ასეთ ქვეყნებში უნდა გადავიდნენ მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციური ბლოკის პოლიტიკაზე. ამ ბლოკს ასეთ ქვეყნებში შეუძლია მიიღოს ერთიანი პარტიის, მუშურ-გლეხური პარტიის ფორმა, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს თავისებური პარტია **სინამდვილეში** წარმოადგენდეს ორი ძალის — კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის პარტიის ბლოკს. ნაციონალური **ბურჟუაზიის** მერყეობისა და არათანმიმდევრობის მხილება და იმპერიალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლა — ასეთია ამ ბლოკის ამოცანები. ასეთი ორშემადგენლობიანი პარტია საჭირო და მიზანშეწონილია, თუ იგი ხელ-ფეხს არ უბორკავს კომპარტიას, თუ იგი არ ბოჭავს კომპარტიის სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის თავისუფლებას, თუ იგი ხელს არ უშლის კომპარტიის გარშემო პროლეტარების დარაზმვას, თუ იგი აადვილებს კომპარტიის მხრივ რევოლუციური მოძრაობისადმი ფაქტიური ხელმძღვანელობის საქმეს. ასეთი ორშემადგენლობიანი პარტია საჭირო არ არის და მიზანშეუწონელია, თუ იგი ყველა ამ პირობას არ აკმაყოფილებს, ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ კომუნისტური ელემენტების

გათქვეფა ბურჟუაზიის რიგებში, კომპარტიის მიერ პროლეტარული არმიის დაკარგვა.

რამდენადმე სხვანაირია საქმის ვითარება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი. ძირითადი და ახალი რამ ისეთ კოლონიათა არსებობის პირობებში, როგორიცაა ინდოეთი, არის არა მარტო ის, რომ ნაციონალური ბურჟუაზია რევოლუციურ და შემთანხმებლურ პარტიებად გაითიშა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ამ ბურჟუაზიის შემთანხმებლურმა ნაწილმა უკვე მოასწრო ძირითადად მორიგებოდა იმპერიალიზმს. ბურჟუაზიის ეს ნაწილი, რომელსაც რევოლუციისა უფრო ეშინია, ვიდრე იმპერიალიზმისა, და რომელიც თავისი ქისის ინტერესებისათვის უფრო ზრუნავს, ვიდრე თავისი საკუთარი სამშობლოს ინტერესებისათვის, რომელიც ყველაზე მდიდარი და ვავლენიანია, ორივე ფეხით დგება რევოლუციის შეურიგებელი მტრების ბანაკში, იმპერიალიზმთან ჰკრავს ბლოკს თავისი საკუთარი ქვეყნის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. შეუძლებელია მიღწეულ იქნას რევოლუციის გამარჯვება ამ ბლოკის დაუმარცხებლად. მაგრამ ამ ბლოკის დასამარცხებლად საჭიროა ძლიერი ცეცხლის მიმართვა შემთანხმებლური ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — მისი გამცემლობის მხილება, მისი გავლენისაგან მშრომელი მასების განთავისუფლება და პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის საჭირო პირობების სისტემატურად მომზადება. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე იმას ეხება, რომ ისეთ კოლონიებში, როგორიცაა ინდოეთი, პროლეტარიატი მოვამზადოთ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის როლისათვის და თანდათანობით ჩამოვაშოროთ ამ საპატიო პოსტს ბურჟუაზია და მისი დამქაშები. რევოლუციური ანტიიმპერიალისტური ბლოკის შექმნა და ამ ბლოკში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველყოფა — ასეთია.

ამოცანა. ამ ბლოკს შეუძლია მიიღოს, მაგრამ ყოველთვის აუცილებლად როდი უნდა მიიღოს ერთიანი მუშურ-გლეხური, ფორმალურად ერთიანი პლატფორმით შეკავშირებული, პარტიის ფორმა. კომპარტიის დამოუკიდებლობა ასეთ ქვეყნებში კომუნიზმის მოწინავე ელემენტების ძირითადი ლოზუნგი უნდა იყოს, ვინაიდან პროლეტარიატის ჰეგემონიის მომზადება და გატარება მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლია. მაგრამ კომპარტიას შეუძლია შეკრას და კიდევაც უნდა შეკრას აშკარა ბლოკი ბურჟუაზიის რევოლუციურ ფრთასთან იმისათვის, რომ მოახდინოს შემთანხმებლური ნაციონალური ბურჟუაზიის იზოლაცია და იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაიყოლიოს ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის მრავალმილიონიანი მასები.

აქედან გამომდინარეობენ კაპიტალისტურად განვითარებული კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის მორიგი ამოცანები:

1) მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტების გადმოყვანა კომუნიზმის მხარეზე და დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიების შექმნა.

2) მუშების, გლეხებისა და რევოლუციური ინტელიგენციის ნაციონალურ-რევოლუციური ბლოკის შექმნა შემთანხმებლური ნაციონალური ბურჟუაზიისა და იმპერიალიზმის ბლოკის წინააღმდეგ.

3) ამ ბლოკში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველყოფა.

4) ბრძოლა შემთანხმებლური ნაციონალური ბურჟუაზიის გავლენისაგან ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის განთავისუფლებისათვის.

5) იმის უზრუნველყოფა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა შეუკავშირდეს მოწინავე ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობას.

ასეთია აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების აქტიური მუშაკების წინაშე მდგომ მორიგ ამოცანათა სამი ჯგუფი.

ამ ამოცანებს განსაკუთრებით სერიოზული ხასიათი და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, თუ მათ ახლანდელი საერთაშორისო ვითარების თვალსაზრისით განვიხილავთ. საერთაშორისო ვითარება ამჟამად იმით ხასიათდება, რომ დადგა რევოლუციური მოძრაობის დროებითი მიწყნარების პერიოდი. მაგრამ რა არის მიწყნარება, რას შეიძლება მოასწავებდეს იგი ამჟამად? იგი შეიძლება მოასწავებდეს მხოლოდ იმას, რომ გაძლიერდება მოწოლა დასავლეთის მუშების, აღმოსავლეთის კოლონიების და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის, როგორც ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის მედროშის, წინააღმდეგ. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამ მოწოლის მომზადება იმპერიალისტთა რიგებში უკვე დაიწყო. ცილისმწამებლური კამპანია ესტონეთში მომხდარ აჯანყებასთან [33] დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული თაღლითური კამპანია სოფიაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, ბურჟუაზიული პრესის საერთო ლაშქრობა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, — ყოველივე ეს შეტევის მოსამზადებელი ეტაპია. ეს არის საზოგადოებრივი აზრის საარტილერიო მომზადება, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ მიაჩვიონ ობივატელები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლებს და შექმნან მორალური წინაპირობები ინტერვენციისათვის. რა გამოვა სიცრუისა და ცილისწამების ამ კამპანიიდან, გაბედავენ თუ ვერ გაბედავენ იმპერიალისტები სერიოზული

შეტევის დაწყებას, — ეს კიდევ ვნახოთ. მაგრამ ეს გამოსვლები კარგს რომ არაფერს უქადიან კოლონიებს, ეს არა გვგონია საეჭვო იყოს. ამიტომ იმპერიალიზმის მხრივ შესაძლებელი დარტყმის წინააღმდეგ რევოლუციის გაერთიანებული ძალების კონტრ-დარტყმის მომზადების საკითხი სადღეისო გადაუდებელი საკითხია.

სწორედ ამიტომ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის მორიგი ამოცანების განუხრელად შესრულებას ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რაში მდგომარეობს აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის მისია კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მიმართ ყველა ამ გარემოებასთან დაკავშირებით? ეს მისია იმაში მდგომარეობს, რომ გათვალისწინებულ იქნას ამ ქვეყნების რევოლუციური განვითარების ყველა თავისებურება და აღიზარდოს ამ ქვეყნებიდან მოსული კადრები იმ მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოყალიბებულ სხვადასხვა მორიგ ამოცანათა შესრულებას.

აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში დაახლოებით 10 სხვადასხვა ჯგუფის მსმენელები არიან, რომლებიც ჩვენში მოვიდნენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებიდან. ყველამ იცის, რომ ამ ამხანაგებს სინათლე და ცოდნა სწყურიათ. აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანა ის არის, რომ გამოზარდოს მათგან ნამდვილი რევოლუციონერები, ლენინიზმის თეორიით შეიარაღებულნი, ლენინიზმის პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილნი და იმის უნარის მქონენი, რომ შეასრულონ კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელი მოძრაობის მორიგი ამოცანები არა შიშით, არამედ სინდისის კარნახით.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კოლონიური აღმოსავლეთის აქტიურ მუშაკთა პრაქტიკაში არსებობს ორი გადახრა, რომლებთან ბრძოლა აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ აღვზარდოთ ნამდვილად რევოლუციური კადრები.

პირველ გადახრას წარმოადგენს კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათა შეუფასებლობა და ერთიანი ყოვლისმომცველი ნაციონალური ფრონტის იდეის გადაჭარბებით შეფასება, მიუხედავად ამ ქვეყნების მდგომარეობისა და განვითარების დონისა. ეს არის გადახრა მარჯვნივ, რომელსაც თან სდევს რევოლუციური მოძრაობის შეუფასებლობისა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა საერთო გუნდში კომუნისტური ელემენტების გათქვეფის საფრთხე. ამ გადახრასთან გადამწყვეტი ბრძოლა აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პირდაპირი მოვალეობაა.

მეორე გადახრას წარმოადგენს განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათა გადაჭარბებით შეფასება და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასისა და რევოლუციური ბურჟუაზიის კავშირის საქმის შეუფასებლობა. ამ გადახრით დაავადებული არიან, ვგონებ, იავის კომუნისტები, რომლებმაც ამას წინათ შეცდომით წამოაყენეს თავიანთი ქვეყნისათვის საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი. ეს არის გადახრა მარცხნივ, რომელსაც თან სდევს მასებისაგან მოწყვეტისა და კომპარტიის სექტად გადაქცევის საფრთხე. ამ გადახრასთან გადამწყვეტი ბრძოლა აღმოსავლეთის კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნებისათვის ნამდვილად რევოლუციური კადრების აღზრდის აუცილებელი პირობაა.

ასეთია ზოგადად აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანები საბჭოთა და კოლონიური აღმოსავლეთის ხალხების მიმართ.

იმედი ვიქონიოთ, რომ აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტი შესძლებს ამ ამოცანების პირნათლად შესრულებას.

«პრავდა» № 115,
1925 წ. 22 მაისი.

«კომსომოლსკაია პრავდის»[33] რედაქციის ყველა წევრს

ამხანაგებო! «კომსომოლსკაია პრავდის» სერიოზული მნიშვნელობის გამო, მინდოდა გამეზიარებინა თქვენთვის პირველი შთაბეჭდილებანი ამ გაზეთში დაბეჭდილი ზოგიერთი სტატიის გამო.

1) ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი ადგილი სტეცკის სტატიებში «ახალი ეკონომიური პოლიტიკის ახალი ეტაპი» ეჭვებს იწვევს. ამ სტატიებში, მართალია, რბილი ფორმით გატარებულია ლოზუნგი «გამდიდრდით». ეს ლოზუნგი ჩვენი არ არის, იგი სწორი არ არის, იგი მთელ რიგ ეჭვებსა და გაუგებრობას იწვევს, და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს «კომსომოლსკაია პრავდაში» დაბეჭდილ სახელმძღვანელო სტატიაში. ჩვენი ლოზუნგია სოციალისტური დაგროვება. ჩვენ ვსპობთ სოფლის კეთილდღეობის ამაღლების ხელის შემშლელ ადმინისტრაციულ დაბრკოლებებს. ეს ოპერაცია უთუოდ აადვილებს ყოველგვარ დაგროვებას, კერძოკაპიტალისტურსაც და სოციალისტურსაც. მაგრამ პარტიას ჯერ არასოდეს არ უთქვამს, რომ იგი თავის ლოზუნ-

გად აყენებს კერძო დაგროვებას. ჩვენ გზას ვაძლევთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და ვუშვებთ კერძო დაგროვებას **იმისათვის**, რომ გავაადვილოთ განხორციელება **ჩვენი** ლოზუნგისა ჩვენი სახალხო მეურნეობის სისტემაში სოციალისტური დაგროვების შესახებ. შესაძლოა, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ამ საკითხს სადავოდ ცნობს. მაგრამ მაშინ სწორედ ასე უნდა ითქვას, რომ ლოზუნგის — «გამდიდრდით» — საკითხი სადავოა და სტატიები ასეთი ლოზუნგის სასარგებლოდ დისკუსიის წესით უნდა იბეჭდებოდეს. მეორე მხრივ, ცხადია, რომ «კომსომოლსკაია პრავდა» სადისკუსიო ორგანო კი არ არის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, დადებითი ორგანოა, რომელიც მკითხველს აძლევს პარტიის მიერ საერთოდ მიღებულ ლოზუნგებსა და დებულებებს.

ერთი სიტყვით, როგორც უნდა მიუდგე საკითხს, ფორმალური თვალსაზრისით, თუ საქმის არსის თვალსაზრისით, სტეცკის სტატია ამ პუნქტში არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. მომავალში საჭირო იქნება მეტი სიფრთხილე.

2) სავსებით მისაღები არ არის აგრეთვე სტეცკის სტატიების ცნობილი პუნქტი სოფლად არაკაპიტალისტური განვითარების შესახებ. წინათ შეიძლებოდა ლაპარაკი განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესახებ. ახლა, როცა ფაქტიურად ბრძოლა სოციალისტური და კაპიტალისტური განვითარების ელემენტებს შორის დაიწყო და მთელი ძალით ჩაღდება, უფრო სწორი იქნებოდა გველაპარაკნა განვითარების სოციალისტური გზის შესახებ. თორემ შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება მივიღოთ, რომ, განვითარების ორი გზის, კაპიტალისტურისა და სოციალისტურის გარდა, არსებობს კიდევ მესამე გზა, — რაც სწორი არ არის და, ყოველ შემთხვევაში, არადამაჯერებელია.

3) მე აგრეთვე არასწორი მგონია ცნობილი ადგილი სლეპკოვის სტატიაში «ლენინური მემკვიდრეობის შესახებ» იმის თაობაზე, რომ კომუნისტებსა და კომკავშირელებს მოუხდებათ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაში **კონკურენცია გაუწიონ** გლეხობის უპარტიო აქტივს. დღემდე ჩვენ ვაყენებდით საკითხს პარტიის გარშემო ასეთი აქტივის შექმნის, მისი აღზრდის შესახებ, და ეს სწორად ითვლებოდა. ახლა სლეპკოვი აყენებს ახალ საკითხს — კომუნისტებისა და კომკავშირელების კონკურენციისას უპარტიო აქტივთან, რომელიც ჯერ კიდევ შესაქმნელია. ეს სწორი არ არის, და ეს არ შეესაბამება საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგით გაჩაღებულ მთელ ჩვენს კამპანიას. ამ აქტივს კონკურენცია კი არ უნდა გავუწიოთ, არამედ უნდა შევქმნათ და აღვზარდოთ იგი.

4) კარგი იქნება მოეწყოს სისტემა «კომსომოლსკაია პრავდის» დამატებებისა მარქსიზმის ყველაზე გამოჩენილ თეორეტიკოსთა პოპულარული ბროშურების სახით — კომუნიზმზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, ოქტომბრის რევოლუციაზე, აგრეთვე მეურნეობისა და მართვა-გამგეობის სხვადასხვა დარგებზე, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ კომკავშირული აქტივის პრაქტიკულ მუშაობასთან ქალაქად და სოფლად. ასეთი დამატებებით, პატარა ბროშურების სახით, შემდეგ შეიძლებოდა შემდგარიყო ერთგვარი პატარა ბიბლიოთეკა კომკავშირის აქტივისტისათვის, რასაც არ შეიძლება უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა არ ექნეს კომკავშირული აქტივის აღსაზრდელად.

5) კარგი იქნება გამარტივდეს «კომსომოლსკაია პრავდის» სტატიების სტილი, დაევალოთ თანამშრომლებს — წერონ სადად, მოკლე ფრაზებით, რაც შეიძლება ნაკლებად იხმარონ უცხოური ტერმინები, ისე, როგორც ეს **ილიჩმა**

იცოდა. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლებოდა, ცვლაც «კომსომოლსკაია პრავდის» დამატების სახით, გამოგეცათ უცხო სიტყვათა პატარა ლექსიკონი, ან სტატიების ტექსტში მაინც მიგეცათ ხოლმე სათანადო ახსნა, თუ მაინცდამაინც არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ უცხო სიტყვებს.

ი. სტალინი
ვ. მოლოტოვი
ა. ანდრეევი

ქ. მოსკოვი, 1925 წ. 2 ივნისი.

იბეჭდება პირველად.

კითხვა-პასუხი

სიტყვა სვერდლოვის უნივერსიტეტში

1925 წ. 9 ივნისი

ამხანაგებო! მე პასუხს გაგცემთ თქვენს მიერ წერილობით დასმულ კითხვებზე. კითხვებს ავიღებ იმ რიგით, როგორც ისინი დასმულია თქვენს ბარათში. ეს კითხვები, როგორც მოგეხსენებათ, ათია.

დავიწყოთ პირველი კითხვიდან.

I

რა ზომებმა და რა პირობებმა უნდა შეუწყონ ხელი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, თუ საბჭოთა კავშირს არ დაეხმარა დასავლეთის პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია მომავალ 10 — 15 წელიწადში?

მე ვფიქრობ, რომ ეს კითხვა შეიცავს ყველა დანარჩენ კითხვას, რომლებიც თქვენ წერილობით დასვით. ამიტომ ჩემს პასუხს ზოგადი ხასიათი ექნება და, მაშასადამე, სრულიადაც არა ამომწურავი. წინააღმდეგ შემთხვევაში დანარჩენი კითხვების პასუხად სათქმელი აღარაფერი დამრჩებოდა.

მე ვფიქრობ, რომ პარტიის XIV კონფერენციის გადაწყვეტილებანი ამომწურავ პასუხს იძლევიან ამ კითხვაზე. იქ, ამ გადაწყვეტილებებში, ნათქვამია, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების ძირითად გარანტიას წარმოადგენს სწორი პოლიტიკა გლეხობის მიმართ.

მაგრამ რა არის სწორი პოლიტიკა გლეხობის მიმართ?

იგი შეიძლება შესდგებოდეს მხოლოდ მთელ რიგ იმ ღონისძიებათაგან სამეურნეო, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ხაზით, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას.

დავიწყოთ სამეურნეო დარგიდან.

საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, სოფლად სამხედრო კომუნიზმის გადმონაშთების ლიკვიდაცია. შემდეგ, საჭიროა ფაბრიკატებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების სწორი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფ ზრდას და «მაკრატლის» ლიკვიდაციას. საჭიროა, გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხის შემცირება და მისი თანდათანობით გადაყვანა საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტის რელსებიდან ადგილობრივი ბიუჯეტის რელსებზე. საჭიროა გლეხობის მრავალმილიონიანი მასების კოოპერირება, უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის ხაზით, როგორც საშუალება გლეხური მეურნეობის ჩაბმისა სოციალისტური მშენებლობის საერთო სისტემაში. საჭიროა სოფლის მაქსიმალურად მომარაგება ტრაქტორებით, როგორც სოფლის მეურნეობის ტექნიკური რევოლუციის განხორციელების საშუალება და როგორც სოფლად კულტურულ-ტექნიკური კერების შექმნის გზა. საჭიროა, დასასრულ, ელექტროფი-

კაციის გეგმის გატარება, როგორც იმის საშუალება, რომ სოფელი დაუახლოვდეს ქალაქს და მოისპოს მათ შორის დაპირისპირებულობა.

ასეთია ის გზა, რომლითაც უნდა წავიდეს პარტია, თუ მას სურს უზრუნველყოს ქალაქის კავშირი სოფელთან სამეურნეო ხაზით.

მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახელმწიფო ბიუჯეტის რელსებიდან ადგილობრივი ბიუჯეტის რელსებზე გადაყვანის საკითხს. ეს შეიძლება უცნაური გეჩვენოთ. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი იღებს და განუხრელად მიიღებს ადგილობრივი გადასახადის ხასიათს. ცნობილია, მაგალითად, რომ ადრე, ორი წლის წინათ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად, ან თითქმის ძირითად მუხლს შეადგენდა. ახლა კი? ახლა იგი სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტი ამჟამად ორნახევარ მილიარდ მანეთს შეადგენს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი კი იძლევა, შეუძლია წელს მოგვცეს სულ ბევრი 250 — 260 მილიონი მანეთი, შარშანდელ თანხაზე 100 მილიონით ნაკლები. როგორც ხედავთ, ეს არც ისე ბევრია. და რაც უფრო გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტი, მით უფრო შემცირდება მასში ამ გადასახადის წილი. მეორე მხრივ, ამ 260 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან 100 მილიონი ადგილობრივ ბიუჯეტში მიდის. ეს მთელი გადასახადის მესამედზე მეტია. რით აიხსნება ეს? იმით, რომ არსებულ გადასახადთა შორის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ყველაზე ახლოს დგას ადგილობრივ პირობებთან, ყველაზე უფრო შეგუებულია ადგილობრივ საჭიროებათათვის გამოსაყენებლად. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი საერთოდ გაიზრდება.

მაგრამ ისიც უეჭველია, რომ იგი გაიზრდება უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხარჯზე, რომელიც მოითხოვს მაქსიმალურ შეგუებას ადგილობრივ პირობებთან. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო შემოსავლის სიმძიმის ცენტრი უკვე გადავიდა და საერთოდ გადავა სხვა სახის შემოსავალზე, შემოსავალზე სახელმწიფო საწარმოებისაგან, არაპირდაპირ გადასახადებზე და სხვ.

სწორედ ამიტომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადაყვანა საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტის რელსებიდან ადგილობრივი ბიუჯეტის რელსებზე შეიძლება თავის დროზე შესაძლებელი და სავსებით მიზანშეწონილი გახდეს ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განმტკიცების თვალსაზრისით.

გადავიდეთ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ დარგში ამ კავშირის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე.

ქალაქად და სოფლად საბჭოთა დემოკრატიის დანერგვა და საბჭოების გამოცოცხლება სახელმწიფო აპარატის გამარტივების, გაიაფებისა და მორალური გაჯანსაღების მიზნით, ამ აპარატიდან ბიუროკრატიზმისა და ბურჟუაზიული გახრწნის ელემენტების განდევნის მიზნით, მრავალმილიონიან მასებთან სახელმწიფო აპარატის სრული დაახლოების მიზნით, — ასეთია ის გზა, რომლითაც უნდა წავიდეს პარტია, თუ სურს განამტკიცოს ქალაქის კავშირი სოფელთან ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მშენებლობის ხაზით.

პროლეტარიატის დიქტატურა თვითმიზანი როდია. დიქტატურა არის საშუალება, გზა სოციალიზმისაკენ. ხოლო რა არის სოციალიზმი? სოციალიზმი არის გადასვლა პროლეტარიატის დიქტატურის საზოგადოებიდან უსახელმწიფოო საზოგადოებაზე. მაგრამ იმისათვის, რომ ეს გადასვლა განვახორციელოთ, საჭიროა მოვამზადოთ სახელმწიფო აპარა-

ტის გადაკეთება ისეთი მიმართულებით და ისეთი გზით, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნას დიქტატურის საზოგადოების გადაქცევა კომუნისტურ საზოგადოებად. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგი, ქალაქად და სოფლად საბჭოთა დემოკრატიის დანერგვის ლოზუნგი, ქვეყნის უშუალო მართვა-გამგეობაში მუშათა კლასისა და გლეხობის საუკეთესო ელემენტების ჩაბმის ლოზუნგი. გამოვასწოროთ სახელმწიფო აპარატი, ნამდვილად გადავაკეთოთ იგი, განვდევნოთ იქიდან ბიუროკრატიზმისა და გახრწნის ელემენტები, გავხადოთ იგი ფართო მასებისათვის მახლობელი და მშობლიური, — ყოველივე ეს შეუძლებელია, თუ თვით მასები მუდმივად და აქტიურად არ ეხმარებიან სახელმწიფო აპარატს. მაგრამ მასების აქტიური და განუწყვეტელი დახმარება, თავის მხრივ, შეუძლებელია, თუ მუშათა და გლეხთა საუკეთესო ელემენტები არ ჩაებნენ მმართველობის ორგანოებში, თუ არ განხორციელდა სახელმწიფო აპარატის პირდაპირი და უშუალო კავშირი მშრომელი მასების უღრმეს «ქვედაფენებთან».

რით განსხვავდება საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ბურჟუაზიული სახელმწიფოს აპარატისაგან?

უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი მასების **ზემოთ** დგას, რის გამო იგი მასებისაგან გამოყოფილია გაუვალი ბარიერით და, თვით თავისი სულისკვეთებით, უცხოა ხალხის მასებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი კი **შერწყმულია** მასებთან, ვინაიდან იგი არ შეიძლება იდგეს და არც უნდა იდგეს მასების ზემოთ, თუ სურს დარჩეს სწორედ საბჭოთა სახელმწიფო აპარატად, ვინაიდან იგი არ შეიძლება უცხო იყოს ამ მასებისათვის, თუ ნამდვილად სურს მოიცვას მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები. ეს არის საბჭოთა სახელ-

მწიფო აპარატის ერთ-ერთი პრინციპული განსხვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოს აპარატისაგან.

ლენინი ოდესღაც თავის ბროშურაში «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?» ამბობდა, რომ ბოლშევიკების პარტიის 240 ათასი წევრი უეჭველად შესძლებდა ქვეყნის მართვას ღარიბთა ინტერესებისათვის მდიდრების წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი არაფრით არ არიან იმ 130 ათას მემამულეზე უარესნი, რომლებიც მართავდნენ ქვეყანას მდიდართა ინტერესებისათვის ღარიბების წინააღმდეგ. ზოგიერთი კომუნისტი ამის საფუძველზე ფიქრობს, რომ სახელმწიფო აპარატი შეიძლება ამოიწუროს პარტიის რამდენიმე ასეული ათასი წევრით და რომ ეს საკმარისია იმისათვის, რომ ვეებერთელა ქვეყანას მართავდე. ამ მოსაზრებით ისინი ზოგჯერ მიდრეკილებას იჩენენ გააიგივეონ პარტია სახელმწიფოსთან. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ეს ლენინის აზრის დამახინჯებაა. ბოლშევიკების პარტიის 240 ათას წევრზე რომ ლაპარაკობდა, ლენინს სრულებითაც არ უნდოდა ეთქვა, რომ ამით ამოიწურება ან შეიძლება ამოიწუროს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის რიცხობრივი შემადგენლობა და საერთო გაქანება. პირიქით, სახელმწიფო აპარატის შემადგენლობაში იგი გულისხმობდა, პარტიის წევრებს გარდა, კიდევ ერთ მილიონ ხმას, რაც მაშინ, ოქტომბრის წინ, ბოლშევიკებმა მიიღეს, და აცხადებდა, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს ერთი დაკვრით **გავაათკეცოთ** ჩვენი სახელმწიფო აპარატი, ე. ი. ავიყვანოთ იგი, სულ ცოტა, 10 მილიონამდე, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყოველდღიურ მუშაობაში მშრომელთა ჩაბმის გზით.

«ამ 240 000 კაცს, — ამბობს ლენინი, — უკვე ახლა ზურგს უმაგრებს სრულასაკოვანი მოსახლეობის სულ მცირე ერთი მილიონი ხმა, ვინაიდან პარტიის წევრთა რიცხვის სწორედ ასეთი თანაფარდობა მის

სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვთან გამორკვეულია ევროპის გამოცდილებით და რუსეთის გამოცდილებით, თუნდაც, მაგალითად, პიტერის თვითმმართველობის აგვისტოს არჩევნებით. აი ჩვენ უკვე გვაქვს «სახელმწიფო აპარატი», შემდგარი **ერთი მილიონი** ადამიანისაგან, რომელნიც სოციალისტური სახელმწიფოს ერთგულნი არიან იდეურად და არა 20 რიცხვში ყოველთვიურად დიდი თანხის მიღების გულისათვის.

უფრო მეტიც, ჩვენ გვაქვს «საუცხოო საშუალება» ერთბაშად, ერთი დარტყმით **გავაათკეცოთ** ჩვენი სახელმწიფო აპარატი, საშუალება, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არასოდეს არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს. ეს საუცხოო საქმე არის მშრომელთა ჩაბმა, ღარიბთა ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყოველდღიურ მუშაობაში» (იხ. ტ. XXI, გვ. 264 — 265).

ხოლო როგორ ხდება ეს «მშრომელთა ჩაბმა, ღარიბთა ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყოველდღიურ მუშაობაში»?

ეს ხდება მასობრივი საინიციატივო ორგანიზაციების, ყოველნაირი კომისიებისა და კომიტეტების, თათბირებისა და დელეგატთა კრებების მეშვეობით, რომლებიც იქმნებიან საბჭოების, სამეურნეო ორგანოების, ფაბჭარხკომების, კულტურული დაწესებულებების, პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციების, ყოველგვარი კოოპერაციული გაერთიანებების გარშემო და სხვ. და ა. შ. ჩვენი ამხანაგები ზოგჯერ ვერ ამჩნევენ, რომ ჩვენი ძირეული პარტიული, საბჭოთა, კულტურული, პროფესიული, საგანმანათლებლო, კომკავშირული, საარმიო, ქალთა განყოფილებებისა და ყოველნაირი სხვა ორგანიზაციების გარშემო ფუტკარივით ირევიან თავისი ნებით შექმნილი ორგანიზაციები, კომისიები და თათბირები, რომლებიც უპარტიო მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებს მოიცავენ, ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური, შეუმჩნეველი, წვრილმანი, უხმაურო მუშაობით ქმნიან საბჭოების საფუძველსა და ცხოვრებას, საბჭოთა სახელმწი-

ფოს ძლიერების წყაროს. ეს მილიონიანი ორგანიზაციები რომ არა, რომლებიც ჩვენი საბჭოთა და პარტიული ორგანოების გარშემო მოქმედებენ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობა და განვითარება, უდიდესი ქვეყნის ხელმძღვანელობა და მართვა აბსოლუტურად წარმოუდგენელი იქნებოდა. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი შესდგება არა მარტო საბჭოებისაგან. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით შესდგება საბჭოებისაგან პლუს ყველა და ყოველნაირ უპარტიო და პარტიულ გაერთიანებათა მილიონიანი ორგანიზაციები, რომელნიც საბჭოებს აერთიანებენ ულრმეს «ქვედაფენებთან», **აერთებენ** სახელმწიფო აპარატს მრავალმილიონიან მასებთან და თანდათანობით სპობენ სახელმწიფო აპარატსა და მოსახლეობას შორის ბარიერის ყოველ ნატამალს.

აი როგორ უნდა ვცდილობდეთ «გავაათკეცოთ» ჩვენი სახელმწიფო აპარატი, გავხადოთ იგი მშრომელთა მილიონიანი მასებისათვის მშობლიური და მახლობელი, განვდევნოთ იქიდან ბიუროკრატიზმის ნაშთები, გავაერთიანოთ იგი მასებთან და ამით მოვამზადოთ გადასვლა პროლეტარიატის დიქტატურის საზოგადოებიდან კომუნისტურ საზოგადოებაში.

ასეთია საბჭოების გამოცოცხლებისა და საბჭოთა დემოკრატიის დანერგვის ლოზუნგის აზრი და მნიშვნელობა.

ასეთია ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განმტკიცების ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია პარტიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში.

რაც შეეხება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში ამ კავშირის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მათ შესახებ ბევრი რამის თქმა არ მოგვიხდება, ვინაიდან ეს ღონისძიებანი ნათელია, საყოველთაოდ ცნობილია და ამი-

ტომ განმარტებას არ საჭიროებენ. მინდა მხოლოდ აღვნიშნო ამ დარგში მუშაობის ძირითადი ხაზი უახლოესი პერიოდისათვის. იგი, ეს ძირითადი ხაზი, იმაში მდგომარეობს, რომ მოვამზადოთ მთელ ჩვენს ქვეყანაში, მთელ საბჭოთა კავშირში საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები. ეს, ამხანაგებო, უდიდესი რეფორმაა. მისი გატარება უდიდესი გამარჯვება იქნება არა მარტო კულტურულ, არამედ პოლიტიკურ და სამეურნეო ფრონტებზეც. იგი, ეს რეფორმა, ქვეყნის უდიდესი აღმავლობის ბაზა უნდა გახდეს. მაგრამ იგი ასეულმილიონობით მანეთი დაჯდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მის განსახორციელებლად საჭირო იქნება მასწავლებელთა მთელი არმია, — თითქმის ნახევარი მილიონი მასწავლებელი. მაგრამ ჩვენ, ყოველივეს მიუხედავად, უახლოეს პერიოდში უნდა უზრუნველვყოთ ეს რეფორმა, თუ ნამდვილად ვფიქრობთ ავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა კულტურულობის უმაღლეს საფეხურზე. და ჩვენ ამას განვახორციელებთ, ამხანაგებო. ეს სავსებით უეჭველია.

ასეთია პასუხი თქვენს პირველ კითხვაზე.

ახლა გადავიდეთ მეორე კითხვაზე.

II

ჩვენი პარტიული გადაგვარების რა საფრთხე არსებობს კაპიტალიზმის სტაბილიზაციასთან დაკავშირებით, თუ ამ სტაბილიზაციამ დიდხანს გასტანა?

არსებობს თუ არა ჩვენში საერთოდ ასეთი საფრთხე?

ასეთი საფრთხე, როგორც შესაძლო და როგორც რეალურიც კი, უეჭველად არსებობს. იგი ჩვენში არსებობს სტაბილიზაციისაგან დამოუკიდებლად. სტაბილიზაცია მას მხოლოდ უფრო საგრძნობს ხდის. ასეთი საფრთხე, თუ მთავარს ავიღებთ, მე ვფიქრობ, სამია:

ა) ჩვენი ქვეყნის მშენებლობის საქმეში სოციალისტური პერსპექტივის დაკარგვის საფრთხე და ამასთან დაკავშირებული ლიკვიდატორობა;

ბ) საერთაშორისო რევოლუციური პერსპექტივის დაკარგვის საფრთხე და ამასთან დაკავშირებული ნაციონალიზმი;

გ) პარტიული ხელმძღვანელობის დაკნინების საფრთხე და ამასთან დაკავშირებული შესაძლებლობა, რომ პარტია გადაიქცეს სახელმწიფო აპარატის დანამატად.

დავიწყოთ პირველი საფრთხიდან.

ამ საფრთხის დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალებისადმი ურწმენობა; მუშათა და გლეხთა კავშირის საქმისადმი ურწმენობა; ამ კავშირის შიგნით მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლისადმი ურწმენობა; «ნეპური რუსეთის» «სოციალისტურ რუსეთად» გადაქცევის საქმისადმი ურწმენობა; ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი ურწმენობა.

ეს არის ლიკვიდატორობისა და გადაგვარების გზა, ვინაიდან მას მივყავართ ოქტომბრის რევოლუციის საფუძვლებისა და მიზნების ლიკვიდაციისაკენ, პროლეტარული სახელმწიფოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაგვარებისაკენ.

ასეთი «სულისკვეთების» წყაროს, პარტიაში მისი წარმოშობის ნიადაგს წარმოადგენს პარტიაზე ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, ჩვენი სახალხო მეურნეობის შიგნით კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების გააფთრებული ბრძოლის პირობებში. კაპიტალისტური ელემენტები ბრძოლას ეწევიან არა მარტო ეკონომიკის სფეროში. ისინი ცდილობენ გადაიტანონ ბრძოლა პროლეტარიატის იდეოლოგიის სფეროში, ცდილობენ პარტიის ყველაზე ნაკლებად

მტკიცე რაზმებს გადასდონ სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი ურწმენობა, ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის სოციალისტური პერსპექტივებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, ამასთან არ შეიძლება ითქვას, რომ მათი მეცადინეობა აბსოლუტურად უნაყოფო რჩებოდეს.

«სად შეგვიძლია ჩვენ, ჩამორჩენილ ქვეყანას, ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, — ამბობს ზოგიერთი ასეთი დაავადებული «კომუნისტი», — ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მდგომარეობა შესაძლებლობას არ გვაძლევს დავისახოთ ასეთი უტოპიური მიზნები, ღმერთმა ქნას როგორმე გავძლოთ, რა გვესოციალიზმება, მოდით ასე თუ ისე ვაშენოთ, და მერე ვნახოთო...».

«ჩვენ უკვე შევასრულეთ ჩვენი რევოლუციური მისია, ოქტომბრის რევოლუცია რომ მოვახდინეთ, — ამბობენ სხვები, — ახლა ყველაფერი დამოკიდებულია საერთაშორისო რევოლუციაზე, ვინაიდან თუ წინასწარ დასავლეთის პროლეტარიატმა არ გაიმარჯვა, ისე ჩვენ სოციალიზმს ვერ ავაშენებთ, ხოლო რევოლუციონერს რუსეთში, არსებითად რომ ვთქვათ, გასაკეთებელი აღარაფერი დარჩენიაო»... ცნობილია, რომ 1923 წელს, გერმანიის რევოლუციის წინ, მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილი ჩვენში მზად იყო მიეტოვებინა წიგნები და გერმანიაში წასულიყო, ამბობდა — «რუსეთში რევოლუციონერს გასაკეთებელი აღარაფერი დარჩენია, უნდა მივატოვოთ წიგნები და გერმანიაში წავიდეთ რევოლუციის მოსახდენადო».

როგორც ხედავთ, «კომუნისტების» ორივე ეს ჯგუფი, პირველიც და მეორეც, ჩვენი მშენებლობის სოციალისტურ შესაძლებლობათა უარყოფის ნიადაგზე, ლიკვიდატორობის ნიადაგზე დგას. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ პირველნი თავიანთ ლიკვიდატორობას ფარავენ «მეცნიერული» თეორიით — «საწარმოო ძალების თეორიით»

(ტყუილად კი არ შეაქო ისინი ამ დღეებში მილიუკოვმა, რომელმაც «პოსლედნიე ნოვოსტში»[24] მათ «სერიოზული მარქსისტები» უწოდა), მეორენი კი მას ფარავენ მემარცხენე და «საშინლად რევოლუციური» ფრაზებით მსოფლიო რევოლუციის შესახებ.

მართლაც. დავუშვათ, რომ რევოლუციონერს რუსეთში გასაკეთებელი არაფერი დარჩენია; დავუშვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენება სხვა ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებამდე წარმოუდგენელია, შეუძლებელია; დავუშვათ, რომ სოციალიზმის გამარჯვება მოწინავე ქვეყნებში კიდევ დაიგვიანებს 10—20 წელიწადს, — შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ ასეთ პირობებში, რომ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში მოქმედებენ, დათანხმდებიან შეწყვიტონ ამ მეურნეობის სოციალისტურ ელემენტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და გულხელდაკრეფილი დაელოდებიან მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას? საკმარისია დავსვათ ეს კითხვა, რომ გავიგოთ ასეთი ვარაუდის მთელი უაზრობა. მაგრამ თუ ეს ვარაუდი გამორიცხულია, მაშინ რაღა დარჩენიათ გასაკეთებელი ჩვენს «სერიოზულ მარქსისტებსა» და «საშინელ რევოლუციონერებს»? აშკარაა, მათ ერთიღა დარჩენიათ: ერთი ადგილი ტკეპნონ, სტიქიონს მიენდონ და თანდათანობით გადაგვარდნენ ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ დემოკრატებად.

ორში ერთი: **ან** ჩვენ მიგვაჩნია ჩვენი ქვეყანა პროლეტარული რევოლუციის ბაზად, მოგვეპოვება, როგორც ამბობს ლენინი, ყველა პირობა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად, — და მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ და უნდა ვაშენოთ კიდეც ასეთი საზოგადოება, ჩვენი სახალხო მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე სრული გამარჯვების იმედით; **ან** ჩვენს ქვეყანას რევოლუ-

ციის ბაზად არ ვთვლით, სოციალიზმის აშენებისათვის პირობები არ მოგვეპოვება, სოციალისტური საზოგადოების აშენება არ შეგვიძლია, — და მაშინ, თუ სხვა ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებამ დაიგვიანა, უნდა შევურიგდეთ იმას, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტები გაიმარჯვებენ, საბჭოთა ხელისუფლება გაიხრწნება, პარტია გადაგვარდება.

ან ერთი, ან მეორე.

სწორედ ამიტომ ჩვენი მშენებლობის სოციალისტური შესაძლებლობებისადმი ურწმენობას ლიკვიდატორობისა და გადაგვარებისაკენ მივყავართ.

სწორედ ამიტომ ლიკვიდატორობის საფრთხესთან ბრძოლა ჩვენი პარტიის მორიგი ამოცანაა, განსაკუთრებით ახლა, განსაკუთრებით კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პირობებში.

გადავიდეთ მეორე საფრთხეზე.

ამ საფრთხის დამახასიათებელი ნიშანია საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისადმი ურწმენობა; მისი გამარჯვებისადმი ურწმენობა; კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება; იმის გაუგებლობა, რომ სხვა ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის მხრივ დაუხმარებლად ჩვენი ქვეყანა მსოფლიო იმპერიალიზმს ვერ გაუმკლავდებოდა; იმის გაუგებლობა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება არ შეიძლება საბოლოო იყოს, ვინაიდან იგი არ შეიძლება გარანტირებული იყოს ინტერვენციისაგან, სანამ რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში მაინც არ გაიმარჯვებს; ინტერნაციონალიზმის იმ ელემენტარული მოთხოვნის გაუგებლობა, რომლის მიხედვითაც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება თვით-

მიზანი კი არ არის, არამედ სხვა ქვეყნებში რევოლუციის განვითარებისა და დახმარების საშუალებაა.

ეს არის ნაციონალიზმისა და გადაგვარების გზა, პროლეტარიატის ინტერნაციონალური პოლიტიკის სრული ლიკვიდაციის გზა, ვინაიდან ამ სენით შეპყრობილი ადამიანები ჩვენს ქვეყანას განიხილავენ არა როგორც იმ მთელის ნაწილს, რომელსაც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა ეწოდება, არამედ როგორც ამ მოძრაობის დასაწყისსა და დასასრულს, და მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს მსხვერპლად უნდა შეეწიროს ყველა სხვა ქვეყნის ინტერესები.

მხარი დავუჭიროთ ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას? რისთვის? განა ეს სახიფათო არ იქნება? განა ეს სხვა ქვეყნებს არ წაგვკიდებს? განა უმჯობესი არ იქნება დავამყაროთ ჩინეთში «გავლენის სფეროები» სხვა «მოწინავე» სახელმწიფოებთან ერთად და ზოგი რამ ჩამოვაცალოთ ჩინეთს ჩვენს სასარგებლოდ? ეს სასარგებლოც არის და არც სახიფათოა... მხარი დავუჭიროთ განმათავისუფლებელ მოძრაობას გერმანიაში? განა ღირს რისკი გავწიოთ? განა უმჯობესი არ არის შევუთანხმდეთ ანტანტას ვერსალის ხელშეკრულების შესახებ და ზოგი რამ დავათმობინოთ ჩვენს სასარგებლოდ კომპენსაციის სახით?.. შევინარჩუნოთ მეგობრობა სპარსეთთან, თურქეთთან, ავღანეთთან? განა ღირს ამისთვის თავის შეწუხება? განა უმჯობესი არ იქნება აღვადგინოთ «გავლენის სფეროები» ზოგიერთ დიდ სახელმწიფოსთან ერთად? და სხვა და ა. შ.

ასეთია ახალი ტიპის ნაციონალისტური «სულისკვეთება», რომელიც ცდილობს მოახდინოს ოქტომბრის რევოლუციის საგარეო პოლიტიკის ლიკვიდაცია და ნერგავს გადაგვარების ელემენტებს.

თუ პირველი საფრთხის, ლიკვიდატორობის საფრთხის, წყაროს წარმოადგენს პარტიაზე ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერება საშინაო პოლიტიკის ხაზით, ჩვენი სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლის ხაზით, ამ მეორე საფრთხის, ნაციონალიზმის საფრთხის, წყაროდ უნდა ჩაითვალოს პარტიაზე ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერება საგარეო პოლიტიკის ხაზით, პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოსთან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლის ხაზით. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ჩვენს სახელმწიფოზე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ზემოქმედება მეტად დიდია, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის მუშაკები ყოველთვის როდი ახერხებენ გაუმკლავდნენ ამ ზემოქმედებას, რომ გართულებათა საფრთხე ხშირად ქმნის ცთუნებას — დაადგნენ ნაკლები წინააღმდეგობის გზას, ნაციონალიზმის გზას.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ მხოლოდ თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის საგარეო პოლიტიკის საფუძველზე შეუძლია პირველ გამარჯვებულ ქვეყანას შეინარჩუნოს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მედროშის როლი, რომ საგარეო პოლიტიკაში ნაკლები წინააღმდეგობისა და ნაციონალიზმის გზა ნიშნავს პირველი გამარჯვებული ქვეყნის იზოლაციისა და გახრწნის გზას.

სწორედ ამიტომ საერთაშორისო რევოლუციური პერსპექტივის დაკარგვა იწვევს ნაციონალიზმისა და გადაგვარების საფრთხეს.

სწორედ ამიტომ საგარეო პოლიტიკაში ნაციონალიზმის საფრთხესთან ბრძოლა პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

დასასრულ, მესამე საფრთხის შესახებ.

ამ საფრთხის დამახასიათებელი ნიშანია პარტიის შინაგანი ძალებისადმი ურწმენობა; პარტიული ხელმძღვანელობისადმი ურწმენობა; სახელმწიფო აპარატის მისწრაფება — შეასუსტოს პარტიული ხელმძღვანელობა, განთავისუფლდეს მისგან; იმის გაუგებლობა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის გარეშე პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია.

ეს საფრთხე სამი მხრიდან მოდის.

ჯერ-ერთი. გამოიცვალნენ კლასები, რომლებსაც უნდა ვუხელმძღვანელოთ. მუშები და გლეხები ახლა ის აღარ არიან, რაც სამხედრო კომუნიზმის პერიოდში იყვნენ. წინათ მუშათა კლასი დეკლასირებული და დაქსაქსული იყო, გლეხობა კი შეპყრობილი იყო იმის შიშით, რომ სამოქალაქო ომში დამარცხების შემთხვევაში მემამულეები დაბრუნდებოდნენ, ხოლო პარტია ამ პერიოდში იყო ერთადერთი კონცენტრირებული ძალა, რომელიც საქმეებს სამხედრო წესით ხელმძღვანელობდა. ახლა ჩვენში სხვა ვითარებაა. ომი აღარ არის. მაშასადამე, აღარ არის სამხედრო საფრთხე, რომელიც მშრომელ მასებს პარტიის გარშემო რაზმავდა. პროლეტარიატი აღდგა და წელში გაიმართა როგორც კულტურულად, ისე მატერიალურად. გლეხობაც აღდგა და განვითარდა. ორივე კლასის პოლიტიკური აქტივობა იზრდება და კვლავაც გაიზრდება. ახლა სამხედრო წესით ხელმძღვანელობა აღარ შეიძლება. საჭიროა, ჯერ-ერთი, მაქსიმალური მოქნილობა ხელმძღვანელობაში. საჭიროა, მეორე მხრივ, არაჩვეულებრივი გულისხმიერება მუშათა და გლეხთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი. მესამეც, საჭიროა იმის უნარი, რომ პარტიაში მოვიზიდოთ საუკეთესო ადამიანები მუშათა და გლეხთაგან, რომლებიც დაწინაურდნენ ამ კლასების პოლიტიკური აქტივობის განვითარების შედეგად. მაგრამ ამ პირობებსა და თვისებებს,

როგორც ცნობილია, ერთბაშად ვერ მოიპოვებ. აქედან წარმოსდგება შეუფარდებლობა პარტიისადმი წაყენებულ მოთხოვნილებათა და ამჟამად პარტიის განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობათა შორის. აქედანვე წარმოსდგება პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტების საფრთხე, პარტიული ხელმძღვანელობის დაკარგვის საფრთხე.

მეორე. ამ უკანასკნელ პერიოდში, სამეურნეო განვითარების პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატი. ტრესტები და სინდიკატები, სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებები, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, დასასრულ, ყველა სახის კოოპერაცია — მნიშვნელოვნად გაიზარდნენ და გაფართოვდნენ, მათ ასეულათასობით მოიზიდეს ახალი ადამიანები, უმთავრესად უპარტიოები. მაგრამ ეს აპარატები იზრდებიან არა მარტო თავიანთი შემადგენლობით. იზრდება აგრეთვე მათი ძალა და ხვედრითი წონა. და რაც უფრო იზრდება მათი მნიშვნელობა, მით უფრო საგრძნობი ხდება მათი ზეგავლენა პარტიაზე, მით უფრო დაჟინებით ცდილობენ ისინი პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებას, მით უფრო ძლიერი ხდება მათი წინააღმდეგობა პარტიისადმი. საჭიროა ძალთა ისეთი გადაჯგუფება და ამ აპარატებს შიგნით ხელმძღვანელ ადამიანთა ისეთი განაწილება, რომ ამან უზრუნველყოს პარტიის ხელმძღვანელობა ახალ ვითარებაში. მაგრამ ყოველივე ამის მიღწევა, როგორც ცნობილია, ერთი დაკვრით არ შეიძლება. აქედან წარმოსდგება საფრთხე სახელმწიფო აპარატის მოწყვეტისა პარტიისაგან.

მესამე. გართულდა და დიფერენცირებული გახდა თვით მუშაობა. მე ვლაპარაკობ ახლანდელ აღმშენებლობითს მუშაობაზე. ჩამოყალიბდნენ და განვითარდნენ მუ-

შაობის მთელი დარგები და ქვედარგები როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ამის შესაბამისად ხელმძღვანელობაც უფრო კონკრეტული გახდა. წინათ ჩვეულებრივ ლაპარაკობდნენ ხელმძღვანელობაზე «საერთოდ». ახლა «საერთოდ» ხელმძღვანელობა ფუჭი ლაყბობაა, ვინაიდან იგი არავითარ ხელმძღვანელობას არ შეიცავს. ახლა საჭიროა კონკრეტული, საგნობრივი ხელმძღვანელობა. წინა პერიოდმა გამოიმუშავა ტიპი ყოვლისცოდნია მუშაკისა, რომელიც მზად იყო პასუხი გაეცა თეორიისა და პრაქტიკის ყველა საკითხზე. ახლა ყოვლისცოდნია მუშაკის ამ ძველმა ტიპმა ადგილი უნდა დაუთმოს ახალი ტიპის მუშაკს, რომელიც ცდილობს დაეუფლოს საქმეს მუშაობის ერთ რომელიმე დარგში. ნამდვილად რომ ხელმძღვანელობდე, უნდა იცნობდე საქმეს, უნდა შეისწავლო საქმე კეთილსინდისიერად, მოთმინებით, ბეჯითად. არ შეიძლება ხელმძღვანელობდე სოფლად, თუ არ იცნობ სოფლის მეურნეობას, თუ არ იცნობ კოოპერაციას, თუ არ იცნობ ფასების პოლიტიკას, თუ შესწავლილი არა გაქვს კანონები, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ სოფელთან. არ შეიძლება ხელმძღვანელობდე ქალაქად, თუ არ იცნობ მრეწველობას, თუ არ სწავლობ მუშათა ყოფაცხოვრებას, თუ ყურს არ უგდებ მუშების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, თუ არ იცნობ კოოპერაციას, პროფკავშირებს, საკლუბო საქმეს. მაგრამ შეიძლება თუ არა მიაღწიო ყოველივე ამას ერთი დაკვრით? სამწუხაროდ, არ შეიძლება. პარტიული ხელმძღვანელობა ჯეროვან სიმაღლეზე რომ ავიყვანოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა ავამაღლოთ პარტიულ მუშაკთა კვალიფიკაცია. ახლა მუშაკის ხარისხი პირველ ადგილზე უნდა იდგეს. მაგრამ პარტიული მუშაკის ხარისხის ერთი დაკვრით ამაღლება არც ისე ადვილია. ნაჩქარევი ადმინისტრირების ძველი ჩვევები, რომლებიც, სამ-

წუხაროდ, საქმის ცოდნის მაგიერობას სწევდნენ, ჯერ კიდევ ცოცხლობენ პარტიულ ორგანიზაციებში. არსებითად, ამით აიხსნება, რომ ეგრეთწოდებული პარტიული ხელმძღვანელობა ზოგჯერ გადაგვარდება ხოლმე სრულიად ზედმეტ განკარგულებათა სასაცილო გროვად, ფუჭ და სიტყვიერ «ხელმძღვანელობად», რომელიც არავის და არაფერს არ ეხება. ამაშია პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებისა და დაცემის ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული საფრთხე.

ასეთია ზოგადად ის საფუძვლები, რომელთა გამო პარტიული ხელმძღვანელობის დაკარგვის საფრთხეს მივყავართ პარტიის გახრწნისა და გადაგვარებისაკენ.

სწორედ ამიტომ ამ საფრთხესთან გადამწყვეტი ბრძოლა ჩვენი პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

ასეთია პასუხი თქვენს მეორე კითხვაზე.

გადავიდეთ მესამე კითხვაზე.

III

როგორ ვაწარმოოთ კულაკობასთან ბრძოლა, ისე რომ კლასობრივი ბრძოლა არ გავალვივოთ?

მე ვფიქრობ, რომ კითხვა შეკვეცილია და ამიტომ არასწორად არის დასმული. რა კლასობრივ ბრძოლაზეა ლაპარაკი? თუ ლაპარაკია საერთოდ კლასობრივ ბრძოლაზე სოფლად, ამ ბრძოლას პროლეტარიატი აწარმოებს არა მარტო კულაკების წინააღმდეგ. ხოლო წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და მთლიანად გლეხობას შორის, — რით არ არის ეს კლასობრივი ბრძოლა, თუმცა მას საკმაოდ უჩვეულო ფორმა აქვს? განა სწორი არ არის, რომ პროლეტარიატი და გლეხობა ამჟამად შეადგენენ ჩვენი საზოგადოების ორ ძირითად კლასს, რომ ამ კლასებს შორის არსებობენ წინააღმდეგობანი, რომელთა გადაჭრა და, ბოლოს,

გადალახვა, მართალია, შეიძლება, მაგრამ ეს მაინც ისეთი წინააღმდეგობებია, რომელნიც იწვევენ ბრძოლას ამ ორ კლასს შორის?

მე ვფიქრობ, რომ კლასობრივ ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში, თუ მხედველობაში მივიღებთ ურთიერთობას ქალაქსა და სოფელს შორის, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, — სამი მთავარი ფრონტი აქვს:

ა) მთლიანად პროლეტარიატსა (სახელმწიფოს სახით) და გლეხობას შორის ბრძოლის ფრონტი ფაბრიკატებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზღვრული ფასების დაწესების ხაზით, საგადასახადო საქმის ნორმალიზაციის ხაზით და სხვ.;

ბ) მთლიანად პროლეტარიატსა (სახელმწიფოს სახით) და კულაკობას შორის ბრძოლის ფრონტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სპეკულანტური ფასების ლიკვიდაციის ხაზით, საგადასახადო ტვირთის ძირითადი სიმძიმის კულაკებისათვის დაკისრების ხაზით და სხვ.;

გ) სოფლის ღარიბ მოსახლეობასა, უწინარეს ყოვლისა მოჯამაგირეებსა, და კულაკობას შორის ბრძოლის ფრონტი.

თქვენ ხედავთ, რომ ეს ფრონტები არ შეიძლება ერთნაირი იყოს არც მათი ხვედრითი წონით და არც იქ წარმოებული ბრძოლის ხასიათით. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულებაც ამ ფრონტებზე კლასობრივი ბრძოლის ფორმებთან სხვადასხვა, არაერთნაირი უნდა იყოს.

უფრო ახლოს განვიხილოთ საქმე.

პირველი ფრონტი. პროლეტარიატმა (სახელმწიფოს სახით), გაუწია რა ანგარიში ჩვენი მრეწველობის სისუსტეს და იმ გარემოებას, რომ მისთვის სესხების მიღება შეუძლებელია, დააწესა მთელი რიგი ძირითადი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან იგი უცხოეთის მრეწველობის კონკურენციისაგან და დააჩქარონ მისი განვითარე-

ბა, რაც ხელსაყრელი იქნება მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის და მასთან ერთად სოფლის მეურნეობისთვისაც. ეს ღონისძიებანი შემდეგია: საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო ფორმები, მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარებაში გეგმიანი საწყისის შეტანა. ყოველივე ეს — მრეწველობის, ტრანსპორტის, კრედიტის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციის საფუძველზე. თქვენ იცით, რომ ამ ღონისძიებებმა გამოიწვიეს ის, რაც უნდა გამოეწვიათ, ე. ი. ზღვარი დაუდეს როგორც მრეწველობის ნაწარმის ფასების შეუკავებელ შემცირებას, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების შეუკავებელ ზრდას. მეორე მხრივ, ცხადია, რომ მთლიანად გლეხობა, რამდენადაც იგი მრეწველობის ნაწარმს ყიდულობს, ხოლო ბაზარზე ასაღებს თავისი მეურნეობის პროდუქტებს, — ამჯობინებს იღებდეს ამ ნაწარმს რაც შეიძლება უფრო იაფ ფასად და ასაღებდეს თავის პროდუქტებს რაც შეიძლება უფრო ძვირ ფასად. ასევე გლეხობას სურს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სრულებით არ იყოს, ან, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

სწორედ ეს გახლავთ ნიადაგი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ბრძოლისათვის.

შეუძლია თუ არა სახელმწიფოს ხელი აიღოს ზემოთ აღნიშნულ ძირითად ღონისძიებებზე? არა, არ შეუძლია. ვინაიდან ამ ღონისძიებებზე ხელის აღება ამჟამად გამოიწვევდა ჩვენი მრეწველობის განადგურებას, პროლეტარიატის როგორც კლასის განადგურებას, ჩვენი ქვეყნის გადაქცევას მრეწველობის მხრივ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების აგრარულ კოლონიად, მთელი ჩვენი რევოლუციის ჩაშლას.

დაინტერესებულია თუ არა მთლიანად გლეხობა ჩვენი სახელმწიფოს ამ ძირითად ღონისძიებათა მოსპობით? არა, არ არის დაინტერესებული. ვინაიდან ამ ღონისძიებათა მოსპობა ამჟამად ნიშნავს განვითარების კაპიტალისტური გზის გამარჯვებას, ხოლო განვითარების კაპიტალისტური გზა ისეთი განვითარების გზაა, რაც გულისხმობს გლეხობის უმრავლესობის გაღატაკებას ერთ მუჭა ბობოლათა, ერთ მუჭა კაპიტალისტთა გამდიდრების გულისთვის. ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ გლეხობა დაინტერესებულია თავისი საკუთარი გაღატაკებით, რომ იგი დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის კოლონიად გადაქცევით, რომ იგი ღრმად დაინტერესებული არ არის ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების სოციალისტური გზის გამარჯვებით?

სწორედ ეს გახლავთ ნიადაგი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირისათვის.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენს სამრეწველო ორგანოებს, მონოპოლიაზე დაყრდნობით, შეუძლიათ ხელოვნურად გაადიდონ მრეწველობის ნაწარმის ფასები გლეხობის ძირითადი მასის ინტერესების საზიანოდ და თვით მრეწველობის საზიანოდ? არა, არ ნიშნავს. ასეთი პოლიტიკა ზიანს მიაყენებდა, უწინარეს ყოვლისა, თვით მრეწველობას, შეუძლებელს გახდიდა ჩვენი მრეწველობის გადაქცევას სათუთი და ჩია მცენარიდან, როგორიც ის გუშინ იყო, მტკიცე და მძლავრ მრეწველობად, როგორიც იგი ხვალ უნდა გახდეს. აქედან გამომდინარეობს ჩვენი კამპანია ფაბრიკატების ფასების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. თქვენ იცით, რომ ამ კამპანიას საკმაოდ დიდი წარმატება აქვს.

ნიშნავს თუ არა ეს, გარდა ამისა, რომ ჩვენს დამამზადებელ ორგანოებს, მონოპოლიაზე დაყრდნობით, შეუძლიათ მიმართონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების

ფასების შემცირების პოლიტიკას, გლეხობის გამაღატაკებელი გახადონ ეს ფასები, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესთა საზიანოდ? არა, არ ნიშნავს. ასეთი პოლიტიკა დაღუპავდა, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობას, ვინაიდან ეს პოლიტიკა, ჯერ-ერთი, გააძნელებდა მუშების მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, მეორეც, საბოლოოდ დაშლიდა ჩვენი მრეწველობის საშინაო ბაზარს და მოახდენდა მის დეზორგანიზაციას. აქედან გამომდინარეობს ჩვენი კამპანია ეგრეთწოდებული «მაკრატლის» წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ ამ კამპანიამ უკვე მოგვცა ხელსაყრელი შედეგები.

ნიშნავს თუ არა ეს, დასასრულ, იმას, რომ ჩვენს ადგილობრივ თუ ცენტრალურ ორგანოებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონზე დაყრდნობით და გადასახადთა აკრეფის თავიანთი უფლების გამოყენებით, შეუძლიათ გაანიხილონ ეს კანონი როგორც რაღაც უცილობელი, შეუძლიათ თავიანთ პრაქტიკაში იქამდე მივიდნენ, რომ ბეღლები დაუნგრიონ და სახლებზე სახურავი აუყარონ ხელმოკლე გადამხდელებს, როგორც ეს ტამბოვის გუბერნიის ზოგიერთ რაიონში მოხდა? არა, არ ნიშნავს. ასეთი პოლიტიკა პროლეტარიატს, სახელმწიფოს ყოველგვარ ნდობას დაუკარგავდა გლეხებში. აქედან გამომდინარეობენ პარტიის უკანასკნელი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესამცირებლად, ამ გადასახადისათვის მეტად თუ ნაკლებად ადგილობრივი ხასიათის მისაცემად, საერთოდ ჩვენი საგადასახადო საქმის მოსაწესრიგებლად, იმ უმსგავსობის სალიკვიდაციოდ, რაც აქა-იქ გადასახადების აკრეფის ნიადაგზე გამოიჩინეს. თქვენ იცით, რომ ამ ღონისძიებებმა უკვე გამოიღეს სასურველი შედეგები.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს, ჯერ-ერთი, პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესთა ერთობა ძირითად საკითხებში, მათი

საერთო დაინტერესება სახალხო მეურნეობის განვითარების სოციალისტური გზის გამარჯვებით. აქედან წარმოსდგება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. მეორეც, ჩვენ გვაქვს მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესთა წინააღმდეგობანი მიმდინარე საკითხებში. აქედან წარმოსდგება ბრძოლა ამ კავშირის შიგნით, ბრძოლა, რომელსაც თავისი ხვედრითი წონით ინტერესთა ერთობა ფარავს და რომელიც უნდა გაქრეს მომავალში, როცა მუშები და გლეხები კლასები აღარ იქნებიან — როცა ისინი უკლასო საზოგადოების მშრომელებად გადაიქცევიან. მესამეც, ჩვენ მოგვეპოვება საშუალებანი და გზები მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ამ წინააღმდეგობათა გადასაჭრელად მუშათა და გლეხთა კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცების ფარგლებში, ორივე მოკავშირის ინტერესებისათვის. და ჩვენ არა მარტო ჩვენს განკარგულებაში მოგვეპოვება ეს გზები და საშუალებანი, არამედ უკვე წარმატებითაც ვიყენებთ მათ ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის რთულ ვითარებაში.

გამოდის თუ არა აქედან, რომ ჩვენ უნდა გავაღვივოთ კლასობრივი ბრძოლა ამ ფრონტზე? არა, არ გამოდის. პირიქით! აქედან მხოლოდ ის გამოდის, რომ ჩვენ ყოველნაირად უნდა შევანელოთ ბრძოლა ამ ფრონტზე, მოვაწესრიგოთ იგი შეთანხმებათა და ურთიერთდათმობათა გზით და არამც და არამც არ მივიყვანოთ მკვეთრ ფორმებამდე, შეჯახებამდე. და ჩვენ კიდეც ვახორციელებთ ამას. ვინაიდან ჩვენ საამისოდ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება. ვინაიდან ინტერესთა ერთობა აქ უფრო ძლიერი და ღრმაა, ვიდრე ინტერესთა წინააღმდეგობა.

როგორც ხედავთ, კლასობრივი ბრძოლის გაღვივების ლოზუნგი სრულიად გამოუსადეგარია ამ ფრონტზე ბრძოლის პირობებისათვის.

მეორე ფრონტი. მოქმედ პირებად აქ გამოდიან პროლეტარიატი (საბჭოთა სახელმწიფოს სახით) და კულაკობა. კლასობრივი ბრძოლის ფორმები აქაც ისევე თავისებურია, როგორც თავისებურია ისინი პირველ ფრონტზე ბრძოლის პირობებში.

სახელმწიფოს სურს მისცეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს მკვეთრად გამოსახული ხასიათი საშემოსავლო გადასახადისა და ამიტომ მის მთავარ სიმძიმეს კულაკობას აკისრებს. ამის პასუხად კულაკობა «ყოველნაირი — სწორი თუ მრუდე — გზით» ცდილობს თავი დაიძვრინოს და მთელ თავის ძალასა და მთელ თავის გავლენას სოფლად იმისათვის იყენებს, რომ გადასახადის სიმძიმე საშუალო და ღარიბ გლეხებს დააკისროს.

სახელმწიფო იბრძვის ცხოვრების სიძვირის წინააღმდეგ და ცდილობს შეინარჩუნოს ხელფასის სიმტკიცე, ამიტომ ცდილობს მიიღოს ეკონომიური ხასიათის ზომები, რომლებიც გამოიწვევენ იმას, რომ დაწესდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზღვრული, სამართლიანი, გლეხური მეურნეობის ინტერესებისადმი სავსებით შესაბამისი ფასები. კულაკობა ამის პასუხად ეწევა პროდუქტების შესყიდვას ღარიბი და საშუალო გლეხებისაგან, აგროვებს დიდ მარაგს, ინახავს თავის ბეღლებში და არ უშვებს ბაზარზე, რათა ხელოვნურად გაადიდოს პროდუქტების ფასები, აიყვანოს სპეკულანტური ფასების დონემდე და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუშვას ბაზარზე უზომო სპეკულანტური მოგების ამოსაქაჩავად. თქვენ ალბათ იცით, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ გუბერნიაში კულაკებმა წელს მოახერხეს პურის ფასების ხელოვნურად აწევა ზღვრულ სიმაღლემდე.

აქედან წარმოსდგება კლასობრივი ბრძოლა ამ ფრონტზე მისი თავისებური და მეტ-ნაკლებად ფარული ფორმებით.

შეიძლება გვეჩვენოს, რომ კლასობრივი ბრძოლის გაღვივების ლოზუნგი სავსებით მიუდგება ამ ფრონტზე ბრძოლის პირობებს. მაგრამ ეს სწორი არ არის. ვინაიდან ჩვენ აქაც დაინტერესებული არა ვართ კლასობრივი ბრძოლის გაღვივებით. ვინაიდან ჩვენ სავსებით შეგვიძლია არ გავაღვივოთ და არც უნდა გავაღვივოთ აქ ბრძოლა და თავიდან ავიცილოთ მასთან დაკავშირებული გართულებანი.

ჩვენ შეგვიძლია გამოვაცოცხლოთ და უნდა გამოვაცოცხლოთ კიდეც საბჭოები, მოვიმხროთ საშუალო გლეხი და დავრაზმოთ ღარიბი გლეხობა საბჭოების შიგნით, რათა მივაღწიოთ გლეხობის ძირითადი მასისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას და გადასახადის მთავარი სიმძიმის ფაქტიურად კულაკობისათვის დაკისრებას. თქვენ იცით, რომ ამ მიმართულებით ღონისძიებებს ვიღებთ, და ეს ღონისძიებანი უკვე იძლევიან ხელსაყრელ შედეგებს.

ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ და უნდა ვიქონიოთ კიდეც სახელმწიფოს განკარგულებაში სურსათის საკმაო მარაგი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ზეგავლენა მოვახდინოთ სასურსათო ბაზარზე, ჩავერიოთ საქმეში, როცა ეს აუცილებელია, შევინარჩუნოთ ფასები მშრომელი მასებისათვის მისაღებ დონეზე და, ამრიგად, ჩავშალოთ კულაკობის სპეკულანტური მახინაციები. თქვენ იცით, რომ ამ საქმეს ჩვენ წელს რამდენიმე ათეული მილიონი ფუთი პური მოვახმარეთ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ამ ნიადაგზე ჩვენ სავსებით ხელსაყრელი შედეგები მოვიპოვეთ, ვინაიდან არა მარტო მივაღწიეთ პურის იაფი ფასების შენარჩუნებას ისეთ რაიონებში, როგორიცაა ლენინგრადი, მოსკოვი, დონბასი, ივანოვო-ვოზნესენსკი და სხვ., არამედ კიდევაც ვაიძულეთ კულაკი კაპიტულაცია მოეხდინა მთელ რიგ რაიონებში, ვაიძულეთ იგი ბაზარზე გამოეტანა პურის ძველი მარაგი არც თუ მაღალ ფასად.

რა თქმა უნდა, საქმე აქ მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული. სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კულაკობა თვითონ დაიწყებს კლასობრივი ბრძოლის გაღვივებას, შეეცდება მიიყვანოს იგი დუღილის წერტილამდე, შეეცდება მისცეს მას ბანდიტურ გამოსვლათა ან ამბოხებათა ფორმა. მაგრამ მაშინ ბრძოლის გაღვივების ლოზუნგი ჩვენი ლოზუნგი კი აღარ იქნება, არამედ კულაკობის ლოზუნგი, მაშასადამე, კონტრრევოლუციური ლოზუნგი. გარდა ამისა, უეჭველია, რომ კულაკობას მაშინ მოუხდება თავის ზურგზე იგემოს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ამ ლოზუნგის მთელი არახელსაყრელობა.

როგორც ხედავთ, ამ მეორე ფრონტზე ბრძოლის გაღვივების ლოზუნგი ჩვენი ლოზუნგი არ არის.

მესამე ფრონტი. მოქმედ პირებად აქ ორი ძალა გამოდის: ერთი მხრივ, ღარიბი გლეხობა და, უწინარეს ყოვლისა, მოჯამაგირენი, ხოლო, მეორე მხრივ, კულაკები. სახელმწიფო აქ ფორმალურად განზე დგას. როგორც ხედავთ, ეს ფრონტი ისე ვრცელი არ არის, როგორც წინა ფრონტები. მეორე მხრივ, კლასობრივი ბრძოლა ამ ფრონტზე სავსებით ცხადი და აშკარაა, მაშინ.როცა წინა ფრონტებზე იგი ფარული და მეტ-ნაკლებად შენიღბულია.

აქ საქმე ეხება დაქირავებულთა ან ნახევრად-დაქირავებულთა პირდაპირ ექსპლოატაციას კულაკ-მეწარმის მხრივ. ამიტომ პარტიას არ შეუძლია აქ ბრძოლის შერბილების, შენელების პოლიტიკას ეწეოდეს. **ჩვენი ამოცანა აქ ის არის, რომ მოვაწყოთ ღარიბი გლეხობის ბრძოლა და ვუხელმძღვანელოთ ამ ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ.**

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამით კლასობრივი ბრძოლის გაღვივებას ვკისრულობთ? არა, არ ნიშნავს. ბრძოლის გაღვივება ნიშნავს ბრძოლის არა მარტო ორგა-

ნიზაციასა და ხელმძღვანელობას. იგი ამასთანავე ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის ხელოვნურად გაძლიერებასა და განზრახ გაზვიადებას. არის თუ არა საჭირო ეს ხელოვნური ზომები ახლა, როცა პროლეტარიატის დიქტატურა გვაქვს და როცა პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ჩვენში სრულიად თავისუფლად მოქმედებენ? რა თქმა უნდა, არა.

ამიტომ კლასობრივი ბრძოლის გაღვივების ლოზუნგი ამ, მესამე, ფრონტისთვისაც გამოუსადეგარია.

ასეთია საქმის ვითარება მესამე კითხვის მხრივ.

როგორც ხედავთ, სოფლად კლასობრივი ბრძოლის საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება გეჩვენოს.

გადავიდეთ მეოთხე კითხვაზე.

IV

მუშურ-გლეხური მთავრობა — ფაქტიურად თუ როგორც სააგიტაციო ლოზუნგი?

კითხვის ფორმულირება რამდენადმე შეუსაბამო მეჩვენება.

რას ნიშნავს ფორმულირება: მუშურ-გლეხური მთავრობა — ფაქტიურად თუ როგორც სააგიტაციო ლოზუნგი? გამოდის, რომ პარტიას შეუძლია ისეთი ლოზუნგებიც წამოაყენოს, რომლებიც სინამდვილეს კი არ შეესაბამებიან, არამედ ემსახურებიან მხოლოდ რაღაც ეშმაკური მანევრის მიზნებს, რომელსაც რატომღაც აქ «აგიტაცია» ეწოდება. გამოდის, რომ პარტიას შეუძლია ისეთი ლოზუნგებიც წამოაყენოს, რომლებსაც მეცნიერული დასაბუთება არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. მართალია თუ არა ეს? რასაკვირველია, არ არის მართალი. ასეთი პარტია იმის ღირსი იქნებოდა, რომ, ხანმოკლე არსებობის

შემდეგ, საპნის ბუშტივით გამქრალიყო. მაშინ ჩვენი პარტია იქნებოდა არა პროლეტარიატის პარტია, რომელიც მეცნიერულ პოლიტიკას ეწევა, არამედ მხოლოდ ქაფი პოლიტიკურ მოვლენათა ზედაპირზე.

ჩვენი მთავრობა, თავისი ხასიათით, თავისი პროგრამითა და ტაქტიკით, მუშური, პროლეტარული, კომუნისტური მთავრობაა. ამ მხრივ არავითარი მითქმა-მოთქმა და ეჭვი არ უნდა არსებობდეს. ჩვენს მთავრობას არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს ორი პროგრამა ჰქონდეს: პროლეტარულიც და რაღაც სხვაც. მისი პროგრამა და მისი პრაქტიკული მუშაობა პროლეტარული, კომუნისტურია, და ამ მნიშვნელობით ჩვენი მთავრობა უეჭველად პროლეტარული, კომუნისტურია.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენი მთავრობა ამავე დროს მუშურ-გლეხური მთავრობა არ არის? არა, არ ნიშნავს. ჩვენი მთავრობა, რომელიც პროლეტარულია თავისი პროგრამითა და თავისი მუშაობით, ამასთან ერთად მუშურ-გლეხური მთავრობაა.

რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენს პირობებში გლეხობის ძირითადი მასის საარსებო ინტერესები მთლიანად და სავსებით ემთხვევა პროლეტარიატის ინტერესებს.

იმიტომ, რომ ამის გამო გლეხობის ინტერესები სავსებით ასახულია პროლეტარიატის პროგრამაში, საბჭოთა მთავრობის პროგრამაში.

იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა ეყრდნობა მუშათა და გლეხთა კავშირს, რომელიც აგებულია ამ კლასების საარსებო ინტერესების ერთობის საფუძველზე.

დასასრულ, იმიტომ, რომ მთავრობის ორგანოების შემადგენლობაში, საბჭოების შემადგენლობაში შედიან, გარდა მუშებისა, გლეხებიც, რომლებიც საერთო მტრის

წინააღმდეგ იბრძვიან და ახალ ცხოვრებას აშენებენ მუშებთან ერთად, მუშების ხელმძღვანელობით.

სწორედ ამიტომ ლოზუნგი «მუშურ-გლეხური მთავრობა» უბრალო «სააგიტაციო» ლოზუნგი კი არ არის, არამედ სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციური ლოზუნგია, რომელმაც მეცნიერული დასაბუთება პოვა კომუნიზმის პროგრამაში.

ასეთია საქმის ვითარება მეოთხე კითხვის მხრივ.

გადავიდეთ მეხუთე კითხვაზე.

V

ჩვენს პოლიტიკას გლეხობის მიმართ ზოგიერთი ამხანაგი განმარტავს როგორც დემოკრატიის გაფართოებას გლეხობისათვის და ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების ხასიათის შეცვლას. სწორია თუ არა ეს განმარტება?

ვაფართოებთ თუ არა ჩვენ ფაქტიურად დემოკრატიას სოფლად?

დიახ, ვაფართოებთ.

არის თუ არა ეს დათმობა გლეხობისადმი?

უთუოდ არის.

დიდია თუ არა ეს დათმობა და თავსდება თუ არა იგი ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის ფარგლებში?

აქ დათმობა, მე ვფიქრობ, ძალიან დიდი არ არის, და იგი იოტის ოდენადაც არ ცვლის ჩვენს კონსტიტუციას.

მაშ რას ვცვლით ჩვენ ასეთ შემთხვევაში და სახელდობრ რაში გამოიხატება დათმობა?

ჩვენ ვცვლით სოფლად მუშაობის პრაქტიკას, რომელიც სრულიად არადამაკმაყოფილებელია განვითარების ახალ პირობებში. ჩვენ ვცვლით სოფლად დამკვიდრებულ წესებს, რომლებიც აფერხებენ მუშებისა და გლეხების კავშირის საქმეს და არღვევენ პროლეტარიატის გარშემო

გლეხობის დასარაზმავად პარტიის მიერ წარმოებულ მუშაობას.

დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ მთელ რიგ რაიონებში სოფელს მართავდა ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც მაზრასთან და გუბერნიასთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე სოფლის მოსახლეობასთან. ეს გარემოება იწვევდა იმას, რომ სოფლის მმართველები უფრო იცქირებოდნენ მაღლა, მაზრისაკენ, და ყველაზე ნაკლებად ძირს, სოფლის მოსახლეობისაკენ, პასუხისმგებლობას გრძნობდნენ არა სოფლის წინაშე, არა ამომრჩევლების წინაშე, არამედ მაზრისა და გუბერნიის წინაშე, და, როგორც ჩანს, არ ესმოდათ, რომ «მაღლა» და «ძირს» აქ ერთ ჯაჭვს წარმოადგენს, და თუ ჯაჭვი ძირს გაწყდა, მთელი ჯაჭვიც დაიშლება. ამის შედეგი იყო, ერთი მხრივ, მმართველთა უკონტროლობა, თვითნებობა, თავგასულობა, ხოლო, მეორე მხრივ, უკმაყოფილება და დრტვინვა სოფლად. ახლა ასეთ წესებს სოფლად ბოლო ეღება, გადაჭრით და სამუდამოდ.

დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ მთელ რიგ რაიონებში საბჭოების არჩევნები სოფლად ნამდვილ არჩევნებს კი არ წარმოადგენდა, არამედ უბრალო კანცელარიულ პროცედურას «დეპუტატების» გასაძვრენად მმართველთა ვიწრო ჯგუფის მთელი რიგი ხრიკებისა და ზემოქმედების გზით, რადგან ამ მმართველებს ძალაუფლების დაკარგვისა ეშინოდათ. ამის შედეგი ის იყო, რომ საბჭოებს საფრთხე მოელოდათ — მასებისათვის მახლობელი და მშობლიური ორგანოებიდან გადაქცეულიყვნენ მასებისათვის უცხო ორგანოებად, ხოლო გლეხობის მიმართ მუშების ხელმძღვანელობა, პროლეტარიატის დიქტატურის ეს ფუძე და სიმაგრე, იმის საფრთხეში იყო, რომ ჰაერში გამოკიდებულიყო. თქვენ იცით, რომ პარტია

ამის გამო იძულებული გახდა მოეწყო საბჭოების გადარჩევა, ამასთან გადარჩევამ ცხადყო, რომ არჩევნების ძველი პრაქტიკა მთელ რიგ რაიონებში სამხედრო კომუნიზმის ნაშთია, რომ იგი ლიკვიდირებული უნდა იქნას, როგორც მავნე და თავიდან ბოლომდე დამპალი პრაქტიკა. ახლა არჩევნების ასეთ პრაქტიკას სოფლად ბოლო ეღება.

ამაშია დათმობის საფუძველი, სოფლად დემოკრატიის გაფართოების საფუძველი.

ეს დათმობა ესაჭიროება არა მარტო გლეხობას. იგი არა ნაკლებად ესაჭიროება პროლეტარიატს, ვინაიდან იგი აძლიერებს პროლეტარიატს, ზრდის მის ავტორიტეტს სოფლად, განამტკიცებს გლეხების ნდობას პროლეტარიატისადმი. დათმობათა და კომპრომისთა ძირითადი დანიშნულება საერთოდ, როგორც ცნობილია, ის არის, რომ მათ საბოლოო ანგარიშით გააძლიერონ და განამტკიცონ პროლეტარიატი.

როგორია ამ დათმობათა საზღვრები ამჟამად?

ამ დათმობათა საზღვრები დასახულია რკპ(ბ) XIV კონფერენციისა და სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობის მიერ [25]. თქვენ იცით, რომ ეს დათმობანი ძალიან ფართო არ არის და იმ ჩარჩოებით განისაზღვრება, რომლებზეც მე ეს-არის ახლა ვილაპარაკე. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს დათმობანი საუკუნოდ ურყევი დარჩებიან. პირიქით, ისინი უეჭველად გაფართოვდებიან ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდის მიხედვით, პროლეტარიატის სამეურნეო და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების მიხედვით, დასავლეთსა და აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარების მიხედვით, საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციების გაძლიერების მიხედვით. ლენინი 1918 წელს ამბობდა, რომ აუცილებლად

საჭიროა «საბჭოთა კონსტიტუციის გავრცელება **მთელ** მოსახლეობაზე, ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის შეწყვეტისდა **ქვალად**» (იხ. ტ. XXII, გვ. 372). აქ ლაპარაკია, როგორც ხედავთ, იმაზე, რომ კონსტიტუცია გავრცელდეს **მთელ** მოსახლეობაზე, ესე იგი ბურჟუაზიაზეც. ეს ნათქვამია 1918 წლის მარტში. მას შემდეგ ლენინის გარდაცვალებამდე ხუთ წელიწადზე მეტი გავიდა. მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში ლენინს ერთხელაც არ უხსენებია, დროა ეს დებულება განხორციელდესო. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი გაფართოებისათვის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. მაგრამ ეს დრო რომ დადგება როდისმე, როცა საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო პოზიციები საბოლოოდ განმტკიცდება, ამაში დაეჭვება შეუძლებელია.

სწორედ ამიტომ ჩვენ, ვითვალისწინებთ რა დემოკრატიის შემდგომ გაფართოებას მომავალში, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია შემოვფარგლოთ ამჟამად დათმობანი დემოკრატიის ხაზით იმ ჩარჩოებით, რომლებიც რკპ(ბ) XIV კონფერენციამ და სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობამ დასახეს.

ცვლიან თუ არა ეს დათმობანი ხელისუფლების ხასიათს ჩვენს ქვეყანაში?

არა, არ ცვლიან.

შეაქვთ თუ არა მათ ცვლილებანი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში მისი შესუსტების მხრივ?

არა, ოდნავადაც არა.

პროლეტარიატის დიქტატურა კი არ სუსტდება, არამედ მხოლოდ მტკიცდება საბჭოების გამოცოცხლებით და საქმეში გლეხობის საუკეთესო ადამიანების ჩაბმით. პროლეტარიატის ხელმძღვანელობა გლეხობის მიმართ არა მარტო ძალაში რჩება, დემოკრატიის გაფართოების მეოხებით, არამედ ახალ ძალასაც იძენს, ქმნის ნდობის ატმოს-

ფეროს პროლეტარიატის გარშემო. ხოლო ეს ხომ მთავარია პროლეტარიატის დიქტატურაში, როცა საქმე ეხება პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობას დიქტატურის სისტემაში.

მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ამტკიცებენ, პროლეტარიატის დიქტატურის ცნება ძალდატანების ცნებით ამოიწურებაო. პროლეტარიატის დიქტატურა არის არა მარტო **ძალდატანება,** არამედ არაპროლეტარული კლასების მშრომელი მასებისადმი **ხელმძღვანელობაც,** არამედ აგრეთვე **მშენებლობა** სოციალისტური მეურნეობისა, რომელიც უფრო მაღალი ტიპისაა, ვიდრე კაპიტალისტური მეურნეობა, ხასიათდება შრომის უფრო მეტი ნაყოფიერებით, ვიდრე კაპიტალისტური მეურნეობა. პროლეტარიატის დიქტატურა არის: 1) კანონით შეუზღუდავი ძალდატანება კაპიტალისტებისა და **მემამულეების მიმართ,** 2) პროლეტარიატის ხელმძღვანელობა **გლეხობის მიმართ,** 3) სოციალიზმის მშენებლობა **მთელი საზოგადოების მიმართ.** დიქტატურის ამ სამი მხარიდან არც ერთის გამორიცხვა არ შეიძლება ისე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ცნების დამახინჯების საფრთხე არ შეიქმნას. მხოლოდ სამივე ეს მხარე, ერთად აღებული, გვაძლევს პროლეტარიატის დიქტატურის სრულ და დამთავრებულ ცნებას.

შეაქვს თუ არა რაიმე გაუარესება პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში პარტიის ახალ კურსს საბჭოთა დემოკრატიის ხაზით?

არა, არ შეაქვს. პირიქით! ახალი კურსი მხოლოდ აუმჯობესებს საქმეს, განამტკიცებს რა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემას. თუ საქმე ეხება **ძალდატანების** ელემენტს დიქტატურის სისტემაში, ხოლო ძალდატანების გამოხატულებას წითელი არმია წარმოადგენს, არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ სოფლად საბ-

ჭოთა დემოკრატიის დანერგვა მხოლოდ გააუმჯობესებს წითელი არმიის მდგომარეობას, საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მისი დარაზმვით, ვინაიდან არმია ჩვენში უმთავრესად გლეხურია. თუ საქმე ეხება **ხელმძღვანელობის** ელემენტს დიქტატურის სისტემაში, არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგი მხოლოდ გაუადვილებს პროლეტარიატს ამ ხელმძღვანელობას, განამტკიცებს გლეხების ნდობას მუშათა კლასისადმი. ხოლო თუ საქმე ეხება **მშენებლობის** ელემენტს დიქტატურის სისტემაში, არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ პარტიის ახალი კურსი მხოლოდ გააადვილებს სოციალიზმის მშენებლობას, ვინაიდან იგი გამოყენებულია მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განსამტკიცებლად, ხოლო სოციალიზმის მშენებლობა ამ კავშირის განუხორციელებლად შეუძლებელია.

დასკვნა ერთია: ახლანდელ ვითარებაში გლეხობისადმი დათმობანი აძლიერებენ პროლეტარიატს და განამტკიცებენ მის დიქტატურას, ისე რომ იოტის ოდენადაც არ ცვლიან ხელისუფლების ხასიათს ჩვენს ქვეყანაში.

ასეთია საქმის ვითარება მეხუთე კითხვის მხრივ.

გადავიდეთ მეექვსე კითხვაზე.

VI

მიდის თუ არა ჩვენი პარტია რაიმე დათმობაზე კომინტერნში არსებული მემარჯვენე გადახრის მიმართ კაპიტალიზმის სტაბილიზაციასთან დაკავშირებით, და თუ მიდის, — არის თუ არა ეს ნამდვილად აუცილებელი ტაქტიკური მანევრი?

ლაპარაკია, ალბათ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაზე და ამხ. შმერალისა და ზაპოტოცკის ჯგუფთან შეთანხმებაზე ამ პარტიის მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პარტია არავითარ დათმობაზე არ წასულა მემარჯვენე გადახრისადმი კომინტერნში. პირიქით. კომინტერნის აღმასკომის მთელმა გაფართოებულმა პლენუმმა [36] კომინტერნის მემარჯვენე ელემენტების იზოლაციის ნიშნით ჩაიარა. წაიკითხეთ კომინტერნის რეზოლუცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შესახებ, წაიკითხეთ რეზოლუცია ბოლშევიზაციის შესახებ, და ადვილად მიხვდებით, რომ კომინტერნის ცეცხლის ძირითად სამიზნოს წარმოადგენდნენ მემარჯვენე ელემენტები კომუნიზმში.

აი რატომ არ შეიძლება ლაპარაკი ჩვენი პარტიის დათმობებზე მემარჯვენე გადახრისადმი კომინტერნში.

ამხ. შმერალი და ზაპოტოცკი, არსებითად, მემარჯვენენი არ არიან. ისინი არ იზიარებენ მემარჯვენეთა პლატფორმას, ბრიუნელების პლატფორმას. ისინი, შეიძლება ითქვას, ლენინელებსა და მემარჯვენეებს შორის უფრო მეყუეობენ, მემარჯვენეებისაკენ გადახრით. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე მათი ქცევის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, ერთი მხრივ, ჩვენი კრიტიკის ზეგავლენით და, მეორე მხრივ, გათიშვის იმ პერსპექტივის მუქარით, რომელიც მემარჯვენეებმა შექმნეს, ამჯერად გადმოიხარნენ ჩვენკენ, ლენინელებისაკენ, და ვალდებულება იკისრეს — კავშირი ჰქონდეთ ლენინელებთან მემარჯვენეების წინააღმდეგ. ეს პატივს სდებს მათ. მაგრამ ხომ არ ფიქრობენ ამხანაგები, რომ ჩვენ არ უნდა შეგვეწყო ხელი მერყეევთათვის, როცა ისინი ლენინელებისაკენ გადმოიხარნენ, როცა ისინი დაადგნენ ლენინელებისადმი დათმობის გზას მემარჯვენეთა წინააღმდეგ? უცნაური და სამწუხარო იქნებოდა, ჩვენს შორის ისეთი ადამიანები რომ აღმოჩენილიყვნენ, რომლებსაც უნარი არ შესწევთ გაიგონ ბოლშევიკური ტაქტიკის ანბანური ჭეშმარიტებანი. განა პრაქტიკამ უკვე არ ცხადყო,

რომ კომინტერნის პოლიტიკა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საკითხში ერთადერთი სწორი პოლიტიკაა? განა ამხ. შმერალი და ზაპოტოცკი არ განაგრძობენ ბრძოლას მემარჯვენეების წინააღმდეგ ლენინელებთან საერთო რიგებში? განა ბრიუნელები ჩეხოსლოვაკიის პარტიაში უკვე იზოლირებული არ არიან?

შეიძლება იკითხონ — ვითომ ეს დიდხანს გასტანსო? მე, რასაკვირველია, არ ვიცი, დიდხანს გასტანს თუ არა, — წინასწარმეტყველებას ვერ ვიკისრებ. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ, სანამ არსებობს შმერალელთა ბრძოლა მემარჯვენეების წინააღმდეგ, იარსებებს შმერალელებთან შეთანხმებაც, ამასთან, თუ შმერალელების ახლანდელი პოზიცია შეიცვალა, მათთან შეთანხმებამაც ძალა უნდა დაკარგოს. მაგრამ საქმე ახლა სრულებითაც ეს როდია. ახლა საქმე ის არის, რომ ახლანდელი შეთანხმება მემარჯვენეთა წინააღმდეგ **აძლიერებს** ლენინელებს, აძლევს მათ **ახალ შესაძლებლობას** — გაიყოლიონ მერყეევნი. ეს არის ახლა მთავარი და არა ის, თუ რა მერყეობა შეიძლება კიდევ დაემართოთ ამხ. შმერალსა და ზაპოტოცკის.

მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ლენინელები მოვალენი არიან მხარი დაუჭირონ ყოველ მემარცხენე ყბედსა და ნევრასთენიკს, რომ ლენინელები ყველგან და ყველაფერში ნაფიცი მემარცხენეები არიან კომუნისტთა შორის. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ჩვენ მემარცხენეები ვართ მუშათა კლასის არაკომუნისტურ პარტიებთან შედარებით. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვიკისრნია ვალდებულება «ყველაზე მემარცხენენი» ვიყოთ, როგორც ამას ერთხანს მოითხოვდა განსვენებული პარვუსი, და რისთვისაც იგი მაშინვე გაამათრახა ლენინმა. კომუნისტთა შორის ჩვენ არც მემარცხენენი ვართ და არც მემარჯვენენი, — ჩვენ მხოლოდ ლენინელები ვართ.

ლენინმა იცოდა რასაც აკეთებდა, როცა იბრძოდა ორ ფრონტზე, კომუნიზმში მემარცხენე გადახრის წინააღმდეგაც და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგაც. ტყუილად კი არ არის, რომ ლენინის ერთ-ერთი საუკეთესო ბროშურა დაწერილია თემაზე — «მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში».

მე ვფიქრობ, ამხანაგები მეექვსე კითხვას არ მომცემდნენ, თავის დროზე რომ მიექციათ ყურადღება ამ უკანასკნელი გარემოებისათვის.

ასეთია საქმის ვითარება მეექვსე კითხვის მხრივ.

გადავიდეთ მეშვიდე კითხვაზე.

VII

ხომ არ არსებობს სოფლად ანტისაბჭოთა აგიტაციის იდეოლოგიური ჩამოყალიბების საფრთხე ახალ კურსთან დაკავშირებით, სოფლად პარტიული ორგანიზაციების სისუსტის გამო?

დიახ, ასეთი საფრთხე არსებობს. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგით საბჭოების არჩევნების ჩატარება ნიშნავს ადგილებზე საარჩევნო აგიტაციის თავისუფლებას. რაღა თქმა უნდა, ანტისაბჭოთა ელემენტები ხელიდან არ გაუშვებენ ასეთ მარჯვე შემთხვევას იმისათვის, რომ გაძვრნენ გაჩენილ ჭუჭრუტანაში და ერთხელ კიდევ ავნონ საბჭოთა ხელისუფლებას. აქედან წარმოსდგება სოფლად ანტისაბჭოთა აგიტაციის გაძლიერებისა და ჩამოყალიბების საფრთხე. ყუბანში, ციმბირში, უკრაინაში ხელახალი არჩევნების ისტორიის ფაქტები მჭევრმეტყველურად მოწმობენ ამას. უეჭველია, რომ მთელ რიგ რაიონებში ჩვენი სასოფლო ორგანიზაციების სისუსტე აძლიერებს ამ საფრთხეს. ისიც უეჭველია,

რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციონისტული მიდრეკილება თავის მხრივ ბიძგს აძლევს მის გაძლიერებას.

რით საზრდოობს ეს საფრთხე, სად არის მისი წყაროები?

ასეთი წყარო ორი მაინც არის.

ჯერ-ერთი, ანტისაბჭოთა ელემენტები გრძნობენ, რომ ამ ბოლო დროს სოფლად ერთგვარი ძვრა მოხდა კულაკის სასარგებლოდ, რომ მთელ რიგ რაიონებში საშუალო გლეხი კულაკისაკენ მიბრუნდა. ეს შეიძლებოდა ვარაუდით წარმოგვედგინა ხელახალ არჩევნებამდე. ხელახალი არჩევნების შემდეგ კი ეს ვარაუდი უდავო ფაქტი გახდა. ამაშია სოფლად ანტისაბჭოთა აგიტაციის იდეოლოგიური ჩამოყალიბების საფრთხის პირველი და მთავარი საფუძველი.

მეორეც, მთელ რიგ რაიონებში გლეხობისადმი ჩვენი დათმობანი ჩვენი სისუსტის ნიშნად ჩათვალეს. ამაში შეიძლებოდა დაეჭვება ხელახალ არჩევნებამდე. ხელახალი არჩევნების შემდეგ კი ეჭვი აღარ უნდა იყოს. აქედან წარმოსდგება სოფლად თეთრგვარდიული ელემენტების მოწოდება: «აბა, კიდევ მივაწვეთო!». ამაშია სოფლად ანტისაბჭოთა აგიტაციის გაძლიერების საფრთხის მეორე, თუმცა არც იმდენად არსებითი, საფუძველი.

კომუნისტებმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეიგნონ, რომ **სოფლად ახლანდელი ხანა არის საშუალო გლეხისათვის ბრძოლის ხანა,** რომ **პროლეტარიატის მხარეზე საშუალო გლეხის გადმოყვანა პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოფლად,** რომ თუ ეს ამოცანა ვერ შევასრულეთ, ანტისაბჭოთა აგიტაციის ჩამოყალიბების საფრთხე გაძლიერდება, პარტიის ახალი კურსი კი შეიძლება მხოლოდ თეთრგვარდიელთათვის სასარგებლო აღმოჩნდეს.

მეორე მხრივ, კომუნისტებმა უნდა შეიგნონ, რომ საშუალო გლეხის მიმხრობა ახლა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოების, კოოპერაციის, კრედიტის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, ადგილობრივი ბიუჯეტის და სხვ. ხაზით პარტიის ახალი პოლიტიკის საფუძველზე, რომ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები მხოლოდ გააფუჭებს და დაღუპავს საქმეს, რომ საშუალო გლეხი ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებით უნდა დავარწმუნოთ ჩვენი პოლიტიკის სისწორეში, რომ იგი შეიძლება «გადმოვიბიროთ» მხოლოდ მაგალითით, ჩვენებით.

კომუნისტებმა, გარდა ამისა, უნდა შეიგნონ, რომ ახალი კურსი შემოღებულია არა ანტისაბჭოთა ელემენტების გამოსაცოცხლებლად, არამედ საბჭოების გამოსაცოცხლებლად და გლეხობის ძირითადი მასის მოსაზიდავად, რომ ახალი კურსი კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს გადამწყვეტ ბრძოლას ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ, რომ თუ ანტისაბჭოთა ელემენტები ამბობენ: «აბა, კიდევ მივაწვეთო», რაკი გლეხობისადმი ჩვენს დათმობებს ჩვენი სისუსტის ნიშნად თვლიან და მათ კონტრრევოლუციის მიზნებისათვის იყენებენ, — მათ უთუოდ უნდა დავუმტკიცოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა, და მოვაგონოთ საპყრობილე, რომელიც დიდი ხანია ელოდება მათ.

მე ვფიქრობ, რომ სოფლად ანტისაბჭოთა აგიტაციის იდეოლოგიური ჩამოყალიბებისა და გაძლიერების საფრთხე დანამდვილებით აღმოიფხვრება ძირფესვიანად, თუ ეს ჩვენი ამოცანები შეთვისებული იქნება და განხორციელდება.

ასეთია საქმის ვითარება მეშვიდე კითხვის მხრივ.

გადავიდეთ მერვე კითხვაზე.

VIII

ხომ არ არსებობს საბჭოებში უპარტიო ფრაქციების ჩამოყალიბების საფრთხე უპარტიოთა გავლენის გაძლიერებასთან დაკავშირებით?

ამ შემთხვევაში საფრთხეზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ პირობითად. არაფერი საშიში არ არის, თუ მეტნაკლებად ორგანიზებულ უპარტიოთა გავლენა მატულობს იქ, სადაც კომუნისტების გავლენას ჯერ კიდევ ვერ შეუღწევია. ასეთია საქმის ვითარება, მაგალითად, პროფკავშირებში ქალაქად და უპარტიო, მეტად თუ ნაკლებად საბჭოთა გაერთიანებებში სოფლად. საფრთხე იმ დროიდან იწყება, როცა უპარტიოთა გაერთიანება იწყებს იმაზე ფიქრს, რომ პარტიის მაგივრობა გასწიოს.

საიდან მოდის ეს საფრთხე?

დამახასიათებელია, რომ მუშათა კლასში ასეთი საფრთხე არა გვაქვს ან თითქმის არა გვაქვს. რით აიხსნება ეს? ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენში პარტიის გარშემო მუშათა კლასში არსებობს მრავალრიცხოვანი აქტივი უპარტიო მუშებისა, რომლებიც პარტიის გარშემო ქმნიან ნდობის ატმოსფეროს და აერთებენ პარტიას მუშათა კლასის მრავალმილიონიან მასებთან.

არა ნაკლებ დამახასიათებელია, რომ ასეთი საფრთხე განსაკუთრებით მწვავეა გლეხობაში. რატომ? იმიტომ, რომ პარტია სუსტია გლეხობაში, პარტიას ჯერ კიდევ არა ჰყავს უპარტიო გლეხობის მრავალრიცხოვანი აქტივი, რომელსაც შეეძლოს შეაერთოს იგი ათეულმილიონობით გლეხებთან. ხოლო ამავე დროს, ვგონებ, არსად არ იგრძნობა უპარტიო აქტივის ისეთი მწვავე საჭიროება, როგორც გლეხობაში.

დასკვნა ერთია: პარტიისაგან უპარტიო გლეხთა მასების მოწყვეტისა და დაშორების საფრთხე რომ აღმოვფხვ-

რათ, უნდა შევქმნათ პარტიის გარშემო გლეხობის მრავალრიცხოვანი უპარტიო აქტივი.

მაგრამ ასეთი აქტივის შექმნა ერთი დაკვრით ან ორიოდე თვეში არ შეიძლება. იგი შეიძლება შეიქმნას და გლეხობის დანარჩენი მასიდან გამოიყოს მხოლოდ დროთა განმავლობაში, მუშაობის პროცესში, საბჭოების გამოცოცხლების პროცესში, კოოპერაციული საზოგადოებრიობის დანერგვის პროცესში. ამისათვის უნდა შეიცვალოს თვით მიდგომა კომუნისტისა უპარტიოსადმი. ამისათვის აუცილებელია, რომ კომუნისტი უპარტიოს ისე ეპყრობოდეს, როგორც თანასწორი თანასწორს. ამისათვის აუცილებელია, რომ კომუნისტმა ისწავლოს ნდობით მოეკიდოს უპარტიოს, როგორც ძმა ძმას. არ შეიძლება ნდობა მოსთხოვო უპარტიოს, როცა ამისათვის მას უნდობლობით უპასუხებენ. ლენინი ამბობდა, რომ პარტიულებისა და უპარტიოების ურთიერთდამოკიდებულება «ურთიერთნდობის» დამოკიდებულება უნდა იყოს. ლენინის ამ სიტყვების დავიწყება არ შეიძლება. პარტიულთა და უპარტიოთა ურთიერთნდობის ვითარების შექმნა — აი რა არის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელი იმისათვის, რომ მოვამზადოთ პირობები პარტიის გარშემო გლეხთა მრავალრიცხოვანი უპარტიო აქტივის შესაქმნელად.

ხოლო როგორ იქმნება ეს ურთიერთნდობა? რა თქმა უნდა, არა ერთბაშად და არა განკარგულებათა გზით. იგი შეიძლება შეიქმნას, როგორც ამბობს ლენინი, მხოლოდ პარტიულთა და უპარტიოთა «ურთიერთშემოწმების» გზით, ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის მსვლელობაში ურთიერთშემოწმების გზით. პარტიის პირველი წმენდის პერიოდში პარტიულთა შემოწმება ხდებოდა უპარტიოთა მეშვეობით, და ამან კარგი შედეგები მოგვცა პარტიისათვის, შექმნა მის გარშემო არაჩვეულებრივი ნდობის ატმოსფერო. ლენინი უკვე მაშინ ამბობდა ამის თაობაზე, რომ

პარტიის პირველი წმენდის გაკვეთილები პარტიულთა და უპარტიოთა ურთიერთშემოწმების ხაზით მუშაობის ყველა დარგზე უნდა გავრცელდესო. მე ვფიქრობ, რომ დროა გავიხსენოთ ლენინის ეს რჩევა და მივიღოთ ზომები მისი განხორციელებისათვის.

ამრიგად, პარტიულთა და უპარტიოთა ურთიერთკრიტიკა და ურთიერთშემოწმება, რაც ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის მსვლელობაში უნდა ხორციელდებოდეს, როგორც მათ შორის ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნის საშუალება, — ასეთია ის გზა, რომლითაც უნდა წავიდეს პარტია, თუ სურს აღმოფხვრას პარტიისაგან მილიონობით უპარტიოთა ჩამოშორების საფრთხე, თუ სურს შექმნას სოფლად თავისი ორგანიზაციების გარშემო გლეხთა მრავალრიცხოვანი უპარტიო აქტივი.

ასეთია საქმის ვითარება მერვე კითხვის მხრივ.

გადავიდეთ მეცხრე კითხვაზე.

IX

ნამდვილად შევძლებთ თუ არა უცხოეთის დაუხმარებლად მოვახდინოთ მსხვილი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის ხელახალი აღჭურვა და მნიშვნელოვანი გაფართოება?

ეს კითხვა შეიძლება ორნაირად გავიგოთ.

ან აქ იგულისხმება არსებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დაუყოვნებლივი დახმარება საბჭოთა სახელმწიფოსადმი კრედიტებით, როგორც საბჭოთა მრეწველობის განვითარების აუცილებელი პირობა, და მაშინ — შეიძლება გავცეთ ერთი პასუხი, რომელიც საკითხის ასეთ დაყენებას შეეფერება.

ან იგულისხმება საბჭოთა სახელმწიფოსადმი დასავლეთის პროლეტარიატის დახმარება მომავალში, მას შემდეგ,

რაც ეს პროლეტარიატი გაიმარჯვებს, როგორც სოციალისტური მეურნეობის აშენების აუცილებელი პირობა, და მაშინ — საჭირო იქნება სხვა პასუხის გაცემა.

არავის რომ არ ვაწყენინო, ვეცდები პასუხი გავცე ამ კითხვის ორივე შესაძლო გაგებაზე.

დავიწყოთ პირველი გაგებიდან.

შესაძლებელია თუ არა მსხვილი საბჭოთა მრეწველობის განვითარება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში გარედან კრედიტების მიუღებლად?

დიახ, შესაძლებელია. ეს საქმე დაკავშირებული იქნება დიდ სიძნელეებთან, ამასთან მძიმე განსაცდელის გადატანა მოგვიხდება, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება გარედან კრედიტების მიუღებლად ჩვენ მაინც შეგვიძლია, მიუხედავად მთელი ამ სიძნელეებისა.

ისტორიაში დღემდე ცნობილი იყო მძლავრ სამრეწველო სახელმწიფოთა შექმნისა და განვითარების სამი გზა.

პირველი გზაა კოლონიების დაპყრობისა და გაძარცვის გზა. ასე ვითარდებოდა, მაგალითად, ინგლისი, რომელმაც ხელში ჩაიგდო კოლონიები მსოფლიოს ყველა ნაწილში, ორი საუკუნის განმავლობაში ქაჩავდა იქიდან «დამატებით კაპიტალს» თავისი მრეწველობის გასაძლიერებლად და, ბოლოს და ბოლოს, გადაიქცა «მსოფლიოს ფაბრიკად». თქვენ იცით, რომ განვითარების ეს გზა ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან კოლონიური დაპყრობანი და ძარცვა შეუთავსებელია საბჭოთა წყობილების ბუნებასთან.

მეორე გზაა სამხედრო განადგურებისა და კონტრიბუციების გზა, რასაც ერთი ქვეყანა მეორის მიმართ ატარებს. ასეთი იყო საქმის ვითარება, მაგალითად, გერმანიაში, რომელმაც საფრანგეთი გაანადგურა საფრანგეთ-პრუსიის ომის პერიოდში, გადაახდევინა მას 5 მილიარდი

კონტრიბუცია და შემდეგ ეს თანხა თავისი მრეწველობის განვითარებას მოახმარა. თქვენ იცით, რომ განვითარების ეს გზაც შეუთავსებელია საბჭოთა წყობილების ბუნებასთან, ვინაიდან იგი არსებითად არაფრით განსხვავდება პირველი გზისაგან.

მესამე გზაა გზა კაბალური კონცესიებისა და კაბალური სესხებისა, რომლებიც კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისაგან ეძლევა კაპიტალისტურად ჩამორჩენილ ქვეყანას. ასეთი იყო საქმის ვითარება, მაგალითად, მეფის რუსეთში, რომელიც კაბალურ კონცესიებს აძლევდა და კაბალურ სესხებს იღებდა დასავლეთის სახელმწიფოებისაგან, რითაც ნახევრად-კოლონიური არსებობის უღელი დაიდგა, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ მომავალში იგი, ბოლოს და ბოლოს, როგორმე შესძლებდა დამოუკიდებელი სამრეწველო განვითარების გზაზე გამოსვლას, რა თქმა უნდა, მეტად თუ ნაკლებად «წარმატებითი» ომების საშუალებით და, რა თქმა უნდა, მეზობელი ქვეყნების გაძარცვით. არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ეს გზაც მიუღებელია საბჭოთა ქვეყნისათვის: ჩვენ იმისათვის კი არა ვღვრიდით სისხლს ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა წინააღმდეგ სამი წლის ომში, რომ სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების მეორე დღეს ნებაყოფლობით მოვექცეთ იმპერიალიზმის კაბალაში.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრნა, რომ განვითარების თვითეული ეს გზა რეალურ ცხოვრებაში უთუოდ წმინდა სახითა და აუცილებლად სხვა გზებისაგან იზოლირებულად ხორციელდება. ნამდვილად ცალკეულ სახელმწიფოთა ისტორიაში ეს გზები ხშირად ერთდებოდნენ და ერთმანეთს შეავსებდნენ, იძლეოდნენ გზების ასეთი შეყრის ნიმუშებს. გზების ასეთი შეყრის მაგალითს წარმოადგენს, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული

შტატების განვითარების ისტორია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ განვითარების სხვადასხვა გზებს, ერთმანეთისაგან მთელი განსხვავების მიუხედავად, ზოგიერთი საერთო ნიშნები აქვთ, რომლებიც მათ ერთმანეთთან აახლოებენ და შესაძლებელს ხდიან მათს შეყრას: ჯერ-ერთი, ისინი ყველანი იწვევენ **კაპიტალისტური** სამრეწველო სახელმწიფოების შექმნას; მეორეც, ისინი ყველანი გულისხმობენ გარედან «დამატებითი კაპიტალების» ამა თუ იმ საშუალებით მიღებას, **როგორც** ასეთ სახელმწიფოთა შექმნის **გარდუვალ პირობას.** მაგრამ კიდევ უფრო არასწორი იქნებოდა, რომ ამ საფუძველზე ისინი ერთმანეთში აგვერია და ერთ გროვაში მოგვექცია, ვერ გაგვეგო, რომ განვითარების სამი გზა მაინც სამრეწველო კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შექმნის სამ სხვადასხვა მეთოდს მოასწავებს, რომ თვითეული ეს გზა თავის განსაკუთრებულ დაღს ასვამს ამ სახელმწიფოთა სახეს.

მაშ რა დარჩენია საბჭოთა სახელმწიფოს, თუ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ძველი გზები მისთვის მიუღებელია, ხოლო ახალი კაპიტალების არაკაბალურ პირობებში მიღება ჯერ კიდევ გამორიცხულია?

რჩება განვითარების ახალი გზა, გზა, რომელიც სხვა ქვეყნებს ჯერ კიდევ სავსებით არ გამოუცდიათ, გზა მსხვილი მრეწველობის განვითარებისა გარედან კრედიტების მიუღებლად, გზა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა უცხოეთის კაპიტალის აუცილებლად მიღების გარეშე, — ის გზა, რომელიც ლენინმა დასახა სტატიაში «უმჯობესია ნაკლები, მაგრამ უკეთესი».

«ჩვენ უნდა შევეცადოთ, — ამბობს ლენინი, — ავაშენოთ სახელმწიფო, რომელშიც მუშები შეინარჩუნებენ გლეხებისადმი ხელმძღვანელობას, გლეხების ნდობას მათ მიმართ და უდიდესი მომჭირნეობით განდევნიან თავისი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან ყოველგვარი გადამეტებულობის ნატამალს.

ჩვენ უნდა განვახორციელოთ ჩვენს სახელმწიფო აპარატში მაქსიმალური მომჭირნეობა... თუ მუშათა კლასს გლეხობისადმი ხელმძღვანელობას შევუნარჩუნებთ, მაშინ შესაძლებლობას მივიღებთ ჩვენს სახელმწიფოში მეურნეობის უდიდესი და უდიდესი მომჭირნეობის ფასად მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მცირეოდენი დანაზოგი გადავდოთ ჩვენი მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განსავითარებლად, ელექტროფიკაციის განსავითარებლად... მხოლოდ მაშინ, — ამბობს შემდეგ ლენინი, — შევძლებთ ჩვენ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, გადავჯდეთ ერთი ცხენიდან მეორეზე, სახელდობრ, გლეხური, ტეტიური, გაძვალტყავებული ცხენიდან, გაპარტახებული გლეხური ქვეყნისათვის ნავარაუდევ ეკონომიათა ცხენიდან, — იმ ცხენზე, რომელსაც ეძებს და არ შეიძლება არ ეძებდეს თავისთვის პროლეტარიატი, მსხვილი მანქანური ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, ვოლხოვმშენის და სხვ. ცხენზე» (იხ. ტ. XXVII, გვ. 417).

ასეთია ის გზა, რომელსაც უკვე დაადგა ჩვენი ქვეყანა და რომელიც მან უნდა გაიაროს იმისათვის, რომ განავითაროს თავისი მსხვილი მრეწველობა და თვითონაც განვითარდეს პროლეტარიატის მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ეს გზა, როგორც უკვე ვთქვი, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს არ გამოუცდიათ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი შეუძლებელია პროლეტარული სახელმწიფოსათვის. ის, რაც შეუძლებელი ან თითქმის შეუძლებელია ამ შემთხვევაში ბურჟუაზიულ სახელმწიფოთათვის, — სავსებით შესაძლებელია პროლეტარული სახელმწიფოსათვის. საქმე ის არის, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს ამ მხრივ აქვს ისეთი უპირატესობანი, როგორიც არა აქვთ და, უნდა ითქვას, არც შეიძლება ექნეთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. ნაციონალიზებული მიწა, ნაციონალიზებული მრეწველობა, ნაციონალიზებული ტრანსპორტი და კრედიტი, მონოპოლიზებული საგარეო ვაჭრობა, სახელმწიფოს მიერ რეგულირებული შინავაჭრობა, — ყოველივე ეს «დამატებითი კაპიტალების» ისეთი

ახალი წყაროებია, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის განვითარებისათვის, როგორიც ჯერ კიდევ არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ ჰქონია. თქვენ იცით, რომ ამ წყაროებს და მათ მსგავს სხვა ახალ წყაროებს უკვე იყენებს პროლეტარული ხელისუფლება ჩვენი მრეწველობის განსავითარებლად. თქვენ იცით, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ამ გზაზე ზოგიერთი არც თუ მცირემნიშვნელოვანი წარმატება.

სწორედ ამიტომ განვითარების ის გზა, რომელიც შეუძლებელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთათვის, სავსებით შესაძლებელია პროლეტარული სახელმწიფოსათვის, მიუხედავად მთელი მისი სიძნელეებისა და განსაცდელისა.

გარდა ამისა, უნდა შევნიშნოთ, — ის გარემოება, რომ ამჟამად არ ხდება გარედან კაპიტალის არაკაბალურ პირობებში მიღება, არ შეიძლება რაღაც მუდმივი და გარდუვალი რამ იყოს. თქვენ იცით, რომ გარედან კაპიტალის ერთგვარი დინება ჩვენს ქვეყანაში უკვე დაიწყო. არა გვგონია საფუძველი გვქონდეს დაეჭვებისათვის, რომ კაპიტალის ეს დინება გაძლიერდება ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდისა და განმტკიცების მიხედვით.

ასეთია საქმის ვითარება კითხვის პირველი გაგების მხრივ.

გადავიდეთ კითხვის მეორე გაგებაზე.

შესაძლებელია თუ არა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის აშენება ისე, რომ ევროპის ძირითად ქვეყნებში წინასწარ არ გაიმარჯვოს სოციალიზმმა, ისე, რომ ევროპის გამარჯვებულმა პროლეტარიატმა პირდაპირი დახმარება არ გაგვიწიოს ტექნიკითა და მოწყობილობით?

ვიდრე გადავიდოდე ამ კითხვაზე, რომელზეც, აქვე უნდა ვთქვა, უკვე გავეცი პასუხი ამ სიტყვის დასაწყისში, მინდა გავფანტო ამ საკითხთან დაკავშირებული ერთი მეტად გავრცელებული გაუგებრობა. ეს გაუგებრობა

იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ ამხანაგს მიდრეკილება აქვს «მსხვილი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის ხელახალი აღჭურვისა და გაფართოების» საკითხი გააიგივეოს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის აშენების საკითხთან. შეიძლება თუ არა დავეთანხმოთ ასეთ გაიგივებას? არა, არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ პირველი საკითხი მეორეზე უფრო ვიწროა თავისი მოცულობით. იმიტომ, რომ პირველი საკითხი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის გაფართოების შესახებ ეხება სახალხო მეურნეობის მხოლოდ **ნაწილს** — ინდუსტრიას, მაშინ როცა სოციალისტური მეურნეობის აშენების საკითხი მოიცავს **მთელ** სახალხო მეურნეობას, ე. ი. **როგორც** ინდუსტრიას, **ისე** სოფლის მეურნეობას. იმიტომ, რომ სოციალიზმის აშენების პრობლემა ნიშნავს მთლიანად სახალხო მეურნეობის **ორგანიზაციის** პრობლემას, ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის **სწორი შეხამების** პრობლემას, მაშინ როცა მრეწველობის ძირითადი კაპიტალის გაფართოების საკითხი არც კი ეხება, ნამდვილად რომ ითქვას, ამ პრობლემას. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მრეწველობის ძირითადი კაპიტალის ხელახალი აღჭურვა და გაფართოება უკვე ხდება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სოციალისტური მეურნეობის აშენების პრობლემა ამით უკვე გადაჭრილია. სოციალისტური საზოგადოება ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა საწარმოო-სამომხმარებლო ამხანაგობაა. თუ ამ ამხანაგობაში მრეწველობა დაკავშირებული არ არის სოფლის მეურნეობასთან, რომელიც იძლევა ნედლეულსა და სურსათს და ასაღებს მრეწველობის ნაწარმს, თუ, ამრიგად, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ერთიან სახალხო-სამეურნეო მთლიანობას არ შეადგენენ, — აქედან არავითარი სოციალიზმი არ გამოვა.

ამიტომ არის, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი სოციალისტური მეურნეობის აშენების პრობლემის ძირითად საკითხს შეადგენს.

ამიტომ არის, რომ მსხვილი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის ხელახალი აღჭურვისა და გაფართოების საკითხი არ შეიძლება გავაიგივოთ სოციალისტური მეურნეობის აშენების საკითხთან.

ამრიგად, შესაძლებელია თუ არა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის აშენება ისე, რომ სხვა ქვეყნებში წინასწარ არ გაიმარჯვოს სოციალიზმმა, ისე, რომ დასავლეთის გამარჯვებულმა პროლეტარიატმა პირდაპირი დახმარება არ გაგვიწიოს ტექნიკითა და მოწყობილობით?

დიახ, შესაძლებელია. და არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც, გარდუვალიც არის. ვინაიდან ჩვენ უკვე ვაშენებთ სოციალიზმს, როცა ვავითარებთ ნაციონალიზებულ ინდუსტრიას და ვაკავშირებთ მას სოფლის მეურნეობასთან, ვნერგავთ სოფლად კოოპერაციას და ვაბამთ გლეხურ მეურნეობას საბჭოთა განვითარების საერთო სისტემაში, ვაცხოველებთ საბჭოების მუშაობას და მჭიდროდ ვუახლოებთ სახელმწიფო აპარატს მოსახლეობის მილიონიან მასებს, ვაშენებთ ახალ კულტურას და ვნერგავთ ახალ საზოგადოებრიობას. ეჭვი არ არის, რომ ამ გზაზე მრავალზე მრავალი სიძნელეა, რომ ჩვენ მოგვიხდება კიდევ ბევრი განსაცდელის გავლა. ეჭვი არ არის, რომ საქმე ძირეულად გაადვილდებოდა, დასავლეთში სოციალიზმს რომ გაემარჯვნა. მაგრამ, ჯერ-ერთი, სოციალიზმის გამარჯვება დასავლეთში ისე მალე არ «ხდება», როგორც ეს ჩვენ გვსურს, მეორეც,

ამ სიძნელეების დაძლევა შეიძლება, და ჩვენ, როგორც ცნობილია, უკვე ვძლევთ მათ.

ყოველივე ამის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე ჩემი სიტყვის დასაწყისში. უფრო ადრე ვილაპარაკე ამაზე მოსკოვის აქტივისათვის გაკეთებულ ჩემს მოხსენებაში *. ხოლო კიდევ უფრო ადრე ამის შესახებ ნათქვამი იყო ჩემს «წინასიტყვაობაში», რომელიც წავუმძღვარე წიგნს «ოქტომბრის გზებზე». მე ვამბობდი, რომ ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის სოციალისტურ შესაძლებლობათა უარყოფა არის ლიკვიდატორობა, რასაც პარტიის გადაგვარება მოსდევს. არა მგონია ღირდეს ახლა იმის ერთხელ კიდევ გამეორება, რაც წინათ რამდენჯერმე უკვე ნათქვამი იყო. ამიტომ მიგითითებთ ლენინის თხზულებებზე, სადაც ამის შესახებ საკმაო რაოდენობით იპოვით მასალებსა და დებულებებს.

მხოლოდ მსურს რამდენიმე სიტყვა ვთქვა საკითხის ისტორიაზე და იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს პარტიისათვის ამ საკითხს ახლანდელ მომენტში.

თუ არ ჩავთვლით 1905 — 1906 წლების დისკუსიას, საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ პირველად დაყენებული იყო პარტიაში 1915 წელს იმპერიალისტური ომის დროს. ცნობილია, რომ ლენინმა მაშინ პირველად ჩამოაყალიბა დებულება «სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისა» თავდაპირველად «ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232). ეს იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტური რევოლუციისაკენ მობრუნების პერიოდი. ცნობილია, რომ ტროცკიმ მაშინვე სადავოდ მიიჩნია ლენინის ეს დებულება და განაცხადა: «უიმედოა იმის ფიქრი... რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი

* იხ. ეს ტომი, გვ. 98 — 145.

გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას» (იხ. ტროცკის თხზ. III ტ., ნ. I, გვ. 90).

1921 წელს, ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ, როცა მშენებლობის საკითხები დღის წესრიგში დადგა, სოციალიზმის მშენებლობის საკითხი კვლავ წამოიჭრა პარტიაში. ეს იყო ის პერიოდი, როცა «ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ» მობრუნებას ზოგიერთი ამხანაგი აფასებდა როგორც სოციალისტური ამოცანებისაგან ჩამოშორებას, როგორც სოციალისტური მშენებლობისაგან ჩამოშორებას. ცნობილია, რომ ლენინმა თავის ბროშურაში «სასურსათო გადასახადის შესახებ» [37] «ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ» მობრუნება მაშინ განსაზღვრა როგორც გლეხურ მეურნეობასთან ინდუსტრიის მჭიდროდ დაკავშირების აუცილებელი პირობა, როგორც სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების პირობა, როგორც სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის გზა. ეს იყო 1921 წლის აპრილში. თითქოს ამის საპასუხოდ ტროცკიმ 1922 წლის იანვარში თავისი წიგნის — «1905 წელი» — წინასიტყვაობაში სრულიად საწინააღმდეგო დებულება წამოაყენა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის საკითხზე და განაცხადა, რომ «მუშათა მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე».

ამ დროიდან ერთი წლის შემდეგ (1922 წელს) კვლავ ერთმანეთს უპირისპირდება ლენინის განცხადება მოსკოვის საბჭოს პლენუმზე იმის შესახებ, რომ «ნეპური რუსეთი სოციალისტურ რუსეთად გადაიქცევა», და ტროცკის განცხადება «ზავის პროგრამის» ბოლოსიტყვაობაში იმის

შესახებ, რომ «სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში».

ბოლოს, კიდევ ერთი წლის შემდეგ, გარდაცვალებამდე ცოტა ხნის წინ, ლენინი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს სტატიაში «კოოპერაციის შესახებ» (1923 წ. მაისი) და აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენ გვაქვს «ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის».

ასეთია საკითხის მოკლე ისტორია.

უკვე ამ ისტორიული ცნობიდან ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პრობლემა ჩვენი პარტიული პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. არა მგონია საჭირო იყოს მტკიცება, რომ ლენინი მას მრავალჯერ არ დაუბრუნდებოდა, იგი ჩვენი პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხად რომ არ მიეჩნია.

შემდეგში ჩვენი ეკონომიკის განვითარებამ, მასში სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ელემენტებს შორის ბრძოლის გამწვავებამ, განსაკუთრებით კი კაპიტალიზმის დროებითმა სტაბილიზაციამ, მხოლოდ გაამწვავეს და გააძლიერეს მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის საკითხისა.

რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი პარტიული პრაქტიკის თვალსაზრისით?

იმიტომ, რომ იგი ეხება ჩვენი მშენებლობის პერსპექტივის, ამ მშენებლობის ამოცანებისა და მიზნების საკითხს. ჯეროვნად შენება არ შეიძლება, თუ არ იცი — რისთვის აშენებ. ერთი ნაბიჯითაც არ შეიძლება წინ წაიწიო, თუ არ იცი მოძრაობის მიმართულება. პერსპექტივის საკითხი უმნიშვნელოვანესი საკითხია ჩვენი პარტიისათვის, რომე-

ლიც მიჩვეულია, რომ წინ ნათელი და გარკვეული მიზანი ჰქონდეს. ვაშენებთ სოციალიზმისათვის იმ იმედით, რომ სოციალისტური მშენებლობა გაიმარჯვებს, თუ ვაშენებთ საალბათოდ, ბრმად, იმისათვის, რომ «მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის მოლოდინში» ნიადაგი გავუპოხიეროთ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, — ეს არის ახლა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი. არ შეიძლება ჯეროვნად მუშაობა და შენება, თუ არა გაქვს ნათელი პასუხი ამ არა ნაკლებ ნათელ კითხვაზე. ასობით და ათასობით პარტიული მუშაკები, პროფესიონალისტები და კოოპერატორები, სამეურნეო დარგისა და კულტურის დარგის მუშაკები, სამხედრო მუშაკები და კომკავშირელები მოგვმართავენ ჩვენ, გვეკითხებიან ჩვენ, ეკითხებიან ჩვენს პარტიას: საითკენ უნდა წავიყვანოთ საქმე, რისთვის უნდა ვაშენოთ? და ვაი იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ შესძლებენ ან არ ისურვებენ ნათელი და გარკვეული პასუხი გასცენ ამ კითხვაზე, რომლებიც დაიწყებენ გაძრომა-გამოძრომას და ადამიანებს გაგზავნიან პონტოელისაგან პილატესაკენ, ინტელიგენტურ სკეპტიციზმში ჩაახრჩობენ ჩვენი მშენებლობის სოციალისტურ პერსპექტივებს.

ლენინიზმის დიადი მნიშვნელობა, სხვათა შორის, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა ცნობს საალბათოდ, ბრმად შენებას, რომ მას მშენებლობა ვერ წარმოუდგენია უპერსპექტივოდ, რომ იგი ჩვენი მუშაობის პერსპექტივის კითხვაზე ნათელ და გარკვეულ პასუხს იძლევა და აცხადებს, რომ ჩვენ ყველა მონაცემი გვაქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის ასაშენებლად, რომ ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვაშენოთ კიდეც სრული სოციალისტური საზოგადოება.

ასეთია საქმის ვითარება სოციალისტური მეურნეობის აშენების შესაძლებლობის საკითხის მხრივ.

სხვა საკითხია — დანამდვილებით შევძლებთ თუ არა სოციალისტური მეურნეობის აშენებას. ეს მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული. ეს დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენი მტრებისა და ჩვენი მეგობრების ძალასა და სისუსტეზე ჩვენი ქვეყნის გარეთ. ჩვენ ამ მეურნეობას ავაშენებთ, თუ შენების შესაძლებლობას მოგვცემენ, თუ შევძლებთ გავახანგრძლივოთ «შესვენების» პერიოდი, თუ არ იქნება სერიოზული ინტერვენცია, თუ ინტერვენცია ძლევამოსილი არ იქნება, თუ, ერთი მხრივ, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ძალა და ძლიერება და, მეორე მხრივ, ჩვენი საკუთარი ქვეყნის ძალა და ძლიერება საკმაოდ დიდი იქნება იმისათვის, რომ შეუძლებელი გახადოს ინტერვენციის სერიოზული ცდა. და, პირიქით, ჩვენ ამ მეურნეობას ვერ ავაშენებთ, თუ წარმატებითი ინტერვენციის შედეგად დაგვამარცხებენ.

ასეთია საქმის ვითარება მეცხრე კითხვის მხრივ.

გადავიდეთ უკანასკნელ კითხვაზე.

X

მიუთითეთ ჩვენი პარტიული და საბჭოთა მშენებლობის ყველაზე უფრო დიდ მომავალ სიძნელეებზე სტაბილიზაციასა და მსოფლიო რევოლუციის მოგვიანებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით პარტიისა და მუშათა კლასის, მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების დარგში.

ასეთი სიძნელეები, თუ მხედველობაში გვექნება მთავარი სიძნელეები, ხუთი დავითვალე. კაპიტალიზმის სტაბილიზაციის როლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამ სიძნელეებს რამდენადმე აძლიერებს.

პირველი სიძნელე. ის მდგომარეობს უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციის საფრთხესთან დაკავშირებულ დაბრკოლებებში. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ინტერვენციის უშუალო საფრთხის წინაშე ვდგავართ, რომ იმპერიალისტები უკვე მზად არიან და სავსებით ძალუძთ დაუყოვნებლივ მოახდინონ ინტერვენცია ჩვენს ქვეყანაში. ამისათვის იმპერიალიზმი იმდენადვე ძლიერი მაინც უნდა ყოფილიყო, როგორიც იგი იყო, მაგალითად, ომის წინ, რაც, როგორც ცნობილია, ნამდვილად არ არის. ახლანდელი ომი მაროკოში [38] და ინტერვენცია ჩინეთში [39], მომავალი ომებისა და ინტერვენციების ეს რეპეტიციები, ნათლად გვიჩვენებენ, რომ იმპერიალიზმს ზურგი შეუსუსტდა. საქმე ეხება, მაშასადამე, არა უშუალო ინტერვენციას, არამედ იმას, რომ სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს — იქნება საერთოდ ინტერვენციის საფრთხეც, ხოლო სანამ ინტერვენციის საფრთხე არსებობს — ჩვენ იძულებული ვართ თავდაცვისათვის ვიყოლიოთ არმია და ფლოტი, რომლებსაც ყოველწლიურად ასეულმილიონობით მანეთი ხმარდება. ხოლო რას ნიშნავს არმიასა და ფლოტზე ყოველწლიურად ასეულმილიონობით მანეთის ხარჯვა? ეს ნიშნავს — კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ხარჯების შესაბამისად შემცირებას. რაღა თქმა უნდა, ინტერვენციის საფრთხე რომ არ იყოს, ჩვენ შეგვეძლო ეს თანხები, ყოველ შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი, მოგვეხმარებინა მრეწველობის გაძლიერებისათვის, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, მაგალითად, საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების რეფორმის შემოღებისათვის და სხვ. აქედან წარმოსდგება დაბრკოლებანი სააღმშენებლო მუშაობის დარგში, რომლებიც დაკავშირებულია ინტერვენციის საფრთხესთან.

ამ სიძნელის დამახასიათებელი თავისებურება, ყველა სხვა სიძნელისაგან განსხვავებით, ის არის, რომ მისი გადალახვა მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული, რომ იგი შეიძლება ლიკვიდირებულ იქნას ჩვენი ქვეყნის ძალებისა და ყველა სხვა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის მხოლოდ საერთო ღონისძიებებით.

მეორე სიძნელე. ის მდგომარეობს პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობებთან დაკავშირებულ დაბრკოლებებში. ამ წინააღმდეგობათა შესახებ მე უკვე ვილაპარაკე სოფლად კლასობრივი ბრძოლის საკითხის განხილვისას. არავითარი საჭიროება არ არის გავიმეოროთ ის, რაც უკვე ითქვა. ეს წინააღმდეგობანი მიიმართება მიწათმოქმედების პროდუქტებისა და მრეწველობის ნაწარმის ფასების პოლიტიკის ხაზით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, სოფლის მმართველობის ხაზით და სხვ. აქ საშიშროება მდგომარეობს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საქმის დეზორგანიზაციაში და პროლეტარიატის მხრივ გლეხობის ხელმძღვანელობის იდეის ძირის გამოთხრაში. აქედან წარმოსდგება ამ საშიშროებასთან დაკავშირებული სიძნელე.

ამ სიძნელის დამახასიათებელი თავისებურება, წინა სიძნელისაგან განსხვავებით, ის არის, რომ იგი შეგვიძლია დავძლიოთ ჩვენი შინაგანი ძალებით. ახალი კურსი სოფლად — ასეთია გზა, რომელიც საჭიროა ამ სიძნელის დასაძლევად.

მესამე სიძნელე. ის მდგომარეობს ჩვენი კავშირის შიგნით არსებულ ნაციონალურ წინააღმდეგობებთან, «ცენტრსა» და «განაპირა მხარეებს» შორის არსებულ წინააღმდეგობებთან დაკავშირებულ დაბრკოლებებში. ეს წინააღმდეგობანი ვითარდებიან «ცენტრისა» და «განაპირა მხარეების» განვითარების სამეურნეო და კულტურული

პირობების არაერთგვაროვნების ნიადაგზე, პირველისაგან ჯანასკნელთა ჩამორჩენის ნიადაგზე. თუ ამ დარგში პოლიტიკური წინააღმდეგობანი უკვე დაძლეულად შეიძლება ჩაითვალოს, კულტურული და, განსაკუთრებით, სამეურნეო წინააღმდეგობანი ჯერ მხოლოდ იქმნებიან და ყალიბდებიან, რის გამო ისინი ჯერ კიდევ დასაძლევია. საშიშროება აქ ორგვარია: ერთი მხრივ, საშიშროება საბჭოთა კავშირის იმ ცენტრალურ დაწესებულებათა დიდმპყრობელური ქედმაღლობისა და ჩინოვნიკური თვითნებობისა, რომლებსაც არა სურთ ან არ შეუძლიათ გამოიჩინონ საჭირო გულისხმიერება ნაციონალურ რესპუბლიკათა მოთხოვნილებებისადმი, და, მეორე მხრივ, საშიშროება რესპუბლიკების და ოლქების ნაციონალური უნდობლობისა და ნაციონალური კარჩაკეტილობისა «ცენტრის» მიმართ. ამ საშიშროებებთან, განსაკუთრებით პირველ მათგანთან, ბრძოლა, — ასეთია ნაციონალური საკითხის დარგში სიძნელეთა გადალახვის გზა.

ამ სიძნელის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი, ისევე როგორც მეორე სიძნელეც, შეიძლება დაძლეულ იქნას საბჭოთა კავშირის შინაგანი ძალებით.

მეოთხე სიძნელე. ის მდგომარეობს იმ დაბრკოლებებში, რაც დაკავშირებულია პარტიისაგან სახელმწიფო აპარატის მოწყვეტის საშიშროებასთან, სახელმწიფო აპარატისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტების საშიშროებასთან. მე უკვე ვილაპარაკე ამ საშიშროების შესახებ პარტიული გადაგვარების საშიშროებათა საკითხის განხილვისას. არა მგონია საჭირო იყოს გავიმეოროთ ის, რაც უკვე ნათქვამი იყო. ამ საშიშროებას ქმნის ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული ელემენტების არსებობა სახელმწიფო აპარატში. მას აძლიერებს და ამწვავებს სახელმწი-

ფო აპარატის ზრდა და ამ აპარატის ხვედრითი წონის გაძლიერება. ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება შევამციროთ სახელმწიფო აპარატი, სისტემატურად განვდევნოთ იქიდან ბიუროკრატიზმისა და ბურჟუაზიული გახრწნილობის ელემენტები, პარტიის ხელმძღვანელი ძალები გავანაწილოთ სახელმწიფო აპარატის საკვანძო პუნქტებში და, ამრიგად, უზრუნველვყოთ პარტიული ხელმძღვანელობა მის მიმართ.

ამ სიძნელის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი, ისევე როგორც მესამე სიძნელეც, შეიძლება ჩვენი საკუთარი ძალებით დავძლიოთ.

მეხუთე სიძნელე. ის მდგომარეობს მუშათა კლასის ფართო მასებისაგან, ამ მასების საჭიროებათა და მოთხოვნილებათაგან პარტიული ორგანიზაციებისა და პროფკავშირების ნაწილობრივი მოწყვეტის საშიშროებაში. ეს საშიშროება ჩნდება და ვითარდება პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მთელ რიგ ორგანოებში, მათ შორის უჯრედებსა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებშიც, ბიუროკრატიული ელემენტების მოძალების გამო. ეს საშიშროება უკანასკნელ ხანს გაძლიერდა ლოზუნგთან «პირი სოფლისაკენ» დაკავშირებით, რომელმაც ჩვენს ორგანიზაციებს ყურადღება გადაატანინა ქალაქიდან სოფელზე, პროლეტარიატიდან გლეხობაზე, ამასთან ბევრი ამხანაგი ვერ მიხვდა, რომ, პირს სოფლისაკენ რომ იბრუნებ, არ შეიძლება ზურგი შეაქციო პროლეტარიატს, რომ ლოზუნგი «პირი სოფლისაკენ» შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ პროლეტარიატის საშუალებით და პროლეტარიატის ძალებით, რომ მუშათა კლასის მოთხოვნილებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებამ შეიძლება მხოლოდ გააძლიეროს მუშათა მასებისაგან პარტიული

და პროფესიული ორგანიზაციების მოწყვეტის საშიშროება.

. როგორია ამ საშიშროების ნიშნები?

ჯერ-ერთი, ჩვენი პარტიულ-პროფესიული ორგანიზაციების მიერ გულისხმიერების დაკარგვა და მათი არასაკმაო ყურადღება მუშათა კლასის ფართო მასების მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი; მეორეც, იმის გაუგებლობა, რომ მუშებს გაუძლიერდათ საკუთარი ღირსების გრძნობა და გაბატონებული კლასის გრძნობა, რომ ისინი ვერ გაიგებენ და ვერ შეიწყნარებენ პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მხრივ ბიუროკრატიულ-კანცელარიულ დამოკიდებულებას; მესამეც, იმის გაუგებლობა, რომ არ შეიძლება მუშებს მიმართო მოუფიქრებელი განკარგულებებით, რომ სიმძიმის ცენტრი ახლა მდგომარეობს არა ამ «ღონისძიებებში», არამედ პარტიისადმი მთელი მუშათა კლასის ნდობის მოპოვებაში; მეოთხეც, იმის გაუგებლობა, რომ არ შეიძლება განხორციელებულ იქნას რამდენადმე ფართო ღონისძიებანი (მაგალითად, სამ დაზგაზე გადასვლა საფეიქრო რაიონში), რომლებიც მუშათა მასებს ეხება, თუ წინასწარ არ მოეწყობა კამპანია მუშებს შორის, თუ არ ჩატარდება ფართო საწარმოო თათბირები.

ყოველივე ამის შედეგია მთელი რიგი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოწყვეტა მუშათა კლასის ფართო მასებისაგან და კონფლიქტები საწარმოებში. ცნობილია, რომ ამას წინათ საფეიქრო რაიონში მომხდარმა კონფლიქტებმა გამოააშკარავეს ყველა ამ წყლულის არსებობა ჩვენს მთელ რიგ პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებში.

ასეთია ჩვენი მშენებლობის გზებზე არსებული მეხუთე სიძნელის დამახასიათებელი ნიშნები.

ეს სიძნელეები რომ დავძლიოთ, ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები გავათავისუფლოთ აშკარად ბიუროკრატიული ელემენტებისაგან, შევუდგეთ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების შემადგენლობის განახლებას, აუცილებლად გამოვაცოცხლოთ საწარმოო თათბირები, პარტიული მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ მსხვილ საწარმოო უჯრედებში და უზრუნველვყოთ ისინი საუკეთესო პარტიული მუშაკებით.

უფრო მეტი ყურადღება და დაკვირვება მუშათა კლასის მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი, უფრო ნაკლები ბიუროკრატიული ფორმალიზმი ჩვენი პარტიულ-პროფესიული ორგანიზაციების პრაქტიკაში, უფრო მეტი გულისხმიერება და ყურადღება მუშათა კლასის კლასობრივი ღირსების გრძნობისადმი — ასეთია ახლა ამოცანა.

ასეთია საქმის ვითარება მეათე კითხვის მხრივ.

«პრავდა» №№ 139, 141, 142 და 145; 1925 წ. 21, 24, 25 და 28 ივნისი.

ი. მ. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტს

ძირითადი და პროფესიული კურსების მეორე გამოშვების დღისათვის

სვერდლოვის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღია მასების ხელმძღვანელობისათვის პარტიის მეთაურთა შემადგენლობის გამომუშავების საქმეში.

თავისი არსებობის წლების მანძილზე სვერდლოვის უნივერსიტეტმა უკვე მისცა პარტიას მთელი რაზმები აქტიური მუშაკებისა, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე მოქმედებენ.

ახლა უნივერსიტეტი პარტიას კვლავ აძლევს სამუშაოდ 214 სტუდენტისაგან, მეტწილად მუშებისაგან შემდგარ რაზმს.

ამ რაზმის მომავალი მუშაობა ნაყოფიერი რომ იყოს მშენებლობის რთული ამოცანების დროს, რომლებიც პარტიის წინაშე დგას, — ამისათვის საჭიროა, რათა ამ რაზმს ახსოვდეს ჩვენი ვითარების ზოგიერთი ახალი გარემოება, რომლებსაც ახლანდელ მომენტში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

რა გარემოებანია ეს?

ეს არის, ჯერ-ერთი, ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კლასები, პროლეტარიატი და გლეხობა, უკანასკ-

ნელ ხანს არსებითად გამოიცვალნენ, უფრო აქტიური გახდნენ პოლიტიკურადაც და მეურნეობრივადაც, რის გამო თავისადმი ახალ მიდგომას მოითხოვენ პარტიის მხრივ. ჩვენში აღარ არის დეკლასირებული მუშათა კლასი, — ახლა ეს არის პროლეტართა სავსებით ჩამოყალიბებული და სისხლსავსე კლასი, რომელიც კულტურულად და პოლიტიკურად გაიზარდა და ამიტომ პარტიის მხრივ უფრო მოქნილსა და უფრო მოფიქრებულ ხელმძღვანელობას მოითხოვს. იგივე შეიძლება ითქვას გლეხობის შესახებ. ეს უკვე ძველი გლეხობა როდია, ძველი მორიელებისაგან დაბეჩავებული და მემამულეთა ყოფილი მიწის დაკარგვის შიშით მოცული, ან სასურსათო გაწერის სიმძიმით დაჩაგრული. ეს არის ახალი, კულტურულად გაზრდილი გლეხობა, რომელსაც უკვე დაავიწყდა მემამულე და სასურსათო გაწერა, მოითხოვს იაფ საქონელსა და პურის მაღალ ფასებს და უნარი შესწევს ბოლომდე გამოიყენოს პარტიის ლოზუნგი საბჭოების გამოცოცხლების შესახებ. მაქსიმალური მოქნილობა ახლანდელი გლეხობის მიმართ, — აი რა მოეთხოვება ახლა პარტიას. გლეხობის კვლავ მიზიდვა პროლეტარიატის მხარეზე, — ეს არის ახლა პარტიის ამოცანა.

მეორეც, ეს არის ის გარემოება, რომ მთელ რიგ რაიონებში საშუალო გლეხი კულაკთან ბლოკით დაკავშირებული აღმოჩნდა. ეს ძირითადი ფაქტია, რომელიც ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ. პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა და გლეხთა კავშირის თვალსაზრისით, არის გლეხობის ხელმძღვანელობა პროლეტარიატის მხრივ. ხოლო რას ნიშნავს გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა? ეს ნიშნავს მუშათა კლასისა და მისი პარტიისადმი გლეხობის ძირითადი მასის ნდობის მთლიანად აღდგენას. ასეთი ნდობის გარეშე არც პროლეტარიატის ხელმძღვანე-

ლობა იქნება, ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე არც პროლეტარიატის დიქტატურა იქნება. ამიტომ, მუშათა კლასისადმი გლეხობის ძირითადი მასის სრული ნდობის აღდგენის ხაზით მუშაობის წარმოება, — ეს არის პარტიისა და პარტიული მუშაკების ამოცანა.

მესამეც, ეს არის ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენმა პარტიულმა მუშაკებმა ლოზუნგის «პირი სოფლისაკენ» გამო ნელ-ნელა იწყეს მუშების დავიწყება, მხედველობიდან გაუშვეს, რომ, როცა სოფლისაკენ პირს ვიბრუნებთ, არ შეგვიძლია ზურგი შევაქციოთ ქალაქს და, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარიატს. ესეც ახალი ფაქტია, რომელიც ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ უკანასკნელ ხანს მუშათა კლასს განსაკუთრებით განუვითარდა და გაუძლიერდა ძალის გრძნობა და საკუთარი ღირსების გრძნობა. ეს არის პატრონის გრძნობა, რაც გაეზარდა კლასს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულ კლასს წარმოადგენს. ეს, ამხანაგებო, უდიდესი მიღწევაა მთელ ჩვენს მუშაობაში, ვინაიდან მუშათა კლასს, რომელიც თავს გრძნობს არა მარტო მომუშავე კლასად, არამედ მმართველ კლასადაც, — ასეთ კლასს ძალუძს სასწაულების მოხდენა. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თუ რომელიმე კომუნისტი თავის მუშაობაში ანგარიშს არ უწევს პატრონის ამ გრძნობას, რაც პროლეტართა კლასს აქვს, მას ვერაფერი გაუგია ახალი ვითარებისა, იგი, პირდაპირ რომ ვთქვათ, კომუნისტი არ არის, მან დანამდვილებით უნდა მოიტეხოს კისერი. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ლოზუნგზე «პირი სოფლისაკენ», ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითადი კლასი, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს ეს ლოზუნგი, არის მუშათა კლასი, რომ ამ ლოზუნგის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მუშათა კლასი ნამდ-

ვილი ხელმძღვანელი ძალა ხდება ქვეყანაში. ამიტომ პარტიის მორიგი ამოცანა ის არის, რომ ჩვენმა პარტიულმა მუშაკებმა ადგილებზე, ბოლოს, შეიგნონ მუშათა კლასის უკლებლივ ყველა, როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ მოთხოვნილებათადმი უაღრესად გულისხმიერი და უაღრესად დაკვირვებული დამოკიდებულების აბსოლუტური საჭიროება.

კურსდამთავრებულთა თქვენი რაზმის ამოცანა ის არის, რომ ადგილებზე თავის მუშაობაში გაითვალისწინოს ყველა ეს გარემოება.

ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ შესძლებთ ამ ამოცანის შესრულებას.

ნება მიბოძეთ გისურვოთ სრული წარმატება მომავალ მუშაობაში.

კომუნისტური სალამით

ი. სტალინი

«პრავდა» № 132,
1925 წ. 13 ივნისი.

ერთხელ კიდევ ნაციონალური საკითხისათვის

სემიჩის სტატიის გამო

შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, რომ სემიჩი ახლა, იუგოსლავიის კომისიაში წარმოებული დისკუსიის შემდეგ, თავის სტატიაში სავსებით და მთლიანად უერთდება კომინტერნში რკპ(ბ) დელეგაციის პოზიციას, მაგრამ უმართებულო იქნებოდა ამ საფუძველზე გვეფიქრნა, რომ, ერთი მხრივ, რკპ(ბ) დელეგაციასა და, მეორე მხრივ, სემიჩს შორის უთანხმოება არ ყოფილა იუგოსლავიის კომისიაში წარმოებულ დისკუსიამდე ან დისკუსიის დროს. სემიჩს, როგორც ჩანს, მიდრეკილება აქვს — სწორედ ასე იფიქროს ნაციონალური საკითხის გამო არსებულ უთანხმოებათა შესახებ და ცდილობს ეს უთანხმოებანი გაუგებრობით ახსნას. მაგრამ იგი, სამწუხაროდ, დიდად ცდება. თავის სტატიაში ის ამტკიცებს, რომ მასთან პოლემიკა დამყარებულია «მთელ რიგ გაუგებრობებზე», რომლებიც გამოწვეულია მისი «ერთი, არასრულად თარგმნილი», სიტყვით, რომელიც მან იუგოსლავიის კომისიაში წარმოთქვა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, გამოდის, რომ აქ დამნა-

შავეა მეისრე, რომელმაც სემიჩის სიტყვა რატომღაც არასრულად გადმოთარგმნა. მე იძულებული ვარ, ჭეშმარიტების დასაცავად, განვაცხადო, რომ სემიჩის ეს მტკიცება სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, თავისი ეს განცხადება სემიჩს დაედასტურებინა ციტატებით თავისი სიტყვიდან, რომელიც მან იუგოსლავიის კომისიაში წარმოთქვა და რომელიც კომინტერნის არქივში ინახება. მაგრამ ის რატომღაც არ მოიქცა ასე. ამიტომ იძულებული ვარ სემიჩის მაგივრად მოვახდინო ეს, არც თუ ძალიან სასიამოვნო, მაგრამ სავსებით აუცილებელი პროცედურა.

ეს მით უმეტეს არის აუცილებელი, რომ გაურკვეველობა სემიჩის ახლანდელ პოზიციაში დღესაც კი, როცა იგი მთლიანად ეთანხმება რკპ(ბ) დელეგაციის პოზიციას, მაინც ცოტა როდი დარჩენილა.

იუგოსლავიის კომისიაში წარმოთქმულ ჩემს სიტყვაში (იხ. «ბოლშევიკ» [40] № 7) * მე ვლაპარაკობდი სამი საკითხის გამო არსებულ უთანხმოებაზე: 1) ნაციონალური საკითხის გადაჭრის გზების საკითხის, 2) ახლანდელ ისტორიულ ეპოქაში ნაციონალური მოძრაობის შინაგანი სოციალური შინაარსის საკითხისა და 3) ნაციონალურ საკითხში საერთაშორისო მომენტის როლის საკითხის გამო.

პირველი საკითხის შესახებ მე ვამტკიცებდი, რომ სემიჩი «სულ მთლიანად ვერ გარკვეულა ბოლშევიკების მიერ ნაციონალური საკითხის დაყენების დედაარსში», რომ იგი ნაციონალურ საკითხს აშორებს რევოლუციის საერთო საკითხს, რომ იგი, ამრიგად, ადგება გზას, რომელიც ნაციონალურ საკითხს უთანაბრებს კონსტიტუციურ საკითხს.

* იხ. ეს ტომი, გვ. 75 — 82. რ ე დ.

სწორია თუ არა ყოველივე ეს?

წაიკითხეთ შემდეგი ადგილები სემიჩის მიერ იუგოსლავიის კომისიაში (1925 წ. 30 მარტს) წარმოთქმული სიტყვიდან და თვითონ განსაჯეთ:

«შეიძლება თუ არა ნაციონალური საკითხი განვსაზღვროთ როგორც კონსტიტუციური საკითხი? უწინარეს ყოვლისა, მარტო თეორიული დაყენება საკითხისა. ვთქვათ, ერთ X სახელმწიფოში ცხოვრობს სამი ერი — A, B და C. ეს სამი ერი სურვილს აცხადებს, რომ უნდათ ერთ სახელმწიფოში იცხოვრონ. ასეთ შემთხვევაში რაღაზეა ლაპარაკი? რა თქმა უნდა, ამ სახელმწიფოს შიგნით საშინაო ურთიერთობის მოწესრიგებაზე. მაშასადამე, საკითხი კონსტიტუციური ხასიათისაა. ამ თეორიულ შემთხვევაში ნაციონალური საკითხი კონსტიტუციურ საკითხს უთანაბრდება... თუ ასეთ თეორიულ შემთხვევაში ნაციონალურ საკითხს განვსაზღვრავთ როგორც კონსტიტუციურ საკითხს, მაშინ უნდა ვთქვათ, — და მე ამას მუდამ ხაზგასმით აღვნიშნავდი, — რომ ხალხთა თვითგამორკვევა, თვით გამოყოფამდე, კონსტიტუციური საკითხის გადაჭრის პირობაა. და მხოლოდ ამ თვალსაზრისით ვაყენებ მე კონსტიტუციურ საკითხს».

ვფიქრობ, რომ სემიჩის სიტყვის ამ ადგილებს შემდგომი კომენტარი არ ესაჭიროება. ცხადია, რომ იმას, ვინც ნაციონალურ საკითხს განიხილავს როგორც პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის შემადგენელ ნაწილს, არ შეუძლია განსაზღვროს იგი როგორც კონსტიტუციური საკითხი. და პირიქით, მხოლოდ იმას, ვინც ნაციონალურ საკითხს აშორებს პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხს, მხოლოდ მას შეუძლია განსაზღვროს იგი როგორც კონსტიტუციური საკითხი.

სემიჩის სიტყვაში არის მითითება, რომ ნაციონალური თვითგამორკვევის უფლების მოპოვება არ შეიძლება რევოლუციური ბრძოლის გარეშე. სემიჩი ამბობს: «გასაგებია, რომ ასეთი უფლებების მოპოვება მხოლოდ რევოლუციური ბრძოლით შეიძლება. ისინი არ შეიძლება მოპოვებულ იქნან პარლამენტური გზით, არამედ მხოლოდ შეიძ-

ლება გამოწვეულ იქნან მასობრივი რევოლუციური მოქმედებით». მაგრამ რას ნიშნავს «რევოლუციური ბრძოლა» და «რევოლუციური მოქმედება»? განა შეიძლება «რევოლუციური ბრძოლა» და «რევოლუციური მოქმედება» გავაიგივეოთ გაბატონებული კლასის დამხობასთან, ძალაუფლების დაპყრობასთან, რევოლუციის გამარჯვებასთან, როგორც ნაციონალური საკითხის გადაჭრის პირობასთან? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ერთია, როცა ლაპარაკობ რევოლუციის გამარჯვებაზე, როგორც ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის ძირითად პირობაზე, და სულ სხვაა, როცა ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის პირობად აყენებ «რევოლუციურ მოქმედებას» და «რევოლუციურ ბრძოლას». საჭიროა აღვნიშნოთ, რომ რეფორმების გზა, კონსტიტუციური გზა სრულებითაც არ გამორიცხავს «რევოლუციურ მოქმედებას» და «რევოლუციურ ბრძოლას». ამა თუ იმ პარტიის რევოლუციური და რეფორმისტული ხასიათის განსაზღვრისას გადამწყვეტად უნდა ჩაითვალოს არა «რევოლუციური მოქმედება» თავისთავად, არამედ ის პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, რომელთა გულისთვისაც პარტია მიმართავს და იყენებს ამ მოქმედებას. რუსი მენშევიკები 1906 წელს, პირველი სათათბიროს გარეკვის შემდეგ, როგორც ცნობილია, წინადადებას იძლეოდნენ მოწყობილი ყოფილიყო «საყოველთაო გაფიცვა» და «შეიარაღებული აჯანყებაც» კი. მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლიდა მათ ხელს — მენშევიკებად დარჩენილიყვნენ. ვინაიდან რისთვის იძლეოდნენ ისინი მაშინ ყოველივე ამის წინადადებას? რა თქმა უნდა, არა ცარიზმის გასანადგურებლად და რევოლუციის სრული გამარჯვების მისაღწევად, არამედ იმისათვის, რომ «ზეგავლენა მოეხდინათ» მეფის მთავრობაზე რეფორმის მოპოვების მიზნით, «კონ-

სტიტუციის» გაფართოების მიზნით, «გაუმჯობესებული» სათათბიროს მოწვევის მიზნით. «რევოლუციური მოქმედება» ძველი წესების რეფორმირების **გულისთვის** გაბატონებული კლასის ხელში ძალაუფლების დატოვების **დროს** — ეს ერთია, ეს არის კონსტიტუციური გზა. «რევოლუციური მოქმედება» ძველი წესების დასანგრევად, გაბატონებული კლასის დასამხობად — ეს მეორეა, ეს არის რევოლუციური გზა, ეს არის რევოლუციის სრული გამარჯვების გზა. აქ ძირითადი განსხვავებაა.

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ სემიჩის მითითება «რევოლუციურ ბრძოლაზე», ნაციონალური საკითხის როგორც კონსტიტუციური საკითხის განსაზღვრის **დროს**, კი არ უარყოფს, არამედ მხოლოდ ადასტურებს ჩემს განცხადებას იმის შესახებ, რომ სემიჩი «სულ მთლიანად ვერ გარკვეულა ბოლშევიკების მიერ ნაციონალური საკითხის დაყენების დედაარსში», ვინაიდან ვერ მიმხვდარა, რომ ნაციონალური საკითხი განხილულ უნდა იქნას არა იზოლირებულად, არამედ რევოლუციის გამარჯვების საკითხთან განუწყვეტელ კავშირში, როგორც რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი.

მტკიცედ ვადგავარ რა ამ აზრს, სრულებითაც არ ვფიქრობ ვთქვა, რომ ახალი რამ გამოვთქვი სემიჩის შეცდომაზე ამ საკითხში. სრულებითაც არა. სემიჩის ამ შეცდომის შესახებ ილაპარაკა ამხ. მანუილსკიმ ჯერ კიდევ კომინტერნის V კონგრესზე [41]. მან განაცხადა, რომ:

«თავის ბროშურაში «ნაციონალური საკითხი მარქსიზმის თვალსაზრისით» და მთელ რიგ სტატიებში, რომლებიც იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ორგანოში — «რადნიკში» გამოქვეყნდა, სემიჩი კომპარტიისათვის პრაქტიკულ ლოზუნგად აყენებს ბრძოლას კონსტიტუციის გადასინჯვისათვის, ე. ი. ერთა თვითგამორკვევის მთელი საკითხი მას ფაქტიურად მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუ-

ციურ ნიადაგზე გადაჰყავს» (იხ. V კონგრესის სტენოგრამა, გვ. 596 — 597).

ამავე შეცდომის შესახებ ილაპარაკა იუგოსლავიის კომისიაში ზინოვიევმა, რომელმაც განაცხადა, რომ:

«სემიჩის პერსპექტივას, თურმე, აკლია მცირე რამ — რევოლუცია», რომ ნაციონალური საკითხი «რევოლუციური და არა კონსტიტუციური» პრობლემაა (იხ. «პრავდა» № 83).

შეუძლებელია, რომ ყველა ეს შენიშვნა რკპ(ბ) წარმომადგენლებისა კომინტერნში სემიჩის შეცდომის შესახებ შემთხვევითი, საფუძველს მოკლებული იყოს. კვამლი უცეცხლოდ არ არის ხოლმე.

ასეთია საქმის ვითარება სემიჩის პირველი, ძირითადი შეცდომის მხრივ.

მისი დანარჩენი შეცდომები უშუალოდ გამომდინარეობენ ამ ძირითადი შეცდომიდან.

მეორე საკითხის შესახებ ჩემს სიტყვაში (იხ. «ბოლშევიკ» № 7) მე ვამტკიცებდი, რომ სემიჩს «არ სურს განიხილოს ნაციონალური საკითხი როგორც არსებითად გლეხობის საკითხი» *.

სწორია თუ არა ეს?

წაიკითხეთ შემდეგი ადგილი სემიჩის მიერ იუგოსლავიის კომისიაში წარმოთქმული სიტყვიდან და თვითონ განსაჯეთ:

«რაში მდგომარეობს, — კითხულობს სემიჩი, — იუგოსლავიაში ნაციონალური მოძრაობის სოციალური აზრი?». და იქვე უპასუხებს: «ეს სოციალური შინაარსი მდგომარეობს, ერთი მხრივ, სერბულ კაპიტალსა და, მეორე მხრივ, კროატულ და სლოვენურ კაპიტალს შორის კონკურენტულ ბრძოლაში» (იხ. სემიჩის სიტყვა იუგოსლავიის კომისიაში).

სერბულ ბურჟუაზიასთან სლოვენური და კროატული ბურჟუაზიის კონკურენტული ბრძოლა რომ აქ არ შეიძ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 77 — 78. რ ე დ.

ლება გარკვეულ როლს არ ასრულებდეს, — ამაში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს. მაგრამ ამდენადვე უეჭველია ისიც, რომ ადამიანს, რომელიც ნაციონალური მოძრაობის სოციალურ აზრს სხვადასხვა ეროვნებათა ბურჟუაზიის კონკურენტულ ბრძოლაში ხედავს, არ შეუძლია ნაციონალური საკითხი განიხილოს როგორც არსებითად გლეხობის საკითხი. რა არის ნაციონალური საკითხის არსი ახლა, როცა ნაციონალური საკითხი ადგილობრივი და შინასახელმწიფოებრივი საკითხიდან გადაიქცა მსოფლიო საკითხად, იმპერიალიზმის წინააღმდეგ კოლონიებისა და დამოკიდებული ეროვნებების ბრძოლის საკითხად? ნაციონალური საკითხის არსი ახლა არის კოლონიებისა და დამოკიდებული ეროვნებების ხალხთა მასების ბრძოლა ფინანსური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, გაბატონებული ეროვნების იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხრივ ამ კოლონიებისა და ამ ეროვნებების პოლიტიკური დამონებისა და კულტურული გაუპიროვნების წინააღმდეგ. ნაციონალური საკითხის ასე დაყენებისას რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ეროვნებათა ბურჟუაზიის კონკურენტულ ბრძოლას ურთიერთშორის? რა თქმა უნდა, არა გადამწყვეტი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში რამდენადმე დიდი მნიშვნელობაც კი არა. სავსებით ცხადია, რომ აქ საქმე ეხება, უმთავრესად, არა იმას, რომ ერთი ეროვნების ბურჟუაზია კონკურენტულ ბრძოლაში ამარცხებს ან შეუძლია დაამარცხოს მეორე ეროვნების ბურჟუაზია, არამედ იმას, რომ გაბატონებული ეროვნების იმპერიალისტური ჯგუფი ექსპლოატაციას უწევს და ჩაგრავს კოლონიებისა და დამოკიდებული ეროვნებების ძირითად მასებს და, უწინარეს ყოვლისა, გლეხთა მასებს, ხოლო მათ რომ ჩაგრავს და ექსპლოატაციას უწევს, ამით იგი აბამს მათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხდის მათ

პროლეტარული რევოლუციის მოკავშირეებად. არ შეიძლება ნაციონალური საკითხი განვიხილოთ როგორც არსებითად გლეხობის საკითხი, თუ ნაციონალური მოძრაობის სოციალური აზრი სხვადასხვა ეროვნებათა ბურჟუაზიის კონკურენტული ბრძოლით განისაზღვრება. და პირიქით: არ შეიძლება ნაციონალური მოძრაობის სოციალურ აზრს ხედავდე სხვადასხვა ეროვნებათა ბურჟუაზიის კონკურენტულ ბრძოლაში, თუ ნაციონალურ საკითხს განიხილავ როგორც არსებითად გლეხობის საკითხს. ყოვლად შეუძლებელია ამ ორ ფორმულას შუა თანასწორობის ნიშნის დასმა.

სემიჩი იმოწმებს ერთ ადგილს სტალინის ბროშურიდან «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი», რომელიც დაწერილია 1912 წლის დამლევს. იქ ნათქვამია, რომ «ნაციონალური ბრძოლა **ალმავალი** კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს ბურჟუაზიული კლასების ბრძოლას ურთიერთშორის». ამით ის, ჩანს, ცდილობს გადაკვრით თქვას, რომ სწორია მისი ფორმულა დღევანდელ ისტორიულ პირობებში ნაციონალური მოძრაობის სოციალური აზრის განსაზღვრისა. მაგრამ სტალინის ბროშურა დაწერილია იმპერიალისტურ ომამდე, როცა მარქსისტთა აზრით ნაციონალური საკითხი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მსოფლიო მნიშვნელობის საკითხს, როცა მარქსისტთა ძირითად მოთხოვნას თვითგამორკვევის უფლების შესახებ აფასებდნენ არა როგორც პროლეტარული რევოლუციის ნაწილს, არამედ როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ნაწილს. სასაცილო იქნებოდა არ დაგვენახა, რომ ·მას შემდეგ საერთაშორისო ვითარება ძირეულად შეიცვალა, რომ, ერთი მხრივ, ომმა და, მეორე მხრივ, ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთში ნაციონალური საკითხი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ნაწილიდან

პროლეტარულ-სოციალისტური რევოლუციის ნაწილად გადააქციეს. ჯერ კიდევ 1916 წლის ოქტომბერში თავის სტატიაში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» [43] ლენინი ამბობდა, რომ ნაციონალური საკითხის ძირითადი პუნქტი თვითგამორკვევის უფლების შესახებ აღარ შეადგენს საერთო-დემოკრატიული მოძრაობის ნაწილს, რომ იგი უკვე გადაიქცა საერთო-პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის შემადგენელ ნაწილად. აღარას ვამბობ როგორც ლენინის, ისე რუსული კომუნიზმის სხვა წარმომადგენელთა შემდგომ ნაშრომებზე ნაციონალური საკითხის დარგში. რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ყოველივე ამის შემდეგ სემიჩის მითითებას სტალინის იმ ბროშურის გარკვეულ ადგილზე, რომელიც დაწერილია რუსეთის **ბურჟუაზიულ**-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, ახლა, როცა ჩვენ, ახალი ისტორიული ვითარების გამო, ახალ ეპოქაში, **პროლეტარული** რევოლუციის ეპოქაში შევედით? ამ მითითებას შეიძლება მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ სემიჩს ციტატა მოჰყავს სივრცისა და დროის გარეშე, ცოცხალი ისტორიული ვითარებისაგან დამოუკიდებლად, და ამით არღვევს დიალექტიკის ელემენტარულ მოთხოვნებს, ანგარიშს არ უწევს იმას, რომ, რაც სწორია ერთ ისტორიულ ვითარებაში, ის შეიძლება არასწორი აღმოჩნდეს სხვა ისტორიულ ვითარებაში. იუგოსლავიის კომისიაში წარმოთქმულ ჩემს სიტყვაში მე უკვე ვთქვი, რომ რუსეთის ბოლშევიკების მიერ ნაციონალური საკითხის დაყენებაში უნდა განვასხვავებდეთ ორ სტადიას: ოქტომბრამდელ სტადიას, როცა საქმე ეხებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, ხოლო ნაციონალურ საკითხს განვიხილავდით როგორც საერთო-დემოკრატიული მოძრაობის ნაწილს, და ოქტომბრის სტადიას, როცა საქმე ეხებოდა უკვე პროლეტარულ რევოლუ-

ციას, ხოლო ნაციონალური საკითხი პროლეტარული რევოლუციის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. არა გვგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ამ განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ვშიშობ, რომ სემიჩი მაინც ვერ გარკვეულა ნაციონალური საკითხის დაყენების ორ სტადიას შორის ამ განსხვავების აზრსა და მნიშვნელობაში.

აი რატომ ვფიქრობ, რომ სემიჩის ცდაში — განიხილოს ნაციონალური მოძრაობა არა როგორც არსებითად გლეხობის საკითხი, არამედ როგორც სხვადასხვა ეროვნებათა ბურჟუაზიის კონკურენციის საკითხი, — «იფარება ნაციონალური მოძრაობის შინაგანი ძლიერების შეუფასებლობა და ნაციონალური მოძრაობის ღრმა ხალხური, ღრმა რევოლუციური ხასიათის გაუგებლობა» (იხ. «ბოლშევიკ» № 7) *.

ასეთია საქმის ვითარება სემიჩის მეორე შეცდომის მხრივ.

დამახასიათებელია, რომ სემიჩის ამ შეცდომის შესახებ ამასვე ლაპარაკობს იუგოსლავიის კომისიაში წარმოთქმულ თავის სიტყვაში ზინოვიევი, რომელიც აცხადებს:

«სწორი არ არის სემიჩის მტკიცება, რომ იუგოსლავიაში გლეხთა მოძრაობას ბურჟუაზია უდგას სათავეში, და ამიტომ იგი რევოლუციური არ არისო» (იხ. «პრავდა» № 83).

შემთხვევითია თუ არა ეს თანამთხვევა? რა თქმა უნდა, არა!

კვლავ ვიმეორებ: კვამლი უცეცხლოდ არ არის ხოლმე.

ბოლოს, მესამე საკითხის შესახებ მე ვამტკიცებდი, რომ სემიჩი «ცდილობს განიხილოს ნაციონალური საკითხი იუგოსლავიაში საერთაშორისო ვითარებასთან და ევროპაში მოსალოდნელ პერსპექტივებთან დაუკავშირებლად» **.

* იხ. ეს ტომი, გვ. 78. რ ე დ.

** იხ. იქვე. რ ე დ.

სწორია თუ არა ეს?

დიახ, სწორია. ვინაიდან სემიჩს თავის სიტყვაში გადაკვრითაც კი არ უთქვამს, რომ თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ვითარება, განსაკუთრებით იუგოსლავიის მიმართ, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის საქმეში. ის ფაქტი, რომ თვით იუგოსლავიის სახელმწიფო შეიქმნა ორი ძირითადი იმპერიალისტური კოალიციის შეჯახების შედეგად, რომ იუგოსლავიას არ შეუძლია გამოითიშოს ძალთა იმ დიდი ჭიდილიდან, რომელიც ამჟამად გარშემო მდებარე, იმპერიალიზმის სახელმწიფოებში წარმოებს, — ყველაფერი ეს სემიჩს მხედველობიდან გამორჩა. სემიჩის მითითება იმაზე, რომ მას სავსებით ესმის გარკვეული ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, რომელთა გამოც თვითგამორკვევის საკითხი შეიძლება აქტუალურ-პრაქტიკული საკითხი გახდეს, — ეს მითითება ახლა, დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში, უკვე არასაკმარისად უნდა იქნას აღიარებული. საქმე ახლა სრულებითაც ის არ არის, რომ ვაღიაროთ, შესაძლო და შორეული მომავლის საერთაშორისო ვითარებაში გარკვეულ ცვლილებათა დროს, ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხის აქტუალობა, — ამის პერსპექტივულად აღიარება ახლა, საჭიროების შემთხვევაში, ბურჟუაზიულ დემოკრატებსაც კი შეეძლოთ. ახლა საქმე არის არა ეს, არამედ ის, რომ იუგოსლავიის სახელმწიფოს ახლანდელი, ომებისა და ძალადობის შედეგად შექმნილი, საზღვრები არ იქნას გადაქცეული ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის გამოსავალ პუნქტად და კანონიერ ბაზად. ორში ერთი: ან ნაციონალური თვითგამორკვევის, ე. ი. იუგოსლავიის საზღვრების ძირეული შეცვლის საკითხი **დანამატია** ნაციონალური პროგრამისა, რომელიც მკრთალად გამოსჭვივის შორეული მომავლიდან, ანდა **იგი**

ნაციონალური პროგრამის **საფუძველია**. ცხადია, ყოველ შემთხვევაში, რომ პუნქტი თვითგამორკვევის უფლების შესახებ ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება იყოს იუგოსლავიის კომპარტიის ნაციონალური პროგრამის **როგორც** დანამატი, **ისე** საფუძველი. ვშიშობ, რომ სემიჩი თვითგამორკვევის უფლებას კვლავ ისე უყურებს, როგორც ნაციონალური პროგრამის პერსპექტივულ დანამატს.

აი რატომ ვფიქრობ, რომ სემიჩი ნაციონალურ საკითხს აშორებს ზოგადი საერთაშორისო ვითარების საკითხს, რის გამო მისთვის თვითგამორკვევის, ე. ი. იუგოსლავიის საზღვრების შეცვლის საკითხი არსებითად არა აქტუალური, არამედ აკადემიური საკითხია.

ასეთია საქმის ვითარება სემიჩის მესამე შეცდომის მხრივ.

დამახასიათებელია, რომ სემიჩის ამ შეცდომის შესახებ ამასვე ლაპარაკობს ამხ. მანუილსკი თავის მოხსენებაში კომინტერნის V კონგრესზე:

«სემიჩის მიერ ნაციონალური საკითხის მთელი დაყენების ძირითადი წინაპირობაა აზრი იმის შესახებ, რომ პროლეტარიატმა ბურჟუაზიული სახელმწიფო უნდა აიღოს **იმ საზღვრებში, რომლებიც მასში შექმნილია მთელი რიგი ომებითა და ძალადობით**» * (იხ. კომინტერნის V კონგრესის სტენოგრამა, გვ. 597).

განა შეიძლება ეს თანამთხვევა შემთხვევითად ჩაითვალოს? რა თქმა უნდა, არ შეიძლება!

ერთხელ კიდევ: კვამლი უცეცხლოდ არ არის ხოლმე.

ჟურნალი «ბოლშევიკ» № 11 — 12,
1925 წ. 30 ივნისი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის შესახებ

«ნიცი-ნიცის» იაპონელ კორესპონდენტ ბატონ ფუსესათვის მიცემული ინტერვიუ

ბ-ნ ფუსეს კითხვები და ი. ბ. სტალინის პასუხები

1-ლი კითხვა. იაპონელი ხალხი, რომელიც აღმოსავლეთის ხალხებში ყველაზე მოწინავეა, ყველაზე მეტად არის დაინტერესებული აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებით. იგი ხალისით გახდებოდა სსრ კავშირის მოკავშირე ამ დიად საქმეში — დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიალიზმის უღლისაგან აღმოსავლეთის დამონებულ ხალხთა განთავისუფლების საქმეში. მაგრამ იაპონიას, რომელიც იმავე დროს კაპიტალისტური სახელმწიფოა, ზოგჯერ უხდება ამ მოძრაობის წინააღმდეგ წავიდეს და მხარში ამოუდგეს ერთ ფრონტზე დასავლეთის სახელმწიფოებს. (მაგალითად: ინგლის-იაპონიის კავშირი, რომლის მიხედვითაც იაპონიას დახმარება უნდა გაეწია ინგლისისათვის ინდოეთში აჯანყებულებთან ბრძოლაში, და იაპონიის გამოსვლა ინგლისთან, ამერიკასთან და საფრანგეთთან ერთად ჩინელი მუშების წინააღმდეგ შანხაიში მომხდარი უკანასკნელი ამბის დროს).

თქვენი აზრით, რა გამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ საძნელო მდგომარეობიდან, რასაც ქმნის წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, იაპონელი ხალხის ნაციონალურ მისწრაფებასა და, მეორე მხრივ, იაპონიის სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ და სოციალურ წყობილებას შორის?

პასუხი. სწორია ის, რომ იაპონელი ხალხი ყველაზე მოწინავეა აღმოსავლეთის ხალხებში, რომ იგი დაინტერესებულია ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებით. საბჭოთა კავშირის ხალხებთან იაპონელი ხალხის კავშირი გადამწყვეტი ნაბიჯი იქნებოდა აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლების საქმეში. ასეთი კავშირი დიდი კოლონიური იმპერიების დასასრულის დასაწყისის, მსოფლიო იმპერიალიზმის დასასრულის დასაწყისის მომასწავებელი იქნებოდა. ეს კავშირი უძლეველი იქნებოდა.

მაგრამ სწორია ისიც, რომ იაპონიის სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობილება იაპონელ ხალხს უბიძგებს იმპერიალიზმის გზაზე, ხდის მას აღმოხავლეთის ხალხთა არა განთავისუფლების, არამედ დამონების იარაღად.

თქვენ მეკითხებით: რა გამოსავალია, ერთი მხრივ, იაპონელი ხალხის ინტერესებსა და, მეორე მხრივ, იაპონიის სახელმწიფოებრივ და სოციალურ წყობილებას შორის არსებული ამ წინააღმდეგობიდან?

გამოსავალი ერთია: იაპონიის სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობილების შეცვლა იაპონელი ხალხის ძირითადი ინტერესების შესაბამისად.

რუსეთი ერთ დროს აღმოსავლეთის ხალხთა საფრთხობელა, ყოველგვარი განმათავისუფლებელი მოძრაობის ჟანდარმი იყო. რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ იგი განმათავისუფლებელი მოძრაობის ჟანდარმიდან ამ მოძრაობის მეგობრად და მედროშედ გადაიქცა? მხოლოდ იმით, რომ

შეცვლილ იქნა რუსეთის სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობილება.

მე-2 კითხვა. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე აღმოსავლეთის ხალხები მეფის მმართველობის დესპოტური რეჟიმის გამო მრავალი საუკუნით ჩამორჩნენ და მათ მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მიიღეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის და სხვ. დამოუკიდებლად განვითარების უფლება.

თქვენი აზრით, დაახლოებით რამდენი წელიწადი დასჭირდებათ სსრ კავშირის ამ აღმოსავლეთის ხალხებს იმისათვის, რომ სსრ კავშირის სხვა ხალხებთან კულტურის თანაბარ დონეზე დადგნენ?

პასუხი. თქვენ მეკითხებით: დაახლოებით რამდენი წელიწადი დასჭირდებათ საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის ხალხებს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან კულტურის თანაბარ დონეზე დადგნენ?

ძნელი სათქმელია. ამ ხალხების კულტურული განვითარების ტემპი ბევრ შინაგან და გარეშე პირობაზეა დამოკიდებული. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ პროგნოზები განვითარების ტემპის შესახებ არასოდეს არ განირჩეოდნენ სიზუსტით, განსაკუთრებით, თუ საქმე წელთა რაოდენობას ეხება. ამ ქვეყნების კულტურული განვითარების ძირითადი გაადვილება იმაში მდგომარეობს, რომ განვითარების მთავარი მუხრუჭები, როგორიც იყო ცარიზმი, რუსეთის იმპერიალიზმი, ცენტრის მიერ განაპირა მხარეების ექსპლოატაციის რეჟიმი, — უკვე მოცილებულია გზიდან. ეს გარემოება უდიდეს ბიძგს აძლევს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის ხალხთა კულტურულ განვითარებას. მაგრამ რამდენად სრულად იქნება გამოყენებული ეს ძირითადი გაადვილება, — ეს უკვე დამოკიდებულია თვით აღმოსავლეთის ხალხებზე და, უწინარეს ყოვლისა, კულტუ-

რული განვითარების იმ სტადიაზე, რომელზეც მათ საბჭოთა რევოლუციამ მოუსწრო.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ შეიძლება უყოყმანოდ ითქვას: განვითარების ახლანდელ პირობებში საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის ხალხებს ნაციონალური კულტურის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარების გაცილებით უფრო მეტი შანსები აქვთ, ვიდრე ექნებოდათ ყველაზე «თავისუფალი» და ყველაზე «კულტურული» კაპიტალიზმის რეჟიმის დროს.

მე-3 კითხვა. თქვენ ამბობთ, რომ დასავლეთის მოწინავე ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობასთან აღმოსავლეთის დამონებულ ხალხთა განმათავისუფლებელ-ნაციონალური მოძრაობის კავშირი უზრუნველყოფს მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას. ჩვენ კი, იაპონელ ხალხს, გვაქვს ლოზუნგი — «აზია აზიელებისათვის». თქვენი აზრით, ხომ არ არის საერთო რამ ჩვენს მისწრაფებასა და აღმოსავლეთის კოლონიური ქვეყნების მიმართ თქვენს რევოლუციურ ტაქტიკას შორის?

პასუხი. თქვენ მეკითხებით: ხომ არ არის საერთო რამ ლოზუნგს «აზია აზიელებისათვის» და აღმოსავლეთის კოლონიური ქვეყნების მიმართ ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკას შორის?

რამდენადაც ლოზუნგი «აზია აზიელებისათვის» ნიშნავს დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ომისადმი მოწოდებას, იმდენად — მაგრამ მხოლოდ იმდენად — საერთო რამ აქ, უეჭველია, არის.

მაგრამ ლოზუნგი «აზია აზიელებისათვის» საქმის მარტო ამ მხარეს როდი მოიცავს. იგი შეიცავს კიდევ ორ შემადგენელ ელემენტს, რომლებიც სრულიად შეუთავსებელია ბოლშევიკების ტაქტიკასთან. ჯერ-ერთი, იგი გვერდს უვლის საკითხს აღმოსავლეთის იმპერიალიზმის შესახებ,

თითქოს მიაჩნია, რომ აღმოსავლეთის იმპერიალიზმი დასავლეთის იმპერიალიზმს სჯობს, რომ აღმოსავლეთის იმპერიალიზმს შეიძლება არც კი ვებრძოლოთ. მეორეც, იგი, ეს ლოზუნგი, აზიის მუშებს უნერგავს ევროპის მუშებისადმი უნდობლობის გრძნობას, პირველთ თიშავს მეორეთაგან, წყვეტს მათ შორის ინტერნაციონალურ კავშირს და, ამრიგად, ძირს უთხრის განმათავისუფლებელი მოძრაობის თვით საფუძვლებს.

ბოლშევიკების რევოლუციური ტაქტიკა მიმართულია არა მარტო დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ იმპერიალიზმის, მათ შორის აღმოსავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგაც. იგი მიმართულია არა იმისაკენ, რომ შეასუსტოს აზიის მუშების ინტერნაციონალური კავშირი ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მუშებთან, არამედ იმისაკენ, რომ გააფართოოს და განამტკიცოს ეს კავშირი.

ამიტომ, საერთოს გარდა, აქ, როგორც ხედავთ, არის აგრეთვე პუნქტები, რომლებითაც ლოზუნგი «აზია აზიელებისათვის» და აღმოსავლეთში ბოლშევიკების ტაქტიკა ძირეულად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

მე-4 კითხვა. პასუხად ჩემი კითხვისა: «სად შეიძლება ჰქონდეს კომუნიზმს წარმატების მეტი შანსები — დასავლეთში თუ აღმოსავლეთში», ვლადიმირ ილიას-ძემ ჩემთან საუბარში 1920 წელს თქვა: «ნამდვილ კომუნიზმს ჯერჯერობით წარმატება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დასავლეთში, მაგრამ დასავლეთი ხომ აღმოსავლეთის ხარჯზე ცხოვრობს; ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები მდიდრდებიან, უმთავრესად, აღმოსავლეთის კოლონიების ხარჯზე, მაგრამ ისინი ამავე დროს აიარაღებენ და ბრძოლას ასწავლიან თავიანთ კოლონიებს, და ამით დასავლეთი თვითონვე ითხრის სამარეს აღმოსავლეთში».

ის ამბები, რაც სულ უფრო ხშირად და ხშირად ხდება ჩინეთში, ინდოეთში, სპარსეთში, ეგვიპტეში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, იმის მომასწავებლად ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ახლოა ის დრო, როცა დასავლეთის სახელმწიფოებს მოუხდებათ თავი დაიმარხონ იმ სამარეში, რომელიც მათ აღმოსავლეთში გაითხარეს?

პასუხი. თქვენ მეკითხებით: ჩინეთში, ინდოეთში, სპარსეთში, ეგვიპტეში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება იმის მომასწავებლად ხომ არ მიმაჩნია, რომ ახლოა ის დრო, როცა დასავლეთის სახელმწიფოები თავს დაიმარხავენ იმ სამარეში, რომელიც მათ აღმოსავლეთში თვითონვე გაითხარეს?

დიახ, მიმაჩნია. კოლონიური ქვეყნები იმპერიალიზმის ძირითადი ზურგია. ამ ზურგის გარევოლუციურებას არ შეუძლია ძირი არ გამოუთხაროს იმპერიალიზმს არა მარტო იმ აზრით, რომ იმპერიალიზმი უზურგოდ იქნება დატოვებული, არამედ იმ აზრითაც, რომ აღმოსავლეთის გარევოლუციურებამ გადამწყვეტი ბიძგი უნდა მისცეს რევოლუციური კრიზისის გამწვავებას დასავლეთში. ორი მხრიდან — ზურგიდან და ფრონტიდან — იერიშმიტანილმა იმპერიალიზმმა თავი დაღუპვისათვის განწირულად უნდა სცნოს.

«პრავდა» № 150,
1925 წ. 4 ივლისი.

წერილი ამხ. ერმაკოვსკის

ამხ. ერმაკოვსკი!

დიდი ბოდიში პასუხის დაგვიანებისათვის. ორ თვეს შვებულებაში ვიყავი, მოსკოვში გუშინ დავბრუნდი და მხოლოდ დღეს მქონდა შესაძლებლობა — გავცნობოდი თქვენს ბარათს. თუმცა, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

ენგელსის უარყოფითი პასუხი კითხვაზე: «შეიძლება თუ არა ეს რევოლუცია მოხდეს ერთ რომელიმე ქვეყანაში?», — მთლიანად ასახავს წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქას, წინაიმპერიალისტურ ეპოქას, როცა ჯერ კიდევ არ იყო პირობები კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო, ნახტომისებური განვითარებისათვის, როცა, მაშასადამე, არ იყო მონაცემები ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის (ერთ ქვეყანაში ასეთი რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობა გამომდინარეობს, როგორც ცნობილია, იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარების კანონიდან). კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარების კანონი და მასთან დაკავშირებული დებულება ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინმა წამოაყენა და შეეძლო წამოეყენებინა

მხოლოდ იმპერიალიზმის პერიოდში. სწორედ ამით აიხსნება, სხვათა შორის, რომ ლენინიზმი არის იმპერიალიზმის ეპოქის მარქსიზმი, რომ იგი წარმოადგენს წინაიმპერიალისტურ ეპოქაში ჩამოყალიბებული მარქსიზმის შემდგომ განვითარებას. მიუხედავად მთელი თავისი გენიალობისა, ენგელსს არ შეეძლო შეენიშნა ის, რაც ჯერ კიდევ არ იყო წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, გასული საუკუნის ორმოციან წლებში, როცა იგი წერდა თავის «კომუნიზმის პრინციპებს» [13], და რაც მხოლოდ შემდეგში, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში წარმოიშვა. მეორე მხრივ, ლენინს, როგორც გენიალურ მარქსისტს, არ შეეძლო არ შეემჩნია ის, რაც უკვე წარმოიშვა ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, იმპერიალიზმის პერიოდში. განსხვავება ლენინსა და ენგელსს შორის არის განსხვავება ორ ისტორიულ პერიოდს შორის, რომლებითაც ისინი ერთი-მეორისაგან არიან დაშორებული.

ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ «ტროცკის თეორია იგივეა, რაც ენგელსის მოძღვრება». ენგელსს საფუძველი ჰქონდა უარყოფითი პასუხი გაეცა მე-19 კითხვაზე (იხ. მისი «კომუნიზმის პრინციპები») წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, გასული საუკუნის ორმოციან წლებში, როცა კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარების კანონზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ტროცკის კი, პირიქით, არავითარი საფუძველი არა აქვს XX საუკუნეში გაიმეოროს ენგელსის ძველი პასუხი, აღებული უკვე განვლილი ეპოქიდან, და მექანიკურად შეუფარდოს იგი ახალ, იმპერიალისტურ ეპოქას, როცა უთანაბრო განვითარების კანონი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი გახდა. ენგელსი თავის პასუხს აშენებს მისი თანამედროვე წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის **ანალიზზე**. ხოლო ტროცკი ანალიზს კი არ აკეთებს, არამედ

შორდება თანამედროვე ეპოქას, ივიწყებს, რომ ცხოვრობს არა გასული საუკუნის ორმოციან წლებში, არამედ მეოცე საუკუნეში, იმპერიალიზმის ეპოქაში, XIX საუკუნის ორმოციანი წლების ივან ივანოვიჩის ცხვირს ეშმაკურად აკოწიწებს XX საუკუნის დამდეგის ივან ნიკიფოროვიჩის ნიკაპზე და, ალბათ, ფიქრობს, რომ ასე შეიძლება მოატყუო ისტორია. არა მგონია, რომ ამ ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მეთოდს შეეძლოს საფუძველი მოგვცეს «ენგელსის მოძღვრებასთან ტროცკის თეორიის იგივეობის» შესახებ ლაპარაკისათვის.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

15. IX. 25 წ.

ბეჭდება პირველად.

საუბარი აგიტპროპების თათბირის მონაწილეებთან

1925 წ. 14 ოქტომბერი

კითხვა. მოხდა თუ არა კაპიტალიზმის სტაბილიზაციაში რაიმე ცვლილება კომინტერნის კონგრესის შემდეგ განვლილ დროში?

პასუხი. ჩვენს პარტიულ წრეებში ჩვეულებრივ ლაპარაკია ორ სტაბილიზაციაზე: კაპიტალიზმის სტაბილიზაციაზე და საბჭოთა წყობილების სტაბილიზაციაზე. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ნიშნავს კაპიტალიზმის კრიზისის ერთგვარ დროებით შენელებას კაპიტალიზმის შიგნით შეურიგებელ წინააღმდეგობათა ზრდის დროს, რომელთა განვითარებამ კაპიტალიზმის ახალი, მორიგი კრიზისი უნდა გამოიწვიოს. რა ცვლილებაც უნდა მოხდეს ამ დარგში, ახალი კრიზისი გარდუვალია. რაც შეეხება საბჭოთა წყობილების სტაბილიზაციას, იგი მზარდი ტემპით ვითარდება, აერთიანებს რა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძალებს და ძირს უთხრის კაპიტალისტურ ელემენტებს. უეჭველია, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ელემენტების სრული გამარჯვება კაპიტალისტურ ელემენტებზე უახლოესი წლების საკითხია.

კითხვა. დასავლეთის პროფკავშირებში მზარდი მემარცხენე მოძრაობა ხომ არ გამოიწვევს პროლეტარიატის ერთი ნაწილის მოწყვეტას კომუნისტური პარტიებისაგან?

პასუხი. არა, არ უნდა გამოიწვიოს. პირიქით, პროფკავშირების გამემარცხენებამ უნდა გააძლიეროს კომუნისტური პარტიების გავლენა მუშათა მოძრაობაში. მუშათა მოძრაობაში სოციალ-რეფორმისტების ძალას შეადგენს არა მარტო ის და არც იმდენად ის, რომ მათ თავიანთ განკარგულებაში ჰყავთ სოციალ-დემოკრატიული პარტიები, არამედ, უმთავრესად, ის, რომ ისინი მუშათა პროფესიულ კავშირებს ეყრდნობიან. საკმარისია გამოეცალოთ მათ ეს დასაყრდენი — და ისინი ჰაერში გამოკიდებული დარჩებიან. პროფკავშირების გამემარცხენება ნიშნავს, რომ პროფესიულად დარაზმული მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი იწყებს ძველი, რეფორმისტი ბელადებისაგან ჩამოშორებას და ახალ, მემარცხენე ბელადებს ეძებს. კომუნისტური პარტიების შეცდომა ის არის, რომ მათ არ ესმით ეს კეთილმყოფელი პროცესი და, ნაცვლად იმისა, რომ ხელი გაუწოდონ გამემარცხენებულ მუშებს სოციალ-დემოკრატიიდან და დაეხმარონ მათ ჭაობიდან ამოსვლაში, იწყებენ მათს ლანძღვას, გამცემლებს უწოდებენ და თავს აძულებენ მათ.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დასავლეთში პროფკავშირების საქმის ვითარება ისეთი არ არის, როგორც ჩვენში. ჩვენში პროფკავშირები აღმოცენდნენ პარტიის გაჩენის შემდეგ, მას შემდეგ, რაც პარტია უკვე განმტკიცდა და მუშებს შორის დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ჩვენში პროფკავშირები დაინერგა და მოეწყო პარტიის ძალებით, პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის დახმარებით. სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენს მუშებში პარტიის ავტორიტეტი ბევრად უფრო მაღ-

ლა დგას, ვიდრე პროფკავშირების ავტორიტეტი. სულ სხვა სურათს ვხედავთ დასავლეთში. იქ პროფკავშირები გაცილებით უფრო ადრე გაჩნდნენ, ვიდრე მუშათა კლასის პოლიტიკური პარტია. პარტია იქ ჯერ კიდევ არ იყო, როცა პროფკავშირები აწყობდნენ მუშათა გაფიცვებს, რაზმავდნენ მუშებს და ხელს უწყობდნენ დაეცვათ თავიანთი ინტერესები კაპიტალისტებთან ბრძოლაში. უფრო მეტიც, იქ პარტიები პროფკავშირებიდან გამოვიდნენ. სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პროფკავშირები დასავლეთში გაცილებით უფრო მეტი ავტორიტეტით სარგებლობენ მასებში, ვიდრე პარტია. ცუდი თუ კარგი არიან იქ პროფკავშირები და მათი ლიდერები, ერთი რამ მაინც ცხადია, — რომ მუშებს პროფკავშირები მიაჩნიათ თავიანთ ბასტიონებად კაპიტალისტების წინააღმდეგ. ყველა ეს თავისებურება გათვალისწინებული უნდა იყოს პროფკავშირთა რეფორმისტი ბელადების მხილების დროს. რეფორმისტი ბელადების მიმართ ლანძღვითა და მაგარი ეპითეტებით აქ საქმეს ვერ უშველი, — პირიქით, ლანძღვამ და მაგარმა ეპითეტებმა შეიძლება მხოლოდ შეუქმნან მუშებს შთაბეჭდილება, რომ აქ საქმე ეხება არა უვარგისი ბელადების თავიდან მოცილებას, არამედ პროფკავშირების დანგრევას.

კითხვა. როგორია გერმანიის კომპარტიის მდგომარეობა «ულტრამემარცხენეთა» თავიდან მოცილებასთან დაკავშირებით?

პასუხი. ეჭვი არ არის, რომ «ულტრამემარცხენეთა» თავიდან მოცილებამ გააუმჯობესა გერმანიის კომპარტიის მდგომარეობა. «ულტრამემარცხენეები» მუშათა კლასისათვის უცხო ადამიანები არიან. რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ რუტ ფიშერსა და მასლოვს[44] გერმანიის მუშათა კლასთან? «ულტრამემარცხენეთა» თავიდან მოცილებამ გამოიწვია ის, რომ დაწინაურდნენ კომპარტიის ახალი ბე-

ლადები მუშებიდან. ეს დიდი პლუსია გერმანიის მუშათა მოძრაობისათვის.

კითხვა. მოსალოდნელი ხომ არ არის სსრ კავშირის ახალი ორიენტაცია გერმანიასთან დადებულ პაქტთან დაკავშირებით?

პასუხი. არა. ჩვენში ორიენტაცია ერთი იყო და რჩება: ჩვენ ორიენტაცია გვაქვს აღებული სსრ კავშირზე და მის წარმატებაზე როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. არავითარი სხვა ორიენტაცია არ გვესაჭიროება. როგორი პაქტებიც არ უნდა იქნას დადებული, ამ საქმეში ისინი ვერაფერს შეცვლიან.

კითხვა. რა წარმოადგენს ფართო მასებში ჩვენი პარტიული მუშაობის ძირითად მეთოდს?

პასუხი. პარტიულ მუშაობაში სამხედრო კომუნიზმის ნაშთების ლიკვიდაცია და დარწმუნების მეთოდზე გადასვლა. ჩვენი ქვეყნის ექსპლოატატორული ელემენტების მიმართ ჩვენ გვაქვს ძველი, ნაცადი მეთოდი — იძულების მეთოდი. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, მუშებს, გლეხებს და სხვ., აქ დარწმუნების მეთოდი უნდა გამოვიყენოთ. საქმე ის კი არ არის, რომ პარტიის მითითებანი და დირექტივები სწორია. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. საქმე ახლა ის არის, რომ მშრომელთა ფართო მასები ამ დირექტივებისა და მითითებების სისწორეში დავარწმუნოთ. საქმე ის არის, რომ თვით მასები თავიანთი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ პარტიის დირექტივებისა და მითითებების სისწორეში. ეს პარტიის დიდსა და რთულ, მოქნილსა და გულმოდგინე მუშაობას მოითხოვს. მაგრამ ეს მუშაობის ერთადერთი სწორი მეთოდია მშრომელი მასების აქტივობის ზრდის ახლანდელ პირობებში.

კითხვა. რა საკითხებს უნდა მიაქციონ ყურადღება აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებებმა მომავალ პარტიულ ყრილობასთან დაკავშირებით?

პასუხი. ჯერ-ერთი, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხს და, მეორეც, გლეხობის საკითხს. პირველ საკითხში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ინდუსტრიალიზაცია არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ძირითადი საშუალება, რომ უინდუსტრიალიზაციოდ ჩვენს ქვეყანას საფრთხე მოელის — გადაიქცეს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დანამატად. მეორე საკითხში მუშაობა უნდა გაიშალოს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის კავშირის განმტკიცების პრობლემის გარშემო, ვინაიდან ასეთი კავშირის უქონლად შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება.

კითხვა. რა პრობლემები ჩნდება პარტიის ზრდასთან და ამ ზრდის რეგულირების საჭიროებასთან დაკავშირებით?

პასუხი. უკანასკნელ ხანს პარტიის რაოდენობრივი ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, ვინაიდან პარტიის სწრაფი ზრდა ჩვენი პარტიისადმი მუშათა კლასის ნდობის ზრდას ნიშნავს. მაგრამ აქ სერიოზული მინუსებიც არის. ეს მინუსები იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის სწრაფი ზრდა იწვევს პარტიული რიგების შეგნებულობის დონის ერთგვარ შემცირებას, პარტიის ხარისხის ერთგვარ გაუარესებას. ხარისხს კი ჩვენთვის არა ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, თუ მეტი არა, ვიდრე რაოდენობას. ეს მინუსები რომ აღმოვფხვრათ, საჭიროა ბოლო მოვუღოთ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის მეტისმეტ გატაცებას პარტიის რაოდენობრივი ზრდით, საჭიროა შევაჩეროთ ხელაღებითი მოზღვავება პარტიაში და წესად მივიღოთ, რომ მომავალში ახალ წევრებს პარტიაში მეტი გარ-

ჩვეით იღებდნენ. ეს ერთი. და მეორეც — უნდა მოვაწყოთ პარტიის ახალ წევრებს შორის ინტენსიური პოლიტიკური სწავლება, რათა საჭირო დონემდე ავამაღლოთ მათი პოლიტიკური შეგნება.

კითხვა. რა უფრო მეტად უზრუნველყოფს ჩვენთვის ამჟამად უპარტიო გლეხურ მასასთან კავშირს: პარტიაში გლეხების მოზიდვა თუ პარტიის გარშემო უპარტიო აქტივის შექმნა?

პასუხი. ჩვენ გვჭირდება ერთიც და მეორეც. მეტად ძნელია ჩვენი პარტიის გარშემო გლეხთა ფართო უპარტიო აქტივის შექმნა, თუ სოფლად არა გვყავს პარტიულად დარაზმული გლეხების გარკვეული მინიმუმი. კიდევ უფრო ძნელია სოფლად სერიოზული პარტიული ორგანიზაციების შექმნა, თუ არა გვყავს გლეხთა ფართო უპარტიო აქტივი, ვინაიდან პარტიული ორგანიზაციები ჩვეულებრივ ასეთი აქტივის ხარჯზე იქმნება. მაინც გლეხთა ფართო უპარტიო აქტივის შექმნა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა.

რით არის პარტია ძლიერი მასებთან მისი კავშირის თვალსაზრისით? იმით, რომ თავის გარშემო მას ჰყავს თანამგრძნობთა ფართო უპარტიო აქტივი. პარტია საბრძოლველად ვერ გაუძღვებოდა მუშათა კლასის მილიონიან მასებს, თავის გარშემო რომ არა ჰყავდეს თანამგრძნობთა ეს ფართო აქტივი. ასეთი აქტივის დაუხმარებლად პარტია ვერ განახორციელებს ხალხის მილიონიანი მასებისადმი ხელმძღვანელობას. ეს ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი კანონია.

გახსოვთ, რა მოხდა ლენინური გაწვევის დროს, როცა რამდენიმე დღის განმავლობაში პარტიაში შემოვიდა 200 ათასი ახალი წევრი, მუშათა კლასის საუკეთესო შვილები? საიდან მოვიდა ეს 200 ათასი? ისინი გამოვიდნენ ჩვენი

პარტიის თანამგრძნობ მუშათა ფართო უპარტიო აქტივის რიგებიდან.

მაშასადამე, უპარტიო აქტივი ის წრეა, საიდანაც შევსებას იღებს და ვითარდება პარტია. ეს სწორია არა მარტო მუშათა კლასის მიმართ. ეს სწორია მშრომელი გლეხობის მიმართაც.

კითხვა. რა არის რეალურად მოსალოდნელი კონცესიებით მრეწველობის გაფართოებაში?

პასუხი. ჯერ კიდევ ლენინი ამბობდა, კონცესიების საქმე არ გამოგვივიდაო. ახლა შესაძლებლობა გვაქვს — ლენინის სიტყვები ახალი მონაცემებით დავადასტუროთ. ახლა სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონცესიებს ჩვენს ქვეყანაში პერსპექტივა არა აქვთ. ფაქტია, რომ საკონცესიო მრეწველობის ხვედრითი წონა ჩვენი სამრეწველო წარმოების საერთო სისტემაში უმნიშვნელო ოდენობას წარმოადგენს, ამასთან ამ ოდენობას ტენდენცია აქვს ნულოვან ოდენობად იქცეს.

ბეჭდება პირველად.

კომკავშირის ამოცანების შესახებ

პასუხი «კომსომოლსკაია პრავდის» რედაქციის მიერ მიცემულ კითხვებზე

I

ძირითადად რას ავალებს კომკავშირს საბჭოთა კავშირის თანამედროვე საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა?

კითხვა მეტად ზოგადად არის დასმული, ამიტომ პასუხიც შეიძლება მხოლოდ ზოგადი იყოს. საბჭოთა კავშირის თანამედროვე საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა კომკავშირს ძირითადად იმას ავალებს, რომ იგი სიტყვითა და საქმით უჭერდეს მხარს ყველა ქვეყნის ჩაგრული კლასების რევოლუციურ მოძრაობას და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ბრძოლას სოციალიზმის მშენებლობისათვის, პროლეტარული სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ კომკავშირს თავისი ამ ზოგადი ამოცანის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ იგი მთელ თავის მუშაობაში იხელმძღვანელებს კომუნისტური ინტერნაციონალისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის მიერ მოცემული მითითებებით.

II

რა ამოცანები დგას კომკავშირის წინაშე ლიკვიდატორობის საფრთხესა (სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივის დაკარგვა), ნაციონალიზმის საფრთხესა (საერთაშორისო-რევოლუციური პერსპექტივის დაკარგვა) და პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტების საფრთხესთან დაკავშირებით, ე. ი. იმ საფრთხეებთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნული იყო ბროშურაში «კითხვა-პასუხი»?

მოკლედ რომ ვთქვათ, კომკავშირის ამოცანები ამ დარგში ის არის, რომ აღზარდოს ჩვენი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ლენინიზმის სულისკვეთებით. ხოლო რას ნიშნავს ახალგაზრდობის აღზრდა ლენინიზმის სულისკვეთებით? ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, მისთვის იმის შეგნების ჩანერგვას, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება სავსებით შესაძლებელი და აუცილებელია. მეორეც, ეს ნიშნავს მასში იმ რწმენის განმტკიცებას, რომ ჩვენი მუშური სახელმწიფო არის საერთაშორისო პროლეტარიატის პირმშო, რომ იგი არის ყველა ქვეყანაში რევოლუციის გაჩაღების ბაზა, რომ ჩვენი რევოლუციის საბოლოო გამარჯვება საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეა. მესამეც, ეს ნიშნავს ახალგაზრდობის აღზრდას რუსეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისადმი ნდობის სულისკვეთებით. საჭიროა კომკავშირში შეიქმნას ისეთი კადრები და ისეთი აქტივი, რომლებიც შესძლებდნენ ახალგაზრდობის აღზრდას სწორედ ამ მიმართულებებით.

კომკავშირელები მუშაობას ეწევიან მშენებლობის ყველა დარგში: მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კოოპერაციაში, საბჭოებში, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში და სხვ. საჭიროა, რომ თვითეული აქტი-

ვისტი კომკავშირელი თავის ყოველდღიურ მუშაობას მშენებლობის ყველა დარგში უკავშირებდეს სოციალისტური საზოგადოების აშენების პერსპექტივას. საჭიროა, რომ მას შეეძლოს თავისი ყოველდღიური მუშაობის წარმოება ამ პერსპექტივის განხორციელების სულისკვეთებით და მიმართულებით.

კომკავშირელები მუშაობას ეწევიან სულ სხვადასხვა ეროვნების მუშებსა და გლეხებს შორის. თვით კომკავშირი თავისებური ინტერნაციონალის ერთგვარი მსგავსებაა. ამასთან აქ როლს ასრულებს არა მარტო კომკავშირის ნაციონალური შემადგენლობა, არამედ ის ფაქტიც, რომ კომკავშირი უშუალოდ ემხრობა რკპ(ბ)-ს, რომელიც მსოფლიო პროლეტარული ინტერნაციონალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რაზმს შეადგენს. ინტერნაციონალიზმი ის ძირითადი იდეაა, რომლითაც გამსჭვალულია კომკავშირის მუშაობა. ამაშია მისი ძალა. ამაშია მისი ძლიერება. საჭიროა, რომ ინტერნაციონალიზმის სული ყოველთვის თავს დასტრიალებდეს კომკავშირს. საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის ბრძოლის წარმატებანი და წარუმატებლობანი კომკავშირელთა შეგნებაში უკავშირდებოდეს საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის წარმატებებსა და წარუმატებლობებს. საჭიროა, რომ კომკავშირელები ჩვენს რევოლუციას უყურებდნენ არა როგორც თვითმიზანს, არამედ როგორც ყველა ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საშუალებასა და ხელშემწყობს.

კომკავშირი ფორმალურად არაპარტიული ორგანიზაციაა. მაგრამ ამასთან ერთად ის არის კომუნისტური ორგანიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ კომკავშირი, რომელიც ფორმალურად მუშათა და გლეხთა არაპარტიული ორგანიზაციაა, ამასთან ერთად ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით უნდა მუშაობდეს. ჩვენი პარტიისადმი ახალგაზრდობის ნდობის

უზრუნველყოფა, კომკავშირში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა — ასეთია ამოცანა. კომკავშირელს უნდა ახსოვდეს, რომ პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კომკავშირის მთელ მუშაობაში. კომკავშირელს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირი ვერ შეასრულებს თავის ძირითად ამოცანას — პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმის სულისკვეთებით მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანას.

III

როგორ უნდა დაისვას ამჟამად კომკავშირის ზრდის საკითხი: ძირითადად შემდეგშიც უნდა განვაგრძოთ კომკავშირის რიგებში მთელი მუშა, მოჯამაგირე, ღარიბი გლეხი ახალგაზრდობის, აგრეთვე საშუალო-გლეხური ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის მოზიდვის კურსი, თუ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ კავშირში უკვე ჩაბმული ახალგაზრდობის მასების შენარჩუნებასა და აღზრდას?

არ შეიძლება ითქვას: ეს თუ ის. საჭიროა გავაკეთოთ ერთიც და მეორეც. საჭიროა კომკავშირში ჩავაბათ, შეძლებისამებრ, მთელი მუშა ახალგაზრდობა და სოფლის ღარიბი და საშუალო მოსახლეობის საუკეთესო ელემენტები. მაგრამ ამასთან საჭიროა გავამახვილოთ ყურადღება კომკავშირის აქტივის მიერ კომკავშირის ახალ წევრთა აღზრდისადმი. პროლეტარული ბირთვის გაძლიერება კომკავშირის უმნიშვნელოვანესი მორიგი ამოცანაა. ამ ამოცანის განხორციელებაშია იმის საწინდარი, რომ კომკავშირი სწორი გზით ივლის. მაგრამ კომკავშირი მარტო მუშა ახალგაზრდობის ორგანიზაცია როდია. კომკავშირი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ორგანიზაციაა. ამიტომ, პროლეტარული ბირ-

თვის გაძლიერებასთან ერთად, უნდა წარმოებდეს მუშაობა გლეხი ახალგაზრდობის საუკეთესო ელემენტების მოსაზიდავად, კომკავშირის პროლეტარულ ბირთვსა და გლეხურ ნაწილს შორის მტკიცე კავშირის უზრუნველსაყოფად. უამისოდ შეუძლებელია პროლეტარული ბირთვის ხელმძღვანელობა კომკავშირში ჩაბმული გლეხი ახალგაზრდობის მიმართ.

IV

რუსეთის ალკკ ზოგიერთი საგუბერნიო კომიტეტი, ქალთა სადელეგატო კრებების მაგალითის მიხედვით, შეუდგა უპარტიო გლეხი ახალგაზრდობის მუდმივშემადგენლობიანი სადელეგატო კრებების შექმნას. ამ კრებების როლი მდგომარეობს კომკავშირის ხელმძღვანელობით გლეხი ახალგაზრდობის, უმთავრესად საშუალო-გლეხური ახალგაზრდობის აქტივის გაერთიანებაში. სწორია თუ არა ასეთი პოზიცია, და ხომ არ იფარება ამაში იმის საფრთხე, რომ ეს სადელეგატო კრებები გადაგვარდებიან გლეხი ახალგაზრდობის თავისებურ უპარტიო კავშირებად, რომლებმაც შეიძლება თავი დაუპირისპირონ ჩვენს ახალგაზრდობის კავშირს?

ასეთი პოზიცია, ჩემი აზრით, სწორი არ არის. რატომ? აი რატომ.

ჯერ-ერთი, აქ იფარება რაღაც შიში საშუალო გლეხისადმი, მისწრაფება საშუალო-გლეხური ახალგაზრდობის ჩამოშორებისაკენ, მისი თავიდან მოცილების ცდა. სწორია თუ არა ასეთი მისწრაფება? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ კი არ უნდა ჩამოვიშოროთ საშუალო-გლეხური ახალგაზრდობა, არამედ უნდა დავიახლოოთ იგი, დავუახლოოთ კომკავშირს. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ჩავუნერგოთ საშუალო-გლეხურ ახალგაზრდობას მუშებისადმი ნდობა, კომკავში-

რის პროლეტარული ბირთვისადმი ნდობა, ჩვენი პარტიისადმი ნდობა.

მეორეც, უეჭველია, რომ კომკავშირთან არსებული საშუალო-გლეხური ახალგაზრდობის განსაკუთრებული სადელეგატო კრებები ახლანდელ პირობებში, როცა გლეხობის ყველა ჯგუფს გამოცოცხლება ეტყობა, გარდუვალად გადაიქცევიან საშუალო-გლეხური ახალგაზრდობის განსაკუთრებულ კავშირად. ამასთან ამ განსაკუთრებულ კავშირს გარემოება აიძულებს თავი დაუპირისპიროს ახალგაზრდობის უკვე არსებულ კავშირს და მის ხელმძღვანელს — რკპ(ბ)-ს, იგი თავისკენ მიიზიდავს კომკავშირის გლეხურ ნაწილს და, ამრიგად, შექმნის კომკავშირის ორ კავშირად— მუშა ახალგაზრდობის კავშირად და გლეხი ახალგაზრდობის კავშირად გაყოფის საფრთხეს. შეგვიძლია თუ არა ანგარიში არ გავუწიოთ ასეთ საფრთხეს? რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ. განა გვესაჭიროება ასეთი გაყოფა, განსაკუთრებით ახლანდელ ვითარებაში, განსაკუთრებით ჩვენი განვითარების ახლანდელ პირობებში? რა თქმა უნდა, არ გვესაჭიროება. პირიქით, ჩვენ ახლა გვესაჭიროება გლეხი ახალგაზრდობის არა დაშორება, არამედ დაახლოება კომკავშირის პროლეტარულ ბირთვთან, არა უთანხმოება, არამედ მტკიცე კავშირი მათ შორის.

მესამეც, არ შეიძლება საშუალო-გლეხური ახალგაზრდობის სადელეგატო კრებების შექმნის გამართლება მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებების არსებობაზე მითითებით. არ შეიძლება ერთ დონეზე დავაყენოთ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, რომელსაც კომკავშირის სახით თავისი განსაკუთრებული ორგანიზაცია აქვს, და მუშა და გლეხი ქალები, რომლებსაც თავიანთი განსაკუთრებული ორგანიზაცია არა აქვთ, ისევე, როგორც არ შეიძლება ავრიოთ საშუალო-გლეხური ახალგაზრდობა მუშა-ქალებში, რომ-

ლებიც **მუშათა კლასის** ნაწილს წარმოადგენენ. საშუალო-გლეხური ახალგაზრდობის სადელეგატო კრებების არსებობა საფრთხეს უქმნის ახალგაზრდობის კავშირს, მაშინ როცა მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებების არსებობა არავის არავითარ საფრთხეს არ უქადის, ვინაიდან ამჟამად მუშა და გლეხ ქალებს არა აქვთ ახალგაზრდობის კავშირის მსგავსი თავიანთი განსაკუთრებული მუდმივი ორგანიზაცია.

აი რატომ ვფიქრობ, რომ კომკავშირთან საშუალო-გლეხური ახალგაზრდობის სპეციალური სადელეგატო კრებების შექმნა ზედმეტია.

მე ვფიქრობ, რომ კომკავშირის VI ყრილობა[45] სწორად მოიქცა, როცა დასჯერდა წინადადებას კომკავშირის გარშემო სოფლად ისეთი **დამხმარე ორგანიზაციების** შექმნის შესახებ, როგორიც არის თვითგანათლების წრეები, სოფლის მეურნეობის ჯგუფები და სხვა.

V

შესაძლებელია თუ არა, რომ ჩვენს პირობებში კომკავშირის აქტივმა პრაქტიკული მუშაობა შეახამოს მარქსიზმისა და ლენინიზმის საფუძვლიან შესწავლასთან, და რა უნდა აკეთონ ამ მიმართულებით კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა კომკავშირელებმა?

ჯერ-ერთი, პატარა შენიშვნა მარქსიზმისა და ლენინიზმის შესახებ. საკითხის ამგვარად ფორმულირების დროს შეიძლება იფიქრონ, რომ მარქსიზმი ერთია, ლენინიზმი კი სხვაა, რომ შეიძლება ლენინელი იყო და ამავე დროს არ იყო მარქსისტი. მაგრამ ასეთი წარმოდგენა არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ. ლენინიზმი არ არის ლენინური მოძღვრება **მინუს** მარქსიზმი. ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ლენინიზმი შეიცავს ყოველივე

იმას, რაც მოცემულია მარქსის მიერ, პლუს ის ახალი, რაც ლენინმა მარქსიზმის საგანძურში შეიტანა და რაც აუცილებლად გამომდინარეობს ყოველივე იმისაგან, რაც მოცემულია მარქსის მიერ (მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, გლეხობის საკითხი, ნაციონალური საკითხი, პარტია, რეფორმიზმის სოციალური ფესვების საკითხი, კომუნიზმში ძირითადი გადახრების საკითხი და სხვ.). ამიტომ უმჯობესია საკითხის ფორმულირება ისე, რომ ლაპარაკი იყოს მარქსიზმზე ან ლენინიზმზე (რაც ძირითადად ერთი და იგივეა), და არა მარქსიზმზე **და** ლენინიზმზე.

მეორეც, სრულიად უეჭველია, რომ თუ კომკავშირული აქტივის პრაქტიკული მუშაობა **შეხამებული** არაა მის თეორიულ მომზადებასთან («ლენინიზმის შესწავლა»), ისე შესაძლებელი არ არის არავითარი, რამდენადმე მაინც გააზრებული კომუნისტური მუშაობა კომკავშირში. ლენინიზმი არის ყველა ქვეყნის მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების განზოგადება. ეს გამოცდილება ის გზის მანათობელი ვარსკვლავია, რომელიც გზას უშუქებს პრაქტიკოსებს მათს ყოველდღიურ მუშაობაში და მიმართულებას აძლევს მათ. პრაქტიკოსებს არ შეიძლება ჰქონდეთ არც თავიანთი მუშაობის რწმენა, არც ამ მუშაობის სისწორის შეგნება, თუ ისინი მინიმალურად მაინც არ დაუფლებიან ამ გამოცდილებას. ალალბედზე მუშაობა, ბნელში მუშაობა — ასეთია პრაქტიკული მუშაკების ხვედრი, თუ ისინი არ სწავლობენ ლენინიზმს, თუ ისინი არ ისწრაფიან დაეუფლონ ლენინიზმს, თუ მათ არ სურთ შეახამონ თავიანთი პრაქტიკული მუშაობა აუცილებელ თეორიულ მომზადებასთან. ამიტომ ლენინიზმის შესწავლა, ლენინური სწავლა უაღრესად აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ახლანდელი კომკავშირული აქტივი გადაიქცეს ნამდვილ ლენინურ აქტივად, რომელსაც უნარი ექნება აღზარდოს მრავალ-

მილიონიანი კომკავშირული ახალგაზრდობა პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმის სულისკვეთებით.

მაგრამ შესაძლებელია თუ არა თეორიისა და პრაქტიკის ასეთი შეხამება დღევანდელ პირობებში, როცა კომკავშირული აქტივი ესოდენ დატვირთულია? დიახ, შესაძლებელია. თქმა არ უნდა, ეს საქმე ძნელია. მაგრამ იგი სავსებით შესაძლებელია, რახან იგი ასე საჭიროა, რახან უამპირობოდ შეუძლებელია კომკავშირში ნამდვილი ლენინური აქტივის შექმნა. ჩვენ ვერ დავემსგავსებით მოდუნებულ ადამიანებს, რომლებიც სიძნელეებს გაურბიან და იოლ სამუშაოს ეძებენ. სიძნელეები სწორედ იმისათვის არსებობენ, რომ შევებრძოლოთ მათ და დავძლიოთ ისინი. ბოლშევიკები აუცილებლად დაიღუპებოდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში, მათ რომ სიძნელეთა დაძლევა არ ესწავლათ. კომკავშირი არ იქნებოდა კომკავშირი, მას რომ სიძნელეების ეშინოდეს. კომკავშირის აქტივმა დიდი ამოცანა იკისრა. ამიტომ მან უნდა იპოვოს თავის თავში ძალა იმისათვის, რომ დასძლიოს ყველა და ყოველგვარი სიძნელე მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

ბეჯითი და გულმოდგინე ლენინური სწავლა — ასეთია ის გზა, რომელიც უნდა განვლოს კომკავშირის აქტივმა, თუ მას ნამდვილად სურს აღზარდოს ახალგაზრდობის მილიონიანი მასები პროლეტარული რევოლუციის სულისკვეთებით.

«კომსომოლსკაია პრავდა» № 133,
1925 წ. 29 ოქტომბერი.
ზელმოწერა: ი. სტალინი.

სიტყვა მ. ვ. ფრუნზეს დაკრძალვაზე

1925 წ. 8 ნოემბერი

ამხანაგებო! დიდხანს ლაპარაკი არ ძალმიძს, ჩემი სულიერი მდგომარეობა არ ქმნის საამისო განწყობილებას. მხოლოდ ვიტყვი, რომ ამხანაგ ფრუნზეს სახით ჩვენ დავკარგეთ ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სპეტაკი, ყველაზე პატიოსანი და ყველაზე უშიშარი რევოლუციონერი.

პარტიამ ამხანაგ ფრუნზეს სახით დაკარგა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და ყველაზე დისციპლინირებული ხელმძღვანელი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამხანაგ ფრუნზეს სახით დაკარგა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და ყველაზე გონიერი მშენებელი.

არმიამ ამხანაგ ფრუნზეს სახით დაკარგა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და პატივცემული ხელმძღვანელი და შემქმნელი.

აი რატომ წუხს ასე პარტია ამხანაგ ფრუნზეს დაკარგვას.

ამხანაგებო! ეს წელიწადი ჩვენთვის წყეული იყო. მან ჩვენს წრეს გამოსტაცა მთელი რიგი ხელმძღვანელი ამხანაგები. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, და საჭირო შეიქნა კიდევ ერთი მსხვერპლი. იქნებ, სწორედ ასეც უნდა,

რომ ძველი ამხანაგები ასე ადვილად და ასე უბრალოდ ჩადიოდნენ საფლავში. სამწუხაროდ, არა ასე ადვილად და არც თუ ასე უბრალოდ იზრდებიან ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგები ძველების შესაცვლელად.

მაშ გვწამდეს და იმედი ვიქონიოთ, რომ პარტია და მუშათა კლასი ყველა ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ გააადვილონ ახალი კადრების გამოწრთობა ძველების შესაცვლელად.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა გამომეთქვა მთელი პარტიის მწუხარება ამხანაგ ფრუნზეს დაკარგვის გამო.

დაე ჩემი მოკლე სიტყვა იყოს ამ მწუხარების გამომხატველი, რომელიც უსაზღვროა და რომელსაც გრძელი სიტყვები არ ესაჭიროება.

«პრავდა» № 253,
1925 წ. 5 ნოემბერი.

ოქტომბერი, ლენინი და ჩვენი განვითარების პერსპექტივები

მე ვფიქრობ, რომ ოქტომბრის მომზადების პერიოდს, რაც რვა წლის წინათ იყო, და ახლანდელ პერიოდს, ოქტომბრიდან რვა წლის შემდეგ, მიუხედავად მთელი მათი უდიდესი განსხვავებისა, მაინც ერთი საერთო ნიშანი ახასიათებთ. ეს საერთო ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ეს პერიოდი ასახავს გარდატეხის მომენტს ჩვენი რევოლუციის განვითარებაში. მაშინ, 1917 წელს, საქმე ეხებოდა იმას, რომ გადავსულიყავით ბურჟუაზიის ხელისუფლებიდან პროლეტარიატის ხელისუფლებაზე. ახლა, 1925 წელს, საქმე ეხება იმას, რომ ახლანდელი ეკონომიკიდან, რომელსაც მთლიანად სოციალისტური არ შვიძლება ეწოდოს, გადავიდეთ სოციალისტურ ეკონომიკაზე, იმ ეკონომიკაზე, რომელიც სოციალისტური საზოგადოების მატერიალური საფუძველი უნდა გახდეს.

როგორი იყო ვითარება ოქტომბრის პერიოდში, როცა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1917 წლის 10 ოქტომბერს ლენინის ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ?

ჯერ-ერთი, ომი ევროპის ორ კოალიციას შორის, მთელ ევროპაში სოციალისტური რევოლუციის ელემენტების

ზრდა და გერმანიასთან სეპარატული ზავის მუქარა რუსეთში რევოლუციის ჩახრჩობის მიზნით. ეს — საგარეო მდგომარეობის დარგში. მეორეც, ჩვენი პარტიის მიერ უმრავლესობის მოპოვება საბჭოებში, გლეხთა აჯანყებანი მთელ ჩვენს ქვეყანაში, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა ფრონტებზე, კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობის იზოლაცია და მეორე კორნილოვშჩინის საფრთხე. ეს — საშინაო მდგომარეობის დარგში.

ეს იყო, უპირატესად, პოლიტიკური ბრძოლის ფრონტი.

გარდატეხის მომენტი მაშინ დამთავრდა მუშებისა და გლეხების ძლევამოსილი აჯანყებით და პროლეტარიატის დიქტატურის შექმნით.

როგორია საქმის ვითარება ახლა, ბურჟუაზიული ხელისუფლების განადგურებიდან რვა წლის შემდეგ?

ჯერ-ერთი, მსოფლიოში ორი ბანაკის არსებობა: **კაპიტალიზმის** ბანაკისა, რომლის დროებითი სტაბილიზაცია ხდება, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების (ჩინეთი, მაროკო, სირია და სხვ.) რევოლუციური მოძრაობის აშკარა ზრდის დროს, და **სოციალიზმის** ბანაკისა, საბჭოთა კავშირისა, რომელიც თავის ეკონომიურ განვითარებაში იზრდება და თავის გარშემო რაზმავს როგორც მოწინავე ქვეყნების მუშებს, ისე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრულ ხალხებს, — გარემოება, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს — ხანმოკლე «შესვენება» გადავაქციოთ «შესვენების» მთელ პერიოდად. ეს — საგარეო მდგომარეობის დარგში. მეორეც, ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და კოოპერაციული განვითარების ზრდა, მუშებისა და გლეხების მატერიალური მდგომარეობის აღმავლობა, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ურთიერთობის უეჭველი გაუმჯობესება და მუშებსა და გლეხებში პარტიის ავტორიტეტის განმტკიცება, — გარემოება, რომელიც შესაძ-

ლებლობას გვაძლევს — წინ წავწიოთ სოციალისტური მშენებლობა გლეხობასთან ერთად, პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით. ეს — საშინაო მდგომარეობის დარგში.

ეს არის, უპირატესად, სამეურნეო მშენებლობის ფრონტი.

დამთავრდება თუ არა ახლანდელი გარდატეხის პერიოდი პროლეტარიატის გამარჯვებით, ეს დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მშენებლობის წარმატებებზე, დასავლეთსა და აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის წარმატებებზე, იმ წინააღმდეგობათა განვითარებაზე, რომლებიც კაპიტალისტურ სამყაროს არღვევენ.

რვა წლის წინათ ამოცანა ის იყო, რომ შეგვეკავშირებინა პროლეტარიატი უღარიბეს გლეხობასთან, მოგვეხდინა გლეხობის საშუალო ფენების ნეიტრალიზაცია, გამოგვეყენებინა ორი იმპერიალისტური კოალიციის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და დაგვემხო რუსეთში ბურჟუაზიული მთავრობა, რათა შეგვექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, გამოვსულიყავით იმპერიალისტური ომიდან, განგვემტკიცებინა კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტარებთან და წინ წაგვეწია საქმე პროლეტარული რევოლუციისა ყველა ქვეყანაში.

ახლა, რვა წლის შემდეგ, ამოცანა ის არის, რომ, ერთი მხრივ, შევაკავშიროთ პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა საშუალო გლეხობასთან მათ შორის მტკიცე კავშირის საფუძველზე, უზრუნველვყოთ პროლეტარიატის ხელმძღვანელობა ამ კავშირის შიგნით, გავაძლიეროთ ჩვენი მრეწველობის განვითარება და ხელახალი აღჭურვა, კოოპერაციაში ჩავაბათ გლეხობის მილიონიანი მასები და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ბირთვის გამარჯვება კაპიტალიზმის ელემენტებზე, და,

მეორე მხრივ, — დავამყაროთ კავშირი როგორც ყველა ქვეყნის პროლეტარებთან, ისე ჩაგრული ქვეყნების კოლონიურ ხალხებთანაც, რათა დავეხმაროთ რევოლუციურ პროლეტარიატს მის ბრძოლაში კაპიტალიზმზე გამარჯვებისათვის.

საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაცია ახლა საკმარისი აღარ არის. ახლა ამოცანა ის არის, რომ მჭიდრო კავშირი დავამყაროთ საშუალო გლეხობასთან, რათა მოვაგვაროთ სწორი ურთიერთობა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის. ვინაიდან, თუ სწორია ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ **«10 — 20 წელი სწორი ურთიერთობისა გლეხობასთან — და უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით»** [46] *, ამდენადვე სწორია ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ **«...ვიაროთ ახლა წინ შეუდარებლად უფრო ფართო და მძლავრ მასად, აუცილებლად გლეხობასთან ერთად»** [47] *.

სახელმწიფო მრეწველობის უბრალო განვითარება ახლა საკმარისი აღარ არის. მით უმეტეს საკმარისი არ არის მისი ომამდელი დონე. ახლა ამოცანა ის არის, რომ წინ წავწიოთ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის **ხელახალი აღჭურვა** და მისი შემდგომი გაშლა **ახალ ტექნიკურ ბაზაზე.** ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა თავისი ტიპით სოციალისტური მრეწველობაა. ვინაიდან იგი ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ბაზაა. ვინაიდან, ასეთი ბაზა თუ არ იქნა, ლაპარაკიც ზედმეტია ჩვენი ქვეყნის გადაქცევაზე ინდუსტრიულ ქვეყნად, ხოლო ნეპური რუსეთისა — სოციალისტურ რუსეთად.

სოფლად კოოპერაციის უბრალო განვითარება ახლა საკმარისი აღარ არის. ახლა ამოცანა ის არის, რომ

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

კოოპერაციაში ჩავაბათ გლეხობის მილიონიანი მასები და **დავნერგოთ სოფლად კოოპერაციული საზოგადოებრიობა.** ვინაიდან კოოპერაცია პროლეტარიატის დიქტატურის დროს და თავისი ტიპით სოციალისტური მ̇რეწველობის არსებობისას **ძირითადი** ხელჩასაჭიდია გლეხობის მოსაქცევად სოციალისტური მშენებლობის სისტემაში.

ასეთია, ზოგადად, პირობები, რომლებიც საჭიროა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის.

რვა წლის წინათ პარტიამ ბურჟუაზიულ ხელისუფლებაზე გამარჯვებას მიაღწია იმიტომ, რომ მან შესძლო გამოეჩინა ლენინური სიმტკიცე პროლეტარიატის ამოცანების განხორციელების საქმეში, მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, მიუხედავად მერყეობისა მის ცალკეულ რაზმებში.

ახლა, რვა წლის შემდეგ, პარტიას ყველა შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს გამარჯვება ჩვენი სახალხო მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე, თუ იგი შესძლებს გამოიჩინოს ძველი, ლენინური სიმტკიცე თავისი ამოცანების განხორციელების საქმეში, მიუხედავად მის წინაშე მდგომი უამრავი სიძნელისა, მიუხედავად შესაძლო მერყეობისა მის ცალკეულ რაზმებში.

ლენინური სიმტკიცე პროლეტარიატის მორიგი ამოცანების განხორციელების საქმეში, — ესეც სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ერთ-ერთი უაღრესად აუცილებელი პირობაა.

«პრავდა» № 255,
1925 წ. 7 ნოემბერი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

წერილი ლენინგრადის XXII საგუბერნიო პარტიული კონფერენციის პრეზიდიუმს [48]

ძვირფასო ამხანაგებო!

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში მოვიდა ცნობები, რომ, თქვენი კონფერენციის ზოგიერთი წევრის აზრით, მოსკოვის XIV პარტიული კონფერენციის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო [49] ვითომდა მიმართულია ლენინგრადის ორგანიზაციის წინააღმდეგ, ამასთან ეს ამხანაგები თითქოს მოუწოდებენ ლენინგრადის დელეგაციის აშკარა ბრძოლისაკენ პარტიულ ყრილობაზე. თუ ეს ცნობები სინამდვილეს შეეფერება, ჩემ მოვალეობად მიმაჩნია განგიცხადოთ შემდეგი.

მოსკოვის კონფერენციაზე მიღებულ იქნა პრინციპული რეზოლუცია პრინციპულ საკითხებზე. როგორც მოსკოვის კონფერენციაზე, ისე რაიონულ კონფერენციებზე წარმოთქმული სიტყვების სტენოგრამებიდან, ისევე როგორც ზემოხსენებული რეზოლუციიდან, ძნელი არ არის დარწმუნდეთ, რომ მოსკოვში არავის არ უფიქრია არც ლენინგრადის ორგანიზაციის დისკრედიტაცია, არც მასთან ბრძოლისაკენ მოწოდება. ამის გამო შემაშფოთებლად მიმაჩნია სარქისის, საფაროვის და სხვათა გამოსვლები, რაც დაიწყო ჯერ კიდევ რაიონულ კონფერენციებზე და გაგრძელდა

თქვენს საგუბერნიო კონფერენციაზე. და განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიმაჩნია უკანასკნელ დღეებში ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლა თქვენს კონფერენციაზე სიტყვებით, რომლებიც მოუწოდებენ აშკარა ბრძოლისაკენ პარტიულ ყრილობაზე. ახლანდელ პირობებში ლენინელთა ერთიანობა, — თუნდაც მათ შორის აზრთა ერთგვარი სხვადასხვაობა იყოს ცალკეულ საკითხებზე, — უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე. თუ თქვენი მტკიცე სურვილი იქნება, ლენინელთა ერთიანობა შეიძლება არა მარტო შენარჩუნებულ, არამედ აგრეთვე განმტკიცებულ იქნას. ლენინგრადის ორგანიზაცია ჩვენი პარტიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია და ასეთად უნდა დარჩეს.

ჩემ მოვალეობად მიმაჩნია ყოველივე ამის შესახებ გაცნობოთ როგორც თქვენი კონფერენციის პრეზიდიუმის წევრმა.

ლენინგრადის ორგანიზაციის კონფერენციის
პრეზიდიუმის წევრი

ი. სტალინი

1925 წ. 8 დეკემბერი.

ჟურნალი «კრასნაია ლეტოპის» № 1 (58), 1934 წ.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობა[50]

1925 წ. 18 — 31 დეკემბერი

«პრავდა» №№ 291, 292 და 296;
1925 წ. 20, 22 და 29 დეკემბერი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში

18 დეკემბერი

ამხანაგებო! უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში თქვენ შესაძლებლობა გქონდათ მოგესმინათ ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი წევრებისა და პოლიტბიუროს წევრების მოხსენებანი ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ XIII ყრილობიდან XIV ყრილობამდე, ვრცელი მოხსენებანი, რომლებიც ძირითადად უთუოდ სწორია. მგონია, აზრი არ ექნებოდა ამ მოხსენებათა გამეორებას. ვფიქრობ, რომ ეს გარემოება მიმსუბუქებს მუშაობას ამ მომენტში, და ამის გამო მიზანშეწონილად მიმაჩნია დავჯერდე მთელი რიგი საკითხების დაყენებას, რომლებიც ეხებიან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას XIII ყრილობიდან XIV ყრილობამდე.

ცენტრალური კომიტეტის ანგარიში ჩვეულებრივ საგარეო მდგომარეობით იწყება. არ დავარღვევ ამ ჩვეულებას. მეც საგარეო მდგომარეობით დავიწყებ.

I

საერთაშორისო მდგომარეობა

საგარეო ურთიერთობის დარგში ძირითადი და ახალი, გადამწყვეტი და ყველა მოვლენის დამახასიათებელი ამ პერიოდში ის არის, რომ სოციალიზმის მშენებლობის ჩვენს

ქვეყანასა და კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებს შორის დამყარდა ძალთა ერთგვარი დროებითი წონასწორობა, — წონასწორობა, რომელმაც განსაზღვრა მიმდინარე ხანა საბჭოების ქვეყანასა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის «მშვიდობიანი თანაცხოვრებისა». ის, რაც ერთ დროს მიგვაჩნდა ხანმოკლე შესვენებად ომის შემდეგ, გადაიქცა შესვენების მთელ პერიოდად. აქედან წარმოსდგება ძალთა ერთგვარი წონასწორობა და ბურჟუაზიის სამყაროსა და პროლეტარიატის სამყაროს შორის «მშვიდობიანი თანაცხოვრების» გარკვეული პერიოდი.

ყოველივე ამას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, მსოფლიო კაპიტალიზმის შინაგანი სისუსტე, სისუსტე და უძლურება და, მეორე მხრივ, საერთოდ მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდა, განსაკუთრებით ძალების ზრდა ჩვენში, საბჭოების ქვეყანაში.

რა უდევს საფუძვლად კაპიტალისტური სამყაროს ამ სისუსტეს?

ამ სისუსტეს საფუძვლად უდევს კაპიტალიზმისათვის დაუძლეველი ის წინააღმდეგობანი, რომელთა ჩარჩოებში ყალიბდება მთელი საერთაშორისო მდგომარეობა, — წინააღმდეგობანი, რომლებიც დაუძლეველია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის და რომლებიც შეიძლება დაძლეულ იქნან მხოლოდ დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის განვითარების მსვლელობაში.

რა წინააღმდეგობანია ესენი? ისინი შეგვიძლია ხუთი ჯგუფით განვსაზღვროთ.

წინააღმდეგობათა პირველი ჯგუფი — ეს არის წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფი — ეს არის წინააღმდეგობანი იმპერიალიზმსა და კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის.

წინააღმდეგობათა მესამე ჯგუფი — ეს არის წინააღმდეგობანი, რომლებიც ვითარდებიან და არ შეიძლება არ ვითარდებოდნენ იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებსა და დამარცხებულ სახელმწიფოებს შორის.

წინააღმდეგობათა მეოთხე ჯგუფი — ეს არის წინააღმდეგობანი, რომლებიც ვითარდებიან და არ შეიძლება არ ვითარდებოდნენ თვით გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის.

და წინააღმდეგობათა მეხუთე ჯგუფი — ეს არის წინააღმდეგობანი, რომლებიც ვითარდებიან საბჭოების ქვეყანასა და მთლიანად კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის.

აი წინააღმდეგობათა ის ხუთი ძირითადი ჯგუფი, რომელთა ჩარჩოებში მიმდინარეობს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განვითარება.

ამხანაგებო, თუ მოკლედ არ განვიხილავთ ამ წინააღმდეგობათა ბუნებასა და ზრდას, ვერ მივხვდებით ჩვენი ქვეყნის ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას. ამიტომ ამ წინააღმდეგობათა მოკლე მიმოხილვამ აუცილებლად უნდა შეადგინოს ჩემი ანგარიშის ნაწილი.

1. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია

მაშ ასე, დავიწყოთ პირველი ჯგუფის წინააღმდეგობებით, — კაპიტალიზმის ქვეყნებში პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არსებული წინააღმდეგობებით. ამ დარგში ძირითადი ფაქტები შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგით.

პირველი. კაპიტალიზმი წარმოებასა, ვაჭრობასა და ფინანსების დარგში არსებული იმ ქაოსიდან, რომელიც ომის

შემდეგ დადგა და რომელშიც კაპიტალიზმი აღმოჩნდა, ამ ქაოსიდან გამოდის ან უკვე გამოვიდა. პარტიამ ამას კაპიტალიზმის ნაწილობრივი ანუ დროებითი სტაბილიზაცია უწოდა. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების წარმოებამ და ვაჭრობამ, რომლებიც ერთ დროს ძლიერ დაეცნენ ომისშემდგომი კრიზისის პერიოდში (მხედველობაში მაქვს 1919 — 1920 წლები), წინსვლა იწყეს, ხოლო ბურჟუაზიის პოლიტიკურმა ძალაუფლებამ ცოტად თუ ბევრად განმტკიცება იწყო. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალიზმმა დროებით დააღწია თავი იმ ქაოსს, რომელშიც იგი ომის შემდეგ აღმოჩნდა.

აი ციფრები, თუ ევროპას ავიღებთ.

ევროპის ყველა მოწინავე ქვეყანაში წარმოება ან წინ მიდის 1919 წელთან შედარებით, იზრდება, ადგილ-ადგილ ომამდელი ნორმის 80 — 90%-ს აღწევს, ან ერთ ნორმაზე დგას. მხოლოდ ინგლისში წარმოების ზოგიერთი დარგი ჯერ კიდევ ვერ გამოსწორებულა. ძირითადად, თუ მთელ ევროპას ავიღებთ, წარმოება და ვაჭრობა წინ მიდიან, თუმცა ჯერ კიდევ ვერ აღწევენ ომამდელ ნორმას. თუ ავიღებთ პურის წარმოებას, ინგლისში გვაქვს ომამდელი ნორმის 80 — 85%, საფრანგეთში — 83%, გერმანიაში — 68%. ძალიან ნელა ვითარდება პურის წარმოება გერმანიაში. საფრანგეთში იგი არ მატულობს, ინგლისში ეცემა. ყოველივე ამას ანაზღაურებენ ამერიკიდან შეტანილი პურით. ქვანახშირის ამოღება 1925 წელს ინგლისში შეადგენს ომამდელი ნორმის 90%-ს, საფრანგეთში — ომამდელი ნორმის 107%-ს, გერმანიაში — 93%-ს. ინგლისში ფოლადის წარმოება შეადგენს ომამდელი ნორმის 98%-ს, საფრანგეთში — 102%-ს, გერმანიაში — 78%-ს. ინგლისში ბამბის მოხმარება უდრის ომამდელი ნორმის 82%-ს, საფრანგეთში — 83%-ს, გერმანიაში — 81%-ს. ინგლისში საგარეო

ვაჭრობას პასიური სალდო აქვს და ომამდელის მიმართ იგი 94%-ს აღწევს, გერმანიაში ცოტათი იზრდება 1919 წელთან შედარებით და აგრეთვე პასიური სალდო აქვს, საფრანგეთში იგი ამჟამად ომამდელ ნორმაზე მაღალია — 102%. ევროპის მთელი ვაჭრობის დონე, თუ 1921 წელს ავიღებთ, შეადგენდა ომამდელი ნორმის 63%-ს, ახლა კი, 1925 წელს, ვაჭრობამ იმავე ნორმის 82%-ს მიაღწია. ამ სახელმწიფოებში ბიუჯეტები ასე თუ ისე ბალანსდება, მაგრამ ბალანსდება გადასახადებით მოსახლეობის საშინელი დატვირთვის ხარჯზე. ცალკეულ ქვეყნებში ადგილი აქვს ვალუტის მერყეობას, მაგრამ საერთოდ წინანდელი ქაოსი აღარ არის.

საერთოდ სურათი ისეთია, რომ ევროპის ომისშემდგომი სამეურნეო კრიზისი მთავრდება, წარმოება და ვაჭრობა ომამდელ ნორმას უახლოვდებიან. ევროპის ერთ-ერთმა ქვეყანამ, საფრანგეთმა, ვაჭრობისა და წარმოების დარგში უკვე გადააბიჯა ომამდელ ნორმას, ხოლო ევროპის მეორე ქვეყანა — მე ვლაპარაკობ ინგლისის შესახებ — ჯერ კიდევ ერთ ან თითქმის ერთ დონეზე იმყოფება და ვერ აღწევს ომამდელ ნორმას.

მეორე. რევოლუციური ტალღების მოზღვავების პერიოდის ნაცვლად, რომელსაც ომისშემდგომი კრიზისის წლებში ვხედავდით, ახლა ევროპაში ჩვენ ვხედავთ უკუქცევის პერიოდს. ეს ნიშნავს, რომ ევროპაში ახლა დღის წესრიგში არა დგას პროლეტარიატის მიერ დღეს თუ ხვალ ძალაუფლების აღების, ძალაუფლების დაპყრობის საკითხი. რევოლუციური ტალღების აზვირთების პერიოდი, როცა მოძრაობა წინ მიდის, მაღლა იწევს, ხოლო პარტია თავისი ლოზუნგებით ვერ მიჰყვება მოძრაობას, როგორც ეს იყო, მაგალითად, ჩვენში 1905 ან 1917 წელს, — აზვირთების ეს პერიოდი ჯერ კიდევ წინ

არის. მაგრამ ეს პერიოდი ახლა არ არის, არამედ არის რევოლუციური ტალღების დროებითი უკუქცევის პერიოდი, პროლეტარიატის მიერ ძალების მოკრების პერიოდი, რომელიც დიდ შედეგებს იძლევა მოძრაობის ახალი ფორმების დასახვის აზრით, პროფმოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლის დროშით მასობრივი მოძრაობის არსებობისა და ზრდის აზრით, საბჭოთა კავშირის მუშათა მოძრაობასთან დასავლეთის მუშათა მოძრაობის კავშირის დამყარებისა და განმტკიცების აზრით, მაგალითად, ინგლისის მუშათა მოძრაობის გამემარცხენების აზრით, ამსტერდამის დაშლის, მისი ღრმად გაბზარვის აზრით და სხვ. და სხვ. ვიმეორებ, ჩვენ განვიცდით ძალების დაგროვების პერიოდს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი რევოლუციური გამოსვლებისათვის. ეს ის პერიოდია, როცა კომუნისტური მოძრაობის ლოზუნგად ხდება პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციების (პროფკავშირების და სხვ.) დაუფლება და სოციალ-დემოკრატი ლიდერების «მოხსნა პოსტებიდან», როგორც ეს ჩვენში 1911 — 1912 წლებში იყო.

მესამე. კაპიტალისტური სამყაროს ფინანსური ძლიერების ცენტრმა, მთელი მსოფლიოს ფინანსური ექსპლოატაციის ცენტრმა ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლა. წინათ მსოფლიოს ფინანსური ექსპლოატაციის ცენტრი ჩვეულებრივ იყვნენ საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი. ახლა ეს აღარ შეიძლება ითქვას, თუ ამას განსაკუთრებულ შენიშვნებს არ დავურთავთ. ახლა მსოფლიოს ფინანსური ექსპლოატაციის ცენტრი, უმთავრესად, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებია. ეს სახელმწიფო ყოველი მიმართულებით იზრდება: წარმოების აზრითაც, ვაჭრობის აზრითაც, დაგროვების აზრითაც. მოვიყვან რამდენიმე ციფრს. ჩრდილოეთ ამერიკაში პურის პროდუქციამ ომამდელ დონეს გადააჭარბა: ახლა იგი უდრის 104%-ს ამ დო-

ნის მიმართ. ქვანახშირის ამოღებამ ომამდელი ნორმის 90%-ს მიაღწია, მაგრამ დანაკლისის კომპენსაცია ხდება ნავთის ამოღების დიდი ზრდით. უნდა ითქვას კი, რომ ამერიკაში ნავთის ამოღება მსოფლიო ამოღების 70%-ს უდრის. ფოლადის წარმოება გაიზარდა 147%-მდე — ომამდელ ნორმასთან შედარებით 47%-ით. სახალხო შემოსავალი ომამდელი შემოსავლის 130%-ს უდრის — 30%-ით აღემატება ომამდელ დონეს. საგარეო ვაჭრობამ ომამდელი ნორმის 143%-ს მიაღწია უდიდესი აქტიური სალდოთი ევროპის ქვეყნების ხარჯზე. ოქროს მთელი მსოფლიო მარაგიდან — 9 მილიარდიდან — დაახლოებით 5 მილიარდი ამერიკაშია. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ვალუტა ყველაზე მტკიცე ვალუტაა. რაც შეეხება კაპიტალების გატანას, ამერიკა ამჟამად თითქმის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სულ უფრო მზარდი პროპორციით გააქვს კაპიტალი. საფრანგეთსა და გერმანიას ძალიან ცოტა გააქვთ. ინგლისმაც მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი კაპიტალების გატანა.

მეოთხე. ევროპის კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე, მიღწეულია უმთავრესად ამერიკის კაპიტალის შემწეობით და ფინანსური მხრივ ამერიკისადმი დასავლეთ ევროპის დამორჩილების ფასად. ეს რომ დავამტკიცოთ, საკმარისია მხოლოდ მოვიყვანოთ ამერიკისადმი ევროპის სახელმწიფო დავალიანების ციფრი. ეს ციფრი სულ მცირე 26 მილიარდ მანეთს შეადგენს. აღარას ვამბობ ამერიკისადმი კერძო დავალიანებაზე, ე. ი. ევროპის საწარმოებში ამერიკის მიერ დაბანდებულ თანხებზე, რაც ევროპისათვის რამდენიმე მილიარდს შეადგენს. რას მოწმობს ეს? — ეს მოწმობს იმას, რომ ევროპა ცოტად თუ ბევრად ფეხზე დგება ამერიკიდან (ნაწილობრივ ინგლისიდან) კაპიტალების შეტანის

ხარჯზე. რის ფასად? — ფინანსური მხრივ ამერიკისადმი ევროპის დამორჩილების ფასად.

მეხუთე. ამიტომ ევროპა, პროცენტებისა და ვალების გადახდის შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, იძულებულია გააღიდოს მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი, გააუარესოს მუშების მდგომარეობა. სწორედ ეს ხდება ახლა ევროპის ქვეყნებში. უკვე ახლა, როცა ვალებისა და პროცენტების გადახდა წესიერად ჯერ კიდევ არ დაწყებულა, უკვე ახლა ინგლისში, მაგალითად, საგადასახადო ტვირთის ზრდამ მთელი სახალხო შემოსავლის მიმართ პროცენტობით მიაღწია 11%-დან (1913 წელს) 23%-მდე 1924 წელს, საფრანგეთში — ნაციონალური შემოსავლის 13%-დან 21%-მდე, იტალიაში — 13%-დან 19%-მდე. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ უახლოესსავე მომავალში საგადასახადო ტვირთი კიდევ უფრო გაიზრდება. ამის გამო ევროპის მშრომელთა და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა აუცილებლად გაუარესდება, ხოლო მუშათა კლასი — გარდუვალად გარევოლუციურდება. ამ გარევოლუციურების სიმპტომები უკვე არის როგორც ინგლისში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში. მე მხედველობაში მაქვს ევროპის მუშათა კლასის გარკვეული გამემარცხენება.

ასეთია ძირითადი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია, რასაც ევროპამ მიაღწია, დამპალი, დამპალ ნიადაგზე აღმოცენებული სტაბილიზაციაა.

სავსებით შესაძლებელია — მე ეს გამორიცხულად არ მიმაჩნია, — რომ წარმოებამ და ვაჭრობამ ევროპაში შეიძლება ომამდელ დონესაც მიაღწიონ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ამით მიაღწევს იმ სიმტკიცეს, რაც მას ომამდე ჰქონდა. ისეთ სიმტკიცეს იგი საერთოდ ვერასოდეს ვეღარ მიაღწევს. რატომ? იმიტომ, რომ, ჯერ-

ერთი, ევროპამ თავისი დროებითი სტაბილიზაცია იყიდა ფინანსური მხრივ ამერიკისადმი დამორჩილების ფასად, რაც იწვევს საგადასახადო ტვირთის კოლოსალურ ზრდას, მუშების მდგომარეობის გარდუვალ გაუარესებას და ევროპის ქვეყნების გარევოლუციურებას; მეორეც, იმიტომ, რომ არის მთელი რიგი სხვა მიზეზები, რომლებზეც ქვემოთ ვილაპარაკებ და რომლებიც ახლანდელ სტაბილიზაციას არამტკიცე, არამყარ სტაბილიზაციად ხდიან.

საერთო დასკვნა, თუ შევაჯამებთ ყოველივეს, რაზედაც ახლა ვილაპარაკე პირველი ჯგუფის წინააღმდეგობათა ანალიზის მხრივ, — საერთო დასკვნა ის არის, რომ მსოფლიოს მთავარი ექსპლოატატორი სახელმწიფოების წრე ომამდელ პერიოდთან შედარებით უკანასკნელ ზომამდე შემცირდა. წინათ მთავარი ექსპლოატატორები იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ნაწილობრივ ამერიკა, ახლა ეს წრე უკანასკნელ ზომამდე შემცირდა. ახლა მსოფლიოს ძირითადი ფინანსური ექსპლოატატორები და, მაშასადამე, მისი ძირითადი კრედიტორები არიან ჩრდილოეთი ამერიკა და ნაწილობრივ მისი თანაშემწე — ინგლისი.

ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ევროპა კოლონიის მდგომარეობაზე გადავიდა. ევროპის ქვეყნები, რომლებიც თავიანთი კოლონიების ექსპლოატაციას განაგრძობენ, ახლა ფინანსური მხრივ თვითონ მოჰყვნენ ამერიკისადმი მორჩილებაში, რის გამო მათ, თავის მხრივ, ექსპლოატაციას უწევს და გაუწევს ამერიკა. ამ აზრით წრე მთავარი სახელმწიფოებისა, რომლებიც ფინანსური მხრივ მსოფლიოს ექსპლოატაციას ეწევიან, მინიმუმამდე შემცირდა, მაშინ როდესაც ექსპლოატირებული ქვეყნების წრე გაფართოვდა.

ეს არის კაპიტალიზმის ახლანდელი სტაბილიზაციის უმყარობისა და შინაგანი უძლურების ერთ-ერთი მიზეზი.

2. იმპერიალიზმი, კოლონიები და ნახევრად-კოლონიები

გადავიდეთ მეორე ჯგუფის წინააღმდეგობებზე — იმპერიალისტურ ქვეყნებსა და კოლონიურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე.

ამ დარგში ძირითადი ფაქტებია: კოლონიებში მრეწველობისა და პროლეტარიატის განვითარება და ზრდა, განსაკუთრებით ომის დროს და მის შემდეგ; საერთოდ კულტურულობისა და კერძოდ ნაციონალური ინტელიგენციის ზრდა ამ ქვეყნებში; კოლონიებში ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ზრდა და საერთოდ იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის კრიზისი; ინდოეთისა და ეგვიპტის განმათავისუფლებელი ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ; სირიისა და მაროკოს განმათავისუფლებელი ომი საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ; ჩინეთის განმათავისუფლებელი ბრძოლა ინგლის-იაპონია-ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სხვ.; მუშათა მოძრაობის ზრდა ინდოეთში, ჩინეთში და ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაში ამ ქვეყნების მუშათა კლასის მზარდი როლი.

აქედან გამომდინარეობს, რომ დიდი სახელმწიფოები თავიანთი ძირითადი ზურგის, ე. ი. კოლონიების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია აქ ორივე ფეხით კოჭლობს, ვინაიდან ჩაგრული ქვეყნების რევოლუციური მოძრაობა, რომელიც თანდათანობით იზრდება, ადგილ-ადგილ უკვე იღებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ პირდაპირი ომის ფორმას (მაროკო, სირია, ჩინეთი), ხოლო იმპერიალიზმი აშკარად ვერ ართმევს თავს «თავისი» კოლონიების ალაგმვის ამოცანას.

ამბობენ — განსაკუთრებით ბურჟუაზიული მწერლები, — კოლონიებში კრიზისის ზრდა ბოლშევიკების ბრა-

ლიაო. უნდა ვთქვა, მეტად დიდ პატივს გვდებენ, ამას რომ გვაბრალებენ. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ ისე ძლიერნი, რომ უშუალოდ დავეხმაროთ ყველა კოლონიურ ქვეყანას მათი განთავისუფლების საქმეში. მიზეზი უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ. მიზეზი, ყოველივე დანარჩენის გარდა, ის არის, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც ვალდებული არიან ამერიკას პროცენტები უხადონ, იძულებული არიან გააძლიერონ ჩაგვრა და ექსპლოატაცია კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ამ ქვეყნებში კრიზისისა და რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება.

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ამ დარგში მსოფლიო იმპერიალიზმის საქმე ცუდზე ცუდად არის. თუ იქ, პირველი ჯგუფის წინააღმდეგობათა დარგში, ევროპის კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია მოხდა და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დღეს თუ ხვალ დაპყრობის საკითხი ჯერჯერობით არა დგას, კოლონიებში კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია და მთელი რიგი კოლონიებიდან იმპერიალისტთა განდევნის საკითხი დღის წესრიგში დგას.

3. გამარჯვებულნი და დამარცხებულნი

გადავდივარ მესამე ჯგუფის წინააღმდეგობებზე, რომლებიც გამარჯვებულ ქვეყნებსა და დამარცხებულ ქვეყნებს შორის არსებობენ.

ამ დარგში ძირითადი ფაქტები შემდეგია. ჯერ-ერთი, ვერსალის ზავის შემდეგ ევროპა გათიშული აღმოჩნდა ორ ბანაკად — დამარცხებულთა ბანაკად (გერმანია, ავსტრია და სხვა ქვეყნები) და გამარჯვებულთა ბანაკად (ანტანტა პლუს ამერიკა). მეორეც, საჭიროა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამარჯვებულებმა, რომლებიც წინათ ცდილობდნენ

ოკუპაციის გზით დაეხრჩოთ დამარცხებული ქვეყნები (გაგახსენებთ რურის შესახებ), ხელი აიღეს ამ საშუალებაზე და გადავიდნენ სხვა მეთოდზე, ფინანსური ექსპლოატაციის — პირველ რიგში გერმანიის და მეორე რიგში ავსტრიის ექსპლოატაციის — მეთოდზე. ამ ახალი მეთოდის გამოხატულებაა დაუესის გეგმა, რომლის უარყოფითი შედეგები მხოლოდ ახლა იჩენენ თავს. მესამეც, ლოკარნოს კონფერენციას [51], რომელმაც თითქოს მოსპო გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის არსებული ყველა წინააღმდეგობა, ნამდვილად, ამ საკითხის გარშემო ატეხილი ხმაურის მიუხედავად, ფაქტიურად არაფერი, არავითარი წინააღმდეგობანი არ მოუსპია, — ამ კონფერენციამ მხოლოდ გაამწვავა ისინი.

დაუესის გეგმის აზრი ის არის, რომ გერმანიამ ანტანტას სხვადასხვა ვადაში უნდა გადაუხადოს არც მეტი, არც ნაკლები — 130 მილიარდამდე ოქროს მარკა. დაუესის გეგმის შედეგები უკვე იჩენენ თავს გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების აზრით, საწარმოთა მთელი ჯგუფის მრავალი კრახის აზრით, უმუშევრობის ზრდის აზრით და სხვ. ამერიკაში შედგენილი დაუესის გეგმა ასეთია: ევროპა ამერიკას ვალებს უხდის გერმანიის ხარჯზე, რომელიც მოვალეა გადაუხადოს ევროპას რეპარაციები, მაგრამ ვინაიდან გერმანიას არ შეუძლია მთელი ეს თანხა ამოქაჩოს ცარიელი ადგილიდან, ამიტომ გერმანიამ უნდა მიიღოს სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ჯერ კიდევ დაუკავებელი მთელი რიგი თავისუფალი ბაზრები, საიდანაც მას შეეძლება შეიმატოს ახალი ძალები და ახალი სისხლი სარეპარაციო გადასახდელების გასასტუმრებლად. მთელ რიგ უმნიშვნელო ბაზრებს გარდა, ამერიკას აქ მხედველობაში აქვს ჩვენი რუსეთის ბაზრები. ეს ბაზრები, დაუესის გეგმის მიხედვით, გერმანიას უნდა მიე-

ცეს იმისათვის, რომ მან შესძლოს გამოწუროს რაიმე და ამ წყაროს გამოყენებით გადაუხადოს სარეპარაციო გადასახდელები ევროპას, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა უხადოს ამერიკას სახელმწიფო დავალიანების ხაზით. მთელი ეს გეგმა კარგად არის აგებული, მაგრამ აგებულია პატრონის დაუკითხავად, იმიტომ რომ გერმანელი ხალხისათვის იგი ნიშნავს ორმაგ წნეხს — გერმანიის ბურჟუაზიის წნეხს გერმანიის პროლეტარიატის მიმართ და უცხოეთის კაპიტალის წნეხს მთელი გერმანელი ხალხის მიმართ. იმის თქმა, რომ ეს ორმაგი წნეხი უშედეგო იქნება გერმანელი ხალხისათვის, — შეცდომის დაშვებას ნიშნავს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ამ ნაწილში დაუესის გეგმას უნდა მოჰყვეს გარდუვალი რევოლუცია გერმანიაში. იგი შექმნილია გერმანიის დასაშოშმინებლად, მაგრამ მან, დაუესის გეგმამ, გარდუვალად უნდა გამოიწვიოს რევოლუცია გერმანიაში. ამ გეგმის მეორე ნაწილიც, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ გერმანიამ ევროპისათვის გროშები უნდა ამოჭაჩოს რუსეთის ბაზრების ხარჯზე, პატრონის დაუკითხავად მიღებული გადაწყვეტილებაა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ სრულებითაც არ გვინდა გადავიქცეთ აგრარულ ქვეყნად რომელიმე სხვა ქვეყნისათვის, მათ შორის გერმანიისათვის. ჩვენ თვითონ დავამზადებთ მანქანებს და წარმოების სხვა საშუალებებს. ამიტომ იმის ვარაუდი, რომ ჩვენ დავთანხმდებით გადავაქციოთ ჩვენი სამშობლო აგრარულ ქვეყნად გერმანიისათვის, — პატრონის დაუკითხავად ვარაუდს ნიშნავს. ამ ნაწილში დაუესის გეგმა თიხის ფეხებზე დგას.

რაც შეეხება ლოკარნოს, იგი მხოლოდ განგრძობაა ვერსალისა, და მას შეიძლება მიზნად ჰქონდეს, როგორც დიპლომატიურ ენაზე ამბობენ, მხოლოდ «სტატუს ქვოს» შენარჩუნება, ე. ი. შენარჩუნება არსებული მდგომარეობისა,

რომლის ძალითაც გერმანია დამარცხებული ქვეყანაა, ხოლო ანტანტა — გამარჯვებული. ლოკარნოს კონფერენცია ამ მდგომარეობას იურიდიულად განამტკიცებს იმ აზრით, რომ გერმანიის ახალი საზღვრები რჩება პოლონეთის სასარგებლოდ, რჩება საფრანგეთის სასარგებლოდ, რომ გერმანია კარგავს კოლონიებს და რომ ამასთან ერთად მან, შებოჭილმა და პროკრუსტეს სარეცელზე მოთავსებულმა, ყველა ღონისძიება უნდა მიიღოს, რომ 130 მილიარდი ოქროს მარკა ამოქაჩოს. იმის ფიქრი, რომ გერმანია, რომელიც იზრდება და წინ მიდის, შეურიგდება ამ მდგომარეობას, სასწაულზე იმედის დამყარებას ნიშნავს. თუ წინათ, საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ, ელზას-ლორენის საკითხი, მაშინ არსებულ წინააღმდეგობათა ერთ-ერთი კვანძი, იმპერიალისტური ომის ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული მიზეზი გახდა, რა გარანტიაა, რომ ვერსალის ზავი და მისი გაგრძელება — ლოკარნო, რომლებიც აკანონებენ და იურიდიულად განამტკიცებენ გერმანიის მიერ სილეზიის, დანციგის კორიდორისა და დანციგის დაკარგვას, უკრაინის მიერ გალიციისა და დასავლეთ ვოლინის დაკარგვას, ბელორუსიის მიერ მისი დასავლეთი ნაწილის დაკარგვას, ლიტვის მიერ ვილნოს დაკარგვას და სხვ., — რა გარანტიაა, რომ ეს ხელშეკრულება, რომელმაც მთელი რიგი სახელმწიფოები დააჩუცმაცა და წინააღმდეგობათა მთელი რიგი კვანძები შექმნა, — არ გაიზიარებს ბედს საფრანგეთ-პრუსიის ძველი ხელშეკრულებისას, რომელმაც საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ საფრანგეთს ელზას-ლორენი წაართვა?

ასეთი გარანტია არ არის და არც შეიძლება იყოს.

თუ დაუესის გეგმამ უნდა გამოიწვიოს რევოლუცია გერმანიაში, ლოკარნომ უნდა გამოიწვიოს ახალი ომი ევროპაში.

ინგლისელი კონსერვატორები ფიქრობენ «სტატუს ქვოც» შეინარჩუნონ გერმანიის წინააღმდეგ და გერმანიაც გამოიყენონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მეტისმეტად ბევრი რამ ხომ არ მოუნდომებიათ მათ?

ლაპარაკობენ პაციფიზმზე, ლაპარაკობენ მშვიდობიანობაზე ევროპის სახელმწიფოებს შორის. ბრიანი და ჩემბერლენი ერთმანეთს ეამბორებიან, შტრეზემანი ქათინაურებს უძღვნის ინგლისს. ყოველივე ამას მნიშვნელობა არა აქვს. ევროპის ისტორიიდან ვიცით, რომ ყოველთვის, როცა დაიდებოდა ხელშეკრულებანი ახალი ომისათვის ძალების განლაგების შესახებ, მათ, ამ ხელშეკრულებებს, სამშვიდობოს უწოდებდნენ. დაიდებოდა ხოლმე ხელშეკრულებანი, რომლებიც მომავალი ომის ელემენტებს განსაზღვრავდნენ, და ასეთ ხელშეკრულებათა დადებას მუდამ თან ახლდა ხმაური და ყვირილი მშვიდობიანობის შესახებ. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის გამოჩნდებოდნენ ხოლმე მშვიდობიანობის ყალბი მეხოტბენი. მაგონდება ფაქტები ისტორიიდან საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ, როცა გერმანია გამარჯვებული აღმოჩნდა, როცა საფრანგეთი დამარცხებული აღმოჩნდა, როცა ბისმარკი ყოველნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა «სტატუს ქვო», ე. ი. ის მდგომარეობა, რომელიც საფრანგეთთან გერმანიის ძლევამოსილი ომის შემდეგ შეიქმნა. მაშინ ბისმარკი მშვიდობიანობას ემხრობოდა, იმიტომ რომ ეს მშვიდობიანობა მას მთელ რიგ პრივილეგიებს აძლევდა საფრანგეთის წინაშე. საფრანგეთიც მშვიდობიანობას ემხრობოდა, ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში, ვიდრე ჯერ კიდევ წელში არ გამართულიყო მარცხით დამთავრებული ომის შემდეგ. აი ამ პერიოდში, როცა ყველა მშვიდობიანობაზე ლაპარაკობდა, ხოლო ყალბი მეხოტბენი ქებას ასხამდნენ ბისმარკის მშვიდობიან განზრახვებს, გერმანიამ და ავსტრიამ დასდეს შეთანხმება, სავსებით მშვი-

დობიანი და სავსებით პაციფისტური შეთანხმება, რომელიც შემდეგ მომავალი იმპერიალისტური ომის ერთ-ერთი საფუძველი გახდა. მე ვლაპარაკობ ავსტრიისა და გერმანიის 1879 წლის შეთანხმებაზე. ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს შეთანხმება? რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. რა იყო ნათქვამი ამ შეთანხმებაში? მოისმინეთ:

«რამდენადაც გერმანიისა და ავსტრიის მჭიდრო თანამშრომლობა არავის არ უქადის საფრთხეს და ნავარაუდევია ევროპაში მშვიდობიანობის განსამტკიცებლად ბერლინის ტრაქტატით დადგენილ საფუძვლებზე, მათმა უდიდებულესობებმა, ე. ი. ორმა ხელმწიფემ, გადაწყვიტეს დასდონ სამშვიდობო კავშირი და ურთიერთშეთანხმება».

გესმით: გერმანიისა და ავსტრიის მჭიდრო თანამშრომლობა **ევროპაში მშვიდობიანობისათვის.** ამ შეთანხმებას განმარტავდნენ როგორც «სამშვიდობო კავშირს», ყველა ისტორიკოსი კი იმ ერთ აზრს ადგას, რომ ეს შეთანხმება პირდაპირი მომზადება იყო 1914 წლის იმპერიალისტური ომისათვის. ევროპაში მშვიდობიანობის შესახებ, ნამდვილად კი ევროპაში ომის შესახებ დადებული ამ შეთანხმების შედეგი იყო მეორე შეთანხმება, რუსეთისა და საფრანგეთის 1891 — 1893 წლების შეთანხმება, — ისიც მშვიდობიანობის შესახებ, — რაღა თქმა უნდა! რაზეა იქ ლაპარაკი? იმაზე, რომ

«საფრანგეთმა და რუსეთმა, მშვიდობიანობის დაცვისადმი თანაბარი მისწრაფებით გამსჭვალულებმა, მიაღწიეს შემდეგ შეთანხმებას».

რის შესახებ — ეს მაშინ **აშკარად** არც ყოფილა ნათქვამი. შეთანხმების საიდუმლო ტექსტში კი ნათქვამია: ომის შემთხვევაში რუსეთმა გერმანიის წინააღმდეგ უნდა გამოიყვანოს 700-ათასიანი ჯარი, ხოლო საფრანგეთმა (მგონია) 1 300-ათასიანი.

ორივე ამ შეთანხმებას ოფიციალურად ეწოდებოდა მთელ ევროპაში მშვიდობიანობის, მეგობრობისა და სიწყნარის შეთანხმებანი.

ყოველივე ამის დასასრულს 6 წლის შემდეგ, 1899 წელს, იკრიბება ჰააგის სამშვიდობო კონფერენცია, სადაც ისმება საკითხი შეიარაღების შემცირების შესახებ. ეს იმ მომენტში, როცა საფრანგეთისა და რუსეთის შეთანხმების საფუძველზე საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცრები რუსეთში ჩამოდიან, რათა შეიმუშაონ ჯარების გადაყვანა-გადმოყვანის გეგმები ომის შემთხვევისათვის, ხოლო რუსეთის გენერალური შტაბის ოფიცრები საფრანგეთში მიდიან, რათა ფრანგ გენერლებთან ერთად შეადგინონ გერმანიის წინააღმდეგ მომავალი საომარი ოპერაციების გეგმები. ეს იმ დროს, როცა გერმანიისა და ავსტრიის გენერალური შტაბები ადგენენ გეგმას და იმუშავებენ პირობებს, რომლებშიც ავსტრიამ და გერმანიამ ერთად უნდა შეუტიონ თავიანთ მეზობლებს დასავლეთითა და აღმოსავლეთით. სწორედ ამ მომენტში (ყველაფერი ეს კეთდება, რა თქმა უნდა, ჩუმჩუმად, ზურგს უკან) 1899 წელს იკრიბება ჰააგის კონფერენცია, სადაც აცხადებენ მშვიდობას, სადაც სტეხენ ყალბ ხმაურს შეიარაღების შემცირების შესახებ.

აი ნიმუში ბურჟუაზიული დიპლომატიის უმაგალითო პირმოთნეობისა, როცა მშვიდობის შესახებ ხმაურითა და გალობით ცდილობენ მიიჩქმალონ ახალი ომისათვის მზადების საქმე.

განა ამის შემდეგ საფუძველი გვაქვს დავუჯეროთ გალობას ერთა ლიგისა და ლოკარნოს შესახებ? რა თქმა უნდა, არა გვაქვს. აი რატომ არ შეგვიძლია დავუჯეროთ არც ჩემბერლენსა და ბრიანს, როცა ისინი ერთმანეთს ეამბორებიან, არც შტრეზემანს, როცა იგი ქათინაურებს აბნევს.

აი რატომ ვფიქრობთ, რომ ლოკარნო არის გეგმა ძალების განაწილებისა ახალი ომისათვის და არა მშვიდობიანობისათვის.

საინტერესოა II ინტერნაციონალის როლი ამ საკითხში. ყველაზე მეტად ხომ II ინტერნაციონალის ბელადები ხტიან და თამაშობენ, არწმუნებენ რა მუშებს, რომ ლოკარნო მშვიდობის იარაღია, ხოლო ერთა ლიგა — მშვიდობის კიდობანი, რომ ბოლშევიკებს ერთა ლიგაში შესვლა არ უნდათ იმიტომ, რომ ისინი მშვიდობის წინააღმდეგნი არიან, და სხვ. რას ნიშნავს, არსებითად, II ინტერნაციონალის მთელი ეს ხმაური, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთქმულს და კერძოდ იმ ისტორიულ ცნობას, რაც მე მოვიყვანე საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ დადებულ მთელ რიგ შეთანხმებათა შესახებ, რომლებსაც სამშვიდობო შეთანხმებანი ეწოდებოდათ, ნამდვილად კი ომის შესახებ შეთანხმებანი აღმოჩნდნენ? რას მოწმობს II ინტერნაციონალის ახლანდელი პოზიცია ლოკარნოს მიმართ? იმას, რომ II ინტერნაციონალი არის არა მარტო მუშათა კლასის ბურჟუაზიული გარყვნის ორგანიზაცია, არამედ ვერსალის ზავის ყველა უსამართლობის მორალური გამართლების ორგანიზაციაც. იმას, რომ II ინტერნაციონალი არის ანტანტის დამხმარე ორგანიზაცია, რომელმაც თავისი მუშაობით და ლოკარნოსა და ერთა ლიგის სასარგებლო ხმაურით მორალურად უნდა გაამართლოს ყველა ის უსამართლობა და მთელი ის ჩაგვრა, რაც ვერსალ-ლოკარნოს რეჟიმით არის შექმნილი.

4. წინააღმდეგობანი გამარჯვებულ ქვეყნებს შორის

გადავდივარ მეოთხე ჯგუფის წინააღმდეგობებზე, გამარჯვებულ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე. აქ ძირითადი ფაქტები ის არის, რომ,

მიუხედავად გარკვეული ბლოკისა ამერიკასა და ინგლისს შორის, ბლოკისა, რომლის საფუძველსაც შეადგენს ამერიკისა და ინგლისის შეთანხმება მოკავშირეთა ვალების გაუქმების წინააღმდეგ, მიუხედავად, მე ვამბობ, ამ ბლოკისა, ინგლისსა და ამერიკას შორის ინტერესთა ბრძოლა კი არ სუსტდება, არამედ, პირიქით, ძლიერდება. მსოფლიო სახელმწიფოებისათვის ერთ-ერთ ძირითად საკითხს ახლა ნავთის საკითხი წარმოადგენს. თუ ავიღებთ, მაგალითად, ამერიკას, იგი აწარმოებს ნავთის მთელი მსოფლიო მოპოვების დაახლოებით 70%-ს და ხმარობს მთელი მსოფლიო მოხმარების 60%-ზე მეტს. და აი ამ დარგში, რომელიც მსოფლიო სახელმწიფოთა მთელი სამეურნეო და სამხედრო საქმიანობის ძირითად ნერვს წარმოადგენს, ამერიკა ყველგან და ყოველთვის აწყდება ინგლისის წინააღმდეგობას. თუ ავიღებთ ნავთის ორ მსოფლიო კომპანიას — «სტანდარტ ოილსა» და «კონინკლაიკ შელს», რომელთაგან პირველი ამერიკას წარმოადგენს, ხოლო მეორე — ინგლისს, ამ კომპანიებს შორის ბრძოლა წარმოებს მსოფლიოს ყველა ნაწილში, სადაც კი ნავთი მოიპოვება. ეს არის ამერიკისა და ინგლისის ბრძოლა. ვინაიდან ნავთის საკითხი საარსებო საკითხია, ვინაიდან იმაზე, თუ ვის უფრო მეტი ნავთი ექნება, დამოკიდებულია, ვინ იქნება მბრძანებელი მომავალ ომში. იმაზე, თუ ვის უფრო მეტი ნავთი ექნება, დამოკიდებულია, ვინ იქნება მსოფლიო მრეწველობისა და ვაჭრობის მბრძანებელი. მას შემდეგ, რაც მოწინავე ქვეყნების ფლოტი მოტორიან ძრავებზე გადადის, ნავთი არის სასიცოცხლო ნერვი მსოფლიო სახელმწიფოების ბრძოლისა უპირატესობისათვის როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომის დროს. და სწორედ ამ დარგში ინგლისის ნავთის კომპანიებსა და ამერიკის ნავთის კომპანიებს შორის წარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რო-

მელსაც, მართალია, მუდამ არა აქვს აშკარა ხასიათი, მაგრამ რომელიც მუდამ არსებობს და ღვივის, როგორც ეს ჩანს ინგლისსა და ამერიკას შორის მოლაპარაკების ისტორიიდან და ამ ნიადაგზე მათი შეტაკებების ისტორიიდან. საკმარისია გავიხსენოთ ნავთის საკითხზე ინგლისის წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი ნოტები იუზისა, როცა იგი ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ხან ფარული, ხან აშკარა ფორმით ბრძოლა წარმოებს სამხრეთ ამერიკაში, სპარსეთში, ევროპაში, რუმინეთისა და გალიციის იმ რაიონებში, სადაც ნავთი არის, მსოფლიოს ყველა ნაწილში. აღარას ვამბობ საკმაოდ დიდი მნიშვნელობის ისეთ ფაქტზე, როგორიც არის ინგლისისა და ამერიკის ინტერესთა ბრძოლა ჩინეთში. თქვენ, ალბათ, იცით, რომ აქ წარმოებს ფარული ბრძოლა, ამასთან ამერიკა, რომელიც უფრო მოქნილად მოქმედებს, თავისუფალია იმ უხეში კოლონიური მეთოდებისაგან, რომლებისგანაც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ინგლისელი ლორდები, ხშირად ახერხებს ინგლისის გაცურებას ჩინეთში, რათა გამოაძევოს ინგლისი და გზა გაიკაფოს ჩინეთში. გასაგებია, რომ ინგლისს არ შეუძლია გულგრილად უყურებდეს ამას.

არ ვილაპარაკებ და სიტყვას არ გავაგრძელებ საფრანგეთსა და ინგლისს შორის ინტერესთა წინააღმდეგობის შესახებ ევროპის კონტინენტზე ბატონობისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ცხადია ისიც, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის ინტერესთა ბრძოლა წარმოებს არა მარტო კონტინენტზე, არამედ აგრეთვე კოლონიებში ჰეგემონიის საკითხის გამო. პრესაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სირიასა და მაროკოში ომის გამოწვევის საქმეში ინგლისსაც მიუძღვის წვლილი. მე

დოკუმენტები არა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ცნობები უსაფუძვლო არ არის.

შემდეგ არ ვილაპარაკებ ამერიკასა და იაპონიას შორის ინტერესთა წინააღმდეგობაზე, — ესეც აგრეთვე ცნობილია. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკის ფლოტის ამ ცოტა ხნის წინათ მოწყობილი მანევრები დიდ ოკეანეში და იაპონიის ფლოტის მანევრები, რომ გავიგოთ, თუ რისთვის კეთდება ეს.

ბოლოს, უნდა აღვნიშნო ფაქტი, რომელმაც ყველა უნდა გააკვირვოს, — გამარჯვებულ ქვეყნებში შეიარაღების კოლოსალური ზრდის ფაქტი. მე ვლაპარაკობ გამარჯვებულებზე, გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობებზე. ამ გამარჯვებულებს მოკავშირეები ეწოდებათ. მართალია, ამერიკა ანტანტაში არ შედის, მაგრამ იგი ანტანტასთან კავშირში იბრძოდა გერმანიის წინააღმდეგ. და აი ახლა ეს მოკავშირეები გამალებით იარაღდებიან. ვის წინააღმდეგ იარაღდებიან? წინათ, როცა ანტანტის ქვეყნები იარაღდებოდნენ, ჩვეულებრივ გერმანიაზე მიუთითებდნენ და ამბობდნენ, იგი თავით ფეხამდე შეიარაღებულია და საფრთხეს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის, ამიტომ საჭიროა თავდასაცავად შეიარაღებაო. ახლა კი? ახლა გერმანია, როგორც შეიარაღებული ძალა, არ არის: იგი განიარაღებულია. შეიარაღების ზრდა კი გამარჯვებულ ქვეყნებში ახლა ისე მიმდინარეობს, როგორც არასოდეს. რით აიხსნება, მაგალითად, ავიაციის უმაგალითო ზრდა საფრანგეთში? რით აიხსნება შეიარაღების და განსაკუთრებით საზღვაო ფლოტის უმაგალითო ზრდა ინგლისში? რით აიხსნება საზღვაო ფლოტის უმაგალითო ზრდა ამერიკასა და იაპონიაში? რისა და ვისი ეშინიათ ბ-ნ «მოკავშირეებს», რომლებმაც ერთად დაამარცხეს გერმანია და განაიარაღეს იგი? რისა ეშინიათ მათ და რისთვის იარაღ-

დებიან? სადღა არის პაციფიზმი II ინტერნაციონალისა, რომელიც მშვიდობის შესახებ გაჰყვირის და ვერ ხედავს — ვითომ ვერ ხედავს, — რომ «მოკავშირეები», რომლებმაც თავის თავს ოფიციალურად მეგობრები უწოდეს, გაშმაგებით იარაღდებიან «არარსებული» მტრის წინააღმდეგ? რა გააკეთეს ერთა ლიგამ და II ინტერნაციონალმა იმისათვის, რომ შეეწყვიტათ შეიარაღების გაშმაგებული ზრდა? განა მათ არ იციან, რომ შეიარაღების ზრდის დროს «ზარბაზნები თვითონ იწყებენ სროლას»? ნუ ელით პასუხს ერთა ლიგისა და II ინტერნაციონალისაგან. აქ საქმე ის არის, რომ გამარჯვებულ ქვეყნებს შორის ინტერესთა ბრძოლა იზრდება და ძლიერდება, მათ შორის შეტაკება გარდუვალი ხდება, და ისინი, ახალი ომის მოლოდინში, მთელი ძალებით, მთელი საშუალებებით იარაღდებიან. არ გავაზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ ამ აზრით საქმე გვაქვს არა გამარჯვებულ ქვეყნებს შორის მეგობრულ მშვიდობასთან, არამედ შეიარაღებულ მშვიდობასთან, ომის საფრთხის შემცველი შეიარაღებული მშვიდობის მდგომარეობასთან. ის, რაც ახლა გამარჯვებულ ქვეყნებში ხდება, ძალიან მოგვაგონებს იმ მდგომარეობას, რომელიც იყო 1914 წლის ომის წინ, — შეიარაღებული მშვიდობის მდგომარეობას.

ევროპის მმართველები ახლა ცდილობენ ეს ფაქტი დაფარონ პაციფიზმის შესახებ ხმაურით. მაგრამ მე უკვე ვთქვი, თუ რად ღირს ეს პაციფიზმი და რა ფასი უნდა დავდოთ მას. ბოლშევიკები აი უკვე გენუის დროიდან მოითხოვენ განიარაღებას [52]. რატომაა, რომ II ინტერნაციონალი და პაციფიზმის სხვა მოლაყბენი მხარს არ უჭერენ ჩვენს წინადადებას?

ეს გარემოება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ის სტაბილიზაცია, დროებითი, ნაწილობრივი სტაბილიზაცია, რომელსაც ევროპამ თავისი დამონების ფასად მიაღწია, მტკი-

ცე არ არის, ვინაიდან იზრდება და ძლიერდება წინააღმდეგობანი გამარჯვებულ ქვეყნებს შიგნით, რომ აღარა ვთქვათ რა გამარჯვებულ ქვეყნებსა და დამარცხებულ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე.

5. კაპიტალისტური სამყარო და საბჭოთა კავშირი

გადავდივარ მეხუთე ჯგუფის წინააღმდეგობებზე — საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სამყაროს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე.

ამ დარგში ძირითადი ის არის, რომ მთელ მსოფლიოში ყოვლისმომცველი კაპიტალიზმი აღარ არის. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ქვეყანა გაჩნდა, მას შემდეგ, რაც ძველი რუსეთი საბჭოთა კავშირად გადაიქცა, — ამის შემდეგ მთელ მსოფლიოში აღარ არის ყოვლისმომცველი კაპიტალიზმი. მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო: იმპერიალიზმის ბანაკად და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბანაკად. ეს პირველია, რაც უნდა აღინიშნოს.

მეორე, რაც ამ დარგში უნდა აღინიშნოს, ის არის, რომ კაპიტალიზმის ქვეყნებს სათავეში უდგება ორი ძირითადი ქვეყანა — ინგლისი და ამერიკა, როგორც ინგლის-ამერიკის კავშირი. უკმაყოფილოებს და იმპერიალიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ მებრძოლებს სათავეში უდგება ჩვენი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი.

მესამე ის არის, რომ იქმნება მიზიდულობის ორი ძირითადი, მაგრამ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ცენტრი და ამის შესაბამისად — მთელ მსოფლიოში ამ ცენტრებისაკენ სწრაფვის ორი მიმართულება: ინგლის-ამერიკა — ბურჟუაზიული მთავრობებისათვის და საბჭოთა კავშირი — დასავლეთის მუშებისა და აღმოსავლეთის რევოლუციონერებისათვის. ინგლის-ამერიკა იზიდავს თავისი სიმდიდრით, მათთან

შეიძლება კრედიტების მიღება. საბჭოთა კავშირი იზიდავს თავისი რევოლუციური გამოცდილებით, კაპიტალიზმისაგან მუშებისა და იმპერიალიზმისაგან ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის გამოცდილებით. მე ვლაპარაკობ იმაზე, თუ როგორ მოისწრაფიან ჩვენი ქვეყნისაკენ ევროპის მუშები და აღმოსავლეთის რევოლუციონერები. თქვენ იცით, რას ნიშნავს ევროპელი მუშისათვის ან ჩაგრული ქვეყნების რევოლუციონერისათვის ჩვენი ქვეყნის ნახვა, როგორ მოემგზავრებიან ისინი ჩვენთან, და როგორ მოისწრაფის ჩვენი ქვეყნისაკენ ყოველივე, რაც კი პატიოსანი და რევოლუციურია მთელ მსოფლიოში.

ორი ბანაკი, მიზიდულობის ორი ცენტრი.

მეოთხეა ის, რომ ამ ბანაკში, კაპიტალიზმის ბანაკში, არ არის ინტერესების ერთიანობა და შეკავშირება, რომ იქ გამეფებულია ინტერესთა ბრძოლა, რღვევა, ბრძოლა გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის, ბრძოლა თვით გამარჯვებულებს შორის, ბრძოლა ყველა იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის კოლონიებისათვის, მოგებისათვის, რომ ყოველივე ამის გამო სტაბილიზაცია ამ ბანაკში მტკიცე ვერ იქნება. ჩვენს ქვეყანაში კი მიმდინარეობს ჯანსაღი სტაბილიზაცია, რომელიც მტკიცდება, ჩვენი მეურნეობის ზრდა, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ზრდა, ხოლო მთელ ჩვენს ბანაკში წარმოებს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ყველა უკმაყოფილო ელემენტებისა და ფენების თანდათანობითი, განუხრელი შემჭიდროება ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის გარშემო, მათი შემჭიდროება საბჭოთა კავშირის გარშემო.

იქ, კაპიტალიზმის ბანაკში, უთანხმოება და რღვევაა. აქ, სოციალიზმის ბანაკში, დარაზმულობა და ინტერესთა განუწყვეტლივ მზარდი ერთიანობაა საერთო მტრის წინააღმდეგ — იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

აი ის ძირითადი ფაქტები, რომლებიც მინდოდა აღმენიშნა მეხუთე ჯგუფის წინააღმდეგობათა — კაპიტალიზმის სამყაროსა და საბჭოების სამყაროს შორის არსებულ წინააღმდეგობათა სფეროში.

მინდა განსაკუთრებით შევჩერდე იმ ფაქტზე, რომელსაც მე ვუწოდე მთელი მსოფლიოს რევოლუციური და სოციალისტური ელემენტების სწრაფვა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატისაკენ. მხედველობაში მაქვს მუშათა დელეგაციები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიან, დელეგაციები, რომლებიც გულმოდგინედ ათვალიერებენ ჩვენი მშენებლობის თვითეულ კუნჭულს, რათა დარწმუნდნენ, რომ ჩვენ უნარი შეგვწევს არა მარტო ვანგრიოთ, არამედ ახალიც ვაშენოთ. რა აზრი აქვთ მუშათა დელეგაციებს, — მუშების ამ სწრაფვას ჩვენი ქვეყნისაკენ, — დელეგაციებს, რომლებიც ახლა მთელ ხანას გამოხატავენ დასავლეთის მუშათა მოძრაობის განვითარებაში? თქვენ გაიგონებდით, როგორ შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები [illegible]ელისის მუშათა დელეგაციას, გერმანიის მუშათა დელეგაციას. მიაქციეთ თუ არა ყურადღება იმას, რომ ჩვენმა ამხანაგებმა, მმართველობის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელებმა, არა მარტო ინფორმაცია მისცეს მუშათა დელეგაციების წარმომადგენლებს, არამედ პირდაპირ ანგარიში ჩააბარეს მათ? მაშინ მე აქ მოსკოვში არ ვყოფილვარ, სხვაგან ვიყავი წასული, მაგრამ გაზეთებს ვკითხულობდი, და წავიკითხე, რომ ამხ. ძერჟინსკიმ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელმა, უბრალოდ კი არ მისცა ინფორმაცია გერმანიის მუშათა დელეგაციას, არამედ ანგარიში ჩააბარა მას. ეს ახალი და განსაკუთრებული რამ არის ჩვენს ცხოვრებაში, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მე წავიკითხე, რომ ჩვენი ნავთის მრეწველობის ხელმძღვანელებმა — კოსიორმა გროზნოში

და სერებროვსკიმ ბაქოში — უბრალოდ კი არ მისცეს ინფორმაცია მუშა დელეგატებს, როგორც ექსკურსანტებს აძლევენ ხოლმე ინფორმაციას, არამედ ანგარიში ჩააბარეს მუშათა დელეგაციებს, როგორც უმაღლეს საკონტროლო ხელისუფლებას. მე წავიკითხე, რომ ყველა ჩვენი უმაღლესი დაწესებულება, სახკომსაბჭო და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, თვით ადგილობრივ აღმასკომებამდე, მზად იყვნენ ანგარიში ჩაებარებინათ მუშათა დელეგაციებისათვის, რომელთა სახით ისინი ხედავდნენ დასავლეთის მუშათა კლასის მეგობრულ, ძმურ კონტროლს ჩვენი მშენებლობისადმი, ჩვენი მუშური სახელმწიფოსადმი.

რას მოწმობს ყველა ეს ფაქტი? ისინი მოწმობენ ორ რამეს. ჯერ-ერთი, იმას, რომ ევროპის მუშათა კლასს, ყოველ შემთხვევაში ევროპის მუშათა კლასის რევოლუციურ ნაწილს, ჩვენი სახელმწიფო მიაჩნია თავის პირმშოდ, რომ მუშათა კლასი გზავნის თავის დელეგაციებს ჩვენს ქვეყანაში არა ცნობისმოყვარეობის გამო, არამედ იმისათვის, რომ ნახონ, როგორ და რა კეთდება ჩვენში, ვინაიდან მათ, როგორც ჩანს, თავი მორალურად პასუხისმგებლად მიაჩნიათ ყოველივესთვის, რასაც ჩვენ აქ ვაშენებთ. მეორეც, იმას, რომ ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური ნაწილი, რომელიც შვილად იყვანს ჩვენს სახელმწიფოს და რომელსაც თავის პირმშოდ მიაჩნია იგი, კისრულობს დაიცვას იგი და საჭიროების შემთხვევაში იბრძოლოს მისთვის. დაგისახელეთ მეორე სახელმწიფო, ყველაზე უფრო დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც გაბედავდა ნება მიეცა, რომ მისთვის ძმური კონტროლი გაეწიათ სხვა ქვეყნების მუშათა დელეგაციებს! ასეთ სახელმწიფოს ვერ დაასახელებთ, ვინაიდან ასეთი სახელმწიფო მსოფლიოში არ არის. მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოს, მუშებისა და გლეხების სა-

ხელმწიფოს, შეუძლია გადადგას ასეთი ნაბიჯი. მაგრამ, მუშათა დელეგაციებს უდიდესი ნდობით რომ ეკიდება, ამით ჩვენი ქვეყანა ევროპის მუშათა კლასის უდიდეს ნდობას იმსახურებს. ჩვენდამი ეს ნდობა კი ჩვენთვის ყველა და ყოველგვარ სესხზე უფრო ძვირფასია, ვინაიდან იგი, ჩვენი სახელმწიფოსადმი მუშების ეს ნდობა, იმპერიალიზმისა და მისი ინტერვენციონისტული მახინაციების საწინააღმდეგო ძირითადი საშუალებაა.

აი რა არის საფუძველი ჩვენს სახელმწიფოსა და დასავლეთის პროლეტარიატს შორის ურთიერთობის იმ ცვლილებისა, რაც ჩამოყალიბდა ან ყალიბდება ჩვენს ქვეყანაში მუშათა დელეგაციების ხშირი ჩამოსვლის საფუძველზე. აი ის ახალი, რაც ბევრს შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ რაც ახლა გადამწყვეტია. ვინაიდან, თუ ჩვენ შეგვაფასებენ როგორც ევროპის მუშათა კლასის ნაწილს, როგორც მის პირმშოს, თუ, ამის საფუძველზე, ევროპის მუშათა კლასი კისრულობს მორალურ პასუხისმგებლობას, კისრულობს, ვთქვათ, ინტერვენციის შემთხვევაში კაპიტალიზმისაგან ჩვენი სახელმწიფოს დაცვის ამოცანას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენი ინტერესების დაცვის ამოცანას, რას მოწმობს ეს? — იმას, რომ ჩვენი ძალები იზრდებიან და გაიზრდებიან არა დღეობით, არამედ საათობით. იმას, რომ კაპიტალიზმის სისუსტე გაიზრდება არა დღეობით, არამედ საათობით. ვინაიდან უმუშებოდ ომი ახლა არ შეიძლება. თუ მუშები არ ისურვებენ იომონ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, თუ ჩვენი რესპუბლიკა მათ მიაჩნიათ თავიანთ პირმშოდ, რომლის ბედიც მათთვის მახლობელია, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომი შეუძლებელი ხდება. აი რაშია საიდუმლოება, აი რა არის ფესვი, აი რა არის აზრი ჩვენს ქვეყანაში მუშების ამ ხშირი ჩამოსვლისა, რომელსაც ადგილი აქვს და კვლავაც ადგილი ექნება, და რომელიც ვალ-

დებული ვართ ყოველმხრივ წავახალისოთ, როგორც ჩვენი ქვეყნის მუშებსა და დასავლეთის ქვეყნების მუშებს შორის სოლიდარობის საწინდარი და როგორც მათ შორის მეგობრობის კავშირის განმტკიცების საწინდარი.

იქნებ ზედმეტი არ იყოს ორიოდე სიტყვა ვთქვა იმ დელეგაციების რაოდენობის შესახებ, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა ინახულეს. ამას წინათ გავიგონე, რომ მოსკოვის კონფერენციაზე ერთი ამხანაგი შეჰკითხნია რიკოვს: «ძალიან ძვირად ხომ არ გვიჯდება ეს დელეგაციებიო?». ამხანაგებო, არ შეიძლება ასეთი რამის თქმა. არასოდეს არ შეიძლება ამნაირი კილოთი ლაპარაკი მუშათა დელეგაციებზე, რომლებიც ჩვენთან მოდიან. ასე ლაპარაკი სირცხვილია. არავითარ ხარჯებს, არავითარ მსხვერპლს არ შეიძლება მოვერიდოთ და არც უნდა მოვერიდოთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ დასავლეთის მუშათა კლასს გამოგზავნოს ჩვენთან თავისი დელეგატები, რათა დავეხმაროთ მათ დარწმუნდნენ, რომ მუშათა კლასს, რომელმაც ხელთ აიღო ძალაუფლება, უნარი შესწევს არა მარტო დაანგრიოს კაპიტალიზმი, არამედ კიდევაც აშენოს სოციალიზმი. ისინი, დასავლეთის მუშები, ყოველ შემთხვევაში ბევრი მათგანი, ჯერ კიდევ დარწმუნებული არიან, რომ მუშათა კლასი თავს ვერ გაართმევს საქმეს უბურჟუაზიოდ. ეს ცრურწმენა დასავლეთის მუშათა კლასის ძირითადი სენია, რასაც მას სოციალ-დემოკრატები უნერგავენ. არავითარ მსხვერპლს არ მოვერიდებით იმისათვის, რომ დასავლეთის მუშათა კლასს შესაძლებლობა მივცეთ თავისი დელეგატების საშუალებით დარწმუნდეს, რომ მუშათა კლასს, როცა იგი ხელთ აიღებს ძალაუფლებას, უნარი შესწევს არა მარტო დაანგრიოს ძველი, არამედ კიდევაც აშენოს სოციალიზმი. არავითარ მსხვერპლს არ მოვერიდებით იმისათვის, რათა დასავლეთის მუშათა კლასს შესაძლებლობა მივცეთ დარ-

წმუნდეს იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა ის ერთადერთი მუშათა სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელიც ღირს იმად, რომ მისთვის იბრძოლონ დასავლეთში, და რომელიც ღირს იმად, რომ დაიცვან თავიანთი კაპიტალიზმის წინააღმდეგ. (ტ ა შ ი).

ჩვენთან სამგვარი დელეგაციები იყვნენ: ინტელიგენტთა დელეგაციები, მასწავლებლები და სხვ., მოზრდილი მუშების დელეგაციები, ისინი, ვგონებ, დაახლოებით რომ ვიანგარიშოთ, 10-მდე იყვნენ, და მუშა ახალგაზრდობის დელეგაციები. ჩვენს ქვეყანაში სულ ჩამოვიდა 550 დელეგატი და ექსკურსანტი. მოველით კიდევ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში რეგისტრირებულ 16 დელეგაციას. ამ საქმეს მომავალშიც განვავითარებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის კავშირი დასავლეთის მუშათა კლასთან და ამით შევქმნათ ბარიერი ინტერვენციის ყვავლა და ყოველგვარ შესაძლებლობათა წინააღმდეგ.

ასეთია იმ ძირითად წინააღმდეგობათა დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ღრღნიან კაპიტალიზმს.

რა გამომდინარეობს ყველა ამ წინააღმდეგობიდან? რას მოწმობენ ისინი? ისინი მოწმობენ იმას, რომ კაპიტალისტურ სამყაროს ღრღნიან მთელი რიგი შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც კაპიტალიზმს აუძლურებენ, რომ, მეორე მხრივ, ჩვენი სამყარო, სოციალიზმის სამყარო, სულ უფრო და უფრო ირაზმება, მჭიდროვდება, რომ ამის გამო სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ძალთა ის დროებითი წონასწორობა, რომელმაც ბოლო მოუღო ომს ჩვენს წინააღმდეგ, რომელმაც დასაწყისი მისცა საბჭოთა სახელმწიფოსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის «მშვიდობიანი თანაცხოვრების» ხანას.

უნდა მოვიხსენიო კიდევ ორი ფაქტი, რომლებსაც აგრეთვე გავლენა აქვთ იმაზე, რომ ომის პერიოდის ნაცვლად ჩვენში დამყარდა «მშვიდობიანი თანაცხოვრების» ხანა.

პირველი ფაქტი ის არის, რომ ახლანდელ მომენტში ამერიკას არა სურს ომი ევროპაში. იგი თითქოს ასე ეუბნება ევროპას: მე გასესხე მილიარდები, თავს ნუ გაგივა, თუ გინდა, რომ კვლავაც მიიღო ფული, თუ არ გინდა, რომ შენი ვალუტა თავდაყირა დაექანოს, იჯექი და იმუშავე, გააკეთე ფული და იხადე ვალების პროცენტები. არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამერიკის ამ რჩევამ, თუნდაც იგი გადამწყვეტი არ იყოს ევროპისათვის, ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს.

მეორე ფაქტი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემიდან ამოვარდა მთელი უდიდესი ქვეყანა გასაღების უდიდესი ბაზრებით, ნედლეულის უდიდესი წყაროებით, და ამას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ევროპის სამეურნეო მდგომარეობაზე. მსოფლიოს ერთი მეექვსედის დაკარგვა, ჩვენი ქვეყნის ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების დაკარგვა — ეს კაპიტალისტური ევროპისათვის ნიშნავს თავისი წარმოების შემცირებას, მის ძირფესვიანად შერყევას. და აი, იმისათვის, რომ ბოლო მოეღოთ ჩვენი ქვეყნისაგან, ჩვენი ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისაგან ევროპის კაპიტალის ამ მოწყვეტილობისათვის, აუცილებელი გახდა დათანხმება ჩვენთან «მშვიდობიანი თანაცხოვრების» ერთგვარ ხანაზე, რათა ხელი მოუწვდეთ ჩვენს ბაზრებამდე და ნედლეულის წყაროებამდე, — სხვანაირად, თურმე, შეუძლებელია ევროპაში რაიმე სამეურნეო სიმტკიცის მიღწევა.

6. სსრ კავშირის საგარეო მდგომარეობა

აი ყველა ის ფაქტორი, რომლებმაც განსაზღვრეს ძალთა ერთგვარი წონასწორობა სოციალიზმის ბანაკსა და კაპიტალიზმის ბანაკს შორის მთელ მსოფლიოში, რომლებმაც ომის ხანა შეცვალეს შესვენების ხანით, რომლებმაც ხანმოკლე შესვენება გადააქციეს შესვენების მთელ პერიოდად და რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცეს დაგვეწყო ერთგვარი, როგორც ილიჩი ამბობდა, «თანამშრომლობა» კაპიტალისტურ სამყაროსთან.

აქედან წარმოსდგება საბჭოთა კავშირის «ცნობის» ის ხანა, რომელიც დაიწყო და შემდეგშიც უნდა გაგრძელდეს.

მე არ ჩამოვთვლი, რომელმა ქვეყნებმა «გვიცნეს». მგონია, დიდი ქვეყნებიდან, რომლებსაც არ ვუცნივართ, მარტო ამერიკა დარჩა. სიტყვას არ გავაგრძელებ იმაზეც, რომ «ცნობის» შემდეგ ჩვენ დავდეთ სავაჭრო ხელშეკრულებანი, მაგალითად, გერმანიასთან და იტალიასთან. დიდხანს არ გავაგრძელებ სიტყვას იმაზე, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რომ ამ ვაჭრობით განსაკუთრებით დაინტერესებულია ამერიკა, როგორც ისეთი ქვეყანა, საიდანაც ჩვენ ბამბა შემოგვაქვს, და ინგლისი და გერმანია, როგორც ისეთი ქვეყნები, რომლებსაც ჩვენი პური და ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გააქვთ. ერთი რამ უნდა ითქვას, — რომ წლევანდელი წელიწადი პირველი წელიწადია, როცა ჩვენ რამდენადმე ფართო მასშტაბით, კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან «თანაცხოვრების» ხანის დადგომის შემდეგ, ვაჭრობის ხაზით მრავალნაირ და ფართო კავშირს ვამყარებთ კაპიტალისტურ სამყაროსთან.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ლიკვიდაცია ვუყავით ყველა იმ, ასე ვთქვათ, გაუმხელელ აზრსა და ყველა იმ, ასე ვთქვათ, პრეტენზიასა და კონტრ-პრე-

ტენზიას, რაც არსებობდა და ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს სახელმწიფოსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენგან მოითხოვენ ვალების გადახდას. ევროპას ეს ჯერ კიდევ არ დავიწყებია და, ალბათ, არც დაივიწყებს, ყოველ შემთხვევაში ასე მალე როდი დაივიწყებს. გვეუბნებიან, რომ ჩვენი ომამდელი დავალიანება ევროპის წინაშე უდრის 6 მილიარდ მანეთს, სამხედრო დავალიანება შეფასებულია 7-ზე მეტ მილიარდ მანეთად, ამრიგად, დავალიანება სულ 13 მილიარდი მანეთია. თუ გავითვალისწინებთ ვალუტის დაცემას და ამ თანხიდან გამოვაკლებთ ლიმიტროფების წილს, გამოდის, რომ ჩვენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა გვმართებს სულ მცირე 7 მილიარდი მანეთი. ცნობილია, რომ ჩვენი კონტრპრეტენზიები, სამოქალაქო ომის დროს ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის ინტერვენციასთან დაკავშირებით, განსაზღვრულია, ვგონებ (თუ ლარინის გამოანგარიშებას მივიღებთ), 50 მილიარდი მანეთით. ასე რომ ჩვენი ხუთჯერ მეტი მართებთ, ვიდრე ჩვენ გვმართებს. (ლარინი ადგილიდან: «ჩვენ ამას მივიღებთ»). ამხ. ლარინი ამბობს, ყველაფერ ამას თავის დროზე მივიღებთო. (სიცილი). მაგრამ, თუ უფრო ძუნწად ვიანგარიშებთ, როგორც ამას ფინსახკომი აკეთებს, გამოდის არა ნაკლებ 20 მილიარდისა. ჩვენ მაინც მოგებული ვართ. (სიცილი). მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებს არ უნდათ შეურიგდნენ ამას, და ჩვენ კვლავ ვირიცხებით მათს სიებში როგორც მოვალეები.

აი ამ ნიადაგზე გამოგვიდის დაბრკოლებანი და სიძნელენი კაპიტალისტებთან მოლაპარაკების მსვლელობაში. ასე იყო ინგლისთან მოლაპარაკების დროს, ასე იქნება, ალბათ, საფრანგეთთანაც.

როგორია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ამ საკითხში?

იგი ისეთივე დარჩა, როგორიც მაკდონალდთან ხელშეკრულების დადების დროს იყო [53].

ჩვენ ვერ გავაუქმებთ ჩვენი ქვეყნის ცნობილ კანონს, გამოცემულს 1918 წელს, — მეფის ვალების გაუქმების შესახებ [54]. ჩვენ ამ კანონის საფუძველზე ვრჩებით. ჩვენ ვერ გავაუქმებთ იმ დეკრეტებს, რომლებიც გამოქვეყნდა და რომლებმაც დააკანონეს ჩვენში ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. ჩვენ ვდგავართ და მომავალშიც ვიდგომებით ამ კანონების ბაზაზე. მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ გავაკეთოთ, პრაქტიკული მოლაპარაკების წესით, ერთგვარი გამონაკლისი ინგლისისთვისაც და საფრანგეთისთვისაც მეფის ყოფილი ვალების დარგში, რათა ცოტაოდენი გადავიხადოთ და ამისთვის ზოგი რამ მივიღოთ. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ დავაკმაყოფილოთ ყოფილი კერძო მესაკუთრენი მათთვის კონცესიების მიცემით, მაგრამ კვლავ ისე, რომ კონცესიების პირობები კაბალური არ იყოს. ამ საფუძველზე ჩვენ შევძელით მაკდონალდთან შეთანხმება. ამ მოლაპარაკების ქვენიადაგი იყო სამხედრო ვალების ფაქტიური გაუქმების იდეა. სწორედ ამიტომ ეს ხელშეკრულება ჩაშალეს. ვინ? უეჭველია, ამერიკამ. თუმცა ამერიკას რაკოვსკისა და მაკდონალდის მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მაკდონალდმა და რაკოვსკიმ შეიმუშავეს შეთანხმების გარკვეული პროექტი, თუმცა ეს შეთანხმების პროექტი გამოსავალს აძლევდა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, და ეს პროექტი ცოტად თუ ბევრად აკმაყოფილებდა ორივე ქვეყნის ინტერესებს, მიუხედავად ამისა, რადგან ეს პროექტი ემყარებოდა სამხედრო ვალების გაუქმების იდეას, ხოლო ამერიკას არ სურდა შეექმნა ასეთი პრეცედენტი, ვინაიდან მაშინ იგი დაკარგავდა მილიარდებს, რომლებიც ევროპას მისი მართებს, ამიტომ მან, ე. ი. ამერიკამ, «რჩევა მისცა», და ხელშეკრულება ჩაიშალა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ახლაც აღნიშნული პროექტის ნიადაგზე ვდგავართ.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის საკითხებიდან, საანგარიშო პერიოდში წამოჭრილი საკითხებიდან, განსაკუთრებით საძნელო და საბრძოლო საკითხებიდან, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებთან ჩვენი მთავრობის ურთიერთდამოკიდებულებას ეხება, მე მინდოდა აღმენიშნა ორი საკითხი: ჯერ-ერთი, საკითხი, რომელიც არა ერთხელ დაუყენებიათ ინგლისელ კონსერვატორებს და რომელსაც ისინი კვლავაც დააყენებენ, ეს არის პროპაგანდის საკითხი, და, მეორეც, კომუნისტური ინტერნაციონალის საკითხი.

ჩვენ ბრალად გვდებენ იმას, რომ როგორც ევროპაში, ისე კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში სპეციალურ პროპაგანდას ვეწევით იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ინგლისელი კონსერვატორები ამტკიცებენ, რუსი კომუნისტები ის ადამიანებია, რომლებიც მოწოდებული არიან ბრიტანეთის იმპერიის ძლიერება დაანგრიონო. მე მინდა აქ განვაცხადო, რომ ყველაფერი ეს ფუჭი ლაყბობაა. ჩვენ არ გვესაჭიროება არავითარი სპეციალური პროპაგანდა არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში მას შემდეგ, რაც თვით მუშათა დელეგაციები მოდიან ჩვენთან, ეცნობიან ჩვენს წესებს და დასავლეთის ყველა ქვეყანაში მიაქვთ ჩვენი წესების ამბავი. არავითარი სხვა პროპაგანდა ჩვენ არ გვესაჭიროება. ეს ყველაზე უკეთესი, ყველაზე ძლიერი და ყველაზე მოქმედი პროპაგანდაა საბჭოების წყობილების სასარგებლოდ კაპიტალიზმის წყობილების წინააღმდეგ. (ტაში).

ჩვენ გვეუბნებიან, რომ პროპაგანდას ვეწევით აღმოსავლეთში. მე ვამტკიცებ, რომ ესეც ფუჭი ლაყბობაა. ჩვენ არ გვესაჭიროება არავითარი სპეციალური პროპაგანდა აღმოსავლეთში მას შემდეგ, რაც ვიცით, რომ მთელი ჩვენი სა-

ხელმწიფოებრივი წყობილება დამყარებულია ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა თანაცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის ბაზაზე. ყოველ ჩინელს, ყოველ ეგვიპტელს, ყოველ ინდოელს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვა და აქ ნახევარ წელიწადს დაჰყოფს, შესაძლებლობა აქვს დარწმუნდეს, რომ ჩვენი ქვეყანა ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ესმის ჩაგრულ ხალხთა სულისკვეთება და რომელსაც უნარი აქვს დაამყაროს ყოფილი გაბატონებული ეროვნების პროლეტართა თანამშრომლობა ყოფილ ჩაგრულ ეროვნებათა პროლეტარებთან. არავითარი სხვა პროპაგანდა, არავითარი სხვა აგიტაცია აღმოსავლეთში ჩვენ არ გვესაჭიროება, გარდა იმისა, რომ დელეგაციებმა, რომლებიც ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ეგვიპტიდან ჩამოდიან, ჩვენთან რომ იმუშავებენ და აქაურობას ნახავენ, მთელ მსოფლიოში გაავრცელონ ჩვენი წესების ამბავი. ეს საუკეთესო და ყველაზე მოქმედი პროპაგანდაა პროპაგანდის ყველა ფორმათა, ყველა სახეთა შორის.

მაგრამ არის ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია დაანგრიოს ბრიტანეთის იმპერია და რომელიც აუცილებლად დაანგრევს მას. ეს ძალაა ინგლისელი კონსერვატორები. ეს ის ძალაა, რომელიც აუცილებლად, გარდუვალად წაიყვანს დაღუპვისაკენ ბრიტანეთის იმპერიას. საკმარისია გავიხსენოთ კონსერვატორების პოლიტიკა, როცა ისინი ხელისუფლებას ჩაუდგნენ სათავეში [55]. რით დაიწყეს მათ? დაიწყეს იმით, რომ ალაგმეს ეგვიპტე, გააძლიერეს ინდოეთის შევიწროება, ინტერვენცია მოაწყეს ჩინეთში და სხვ. აი კონსერვატორების პოლიტიკა. ვინ არის აქ დამნაშავე, და ვის უნდა დავდოთ აქ ბრალი, თუ ინგლისელ ლორდებს სხვა პოლიტიკის წარმოების უნარი არ შესწევთ? განა ძნელი მისახვედრია, რომ, თუ ასეთი გზით ივლიან, კონსერვატორებმა ბრიტანეთის იმპერია უნდა

მიიყვანონ, როგორც ორჯერ ორი ოთხია, გარდუვალ დაღუპვამდე?

რამდენიმე სიტყვა კომინტერნის შესახებ. დასავლეთში იმპერიალისტთა დაქირავებული აგენტები და ყალბი წერილების ავტორები ავრცელებენ ხმას, რომ კომინტერნი შეთქმულთა და ტერორისტთა ორგანიზაციაა, რომ კომუნისტები მიმოდიან დასავლეთის ქვეყნებში იმისათვის, რომ შეთქმულებები მოაწყონ ევროპელ მმართველთა წინააღმდეგ. სხვათა შორის, ბულგარეთში, სოფიაში მომხდარ აფეთქებას კომუნისტების სახელს უკავშირებენ. უნდა განვაცხადო იმის შესახებ, რაც ყოველი კულტურული ადამიანისათვის ცნობილი უნდა იყოს, თუ იგი მთლად უმეცარი არ არის და თუ იგი მოსყიდული არ არის, — უნდა განვაცხადო, რომ კომუნისტებს საერთო არა ჰქონიათ რა, არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ინდივიდუალური ტერორის თეორიასა და პრაქტიკასთან, კომუნისტებს საერთო არა ჰქონიათ რა, არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ცალკეულ პირთა წინააღმდეგ შეთქმულებების თეორიასთან. კომინტერნის თეორია და პრაქტიკა მდგომარეობს კაპიტალიზმის წინააღმდეგ მასობრივი რევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციაში. ეს სწორია. ეს კომუნისტების ამოცანაა. მხოლოდ უმეცრებსა და იდიოტებს შეუძლიათ შეთქმულებანი და ინდივიდუალური ტერორი აურიონ კომინტერნის პოლიტიკასთან მასობრივ რევოლუციურ მოძრაობაში.

ორიოდე სიტყვა იაპონიის შესახებ. დასავლეთში ჩვენს მტრებს შორის ზოგიერთნი ხელებს იფშვნეტენ: აი, ხედავთ, ჩინეთში რევოლუციური მოძრაობა დაიწყო, — რა თქმა უნდა, ბოლშევიკებმა მოისყიდეს ჩინელი ხალხი, — აბა სხვამ ვინ უნდა მოისყიდოს 400-მილიონიანი ხალხი? — ეს კი იმას გამოიწვევს, რომ «რუსები» იაპონელებს წაეჩხუბებიანო. ყველაფერი ეს სისულელეა, ამხანაგებო.

რევოლუციური მოძრაობის ძალები ჩინეთში აურაცხელია. მათ ჯერ არ უჩენიათ თავი როგორც საჭიროა. ისინი კიდევ იჩენენ თავს მომავალში. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მმართველები, რომლებიც ამ ძალებს ვერ ხედავენ და მათ ჯეროვან ანგარიშს არ უწევენ, ზიანს ნახავენ ამით. ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ ამ ძალას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩინეთი იმავე საკითხის წინაშე დგას, რომლის წინაშეც იდგა ჩრდილოეთი ამერიკა, როცა იგი ერთ სახელმწიფოდ ერთიანდებოდა, რომლის წინაშეც იდგა გერმანია, როცა იგი სახელმწიფოდ ყალიბდებოდა და ერთიანდებოდა, რომლის წინაშეც იდგა იტალია, როცა იგი ერთიანდებოდა და გარეშე მტრებისაგან თავისუფლდებოდა. აქ სიმართლე და სამართლიანობა მთლიანად ჩინეთის რევოლუციის მხარეზეა. აი რატომ თანავუგრძნობთ და კვლავაც თანაგრძნობით მოვეკიდებით ჩინეთის რევოლუციას მის ბრძოლაში იმპერიალისტთა უღლისაგან ჩინელი ხალხის განთავისუფლებისა და ერთ სახელმწიფოდ ჩინეთის გაერთიანებისათვის. ვინც ამ ძალას ანგარიშს არ უწევს და არ გაუწევს, იგი დანამდვილებით წააგებს. მე ვფიქრობ, იაპონია მიხვდება, რომ ჩინეთში ნაციონალური მოძრაობის ამ მზარდ ძალას, რომელიც წინ მიდის და ყველაფერს აცამტვერებს თავის გზაზე, მან, იაპონიამაც, ანგარიში უნდა გაუწიოს. ჩან ძო-ლინი სწორედ იმიტომ იღუპება, რომ ამას ვერ მიხვდა. მაგრამ იგი იმიტომაც იღუპება, რომ მთელ თავის პოლიტიკას აგებდა სსრკავშირსა და იაპონიას შორის შუღლზე, მათი ურთიერთობის გაუარესებაზე. ყოველი გენერალი, მანჯურიის ყოველი მმართველი, რომელიც დაიწყებს თავისი პოლიტიკის აგებას ჩვენსა და იაპონიას შორის შუღლზე, ჩვენსა და იაპონიას შორის ურთიერთობის გაუარესებაზე, აუცილებლად დაიღუპება. მათგან მხოლოდ ის იდგომება ფეხზე, ვინც თავის პოლიტიკას ააგებს იაპონიასთან ჩვენი ურთიერთობის

გაუმჯობესების და იაპონიასთან ჩვენი დაახლოების პოლიტიკაზე, მხოლოდ ასეთ გენერალსა და ასეთ მმართველს შეუძლია მტკიცედ იჯდეს მანჯურიაში, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს ისეთი ინტერესები, რომლებიც იაპონიასთან ჩვენი ურთიერთობის გამწვავებას იწვევდნენ. ჩვენი ინტერესები მიიმართება იაპონიასთან ჩვენი ქვეყნის დაახლოების ხაზით.

7. პარტიის ამოცანები

გადავდივარ ჩვენი პარტიის იმ ამოცანების საკითხზე, რომლებიც საგარეო მდგომარეობასთანაა დაკავშირებული.

მე ვფიქრობ, რომ პარტიის ამოცანები აქ, მისი მუშაობის აზრით, უნდა მოიხაზოს ორ დარგში: **საერთაშორისო** რევოლუციური მოძრაობის დარგში და შემდეგ საბჭოთა კავშირის **საგარეო პოლიტიკის** დარგში.

რა ამოცანებია **საერთაშორისო** რევოლუციური მოძრაობის დარგში?

ამოცანები ის არის, რომ ჯერ-ერთი, ვაწარმოოთ მუშაობა დასავლეთის კომუნისტური პარტიების განმტკიცების ხაზით, მუშათა მასებში მათ მიერ უმრავლესობის მოპოვების ხაზით. მეორეც — ვაწარმოოთ მუშაობა პროფკავშირული ერთიანობისათვის, ჩვენი კავშირის პროლეტარიატსა და კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის დასავლეთის მუშათა ბრძოლის გაძლიერების ხაზით. ამას მიეკუთვნება მუშათა დელეგაციების ჩამოსვლის ის ხანაც, რომელზეც ვილაპარაკე და რომლის მნიშვნელობაც ზემოთ დავახასიათე. მესამეც — ვაწარმოოთ მუშაობა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატსა და ჩაგრული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის კავშირის განმტკიცების ხაზით, ვინაიდან ეს ქვეყნები ჩვენი მოკავშირეები არიან იმპერიალიზმთან

ბრძოლაში. და მეოთხეც — ვაწარმოოთ მუშაობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ელემენტების განმტკიცების ხაზით, კაპიტალისტურ ელემენტებზე ამ ელემენტების გამარჯვების ხაზით, გამარჯვებისა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის მუშების გარევოლუციურებისათვის. ჩვეულებრივ, ამხანაგები, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის დარგში ჩვენი პარტიის ამოცანებზე რომ ლაპარაკობენ, სჯერდებიან პირველ სამ ამოცანას და ივიწყებენ მეოთხე ამოცანას — იმას, რომ ჩვენი ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში, ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გამარჯვებისათვის, ჩვენი ბრძოლა მშენებლობის დარგში აგრეთვე საერთაშორისო, ინტერნაციონალურია თავისი მნიშვნელობით, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა არის საერთაშორისო რევოლუციის ბაზა, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა არის ძირითადი ბერკეტი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გასაშლელად, და თუ აქ ჩვენში მშენებლობა ჯეროვანი ტემპით მიმდინარეობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მუშაობას საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში ყველა დანარჩენი კალაპოტით ვეწევით სწორედ ის, როგორც ამას ჩვენგან პარტია მოითხოვს.

ასეთია პარტიის ამოცანები საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის დარგში.

ახლა შევეხოთ პარტიის ამოცანებს ჩვენი კავშირის **საგარეო** პოლიტიკის დარგში.

ჯერ-ერთი — ვაწარმოოთ მუშაობა ახალი ომების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით, შემდეგ მშვიდობის შენარჩუნებისა და კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეგრეთწოდებული ნორმალური ურთიერთობის უზრუნველყოფის ხაზით. ჩვენი მთავრობის პოლიტიკის, საგარეო პოლიტიკის, საფუძველს მშვიდობის იდეა შეადგენს. ჩვენი ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლა, ახალი ომების წინააღმდეგ ბრძოლა,

ყველა იმ ნაბიჯის გამოაშკარავება, რომლებსაც დგამენ ახალი ომის მოსამზადებლად, ისეთი ნაბიჯების გამოაშკარავება, რომლებიც სინამდვილეში ომის მზადებას პაციფიზმის დროშით ფარავენ. სწორედ ამიტომ არ გვინდა შევიდეთ ერთა ლიგაში, ვინაიდან ერთა ლიგა ომისათვის მოსამზადებელი მუშაობის დაფარვის ორგანიზაციაა, ვინაიდან იმისათვის, რომ ერთა ლიგაში შევიდეთ, უნდა მოვახდინოთ არჩევანი, როგორც სწორად თქვა ამხ. ლიტვინოვმა, უროსა და გრდემლს შორის. ჩვენ კი არა გვსურს ვიყოთ არც ურო სუსტი ხალხებისათვის, არც გრდემლი ძლიერი ხალხებისათვის. ჩვენ არა გვსურს არც ერთი, არც მეორე, ჩვენ ვემხრობით მშვიდობას, ჩვენ ვემხრობით ყველა ისეთი ნაბიჯის გამოაშკარავებას, რომლებსაც ომი მოსდევს, რაგინდ პაციფისტური ალმებითაც იყონ ისინი დაფარული. ერთა ლიგა იქნება ეს თუ ლოკარნო, — სულ ერთია, ჩვენ ალმით ვერ მოგვატყუებენ, ხმაურით ვერ შეგვაშინებენ.

მეორეც — ვაწარმოოთ მუშაობა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საფუძველზე გარეშე სამყაროსთან ჩვენი საქონელბრუნვის გაფართოების ხაზით.

მესამეც — ვაწარმოოთ მუშაობა იმპერიალისტურ ომში დამარცხებულ ქვეყნებთან დაახლოების ხაზით, იმ ქვეყნებთან დაახლოების ხაზით, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ნაწყენი და წილდაკლებული ყველა კაპიტალისტური ქვეყნების რიცხვიდან და რომლებიც ამის გამო ოპოზიციაში უდგანან დიდი სახელმწიფოების გაბატონებულ კავშირს.

მეოთხეც — ვაწარმოოთ მუშაობა დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებთან კავშირის დამყარების ხაზით.

ასეთია ამოცანები, რომლებიც ახლანდელ მომენტში პარტიის წინაშე დგანან საერთაშორისო ურთიერთობისა და მუშათა საერთაშორისო მოძრაობის დარგში.

II

საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა

გადავდივარ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების მეორე ნაწილზე. ეს ნაწილი ეხება ჩვენი სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობას და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას იმ საკითხებში, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ საშინაო მდგომარეობასთან. მინდა მოვიყვანო რამდენიმე ციფრი. თუმცა პრესაში უკანასკნელ ხანს საკმაოდ ბევრი ციფრი გამოქვეყნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც შეუძლებელია გარკვეული რაოდენობით არ მოვიყვანოთ ციფრები.

1. სახალხო მეურნეობა მთლიანად

მაგრამ სანამ ციფრებზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ მოვიყვანო რამდენიმე ზოგადი დებულება, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს მუშაობას სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის დარგში (ვფიქრობ დავიწყო მეურნეობით).

პირველი დებულება. ჩვენ ვმუშაობთ და ვაშენებთ კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მეურნეობა და ჩვენი მშენებლობა განვითარდებიან ჩვენი მეურნეობის სისტემისა და კაპიტალისტური მეურნეობის სისტემის ურთიერთწინააღმდეგობაში, მათს შეტაკებებში. ამ წინააღმდეგობას ვერასგზით ვერ ავიცილებთ. ეს ის ჩარჩოებია, რომელთა ფარგლებშიც უნდა მიმდინარეობდეს ორი სისტემის, სოციალისტური სისტემისა და კაპიტალისტური სისტემის ბრძოლა. ეს, გარდა ამისა, ნიშნავს, რომ ჩვენი მეურნეობა უნდა შენდებოდეს არა მარტო ჩვენი ქვეყნის გარეთ არსებული კაპიტალისტური მეურნეობისადმი დაპირდაპირებით, არამედ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებული სხვადასხვა ელემენტების დაპირდაპირე-

ბით, კაპიტალისტური ელემენტებისადმი სოციალისტური ელემენტების დაპირდაპირებით.

აქედან დასკვნა: ჩვენს მეურნეობას უნდა ვაშენებდეთ ისე, რომ ჩვენი ქვეყანა არ გადაიქცეს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დანამატად, რომ იგი მოქცეული არ იყოს კაპიტალისტური განვითარების საერთო სისტემაში როგორც მისი დამხმარე საწარმო, რომ ჩვენი მეურნეობა ვითარდებოდეს არა როგორც მსოფლიო კაპიტალიზმის დამხმარე საწარმო, არამედ როგორც დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეული, რომელიც ემყარება, უმთავრესად, საშინაო ბაზარს, ემყარება ჩვენი ინდუსტრიის კავშირს ჩვენი ქვეყნის გლეხურ მეურნეობასთან.

არის ორი გენერალური ხაზი: ერთი იმ აზრს ემყარება, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ დიდხანს უნდა დარჩეს აგრარულ ქვეყნად, მას უნდა გაჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და შემოჰქონდეს მოწყობილობა, რომ იგი ამ გზას უნდა ადგეს და შემდეგშიც ამ გზით ვითარდებოდეს. ეს ხაზი არსებითად მოითხოვს ჩვენი ინდუსტრიის შეკვეცას. მან ამას წინათ გამოხატულება პოვა შანინის თეზისებში (იქნებ ვინმეს წაუკითხავს ისინი «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» [56]). ამ ხაზს იქითკენ მივყავართ, რომ არასოდეს, ან თითქმის არასოდეს, არ მოხდებოდა ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ინდუსტრიალიზაცია, საშინაო ბაზარზე დამყარებული, ეკონომიურად დამოუკიდებელი ერთეულიდან ჩვენი ქვეყანა ობიექტურად უნდა გადაქცეულიყო საერთო კაპიტალისტური სისტემის დანამატად. ეს ხაზი ჩვენი მშენებლობის ამოცანების უკუგდებას ნიშნავს.

ეს ჩვენი ხაზი არ არის.

არის მეორე გენერალური ხაზი, რომელიც იმ აზრს ემყარება, რომ ჩვენ მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ იმას, რათა ჩვენი ქვეყანა გავხადოთ ეკონომიურად დამოუკიდებელ, საშინაო ბაზარზე დაყრდნობილ ქვეყნად, ისეთ

ქვეყნად, რომელიც კერა იქნება ყველა იმ სხვა ქვეყნების მოსაზიდავად, რომლებიც თანდათანობით შორდებიან კაპიტალიზმს და სოციალისტური მეურნეობის კალაპოტში ეჭცევიან. ეს ხაზი მოითხოვს ჩვენი მრეწველობის მაქსიმალურ გაშლას, მაგრამ იმ რესურსების შესაფერისად და შესაბამისად, რომლებიც ჩვენ გვაქვს. იგი გადაჭრით უარყოფს იმ პოლიტიკას, რომ ჩვენი ქვეყანა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის დანამატად გადაიქცეს. ეს არის მშენებლობის ჩვენი ხაზი, რომელსაც პარტია მიჰყვება და რომელსაც იგი შემდეგშიც გაჰყვება. ეს ხაზი სავალდებულოა, სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს.

სხვა საქმე იქნება, როცა რევოლუცია გაიმარჯვებს გერმანიაში ან საფრანგეთში, ან ორივე ქვეყანაში ერთად, როცა იქ დაიწყება სოციალისტური მშენებლობა უფრო მაღალ ტექნიკურ ბაზაზე. მაშინ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულად გადაქცევის პოლიტიკიდან ჩვენ გადავალთ სოციალისტური განვითარების საერთო კალაპოტში ჩვენი ქვეყნის მოქცევის პოლიტიკაზე. მაგრამ ვიდრე ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა, ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია ჩვენი სახალხო მეურნეობის დამოუკიდებლობის ის მინიმუმი, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნება ჩვენი ქვეყნის დაცვა მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემისადმი სამეურნეო დამორჩილებისაგან.

ასეთია პირველი დებულება.

მეორე დებულება, რომლითაც ჩვენ ისევე უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი მშენებლობის დროს, როგორც პირველი დებულებით, იმაში მდგომარეობს, რომ მუდამ მხედველობაში ვიღებდეთ სახალხო მეურნეობისადმი ჩვენი ხელმძღვანელობის თავისებურებებს კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელმძღვანელობისაგან განსხვავებით. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, გაბატონებულია კერძო კაპიტალი,

იქ ცალკეული კაპიტალისტური ტრესტების, სინდიკატების, კაპიტალისტთა ამა თუ იმ ჯგუფების შეცდომებს ბაზრის სტიქია ასწორებს. თუ მეტისმეტად ბევრია დამზადებული, — დადგება კრიზისი, მაგრამ შემდეგ, კრიზისი რომ გაივლის, მეურნეობა ნორმაში ჩადგება. თუ მეტისმეტად გამოედევნენ შეტანას და პასიური სავაჭრო ბალანსი მიიღეს, — თამასუქების კურსი შეირყევა, მოხდება ინფლაცია, შემცირდება იმპორტი, გაიზრდება ექსპორტი. ყველაფერი ეს კრიზისების წესით ხდება. კაპიტალისტურ ქვეყნებში არც ერთი რამდენადმე დიდი შეცდომა და წარმოების რამდენადმე დიდი გადაჭარბება ან მოთხოვნის მთელი ჯამისაგან წარმოების სერიოზული მოწყვეტა არ ჩაივლის ისე, რომ გადაცდენა, შეცდომა და მოწყვეტა ამა თუ იმ კრიზისის წესით არ სწორდებოდეს. ასე ცხოვრობენ კაპიტალიზმის ქვეყნებში. მაგრამ ჩვენ ასე ცხოვრება არ შეგვიძლია. იქ ჩვენ ვხედავთ სამეურნეო, სავაჭრო, საფინანსო კრიზისებს, რომლებიც კაპიტალისტთა ცალკე ჯგუფებს ეხება. ჩვენში საქმის ვითარება სხვაგვარია. ყოველი სერიოზული შეფერხება ვაჭრობაში, წარმოებაში, ყოველი სერიოზული შეცდომა ჩვენს მეურნეობაში თავდება არა ამა თუ იმ ცალკე კრიზისით, არამედ მთელ სახალხო მეურნეობას აყენებს ზიანს. თვითეული კრიზისი, სავაჭრო იქნება იგი, საფინანსო თუ სამრეწველო, ჩვენში შეიძლება გადაიქცეს საერთო კრიზისად, რომელიც მთელ სახელმწიფოს მიაყენებს ზიანს. ამიტომ მშენებლობის დროს ჩვენ განსაკუთრებული წინდახედულობა და გამჭრიახობა მოგვეთხოვება. ამიტომ ჩვენ აქ მეურნეობას უნდა ვუხელმძღვანელოთ გეგმიანად, ისე, რომ შეცდომები ნაკლები იყოს, რომ მეურნეობისადმი ჩვენი ხელმძღვანელობა უაღრესად გამჭრიახი, უაღრესად წინდახედული, უაღრესად უშეცდომო იყოს. მაგრამ, ამხანაგებო, რადგან ჩვენ, სამწუხაროდ, არ გამოვირჩევით არც განსაკუთრებული გამჭრიახობით,

არც განსაკუთრებული წინდახედულობით, არც მეურნეობის უშეცდომოდ ხელმძღვანელობის განსაკუთრებული უნარით, რადგან ჩვენ მხოლოდ ვსწავლობთ შენებას, ამიტომ შეცდომები გვაქვს ხოლმე და შემდეგშიც გვექნება. ამიტომ უნდა ვაშენოთ რეზერვებით, ჩვენ გვესაჭიროება რეზერვები, რომლებიც შეავსებდნენ ჩვენს ხარვეზებს. მთელი ჩვენი მუშაობა ორი უკანასკნელი წლის მანძილზე გვიჩვენებს, რომ გარანტირებული არა ვართ არც შემთხვევითობათაგან, არც შეცდომებისაგან. ჩვენში სოფლის მეურნეობის დარგში ძალიან ბევრია დამოკიდებული არა მარტო ჩვენს სამეურნეო საქმიანობაზე, არამედ ბუნების ძალებზეც (მოუსავლობა და სხვ.). მრეწველობის დარგში ძალიან ბევრია დამოკიდებული არა მარტო ჩვენს სამეურნეო საქმიანობაზე, არამედ საშინაო ბაზარზეც, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დავეუფლეთ. საგარეო ვაჭრობის დარგში ძალიან ბევრია დამოკიდებული არა მარტო ჩვენზე, არამედ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტთა მოქმედებაზეც, ამასთან რაც უფრო იზრდება ჩვენი ექსპორტი და იმპორტი, მით უფრო მეტად ვხდებით დამოკიდებულნი კაპიტალისტურ დასავლეთზე, მით უფრო უადვილდებათ მტრებს ჩვენთვის დარტყმა. ყველა ამ შემთხვევითობისა და გარდუვალი შეცდომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შევითვისოთ აზრი, რომ აუცილებელია რეზერვების დაგროვება.

ჩვენ გარანტირებული არა ვართ მოუსავლობისაგან სოფლის მეურნეობის დარგში. ამიტომ საჭიროა რეზერვი. ჩვენ გარანტირებული არა ვართ საშინაო ბაზრის შემთხვევითობათაგან ჩვენი მრეწველობის განვითარების ხაზით. აღარას ვამბობ იმაზე, რომ, როცა ჩვენი საკუთარი დაგროვებული სახსრებით ვცხოვრობთ, განსაკუთრებით ძუნწი და ხელმოჭერილი უნდა ვიყოთ დაგროვებული სახსრების

ხარჯვის საქმეში, ვცდილობდეთ თვითეული კაპიკის მოთავსებას გონივრულად, ე. ი. ისეთ საქმეში, რომლის განვითარებაც ყოველ განსაზღვრულ მომენტში აბსოლუტურად საჭიროა. აქედან გამომდინარეობს მრეწველობისათვის რეზერვების საჭიროება. ჩვენ გარანტირებული არა ვართ შემთხვევითობათაგან საგარეო ვაჭრობის ხაზით (შენიღბული ბოიკოტი, შენიღბული ბლოკადა და სხვ.). აქედან გამომდინარეობს რეზერვების საჭიროება.

შეიძლებოდა ერთიორად გაგვედიდებინა სასოფლო-სამეურნეო კრედიტისათვის თანხების გაღება, მაგრამ მაშინ არ დაგვრჩებოდა საჭირო რეზერვები მრეწველობის დასაფინანსებლად, მრეწველობა თავის განვითარებაში დიდად ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობას, ფაბრიკატების გამომუშავება შემცირდებოდა, მივიღებდით ფაბრიკატების ფასების გადიდებას აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

შეიძლებოდა ერთიორად მეტი თანხების ასიგნება მრეწველობის განსავითარებლად, მაგრამ ეს მრეწველობის განვითარების ისეთი სწრაფი ტემპი იქნებოდა, რომელსაც ჩვენ ვერ გავუძლებდით თავისუფალი კაპიტალების დიდი ნაკლებობის გამო და რომლის ნიადაგზე ჩვენ დანამდვილებით ჩაგვეფუშებოდა საქმე, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ არ გვეყოფოდა რეზერვი სოფლის მეურნეობის დასაკრედიტებლად.

შეიძლებოდა ჩვენი იმპორტის, უმთავრესად მოწყობილობის იმპორტის, განვითარება ერთიორად უფრო მეტად წაგვეწია წინ, ვიდრე ეს ახლა არის, რათა სწრაფი ტემპით წაგვეწია წინ მრეწველობის განვითარება, მაგრამ ეს გამოიწვევდა იმპორტის გადამეტებას ექსპორტზე, შეიქმნებოდა პასიური სავაჭრო ბალანსი, და ძირი გამოეთხრებოდა ჩვენს ვალუტას, ე. ი. ძირი გამოეთხრებოდა იმ საფუძველს, რომლის ნიადაგზეც არის მხოლოდ შესაძლებელი მრეწველობის დაგეგმვა და განვითარება.

შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექცია საშინაო ბაზრის მდგომარეობისათვის და, ყველაფრის მიუხედავად, მაქსიმალურად წაგვეწია წინ ექსპორტი, მაგრამ ეს აუცილებლად გამოიწვევდა დიდ გართულებებს ქალაქებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების სწრაფი ზრდის აზრით, მაშასადამე, ხელფასის დაცემის აზრით და ერთგვარი ხელოვნურად მოწყობილი შიმშილის აზრით, რასაც მოჰყვებოდა აქედან გამომდინარე ყველა შედეგი.

შეიძლებოდა მაქსიმალურად გაგვედიდებინა მუშების ხელფასი არა მარტო ომამდელ დონემდე, არამედ უფრო მეტადაც, მაგრამ ეს გარემოება გამოიწვევდა ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის შემცირებას, ვინაიდან მრეწველობის გაშლა ჩვენს პირობებში, როცა არა გვაქვს გარედან მიღებული სესხები, არა გვაქვს კრედიტები და სხვ., შესაძლებელია მხოლოდ ერთგვარი მოგების დაგროვების საფუძველზე, რომელიც საჭიროა მრეწველობის დაფინანსებისა და საზრდოობისათვის, მაგრამ ეს გამორიცხული იქნებოდა, ე. ი. გამორიცხული იქნებოდა რამდენადმე სერიოზული დაგროვება, ხელფასის გადიდების მეტისმეტად დაჩქარებული ტემპი რომ აგვეღო.

და სხვ. და ა. შ.

ასეთია ის ორი ძირითადი სახელმძღვანელო დებულება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მშენებლობის დარგში ჩვენი მუშაობის ჩირაღდანი, შუქურა უნდა იყვნენ.

ახლა ნება მიბოძეთ გადავიდე ციფრებზე.

თუმცა, მანამდე კიდევ ერთ რამეს შევეხები. ჩვენი მეურნეობის სისტემაში ერთგვარი სიჭრელე გვაქვს — მთელი ხუთი წყობა. გვაქვს მეურნეობის თითქმის ნატურალური წყობა: ეს ისეთი გლეხური მეურნეობებია, რომელთა პროდუქციის საქონლიანობა მეტად მცირეა. გვაქვს მეურნეობის მეორე წყობა, სასაქონლო წარმოების წყობა, სადაც საქონლიანობა გლეხურ მეურნეობაში გადამწყვეტ

როლს ასრულებს. გვაქვს მეურნეობის მესამე წყობა — ქერძო კაპიტალიზმი, რომელიც მოკლული არ არის, რომელიც გამოცოცხლდა და გარკვეულ ზომამდე გამოცოცხლდება, სანამ ჩვენში ახალი ეკონომიური პოლიტიკაა. მეურნეობის მეოთხე წყობაა სახელმწიფო კაპიტალიზმი, ე. ი. ის კაპიტალიზმი, რომელიც ჩვენ დავუშვით და შესაძლებლობა გვაქვს კონტროლი გავუწიოთ მას და შევზღუდოთ ისე, როგორც ეს პროლეტარულ სახელმწიფოს უნდა. ბოლოს, მეხუთე წყობაა სოციალისტური მრეწველობა, ე. ი. ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა, სადაც წარმოებაში წარმოდგენილია არა ერთმანეთისადმი მტრული ორი კლასი — პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ ერთი კლასი — პროლეტარიატი.

მე მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა ამ ხუთი წყობის შესახებ, ვინაიდან ეს ორიოდე სიტყვა რომ არა ვთქვა, ძნელი იქნება გაგება ციფრების იმ ჯგუფისა, რომელსაც გამოვაქვეყნებ, და იმ ტენდენციისა, რომელიც ემჩნევა ჩვენი მრეწველობის განვითარებას, მით უმეტეს, რომ ჩვენი წყობილების სისტემაში ამ ხუთი სამეურნეო წყობის შესახებ ლენინმა თავის დროზე საკმაოდ დაწვრილებით ილაპარაკა [57], გვასწავლიდა რა იმას, რომ გვცოდნოდა ჩვენს ალმშენებლობითს მუშაობაში ამ წყობათა შორის ბრძოლის გათვალისწინება.

მე მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა სახელმწიფო კაპიტალიზმზე და სახელმწიფო მრეწველობაზე, რომელიც ტიპით სოციალისტური მრეწველობაა, რათა გამეფანტა ის გაუგებრობანი და ის არევდარევა, რომლებიც ამ საკითხის გარშემო პარტიაში შეიქმნა.

შეიძლება თუ არა ჩვენს სახელმწიფო მრეწველობას სახელმწიფო-კაპიტალისტური მრეწველობა ვუწოდოთ? არ შეიძლება. რატომ? იმიტომ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში სახელმწიფო კაპიტალიზმი წარმოების

ისეთი ორგანიზაციაა, სადაც წარმოდგენილია ორი კლასი: ექსპლოატატორი კლასი, რომელსაც წარმოების საშუალებანი აქვს, და ექსპლოატირებული კლასი, რომელსაც წარმოების საშუალებანი არა აქვს. რა განსაკუთრებული ფორმაც არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო კაპიტალიზმს, იგი თავისი არსით მაინც კაპიტალისტური უნდა იყოს. სახელმწიფო კაპიტალიზმს რომ ანალიზს უკეთებდა, ილიჩს უწინარეს ყოვლისა მხედველობაში ჰქონდა კონცესიები. ავიღოთ კონცესიები და ვნახოთ, წარმოდგენილია თუ არა აქ ორი კლასი. დიახ, წარმოდგენილია. კაპიტალისტების, ე. ი. კონცესიონერების კლასი, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ და დროებით ფლობენ წარმოების საშუალებებს, და პროლეტარების კლასი, რომელსაც ექსპლოატაციას უწევს კონცესიონერი. აქ რომ სოციალიზმის ელემენტები არა გვაქვს, ეს ცხადია თუნდაც იმით, რომ ვერავინ გაბედავს მივიდეს საკონცესიო საწარმოში შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანიის წამოსაწყებად, ვინაიდან ყველამ იცის, რომ საკონცესიო საწარმო არასოციალისტური, სოციალიზმისათვის უცხო საწარმოა.

ავიღოთ მეორე ტიპის საწარმოები — სახელმწიფო საწარმოები. არიან თუ არა ისინი სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმოები? არა, არ არიან. რატომ? იმიტომ, რომ ამ საწარმოებში წარმოდგენილია არა ორი კლასი, არამედ ერთი კლასი, მუშათა კლასი, რომელიც თავისი სახელმწიფოს სახით ფლობს წარმოების იარაღებსა და საშუალებებს და რომელსაც ექსპლოატაციას არ უწევენ, ვინაიდან იმის მაქსიმუმი, რასაც საწარმო ხელფასის გადამეტებით იღებს, ხმარდება მრეწველობის შემდგომ გაშლას, ე. ი. საერთოდ მთელი მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შეიძლება თქვან, ეს მაინც სრული სოციალიზმი არ არისო, თუ მხედველობაში ექნებათ ბიუროკრატიზმის ის

ნაშთები, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენი საწარმოების მმართველ ორგანოებში. ეს სწორია. მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ სახელმწიფო მრეწველობა ტიპით სოციალისტური წარმოებაა. არის წარმოების ორი ტიპი: კაპიტალისტური ტიპი, რომელშიც შედის სახელმწიფო-კაპიტალისტურიც, სადაც არის ორი კლასი, სადაც წარმოება კაპიტალისტისათვის მოგების მისაცემად მუშაობს, და არის წარმოების მეორე, სოციალისტური ტიპი, სადაც ექსპლოატაცია არ არის, სადაც წარმოების საშუალებანი მუშათა კლასს ეკუთვნის და სადაც საწარმოები მუშაობენ არა უცხო კლასისათვის მოგების მისაცემად, არამედ მრეწველობის გასაფართოებლად საერთოდ მუშებისათვის. ლენინი სწორედ ასე ამბობდა, ჩვენი სახელმწიფო საწარმოები ტიპით თანმიმდევრულ-სოციალისტური საწარმოები არიანო.

აქ შეიძლებოდა ანალოგია გაგვეტარებინა ჩვენს სახელმწიფოსთან. ჩვენს სახელმწიფოსაც ეწოდება არა ბურჟუაზიული სახელმწიფო, ვინაიდან იგი ლენინის მიხედვით სახელმწიფოს ახალი ტიპია, **პროლეტარული** სახელმწიფოს ტიპი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი მუშაობს არა მუშათა კლასის დასაჩაგრავად, როგორც ეს უკლებლივ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ხდება, არამედ მუშათა კლასის განსათავისუფლებლად ბურჟუაზიის უღლისაგან. აი რატომ არის ჩვენი სახელმწიფო თავისი ტიპით პროლეტარული სახელმწიფო, თუმცა ამ სახელმწიფოს აპარატში რამდენსაც გნებავთ იპოვით სისაძაგლესა და ძველი დროის ნაშთებს. მასში არსებული ბიუროკრატიული ნაშთებისათვის არავის არ ულანძღავს ეს აპარატი ისე მაგრად, როგორც ლენინს, რომელმაც ჩვენს საბჭოთა წყობილებას სახელმწიფოს პროლეტარული ტიპი უწოდა. მიუხედავად ამ გარემოებისა, ლენინი მუდამ იმეორებდა, რომ ჩვენი სახელმწიფო არის პროლეტარული სახელმწიფოს ახალი ტიპი. უნდა განვასხვავებდეთ სახელმწიფოს ტიპს იმ

მემკვიდრეობისა და ნაშთებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილა სახელმწიფოს სისტემასა და აპარატში. სწორედ ასევე აუცილებლად უნდა განვასხვავებდეთ სახელმწიფო საწარმოებში დარჩენილ ბიუროკრატიულ ნაშთებს მრეწველობის წყობის იმ ტიპისაგან, რომელსაც ჩვენში სოციალისტური ტიპი ეწოდება. არ შეიძლება ვთქვათ, რომ რადგანაც სამეურნეო ორგანოებში ან ტრესტებში ჯერ კიდევ არის შეცდომები, ბიუროკრატიზმი და სხვ., ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა სოციალისტური მრეწველობა არ არის. არ შეიძლება ასე ლაპარაკი. მაშინ ჩვენი სახელმწიფოც, რომელიც თავისი ტიპით პროლეტარული სახელმწიფოა, პროლეტარული არ იქნებოდა. მე შემიძლია დავასახელო მთელი რიგი ბურჟუაზიული აპარატები, რომლებიც უფრო უკეთ და უფრო მომჭირნეობით მუშაობენ, ვიდრე ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო აპარატი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი პროლეტარული არ არის, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი ტიპით ბურჟუაზიულზე მაღლა არა დგას. რატომ? იმიტომ, რომ ეს ბურჟუაზიული აპარატი თუმცა უკეთესად მუშაობს, მაგრამ იგი მუშაობს კაპიტალისტისათვის, ხოლო ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო აპარატი, ზოგჯერ კიდევაც თუ მოიკოჭლებს, მაინც პროლეტარიატის სასარგებლოდ, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშაობს.

არ შეიძლება დავივიწყოთ ეს პრინციპული განსხვავება.

იგივე უნდა ვთქვათ სახელმწიფო მრეწველობის შესახებ. არ შეიძლება შეუსაბამობათა და ბიუროკრატიზმის ნაშთების საფუძველზე, რომლებიც ჩვენი სახელმწიფო საწარმოების მმართველ ორგანოებშია და რომლებიც კიდევ იარსებებენ, არ შეიძლება ამ ნაშთებისა და ამ ნაკლოვანებების საფუძველზე დავივიწყოთ, რომ ჩვენი საწარმოები თავისი არსით სოციალისტურ საწარმოებს წარმოადგენენ. მაგალითად, ფორდის საწარმოებში, რომლებიც წესიერად

მუშაობენ, იქნებ ქურდობა ნაკლებიც არის, მაგრამ ისინი მაინც ფორდისათვის, კაპიტალისტისათვის მუშაობენ, ხოლო ჩვენი საწარმოები, სადაც ზოგჯერ ქურდობა არის ხოლმე და სადაც საქმე მუდამ როდი მიდის წესიერად, მაინც პროლეტარიატისათვის მუშაობენ.

არ შეიძლება დავივიწყოთ აი ეს პრინციპული განსხვავება.

გადავიდეთ ახლა ციფრებზე მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის შესახებ.

სოფლის მეურნეობა. მისი 1924/25 წლის საერთო პროდუქცია, თუ მის დონეს შევადარებთ ომამდელ დონეს, 1913 წლის დონეს, 71%-მდე გაიზარდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, 1913 წელს დამზადებულ იქნა 12 მილიარდ მანეთზე მეტის პროდუქცია ომამდელი ფასებით, ხოლო 1924/25 წელს დამზადებულ იქნა 9 მილიარდ მანეთზე მეტისა. მომავალი 1925/26 წლისათვის ნავარაუდევია, იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ჩვენს მგეგმავ ორგანოებს აქვთ, პროდუქციის შემდგომი აღმავლობა ავიყვანოთ 11 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. ომამდელი დონის 91%-მდე. სოფლის მეურნეობა იზრდება, — ეს დასკვნა ბუნებრივად გვებადება.

მრეწველობა. თუ ავიღებთ მთელ მრეწველობას, სახელმწიფო მრეწველობასაც, საკონცესიოსაც, კერძოსაც, 1913 წელს მთელი მრეწველობა იძლეოდა 7 მილიარდი მანეთის საერთო პროდუქციას, ხოლო 1924/25 წელს 5 მილიარდი მოგვცა. ეს შეადგენს ომამდელი ნორმის 71%-ს. ჩვენი მგეგმავი ორგანოები ვარაუდობენ, რომ შემდეგი წლისათვის წარმოება მიაღწევს 6½ მილიარდს, ე. ი. ეს შეადგენს ომამდელი ნორმის დაახლოებით 93%-ს. მრეწველობა იზრდება. წელს იგი უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე სოფლის მეურნეობა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ელექტროფიკაციის საკითხი. «გოელრო»-ს გეგმით 1921 წელს დასახული იყო 10 — 15 წლის განმავლობაში 800 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულებისა და 1 500 ათასი კილოვატის სიმძლავრის 30 ელექტროსადგურის აგება. ოქტომბრის რევოლუციამდე ელექტროსადგურების სიმძლავრე 402 ათას კილოვატს შეადგენდა. დღემდე ჩვენ ავაგეთ 152,35 ათასი კილოვატის სიმძლავრის სადგურები და დასახულია 1926 წელს 326 ათასი კილოვატის ამუშავება. თუ განვითარება ასეთი ტემპით წავა, 10 წლის განმავლობაში, ე. ი. დაახლოებით 1932 წლისათვის (მინიმალურად დასახული ვადა), სსრ კავშირის ელექტროფიკაციის გეგმა განხორციელდება. ელექტრომშენებლობის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს ზრდა ელექტრომრეწველობისა, რომლის 1925/26 წლის პროგრამა ნავარაუდევია იმისათვის, რომ ომამდელი დონის 165 — 170% შეადგინოს. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი ჰიდროელექტროსადგურების აგება იწვევს სახსრების დიდ გადახარჯვას დასახულ გეგმებთან შედარებით. მაგალითად, ვოლხოვმშენის თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვა შედგენილი იყო 24 300 ათასი «საორიენტაციო» მანეთის რაოდენობით, ხოლო 1925 წლის სექტემბრისათვის იგი გაიზარდა 95 200 ათას ჩერვონეცის მანეთამდე, რაც შეადგენს პირველი რიგის სადგურების ასაგებად დახარჯული სახსრების 59%-ს, როცა ვოლხოვმშენის სიმძლავრე ამ სადგურების სიმძლავრის 30%-ს უდრის. ზემო-ავჭალის სადგურის თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვა დასახული იყო 2 600 ათასი ოქროს მანეთის რაოდენობით, ხოლო უკანასკნელი მოთხოვნები შეადგენენ დაახლოებით 16 მილიონ ჩერვონეცის მანეთს, აქედან კი დაახლოებით 12 მილიონი უკვე დახარჯულია.

თუ ავიღებთ და ერთიმეორეს შევადარებთ, ასე თუ ისე გაერთიანებული, სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწვე-

ლობის წარმოებასა და კერძო მრეწველობის წარმოებას, აი რა გამოგვივა: 1923/24 წელს სახელმწიფო და კოოპერაციულ მრეწველობას სამრეწველო წარმოების მთელი ჯამიდან წლის განმავლობაში ჰქონდა 76,3%, კერძოს — 23,7%, 1924/25 წელს კი სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობის წილი შეადგენდა 79,3%-ს, ხოლო კერძო მრეწველობის წილი — უკვე არა 23,7%-ს, არამედ 20,7%-ს.

ამ პერიოდის განმავლობაში კერძო მრეწველობის ხვედრითი წონა დაეცა. ნავარაუდევია, რომ მომავალ წელს სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობის წილი იქნება დაახლოებით 80%, კერძო მრეწველობის წილი კი 20%-მდე შემცირდება. კერძო მრეწველობა აბსოლუტურად იზრდება, მაგრამ რადგანაც სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობა უფრო სწრაფად იზრდება, ამიტომ კერძო მრეწველობის ხვედრითი წონა პროგრესიულად ეცემა.

აი ფაქტი, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ და რომელიც იმას მოწმობს, რომ სოციალისტური მრეწველობა უდავოდ სჭარბობს კერძო მრეწველობას.

თუ ავიღებთ ქონებას, რომელიც თავმოყრილია სახელმწიფოს ხელში, და ქონებას, რომელიც ხელთ აქვთ კერძო მეპატრონეებს, გამოდის, რომ ამ დარგშიც, — მხედველობაში მაქვს სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები, — უპირატესობა პროლეტარული სახელმწიფოს მხარეზეა, ვინაიდან კაპიტალური ფონდები სახელმწიფოს აქვს არა ნაკლებ 11,7 მილიარდისა (ჩერვონეცის მანეთებით), ხოლო კერძო მფლობელებს, უმთავრესად გლეხურ მეურნეობებს, ფონდები ეკუთვნით არა უმეტეს, ვიდრე 7½ მილიარდისა.

ეს ფაქტია, რომელიც იმას მოწმობს, რომ განსაზოგადოებული ფონდების წილი მეტად მაღალია, და ეს წილი იზრდება განუსაზოგადოებელი სექტორის ქონების წილთან შედარებით.

და მაინც მთელ ჩვენს წყობილებას ჯერ კიდევ არ შეიძლება ეწოდოს არც კაპიტალისტური, არც სოციალისტური. მთელი ჩვენი წყობილება კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი წყობილებაა, — სადაც მაინც კიდევ ჭარბობს, პროდუქციის მოცულობის აზრით, კერძომფლობელური გლეხური წარმოება, მაგრამ სადაც სოციალისტური მრეწველობის წილი განუწყვეტლივ იზრდება. სოციალისტური მრეწველობის წილი ისე იზრდება, რომ ეს მრეწველობა, სარგებლობს რა თავისი კონცენტრირებულობით, სარგებლობს თავისი ორგანიზებულობით, სარგებლობს იმით, რომ ჩვენ გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურა, სარგებლობს იმით, რომ ტრანსპორტი სახელმწიფოს ხელშია, სარგებლობს იმით, რომ საკრედიტო სისტემა ჩვენია და ბანკები ჩვენია, სარგებლობს რა ყოველივე ამით, ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, რომლის წილიც სახალხო წარმოების მთელ მოცულობაში თანდათანობით იზრდება, ეს მრეწველობა, წინ რომ მიდის, იწყებს კერძო მრეწველობის დამორჩილებას, იგუებს მას და წინ მიუძღვის მეურნეობის ყველა დანარჩენ წყობას. ასეთია საერთოდ სოფლის ბედი, — იგი უნდა მიჰყვებოდეს ქალაქს, მსხვილ მრეწველობას.

აი ის ძირითადი დასკვნა, რომელსაც ვიღებთ, თუ დავაყენებთ ჩვენი წყობილების ხასიათის, ამ წყობილებაში სოციალისტური მრეწველობის წილის, კერძოკაპიტალისტური მრეწველობის წილის, ბოლოს, საერთო სახალხო მეურნეობაში წვრილი სასაქონლო, უმთავრესად გლეხური, წარმოების წილის საკითხს.

ორიოდე სიტყვა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ჩვენში იგი 4 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. თუ ომამდელი მანეთებით ავიღებთ, ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი, ომამდელი დროის სახელმწიფო ბიუჯეტთან შედარებით, სულ მცირე 71%-ს

შეადგენს. შემდეგ, თუ საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტის თანხას მივუმატებთ ადგილობრივი ბიუჯეტების თანხას, რამდენადაც ეს ბიუჯეტები შეიძლება გამოანგარიშებულ იქნას, მაშინ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენს სულ მცირე 74,6%-ს 1913 წელთან შედარებით. დამახასიათებელია ის, რომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემაში არასაგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე საგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონა. ყოველივე ესეც იმას მოწმობს, რომ ჩვენი მეურნეობა იზრდება და წინ მიდის.

იმ მოგების საკითხს, რომელიც გასულ წელს ჩვენი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისაგან მივიღეთ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვენ კაპიტალებით ღარიბი ქვეყანა ვართ, ქვეყანა, რომელიც არ იღებს დიდ სესხებს გარედან. ჩვენ ფხიზლად უნდა ვადევნებდეთ თვალს ჩვენს სამრეწველო, სავაჭრო საწარმოებს, ბანკებსა და კოოპერაციას, რათა ვიცოდეთ, თუ რა გვექნება ჩვენი მრეწველობის შემდგომი გაშლისათვის. 1923/24 წელს საკავშირო მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობამ და «გლავმეტალმა» მოგვცეს, ვგონებ, 142 მილიონამდე ჩერვონეცის მანეთი მოგება. აქედან 71 მილიონი გადარიცხულ იქნა ხაზინაში. 1924/25 წელს უკვე 315 მილიონი გვაქვს. აქედან გეგმით ნავარაუდევია 173 მილიონის გადარიცხვა ხაზინაში.

საკავშირო მნიშვნელობის სახელმწიფო ვაჭრობამ 1923/24 წელს მოგვცა დაახლოებით 37 მილიონი, აქედან 14 მილიონი ხაზინის შემოსავალში გადაირიცხა. 1925 წელს ნაკლები გვაქვს — 22 მილიონი, ფასების შემცირების პოლიტიკის გამო. ამ თანხიდან ხაზინის შემოსავალში გადარიცხება დაახლოებით 10 მილიონი.

საგარეო ვაჭრობის ხაზით 1923/24 წელს გვქონდა 26 მილიონ მანეთზე მეტი მოგება, აქედან დაახლოებით 17 მი-

ლიონი ხაზინის შემოსავალში გადაირიცხა. 1925 წელს საგარეო ვაჭრობა მოგვცემს ან, უფრო სწორად, მან უკვე მოგვცა 44 მილიონი. აქედან 29 მილიონი ხაზინის შემოსავალში გადაირიცხება.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამოანგარიშებით, 1923/24 წელს ბანკებმა მოგვცეს 46 მილიონი მოგება, აქედან 18 მილიონი ხაზინის შემოსავალში გადაირიცხა, 1924/25 წელს — 97 მილიონზე მეტი, საიდანაც 51 მილიონი ხაზინის შემოსავალში გადაირიცხა.

სამომხმარებლო კოოპერაციამ 1923/24 წელს მოგვცა 57 მილიონი მოგება, სასოფლო-სამეურნეომ — 4 მილიონი.

ციფრები, რომლებიც ეს არის მოვიყვანე, ცოტად თუ ბევრად შემცირებულია. თქვენ იცით — რატომ. თქვენ იცით, ჩვენში სამეურნეო ორგანოები როგორ გამოიანგარიშებენ ხოლმე იმ მოსაზრებით, რომ მეტი დაიტოვონ თავისთვის, საქმის გასაფართოებლად. თუ ეს ციფრები მცირედ გეჩვენებათ, ისინი კი მართლაც მცირეა, მხედველობაში მიიღეთ, რომ ისინი ცოტა შემცირებულია.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის შესახებ.

თუ მთელ ჩვენს 1913 წლის სავაჭრო ბრუნვას 100-ად მივიღებთ, აღმოჩნდება, რომ 1923/24 წელს ჩვენს საგარეო ვაჭრობაში მივაღწიეთ ომამდელი დონის 21%-ს, 1924/25 წელს — ომამდელი დონის 26%-ს. 1923/24 წელს ექსპორტი უდრიდა 522 მილიონ მანეთს; იმპორტი — 439 მილიონს; საერთო ბრუნვა — 961 მილიონს; აქტიური სალდო — 83 მილიონს. 1923/24 წელს აქტიური სავაჭრო ბალანსი გვქონდა. 1924/25 წელს ექსპორტი უდრიდა 564 მილიონს; იმპორტი — 708 მილიონს; საერთო ბრუნვა — 1 272 მილიონს; სალდო — მინუს 144 მილიონს. ეს წელი საგარეო ვაჭრობის ხაზით დავამთავრეთ 144-მილიონიანი პასიური ბალანსით.

ნება მიბოძეთ ერთხანს შევჩერდე ამაზე.

ჩვენში ხშირად მიდრეკილება აქვთ — გასული სამეურნეო წლის ეს პასიური სალდო ახსნან იმით, რომ ამ წელს, მოუსავლობის გამო, ბევრი პური შემოვიტანეთ. მაგრამ პური შემოვიტანეთ 83 მილიონისა, აქ კი მინუსი 144 მილიონი გამოდის. რას იწვევს ეს მინუსი? იმას, რომ, როდესაც ვყიდულობთ მეტს, ვიდრე ვყიდით, შემოგვაქვს მეტი, ვიდრე გაგვაქვს, ამით ჩვენ კითხვის ქვეშ ვაყენებთ ჩვენს ანგარიშსწორების ბალანსს და, მაშასადამე, ჩვენს ვალუტას. ჩვენ გვქონდა პარტიის XIII ყრილობის დირექტივა იმის შესახებ, რომ პარტია ცდილიყო აუცილებლად მიეღწია აქტიური სავაჭრო ბალანსისათვის [58]. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ყველამ, საბჭოთა ორგანოებმაც, ცენტრალურმა კომიტეტმაც, აქ მეტად უხეში შეცდომა დავუშვით, ჩვენთვის მოცემული დირექტივა რომ ვერ შევასრულეთ. მისი შესრულება ძნელი იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში, მიგვეღო გარკვეული აქტიური სალდო ერთგვარი დაძაბვით. ჩვენ ეს უხეში შეცდომა დავუშვით, და ყრილობამ იგი უნდა გამოასწოროს. თუმცა, ცენტრალური კომიტეტი თვითონ შეეცადა გამოესწორებინა იგი მიმდინარე წლის ნოემბერში სპეციალურ სხდომაზე, სადაც, გადასინჯა რა ჩვენი იმპორტისა და ექსპორტის ციფრები, მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მომავალი წლისათვის, — ჩვენ კი იქ ვსახავდით მომავალი წლის ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ძირითად ელემენტებს, — რომ მომავალი წლისათვის საგარეო ვაჭრობა დაგვემთავრებინა, სულ მცირე, 100-მილიონიანი აქტიური სალდოთი. ეს აუცილებელია. ეს აბსოლუტურად აუცილებელია ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, სადაც კაპიტალები ცოტაა, სადაც საზღვარგარეთიდან კაპიტალების შემოტანა არ ხდება ან მინიმალური რაოდენობით ხდება, და სადაც ანგარიშსწორების ბალანსი, მისი წონა-

სწორობა დაცული უნდა იქნას სავაჭრო ბალანსის ხარჯზე, იმისათვის, რომ ჩვენი ჩერვონეცის ვალუტა არ შეირყეს, და იმისათვის, რომ ვალუტის შენარჩუნებით შეგვეძლოს შევინარჩუნოთ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი გაშლის შესაძლებლობა. თქვენ ყველას გამოგიცდიათ, რას ნიშნავს მერყევი ვალუტა. ამ ბედუკუღმართ პუნქტს აღარ უნდა დავუბრუნდეთ, და საჭიროა მივიღოთ ყოველგვარი ზომა, რათა ძირშივე აღვკვეთოთ ყველა ის ფაქტორი, რასაც შეუძლია შემდეგში მიგვიყვანოს ისეთ პირობებამდე, რომლებსაც შეეძლებათ შეარყიონ ჩვენი ვალუტა.

ასეთია ციფრები და მოსაზრებანი მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის შესახებ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესახებ ცალ-ცალკე, მეურნეობის სხვა სახეთა მიმართ სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონის შესახებ და სოციალიზმის მშენებლობაში იმ ხელმძღვანელი იდეების შესახებ, რომლებზეც მე ვილაპარაკე და რომელთა ნიადაგზეც დგას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

2. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა

თუ შემდეგ ავიღებთ საკითხებს, რომლებიც ეხება უშუალოდ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას მათი ახლანდელი ურთიერთობისა და უახლოესი მომავლის ურთიერთობის მხრივ, ეს საკითხები შეიძლებოდა შემდეგი პუნქტებით განგვესაზღვრა.

პირველი. ჩვენ ჯერ კიდევ აგრარული ქვეყანა ვართ: სოფლის მეურნეობის პროდუქცია სჭარბობს მრეწველობის პროდუქციას. მრეწველობაში ძირითადი ის არის, რომ იგი უკვე მივიდა ომამდელი ნორმების ხაზღვრამდე, რომ მრეწველობაში შემდგომი ნაბიჯების გადადგმა ნიშნავს მის გაშ-

ლას ახალ ტექნიკურ ბაზაზე, ახალი მოწყობილობის გამოყენებით და ქარხნების ახალი მშენებლობის გაშლით. ეს საქმე მეტად ძნელია. ამ ზღურბლის გადალახვა, ყოველივე იმის მაქსიმალური გამოყენების პოლიტიკიდან, რაც მრეწველობაში გვქონდა, ისეთ პოლიტიკაზე გადასვლა, რომელიც გულისხმობს ახალ ტექნიკურ ბაზაზე, ქარხნების ახალი მშენებლობის ბაზაზე ახალი მრეწველობის აშენებას, ამ ზღურბლზე გადასვლა დიდ კაპიტალებს მოითხოვს. მაგრამ რადგან ჩვენში კაპიტალების ნაკლებობა მნიშვნელოვანია, ჩვენი მრეწველობის შემდგომი განვითარება, ალბათ, ისეთი სწრაფი ტემპით ვერ იწარმოებს, როგორითაც იგი დღემდე წარმოებდა.

ასეთი როდია საქმის ვითარება სოფლის მეურნეობაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა შესაძლებლობა, რაც სოფლის მეურნეობაში იფარება, მისი ახლანდელი ტექნიკური ბაზის დროს, უკვე ამოწურულია. სოფლის მეურნეობა, მრეწველობისაგან განსხვავებით, გარკვეულ ხანს შეიძლება სწრაფი ტემპით მიიწევდეს წინ ახლანდელი ტექნიკური ბაზის დროსაც. გლეხის კულტურულობის, წერა-კითხვის მცოდნეობის უბრალო ამაღლებასაც კი, ისეთ მარტივ საქმესაც კი, როგორიც თესლის გაწმენდაა, შეეძლო 10 — 15%-ით გაედიდებინა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია. აბა გამოიანგარიშეთ, რას ნიშნავს ეს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. აი ჯერ კიდევ რა შესაძლებლობანი იფარება მიწათმოქმედებაში. აი რატომ არის, რომ მიწათმოქმედების შემდგომ განვითარებას ჯერჯერობით არ ეღობება ისეთი ტექნიკური დაბრკოლებანი, როგორიც ჩვენს მრეწველობას ეღობება. ამიტომ მრეწველობის ბალანსსა და სოფლის მეურნეობის ბალანსს შორის შეუსაბამობა შემდეგშიც უახლოესი წლების მანძილზე კიდევ გაიზრდება იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობაში იფარება მთელი რიგი შინაგანი პოტენციალური შესაძლებლობანი,

რომლებიც ჯერ მთლიანად არ არის გამოყენებული და გამოყენებული უნდა იქნან უახლოეს წლებში.

როგორია ჩვენი ამოცანები ამ გარემოებასთან დაკავშირებით?

უწინარეს ყოვლისა ის, რომ რადაც უნდა დაგვიჯდეს განვავითაროთ ჩვენი მსხვილი სახელმწიფო მრეწველობა, დავძლიოთ ჩვენს წინაშე მდგომი სიძნელეები. ხოლო შემდეგ ის, რომ განვავითაროთ **ადგილობრივი** ტიპის საბჭოთა მრეწველობა. ამხანაგებო, ჩვენ არ შეგვიძლია მთელი ყურადღება მივაპყროთ მხოლოდ საკავშირო მრეწველობის განვითარებას, ვინაიდან საკავშირო მრეწველობას, ჩვენს ცენტრალიზებულ ტრესტებსა და სინდიკატებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ 140-მილიონიანი მოსახლეობის მთელი მრავალფეროვანი გემოვნება და მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება რომ შეგვეძლოს, ამისათვის საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ გაჩაღდეს ცხოვრება, სამრეწველო ცხოვრება ყოველ რაიონში, ყოველ ოკრუგში, ყოველ გუბერნიაში, ოლქში, ნაციონალურ რესპუბლიკაში. თუ ადგილებზე დაფარულ ძალებს არ ავამოქმედებთ სამეურნეო მშენებლობის ხაზით, თუ ყოველმხრივ არ დავეხმარებით ადგილობრივ მრეწველობას, დაწყებული რაიონებითა და ოკრუგებით, თუ არ ავამოქმედებთ მთელ ამ ძალებს, ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო მშენებლობის იმ საყოველთაო აღმავლობის მიღწევას, რომელზეც ლენინი ლაპარაკობდა. უამისოდ, ადგილების ინტერესებთან და სარგებლობასთან ცენტრის ინტერესებისა და სარგებლობის დაუკავშირებლად, ჩვენ ვერ გადავწყვეტთ მშენებლობითი ინიციატივის ამოქმედების პრობლემას, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სამეურნეო აღმავლობის პრობლემას, ქვეყნის უსწრაფესი ინდუსტრიალიზაციის პრობლემას.

მეორე. წინათ სათბობის დარგში იდგა საკითხი მისი ჭარბი წარმოებისა. ახლა ჩვენ ვუახლოვდებით სათბობის კრიზისის საკითხს, იმიტომ რომ ჩვენი მრეწველობა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე სათბობი. ჩვენ ვუახლოვდებით იმ დონეს, რომელზეც ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა ბურჟუაზიული წყობილების დროს, როცა სათბობი არ გვყოფნიდა და იძულებული ვიყავით შემოგვეტანა იგი. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოდის, რომ სათბობის ბალანსი არ შეესაბამება მრეწველობის ბალანსს, მის მოთხოვნილებებს. აქედან გამომდინარეობს ამოცანა ჩვენი სათბობის მეურნეობის გაძლიერებით განვითარებისა, მისი ტექნიკის გაუმჯობესებისა, რათა სათბობი დაეწიოს, შეეძლოს დაეწიოს მრეწველობის განვითარებას.

მესამე. არსებობს ერთგვარი შეუსაბამობა ლითონის ბალანსსა და მთელი სახალხო მეურნეობის ბალანსს შორის. თუ გამოვიანგარიშებთ ლითონის მინიმალურ მოთხოვნილებას და გამოვიანგარიშებთ ლითონის გამოშვების მაქსიმალურ შესაძლებლობას, ლითონი მთელ ათეულ მილიონობით მანეთისა გვაკლია. ასე შემდგომი წინსვლა ჩვენს მეურნეობას, მეტადრე ჩვენს მრეწველობას, არ შეუძლია. ამიტომ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ლითონი ჩვენი მრეწველობის საფუძველთა საფუძველია, და მისი ბალანსი შეფარდებული უნდა იქნას მრეწველობისა და ტრანსპორტის ბალანსთან.

მეოთხე. შეუსაბამობა ჩვენი კვალიფიციური მუშახელის ბალანსსა და ჩვენი მრეწველობის ბალანსს შორის. მთელი რიგი ციფრები გამოქვეყნებულია პრესაში, და მე მათ არ მოვიყვან, მხოლოდ ვიტყვი, რომ 1925/26 წლისათვის მთელ მრეწველობაში დამატებითი კვალიფიციური მუშა-ხელის მოთხოვნილება უდრის 433 ათას კაცს, ჩვენ კი შეგვიძლია მივცეთ ამ მოთხოვნილების მხოლოდ მეოთხედი.

მეხუთე. მე მინდოდა აღმენიშნა კიდევ ერთი ნაკლი და შეუსაბამობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რკინიგზებზე მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ნორმა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. მოძრავი შემადგენლობის მუშაობის მოთხოვნილება ისე დიდია, რომ მომავალ წელს იძულებული ვიქნებით ორთქლმავლები და ვაგონები გამოვიყენოთ შესაძლებლობის არა 100%-ით, არამედ 120—130%-ით. ამრიგად, გზათა სახალხო კომისარიატის ძირითადი კაპიტალი უზომოდ გაცვდება, და შეიძლება უახლოეს მომავალში კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, თუ გადამწყვეტ ზომებს არ მივიღებთ.

აი ყველა ის ნაკლი და შეუსაბამობა, რაც გვაქვს საერთოდ ჩვენი სახალხო მეურნეობის შიგნით, განსაკუთრებით მრეწველობის შიგნით, და რაც დაძლეული უნდა იქნას.

3. ვაჭრობის საკითხები

ნება მიბოძეთ ახლა ვაჭრობის საკითხებზე გადავიდე. ციფრები მოწმობენ, რომ ამ დარგშიც, ისევე როგორც მრეწველობის დარგში, სახელმწიფო საწყისის ხვედრითი წონის ზრდა კერძოკაპიტალისტურ საწყისთან შედარებით წინ მიდის. თუ ჩავთვლით, რომ შინავაჭრობის საერთო ბრუნვა საქონლის მანეთებით ომამდე 20 მილიარდს უდრიდა, გამოდის, რომ 1923/24 წელს ეს ბრუნვა უდრიდა 10 მილიარდს, ე. ი. ომამდელის 50%-ს, 1924/25 წელს უდრის 14 მილიარდს, ე. ი. 70%-ს. საშინაო ბრუნვის საერთო ზრდა უეჭველია. თუ ვილაპარაკებთ სახელმწიფოს წილზე ამ ბრუნვაში, გამოდის, რომ 1923/24 წელს სახელმწიფოს წილი უდრის მთელი სავაჭრო საშინაო ბრუნვის 45%-ს, კოოპერაციის წილი — 19%-ს, კერძო კაპიტალის წილი — 35%-ს. შემდგომ წელს კი, ე. ი. 1924/25 წელს, სახელმწიფოს წილი უდრიდა 50%-ს, კოოპერაციის წილი — 19%-ის ნაცვლად 24,7%-ს, კერძო კაპიტალის წილი კი — 35%-ის

ნაცვლად 24,9%-ს. კერძო კაპიტალის წილი საერთო ბრუნვაში ეცემა, სახელმწიფოს და კოოპერაციის წილი იზრდება. ბრუნვას ორ ნაწილად თუ გავყოფთ, ბითუმად და ცალობით ვაჭრობად, აქ იგივე ტენდენცია გვაქვს. ბითუმად ვაჭრობის დარგში 1923/24 წელს სახელმწიფო ვაჭრობის წილი უდრიდა მთელი ბრუნვის 62%-ზე მეტს, 1924/25 წელს — 68,9%-ს. ზრდა აშკარაა. კოოპერაციის დარგში ზრდა გვაქვს 15-დან 19%-მდე. კერძო ვაჭრობას ჰქონდა 21%, ახლა აქვს 11%. საცალო ვაჭრობის დარგში 1923/24 წელს სახელმწიფოს წილი უდრიდა 16%-ს, 1924/25 წელს— თითქმის 23%-ს. კოოპერაციის წილი საცალო ვაჭრობაში გასულ წელს უდრიდა 25,9%-ს, ხოლო 1924/25 წელს უდრის 32,9%-ს. ზრდა უეჭველია. კერძო კაპიტალის წილი კი საცალო ვაჭრობაში 1923/24 წელს უდრიდა 57%-ს, ახლა უდრის 44,3%-ს. საცალო ვაჭრობის დარგში ჩვენ აშკარად გადავაბიჯეთ ზღურბლს. საცალო ვაჭრობაში შარშან ჭარბობდა კერძო კაპიტალი, წელს ჭარბობენ სახელმწიფო და კოოპერაცია.

ნედლეულისა და პურის დამზადებაში სახელმწიფოს და კოოპერაციის მნიშვნელობის ზრდა შეადგენდა: ზეთოვანთა თესლეულის ხაზით 1924/25 წელს 65%-ს, სელის — 94%-ს, ბამბის — თითქმის 100%-ს, პურის ხაზით 1923/24 წელს — 75%-ს, 1924/25 წელს — 70%-ს. აქ ერთგვარი შემცირება გვაქვს. საერთოდ შინავაჭრობის დარგში სახელმწიფო და კოოპერაციულ საწყისთა ზრდა უეჭველია როგორც ბითუმად ვაჭრობის, ისე საცალო ვაჭრობის ხაზით.

თუ პურის დამზადების ხაზით სახელმწიფოს წილის პროცენტი ჭარბობს, მაგრამ მაინც ნაკლებად იზრდება, ვიდრე გასულ წელს, ეს მიგვითითებს იმ შეცდომებზე, რომლებიც პურის დამზადების დარგში იყო დაშვებული. საქმე ის არის, რომ შეცდომა დამზადების დარგში არა მარტო საბჭოთა ორგანოების შეცდომაა, არამედ ცენტრალური კო-

მიტეტისაც, ვინაიდან უკანასკნელს თვალყური უნდა ედევნებინა საბჭოთა ორგანოებისათვის, და იგი პასუხს აგებს ყველაფრისათვის, რაც საბჭოთა ორგანოებში ხდება. ეს შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ დაგეგმვის დროს ჩვენ არ გავითვალისწინეთ ის, რომ ბაზრის მდგომარეობა, დამზადების პირობები წელს რაღაც ახალია, განსაკუთრებული იმასთან შედარებით, რაც შარშან და შარშანწინ იყო. ეს წელიწადი პირველია, როცა ჩვენ პურის ბაზარზე გამოვედით ისე, რომ არ მიგვიღია ადმინისტრაციული ღონისძიებანი ძალის დასატანებლად, როცა ჩვენ გადასახადის სიმძიმე, საგადასახადო პრესი მინიმუმამდე დავიყვანეთ და როცა გლეხი და მთავრობის აგენტები პირისპირ შეხვდნენ ბაზარზე ერთმანეთს, როგორც თანასწორნი. აი ეს გარემოებანი არ გაუთვალისწინებიათ ჩვენს მგეგმავ ორგანოებს, რომლებმაც განიზრახეს 1926 წლის 1 იანვრისათვის დაემზადებინათ პურის მთელი წლიური დამზადების 70%. არ გაგვითვალისწინებია ის, რომ გლეხმაც იცის მანევრირება, რომ იგი თავის სავალუტო საქონელს — ხორბალს — ინახავს მომავლისათვის, ფასების შემდგომი გადიდების მოლოდინში და ამჯობინებს ბაზარზე გაიტანოს ჯერჯერობით სხვა, უფრო ნაკლები ღირებულების პურეული. ეს არ გაგვითვალისწინებია. ამასთან დაკავშირებით გარდაქმნილია დამზადების გეგმა და შემცირებულია პურის ექსპორტის გეგმა ისევე, როგორც სათანადოდ მცირდება იმპორტის გეგმა. წარმოებს გადასინჯვა ექსპორტ-იმპორტის გეგმისა, რომელმაც უნდა მოგვცეს მინიმუმ ასმილიონმანეთიანი აქტიური სალდო, მაგრამ რომელიც ჯერ საბოლოოდ არ არის შემუშავებული.

4. კლასები, მათი აქტივობა, მათი თანაფარდობა

ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის განვითარებას შედეგად მოჰყვა უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. მუშათა კლასის

დეკლასირება შორს მოვიტოვეთ. მუშათა კლასის აღდგენა და ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. აი ციფრები: 1924 წლის 1 აპრილისათვის, თუ ჩავთვლით ყველა მუშას, ყველა სახის მრეწველობაში, მათ შორის წვრილ მრეწველობაშიც, ჩავთვლით სეზონურ მუშებს, ჩავთვლით სოფლის მეურნეობის მუშებს, ჩვენში, შრომის სახალხო კომისარიატის ცნობების მიხედვით, იყო 5 500 ათასი მუშა, აქედან 1 მილიონი მოჯამაგირე და 760 ათასი უმუშევარი. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშა უკვე იყო 7 მილიონზე მეტი, აქედან 1 200 ათასი მოჯამაგირე და 715 ათასი უმუშევარი. მუშათა კლასის ზრდა უეჭველია.

მუშების საშუალო თვიური ხელფასი ჩერვონეცის მანეთობით მთელ მრეწველობაში 1925 წლის აპრილში ერთ მუშაზე შეადგენდა 35 მანეთს, ანუ ომამდელი ხელფასის 62%-ს. 1925 წლის სექტემბრისათვის — 50 მანეთს, ანუ ომამდელის 88,5%-ს. არის ცალკე დარგები, რომლებმაც გადააჭარბეს ომამდელ დონეს. საშუალო დღიური რეალური ხელფასი საქონლის მანეთობით თითო მუშაზე 1925 წლის აპრილში შეადგენდა 0,88 მანეთს, 1925 წლის სექტემბერში — 1 მანეთსა და 21 კაპიკს. საშუალო გამომუშავება თითო ნამუშევარ კაც-დღეზე ომამდელი მანეთობით მთელ მრეწველობაში 1924 წლის აპრილისათვის შეადგენდა 4,18-ს, ხოლო 1925 წელს — 6,14-ს, ე. ი. ომამდელის 85%-ს. თუ ავიღებთ ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების თანაფარდობას თვეობით, ისე გამოდის, რომ ისინი ორ მწკრივად მიდიან: იზრდება ხელფასი, იზრდება შრომის ნაყოფიერებაც. მაგრამ ივნისსა და ივლისში ხელფასი მაღლა იწევს, ხოლო შრომის ნაყოფიერება უფრო ნაკლებ იზრდება, ვიდრე ხელფასი. ეს აიხსნება შვებულებებით და იმით, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა ახალი ფენები — ნახევრად-გლეხები მოვიდნენ.

ახლა **ხელფასის** ფონდების შესახებ. ხელფასის ფონდები, შრომის სახალხო კომისარიატის ცნობებით (მხედველობაში მაქვს მრეწველობა, სხვა დარგებს არ ვეხები), 1923/24 წელს შეადგენდნენ 808 მილიონს, 1924/25 წელს — 1 200 მილიონზე მეტს, 1925/26 წელს ნავარაუდევია 1 700 მილიონი მანეთი.

მე არ ვილაპარაკებ, ამხანაგებო, თუ რა საჭიროებას ხმარდება **სოციალური დაზღვევის** ფონდები, ეს ყველასათვის ცნობილია. ნება მიბოძეთ დავასახელო ერთი საერთო ციფრი, რათა შესაძლებლობა მოგცეთ გაერკვეთ იმ საკითხში, თუ რამდენს ხარჯავს პროლეტარული სახელმწიფო მუშათა დაზღვევის საქმისათვის. დაზღვეულთა საერთო რიცხვი 1924/25 წელს 6 700 ათასია, 1925/26 წელს ნავარაუდევია 7 მილიონი. ხელფასის საშუალო ანარიცხი 1924/25 წელს არის 14,6%, 1925/26 წელს ნავარაუდევია ხელფასის 13,84%. თუ საერთო ჯამით გამოვხატავთ, 1924/25 წელს ამ საქმისათვის გადადებული იყო 422 მილიონი, ხოლო 1925/26 წელს ნავარაუდევია 588 მილიონი. იქნებ ზედმეტი არ იყოს გაუწყოთ, რომ შარშან განსაზღვრული ფონდიდან სოციალური დაზღვევის სალაროებში დარჩა გარკვეული თანხა, რომელიც 71 მილიონ მანეთს უდრის.

გლეხობის ხაზით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდება, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა არ დამჩნეოდა გლეხური მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენი მგეგმავი ორგანოების ცნობებით გამოდის, რომ გლეხური მოსახლეობის პირადი მოხმარება, ამ მოხმარების ზრდის პროცენტი უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქის მოსახლეობის მოხმარების ზრდის პროცენტი. გლეხი ახლა უკეთესად იკვებება, და ის თავის წარმოებაში, თავისი პირადი მოხმარებისათვის გაცილებით მეტ წილს იტოვებს, ვიდრე ეს გასულ წელს იყო.

რაში გამოიხატა პროლეტარული სახელმწიფოს მხრივ ღარიბთა მეურნეობების დახმარება, მოუსავლობით დაზარალებულთა დახმარება? ფინანსთა სახალხო კომისარიატი განსაზღვრავს, რომ 1924/25 წელს ღარიბი გლეხებისათვის გაწეული ფინანსური დახმარება საორიენტაციო ციფრით, რომელიც სავსებით ზუსტი არ არის, შეადგენს 100 — 105 მილიონ მანეთს, აქედან საგადასახადო და სადაზღვევო შეღავათებია დაახლოებით 60 მილიონი მანეთი, შემდეგ მოუსავლობის შედეგებთან ბრძოლის ფონდიდან — 24 მილიონი მანეთი, კრედიტის ხაზით — 12 მილიონი მანეთი. 1924 წელს მოუსავლობით დაზარალებულთათვის გაწეული დახმარება მოიცავს რაიონს 7 მილიონზე მეტი მოსახლეობით. ამ ხაზით დახარჯულია სულ 108 — 110 მილიონი მანეთი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან — 71 მილიონი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბანკო დაწესებულებების სახსრებიდან — 38 მილიონი. გარდა ამისა, შექმნილია 77-მილიონიანი ფონდი გვალვასთან საბრძოლველად. ამაში გამოიხატა პროლეტარული სახელმწიფოს დახმარება გლეხობის ხელმოკლე ფენებისადმი, დახმარება, რომელიც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, მაგრამ მაინც ისეთია, რის შესახებაც ღირს ორიოდე სიტყვა ითქვას.

მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ის ძირითადი წინაპირობებია, ურომლისოდაც შეუძლებელია წინსვლა ჩვენი მშენებლობის დარგში. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს წინაპირობები უკვე გვაქვს.

რამდენიმე სიტყვა მასების აქტივობის გაძლიერების შესახებ. ძირითადი ჩვენს საშინაო მდგომარეობაში, ის, რაც თვალში გეცემა და რასაც ვერანაირად ვერ აუვლი გვერდს, — ის არის, რომ მუშებისა და გლეხების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გაიზარდა მათი პოლიტიკური აქტივობა, ისინი ახლა

უფრო კრიტიკულად ეკიდებიან ჩვენს ნაკლოვანებებს, უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ შეცდომებზე ჩვენს პრაქტიკაში. ჩვენ შევედით ყველა კლასისა და ყველა სოციალური დაჯგუფების გამოცოცხლების ხანაში. გამოცოცხლდა მუშათა კლასი, გამოცოცხლდა გლეხობა და ყველა მისი დაჯგუფება, გამოცოცხლდა ახალი ბურჟუაზიაც, მისი აგენტები სოფლად (კულაკები), მისი წარმომადგენლები ინტელიგენციაში. ეს ფაქტი გახდა საფუძველი იმ შემობრუნებისა ჩვენს პოლიტიკაში, რომლის გამოხატულებასაც XIV პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ. საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა, კოოპერაციის, პროფკავშირების გამოცოცხლების პოლიტიკა, გლეხობისადმი დათმობანი იჯარისა და დაქირავებული შრომის საკითხთა დაზუსტების აზრით, ღარიბი გლეხობისადმი მატერიალური დახმარება, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა, სამხედრო კომუნიზმის ნაშთების ლიკვიდაცია, — აი, უმთავრესად, რაში გამოიხატა პარტიის ახალი კურსი სოფლად. რა გვქონდა სოფლად გასული წლის დამლევს და მიმდინარე წლის დამდეგს, ეს თქვენ კარგად იცით, გლეხობაში იზრდებოდა საერთო უკმაყოფილება, ხოლო აქა-იქ აჯანყების ცდებიც კი იყო. აი ის გარემოებანი, რომლებმაც განსაზღვრეს პარტიის ახალი კურსი სოფლად.

ასეთია საფუძვლები პარტიული პოლიტიკისა გლეხობის მიმართ მასების აქტივობის გაძლიერებისა და მათი ორგანიზაციის გამოცოცხლების პერიოდში, პოლიტიკისა, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოვაწესრიგოთ ურთიერთობა სოფლად, გავზარდოთ იქ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ავტორიტეტი და უზრუნველვყოთ პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან.

თქვენ იცით, რომ ამ პოლიტიკამ მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება.

5. ლენინის სამი ლოზუნგი გლეხობის საკითხში

სწორად მოვიქეცით თუ არა, გეზი ხაშუალო გლეხზე რომ ავიღეთ? როგორია ახალი კურსის პრინციპული მხარის საქმის ვითარება? ხომ არა გვაქვს ლენინის რაიმე მითითება ამის შესახებ?

ამბობენ, რომ კომინტერნის II კონგრესზე გლეხობის საკითხის გამო მიღებულია რეზოლუცია, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლის ეპოქაში პროლეტარიატის მოკავშირე შეიძლება იყოს მხოლოდ დარიბი გლეხობა, რომ საშუალო გლეხი შეიძლება მხოლოდ ნეიტრალიზებულ იქნასო. ხწორია თუ არა ეს? სწორია. ლენინი ამ რეზოლუციას რომ წერდა[59], მას მხედველობაში ჰქონდა პარტიები, რომლებიც ძალაუფლებისაკენ მიიწევენ. ჩვენ კი ისეთი პარტია ვართ, რომელმაც უკვე მოიპოვა ძალაუფლება. აი რაშია განსხვავება. გლეხობის საკითხში, გლეხობასთან ან გლეხობის ცალკე ფენებთან მუშების კავშირის საკითხში ლენინიზმს აქვს სამი ძირითადი ლოზუნგი, რომლებიც რევოლუციის სამ პერიოდს შეესაბამება. მთელი საკითხი ის არის, სწორად შევამჩნიოთ ერთი ლოზუნგიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე გადასვლის დრო.

წინათ, როცა ჩვენ ბურჟუაზიული რევოლუციისაკენ მივდიოდით, როცა ჩვენ, ბოლშევიკებმა, პირველად მოვხაზეთ ჩვენი ტაქტიკა გლეხობის მიმართ, ლენინი ამბობდა: კავშირი **მთელ** გლეხობასთან მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ, კადეტური ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობით. ამ ლოზუნგით მივდიოდით მაშინ ბურჟუაზიული რევოლუციისაკენ, და ჩვენ გავიმარჯვეთ. ეს ჩვენი რევოლუციის პირველი ეტაპი იყო.

შემდეგ, როცა ჩვენ მეორე ეტაპთან, ოქტომბერთან მივედით, ლენინმა მოგვცა ახალი ლოზუნგი, რომელიც ახალ ვითარებას შეესაბამებოდა: პროლეტარიატის კავშირი **სოფლის ღარიბ გლეხობასთან** ყველა ბურჟუას წინააღმდეგ, საშუალო გლეხობის **ნეიტრალიზაციის** პირობით. ეს არის ლოზუნგი, რაც საჭიროა კომუნისტური პარტიებისათვის, რომლებიც ძალაუფლებისაკენ მიიწევენ. და მაშინაც კი, როცა ისინი ძალაუფლებას იბყრობენ, მაგრამ ძალაუფლება ჯერ არ განუმტკიცებიათ, მათ არ შეუძლიათ ჰქონდეთ საშუალო გლეხთან კავშირის იმედი. საშუალო გლეხი ისეთი ადამიანია, რომელიც ვითარებას აკვირდება და ელის. იგი უყურებს, ვინ გაიმარჯვებს, მოლოდინშია, და მხოლოდ მაშინ, როცა შენ გაიმარჯვე და მემამულეები და ბურჟუები გარეკე, იგი თანხმდება შენთან კავშირს. ამიტომაც არის იგი საშუალო გლეხი. მაშასადამე, ჩვენი რევოლუციის მეორე ეტაპზე ჩვენ უკვე მივდიოდით არა **მთელ** გლეხობასთან მუშების კავშირის ლოზუნგით, არამედ **უღარიბეს** გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის ლოზუნგით.

შემდეგ კი? შემდეგ, როცა ხელისუფლება საკმაოდ განვამტკიცეთ, მოვიგერიეთ იმპერიალისტთა იერიშები და ფართო სოციალისტური მშენებლობის ხანაში შევედით, ლენინმა წამოაყენა მესამე ლოზუნგი — საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის **მტკიცე კავშირის** ლოზუნგი. ეს ლოზუნგი ერთადერთი სწორი ლოზუნგია, რომელიც შეესაბამება ჩვენი რევოლუციის ახალ პერიოდს, ფართო მშენებლობის პერიოდს. იგი სწორია არა მარტო იმიტომ, რომ ახლა შეიძლება იმედს ვამყარებდეთ კავშირზე, არამედ იმიტომაც, რომ სოციალიზმის მშენებლობის დროს ჩვენ მოგვიხდება არა მარტო მილიონობით, არამედ ათეულმილიონობით სოფლელ ადამიანთან გვქონდეს საქმე. სხვანაირად სოციალიზმის შენება არ შეიძ-

ლება. სოციალიზმი მარტო ქალაქს კი არ ეხება. სოციალიზმი მეურნეობის ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს მრეწველობასა და მიწათმოქმედებას წარმოების საშუალებებისა და იარაღების განსაზოგადოების საფუძველზე. მეურნეობის ამ ორი დარგის გაუერთიანებლად სოციალიზმი შეუძლებელია.

ასეთია საქმის ვითარება გლეხობასთან კავშირის შესახებ ლენინიზმის ლოზუნგების მხრივ.

ის, რაც ლენინმა კომინტერნის II კონგრესზე თქვა, აბსოლუტურად სწორია, ვინაიდან, როცა ძალაუფლებისაკენ მიიწევ ან ჯერ კიდევ ვერ განგიმტკიცებია დაპყრობილი ძალაუფლება, შეიძლება იმედს ამყარებდე მხოლოდ ღარიბ გლეხობასთან კავშირზე, საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პირობით. მაგრამ როცა განმტკიცდი, ძალაუფლება დაიპყარი, შენება დაიწყე და როცა უკვე ათეულმილიონობით ადამიანებს უნდა უხელმძღვანელო, ერთად ერთი სწორი ლოზუნგია პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხებთან.

ეს გადასვლა «ღარიბ გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის» ძველი ლოზუნგიდან, საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის ძველი ლოზუნგიდან, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის ლოზუნგზე მოხდა ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ VIII ყრილობაზე. ნება მიბოძეთ მოვიყვანო ადგილი ამ ყრილობის გახსნის დროს ილიჩის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან. აი იგი:

«ძველი დროის სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები, — როცა მათ ჯერ კიდევ სწამდათ რევოლუცია და თეორიულად და იდეურად ემსახურებოდნენ მას, — ლაპარაკობდნენ გლეხობის **ნეიტრალიზაციაზე**, ე. ი. იმაზე, რომ საშუალო გლეხობა გადაექციათ ისეთ საზოგადოებრივ ფენად, რომელიც, თუ აქტიურად არ დაეხმარებოდა პროლეტარიატის რევოლუციას, ყოველ შემთხვევაში, ხელს მაინც არ შეუშლიდა მას, ნეიტრალური იქნებოდა, არ დადგებოდა ჩვენი მტრების მხარეზე. ამოცანის ეს განყენებული, თეორიული დასმა

ჩვენთვის სავსებით ნათელია. **მაგრამ იგი საკმარისი არ არის.** ჩვენ შევედით **სოციალისტური მშენებლობის** ისეთ **სტადიაში, როცა საჭიროა** კონკრეტულად, დეტალურად შევიმუშაოთ სოფლად მუშაობის გამოცდილებით შემოწმებული ძირითადი წესები და მითითებანი, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისათვის, რომ **საშუალო გლეხის მიმართ მტკიცე კავშირის ნიადაგზე დავდგეთ»** *.

ასეთია თეორიული საფუძველი პარტიის პოლიტიკისა, რომელიც ახლანდელ ისტორიულ ხანაში ნავარაუდევია საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირისათვის.

ვინც ფიქრობს კომინტერნის II კონგრესის რეზოლუციით, რომელიც ლენინის მიერ არის დაწერილი, უარყოს ლენინის ეს სიტყვები, — დაე პირდაპირ თქვას.

ასე დგას საკითხი თეორიულად. ჩვენ ვიღებთ ლენინის მოძღვრების არა ცალკე ნაწილს, არამედ მოძღვრებას მთლიანად. ლენინს ჰქონდა სამი ლოზუნგი გლეხობის შესახებ: ერთი — ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, მეორე — ოქტომბრის რევოლუციის დროს და მესამე — საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ. ვინც ფიქრობს ამ სამი ლოზუნგის შეცვლას რომელიმე ერთი საერთო ლოზუნგით, ის უაღრესად უხეშ შეცდომას უშვებს.

ასე დგას საკითხი თეორიულად. ხოლო პრაქტიკულად იგი დგას ისე, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვახდინეთ ოქტომბრის რევოლუცია, განვდევნეთ მემამულეები და გლეხებს მიწა დავურიგეთ, ცხადია, რუსეთი მეტ-ნაკლებად საშუალო-გლეხური გავხადეთ, როგორც ლენინი ამბობს, და ახლა საშუალო გლეხი სოფლად უმრავლესობას შეადგენს, მიუხედავად დიფერენციაციის პროცესისა.

დიფერენციაცია, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, დღევანდელ სტადიაში, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. მაგრამ ეს დიფერენცია-

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. **ი. სტ.**

ცია ნელა მიმდინარეობს. ამას წინათ წავიკითხე ერთი სახელმძღვანელო, რომელიც ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მიერაც კი უნდა იყოს გამოცემული, და მეორე სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია, თუ არ ვცდები, ლენინგრადის ორგანიზაციის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მიერ. ამ სახელმძღვანელოებს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ მეფის დროს ღარიბი გლეხობა ჩვენში იყო რაღაც 60%-მდე, ახლა კი იგი ჩვენში 75%-ს შეადგენს; მეფის დროს კულაკები იყვნენ რაღაც 5%-მდე, ახლა კი ისინი ჩვენში 8 თუ 12%-ს შეადგენენ; მეფის დროს საშუალო გლეხები იყვნენ ამდენი და ამდენი, ახლა ნაკლები არიან. არ მინდა მაგარი სიტყვები ვიხმარო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ციფრები კონტრრევოლუციაზე უარესია. როგორ შეუძლია ადამიანს, რომელიც მარქსისტულად ფიქრობს, ასეთი ოინი ჩაიდინოს, თანაც დაბეჭდოს, ისიც სახელმძღვანელოში? როგორც ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, მეც პასუხისმგებელი ვარ, რა თქმა უნდა, ამ უმაგალითო დაუდევრობისათვის. თუ მეფის დროს ტარდებოდა კულაკის დანერგვის პოლიტიკა, არსებობდა მიწის კერძო საკუთრება, არსებობდა მიწის მობილიზაცია (რაც განსაკუთრებით ამწვავებს დიფერენციაციას), თუ მთავრობა ისეთი იყო, რომ მთელი ძალ-ღონით აჩქარებდა დიფერენციაციას, და ღარიბი გლეხობა მაინც 60%-ზე მეტი არ იყო, როგორ მოხდა, რომ ჩვენი მთავრობის, საბჭოთა მთავრობის დროს, როცა მიწის კერძო საკუთრება არ არის, ე. ი. მიწა ამოღებულია მიმოქცევიდან, მაშასადამე, არსებობს ეს დაბრკოლება დიფერენციაციის წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც განკულაკებას ორ წელიწადს ვეწეოდით, როცა განკულაკების ყველა მეთოდისაგან დღემდე კიდევ არ განვთავისუფლებულვართ, როცა ჩვენ ვახორციელებთ გან-

საკუთრებულ საკრედიტო და კოოპერაციულ პოლიტიკას, რომელიც დიფერენციაციას ხელს არ უწყობს, — როგორ მოხდა, რომ ასეთ დაბრკოლებათა დროს ჩვენში თითქოს გაცილებით უფრო მეტი დიფერენციაცია აღმოჩნდა, ვიდრე მეფის დროს, გაცილებით მეტი კულაკები და ღარიბი გლეხები აღმოჩნდნენ, ვიდრე წარსულში? როგორ შეუძლიათ ასეთი უგვანო სისულელის ჩმახვა ადამიანებს, რომლებიც თავს მარქსისტებს უწოდებენ? ეს ხომ პირდაპირ სასაცილოა, სამწუხაროა, სავალალოა. (ს ი ც ი ლ ი).

იგივე შეიძლება ითქვას ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პურისა და ფურაჟის ბედუკუღმართი ბალანსის შესახებ, რომელიც მოცემული იყო ივნისში და რომლითაც გამოდიოდა, რომ ჭარბი სასაქონლო პროდუქცია შეძლებულ გლეხებს აღმოაჩნდათ თითქოს 61%, ღარიბებს—არაფერი, ხოლო საშუალო გლეხებს — დანარჩენი პროცენტები. სასაცილო აქ ის არის, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოიტანა სხვა ციფრი: არა 61%, არამედ 52%. ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოგვცა ციფრი უკვე არა 52%, არამედ 42%. აბა, განა შეიძლება ასე გამოანგარიშება? ჩვენ გვწამს, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მეცნიერების ციტადელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ციფრების უქონლად არც ერთ მმართველ ორგანოს არ შეუძლია გაანგარიშება და დაგეგმვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო უნდა იძლეოდეს ყოველივე წინასწარ აკვიატებული აზრისაგან თავისუფალ ობიექტურ ცნობებს, ვინაიდან ამა თუ იმ წინასწარ აკვიატებული აზრისათვის ციფრის შეგუების ცდა სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულია. მაგრამ როგორ შეგვიძლია ამის შემდეგ ვერწ-

მუნოთ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ციფრებს, თუ იგი თვითონ აღარ უჯერის თავის ციფრებს?

მოკლედ. ვინაიდან ჩვენ აგრარული რევოლუციის შედეგად სოფელი საშუალო-გლეხურ სოფლად გადავაქციეთ, ვინაიდან საშუალო გლეხი სოფლად უმრავლესობას შეადგენს, მიუხედავად დიფერენციაციის პროცესისა, ხოლო ჩვენი ალმშენებლობითი მუშაობა და ლენინის კოოპერაციული გეგმა მოითხოვენ ამ საქმეში გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმას, საშუალო გლეხთან კავშირის პოლიტიკა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ერთადერთ სწორ პოლიტიკას წარმოადგენს.

ასეთია საკითხის პრაქტიკული მხარე.

ნახეთ, როგორ აყალიბებდა ლენინი ჩვენს ამოცანებს, როცა ასაბუთებდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. თვალწინ მიდევს ლენინის მიერ დაწერილი პროექტი ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ», სადაც იგი ნათლად და გარკვევით იძლევა ძირითად სახელმძღვანელო გეზს.

«ახლა **მთავარი, ძირითადი** ხდება (გახდა) პროდუქტების რაოდენობის გადიდება... მაშასადამე: «გეზის აღება» საშუალო გლეხზე მიწათმოქმედებაში.

გამრჯელი გლეხი როგორც ჩვენი სამეურნეო აღმავლობის «ცენტრალური ფიგურა»» (იხ. ტ. XXVI, გვ. 312 — 313).

მაშასადამე, მიწათმოქმედებაში გეზის აღება საშუალო გლეხზე, გამრჯელი გლეხი — როგორც ჩვენი სამეურნეო აღმავლობის ცენტრალური ფიგურა. ასე წერდა ამხანაგი ლენინი 1921 წელს.

აი სწორედ ეს იდეა, ამხანაგებო, დაედო საფუძვლად იმ გადაწყვეტილებებს და გლეხობისადმი იმ დათმობებს, რომლებიც ჩვენი პარტიის XIV, აპრილის კონფერენციაზე მივიღეთ.

რა დამოკიდებულება აქვთ XIV, აპრილის პარტიული კონფერენციის რეზოლუციებს იმ რეზოლუციასთან ღარიბ გლეხობაში მუშაობის შესახებ, რომელიც ცენტრალურმა

კომიტეტმა ერთხმად მიიღო ოქტომბერში [61], ისევე როგორც მან ერთხმად მიიღო XIV კონფერენციის რეზოლუციები? ძირითადი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე იდგა, ის იყო, რომ არ ჩაგვეშლევინებინა ის პოლიტიკა, რომელიც აპრილის კონფერენციაზე შევიმუშავეთ, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა, არ ჩაგვეშლევინებინა ეს პოლიტიკა, ვინაიდან ჩვენს პარტიაში თავი იჩინა განწყობილებამ, რომელსაც მიაჩნდა, რომ საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა არასწორი ან მიუღებელია. თავი იჩინა აგრეთვე განწყობილებამ, რომ საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა ვითომ ნიშნავს ღარიბი გლეხობის დავიწყებას, ვითომ ვიღაც ცდილობს ღარიბი გლეხობისათვის გვერდის ავლით მოაწყოს მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან. ეს სისულელეა, ამხანაგებო, მაგრამ ეს ფაქტია, ვინაიდან ასეთი განწყობილება იყო. ახალ რამეს შეადგენდა თუ არა ღარიბი გლეხობის საკითხი ჩვენთვის, როცა ოქტომბრის პლენუმზე ვიკრიბებოდით? რა თქმა უნდა, არა. ვიდრე ღარიბი გლეხობა არსებობს, კავშირი უნდა გვქონდეს ღარიბ გლეხობასთან. ეს ჩვენთვის ცნობილია ჯერ კიდევ 1903 წლიდან, როცა პირველად გამოქვეყნდა ლენინის ბროშურა «სოფლის ღარიბებს» [62]. მარქსისტები იმიტომა ვართ, კომუნისტები იმიტომა ვართ, რომ სოფლად ღარიბ გლეხობას დავეყრდნოთ. აბა სხვას ვის უნდა დავეყრდნოთ? ეს საკითხი ახალი არ არის, არც აპრილში, არც ოქტომბერში, არც კონფერენციაზე, არც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იგი ჩვენთვის ახალს არაფერს შეადგენდა და არც შეიძლებოდა ახალი ყოფილიყო. თუ ღარიბი გლეხობის საკითხი მაინც წამოიჭრა, იგი წამოიჭრა იმ გამოცდილებასთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოების არჩევნების დროს დაგვიგროვდა. რა აღმოჩნდა? საბჭოები

გამოვაცოცხლეთ. დავიწყეთ საბჭოთა დემოკრატიის დანერგვა. მაგრამ რისთვის? საბჭოთა დემოკრატია — ეს ხომ მუშათა კლასის ხელმძღვანელობას ნიშნავს. ხომ არავითარ საბჭოთა დემოკრატიას არ შეიძლება ნამდვილი საბჭოთა და ნამდვილი პროლეტარული დემოკრატია ეწოდოს, თუ იქ არ არის პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობა. მაგრამ რას ნიშნავს საბჭოთა დემოკრატია პროლეტარიატის ხელმძღვანელობის დროს? ეს ნიშნავს, რომ პროლეტარიატს სოფლად თავისი აგენტები უნდა ჰყავდეს. ვინ უნდა იყვნენ ეს აგენტები? ღარიბი გლეხობის წარმომადგენლები. ხოლო რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ღარიბი გლეხობა, როცა საბჭოები გამოვაცოცხლეთ? უაღრესად დაჭუცმაცებულ, უაღრესად დაქსაქსულ მდგომარეობაში. არა მარტო ღარიბი გლეხობის ზოგიერთ ელემენტს, არამედ ზოგიერთ კომუნისტსაც მოეჩვენა, რომ განკულაკებასა და ადმინისტრაციულ იძულებაზე ხელის აღება ნიშნავს ღარიბ გლეხობაზე ხელის აღებას, მისი ინტერესების დავიწყებას. და ნაცვლად იმისა, რომ კულაკობასთან ორგანიზებული ბრძოლა დაეწყოთ, ულირს წუწუნს მოჰყვნენ.

რა უნდა გვექნა, რომ დაგვეძლია ეს განწყობილება? ჯერ-ერთი, უნდა შეგვესრულებინა ის ამოცანა, რომელიც პარტიას XIV პარტიულმა კონფერენციამ დაუსახა, ე. ი. განგვესაზღვრა ღარიბი გლეხობისათვის მატერიალური დახმარების გაწევის პირობები, საშუალებანი და ღონისძიებანი. მეორეც, უნდა წამოგვეყენებინა ლოზუნგი ღარიბი გლეხობის განსაკუთრებული ჯგუფების ან ფრაქციების შექმნისა აშკარა პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად საბჭოების არჩევნების დროს, კოოპერაციაში არჩევნების დროს და სხვ. საშუალო გლეხის მოზიდვისა და კულაკის იზოლაციისათვის.

ეს გააკეთა კიდევაც ამხ. მოლოტოვმა ცენტრალური კომიტეტის სასოფლო კომისიაში თავისი სამი თვის მუშაობის შედეგად შედგენილი თეზისებით ღარიბ გლეხობაში მუშაობის შესახებ; ეს თეზისები ერთხმად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა.

როგორც ხედავთ, ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის რეზოლუცია XIV კონფერენციის გადაწყვეტილებათა პირდაპირი გაგრძელებაა.

ჯერ-ერთი, საჭირო იყო მატერიალური დახმარების საკითხი კონკრეტულად დაგვეყენებინა, რათა გაგვეუმჯობესებინა ღარიბი გლეხობის მატერიალური მდგომარეობა, და, მეორეც, საჭირო იყო წამოგვეყენებინა ლოზუნგი ღარიბი გლეხობის დარაზმვის შესახებ. ეს არის ის ახალი, რაც მთლიანად ამხ. მოლოტოვს ეკუთვნის, ეს მისი იდეაა — ღარიბი გლეხობის ჯგუფების შექმნის ლოზუნგი.

რისთვის გახდა საჭირო ღარიბი გლეხობის ჯგუფების შექმნის ლოზუნგი? იგი იმისათვის გახდა საჭირო, რომ აღმოგვეფხვრა ღარიბი გლეხობის დაქსაქსულობა და შესაძლებლობა მიგვეცა მისთვის — კომუნისტების დახმარებით დარაზმულიყო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად, რომელსაც შეეძლებოდა ყოფილიყო პროლეტარიატის ორგანიზებული დასაყრდენი სოფლად კულაკის წინააღმდეგ ბრძოლაში, საშუალო გლეხობისათვის ბრძოლაში. ღარიბი გლეხობა ჯერ კიდევ გამსჭვალულია კმაყოფაზე მყოფის ფსიქოლოგიით, იგი იმედს ამყარებს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოზე, უფროსებზე, რაზეც გნებავთ, ოღონდ არა საკუთარ თავზე, არა თავის ძალაზე. აი ეს პასიურობა და კმაყოფაზე მყოფის ფსიქოლოგია უნდა გავაქარწყლოთ ღარიბი გლეხის შეგნებაში. ღარიბ გლეხობას უნდა მივცეთ ლოზუნგი, რათა იგი, ბოლოს, საკუთარ ფეხზე დადგეს, რათა იგი კომუნისტური პარტიის დახმარებით და სახელმწიფოს დახმარებით დაირაზმოს ჯგუფებად, საბ-

ჭოების ასპარეზზე, კოოპერაციის ასპარეზზე, გლეხთა კომიტეტების ასპარეზზე და სოფლის საზოგადოებრიობის ყველა ასპარეზზე სწავლობდეს ბრძოლას კულაკის წინააღმდეგ, მაგრამ ბრძოლას არა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსადმი მიმართვის გზით, არამედ პოლიტიკური ბრძოლის გზით, ორგანიზებული ბრძოლის გზით. მხოლოდ ასე შეიძლება გამოვაწრთოთ ღარიბი გლეხობა, მხოლოდ ასე შეიძლება დავრაზმოთ ღარიბი გლეხობა და მხოლოდ ასე შეიძლება შევქმნათ სოფლის ღარიბი მოსახლეობიდან კმაყოფაზე მყოფი ჯგუფის ნაცვლად პროლეტარიატის დასაყრდენი სოფლად.

აი რისთვის წამოვაყენეთ ოქტომბერში ღარიბი გლეხობის საკითხი.

6. ორი საფრთხე და ორი გადახრა გლეხობის საკითხში

ჩვენში გლეხობის საკითხთან დაკავშირებით პარტიაში ორი გადახრა დაისახა. გადახრა კულაკური საფრთხის მნიშვნელობის შემცირების მხრივ და გადახრა ამ საფრთხის გაზვიადების მხრივ, საშუალო გლეხის როლის დამცირებისა და შეუფასებლობის მხრივ. ვერ ვიტყვი, რომ ეს გადახრები ჩვენთვის მომაკვდინებელი რამ იყოს. გადახრა გადახრაა, გადახრა რაღაც ისეთი რამ არის, რაც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა. გადახრა შეცდომის დასაწყისია. ან ამ შეცდომას განვითარების შესაძლებლობას მივცემთ, — მაშინ ცუდად არის საქმე, ან ამ შეცდომას ძირშივე აღმოვფხვრით, — და მაშინ საშიშროება ლიკვიდირებულია. გადახრა მცდარი რამ არის, რაც შედეგს მოგვცემს შემდეგ, თუ მას დროზე არ შეაჩერებ.

ორიოდე სიტყვა კულაკური საფრთხის შეუფასებლობის შესახებ. ლაპარაკობენ კულაკურ გადახრაზე. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. არ შეიძლება პარტიაში კულაკური გადახრა იყოს. ლაპარაკია არა კულაკურ გადახრაზე,

არამედ გადახრაზე კულაკური საფრთხის შეუფასებლობის მხრივ. კიდევაც რომ არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ გადახრის მსხვერპლი გახდნენ, რომლებიც ამ გადახრის ნიადაგზე დადგნენ, ისინი სულ ერთია გაჩნდებოდნენ, იმიტომ რომ ჩვენში განვითარება მიდის კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლების მიმართულებით, ხოლო კაპიტალიზმის გამოცოცხლებამ არ შეიძლება არევდარევა არ შექმნას ჩვენი პარტიის ახლო. მეორე მხრივ, ჩვენში ვითარდება სოციალისტური მრეწველობა და წარმოებს ბრძოლა ამ მრეწველობასა და კერძო კაპიტალს შორის. ვინ ვის გაასწრებს? უპირატესობა ახლა სოციალისტური ელემენტების მხარეზეა. ჩვენ დავიმორჩილებთ კულაკსაც და კერძო კაპიტალისტსაც ქალაქად. მაგრამ ჯერჯერობით ფაქტი ფაქტია, რომ კულაკი იზრდება, და ეკონომიურად იგი ჯერ კიდევ არ დაგვიმარცხებია. უდავოა, რომ კულაკი ძალებს იკრებს, და ვინც ამას ვერ ამჩნევს, ვინც ამბობს, ეს არაფერიაო, კულაკი საფრთხობელააო, იგი პარტიას აყენებს იმ საფრთხის წინაშე, რომ დაკარგოს სიფხიზლე და განიარაღებული აღმოჩნდეს კულაკთან ბრძოლაში, კაპიტალიზმთან ბრძოლაში, ვინაიდან კულაკი კაპიტალიზმის აგენტია სოფლად.

ლაპარაკობენ ბოგუშევსკის შესახებ. რა თქმა უნდა, მას კულაკური გადახრა როდი აქვს. მას გადახრა აქვს კულაკური საფრთხის შეუფასებლობის მხრივ. მას რომ კულაკური გადახრა ჰქონდეს, იგი პარტიიდან უნდა გაგვერიცხა. მაგრამ დღემდე, ვგონებ, რამდენადაც მე ვიცი, არავის არ მოუთხოვია მისი გაძევება პარტიიდან. ეს გადახრა — გადახრა სოფლად კულაკური საფრთხის შეუფასებლობის მხრივ, — გადახრა, რომელიც ხელს გვიშლის, რომ პარტია ბრძოლისათვის მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში გვყავდეს, რომელიც განაიარაღებს პარტიას მის ბრძოლაში კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ,

ეს გადახრა, როგორც ცნობილია, დაგმობილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით.

მაგრამ არის მეორე გადახრა — კულაკური საფრთხის გაზვიადების მხრივ, კულაკური საფრთხის წინაშე დაბნეულობის მხრივ, პანიკის მხრივ: «კულაკი მოდის, გვიშველეთ!». უცნაური ამბავია! ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე რომ გადადიოდნენ, ადამიანებმა იცოდნენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა კაპიტალიზმის გამოცოცხლებაა, კულაკის გამოცოცხლებაა, რომ კულაკი აუცილებლად წამოყოფს თავს. და აი საკმარისი იყო კულაკი გამოჩენილიყო, რომ მორთეს ყვირილი «გვიშველეთო», თავგზა აებნათ. და დაბნეულობა იქამდე მივიდა, რომ საშუალო გლეხი დაავიწყდათ. სოფლად ძირითად ამოცანას კი ახლა წარმოადგენს საშუალო გლეხის მომხრობისათვის ბრძოლა, კულაკისაგან საშუალო გლეხის ჩამოშორებისათვის ბრძოლა, საშუალო გლეხთან მჭიდრო კავშირის დამყარების გზით კულაკის იზოლაციისათვის ბრძოლა. ეს ავიწყდებათ ამხანაგებს, რომლებიც პანიკას მიეცნენ კულაკური საფრთხის წინაშე.

მე ვფიქრობ, რომ თუ ამ ორი გადახრის ფესვებს გამოვძებნით, შეიძლებოდა ისინი შემდეგი გამოსავალი პუნქტებით შემოგვეფარგლა.

პირველი გადახრა არის კულაკისა და საერთოდ სოფლად კაპიტალისტური ელემენტების როლის დამცირება, კულაკური საფრთხის მიჩქმალვა. იგი გამომდინარეობს იმ არასწორი ვარაუდიდან, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარება არ იწვევს კაპიტალისტური ელემენტების გამოცოცხლებას სოფლად, რომ კულაკი და საერთოდ კაპიტალისტური ელემენტები ჩვენში ისტორიას ბარდებიან ან უკვე ჩაბარდნენ, რომ სოფლად დიფერენციაცია არ ხდება, რომ კულაკი წარსულის გამოძახილია, საფრთხობელაა, და მეტი არაფერი.

რას იწვევს ეს გადახრა?

სინამდვილეში ეს გადახრა იწვევს სოფლად კლასობრივი ბრძოლის უარყოფას.

მეორე გადახრა არის კულაკისა და საერთოდ სოფლად კაპიტალისტური ელემენტების როლის გაზვიადება, ამ ელემენტების წინაშე პანიკა, იმის უარყოფა, რომ პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხთან შესაძლებელი და მიზანშეწონილია.

ეს გადახრა იმ აზრს ემყარება, რომ ჩვენში სოფლად მიმდინარეობს კაპიტალიზმის ვითომც უბრალო აღდგენა, რომ კაპიტალიზმის აღდგენის ეს პროცესი ყოვლისშთანმთქმელი პროცესია, რომელიც მოიცავს მთელ ჩვენს კოოპერაციასაც ან მის დიდ ნაწილს, რომ ასეთი განვითარების შედეგად განუწყვეტლივ დიდი მასშტაბით უნდა იზრდებოდეს გლეხობის დიფერენციაცია, რომ უკიდურესი ჯგუფები, ე. ი. კულაკები და ღარიბი გლეხები, წლითიწლობით უნდა ძლიერდებოდნენ და იზრდებოდნენ, რომ საშუალო ჯგუფები, ე. ი. საშუალო გლეხები, ასევე წლითიწლობით უნდა სუსტდებოდნენ და ქრებოდნენ.

სინამდვილეში ეს გადახრა იწვევს კლასობრივი ბრძოლის გაღვივებას სოფლად, განკულაკების ღარიბკომული პოლიტიკისადმი დაბრუნებას, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომის გამოცხადებას და, ამრიგად, მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ჩაშლას, ამით — ლენინის კოოპერაციული გეგმის უარყოფას, გეგმისა, რომლის მიხედვითაც მილიონობით გლეხური მეურნეობა მოქცეულ უნდა იქნას სოციალისტური მშენებლობის სისტემაში.

თქვენ იკითხავთ: რომელი გადახრაა უარესიო. არ შეიძლება საკითხის ასე დაყენება. ორივე უარესია, როგორც პირველი, ისე მეორე გადახრა. და თუ ეს გადახ-

რები განვითარდებიან, მათ შეუძლიათ დაშალონ და დაღუპონ პარტია. საბედნიეროდ, პარტიაში მოგვეპოვება ძალები, რომლებსაც შეუძლიათ წარკვეთონ როგორც პირველი, ისე მეორე გადახრა. (ტაში). თუმცა ორივე გადახრა უარესია, და სისულელეა კითხვის დაყენება, რომელი მათგანი უფრო საშიშიაო, მაგრამ არის მეორე თვალსაზრისი, რომლითაც უნდა მივუდგეთ ამ ორ გადახრას. რომელ გადახრასთან ბრძოლისათვის უფრო მომზადებულია პარტია, — პირველ თუ მეორე გადახრასთან ბრძოლისათვის? — აი პრაქტიკულად როგორ უნდა დაისვას საკითხი. ორივე გადახრა საშიშია, ორივე უარესია, არ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, თუ რომელი მათგანი უფრო საშიშია, მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომელ გადახრასთან ბრძოლისათვის უფრო მომზადებულია პარტია, — შეიძლება და საჭიროცაა. თუ შევეკითხებით კომუნისტებს, რისთვის უფრო მზად არის პარტია, — იმისთვის, რომ გააძროს ტყავი კულაკს, თუ იმისთვის, რომ ასე არ მოიქცეს, მაგრამ კავშირი დაამყაროს საშუალო გლეხთან, მე ვფიქრობ, რომ 100 კომუნისტიდან 99 იტყვის, რომ პარტია ყველაზე უფრო მომზადებულია ლოზუნგისათვის: დასცხე კულაკს. ოღონდ ნება მიეცი, — და ერთ წამში გააძრობენ ტყავს კულაკს. ახლა, რაც შეეხება იმას, რომ კი არ განაკულაკონ, არამედ აწარმოონ კულაკის იზოლაციის უფრო რთული პოლიტიკა საშუალო გლეხთან კავშირის გზით, ამ საქმეს ისე ადვილად ვერ ინელებენ. აი რატომ ვფიქრობ, რომ ორივე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიამ მაინც მთავარი ცეცხლი მეორე გადახრასთან ბრძოლისათვის უნდა მიმართოს. (ტაში). არავითარი მარქსიზმით, არავითარი ლენინიზმით არ შეიძლება იმ გარემოების დაფარვა, რომ კულაკი საშიშია. კულაკი კულაკია. იგი საშიშია, რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს შოგუშევსკიმ საფრთხობელაზე. და ამას ვერავითარი

ციტატებით ვერ აღმოფხვრი კომუნისტის შეგნებაში. ის გარემოება კი, რომ საშუალო გლეხთან საჭიროა მტკიცე კავშირი, მაშინ როდესაც ილიჩი II კონგრესის რეზოლუციაში წერს საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის შესახებ, — ეს გარემოება მუდამ შეიძლება მიჩქმალოთ, დააბნელოთ ფრაზებით ლენინიზმის შესახებ, მარქსიზმის შესახებ. აქ ფართო ასპარეზია ციტატებისათვის, აქ ფართო ასპარეზია ყველასათვის, ვისაც სურს თავგზა აუბნიოს პარტიას, ვისაც სურს სიმართლე დაუმალოს პარტიას, სიმართლე იმის შესახებ, რომ გლეხობის მიმართ ლენინს ჰქონდა არა ერთი, არამედ სამი ლოზუნგი. აქ მარქსიზმის მიმართ შეიძლება ყოველგვარი მანიპულაცია მოახდინონ. და სწორედ ამიტომ მთავარი ცეცხლი მეორე გადახრასთან ბრძოლისათვის უნდა იქნას მიმართული.

ასეთია საქმის ვითარება საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობის, მისი მეურნეობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კლასების, კლასთა აქტივობის, საბჭოების გამოცოცხლების, გლეხობის და სხვათა საკითხის მხრივ.

არ ვჩერდები ზოგიერთ საკითხზე სახელმწიფო აპარატის შესახებ, რომელიც იზრდება და ცდილობს თავი დააღწიოს პარტიის ხელმძღვანელობას, რასაც იგი, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებს.

არ ვლაპარაკობ აგრეთვე ჩვენი სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმზე, არ ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ჩემი მოხსენება ერთობ გაგრძელდა. არ ვლაპარაკობ ამაზე იმიტომ, რომ ეს საკითხი პარტიისათვის ახალი რამ არ არის.

7. პარტიის ამოცანები

გადავდივარ პარტიის ამოცანებზე საშინაო პოლიტიკის დარგში.

მთლიანად **სახალხო მეურნეობის განვითარების** დარგში ჩვენ უნდა ვეწეოდეთ მუშაობას:

ა) სახალხო მეურნეობის პროდუქციის შემდგომი გადიდების ხაზით;

ბ) ჩვენი ქვეყნის აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის ხაზით;

გ) სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გადამწყვეტი უპირატესობის უზრუნველყოფის ხაზით;

დ) კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის სათანადო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ხაზით;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო სისტემაში არასაგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონის გადიდების ხაზით.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში ვეწეოდეთ მუშაობას:

ა) ამაღლებული ტექნიკური დონის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების შემცირების, კაპიტალის ბრუნვის სისწრაფის გადიდების საფუძველზე ჩვენი სოციალისტური მრეწველობის გაშლის ხაზით;

ბ) ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნებთან სათბობის, ლითონის ბალანსის, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის ძირითადი კაპიტალის შეფარდების ხაზით;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის საბჭოთა მრეწველობის გაძლიერებული განვითარების ხაზით;

დ) მიწის მოსავლიანობის გაზრდის, მიწათმოქმედების ტექნიკური დონის გადიდების, ტექნიკური კულტურების განვითარების, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ხაზით;

ე) მასობრივი კოოპერირებისა და გლეხობის კულტურული დონის ამაღლების საშუალებით სოციალისტურ მშენებლობაში დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა ჩაბმის ხაზით.

ვაჭრობის დარგში ვეწეოდეთ მუშაობას:

ა) საქონელგამტარი ქსელის (ყველა სახის კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობა) შემდგომი გაფართოებისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების ხაზით;

ბ) საქონელბრუნვის სისწრაფის მაქსიმალური გადიდების ხაზით;

გ) საცალო ფასების შემცირებისა და კერძო ვაჭრობასთან შედარებით საბჭოთა-კოოპერაციული ვაჭრობის უპირატესობის შემდგომი გადიდების ხაზით;

დ) ყველა დამამზადებელი ორგანოს ერთიანი ფრონტის შექმნისა და მათ შორის მტკიცე დამზადებითი დისციპლინის დამყარების ხაზით;

ე) გარეშე სამყაროსთან საქონელბრუნვის გაძლიერების ხაზით ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს აქტიური სავაჭრო ბალანსი, მაშასადამე, აქტიური ანგარიშსწორების ბალანსიც, რომელიც მტკიცე ვალუტის შენარჩუნების უაღრესად საჭირო პირობას და ინფლაციისაგან საჭირო გარანტიას წარმოადგენს.

დაგეგმვის დარგში ვეწეოდეთ მუშაობას საჭირო რეზერვების აუცილებელი უზრუნველყოფის მიმართულებით.

სხვათა შორის, ორიოდე სიტყვა რეზერვის ერთ-ერთი წყაროს — არაყის შესახებ. არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, სოციალიზმის შენება თეთრი ხელთათმანებით შეიძლებაო. ეს მეტად უხეში შეცდომაა, ამხანაგებო. თუ ჩვენ არა გვაქვს სესხი, თუ ჩვენ ღარიბი ვართ კაპიტალებით და თუ, გარდა ამისა, არ შეგვიძლია დავემონოთ დასავლეთ-ევროპელ კაპიტალისტებს, არ შეგვიძლია მივიღოთ ის კაბალური პირობები, რასაც ისინი გვთავაზობენ და რაც ჩვენ უარვყავით, — გვრჩება ერთი რამ: სხვა დარგებში ვეძებოთ წყაროები. ეს მაინც უკეთესია, ვიდრე დამონება. აქ საჭიროა არჩევანი მოვახდინოთ კაბალასა და არაყს შორის, და ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ

სოციალიზმის შენება შეიძლება თეთრი ხელთათმანებით, სასტიკად ცდებიან.

კლასების თანაფარდობის დარგში ვეწეოდეთ მუშაობას:

ა) საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფის ხაზით;

ბ) ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის ხაზით;

გ) კულაკისა და ქალაქის კაპიტალისტის პოლიტიკური იზოლაციისა და სამეურნეო გაძევების ხაზით.

საბჭოთა მშენებლობის დარგში მუშაობას ვეწეოდეთ ბიუროკრატიზმთან გადამწყვეტი ბრძოლის ხაზით, ამ ბრძოლაში მუშათა კლასის ფართო მასების ჩაბმის ხაზით.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ახალი ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგების — «სმენავეხელების» შესახებ. «სმენავეხელობა» — ეს არის იდეოლოგია ახალი ბურჟუაზიისა, რომელიც იზრდება და თანდათანობით უკავშირდება კულაკობასა და მომსახურე ინტელიგენციას. ახალმა ბურჟუაზიამ წამოაყენა თავისი იდეოლოგია, «სმენავეხური» იდეოლოგია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი აზრით კომუნისტური პარტია უნდა გადაგვარდეს, ხოლო ახალი ბურჟუაზიის კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, ამასთან ჩვენდა შეუმჩნევლად ჩვენ, ბოლშევიკები, თურმე, უნდა მივიდეთ დემოკრატიული რესპუბლიკის ზღურბლამდე, შემდეგ უნდა გადავაბიჯოთ ამ ზღურბლს და რომელიმე «კეისრის» დახმარებით, რომელიც სამხედრო პირთა თუ სამოქალაქო მოხელეთა წრიდან დაწინაურდება, უნდა აღმოვჩნდეთ ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რესპუბლიკის მდგომარეობაში.

ასეთია ეს ახალი იდეოლოგია, რომელიც ცდილობს თვალი აუხვიოს ჩვენს მომსახურე ინტელიგენციას და არა

მარტო მას, არამედ ჩვენს ახლობელ ზოგიერთ წრესაც. მე არ დავიწყებ ჩვენი პარტიის გადაგვარების დებულების უარყოფას. არა ღირს სისულელის უარყოფა. ჩვენი პარტიის გადაგვარება არ ხდება და არც მოხდება. იგი ისეთი მასალისაგან არ არის შედუღებული და ისეთი ადამიანის მიერ არ არის გამოწრთობილი, რომ გადაგვარდეს. (ტ ა შ ი). ჩვენი კადრები — როგორც ახალგაზრდა, ისე ძველი კადრები, იდეურად იზრდებიან. ჩვენთვის ბედნიერებაა, რომ შევძელით ლენინის თხზულებათა რამდენიმე გამოცემის გამოშვება. ახლა ადამიანები კითხულობენ, სწავლობენ და იწყებენ გაგებას. პარტიაში არა მარტო ხელმძღვანელები, არამედ საშუალო პარტიელებიც თანდათანობით ერკვევიან, და მათ ველარ გააბრიყვებ. გადაგვარებაზე ყვირილით ახლა ვერავის შეაშინებ. ადამიანები თვითონ გაერკვევიან. მათ შეუძლიათ იყვირონ რამდენიც ნებავთ, მათ შეუძლიათ აშინონ ციტატებით რამდენიც ნებავთ, — საშუალო პარტიელი მოუსმენს და გაერკვევა, ვინაიდან მას ახლა ხელთ აქვს ლენინის შრომები. (ტ ა შ ი). ეს ფაქტი იმის ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა, რომ ჩვენი პარტია ლენინიზმის გზას არ გადაუხვევს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

და თუ მე მაინც შევეხე «სმენავეხელებს», ეს იმიტომ, რომ ორიოდე სიტყვით მეპასუხნა ყველასათვის, ვინც იმედს ამყარებს ჩვენი პარტიისა და ჩვენი ცენტრალური კომიტეტის გადაგვარებაზე. ამ იდეოლოგიის ავტორია უსტრიალოვი. იგი ჩვენს ტრანსპორტზე მსახურობს. ამბობენ, კარგად მსახურობსო. მე ვფიქრობ, რომ თუ იგი კარგად მსახურობს, დაე იოცნებოს ჩვენი პარტიის გადაგვარებაზე. ოცნებობა ჩვენში აკრძალული არ არის. დაე იოცნებოს რამდენიც უნდა. მაგრამ იცოდეს, — გადაგვარებაზე რომ ოცნებობს, იგი ამასთან ერთად წყალს უნდა უშვებდეს ჩვენს ბოლშევიკურ საქმეს. არა და — ცუდად წაუვა საქმე. (ტ ა შ ი).

III

პარტია

გადავდივარ პარტიის საკითხზე. პარტიას ჩემი ანგარიშის ბოლოში იმიტომ კი არ ვაყენებ, რომ იგი თავისი ხვედრიბით წონით უკანასკნელია ჩვენი განვითარების ყველა ფაქტორთა რიგში. არა, ამიტომ კი არა. არამედ იმიტომ, რომ ჩვენში მთელ საქმეს პარტია აგვირგვინებს.

მე ვილაპარაკე პროლეტარიატის დიქტატურის წარმატებებზე საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში, ჩვენი ქვეყნის გარეთ, კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში მანევრირების დარგში და ქვეყნის შიგნით სოციალისტური მშენებლობის დარგში. მაგრამ ეს წარმატებანი შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენი პარტია ამოცანათა სიმაღლეზე რომ არ იდგეს, იგი რომ არ იზრდებოდეს და არ მტკიცდებოდეს. ამ მხრივ პარტიის, როგორც ხელმძღვანელი ძალის, მნიშვნელობა განუზომელია. პროლეტარიატის დიქტატურა ხორციელდება არა თვითდინებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პარტიის ძალებით, მისი ხელმძღვანელობით. პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე, კაპიტალისტური გარემოცვის თანამედროვე პირობებში, პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა. საკმარისია შეარყიო, შეასუსტო პარტია, რომ მყისვე შეირყეს და შესუსტდეს პროლეტარიატის დიქტატურა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ყველა ქვეყნის ყველა ბურჟუა ცოფმორევით ლაპარაკობს ჩვენს პარტიაზე.

ამით სრულებითაც არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი პარტია იგივეა, რაც სახელმწიფო. სრულებითაც არა. პარტია ჩვენს სახელმწიფოში ხელმძღვანელი ძალაა. სისულელე იქნებოდა ამის საფუძველზე გვეთქვა, როგორც ზოგიერთი ამხანაგი ამბობს, რომ პოლიტბიურო უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოში. ეს მართალი არ არის. ეს აბნეულობაა, რაც

წყალს უშვებს ჩვენი მტრების წისქვილს. პოლიტბიურო პარტიის უმაღლესი ორგანოა, და არა სახელმწიფოსი, პარტია კი სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელი ძალაა. ცენტრალური კომიტეტი და პოლიტბიურო პარტიის ორგანოები არიან. მე არ მინდა გავაიგივეო სახელმწიფო დაწესებულებები და პარტია. მე მხოლოდ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხში ხელმძღვანელი რული პარტიას ეკუთვნის. და მხოლოდ ამიტომ გვქონდა წარმატებანი ჩვენს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ამიტომ პარტიის შემადგენლობის, მისი იდეური დონის, პარტიის კადრების, სამეურნეო და საბჭოთა მშენებლობის საკითხების დაყენებაში ხელმძღვანელობის გაწევის მისი უნარის, მუშათა კლასსა და გლეხობაში მისი ხვედრითი წონის, ბოლოს, საერთოდ მისი შინაგანი მდგომარეობის საკითხი ჩვენი პოლიტიკის ძირითადი საკითხია.

უწინარეს ყოვლისა პარტიის შემადგენლობის შესახებ. პარტიის წევრთა საერთო რაოდენობა 1924 წლის 1 აპრილისათვის, ლენინური გაწვევის ჩაუთვლელად, გამოიხატებოდა შემდეგი ციფრით: პარტიის 446 ათასი წევრი და კანდიდატი. აქედან მუშა იყო 196 ათასი, ე. ი. 44%, გლეხი — 128 ათასი, ე. ი. 28,8%, მოსამსახურე და სხვა — 121 ათასი, ე. ი. 27,2%. 1925 წლის 1 ივლისისათვის პარტიაში 446 ათასის ნაცვლად აღმოჩნდა უკვე 911 ათასი წევრი და კანდიდატი, აქედან: მუშა — 534 ათასი, ე. ი. 58,6%, გლეხი — 216 ათასი, ე. ი. 23,8%, მოსამსახურე და სხვა — 160 ათასი, ე. ი. 17,6%. 1925 წლის 1 ნოემბრისათვის ჩვენ გვყავს 1 025 ათასი კომუნისტი.

მუშათა კლასის რა პროცენტია (თუ ავიღებთ მთელ მუშათა კლასს) გაერთიანებული ჩვენს პარტიაში? XIII ყრილობაზე ჩემს საორგანიზაციო მოხსენებაში მე ვთქვი, რომ ჩვენს ქვეყანაში სულ არის 4 მილიონ 100 ათასი მუშა

(მათ შორის სოფლის მეურნეობის მუშებიც). მაშინ მხედველობაში არ მიმიღია წვრილი მრეწველობის მუშები, რომლების აღრიცხვა შეუძლებელი იყო, რადგან სოციალური დაზღვევა ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული, ხოლო სტატისტიკა ამ საქმეს არ მისდევდა. მე მაშინ მოვიყვანე 1924 წლის იანვრის ციფრები. შემდეგ, როცა შესაძლებელი გახდა წვრილ მრეწველობაში ჩაბმული მუშების აღრიცხვა, აღმოჩნდა, რომ 1924 წლის 1 ივლისისათვის სულ იყო 5 500 ათასი მუშა, მათ შორის სოფლის მეურნეობის მუშებიც. მათგან პარტიაში მუშა იყო 390 ათასი, ე. ი. მთელი მუშათა კლასის 7%. 1925 წლის 1 ივლისისათვის იყო 6 500 ათასი მუშა, მათგან პარტიაში იყო 534 ათასი, ე. ი. მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის 8%. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის ჩვენში იყო 7 მილიონი მუშა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშები, წვრილი, საშუალო და მსხვილი მრეწველობისა — განურჩევლად. აქედან პარტიაში იყო 570 ათასი, ე. ი. 8%.

ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ცხადვყო, რაოდენი უგუნურებაა იმაზე ლაპარაკი, რომ ერთი ან ორი წლის განმავლობაში მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის 90%-ის გაერთიანებას პარტიაში.

ახლა განვიხილოთ რკპ(ბ) მუშური ნაწილის ხვედრითი წონა საცენზო მრეწველობის მუშების მიმართ. მუდმივი, არასეზონური, მუშების რიცხვი მსხვილ საცენზო მრეწველობაში, როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო მრეწველობაში, მათ შორის სამხედრო მრეწველობაშიც, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებშიც და ძირითად დეპოებშიც, — მუშების რიცხვი ყველა ამ დარგში 1924 წლის 1 იანვრისათვის 1 605 ათასს შეადგენდა. პარტიაში მაშინ 196 ათასი მუშა გვყავდა. ეს შეადგენს 12%-ს მსხვილი მრეწველობის მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის მიმართ. ხოლო თუ ავიღებთ პარტიის წევრებს — დაზგის

მუშებს და განვსაზღვრავთ მათს პროცენტულ შეფარდებას მუშათა კლასის მთელი შემადგენლობისადმი მსხვილ მრეწველობაში, დავინახავთ, რომ 1 იანვრისათვის პარტიაში იყო 83 ათასი დაზგის მუშა და ისინი მსხვილი მრეწველობის მუშების მთელი შემადგენლობის 5%-ს შეადგენდნენ. ყველაფერი ეს იყო 1924 წლის 1 იანვრისათვის. 1924 წლის 1 ივნისისათვის მსხვილ მრეწველობაში იყო 1 780 ათასი მუშა; პარტიაში მაშინ იყო 389 ათასი მუშა, ე. ი. მსხვილი მრეწველობის მუშების მთელი შემადგენლობის 21,8%. დაზგის მუშა პარტიაში იყო 267 ათასი, ე. ი. მსხვილი მრეწველობის მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის 15%. 1925 წლის 1 იანვრისათვის მსხვილ საცენზო მრეწველობაში იყო 1 845 ათასი მუშა; ჩვენს პარტიაში საერთოდ მუშების, როგორც დაზგის, ისე არა დაზგის მუშების რიცხვი შეადგენდა 429 ათასს, ე. ი. 23,2%-ს მსხვილი მრეწველობის მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის მიმართ; დაზგის მუშა პარტიაში მაშინ იყო 302 ათასი, ე. ი. მსხვილი მრეწველობის მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის 16,3%. 1925 წლის 1 ივლისისათვის მსხვილ მრეწველობაში იყო 2 094 ათასი მუშა; მუშების რიცხვი პარტიაში — 534 ათასი, ე. ი. 25,5%, დაზგის მუშების რიცხვი — 383 ათასი, ე. ი. მსხვილი მრეწველობის მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის 18,2%.

თქვენ ხედავთ, რომ თუ იქ, მთელი მუშათა კლასის მიმართ, პარტიაში დარაზმული მუშების ზრდა მუშათა კლასის მთელი შემადგენლობის მიმართ უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე თვით მუშათა კლასის ზრდა, სამაგიეროდ აქ, მსხვილ მრეწველობაში, — პირიქით: პარტიაში მუშების პროცენტის ზრდა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე მუშათა კლასის ზრდა თვით მსხვილ მრეწველობაში. ეს იმიტომ უნდა აღინიშნოს, რომ მხედველობაში გვქონდეს, თუ როგორია ჩვენი პარტიის სახე, როცა მის მუშურ

ბირთვზე ვლაპარაკობთ: ეს უმთავრესად მსხვილი მრეწველობის მუშებია.

შეგვიძლია თუ არა ახლა, ყოველივე ამას რომ ვუყურებთ, ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ერთი წლის განმავლობაში დაზგის მუშების რიცხვი პარტიაში 90%-მდე ავიყვანოთ? არა, არ შეგვიძლია, იმიტომ რომ ჩვენ არ გვინდა ფანტასტიკაში გადავვარდეთ. იმიტომ რომ, თუ პარტიაში დაზგის მუშაა 380 ათასი, იმისათვის, რომ ყველა დანარჩენი — მაშასადამე, 700 ათასამდე არა დაზგის მუშა — 10%-ს შეადგენდეს, საჭიროა პარტიის წევრთა რაოდენობა წლის განმავლობაში 7 მილიონამდე ავიყვანოთ. ამხანაგებმა პირდაპირ ვერ იანგარიშეს და მარცხი მოუვიდათ, ციფრი 90% რომ დაასახელეს.

იზრდება თუ არა პარტიის ხვედრითი წონა მუშათა კლასში? არა მგონია საჭირო იყოს ამ ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტების მტკიცება. თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტია, არსებითად, მუშათა კლასის არჩეული პარტიაა. ამ მხრივ იმას მივაღწიეთ, რისთვისაც მსოფლიოში ჯერ არც ერთ პარტიას არ მიუღწევია. უკვე მარტო ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ მუშათა კლასის რიგებში ჩვენი პარტიის ხვედრითი წონა განუზომელია და რომ ჩვენი პარტია მონოპოლიურია მუშათა კლასის შიგნით.

რაც შეეხება ჩვენი პარტიის ხვედრით წონას სოფლად, აქ საქმის ვითარება საკმაოდ არასახარბიელოა. XIII ყრილობისათვის სოფლის 18-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობა ჩვენს ქვეყანაში 53 მილიონს შეადგენდა, XIV ყრილობისათვის — 54 მილიონზე მეტს. ხოლო კომუნისტი სოფლის უჯრედებში XIII ყრილობისათვის იყო 136 ათასი, ე. ი. 0,26% სოფლის მთელი მოზრდილი მოსახლეობის მიმართ, XIV ყრილობისათვის კი პარტიაში გვყავს 202 ათასი გლეხი, ე. ი. 0,37%. ჩვენი პარტიის ზრდა სოფლად მეტისმეტად ნელა მიმდინარეობს. მე არ მინდა ვთქვა, რომ

იგი ბუმბერაზული ნაბიჯებით უნდა იზრდებოდეს, მაგრამ გლეხობის ეს პროცენტი ჩვენს პარტიაში მაინც მეტად უმნიშვნელოა. ჩვენი პარტია მუშათა პარტიაა. მასში მუშების რიცხვი მუდამ მეტი იქნება. ეს იმის გამოხატულებაა, რომ ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურაა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ გლეხობასთან კავშირის გარეშე პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია, რომ ჩვენი პარტიის შემადგენლობაში გლეხობის საუკეთესო ადამიანთა გარკვეული პროცენტი საჭიროა პარტიისათვის სოფლად ფეხის მოსაკიდებლად. ამ მხრივ საქმე ჯერჯერობით არც ისე კარგად არის.

შემდეგ უნდა აღვნიშნო ჩვენი პარტიის იდეური დონის საერთო ზრდა. საორგანიზაციო მხარის შესახებ თქვენ მოგახსენებთ ამხ. მოლოტოვი, ამიტომ ამ საკითხზე არ შევჩერდები, მაგრამ არ შემიძლია არა ვთქვა ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ყველა ცნობის მიხედვით ჩვენი როგორც ახალგაზრდა, ისე ძველი ხელმძღვანელი კადრების იდეური დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითისათვის შეიძლებოდა ამელო დისკუსია, რომელიც შარშან ტროცკიზმთან გვქონდა. როგორც თქვენ იცით, საქმე ეხებოდა ლენინიზმის რევიზიას, პარტიის ხელმძღვანელობის შეცვლას, ასე ვთქვათ, გზადაგზა. რა ერთსულოვნად შეხვდა პარტია ამ ანტიპარტიულ ტალღას, ეს ყველამ იცის. რას მოწმობს ეს? იმას, რომ პარტია გაიზარდა. მისი კადრები განმტკიცდნენ, მისთვის საშიში არ არის დისკუსია. ახლა ჩვენ, სამწუხაროდ, ახალი დისკუსიის ხანაში შევედით. დარწმუნებული ვარ, რომ პარტია ამ დისკუსიასაც სწრაფად დასძლევს და განსაკუთრებული არაფერი არ შეიძლება მოხდეს. (ხმები: «სწორია!». ტაში). ამბებზე რომ წინდაწინ არ ვილაპარაკო და ადამიანები არ გავალიზიანო, ამ მომენტში არ შევეხები იმის არსს, თუ როგორ იქცეოდნენ ამხ. ლენინგრადელები თავიანთ კონფერენციაზე და როგორ გამოეხმაურნენ

ამას მოსკოველი ამხანაგები. ვფიქრობ, რომ ყრილობის წევრები ამას თვითონ იტყვიან, მე კი შევაჯამებ საბოლოო სიტყვაში.

ვამთავრებ ჩემს მოხსენებას.

მე ვილაპარაკე ჩვენს საგარეო პოლიტიკაზე, იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ღრღნიან კაპიტალისტურ სამყაროს. მე ვთქვი, რომ ამ წინააღმდეგობათა დაძლევა შეიძლება მხოლოდ მუშური რევოლუციით დასავლეთში.

შემდეგ მე ვილაპარაკე იმ წინააღმდეგობებზე, რომელთა ჩარჩოებში მიმდინარეობს ჩვენი ურთიერთობა, საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. მე ვილაპარაკე იმაზე, რომ ისინი, ეს სახელმწიფოები, ეცდებიან კაპიტალისტური სისტემის დანამატად გადააქციონ ჩვენი ქვეყანა, ისინი ეცდებიან მოაწყონ ჩვენში ინტერვენცია, ხოლო ჩვენ წინააღმდეგობას გავუწევთ, ამასთან იმედი გვაქვს, რომ დასავლეთის მუშათა კლასი ყოველმხრივ დაგვეხმარება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დასავლეთის მუშებმა მოუხშირეს ჩვენთან ჩამოსვლას და ჩვენთან დაძმობილებას. ამასთან ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს დაძმობილება ხეირს არ დააყრის კაპიტალისტებს. ჩვენ ამ წინააღმდეგობებსაც ვძლევთ. მაგრამ საბოლოო ანგარიშით კაპიტალიზმის სამყაროსა და სოციალიზმის სამყაროს შორის არსებულ წინააღმდეგობებს ჩვენი ქვეყნის გარეთ ვერ დავძლევთ მხოლოდ ჩვენი ძალებით, ამისათვის საჭიროა მთელ რიგ ქვეყნებში ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის დახმარება.

შემდეგ მე ვილაპარაკე ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებზე, კაპიტალისტური ელემენტებისა და სოციალისტური ელემენტების წინააღმდეგობებზე. მე ვთქვი, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ძალებით დავძლიოთ ეს წინააღმდეგობანი. ვისაც ეს საქმე არა სწამს — ის ლიკვიდატორია, მას არა სწამს სოციალისტური მშენებლობა. ამ წი-

ნააღმდეგობებს ჩვენ დავძლევთ, ჩვენ უკვე ვძლევთ მათ. რა თქმა უნდა, რაც უფრო მალე მოგვისწრებს დახმარება დასავლეთიდან, მით უფრო უკეთესია, მით უფრო მალე დავძლევთ ამ წინააღმდეგობებს იმისათვის, რომ ბოლო მოვუღოთ კერძო კაპიტალს და მივაღწიოთ სოციალიზმის სრულ გამარჯვებას ჩვენში, სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებას. მაგრამ გარედან დაუხმარებლადაც ჩვენ იმედს არ დავკარგავთ, საშველად არავის დავუძახებთ, ჩვენს მუშაობას არ მივატოვებთ (ტ ა შ ი) და სიძნელეებისა არ შეგვეშინდება. ვინც დაიღალა, ვისაც სიძნელეები აშინებს, ვინც გონებას კარგავს, — დაე მან გზა მისცეს იმას, ვინც მამაცობა და სიმტკიცე შეინარჩუნა. (ტ ა შ ი). ჩვენ ისეთთა რიცხვს არ ვეკუთვნით, ვისაც სიძნელეები აშინებს. იმიტომ ვართ ბოლშევიკები, იმიტომ მივიღეთ ლენინური წრთობა, რომ კი არ გავურბოდეთ, არამედ პირისპირ ვხვდებოდეთ სიძნელეებს და ვძლევდეთ მათ. (ხ მ ე ბ ი: «სწორია!». ტ ა შ ი).

შემდეგ მე ვილაპარაკე, ამხანაგებო, ჩვენი პარტიის წარმატებებსა და შეცდომებზე. ეს შეცდომები ცოტა როდი იყო. საგარეო საქონელბრუნვის დარგშიც, დამზადებათა დარგში, მუშაობის ზოგიერთ სხვა დარგშიც ცოტა შეცდომა როდი გვქონდა. ილიჩი გვასწავლიდა, ყოყოჩობა არ დაგვეწყო. ჩვენ ყოყოჩობას არ დავიწყებთ. შეცდომები ცოტა როდი გვქონდა. მაგრამ გვაქვს წარმატებებიც. ასეა თუ ისე, ერთ რამეს მივაღწიეთ, მივაღწიეთ იმას, რასაც ვერანაირად ვერ წაგვართმევენ. ეს არის ის, რომ ჩვენი ფართო საალმშენებლო მუშაობით, სამეურნეო ფრონტზე ჩვენი ბოლშევიკური შეტევით, იმ წარმატებებით, რომლებიც აქ მოვიპოვეთ, ჩვენ მთელ მსოფლიოს ვუჩვენეთ, რომ მუშებმა, რომლებმაც ძალაუფლება აიღეს, იციან არა მარტო კაპიტალიზმის დამარცხება, არა მარტო დანგრევა, არამედ ახალი საზოგადოების შენებაც, სოციალიზმის შენება. ამ მო-

ნაპოვარს, იმას, რომ ეს ჭეშმარიტება თვალსაჩინო გავხადეთ, — ამას ვერავინ წაგვართმევს. ეს ყველაზე დიდი და ყველაზე ძნელად მისაღწევი მონაპოვარია ყველა იმ მონაპოვართაგან, რომლებიც დღემდე გვქონია. ვინაიდან დასავლეთის მუშათა კლასს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს ვუჩვენეთ, რომ მუშებს, რომლებმაც ისტორიის მანძილზე იცოდნენ მხოლოდ ბატონებისათვის მუშაობა, ხოლო განაგებდნენ ბატონები, რომ ამ მუშებს, რომლებმაც ძალაუფლება აიღეს, უნარი აღმოაჩნდათ მართონ დიდი ქვეყანა, აშენონ სოციალიზმი უძნელეს პირობებში.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ დასავლეთში პროლეტარიატმა გაიმარჯვოს? უწინარეს ყოვლისა საკუთარი ძალების რწმენა, იმის შეგნება, რომ მუშათა კლასს შეუძლია გასძლოს უბურჟუაზიოდ, რომ მუშათა კლასს უნარი შესწევს არა მარტო დაანგრიოს ძველი, არამედ ააშენოს ახალიც, ააშენოს სოციალიზმი. სოციალ-დემოკრატიის მთელი მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ მუშებს ჩაუნერგოს სკეპტიციზმი, საკუთარი ძალებისადმი ურწმენობა, ბურჟუაზიაზე ძალით გამარჯვების მოპოვების შესაძლებლობისადმი ურწმენობა. მთელი ჩვენი მუშაობის, მთელი ჩვენი მშენებლობის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეს მუშაობა და ეს მშენებლობა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს არწმუნებენ იმაში, რომ მუშათა კლასს შეუძლია გასძლოს უბურჟუაზიოდ და თავისი საკუთარი ძალებით აშენოს ახალი საზოგადოება.

მუშების ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში, ის ფაქტი, რომ მუშათა დელეგაციები, ჩვენს ქვეყანაში რომ ჩამოდიან, აკვირდებიან ჩვენი მშენებლობის თვითეულ კუნჭულს და ცდილობენ შეიგრძნონ ჩვენი მშენებლობის წარმატებანი, — ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, წინაალმდეგ სოციალ-დემოკრატიისა, რწმუნდება თავის საკუთარ ძალებში და იმაში, რომ მუშათა

კლასს უნარი შესწევს შექმნას ახალი საზოგადოება ძველის ნანგრევებზე.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ საანგარიშო წელიწადში, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვაღიაროთ: ეს ის, რომ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატებებით ჩვენ ცხადვყავით და დავამტკიცეთ, რომ მუშათა კლასს, რომელმაც ბურჟუაზია დაამხო და ძალაუფლება საკუთარ ხელში აიღო, უნარი შესწევს გარდაქმნას კაპიტალისტური საზოგადოება სოციალიზმის პრინციპების მიხედვით. ამას ჩვენ მივაღწიეთ და ამას ვერავინ წაგვართმევს, რაც არ უნდა იყოს. და ეს წარმატება ფასდაუდებელია. ვინაიდან რას ნიშნავს ამ წარმატების მიღწევა? ეს ნიშნავს — კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს ჩავუნერგოთ საკუთარი ძალების რწმენა, საკუთარი გამარჯვების რწმენა. ეს ნიშნავს — ხელთ მივცეთ მათ ახალი იარაღი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ხოლო ისინი რომ ხელთ იღებენ ამ იარაღს და მზად არიან გამოიყენონ იგი, — ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მუშების ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში კი არ წყდება, არამედ ძლიერდება. ხოლო როცა კაპიტალისტური ქვეყნების მუშები განიმსჭვალებიან საკუთარი ძალების რწმენით, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ეს იქნება კაპიტალიზმის დასასრულის დასაწყისი და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების უნამდვილესი ნიშანი.

აი რატომ ვფიქრობ, რომ ჩვენ ფუჭად როდი ვმუშაობთ, სოციალიზმს რომ ვაშენებთ. აი რატომ ვფიქრობ, რომ ამ მუშაობაში ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ საერთაშორისო მასშტაბით. (მ ქ უ ხ ა რ ე ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი. მ თ ე ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ი ს ო ვ ა ც ი ა).

საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო

23 დეკემბერი

ამხანაგებო! მე პასუხს არ გავცემ ცალკე საკითხების შესახებ გამოგზავნილ ცალკე ბარათებზე, იმიტომ რომ მთელი ჩემი საბოლოო სიტყვა არსებითად ამ ბარათებზე პასუხი იქნება.

შემდეგ, არ ვაპირებ პასუხი გავცე პირად გამოლაშქრებებსა და აშკარად პირადი ხასიათის ყოველგვარ გამოსვლაზე, რადგან ვფიქრობ, რომ ყრილობას საკმაო მასალა აქვს იმისათვის, რომ შეამოწმოს ამ გამოლაშქრებათა მოტივები და სარჩული.

არ შევეხები აგრეთვე «მღვიმის ადამიანებს», — ადამიანებს, რომლებიც სადღაც იქ, კისლოვოდსკთან, იკრიბებოდნენ და ყოველგვარ კომბინაციებს აწყობდნენ ცენტრალური კომიტეტის ორგანოების მიმართ. რას იზამ, ეს მათი საქმეა, დაე შეიქციონ თავი კომბინაციებით. მინდოდა მხოლოდ ხაზი გამესვა, რომ ლაშევიჩი, რომელიც აქ დიდი რიხით გამოვიდა კომბინატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, თვითონ აღმოჩნდა კომბინატორთა რიცხვში, ამასთან «მღვიმის ადამიანების» თათბირში კისლოვოდსკთან ის, თურმე, არც თუ მცირემნიშვნელოვან როლს თამაშობდა. რას იზამ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს. (ს ი ც ი ლ ი).

გადავალ ხაქმეზე.

1. სოკოლნიკოვი და ჩვენი ქვეყნის დაუესიზაცია

ჯერ — ცალკე პასუხები. პირველი პასუხი — სოკოლნიკოვს. მან თავის სიტყვაში თქვა: — «როცა სტალინი სახავდა ორ გენერალურ ხაზს, ორ ხაზს ჩვენი მეურნეობის მშენებლობაში, მან შეცდომაში შეგვიყვანა, იმიტომ რომ სხვანაირად უნდა ჩამოეყალიბებინა ეს ორი ხაზი, უნდა ეთქვა არა მოწყობილობის შემოტანის, არამედ მზა საქონლის შემოტანის შესახებ». მე ვამტკიცებ, რომ სოკოლნიკოვის ეს განცხადება მას მთლიანად ამხილებს როგორც შანინის თეზისების მომხრეს. მე მინდა ვთქვა, რომ სოკოლნიკოვი აქ არსებითად ჩვენი ქვეყნის დაუესიზაციის მომხრედ გამოდის. რაზე ვლაპარაკობდი მოხსენებაში? განა ექსპორტ-იმპორტის გეგმაზე ვლაპარაკობდი? რა თქმა უნდა, არა. ყველამ იცის, რომ ჩვენ **ახლა იძულებული** ვართ შემოგვქონდეს მოწყობილობა. მაგრამ სოკოლნიკოვი ამ საჭიროებას პრინციპად, თეორიად, განვითარების პერსპექტივად აქცევს. აი რა არის სოკოლნიკოვის შეცდომა. მოხსენებაში მე ვლაპარაკობდი ჩვენი სახალხო მეურნეობის აშენების ორი ძირითადი, ხელმძღვანელი, გენერალური ხაზის შესახებ. ამაზე იმისათვის ვლაპარაკობდი, რომ გამომერკვია საკითხი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი სამეურნეო განვითარების უზრუნველყოფის გზებისა კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში. მოხსენებაში მე ვლაპარაკობდი ჩვენი გენერალური ხაზის შესახებ, ჩვენი პერსპექტივის შესახებ იმ აზრით, რომ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადავაქციოთ. რა არის აგრარული ქვეყანა? აგრარული ქვეყანა ისეთი ქვეყანაა, რომელსაც გააქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და შეაქვს მოწყობილობა, თვითონ კი ამ მოწყობილობას (მანქანებს და სხვ.) თავისი საკუთარი ძალებით არ აწარმოებს ან თითქმის არ აწარმოებს. თუ ჩვენ შევრჩებით განვითარების იმ საფეხურზე,

რომელზეც ჩვენ იძულებული ვართ შემოვიტანოთ მოწყობილობა და მანქანები, და არა საკუთარი ძალებით ვამზადოთ ისინი, არ შეიძლება გარანტირებული ვიყოთ, რომ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური სისტემის დანამატად არ გადაიქცევა. სწორედ ამიტომ კურსი აღებული უნდა გვქონდეს ჩვენში წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებისაკენ. ნუთუ სოკოლნიკოვს არ შეუძლია ასეთ ელემენტარულ რამეს მიხვდეს? მე ხომ სწორედ მხოლოდ ამაზე ვლაპარაკობდი მოხსენებაში.

რას მოითხოვს დაუესის გეგმა? იგი მოითხოვს, რომ გერმანია სარეპარაციო გადასახდელთა გასასტუმრებლად ფულს ჭაჩავდეს ბაზრების, უმთავრესად საბჭოთა, ჩვენი ბაზრების ხარჯზე. რა გამოდის აქედან? აქედან ის გამოდის, რომ გერმანიამ უნდა გვაძლიოს მოწყობილობა, ჩვენ უნდა შემოგვქონდეს იგი, ხოლო გაგვქონდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ჩვენ, ე. ი. ჩვენი მრეწველობა, ამრიგად, ევროპაზე დამოკიდებული ვიქნებით. სწორედ ეს არის დაუესის გეგმის საფუძველი. ამის შესახებ ჩემს მოხსენებაში ვთქვი, რომ დაუესის გეგმა, რამდენადაც იგი ჩვენს ქვეყანას ეხება, ქვიშაზეა აგებული. რატომ? «იმიტომ, — ვამბობდი მე, — რომ ჩვენ სრულებითაც არ გვინდა გადავიქცეთ აგრარულ ქვეყნად რომელიმე სხვა ქვეყნისათვის, მათ შორის გერმანიისათვის», ვინაიდან «ჩვენ თვითონ დავამზადებთ მანქანებს და წარმოების სხვა საშუალებებს». გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელსაც უნარი შესწევს თავისი საკუთარი ძალებით დაამზადოს საჭირო მოწყობილობა, — აი რა არის ჩვენი გენერალური ხაზის არსი, საფუძველი. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ სამეურნეო მუშაკთა ზრახვები და მისწრაფებანი სწორედ იქითკენ იყოს მიმართული, რომ ჩვენი ქვეყანა მოწყობილობის შემომტანი ქვეყნიდან ამ მოწყობილობის მწარმოებელ ქვეყნად გადავაქციოთ. ვინაიდან ეს არის

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტია. ვინაიდან ეს არის იმის გარანტია, რომ ჩვენი ქვეყანა გადაქცეული არ იქნება კაპიტალისტური ქვეყნების დანამატად. სოკოლნიკოვს არ სურს შეიგნოს ეს უბრალო და ნათელი რამ. მათ, დაუესის გეგმის ავტორებს, უნდათ, რომ ჩვენ დავჯერდეთ, ვთქვათ, ჩითის წარმოებას, მაგრამ ჩვენთვის ეს არ კმარა, რადგან ჩვენ გვინდა ვამზადებდეთ არა მარტო ჩითს, არამედ ჩითის წარმოებისათვის საჭირო მანქანებსაც. მათ უნდათ, რომ ჩვენ დავჯერდეთ, ვთქვათ, ავტომობილების წარმოებას, მაგრამ ჩვენთვის ეს არ კმარა, რადგან ჩვენ გვინდა ვამზადებდეთ არა მარტო ავტომობილებს, არამედ ავტომობილების დამამზადებელ მანქანებსაც. მათ უნდათ, რომ ჩვენ დავჯერდეთ, ვთქვათ, ფეხსაცმლის წარმოებას, მაგრამ ჩვენთვის ეს არ კმარა, ვინაიდან ჩვენ გვინდა ვამზადებდეთ არა მარტო ფეხსაცმელს, არამედ ფეხსაცმლის დამამზადებელ მანქანებსაც. და სხვ. და ა. შ.

აი რაში მდგომარეობს განსხვავება ორი გენერალური ხაზისა, და აი რის შეგნება არ უნდა სოკოლნიკოვს.

ჩვენს ხაზზე უარის თქმა ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებზე ხელის აღებას, ნიშნავს ჩვენი ქვეყნის დაუესიზაციის თვალსაზრისზე დადგომას.

2. კამენევი და ჩვენი დათმობანი გლეხობისადმი

მეორე პასუხი — კამენევს. მან თქვა, როცა ჩვენ XIV პარტიულ კონფერენციაზე ცნობილი გადაწყვეტილებანი მივიღეთ სამეურნეო ხაზით, საბჭოების გამოცოცხლების ხაზით, სამხედრო კომუნიზმის ნაშთების ლიკვიდაციის ხაზით, იჯარისა და დაქირავებული შრომის საკითხის დაზუსტების ხაზით, — ამით დავუთმეთ კულაკს, და არა გლეხობასო, ეს არის დათმობანი არა გლეხობისათვის, არამედ კაპიტალისტური ელემენტებისათვისო. მართალია თუ არა ეს? მე ვამტკიცებ, რომ ეს მართალი არ არის, რომ ეს

ცილისწამებაა პარტიის მიმართ. მე ვამტკიცებ, რომ საკითხს ასე ვერ მიუდგება მარქსისტი, რომ საკითხს შეიძლება ასე მიუდგეს მხოლოდ ლიბერალი.

რა დათმობანია ის დათმობანი, რომლებიც ჩვენ XIV პარტკონფერენციაზე გავაკეთეთ? თავსდებიან თუ არა ეს დათმობანი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ჩარჩოებში? უეჭველია, თავსდებიან. იქნებ ჩვენ გავაფართოეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა აპრილის კონფერენციაზე? გვიპასუხოს ოპოზიციამ: გავაფართოეთ თუ არა აპრილში ახალი ეკონომიური პოლიტიკა? თუ გავაფართოეთ იგი, რატომ მისცეს მათ ხმა XIV კონფერენციის გადაწყვეტილებებს? და განა ცნობილი არ არის, რომ ყველანი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაფართოების წინააღმდეგნი ვართ? მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ კამენევი დაიბნა, ვინაიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკა შეიცავს ვაჭრობის, კაპიტალიზმის, დაქირავებული შრომის დაშვებას, ხოლო XIV კონფერენციის გადაწყვეტილებანი ლენინის დროს შემოღებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოხატულებაა. იცოდა თუ არა ლენინმა, რომ პირველ ხანებში ახალ ეკონომიურ პოლიტიკას უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტები, ვაჭრები, კულაკები გამოიყენებდნენ? რა თქმა უნდა, იცოდა. მაგრამ უთქვამს თუ არა ლენინს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით ჩვენ ვუთმობთ სპეკულანტებს და კაპიტალისტურ ელემენტებს და არა გლეხობას? არა, არ უთქვამს, და ეს არც შეეძლო ეთქვა. პირიქით, იგი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ვაჭრობისა და კაპიტალიზმის დაშვებით და ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიმართულებით პოლიტიკის შეცვლით ჩვენ ვუთმობთ გლეხობას მასთან კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, რადგან ახლანდელ პირობებში გლეხობა ვერ იცხოვრებს, თუ არ იქნება საქონელბრუნვა, თუ დაშვებული არ იქნება კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლება, რადგან გლეხობასთან

კავშირის მოგვარება ახლა სხვანაირად არ შეგვიძლია, თუ არა ვაჭრობის საშუალებით, რადგან მხოლოდ ამნაირად შეგვიძლია განვამტკიცოთ ეს კავშირი და ავაშენოთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი. აი როგორ უდგებოდა ლენინი დათმობათა საკითხს. აი როგორ უნდა მივუდგეთ 1925 წლის აპრილის დათმობათა საკითხს.

ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ ლენინის აზრი ამის შესახებ. აი როგორ ასაბუთებს იგი პარტიის გადასვლას ახალ პოლიტიკაზე, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, მოსკოვის გუბერნიის უჯრედების მდივანთა თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში «სასურსათო გადასახადის შესახებ»:

«მინდა შევჩერდე იმ საკითხზე, თუ რამდენად მისაღებია ეს პოლიტიკა კომუნიზმის თვალსაზრისით და როგორ გამოდის, რომ კომუნისტური საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობს თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. კარგია თუ არა ეს კომუნიზმის თვალსაზრისით? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა ყურადღებით დავაკვირდეთ იმ ცვლილებებს, რაც გლეხურ მეურნეობაში მოხდა. თავდაპირველად მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ჩვენ ვხედავდით მთელი გლეხობის შეტევას მემამულეთა ძალაუფლების წინააღმდეგ. მემამულეთა წინააღმდეგ ერთნაირად მიდიოდნენ ღარიბებიც და კულაკებიც, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა განზრახვით: კულაკები მიდიოდნენ იმ მიზნით, რომ მემამულისათვის ჩამოერთმიათ მიწა და ზედ თავიანთი მეურნეობა განევითარებინათ. აი სწორედ მაშინ გამომჟღავნდა სხვადასხვა ინტერესები და მისწრაფებანი კულაკებსა და ღარიბ გლეხობას შორის. უკრაინაში ინტერესთა ეს სხვადასხვაობა ახლაც გაცილებით მეტი სიცხადით ჩანს, ვიდრე ჩვენში. უშუალოდ ღარიბ გლეხობას მემამულეთა მიწის ეს ჩამორთმევა ძალიან ნაკლებად შეეძლო გამოეყენებინა, ვინაიდან ამისათვის მას არ გააჩნდა არც მასალები, არც იარაღები. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ღარიბი გლეხობა ირაზმება, რათა კულაკებს საშუალება არ მისცეს ხელში ჩაიგდონ ჩამორთმეული მიწები. საბჭოთა ხელისუფლება დახმარებას უწევს ჩვენში წარმოშობილს ღარიბი გლეხობის კომიტეტებს და «კომნეზამოჟებს» უკრაინაში. შედეგად რა გამოვიდა? **შედეგად ის გამოვიდა, რომ სოფლად უმთავრესი ელემენტი აღმოჩნდნენ საშუალო გლეხები...** ნაკლები შეიქნა უკიდურესობა კულაკობის მხრივ, ნაკლები შეიქნა უკიდურესობა სიღატაკის მხრივ, და

მოსახლეობის უმრავლესობა საშუალო გლეხის მდგომარეობას მიუახლოვდა. თუ ჩვენთვის საჭიროა გავზარდოთ ჩვენი გლეხური მეურნეობის ნაყოფიერება, ანგარიში უნდა გავუწიოთ, პირველ რიგში, საშუალო გლეხს. **ამიტომაც კომუნისტურ პარტიას მოუხდა ამის შესაბამისად აეგო თავისი პოლიტიკა... მაშასადამე, გლეხობის მიმართ პოლიტიკის ცვლილება იმით აიხსნება, რომ თვით გლეხობის მდგომარეობა შეიცვალა. სოფელი უფრო საშუალო-გლეხურ სოფლად იქცა, და საწარმოო ძალების განვითარებისათვის ანგარიში უნდა გავუწიოთ ამას»** * (იხ. ტ. XXVI, გვ. 304 — 305).

და შემდეგ, იმავე ტომში, 247 გვერდზე, ლენინს გამოჰყავს საერთო დასკვნა:

«ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკა უნდა ვაშენოთ საშუალო გლეხის ეკონომიკის შესაბამისად **, რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერ გარდაგვიქმნია და რომელსაც კიდევ ათი წლის განმავლობაში ვერ გარდავქმნით».

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ შემოვიღეთ ვაჭრობის თავისუფლება, დავუშვით კაპიტალიზმის გამოცოცხლება, შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა იმისათვის, რომ გაგვეძლიერებინა საწარმოო ძალების ზრდა, გაგვედიდებინა პროდუქტების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში, განგვემტკიცებინა გლეხობასთან კავშირი. გლეხობასთან კავშირი, ამ კავშირის ინტერესები, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხაზით ჩვენი დათმობების საფუძველი, — აი როგორ უდგება საქმეს ლენინი.

იცოდა თუ არა მაშინ ლენინმა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკით, გლეხობისადმი დათმობებით ისარგებლებდნენ სპეკულანტები, კაპიტალისტები, კულაკები? რა თქმა უნდა, იცოდა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეს დათმობები, არსებითად, სპეკულანტისა და კულაკისადმი დათმობები იყო? არა, არ ნიშნავს. ვინაიდან საერთოდ

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

** ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და კერძოდ ვაჭრობას იყენებენ არა მარტო კაპიტალისტები და კულაკები, არამედ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოებიც, ვინაიდან ვაჭრობენ არა მარტო კაპიტალისტები და კულაკები, არამედ სახელმწიფო ორგანოები და კოოპერაციაც, ამასთან სახელმწიფო ორგანოები და კოოპერაცია, როცა ისინი ვაჭრობას ისწავლიან, აჯობებენ (უკვე სჯობნიან!) კერძოებს იმით, რომ ჩვენს ინდუსტრიას შეაკავშირებენ გლეხურ მეურნეობასთან.

მერე რა გამოდის აქედან? აქედან გამოდის ის, რომ ჩვენი დათმობანი ხდება ძირითადად გლეხობასთან კავშირის განმტკიცების ხაზით და ამ კავშირის გულისათვის.

ვისაც ეს არ ესმის, ის საქმეს უდგება არა როგორც ლენინელი, არამედ როგორც ლიბერალი.

3. ვინ დაუშვა შეცდომები?

მესამე პასუხი — სოკოლნიკოვს. იგი ამბობს: «საკმაოდ დიდი ზარალი, რაც ჩვენ სამეურნეო ფრონტზე განვიცადეთ, შემოდგომიდან მოკიდებული, მიდის სწორედ ჩვენი ძალების გადაჭარბებით შეფასების ხაზით, სოციალისტური სიმწიფის გადაჭარბებით შეფასების ხაზით, ჩვენთვის, სახელმწიფო მეურნეობისათვის იმ შესაძლებლობათა გადაჭარბებით შეფასების ხაზით, რომ ახლავე ვუხელმძღვანელოთ მთელ სახალხო მეურნეობას».

თურმე, შეცდომები დამზადებისა და საგარეო ვაჭრობის დარგში, — მე მზედველობაში მაქვს 1924/25 წლის პასიური სალდო, — ეს შეცდომები აიხსნება არა ჩვენი მარეგულირებელი ორგანოების შეცდომით, არამედ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სიმწიფის გადაჭარბებით შეფასებით. და ამაში, თურმე, დამნაშავეა ბუხარინი, რომლის «სკოლა» სპეციალურად ნერგავს ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სიმწიფით გატაცების საქმეს.

რა თქმა უნდა, სიტყვებში «შეიძლება» რამდენიც გნებავთ ჩმახვა, როგორც ამას ხშირად სჩადის სოკოლნიკოვი. მაგრამ საზღვარი მაინც უნდა იცოდე. როგორ შეიძლება ასეთი შეუსაბამობისა და პირდაპირი სიცრუის თქმა ყრილობის წინაშე? განა სოკოლნიკოვმა არ იცის პოლიტბიუროს ნოემბრის დამდეგის სპეციალური სხდომის შესახებ, სადაც განხილულ იქნა დამზადებათა და საგარეო ვაჭრობის საკითხი, სადაც მარეგულირებელი ორგანოების შეცდომები გამოასწორა ცენტრალურმა კომიტეტმა, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ, რომელიც ვითომდა გადაჭარბებით აფასებს ჩვენს სოციალისტურ შესაძლებლობებს? როგორ შეიძლება ყრილობაზე ასეთი აბდაუბდის ლაპარაკი? და რა შუაშია აქ ბუხარინის «სკოლა» ან თვითონ ბუხარინი? ეს რა ჩვეულებაა — შენი ცოდვა სხვას გადააბრალო! განა სოკოლნიკოვმა არ იცის, რომ შეცდომების საკითხის შესახებ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვების სტენოგრამა ყველა საგუბერნიო კომიტეტს დაეგზავნა? როგორ შეიძლება ლაპარაკი აშკარა ფაქტების წინააღმდეგ? სიტყვებში ჩმახვა «შეიძლება», მაგრამ კაცმა საზღვარი ხომ უნდა იცოდეს.

4. რატომ იცავს სოკოლნიკოვი ღარიბ გლეხობას

მეოთხე პასუხი — აგრეთვე სოკოლნიკოვის წინააღმდეგ. მან აქ განაცხადა, რომ იგი, როგორც ფინანსთა სახალხო კომისარი, თურმე ნუ იტყვით, ყოველნაირად ცდილობს უზრუნველყოს, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საშემოსავლო გადასახადი იყოს, მაგრამ მას ხელს უშლიან, ხელს უშლიან იმიტომ, რომ ღარიბი გლეხობის დაცვისა და კულაკის ალაგმვის საშუალებას არ აძლევენ. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს ცილისწამებაა პარტიის მიმართ. შემოსავლიანობის ხაზით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფორმალური შეცვლის საკით-

ხი, — ფორმალური-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ იგი ფაქტიურად საშემოსავლო გადასახადია, — ეს საკითხი დასმული იყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამა წლის ოქტომბერში, მაგრამ ყრილობაზე ამ საკითხის დასმისათვის არავის არ დაუჭერია მხარი, გარდა სოკოლნიკოვისა, ვინაიდან საკითხი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული ყრილობაზე დასასმელად. მაშინ სოკოლნიკოვს დაჟინებით არ დაუცავს თავისი წინადადება. ახლა კი გამოდის, რომ სოკოლნიკოვს მოუწადინებია გამოიყენოს ეს საქმე ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, არა ღარიბი გლეხობის ინტერესებისათვის, არამედ ოპოზიციის ინტერესებისათვის. და რახან სოკოლნიკოვი აქ ლაპარაკობს ღარიბ გლეხობაზე, ნება მიბოძეთ გაცნობოთ ერთი ფაქტი, რომელიც ამჟღავნებს სოკოლნიკოვის, ღარიბი გლეხობის ამ ვითომდა ნაფიცი დამცველის, ნამდვილ პოზიციას. ამას წინათ რსფს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. მილიუტინმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მანეთზე ნაკლები გადასახადისაგან გაეთავისუფლებინათ ღარიბ გლეხთა მეურნეობები. ამხ. მილიუტინის მიერ ცენტრალურ კომიტეტში წარდგენილი ბარათიდან ჩანს, რომ მთელი თანხა ამ, მანეთზე ნაკლები გადასახადისა, რომელიც გლეხობას აღიზიანებს, მთელ რსფს რესპუბლიკაში 300 — 400 ათასამდე მანეთს შეადგენს, რომ ამ გადასახადის მარტო გადასახდევინებელი ხარჯები ამ გადასახადის თანხაზე ცოტა ნაკლები იქნება. მერე როგორ იქცევა სოკოლნიკოვი, ღარიბი გლეხობის ეს დამცველი? იგი პირდაპირ აუქმებს ამხ. მილიუტინის ამ გადაწყვეტილებას. ცენტრალურ კომიტეტს ამის შესახებ პროტესტი მოსდის 15 საგუბერნიო კომიტეტისაგან. სოკოლნიკოვი ჯიუტობს. საჭირო გახდა ცენტრალური კომიტეტის ზეგავლენა, რომ სოკოლნიკოვს უარი ეთქვა მანეთზე ნაკლები გადასახადის გადაუხდევინებლობის

შესახებ რსფს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავსებით სწორი გადაწყვეტილების გაუქმებაზე. ამას უწოდებს სოკოლნიკოვი ღარიბი გლეხობის ინტერესთა «დაცვას». და ასეთ ადამიანებს, რომლებსაც ასეთი ცოდვა მიუძღვით, ჰყოფნით — როგორა ვთქვა უფრო რბილად — გამბედაობა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ გამოვიდნენ. უცნაურია, ამხანაგებო, უცნაური.

5. იდეური ბრძოლა თუ ცილისწამება?

ბოლოს, კიდევ ერთი პასუხი. მე მხედველობაში მაქვს «სადავო საკითხთა მასალების კრებულის» ავტორებისათვის გასაცემი პასუხი. გუშინ აქ დაარიგეს საიდუმლოდ, მხოლოდ ყრილობის წევრებისათვის, ახლახან გამოცემული «სადავო საკითხთა მასალების კრებული». ამ კრებულში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ მე ამა წლის აპრილში მივიღე სოფლკორთა დელეგაცია, თანაგრძნობით მოვეკიდე მიწის კერძო საკუთრების აღდგენის იდეას. თურმე, «ბედნოტაში» [63] მოთავსებული იყო ერთ-ერთი სოფლკორის ანალოგიური «შთაბეჭდილებანი», რომლებიც ჩემთვის უცნობი იყო, რომლებიც მე არ გადამისინჯავს. ამის შესახებ შევიტყე მიმდინარე წლის ოქტომბერში. კიდევ უფრო ადრე, აპრილში, რიგის სააგენტომ, რომელიც ყველა დანარჩენი სააგენტოსაგან იმით განსხვავდება, რომ ჩვენს შესახებ ყოველგვარ სიცრუეს თხზავს, ასეთივე ცნობა გადასცა საზღვარგარეთის პრესას, რის შესახებაც ჩვენმა მუშაკებმა გვაცნობეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელზე პარიზიდან გამოგზავნილი დეპეშით და უარყოფას მოითხოვდნენ. მე მაშინვე ვუპასუხე ამხ. ჩიჩერინს ჩემი თანაშემწის მეშვეობით და განვუცხადე, რომ «თუ ამხ. ჩიჩერინს საჭიროდ მიაჩნია ყოველგვარი სისულელისა და ჭორის უარყოფა, დაე უარყოს»-მეთქი (იხ. ცენტრალური კომიტეტის არქივი).

იციან თუ არა ყოველივე ეს ამ საკრამენტული «კრებულის» ავტორებმა? რა თქმა უნდა, იციან. მაშ რატომ განაგრძობენ ისინი ყოველგვარი სისულელისა და სიცრუის გავრცელებას? როგორ შეუძლიათ მათ, როგორ შეუძლია ოპოზიციას მიმართოს რიგის სააგენტოს მეთოდებს? ნუთუ ისინი აქამდე მივიდნენ? (ხმა: «სირცხვილი!»).

შემდეგ, რადგან ვიცოდი «მღვიმის ადამიანების» ზნე, რადგან ვიცოდი, რომ მათ შეუძლიათ გაიმეორონ რიგის სააგენტოს მეთოდები, «ბედნოტას» რედაქციაში უარყოფა გავგზავნე. ასეთი სისულელის უარყოფა სასაცილოა, მაგრამ რადგანაც ვიცი, ვისთანა მაქვს საქმე, მე მაინც გავგზავნე უარყოფა. აი იგი:

«წერილი «ბედნოტას» რედაქციას.

ამხ. რედაქტორო! ამას წინათ ამხანაგებისაგან შევიტყე, რომ ჩემთან სოფლკორთა დელეგაციის საუბრის შესახებ ერთ-ერთი სოფლკორის შთაბეჭდილებათა აღწერაში, რომელიც 1925 წლის 5/IV-ის «ბედნოტაში» იყო დაბეჭდილი, და რომლის თავის დროზე წაკითხვის შემთხვევა არა მქონია, ნათქვამია, თითქოს მე თანაგრძნობით მოვეკიდე მიწის მფლობელობის 40 და მეტი წლით დამკვიდრების იდეას, მიწის კერძო საკუთრების იდეას და სხვ. თუმცა ეს ფანტასტიკური ცნობა არ მოითხოვს უარყოფას მისი აშკარა უაზრობის გამო, მაგრამ მაინც, იქნებ ზედმეტი არ იყოს ნებართვა გთხოვოთ განვაცხადო «ბედნოტაში», რომ ეს ცნობა უაღრესად უხეშ შეცდომას წარმოადგენს, და იგი მთლიანად უნდა მიეწეროს მისი ავტორის ფანტაზიას.

ი. სტალინი».

იციან თუ არა ამ წერილის შესახებ ამხანაგებმა — «კრებულის» ავტორებმა? უეჭველია, იციან. მაშ რატომღა განაგრძობენ ისინი ჭორის, სიცრუის გავრცელებას? ეს ბრძოლის რა მეთოდია? ამბობენ, ეს იდეური ბრძოლააო. მაგრამ არა, ამხანაგებო, ეს იდეური ბრძოლა არ არის. ჩვენს ენაზე ამას მხოლოდ **ცილისწამება** ეწოდება.

ნება მიბოძეთ ახლა ძირითად პრინციპულ საკითხებზე გადავიდე.

6. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხი. აქ მე ვგულისხმობ ამხ. კრუპსკაიას და მის მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხზე წარმოთქმულ სიტყვას. იგი ამბობს: «ახალი ეკონომიური პოლიტიკა არსებითად კაპიტალიზმია, რომელიც დაშვებულია გარკვეული პირობებით, კაპიტალიზმი, რომელიც ჯაჭვით ჰყავს დაბმული პროლეტარულ სახელმწიფოს»... მართალია თუ არა ეს? ჰოც და არაც. ჩვენ რომ კაპიტალიზმი ჯაჭვით გვყავს დაბმული და დაბმული გვეყოლება, სანამ იგი არსებობს, ეს ფაქტია, ეს სწორია. მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკა რომ კაპიტალიზმი იყოს, — ეს აბდაუბდაა, გაუგონარი აბდაუბდა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს კაპიტალიზმის დაშვებას, თუ მბრძანებელი მწვერვალები პროლეტარული სახელმწიფოს ხელშია, გულისხმობს კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლას, გულისხმობს სოციალისტური ელემენტების როლის ზრდას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოდ, გულისხმობს კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას, გულისხმობს კლასების მოსპობას, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებას. ვისაც არ ესმის ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეს გარდამავალი, ორმაგი ბუნება, იგი შორდება ლენინიზმს. ახალი ეკონომიური პოლიტიკა რომ კაპიტალიზმი იყოს, მაშინ ნეპური რუსეთი, რომელზეც ლენინი ლაპარაკობდა, კაპიტალისტური რუსეთი იქნებოდა. მაგრამ განა ახლანდელი რუსეთი კაპიტალისტური რუსეთია, და არა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი რუსეთი? მაშინ ლენინმა რატომ უბრალოდ არა თქვა: «**კაპიტალისტური** რუსეთი სოციალისტურ რუსეთად გა-

დაიქცევაო», არამედ ამჯობინა სხვა ფორმულა მოეცა: «ნეპური რუსეთი სოციალისტურ რუსეთად გადაიქცევაო»? ეთანხმება თუ არ ეთანხმება ოპოზიცია ამხ. კრუპსკაიას, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა კაპიტალიზმია? მე ვფიქრობ, რომ არ მოიძებნება ყრილობის არც ერთი წევრი, რომელიც ამხ. კრუპსკაიას ფორმულას დაეთანხმოს. ამხ. კრუპსკაიამ (დაე მომიტევოს მან) ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ ნამდვილი აბდაუბდა თქვა. არ შეიძლება ასეთი აბდაუბდით გამოსვლა აქ ლენინის დასაცავად ბუხარინის წინააღმდეგ.

7. სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ

ამ საკითხთან დაკავშირებულია ბუხარინის შეცდომა. რაში მდგომარეობდა მისი შეცდომა? რა საკითხებზე ეკამათებოდა ლენინი ბუხარინს? ლენინი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმის კატეგორია შეიძლება შეთავსებულ იქნას პროლეტარიატის დიქტატურის სისტემასთან. ბუხარინი უარყოფდა ამას. მას მიაჩნდა — და მასთან ერთად «მემარცხენე» კომუნისტებს, მათ შორის საფაროვსაც, მიაჩნდათ, — რომ არ შეიძლება სახელმწიფო კაპიტალიზმის კატეგორიის შეთავსება პროლეტარიატის დიქტატურის სისტემასთან. ლენინი, რა თქმა უნდა, მართალი იყო. ბუხარინი არ იყო მართალი. მან თავისი ეს შეცდომა აღიარა. აი რაში მდგომარეობს ბუხარინის შეცდომა. მაგრამ ეს წარსულში იყო. თუ იგი ახლა, 1925 წელს, მაისში, იმეორებს, რომ მას უთანხმოება აქვს ლენინთან სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში, მე ვფიქრობ, რომ ეს უბრალო გაუგებრობაა. მან ან პირდაპირ უნდა თქვას უარი ამ განცხადებაზე, ანდა ეს გაუგებრობაა, იმიტომ რომ ის ხაზი, რომელსაც ახლა იგი სახელმწიფო მრეწველობის ბუნების საკითხში იცავს, ლენინის ხაზია. ლენინი კი არ მისულა ბუხარინთან, არამედ პირიქით, ბუხარინი

მივიდა ლენინთან. და სწორედ ამიტომ ჩვენ ვიცავთ ბუხარინს. (ტაში).

კამენევისა და ზინოვიევის ძირითადი შეცდომა ის არის, რომ ისინი სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხს განიხილავენ სქოლასტიკურად, არა დიალექტიკურად, ისტორიულ ვითარებასთან კავშირის გარეშე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ლენინიზმის მთელ ბუნებას ეწინააღმდეგება. როგორ აყენებდა საკითხს ლენინი? 1921 წელს ლენინს, რომელმაც იცოდა, რომ ჩვენი მრეწველობა ნაკლებად არის განვითარებული, ხოლო გლეხობას საქონელი ესაჭიროება, რომელმაც იცოდა, რომ მას (მრეწველობას) ერთბაშად ვერ განავითარებ, რომ მუშები, გარკვეული ვითარების გამო, მუშაობენ არა იმდენად მრეწველობაში, რამდენადაც სანთიების დამზადებაზე, — ამ ვითარებაში ლენინს მიაჩნდა, რომ ყველა შესაძლებლობათაგან საუკეთესო შესაძლებლობაა უცხოეთის კაპიტალის მოზიდვა, მისი დახმარებით მრეწველობის მოგვარება, ამრიგად სახელმწიფო კაპიტალიზმის შემოღება და მისი **საშუალებით** სოფელთან საბჭოთა ხელისუფლების კავშირის მოგვარება. ასეთი გზა მაშინ უთუოდ სწორი იყო, ვინაიდან გლეხობის დაკმაყოფილების სხვა შესაძლებლობანი მაშინ არ გაგვაჩნდა, ვინაიდან ჩვენში მრეწველობა მოიკოჭლებდა, ტრანსპორტი გაჩერებული ან თითქმის გაჩერებული იყო, არ გვქონდა, არ გვყოფნიდა სათბობი. დასაშვებად და სასურველად მიაჩნდა თუ არა ლენინს მაშინ სახელმწიფო კაპიტალიზმი, როგორც ჩვენი მეურნეობის გაბატონებული ფორმა? დიახ, მიაჩნდა. მაგრამ ეს იყო მაშინ, 1921 წელს. ახლა? შეიძლება თუ არა ახლა ითქვას, რომ ჩვენ არა გვაქვს ჩვენი მრეწველობა, ტრანსპორტი დგას, არა გვაქვს სათბობი და სხვ.? არა, არ შეიძლება. შეიძლება თუ არა იმის უარყოფა, რომ ჩვენი მრეწველობა და ვაჭრობა უკვე **უშუალოდ**, თავისი

საკუთარი ძალებით ამყარებენ ინდუსტრიის (**ჩვენი** ინდუსტრიის) კავშირს გლეხურ მეურნეობასთან? არა, არ შეიძლება. შეიძლება თუ არა იმის უარყოფა, რომ მრეწველობის დარგში «სახელმწიფო კაპიტალიზმმა» და «სოციალიზმმა» უკვე გაცვალეს როლები, ვინაიდან სოციალისტური მრეწველობა გაბატონებული მრეწველობა გახდა, ხოლო კონცესიებისა და იჯარის (პირველთ ჰყავთ 50 ათასი მუშა, მეორეს — 35 ათასი) ხვედრითი წონა მინიმალურია? არა, არ შეიძლება. ჯერ კიდევ 1922 წელს ლენინმა თქვა — კონცესიებისა და იჯარის საქმე არ გამოგვივიდაო.

მაშ რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს, რომ 1921 წლიდან ჩვენში ვითარება არსებითად შეიცვალა, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი სოციალისტური მრეწველობა და საბჭოთა-კოოპერაციული ვაჭრობა უკვე გახდნენ გაბატონებული ძალა, რომ უკვე ვისწავლეთ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის დამყარება საკუთარი ძალებით, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმის ყველაზე უფრო მკაფიო ფორმები — კონცესიები და იჯარა — ამ ხნის განმავლობაში სერიოზულად არ განვითარებულან, რომ ლაპარაკი **ახლა,** 1925 წელს, სახელმწიფო კაპიტალიზმის, როგორც ჩვენი მეურნეობის გაბატონებული ფორმის, შესახებ ნიშნავს ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური ბუნების დამახინჯებას, ნიშნავს წარსულ და ახლანდელ ვითარებას შორის არსებული მთელი განსხვავების გაუგებლობას, ნიშნავს სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხისადმი არა დიალექტიკურად, არამედ სქოლასტიკურად, მეტაფიზიკურად მიდგომას.

ხომ არა გნებავთ მოუსმინოთ სოკოლნიკოვს? თავის სიტყვაში იგი ამბობს:

«ჩვენი საგარეო ვაჭრობა წარმოებს როგორც სახელმწიფო-კაპიტალისტური წამოწყება... ჩვენი საშინაო სავაჭრო საზოგადოებებიც

სახელმწიფო-კაპიტალისტური წამოწყებებია. და უნდა ვთქვა, **ამხანაგებო**, რომ სახელმწიფო ბანკიც სწორედ ასევე სახელმწიფო-კაპიტალისტური წამოწყებაა. ჩვენი ფულის სისტემა? ჩვენი ფულის სისტემა დამყარებულია იმაზე, რომ საბჭოთა მეურნეობაში, სოციალიზმის შენების პირობებში, აღებულია კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპებით გამსჭვალული ფულის სისტემა».

ასე ამბობს სოკოლნიკოვი.

მალე იგი იქამდეც მივა, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატსაც სახელმწიფო კაპიტალიზმად გამოაცხადებს. დღემდე მე ვფიქრობდი, დღემდე ჩვენ ყველანი ვფიქრობდით, რომ სახელმწიფო ბანკი სახელმწიფო აპარატის ნაწილია. დღემდე მე ვფიქრობდი, და ჩვენ ყველანი ვფიქრობდით, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობა, თუ არ ჩავთვლით მის გარემომცველ სახელმწიფო-კაპიტალისტურ დაწესებულებებს, სახელმწიფო აპარატის ნაწილია, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი პროლეტარული ტიპის სახელმწიფოს აპარატია. ყველანი ასე ვფიქრობდით დღემდე, ვინაიდან პროლეტარული ხელისუფლება ამ ინსტიტუტების **ერთადერთი** პატრონია. ახლა კი სოკოლნიკოვის მიხედვით გამოდის, რომ ეს ინსტიტუტები, რომლებიც ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნაწილს შეადგენენ, სახელმწიფო-კაპიტალისტური ინსტიტუტები არიან. იქნებ ჩვენი საბჭოთა აპარატიც სახელმწიფო კაპიტალიზმია, და არა სახელმწიფოს პროლეტარული ტიპი, როგორც ლენინი ამტკიცებდა? რატომაც არა? განა ჩვენი საბჭოთა აპარატი არ სარგებლობს «კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპებით გამსჭვალული ფულის სისტემით»? აი რა სისულელის თქმამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი.

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, მოვიყვანო ლენინის აზრი სახელმწიფო ბანკის ბუნებისა და მნიშვნელობის საკითხზე. მე მინდა, ამხანაგებო, დავიმოწმო ერთი ადგილი ლენინის წიგნიდან, რომელიც 1917 წელს არის დაწერილი.

მხედველობაში მაქვს ბროშურა «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?», სადაც იგი ჯერ კიდევ იდგა მრეწველობისადმი კონტროლის (და არა ნაციონალიზაციის) თვალსაზრისზე და სადაც, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბანკი პროლეტარული სახელმწიფოს ხელში $^{9}/_{10}$-ით სოციალისტურ აპარატად მიაჩნდა. აი რას წერდა იგი სახელმწიფო ბანკის შესახებ:

«მსხვილი ბანკები **არის** ის «სახელმწიფო აპარატი», რომელიც **ჩვენ გვესაჭიროება** სოციალიზმის განსახორციელებლად და რომელსაც ჩვენ **მზას ვიღებთ** კაპიტალიზმისაგან, ამასთან აქ ჩვენი ამოცანაა **წარვკვეთოთ** მხოლოდ ის, რაც **კაპიტალისტურად ამახინჯებს** ამ საუცხოო აპარატს, **კიდევ უფრო მსხვილი**, კიდევ უფრო დემოკრატიული, კიდევ უფრო ყოვლისმომცველი გავხადოთ იგი. რაოდენობა თვისებრიობად გადაიქცევა. უმსხვილესთაგან უმსხვილესი ერთიანი სახელმწიფო ბანკი, განყოფილებებით თვითეულ თემში, თვითეულ ფაბრიკასთან — ეს **სოციალისტური** აპარატის უკვე ცხრა მეათედია. ეს არის საერთო-სახელმწიფოებრივი **ანგარიშწარმოება**, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების საერთო-სახელმწიფოებრივი **აღრიცხვა**, ეს არის, ასე ვთქვათ, სოციალისტური საზოგადოების **ჩონჩხის** მაგვარი რამ» (იხ. ტ. XXI, გვ. 260).

შეადარეთ ლენინის სიტყვები სოკოლნიკოვის სიტყვას — და მიხვდებით, საითკენ მიექანება სოკოლნიკოვი. მე არ გამიკვირდება, თუ იგი ფინანსთა სახალხო კომისარიატს სახელმწიფო კაპიტალიზმად გამოაცხადებს.

რაშია აქ საქმე? საიდან აქვს ასეთი შეცდომები სოკოლნიკოვს?

საქმე იმაშია, რომ სოკოლნიკოვს არ ესმის ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორმაგი ბუნება, ვაჭრობის ორმაგი ბუნება კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალისტური ელემენტების ბრძოლის ახლანდელ პირობებში, მას არ ესმის განვითარების დიალექტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში, გარდამავალი პერიოდის ვითარებაში, სადაც ბურჟუაზიის მეთოდებსა და

იარაღს სოციალისტური ელემენტები იყენებენ კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისა და ლიკვიდაციისათვის. საქმე სრულებითაც ის არ არის, რომ ვაჭრობა და ფულის სისტემა «კაპიტალისტური ეკონომიკის» მეთოდებია. საქმე ის არის, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტები, რომლებიც კაპიტალისტურ ელემენტებს ებრძვიან, ეუფლებიან ბურჟუაზიის ამ მეთოდებსა და იარაღს კაპიტალისტური ელემენტების დასაძლევად, რომ ისინი **წარმატებით** იყენებენ მათ კაპიტალიზმის **წინააღმდეგ, წარმატებით** იყენებენ მათ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის ასაგებად. მაშასადამე, საქმე ის არის, რომ, ჩვენი განვითარების დიალექტიკის მეოხებით, ბურჟუაზიის ამ ინსტრუმენტების ფუნქციები და დანიშნულება **პრინციპულად,** ძირეულად იცვლება, იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის საზიანოდ. სოკოლნიკოვის შეცდომა ის არის, რომ იგი ვერ მიხვდა იმ პროცესების მთელ სირთულესა და წინააღმდეგობრიობას, რომლებიც ჩვენს ეკონომიკაში ხდება.

ახლა ნება მიბოძეთ დავიმოწმო ლენინი სახელმწიფო კაპიტალიზმის ისტორიული ხასიათის საკითხში, მოვიყვანო ციტატა იმ საკითხის შესახებ, თუ როდის და რატომ იძლეოდა იგი სახელმწიფო კაპიტალიზმის, როგორც მთავარი ფორმის, შემოღების წინადადებას, რამ აიძულა იგი საამისოდ, და სახელდობრ რა კონკრეტულ პირობებში იძლეოდა იგი სახელმწიფო კაპიტალიზმის შემოღების წინადადებას. (ხმა: «გთხოვთ!»).

«ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავივიწყოთ ის, რასაც ხშირად ეხედავთ — მუშების სოციალისტური დამოკიდებულება სახელმწიფოს კუთვნილ ფაბრიკებში, სადაც მუშები თვითონ აგროვებენ სათბობს, ნედლეულსა და პროდუქტებს, ან როცა მუშები ცდილობენ სწორად გაანაწილონ გლეხობაში მრეწველობის პროდუქტები, მიაქვთ ეს პროდუქტები სატრანსპორტო საშუალებებით. **ეს არის სოციალიზმი.** შეგრამ მის გვერდით არსებობს წვრილი მეურნეობა, რომელიც ხში-

რად მისგან **დამოუკიდებლად** არსებობს. რატომ შეიძლება იგი მისგან დამოუკიდებლად არსებობდეს? **იმიტომ,** რომ მსხვილი მრეწველობა აღდგენილი არ არის, **იმიტომ,** რომ სოციალისტურ ფაბრიკებს შეუძლიათ მიიღონ იმის, იქნებ, მხოლოდ მეათედი წილი, რასაც ისინი უნდა იღებდნენ; და, რამდენადაც ისინი არ იღებენ, წვრილი მეურნეობა სოციალისტური ფაბრიკებისაგან დამოუკიდებელი რჩება. ქვეყნის უმაგალითო გაჩანაგება, სათბობის, ნედლეულისა და ტრანსპორტის ნაკლებობა იმას იწვევს, რომ წვრილი წარმოება სოციალიზმისაგან **განცალკევებულად** არსებობს. და მე ვამბობ: ასეთ პირობებში სახელმწიფო კაპიტალიზმი — რა არის ეს? — ეს იქნება წვრილი წარმოების გაერთიანება. კაპიტალი აერთიანებს წვრილ წარმოებას, კაპიტალი წვრილი წარმოებიდან იზრდება. ამას თვალს არ უნდა ვარიდებდეთ. რა თქმა უნდა, **ვაჭრობის თავისუფლება კაპიტალიზმის ზრდას ნიშნავს;** ამას თავს ვერანაირად ვერ ავარიდებთ, და ვინც განიზრახავს თავის არიდებას და თავის დაძვრენას, იგი მხოლოდ სიტყვებით ირთობს თავს. თუ არის წვრილი მეურნეობა, თუ არის გაცვლის თავისუფლება — ჩნდება კაპიტალიზმი. მაგრამ ეს კაპიტალიზმი განა **საშიშია** ჩვენთვის, **თუ ხელთ გვაქვს ფაბრიკები, ქარხნები, ტრანსპორტი და საზღვარგარეთთან ვაჭრობა?** და აი მაშინ მე ვამბობდი, ახლაც გავიმეორებ და მიმაჩნია, რომ ეს უდავოა, რომ ეს კაპიტალიზმი ჩვენთვის საშიში არ არის. ასეთი კაპიტალიზმია კონცესიები»* (იხ. ტ. XXVI, გვ. 306).

აი როგორ უდგებოდა ლენინი სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხს.

1921 წელს, როცა საკუთარი მრეწველობა თითქმის არა გვქონდა, ნედლეული არ გვყოფნიდა, ხოლო ტრანსპორტი იდგა, ლენინი წინადადებას იძლეოდა შემოგვეღო სახელმწიფო კაპიტალიზმი, როგორც საშუალება, რომლითაც იგი ფიქრობდა დაეკავშირებინა გლეხური მეურნეობა ინდუსტრიასთან. და ეს სწორი იყო. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ლენინს ეს გზა სასურველად მიაჩნდა **ყოველგვარ** პირობებში? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. იგი სახელმწიფო კაპიტალიზმის საშუალებით ქალაქსა და

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. **ი. სტ.**

სოფელს შორის კავშირის დამყარებას მოითხოვდა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვქონდა განვითარებული სოციალისტური მრეწველობა. ახლა კი? განა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ახლა არა გვაქვს განვითარებული სახელმწიფო მრეწველობა? რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას. განვითარება სხვა კალაპოტით წარიმართა, კონცესიებმა თითქმის ვერ მოიკიდეს ფეხი, სახელმწიფო მრეწველობა გაიზარდა, გაიზარდა სახელმწიფო ვაჭრობა, გაიზარდა კოოპერაცია, და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის დამყარება დაიწყო სოციალისტური მრეწველობის საშუალებით. ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ვიდრე თვითონ ვფიქრობდით. როგორ შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის მთავარი ფორმაა?

ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ მას არ სურს შეიგნოს ასეთი უბრალო რამ.

8. ზინოვიევი და გლეხობა

გლეხობის საკითხი. ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი, და აქ ორატორები ამტკიცებდნენ, რომ ზინოვიევს გადახრა აქვს საშუალო გლეხის შეუფასებლობის მიმართულებით, რომ იგი გარკვეულად, ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ, იდგა საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის თვალსაზრისზე და მხოლოდ ახლა, პარტიაში ბრძოლის შემდეგ, ცდილობს ადგილი გადაინაცვლოს, დამკვიდრდეს სხვა თვალსაზრისზე, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის თვალსაზრისზე. სწორია თუ არა ყოველივე ეს? ნება მიბოძეთ დავიმოწმო ზოგიერთი დოკუმენტი.

სტატიაში «ბოლშევიზაციის შესახებ» ზინოვიევი მიმდინარე წელს წერდა:

«არის მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც **სავსებით საერთოა კომინტერნის ყველა პარტიისათვის.** ასეთია, მაგალითად... სწორი მიდ-

გომა გლეხობისადმი. მთელი მსოფლიოს მიწათმოქმედ მოსახლეობაში არის სამი ფენა, რომლებიც შეგვიძლია და კიდევაც უნდა მოვიმხროთ და რომლებსაც შეუძლიათ გახდნენ პროლეტარიატის მოკავშირეები (სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი, ნახევრად-პროლეტარები — პარცელური გლეხები და წვრილი გლეხობა, რომელიც სხვისი სამუშაო ძალის დაქირავებას არ მიმართავს). არის გლეხობის სხვა ფენა (საშუალო გლეხები), რომელიც, ყოველ შემთხვევაში, **ჩვენს მიერ ნეიტრალიზებული** უნდა იქნას» * (1925 წლის 18 იანვრის «პრავდა»).

ასე წერს ზინოვიევი საშუალო გლეხის შესახებ, ექვსი წლის შემდეგ პარტიის VIII ყრილობიდან, სადაც ლენინმა უარყო საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის ლოზუნგი და შეცვალა იგი საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის ლოზუნგით. ბაკაევი გვეკითხება, რა არის აქ საშინელიო? მე კი გთხოვთ შეადაროთ ზინოვიევის სტატია ლენინის თეზისს საშუალო გლეხზე გეზის აღების შესახებ და გვიპასუხოთ, დაშორდა ზინოვიევი ლენინის თეზისს, თუ არ დაშორებია... (შ ე ძ ა ხ ი ლ ი ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: «იგულისხმება სხვა ქვეყნები, გარდა რუსეთისა». ხ მ ა უ რ ი). არ გამოდის, ამხანაგებო, ვინაიდან ზინოვიევის სტატიაში ლაპარაკია «ამოცანებზე, რომლებიც **სავსებით** საერთოა კომინტერნის **ყველა** პარტიისათვის». ნუთუ თქვენ დაიწყებთ იმის უარყოფას, რომ ჩვენი პარტიაც კომინტერნის ნაწილია? აქ პირდაპირ ნათქვამია: «**ყველა** პარტიისათვის». (შ ე ძ ა ხ ი ლ ი ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი ს დ ე ლ ე გ ა ც ი ი ს მ ხ რ ი დ ა ნ: «გარკვეულ მომენტებში». ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

შეადარეთ ზინოვიევის სტატიიდან აღებული ეს ციტატა **ნეიტრალიზაციის შესახებ** პარტიის VIII ყრილობაზე ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან აღებულ ციტატას იმის შესახებ, რომ ჩვენ გვესაჭიროება **მტკიცე კავშირი** საშუალო გლეხთან, და თქვენ მიხვდებით, რომ მათ შორის საერთო არაფერია.

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

დამახასიათებელია, რომ, როცა ზინოვიევის სტატიაში ეს სტრიქონები წაიკითხა, ამხ. ლარინმა, სოფლად «მეორე რევოლუციის» ამ მომხრემ, არ დააყოვნა შეერთებოდა მათ. მე ვფიქრობ, რომ თუმცა ამხ. ლარინი ამ დღეებში კამენევისა და ზინოვიევის წინააღმდეგ გამოვიდა, და საკმაოდ წარმატებითაც გამოვიდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ჩვენსა და მას შორის უთანხმოებაა, და ჩვენ აქ უნდა გავემიჯნოთ მას. აი რა აზრს გამოთქვამს ამხ. ლარინი ზინოვიევის ამ სტატიის შესახებ:

«„გლეხობისადმი სწორი მიდგომა» სავსებით სწორად ჩამოაყალიბა კომინტერნის ყველა * პარტიის საერთო ამოცანების თვალსაზრისით მისმა თავმჯდომარემ, ზინოვიევმა» (ლარინი. «საბჭოთა სოფელი», გვ. 80).

მე ვხედავ, რომ ამხ. ლარინი პროტესტს აცხადებს და ამბობს, ჩემს წიგნში შენიშვნა გავაკეთე, რომ არ ვეთანხმები ზინოვიევს, რამდენადაც ზინოვიევი საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის ლოზუნგს რუსეთზეც ავრცელებსო. ეს მართალია, რომ იგი თავის წიგნში შენიშვნას აკეთებს ამის შესახებ და ამტკიცებს, რომ ნეიტრალიზაცია ჩვენთვის საკმარისი არ არის, რომ ჩვენ უნდა გადავდგათ «შემდგომი ნაბიჯი» «კულაკის წინააღმდეგ საშუალო გლეხთან შეთანხმების» მხრივ. მაგრამ აქ, სამწუხაროდ, ამხ. ლარინს მიუტმასნებია კულაკის მოძალების წინააღმდეგ «მეორე რევოლუციის» თავისი სქემა, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ, რაც მას ზინოვიევთან აახლოებს და რაც მე მაიძულებს რამდენადმე გავემიჯნო მას.

როგორც ხედავთ, ჩემს მიერ მოყვანილ დოკუმენტში ზინოვიევი პირდაპირ და გარკვეულად უჭერს მხარს საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის ლოზუნგს, წინააღმდეგ ლენინისა, რომელიც არასაკმარისად აცხადებდა

* ხაზგასმა ჩემია. ი. ს.

ნეიტრალიზაციას და საჭიროდ თვლიდა საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირს.

შემდეგი დოკუმენტი. ზინოვიევს თავის წიგნში «ლენინიზმი» მოჰყავს ლენინიდან შემდეგი ადგილი, რომელიც 1918 წელს ეკუთვნის: «გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასასრულამდე, — გლეხობის უღარიბეს, პროლეტარულ და ნახევრად-პროლეტარულ ნაწილთან ერთად წინ სოციალისტური რევოლუციისაკენ!», — და ასეთი დასკვნა გამოჰყავს:

«ძირითადი... პრობლემა, რომელიც ამჟამად გვაინტერესებს... ლენინის ამ დებულებებში მთლიანად და ბოლომდეა გაშუქებული. **აქ ვერაფერს მიუმატებ, ვერც ერთ სიტყვას ვერ მოაკლებ** *. აქ ყველაფერი ნათქვამია ილიჩისებური სიტყვაძუნწობითა და მკაფიობით, სხარტად და ნათლად — ისე, რომ პირდაპირ ქრესტომათიაშია შესატანი» («ლენინიზმი», გვ. 60).

ასეთია, ზინოვიევის მიხედვით, ლენინიზმის **ამომწურავი** დახასიათება გლეხობის საკითხში. საერთოდ გლეხობასთან ერთად მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ — ეს ბურჟუაზიული რევოლუციაა. ღარიბ გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ — ეს ოქტომბრის რევოლუციაა. ყველაფერი ეს კარგია. ლენინის ორი ლოზუნგი მოცემულია. რაღა ვუყოთ ლენინის მესამე ლოზუნგს — საშუალო გლეხთან ერთად კულაკის წინააღმდეგ სოციალისტური შმენებლობისათვის? რა იქნა ლენინის ეს მესამე ლოზუნგი? ზინოვიევს იგი არა აქვს. იგი დაიკარგა. თუმცა ზინოვიევი ამტკიცებს კიდევაც, «აქ ვერაფერს მიუმატებო», მაგრამ თუ აქ არ მივუმატებთ ლენინის მესამე ლოზუნგს საშუალო გლეხთან პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის მტკიცე კავშირის შესახებ, შეიძლება დავამახინჯოთ ლენინის აზრი, როგორც მას ზინოვიევი **ამახინჯებს**. შეიძ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლება თუ არა შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს, რომ ლენინის მესამე ლოზუნგი, რომელიც ახლა ჩვენთვის ყველაზე აქტუალურ ლოზუნგს წარმოადგენს, დაიკარგა, დაეკარგა ზინოვიევს? არა, არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს, ვინაიდან იგი საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის თვალსაზრისს ადგას. განსხვავება პირველ და მეორე დოკუმენტს შორის მხოლოდ ის არის, რომ პირველში მან აზრი გამოთქვა საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის ლოზუნგის წინააღმდეგ, ხოლო მეორეში დუმილით აუარა გვერდი ამ ლოზუნგს.

მესამე დოკუმენტია ზინოვიევის სტატია «ეპოქის ფილოსოფია». მე ვლაპარაკობ ამ სტატიის თავდაპირველ რედაქციაზე, იმ ცვლილებათა და დამატებათა გარეშე, რომლებიც შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა შეიტანეს. ამ სტატიის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი, ისევე როგორც მეორე დოკუმენტიც, სრული დუმილით უვლის გვერდს საშუალო გლეხის საკითხს და, გვერდს უვლის რა ამ საჭირბოროტო საკითხს, მსჯელობს რომელიღაც გაურკვეველ ნაროდნიკულ თანასწორობაზე თანასწორობის კლასობრივი სარჩულის აღუნიშნავად. იქ არის სოფლის ღარიბი მოსახლეობა, არის კულაკი, არის კაპიტალისტი, არის გალაშქრებანი ბუხარინის მისამართით, არის ესერული თანასწორობა, არის უსტრიალოვი, მაგრამ არ არის საშუალო გლეხი და ლენინის კოოპერაციული გეგმა, თუმცა სტატიას «ეპოქის ფილოსოფია» ეწოდება. როცა ამბ. მოლოტოვმა ეს სტატია გამომიგზავნა (მე მაშინ სხვაგან ვიყავი), უხეში და მკვეთრი კრიტიკით ვუპასუხე. დიახ, ამხანაგებო, მე პირდაპირი და უხეში ადამიანი ვარ, ეს მართალია, ამას არ უარვყოფ. (ს ი ც ი ლ ი). მე ვუპასუხე უხეში კრიტიკით, რადგან შეუწყნარებელია, რომ ზინოვიევი წლის განმავლობაში სისტემატურად დუმილით უვლიდეს გვერდს ან ამახინჯებდეს ლენინიზმის

უაღრესად დამახასიათებელ ნიშნებს გლეხობის საკითხში, ჩვენი პარტიის მორიგ ლოზუნგს გლეხობის ძირითად მასასთან კავშირის შესახებ. აი როგორ ვუპასუხე მაშინ ამხ. მოლოტოვს:

«ზინოვიევის სტატია «ეპოქის ფილოსოფია» წარმოადგენს პარტიის ხაზის ლარინისებურად დამახინჯებას. იგი მსჯელობს XIV კონფერენციის შესახებ, მაგრამ ამ კონფერენციის მთავარ თემას — საშუალო გლეხობასა და კოოპერაციას — გვერდი აქვს ავლილი. საშუალო გლეხობა და ლენინის კოოპერაციული გეგმა გაქრნენ. ეს შემთხვევითი რამია. ამის შემდეგ ლაპარაკი XIV კონფერენციის გადაწყვეტილებათა «განმარტებისათვის ბრძოლაზე» ნიშნავს გეზის აღებას ამ გადაწყვეტილებათა დარღვევისაკენ. ბუხარინის არევა სტოლიპინთან, როგორც ამას ზინოვიევი სჩადის, — ბუხარინისათვის ცილის დაწამებას ნიშნავს. ასე შეიძლება სტოლიპინთან ავურიოთ ლენინიც, რომელიც ამბობდა: «ივაჭრეთ და ისწავლეთ ვაჭრობაო». ამჟამად თანასწორობის ლოზუნგი ესერული დემაგოგიაა. არავითარი თანასწორობა არ შეიძლება იყოს, სანამ არიან კლასები და სანამ არის კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომა (იხ. **ლენინის** «სახელმწიფო და რევოლუცია»). უნდა ვილაპარაკოთ არა გაურკვეველ თანასწორობაზე, არამედ კლასების მოსპობაზე, სოციალიზმზე. ჩვენი რევოლუციისათვის «არაკლასიკური» რევოლუციის დარქმევა მენშევიზმში გადავარდნას ნიშნავს. ჩემი აზრით, სტატია უნდა გადაკეთდეს ძირეულად, ისე, რომ მას არ ჰქონდეს ხასიათი პლატფორმისა XIV ყრილობისათვის.

1925 წ. 12 სექტემბერი. **ი. სტალინი».**

მე მზადა ვარ ყველაფერი ეს ახლაც დავიცვა. თვითეული სიტყვა, თვითეული ფრაზა.

არ შეიძლება ძირითად სახელმძღვანელო სტატიაში ილაპარაკო თანასწორობაზე, თუ ზუსტად არ განსაზღვრავ, რომელ თანასწორობაზეა ლაპარაკი — გლეხებისა და მუშათა კლასის თანასწორობაზე, გლეხობის შიგნით თანასწორობაზე, მუშათა კლასის შიგნით თანასწორობაზე, კვალიფიციურებსა და არაკვალიფიციურებს შორის თანასწო-

რობაზე, თუ თანასწორობაზე კლასთა მოსპობის აზრით. სახელმძღვანელო სტატიაში არ შეიძლება დუმილით აუარო გვერდი პარტიის მორიგ ლოზუნგებს სოფლად მუშაობის შესახებ. არ შეიძლება თანასწორობის შესახებ ფრაზით თამაში, ვინაიდან ეს არის ცეცხლთან თამაში, ისევე როგორც არ შეიძლება ლენინიზმის შესახებ ფრაზით თამაში, ამავე დროს კი გლეხობის საკითხში ლენინიზმის მორიგი ლოზუნგის მიჩქმალვა.

ასეთია სამი დოკუმენტი: ზინოვიევის სტატია (1925 წ. იანვარი) საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის სასარგებლოდ, ზინოვიევის წიგნი «ლენინიზმი» (1925 წ. სექტემბერი), რომელიც დუმილით უვლის გვერდს ლენინის მესამე ლოზუნგს საშუალო გლეხის შესახებ, და ზინოვიევის ახალი სტატია «ეპოქის ფილოსოფია» (1925 წ. სექტემბერი), რომელიც დუმილით უვლის გვერდს საშუალო გლეხს და ლენინის კოოპერაციულ გეგმას.

შემთხვევითია თუ არა ზინოვიევის ეს მუდმივი ჭანაობა გლეხობის საკითხში?

თქვენ ხედავთ, რომ ეს შემთხვევითი არ არის.

ამას წინათ ლენინგრადში, ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ზინოვიევმა, ბოლოს, გაბედა აზრი გამოეთქვა საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის ლოზუნგის სასარგებლოდ. ეს მოხდა ცენტრალურ კომიტეტში ბრძოლის შემდეგ, უთანხმოების შემდეგ, შეხლა-შემოხლის შემდეგ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ მე დარწმუნებული არა ვარ, რომ შემდეგ იგი ამაზე უარს არ იტყვის. ვინაიდან, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, ზინოვიევი არასოდეს არ განირჩეოდა ხაზის იმ სიმტკიცით გლეხობის საკითხში, როგორიც ჩვენ გვესაჭიროება. (ტაში).

აი რამდენიმე ფაქტი გლეხობის საკითხში ზინოვიევის მერყეობის სფეროდან. 1924 წელს ზინოვიევი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იცავდა «გლეხურ» პოლიტი-

კას, რომლის მიხედვითაც ცენტრში და ადგილებზე უნდა შექმნილიყო გლეხთა უპარტიო ფრაქციები ყოველდღიური გაზეთით. ეს წინადადება უარყოფილ იქნა ცენტრალურ კომიტეტში გამოთქმულ საწინააღმდეგო მოსაზრებათა გამო. ამაზე ცოტა ხნის წინ ზინოვიევს თავიც კი მოჰქონდა იმით, რომ მას «გლეხური გადახრა» აქვს. აი რას ამბობდა იგი, მაგალითად, პარტიის XII ყრილობაზე: «როცა მეუბნებიან: თქვენ «გადახრა» გაქვთ, თქვენ გლეხობის მხარეზე იხრებითო, — მე ვუპასუხებ: დიახ, ჩვენ არა მარტო უნდა «გადავიხაროთ» გლეხობისა და მის სამეურნეო მოთხოვნილებათა მხარეზე, არამედ ჩვენ **თავი** უნდა **დავხაროთ** და, თუ საჭიროა, **ქედი მოვიხაროთ** იმ გლეხის სამეურნეო მოთხოვნილებათა წინაშე, რომელიც ჩვენს პროლეტარიატს მიჰყვება». გესმით: «გადავიხაროთ», «თავი დავხაროთ», «ქედი მოვიხაროთ». (სიცილი, ტაში). შემდეგ, როცა გლეხობასთან ურთიერთობა უკეთესი გახდა, როცა სოფლად ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ზინოვიევმა «პირი იბრუნა» გატაცებიდან, ეჭვის ქვეშ დააყენა საშუალო გლეხი და გამოაცხადა ნეიტრალიზაციის ლოზუნგი. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ხელახლა «იბრუნა პირი», არსებითად მოითხოვა XIV კონფერენციის გადაწყვეტილებათა გადასინჯვა («ეპოქის ფილოსოფია») და, ბრალს სდებდა რა გლეხურ გადახრაში თითქმის მთელ ცენტრალურ კომიტეტს, უფრო გადაწყვეტით იწყო «გადახრა» საშუალო გლეხის წინააღმდეგ. ბოლოს, პარტიის XIV ყრილობის წინ მან ერთხელ კიდევ «იბრუნა პირი», უკვე საშუალო გლეხთან კავშირისაკენ, და, ალბათ, კვეხნასაც კი დაიწყებს, რომ კვლავ მზად არის «ქედი მოიხაროს» გლეხობის წინაშე.

რა გარანტიაა, რომ ზინოვიევი ერთხელ კიდევ არ გამოიჩენს მერყეობას?

მაგრამ ეს ხომ ქანაობაა, ამხანაგებო, და არა პოლიტიკა. (სიცილი, ტაში). ეს ხომ ისტერიკაა, და არა პოლიტიკა. (შეძახილები: «სწორია!»).

ამბობენ, საჭირო არ არის სპეციალური ყურადღება მიექცეს მეორე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლასო. ეს მართალი არ არის. თუ ჩვენ გვაქვს ორი გადახრა — ბოგუშევსკის გადახრა და ზინოვიევის გადახრა, — თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ არანაირად არ შეიძლება ბოგუშევსკის შედარება ზინოვიევთან. ბოგუშევსკი გათავებული კაცია. (სიცილი). ბოგუშევსკის არა აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო. ხოლო საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციისაკენ გადახრას, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის წინააღმდეგ გადახრას, ზინოვიევურ გადახრას აქვს თავისი ორგანო და დღემდე კიდევ განაგრძობს ცენტრალურ კომიტეტთან ბრძოლას. ამ ორგანოს «ლენინგრადსკაია პრავდა»[64] ეწოდება. ვინაიდან რა არის ლენინგრადში ამას წინათ შეთხზული ტერმინი «საშუალო-გლეხური ბოლშევიზმი», რომლის შესახებაც ცოფმორევით ლაპარაკობს «ლენინგრადსკაია პრავდა», თუ არა იმის მაჩვენებელი, რომ ეს გაზეთი ჩამოშორდა ლენინიზმს გლეხობის საკითხში? განა ცხადი არ არის, თუნდაც მარტო ამ გარემოებიდან, რომ მეორე გადახრასთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე პირველ გადახრასთან, ბოგუშევსკის გადახრასთან ბრძოლა? აი რატომ არის, რომ როცა საქმე გვაქვს მეორე გადახრის ისეთ წარმომადგენელთან, ან მეორე გადახრის ისეთ დამცველთან და მფარველთან, როგორიც არის «ლენინგრადსკაია პრავდა», ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რომ პარტია განსაკუთრებით მომზადებული იყოს ებრძოლოს ამ გადახრას, რომელიც ძლიერია, რომელიც რთულია და რომლის წინააღმდეგაც უნდა მივმართოთ მთავარი ცეცხლი. აი ამიტომ ეს მეორე

გადახრა ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს. (ხ მ ე ბ ი: «სწორია!». ტ ა შ ი).

9. უთანხმოებათა ისტორიისათვის

ახლა ნება მიბოძეთ გადავიდე ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის შიგნით ჩვენი შინაგანი ბრძოლის ისტორიაზე. რით დაიწყო ჩვენი უთანხმოება? იგი დაიწყო იმ საკითხით, თუ «როგორ მოვქცეოდით ტროცკის». ეს იყო 1924 წლის დამლევს. ლენინგრადელთა ჯგუფი პირველად წინადადებას იძლეოდა პარტიიდან გაგვერიცხა ტროცკი. აქ მხედველობაში მაქვს 1924 წლის დისკუსიის პერიოდი. ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება პარტიიდან ტროცკის გარიცხვის შესახებ. ჩვენ, ე. ი. ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, არ დავეთანხმეთ ამას (ხ მ ე ბ ი: «სწორია!»), ერთგვარი ბრძოლა გვქონდა ლენინგრადელებთან და დავარწმუნეთ ისინი — ამოეღოთ თავიანთი რეზოლუციიდან პუნქტი გარიცხვის შესახებ. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პლენუმი შეიკრიბა და ლენინგრადელებმა კამენევთან ერთად მოითხოვეს ტროცკის დაუყოვნებლივი გარიცხვა პოლიტბიუროდან, ჩვენ არ დავეთანხმეთ ოპოზიციის ამ წინადადებასაც, უმრავლესობა მივიღეთ ცენტრალურ კომიტეტში და დავჯერდით ტროცკის მოხსნას სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტიდან. ჩვენ არ დავეთანხმეთ ზინოვიევსა და კამენევს იმიტომ, რომ ვიცოდით, რომ წარკვეთის პოლიტიკა დიდ საფრთხეს უქადის პარტიას, რომ წარკვეთის მეთოდი, სისხლის გამოშვების მეთოდი — ისინი კი სისხლს მოითხოვდნენ — საშიშია, გადამდებია: დღეს ერთი წარვკვეთეთ, ხვალ მეორე, ზეგ მესამე, — რაღა დაგვრჩება პარტიაში? (ტ ა შ ი).

ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის შიგნით ამ პირველ შეხლა-შემოხლაში გამომჟღავნდა ძირითადი განსხვავება ჩვენს შორის პარტიის საორგანიზაციო პოლიტიკის საკითხებში.

მეორე საკითხი, რომელმაც ჩვენში უთანხმოება გამოიწვია, იყო ბუხარინის წინააღმდეგ სარჩისის გამოსვლასთან დაკავშირებული საკითხი. ეს იყო ლენინგრადის XXI კონფერენციაზე 1925 წლის იანვარში. სარჩისმა მაშინ ბუხარინს ბრალი დასდო სინდიკალიზმში. აი მისი სიტყვები:

«ჩვენ წავიკითხეთ მოსკოვის «პრავდაში» ბუხარინის სტატია მუშა კორესპონდენტებისა და სოფლის კორესპონდენტების შესახებ. ისეთ შეხედულებებს, რომლებსაც ბუხარინი ავითარებს, ჩვენს ორგანიზაციაში მომხრეები არა ჰყავს. მაგრამ ასეთი შეხედულებანი, შეიძლება ითქვას, თავისებური **სინდიკალისტური, არა ბოლშევიკური,** ანტიპარტიული შეხედულებანი აქვთ მთელ რიგ პასუხისმგებელ ამხანაგებსაც კი (ვიმეორებ, არა ლენინგრადის, არამედ სხვა ორგანიზაციებში). ეს შეხედულებანი ეხება კომუნისტური პარტიისაგან სხვადასხვა მასობრივ მუშურ-გლეხურ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა **დამოუკიდებლობასა და ექსტერიტორიულობას»** (ლენინგრადის XXI კონფერენციის სტენოგრაფ. ანგარიში).

ეს გამოსვლა იყო, ჯერ-ერთი, სარჩისის პრინციპული შეცდომა, ვინაიდან ბუხარინი აბსოლუტურად მართალი იყო მუშსოფლკორთა მოძრაობის საკითხში, მეორეც, აქ დაშვებული იყო საკითხის ამხანაგური განხილვის ელემენტარული წესების უაღრესად უხეში დარღვევა, რაც ლენინგრადის ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მხრივ წაუქეზებლად არ მომხდარა. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ამ გარემოებას არ შეეძლო არ გაეუარესებინა ურთიერთობა ცენტრალური კომიტეტის შიგნით. საქმე იმით გათავდა, რომ სარჩისმა აშკარად აღიარა პრესაში თავისი შეცდომა.

ამ ინციდენტმა ცხადყო, რომ თავისი შეცდომის აშკარად აღიარება საუკეთესო საშუალებაა საჯარო დისკუსიის

თავიდან ასაცილებლად და უთანხმოების შინაგანი წესით აღმოსაფხვრელად.

მესამე საკითხია ლენინგრადის კომკავშირის საკითხი. აქ სხედან საგუბერნიო კომიტეტების წევრები, და მათ, ალბათ, ახსოვთ, რომ პოლიტბიუროს ჰქონდა სათანადო გადაწყვეტილება ახალგაზრდობის კავშირის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის შესახებ, რომელიც ცდილობდა ლენინგრადში მოეწვია კომკავშირის თითქმის სრულიად რუსეთის კონფერენცია ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის დაუკითხავად და მისგან თანხმობის მიუღებლად. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას თქვენ იცნობთ. ჩვენ არ შეგვეძლო დაგვეშვა, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გვერდით არსებობდეს კიდევ მეორე ცენტრი, რომელიც ამ ცენტრს მეტოქეობას გაუწევს და მას თავს დაუპირისპირებს. ჩვენ, როგორც ბოლშევიკები, ვერ დავუშვებდით ორი ცენტრის არსებობას. აი ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა მიეღო ზომები ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის გადასახალისებლად, რომელმაც ეს სეპარატიზმი დაუშვა, და საფაროვის მოსახსნელად ახალგაზრდობის კავშირის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტიდან.

ამ ინციდენტმა ცხადყო, რომ ლენინგრადელ ამხანაგებს ტენდენცია აქვთ — თავიანთი ლენინგრადის ორგანიზაცია ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად გადააქციონ.

მეოთხე საკითხია ზინოვიევის მიერ დაყენებული საკითხი — იმის შესახებ, რომ ლენინგრადში შეიქმნას სპეციალური ჟურნალი «ბოლშევიკის» სახელწოდებით, რომელსაც რედაქცია ეყოლება შემდეგი შემადგენლობით: ზინოვიევი, საფაროვი, ვარდინი, სარჭისი და ტარხანოვი. ჩვენ არ დავეთანხმეთ ამას და განვაცხადეთ, რომ ასეთი

ჟურნალი — მოსკოვის «ბოლშევიკის» პარალელური ჟურნალი — გარდუვალად გადაიქცევა ჯგუფის ორგანოდ, ოპოზიციის ფრაქციულ ორგანოდ, რომ ასეთი ნაბიჯი სახიფათოა და ძირს გამოუთხრის პარტიის ერთიანობას. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვენ ავკრძალეთ ჟურნალის გამოსვლა. ახლა უნდათ შეგვაშინონ სიტყვით «აკრძალვა». მაგრამ ეს არაფერია, ამხანაგებო. ჩვენ ლიბერალები როდი ვართ. ჩვენთვის პარტიის ინტერესები ფორმალურ დემოკრატიზმზე მაღლა დგას. დიახ, ჩვენ ავკრძალეთ ფრაქციული ორგანოს გამოსვლა და ამგვარ რამეს შემდეგშიც ავკრძალავთ. (ხმები: «სწორია! ცხადია!». მქუხარე ტაში).

ამ ინციდენტმა ცხადყო, რომ ლენინგრადის ზედაფენას სურს განსაკუთრებულ დაჯგუფებად განცალკევდეს.

შემდეგ, საკითხი ბუხარინის შესახებ. მე მხედველობაში მაქვს ლოზუნგი «გამდიდრდით». მე მხედველობაში მაქვს ბუხარინის აპრილის სიტყვა, როცა მას წამოსცდა სიტყვა «გამდიდრდით». ორი დღის შემდეგ გაიხსნა ჩვენი პარტიის აპრილის კონფერენცია. სხვა ვინმემ კი არა, მე, კონფერენციის პრეზიდიუმში, სოკოლნიკოვის, ზინოვიევის, კამენევისა და კალინინის თანადასწრებით, განვაცხადე, რომ ლოზუნგი «გამდიდრდით» ჩვენი ლოზუნგი არ არის. არ მახსოვს, რომ ბუხარინს ამ პროტესტის საწინააღმდეგო რამ ეთქვას. როცა ამხ. ლარინმა კონფერენციაზე მოითხოვა სიტყვა, ვგონებ, ბუხარინის წინააღმდეგ, არა სხვა ვინმემ, არამედ ზინოვიევმა მოითხოვა მაშინ, რომ არ დაგვეშვა ბუხარინის წინააღმდეგ გამოსვლა. მაგრამ ამის შემდეგ ამხ. კრუპსკაია გზავნის სტატიას ბუხარინის წინააღმდეგ და მოითხოვს მის დაბეჭდვას. ბუხარინი, რა თქმა უნდა, ცდილობს არ ჩამორჩეს და თავის მხრივ წერს სტატიას ამხ. კრუპსკაიას წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა გადაწყვეტილებას იღებს — არ

დაიბეჭდოს არც ერთი სადისკუსიო სტატია, არ იქნას დაწყებული დისკუსია და წინადადება მიეცეს ბუხარინს გაანაცხადოს პრესაში, რომ ლოზუნგი «გამდიდრდით» მცდარია, რასაც იგი ეთანხმება და ასრულებს შემდეგ, როცა შვებულებიდან ბრუნდება, უსტრიალოვის წინააღმდეგ მიმართულ სტატიაში. ახლა კამენევი და ზინოვიევი ფიქრობენ ზოგი ვინმე შეაშინონ «აკრძალვის» საფრთხობელით, ლიბერალურად გამოთქვამენ აღშფოთებას, რომ ჩვენ ავკრძალეთ ამხ. კრუპსკაიას სტატიის დაბეჭდვა. ამით ვერავის ვერ შეაშინებთ. ჯერ-ერთი, ჩვენ არ დაგვიბეჭდია არა თუ ამხ. კრუპსკაიას სტატია, არამედ ბუხარინის სტატიაც. მეორეც, ვითომ რატომ არ უნდა ავკრძალოთ ამხ. კრუპსკაიას სტატიის დაბეჭდვა, თუ ამას ჩვენი პარტიის ერთიანობის ინტერესები მოითხოვენ? რით განსხვავდება, კაცმა რომ თქვას, ამხ. კრუპსკაია ყოველი სხვა პასუხისმგებელი ამხანაგისაგან? ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ ცალკეული ამხანაგების ინტერესები პარტიის და მისი ერთიანობის ინტერესებზე მაღლა უნდა დავაყენოთ? განა ოპოზიციონერმა ამხანაგებმა არ იციან, რომ ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, ფორმალური დემოკრატიზმი არაფერია, პარტიის რეალური ინტერესები კი — ყველაფერი? (ტ ა შ ი).

დაე დაგვისახელონ ამხანაგებმა პარტიის ცენტრალურ ორგანოში, «პრავდაში», თუნდაც ერთი სტატია, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამართლებდეს ლოზუნგს «გამდიდრდით». ისინი ვერ დაგვისახელებენ, ვინაიდან ასეთი სტატიები ბუნებაში არ არსებობს. იყო შემთხვევა, ერთადერთი შემთხვევა, როცა «კომსომოლსკაია პრავდაში» სტეცკიმ დაწერა სტატია, სადაც იგი რბილი, ოდნავ შესამჩნევი ფორმით ცდილობს გაამართლოს ლოზუნგი «გამდიდრდით». მერე რა მოხდა? ამის შემდეგ მეორე დღესვე ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ამ გაზეთის რედაქ-

ციას მოლოტოვის, ანდრეევისა და სტალინის ხელმოწერილი სპეციალური წერილით წესრიგისაკენ მოუწოდა. ეს იყო 1925 წლის 2 ივნისს. რამდენიმე დღის შემდეგ კი ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ დაადგინა, ბუხარინის სრული თანხმობით, გამოეტანა წინასწარი გადაწყვეტილება ამ გაზეთის რედაქტორის მოხსნის შესახებ. აი ამ წერილის ამონაწერი:

«ქალაქი მოსკოვი. 1925 წ. 2 ივნისი. «კომსომოლსკაია პრავდის» რედაქციის ყველა წევრს.

ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი ადგილი სტეცკის სტატიებში «ახალი ეკონომიური პოლიტიკის ახალი ეტაპი» ეჭვებს იწვევს. ამ სტატიებში, მართალია, რბილი ფორმით გატარებულია ლოზუნგი «გამდიდრდით». ეს ლოზუნგი ჩვენი არ არის, იგი სწორი არ არის, იგი მთელ რიგ ეჭვებსა და გაუგებრობას იწვევს, და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს «კომსომოლსკაია პრავდაში» დაბეჭდილ სახელმძღვანელო სტატიაში. ჩვენი ლოზუნგია სოციალისტური დაგროვება. ჩვენ ვსპობთ სოფლის კეთილდღეობის ამაღლების ხელის შემშლელ ადმინისტრაციულ დაბრკოლებებს. ეს ოპერაცია უთუოდ აადვილებს ყოველგვარ დაგროვებას, კერძო-კაპიტალისტურსაც და სოციალისტურსაც. მაგრამ პარტიას ჯერ არასოდეს არ უთქვამს, რომ იგი თავის ლოზუნგად აყენებს კერძო დაგროვებას»...

იცის თუ არა ყველა ეს ფაქტი ოპოზიციამ? რა თქმა უნდა, იცის. თუ ასეა, რატომ განაგრძობენ ისინი ბუხარინის დევნას? როდემდის იყვირებენ ისინი ბუხარინის შეცდომის შესახებ?

მე ვიცი ზოგიერთი ამხანაგის შეცდომები, მაგალითად, 1917 წლის ოქტომბერში, რომლებთან შედარებით ბუხარინის შეცდომა ყურადღების ღირსიც კი არ არის. ეს ამხანაგები არა მარტო ცდებოდნენ მაშინ, არამედ «გამბედაობა» გამოიჩინეს ორჯერ დაერღვიათ ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი დადგენილება, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობითა და თანადასწრებით იყო მიღებული. და პარტიამ მაინც დაივიწყა ეს შეცდომები, როგორც კი

ამ ამხანაგებმა თავიანთი შეცდომები აღიარეს. მაგრამ ამ ამხანაგებთან შედარებით ბუხარინმა უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა. და მას არ დაურღვევია ცენტრალური კომიტეტის არც ერთი დადგენილება. რით უნდა აიხსნას, რომ, მიუხედავად ამისა, მაინც კიდევ გრძელდება ბუხარინის აღვირახსნილი დევნა? მაინც რა უნდათ ბუხარინისაგან?

ასეთია საქმის ვითარება ბუხარინის შეცდომის საკითხის მხრივ.

შემდეგი საკითხი ეხება ზინოვიევის სტატიას «ეპოქის ფილოსოფია» და კამენევის მოხსენებას მოსკოვის პლენუმის კრებაზე მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ზაფხულის დამლევს, — ამ საკითხმაც აგრეთვე გაამწვავა ჩვენი შინაპარტიული ურთიერთობა. ამის შესახებ უკვე ვილაპარაკე ჩემს სიტყვაში და აღარ გავიმეორებ. მაშინ საქმე ეხებოდა «ეპოქის ფილოსოფიას», ამ სტატიის შეცდომებს, იმას, თუ როგორ ვასწორებდით ამ შეცდომებს, საქმე ეხებოდა კამენევის შეცდომებს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პურ-ფურაჟის ბალანსთან დაკავშირებით, იმას, თუ როგორ ერწმუნა კამენევი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ციფრებს გლეხობის ზედა ჯგუფების 61% სასაქონლო ნამეტის შესახებ და შემდეგ, ჩვენი ამხანაგების ზეგავლენით როგორ გახდა იგი იძულებული გაესწორებინა თავისი შეცდომა შრომისა და თავდაცვის საბჭოში წარდგენილი საგანგებო განცხადებით, რომელიც გაზეთებში დაიბეჭდა, — საქმე ეხებოდა იმას, რომ ნამეტის ნახევარზე მეტი საშუალო გლეხების ხელშია. ყოველივე ეს, უეჭველია, ამწვავებდა ჩვენს ურთიერთობას.

შემდგომში — ოქტომბრის პლენუმთან დაკავშირებული საკითხები, — ახალი გართულებანი, სადაც ოპოზიცია საჯარო დისკუსიას მოითხოვდა, სადაც წამოიჭრა ზალუცკის ეგრეთწოდებული «ტერმიდორის» საკითხი,

და ყოველივე ამის დასასრულს — ლენინგრადის კონფერენცია, რომელმაც პირველივე დღიდან დაიწყო ბრძოლა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. მე მხედველობაში მაქვს საფაროვის, სარქისის, შელავინისა და სხვათა გამოსვლები. მე მხედველობაში მაქვს ზინოვიევის გამოსვლა, მისი ერთ-ერთი უკანასკნელი სიტყვა კონფერენციის დახურვისას, სადაც მან მოუწოდა კონფერენციას მოსკოველების წინააღმდეგ საომრად, წინადადება წამოაყენა აერჩიათ დელეგაცია ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც მზად იყვნენ ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე იყო საქმე. სწორედ ამიტომ ვერ მოხვდნენ ლენინგრადის დელეგაციაში ბოლშევიკი მუშები კომაროვი და ლობოვი (მათ არ მიიღეს ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის პლატფორმა). დელეგაციაში ისინი შეცვალეს გორდონმა და ტარხანოვმა. დააყენეთ სასწორის ერთ მხარეზე გორდონი და ტარხანოვი, მეორეზე — კომაროვი და ლობოვი, და ყოველი პირუთვნელი ადამიანი იტყვის, რომ პირველნი ვერ შეედრებიან ამ ორ უკანასკნელს. (ტ ა შ ი). მერე რა არის ლობოვისა და კომაროვის დანაშაული? კომაროვისა და ლობოვის მთელი დანაშაული ის არის, რომ მათ არ მოინდომეს წასულიყვნენ ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. ეს არის მათი მთელი დანაშაული. ხომ სულ ერთი თვის წინათ ასახელებდნენ ლენინგრადელები კომაროვს თავიანთი ორგანიზაციის პირველ მდივნად. ხომ ასე იყო საქმე. ასე იყო თუ არა? (ხ მ ე ბ ი ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი ს დ ე ლ ე გ ა ც ი ი დ ა ნ: «ასე იყო, ასე»). რა უნდა დამართოდა კომაროვს ერთი თვის განმავლობაში? (ბ უ ხ ა რ ი ნ ი: «ერთი თვის განმავლობაში ის გარდაიქმნა»). რა უნდა მომხდარიყო ერთი თვის განმავლობაში ისეთი, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრი კომაროვი, რომელსაც თქვენ თვითონვე ასახელებდით თქვენი ორგანიზაციის პირველ მდივნად,

განდევნეთ ლენინგრადის კომიტეტის სამდივნოდან და შესაძლებლად არ მიიჩნიეთ აგერჩიათ იგი ყრილობის ერთერთ დელეგატად? (ხმა ლენინგრადელთა მხრიდან: «მან შეურაცხყო კონფერენცია». ხმა: «ეს სიცრუეა, ნაუმოვ!». ხმაური).

10. ოპოზიციის პლატფორმა

ახლა კი გადავიდეთ ზინოვიევისა და კამენევის, სოკოლნიკოვისა და ლაშევიჩის პლატფორმაზე. დროა ვილაპარაკოთ ოპოზიციის პლატფორმის შესახებაც. ეს პლატფორმა მათ საკმაოდ ორიგინალური აქვთ. ჩვენში ბევრი ნაირ-ნაირი სიტყვა ითქვა ოპოზიციის მხრივ. კამენევი ერთს ამბობდა, ერთი მხარისაკენ ეწეოდა, ზინოვიევი მეორეს ამბობდა, მეორე მხარისაკენ ეწეოდა, ლაშევიჩი — მესამეს, სოკოლნიკოვი — მეოთხეს. მაგრამ, მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ისინი ყველანი ერთ რამეში თანხმდებოდნენ. რაში შეთანხმდნენ ისინი? რაში მდგომარეობს მათი პლატფორმა? მათი პლატფორმა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს რეფორმაა. ერთადერთი საერთო რამ, რაც მათ სავსებით აერთიანებს, — ეს არის სამდივნოს საკითხი. ეს უცნაური და სასაცილოა, მაგრამ ფაქტია.

ამ საკითხს თავისი ისტორია აქვს. 1923 წელს, XII ყრილობის შემდეგ, ადამიანებმა, რომლებიც «მღვიმეში» შეიკრიბნენ (სიცილი), შეიმუშავეს პლატფორმა პოლიტბიუროს მოსპობისა და სამდივნოს პოლიტიზირებისა, ე. ი. სამდივნოს გადაქცევისა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელ ორგანოდ ზინოვიევის, ტროცკისა და სტალინის შემადგენლობით. რა არის ამ პლატფორმის აზრი? რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს პარტიის ხელმძღვანელობას უკალინინოდ, უმოლოტოვოდ. ამ პლატფორმიდან

არაფერი გამოვიდა, არა მარტო იმიტომ, რომ იგი იმ დროს უპრინციპო იყო, არამედ იმიტომაც, რომ ჩემს მიერ დასახელებული ამხანაგების გარეშე პარტიის ხელმძღვანელობა ახლანდელ მომენტში შეუძლებელია. კისლოვოდსკის წიაღიდან ჩემთვის წერილობითი ფორმით მოცემულ შეკითხვაზე მე უარყოფითი პასუხი გავეცი და განვაცხადე, რომ, თუ ამხანაგები დაჟინებით მოითხოვენ, მზადა ვარ სხვებს დავუთმო ადგილი უხმაუროდ, აშკარა თუ ფარული დისკუსიის გარეშე და უმცირესობის უფლებათა გარანტიების მოუთხოვნელად. (ს ი ც ი ლ ი).

ეს, ასე ვთქვათ, პირველი სტადია იყო.

ახლა, თურმე, დაგვიდგა პირველის საწინააღმდეგო მეორე სტადია. ახლა მოითხოვენ სამდივნოს უკვე არა პოლიტიზირებას, არამედ ტექნიციზირებას, პოლიტბიუროს არა მოსპობას, არამედ მის სრულუფლებიანობას.

მართლაც, თუ სამდივნოს გადაქცევა უბრალო ტექნიკურ აპარატად ნამდვილად ხელსაყრელია კამენევისათვის, იქნებ კიდევაც უნდა დავთანხმებოდით ამას. ოღონდ ვშიშობ, რომ პარტია ამას არ დაეთანხმება. (ხ მ ა: «სწორია!»). მე ეჭვი მეპარება, ტექნიკური სამდივნო მოამზადებს თუ არა, შესძლებს თუ არა მოამზადოს ის საკითხები, რომლებიც მან უნდა მოამზადოს საორგანიზაციო ბიუროსთვისაც და პოლიტბიუროსთვისაც.

მაგრამ როცა სრულუფლებიან პოლიტბიუროზე ლაპარაკობენ, ასეთი პლატფორმა იმის ღირსია, რომ იგი სასაცილოდ გახდეს. განა პოლიტბიურო სრულუფლებიანი არ არის? განა სამდივნო და საორგანიზაციო ბიურო პოლიტბიუროს არ ემორჩილებიან? ახლა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი? რატომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ არ ლაპარაკობს ჩვენი ოპოზიცია? ხომ არ ფიქრობს იგი, რომ პოლიტბიურო პლენუმზე უფრო სრულუფლებიანი გახადოს?

არა, დანამდვილებით არ სწყალობს ბედი ოპოზიციას სამდივნოს შესახებ მისი პლატფორმის თუ პლატფორმების საქმეში.

11. მათი «მშვიდობისმოყვარეობა»

შემდეგ რა ვქნათ, შემეკითხებით თქვენ, რა მოვიმოქმედოთ იმისათვის, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოვიდეთ? ეს საკითხი მუდამ იჭყრობდა ჩვენს ყურადღებას, როგორც ყრილობის დროს, ისე ყრილობის წინ. ჩვენ გვესაჭიროება პარტიული რიგების ერთიანობა — აი რა არის ახლა საკითხი. ოპოზიციას უყვარს სიძნელეებზე ლაპარაკი. მაგრამ არის ერთი სიძნელე, რომელიც ყველა სიძნელეზე საშიშია და რომელიც ოპოზიციამ შეგვიქმნა, — ეს არის პარტიის დაქსაქსვისა და დეზორგანიზაციის საფრთხე. (ტაში). საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გადავლახოთ ეს სიძნელე. ჩვენ ეს გვქონდა მხედველობაში, როცა ყრილობამდე ორი დღით ადრე ოპოზიციას მივმართეთ შეთანხმების კომპრომისული პირობებით, რომლებიც შესაძლო შერიგებისათვის იყო ნავარაუდევი. აი ამ მიმართვის ტექსტი:

«ქვემოთ ხელისმომწერი წევრები ცენტრალური კომიტეტისა ფიქრობენ, რომ პარტიული ყრილობისათვის მომზადებას ლენინგრადის ორგანიზაციის მთელი რიგი ხელმძღვანელი ამხანაგები აწარმოებდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზის საწინააღმდეგოდ და ლენინგრადში ამ ხაზის მომხრეთა წინააღმდეგ. ქვემოთ ხელისმომწერი წევრები ცენტრალური კომიტეტისა სავსებით სწორად თვლიან მოსკოვის კონფერენციის რეზოლუციას როგორც არსებითად, ისე ფორმის მიხედვით, და ფიქრობენ, **რომ** ცენტრალური კომიტეტი მოვალეა საკადრისი პასუხი გასცეს ყველა და ყოველგვარ ტენდენციას, რომელიც მიმართულია პარტიული ხაზის წინააღმდეგ და რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს პარტიაში.

მაგრამ პარტიის ერთიანობის, პარტიის შიგნით მშვიდობის მიზნით, პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან ლენინგრადის ორგანიზაციის, **რაკ** ამ ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაციის, ჩამოშორების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების **მიზნით** — ქვემოთ ხელისმომწერთ შესაძ-

ლებლად მიაჩნიათ — ყრილობის მიერ ცენტრალური კომიტეტის მკაფიო და ნათელი პოლიტიკური ხაზის განმტკიცების პირობით — დაადგნენ მთელ რიგ დათმობათა გზას. ამის გამო ჩვენ შემოგვაქვს შემდეგი წინადადებანი:

1. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო რეზოლუციის შედგენისას საფუძვლად მიღებულ იქნას მოსკოვის კონფერენციის რეზოლუცია, ცალკეულ ფორმულირებათა შერბილებით.

2. ერთიანობის მიღწევის მიზნით მიზანშეუწონლად იქნას ცნობილი ლენინგრადის კონფერენციის წერილისა და ამ წერილზე მოსკოვის კომიტეტის პასუხის დაბეჭდვა როგორც გაზეთებში, ისე ბიულეტენებში.

3. პოლიტბიუროს წევრები... არ გამოვიდნენ ყრილობაზე ერთმანეთის წინააღმდეგ.

4. ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვებში გავემიჯნოთ სარქისსა (პარტიის შემადგენლობის რეგულირება) და საფაროვს (სახელმწიფო კაპიტალიზმი).

5. კომაროვის, ლობოვისა და მოსკვინის მიმართ დაშვებული შეცდომა გამოსწორებულ იქნას ორგანიზაციულად.

6. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში ლენინგრადელის შეყვანის შესახებ განხორციელდეს ყრილობის დამთავრებისთანავე.

7. ცენტრალურ ორგანოსთან კავშირის გასაძლიერებლად ცენტრალური ორგანოს სარედაქციო კოლეგიაში შეყვანილ იქნას ერთი მუშაკი ლენინგრადიდან.

8. «ლენინგრადსკაია პრავდის» რედაქტორის (გლადნევი) სისუსტის გამო საჭიროდ ჩაითვალოს მისი შეცვლა უფრო ძლიერი ამხანაგით ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით.

კალინინი, სტალინი, მოლოტოვი, ძერჟინსკი და სხვ.

15/XII 1925 წ.»

აი როგორ კომპრომისს ვთავაზობდით ჩვენ, ამხანაგებო.

მაგრამ ოპოზიციამ არ ისურვა შეთანხმება. მან მშვიდობას ამჯობინა აშკარა და სასტიკი ბრძოლა ყრილობაზე. ასეთია ოპოზიციის «მშვიდობისმოყვარეობა».

12. პარტია მიაღწევს ერთიანობას

ძირითადად ჩვენ ახლაც ამ დოკუმენტის თვალსაზრისზე ვრჩებით. რეზოლუციის ჩვენს პროექტში, როგორც იცით, ჩვენ უკვე შევარბილეთ ზოგიერთი ფორმულირება პარტიაში მშვიდობის მიზნით.

ჩვენ წარკვეთის წინააღმდეგნი ვართ. ჩვენ წარკვეთის პოლიტიკის წინააღმდეგნი ვართ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ბელადებს ნება მიეცემათ დაუსჯელად იჭირვეულონ და პარტიას თავზე დაასხდნენ. არა, უკაცრავად. ბელადებისა თაყვანისცემას არ დავიწყებთ. (შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «სწორია!». ტ ა შ ი). ჩვენ ერთიანობის მომხრენი ვართ, ჩვენ წარკვეთის წინააღმდეგნი ვართ. ჩვენ გვძაგს წარკვეთის პოლიტიკა. პარტიას ერთიანობა სურს, და იგი ამას მიაღწევს კამენევთან და ზინოვიევთან **ერთად,** თუ ისინი ამას ისურვებენ, **უიმათოდ** — თუ ისინი ამას არ ისურვებენ. (შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «სწორია!». ტ ა შ ი).

ერთიანობა რას მოითხოვს? იმას, რომ უმცირესობა უმრავლესობას ემორჩილებოდეს. უამისოდ არ არის ხოლმე და არც შეიძლება იყოს პარტიის არავითარი ერთიანობა.

ჩვენ სპეციალური სადისკუსიო ფურცლის წინააღმდეგნი ვართ. «ბოლშევიკში» არის სადისკუსიო განყოფილება. ეს სავსებით საკმარისი იქნება. დისკუსიამ არ უნდა გაგვიტაცოს. ჩვენ ქვეყნის მმართველი პარტია ვართ, — ნუ დაივიწყებთ ამას. ნუ დაივიწყებთ, რომ ზემოთ მომხდარი თვითეული უთანხმოება გამოხმაურებას პოულობს ჩვენს ქვეყანაში, როგორც ჩვენი მინუსი. აღარაფერს ვამბობ საზღვარგარეთის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის ორგანოები, ალბათ, იმავე სახით დარჩებიან, რა სახითაც არსებობენ. არა მგონია პარტია დათანხმდეს მათს გადაკეთებას. (შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: «სწორია!». ტ ა შ ი). პოლიტბიურო ისედაც სრულუფლე-

ბიანია, იგი ცენტრალური კომიტეტის ყველა ორგანოზე მაღლა დგას, გარდა პლენუმისა. ხოლო უმაღლესი ორგანოა პლენუმი, რომელსაც ზოგჯერ ივიწყებენ. ჩვენში პლენუმი წყვეტს ყველაფერს, და იგი წესრიგისაკენ მოუწოდებს თავის ლიდერებს, როცა ისინი წონასწორობას კარგავენ. (შეძახილები: «სწორია!». სიცილი. ტაში).

ჩვენში ერთიანობა უნდა იყოს, და იგი იქნება, თუ პარტია, თუ ყრილობა სიმტკიცეს გამოიჩენს და თავს არავის დააშინებინებს. (ხმები: «არ დავაშინებინებთ, აქ გამობრძმედილი ხალხია»). თუ ვინმე ჩვენგანი გაყოყოჩდება, ჩვენ წესრიგისაკენ მოგვიწოდებენ, — ეს აუცილებელია, ეს საჭიროა. პარტიის ხელმძღვანელობა უკოლეგიოდ არ შეიძლება. სისულელეა ამაზე ოცნება ილიჩის შემდეგ (ტაში), სისულელეა ამაზე ლაპარაკი.

კოლეგიალური მუშაობა, კოლეგიალური ხელმძღვანელობა, ერთიანობა პარტიაში, ერთიანობა ცენტრალური კომიტეტის ორგანოებში უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პირობით, — აი რა გვესაჭიროება ახლა.

რაც შეეხება ლენინგრადელ კომუნისტ მუშებს, მე ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი მუდამ ჩვენი პარტიის პირველ რიგებში იქნებიან. მათთან ერთად ვაშენებდით პარტიას, მათთან ერთად გამოვზარდეთ იგი, მათთან ერთად ავაფრიალეთ 1917 წლის ოქტომბერში აჯანყების დროშა, მათთან ერთად დავამარცხეთ ბურჟუაზია, მათთან ერთად ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ სიძნელეების წინააღმდეგ ჩვენი მშენებლობის გზებზე. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ლენინგრადელი კომუნისტი მუშები არ ჩამორჩებიან თავიანთ მეგობრებს სხვა სამრეწველო ცენტრებში — პარტიის რკინისებური ლენინური ერთიანობისათვის ბრძოლაში. (მქუხარე ტაში. «ინტერნაციონალი»).

შენიშვნები

1 მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა შესდგა მოსკოვში 1925 წლის 12 — 17 იანვარს. ყრილობას დაესწრო 1 660 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის 49 ეროვნებას. ყრილობის დელეგატთა სამ მეოთხედს სოფლის მასწავლებლები შეადგენდნენ. ყრილობამ მოისმინა და განიხილა მოხსენებანი: საბჭოთა მშენებლობის მორიგი ამოცანები, მასწავლებლობა და პროლეტარული რევოლუცია, განათლების ამოცანები საბჭოთა მშენებლობის სისტემაში, საბჭოთა სკოლა, ნაციონალური საკითხი და სკოლა, მასწავლებლობა და კომკავშირი, სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და სხვ. ყრილობამ მიიღო დეკლარაცია, რომელშიც განაცხადა, რომ მასწავლებლობა თავის ამოცანებს არ გამოყოფს კომუნისტური პარტიის ამოცანებისაგან, სოციალიზმის აშენებისათვის მისი ბრძოლისაგან. — **8.**

2 **«კრასნაია მოლოდიოჟ»** — სტუდენტობის ყოველთვიური ჟურნალი; ჟურნალს სცემდნენ პროლეტარული სტუდენტობის ცენტრალური ბიურო და მოსკოვის ბიურო 1924 წლის მაისიდან 1925 წლის ნოემბრამდე. ჟურნალ «კრასნაია მოლოდიოჟის» პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ვ. მ. მოლოტოვი. 1925 წლის ნოემბერში ჟურნალს ეწოდა «კრასნოე სტუდენჩესტვო». — **4.**

3 1925 წლის 17 — 20 იანვარს მიმდინარეობდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. 17 იანვარს შესდგა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმების გაერთიანებული სხდომა. პლენუმებმა ამ სხდომაზე მოისმინეს ი. ბ. სტალინის ცნობა ტროცკის გამოსვლის გამო ადგი-

ლობრივი ორგანიზაციების რეზოლუციების შესახებ და მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ტროცკის გამოსვლა სცნეს ბოლშევიზმის რევიზიად, იმის ცდად, რომ ლენინიზმი ტროცკიზმით შეეცვალა. 19 იანვარს ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოვიდა სიტყვით მ. ვ. ფრუნზეს მოხსენების გამო «სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის ასიგნობის შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 12 — 16). — **6**.

4 იგულისხმება დამარცხება, რაც 1924 წლის შემოდგომაზე განიცადა ესპანეთის ფაშისტ დიქტატორ პრიმო დე რივერას მიერ მაროკოს ესპანურ ზონაში — რიფის ოლქში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად გაგზავნილმა ესპანეთის 150-ათასიანმა არმიამ. მაროკოელების გამარჯვების შედეგად განთავისუფლებულ იქნა ესპანეთის არმიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ორი მესამედი. — **18**.

5 1924 წლის ზაფხულში ალბანეთში რევოლუციურ-პროგრესული მოძრაობის შედეგად დამხობილ იქნა ახმედ-ზოგუს რეაქციული მთავრობა. ხელისუფლების სათავეში ჩამდგარმა ფან-ნოლის მთავრობამ დაიწყო საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ალბანეთს შორის დიპლომატიური და მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ. საბჭოთა კავშირსა და ალბანეთს შორის მოხდა დიპლომატიური წარმომადგენლების გაცვლა. ინგლისის, იტალიისა და იუგოსლავიის მთავრობებმა ალბანეთს მოსთხოვეს სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა. 1924 წლის დეკემბერში ახმედ-ზოგუს ბანდები, რომლებსაც იუგოსლავიის ფაშისტური მთავრობის შეიარაღებული ძალები ეხმარებოდნენ, ალბანეთში შეიჭრნენ და ფან-ნოლის მთავრობა დაამხეს. ალბანეთში ხელისუფლებას კვლავ სათავეში ჩაუდგა ახმედ-ზოგუ. — **14**.

6 **«რაბოჩაია გაზეტა»** — ყოველდღიური მასობრივი გაზეთი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1922 წლის მარტიდან 1932 წლის იანვრამდე, თავდაპირველად «რაბოჩის» სახელწოდებით, ხოლო 1922 წლის ივლისიდან «რაბოჩაია გაზეტას» სახელწოდებით. — **17**.

7 ლაპარაკია ი. ბ. სტალინის სტატიაზე «ოქტომბერი და ტროცკის «პერმანენტული» რევოლუციის თეორია», რომელიც დაიბეჭდა «პრავდის» 290-ე ნომერში, 1924 წლის 20 დეკემბერს. სტატია წიგნის «ოქტომბრის გზებზე» წინასიტყვაობის ნაწილს წარმოადგენდა. ეს წინასიტყვაობა, რომელიც ი. ბ. სტალინმა 1924 წლის დეკემბერში დაწერა, მთლიანად მხოლოდ ამ წიგნში გამოქვეყნდა. წინასიტყვაობის მეტი ნაწილი, საერთო სახელწოდებით «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა», იბეჭდებოდა სხვადასხვა კრებულებში, ცალკე ბროშურებად, აგრეთვე ი. ბ. სტალინის წიგნის «ლენინიზმის საკითხების» ყველა გამოცემაში და მოთავსებულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-6 ტომში, გვ. 408 — 456. — **18.**

8 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 391 — 397. — **19.**

9 კრებული «დინების წინააღმდეგ» გამოვიდა 1918 წელს პეტროგრადში. კრებულში შევიდა ვ. ი. ლენინის 1914 — 1917 წლების სტატიები: «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ», «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «ველიკოროსთა ნაციონალური სიამაყის შესახებ», «რევოლუციის ორი ხაზის შესახებ», «II ინტერნაციონალის კრახი» და სხვები, რაც შემდეგ შეტანილ იქნა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე გამოცემის XVIII და XIX ტომებში. — **20.**

10 ვ. ი. ლენინი. «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIII, გვ. 331 — 412). — **20.**

11 ვ. ი. ლენინი. ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 165 — 250). — **20.**

12 ი. ბ. სტალინი გამოვიდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე სოფელ დიმოვკაში (ოდესის გუბერნიის ნიკოლაევის ოკრუგი) მომხდარი ამბების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. 1924 წლის 28 მარტს კულაკების გავლენაში მყოფი დანაშაულებრივი ელემენტების ბანდამ დიმოვკაში მოკლა სოფლკორი გრიგოლ მალინოვსკი. რკპ(ბ) ცენტრალური

კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება დიმოვკის ამბების გამო სოფლკორ მალინოვსკის მოკვლასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია «პრავდის» 30-ე ნომერში, 1925 წლის 6 თებერვალს. — **21.**

13 იგულისხმება ტამბოვის გუბერნიაში 1919 — 1921 წლებში მომხდარი კულაკური აჯანყება და კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხება 1921 წლის მარტში, რაც მოაწყეს თეთრგვარდიელებმა, ესერებმა, მენშევიკებმა და უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტებმა. — **25.**

14 ლაპარაკია საქართველოში 1924 წლის 28 აგვისტოს მომხდარ კონტრრევოლუციურ აჯანყებაზე, რომელიც მოაწყეს განადგურებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ნაშთებმა და ჟორდანიას ემიგრანტულმა მენშევიკურმა «მთავრობამ» იმპერიალისტური სახელმწიფოების და II ინტერნაციონალის ლიდერების დირექტივითა და ფინანსური დახმარებით. აჯანყება ლიკვიდირებულ იქნა 29 აგვისტოს საქართველოს მუშებისა და მშრომელი გლეხობის აქტიური დახმარებით. — **25.**

15 რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის XIII საგუბერნიო კონფერენცია მიმდინარეობდა 1925 წლის 24 — 28 იანვარს. კონფერენციას დაესწრო 1 150 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 64 078 წევრსა და 30 770 კანდიდატს. კონფერენციამ განიხილა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის ანგარიში და რუსეთის ალკკ მოსკოვის კომიტეტის თანამოხსენება, მოხსენება მოსკოვის საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ, მოსკოვის გუბერნიის ბიუჯეტი და სამეურნეო მდგომარეობა, სოფლად მუშაობის საკითხი და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. ი. ბ. სტალინი კონფერენციაზე გამოვიდა სოფლად მუშაობის საკითხის გამო. — **27.**

16 დაუესის გეგმა — ასეთი სახელწოდებით ცნობილია მოხსენება გერმანიის მიერ რეპარაციების გადახდის საკითხზე, რაც შეიმუშავა ექსპერტთა საერთაშორისო კომიტეტმა ამერიკელი ფინანსისტის გენერალ დაუესის თავმჯდომარეობით და რაც 1924 წლის 16 აგვისტოს დამტკიცებულ იქნა მოკავშირე სახელმწიფოთა

ლონდონის კონფერენციაზე (დაუესის გეგმის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 298 — 299). — **38.**

17 ბრანდლერი და ტალჰეიმერი — გერმანიის კომპარტიაში მემარჯვენე-ოპორტუნისტული ჯგუფის ლიდერები, რომლებიც 1922 — 1923 წლებში სათავეში ედგნენ გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობას. ბრანდლერისა და ტალჰეიმერის გამცემლურმა პოლიტიკამ გამოიწვია გერმანიის მუშათა კლასის დამარცხება 1923 წლის რევოლუციური ამბების დროს. 1924 წლის აპრილში გერმანიის კომპარტიის ფრანკფურტის ყრილობაზე ბრანდლერი და ტალჰეიმერი გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს. კომინტერნის V კონგრესმა (1924 წ.) დაგმო ბრანდლერ-ტალჰეიმერის ჯგუფის კაპიტულანტური ხაზი. 1929 წელს ბრანდლერი და ტალჰეიმერი გარიცხულ იქნენ კომუნისტური პარტიის რიგებიდან ფრაქციული ანტიპარტიული საქმიანობისათვის. — **46.**

18 იგულისხმება 1925 წლის დამდეგს შემდგარი სასამართლო პროცესი «ძმათა ბარმატების კონცერნის» საქმის გამო. პროცესზე მხილებულ იქნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები ველსის მეთაურობით, რომლებიც კონცერნისაგან დიდ ქრთამებს იღებდნენ, აგრეთვე გამომჟღავნდა, რომ ისინი კონცერნისა და კონცერნთან დაკავშირებული ბანკების სახსრებს იყენებდნენ გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად 1924 წლის დეკემბერში რეიხსტაგის არჩევნების დროს. — **48.**

19 გომინდანი — ჩინეთის პოლიტიკური პარტია, დააარსა სუნ იატ-სენმა 1912 წელს რესპუბლიკისათვის და ჩინეთის ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. სუნ იატ-სენი გარდაიცვალა 1925 წლის 12 მარტს. სიკვდილის წინ დატოვებულ ანდერძში სუნ იატ-სენი მოუწოდებდა გომინდანს შეენარჩუნებინა კავშირი ჩინეთის კომპარტიასთან, მეგობრობა საბჭოთა კავშირთან და გაეფართოებინა ჩინეთის მუშათა და გლეხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1925 — 1927 წლებში ჩინეთში რევოლუციის განვითარების პერიოდში გომინდანის მემარჯვენე ფრთამ ჩან კაი-შის მეთაურობით უღალატა სუნ იატ-სენის ანდერძს. მან კავშირი შეკრა უცხო სახელმწიფოთა იმპერიალისტებთან და გააჩაღა ბრძოლა ჩინეთის დემოკრატიული

ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც სათავეში ედგა კომუნისტური პარტია. — **55.**

20 ამსტერდამის გაერთიანება (პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალი) შეიქმნა 1919 წლის ივლისში ამსტერდამის საერთაშორისო კონგრესზე. მასში შედიოდნენ დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეფორმისტული პროფკავშირები. გაერთიანების წევრთა რიცხვი 1919 წელს 24 მილიონს აღწევდა, ხოლო 1923 წლის დამლევისათვის 16 მილიონამდე შემცირდა. შემდგომ წლებში ამსტერდამის გაერთიანების გავლენა და მისი წევრების რიცხვი სისტემატურად კლებულობდა. ამსტერდამის გაერთიანებამ ფაქტიურად შეწყვიტა თავისი საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის დროს. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით ამსტერდამის გაერთიანება ლიკვიდირებულ იქნა 1945 წლის დეკემბერში. — **59.**

21 ჩეხოსლოვაკიის კომისია შეიქმნა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის V გაფართოებულ პლენუმზე, რომელიც შესდგა მოსკოვში 1925 წლის 21 მარტს — 6 აპრილს. პლენუმმა განიხილა საკითხები: საერთაშორისო პერსპექტივები და კომუნისტური პარტიების ბოლშევიზაცია, ბრძოლა მსოფლიო პროფმოძრაობის ერთიანობისათვის, გლეხთა საკითხი, დისკუსია რკპ(ბ)-ში, ცალკე სექციების საკითხები და სხვ. პლენუმზე შეიქმნა კომისიები: პოლიტიკური, ჩეხოსლოვაკიისა, იუგოსლავიისა და სხვები. ი. ბ. სტალინი არჩეულ იქნა პოლიტიკური კომისიისა და ჩეხოსლოვაკიის კომისიის შემადგენლობაში. 30 მარტს ი. ბ. სტალინმა იუგოსლავიის კომისიაში წარმოთქვა სიტყვა ნაციონალურ საკითხზე იუგოსლავიაში (იხ. ეს ტომი, გვ. 75 — 82). — **64.**

22 იხ. ი. ბ. სტალინი. «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» (თხზულებანი, ტ. 2, გვ. 312 — 395). — **76.**

23 იხ. ვ. ი. ლენინი. «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XVII, გვ. 425 — 474). — **81.**

24 პროლეტარული სტუდენტობის პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია შესდგა მოსკოვში 1925 წლის 13 — 17 აპრილს.

კონფერენციას დაესწრო 300-მდე დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და მუშათა ფაკულტეტების 250 ათას სტუდენტს. კონფერენციამ განიხილა საკითხები: სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, პროფკავშირები და სტუდენტობა, ანგარიში პროლეტარული სტუდენტობის ცენტრალური ბიუროს მუშაობის შესახებ, რსფსრ და უკრაინის სსრ პროფგანათლების მთავარ სამმართველოთა მუშაობის შესახებ, წარმოებასთან უმაღლესი სასწავლებლების კავშირის შესახებ. ი. ბ. სტალინი 13 აპრილს ესაუბრა კონფერენციის დელეგაციას, ხოლო 15 აპრილს გაუგზავნა კონფერენციას მიმართვა, რომელიც ამ ტომში ქვეყნდება. — **92.**

25 რკპ(ბ) XIV კონფერენცია მიმდინარეობდა მოსკოვში 1925 წლის 27 — 29 აპრილს. კონფერენციამ განიხილა საკითხები: პარტიული მშენებლობის შესახებ, კოოპერაციის შესახებ, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, ლითონის მრეწველობის შესახებ, რევოლუციური კანონიერების შესახებ, კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით. (კონფერენციის გადაწყვეტილებანი იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. II, 1941, გვ. 4 — 31). — **98.**

26 ვ. ი. ლენინი. «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XIX, გვ. 67 — 175). — **103.**

27 ფელდმარშალ ჰინდენბურგის — თავგამოდებული მონარქისტისა და გერმანიის იმპერიალიზმისა და სამხედრო ხროვის ნების გამომხატველის — არჩევა გერმანიის პრეზიდენტად მოხდა 1925 წლის 26 აპრილს. — **108.**

28 1925 წლის 16 აპრილს აფეთქება მოხდა სოფიის ტაძარ «წმინდა კვირაში», სადაც ამ დროს იმყოფებოდნენ ბულგარეთის ფაშისტური მთავრობის წევრები ცანკოვის მეთაურობით. ცანკოვმა ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუგზავნა ცილისმწამებლური განცხადება, რომელშიც საბჭოთა მთავრობას ბრალს დებდა

აფეთქების ინსპირაციაში. უცხოეთის რეაქციულმა პრესამ გააჩაღა კამპანია სსრ კავშირის წინააღმდეგ და თავისი მთავრობებისაგან მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გადასინჯვას. თავის მიმართვაში მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი იმის გამო, რომ ცანკოვის მთავრობა მხეცურად გაუსწორდა ბულგარელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს, სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობამ, რომელიც 1925 წლის მაისში შესდგა, უარყო ცილისმწამებლური გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. — **109.**

29 იგულისხმება თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის პარტიების ბოლშევიზაციის შესახებ, მიღებული კომინტერნის აღმასკომის V გაფართოებული პლენუმის მიერ, რომელიც შესდგა მოსკოვში 1925 წლის 21 მარტს — 6 აპრილს. — **112.**

30 ლაპარაკია შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების (თურქესტანის, ბუხარისა და ხორეზმის) ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ გამიჯვნაზე, რაც 1924 წელს ჩატარდა. ნაციონალური გამიჯვნის შედეგად შეიქმნა თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის ასსრ უზბეკეთის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში, ყარა-ყირგიზეთის ავტონომიური ოლქი რსფს რესპუბლიკის შემადგენლობაში (შემდეგში ყირგიზეთის სსრ) და ყარა-კალფაქეთის ავტონომიური ოლქი ყირგიზეთის ასს რესპუბლიკის (შემდეგში ყაზახეთის სს რესპუბლიკის) შემადგენლობაში. სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობამ 1925 წლის მაისში სსრ კავშირის შემადგენლობაში მიიღო უზბეკეთისა და თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და ამასთან დაკავშირებით შეიტანა სათანადო ცვლილებანი სსრ კავშირის კონსტიტუციაში. შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნა გატარდა ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. — **150.**

31 იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე» (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XVII, გვ. 129 — 159). — **151.**

32 ლაპარაკია მუშების 1924 წლის 1 დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაზე რეველში (ტალინი). აჯანყების საბაბი გახდა ესტონეთის სასამართლოს განაჩენი, რაც 1924 წლის ნოემბრის დამლევს

გამოუტანეს 149 პოლიტიკურ პატიმარს, რომელთაც კომუნისტური პროპაგანდა ბრალდებოდათ. ამ განაჩენით მეტწილ ბრალდებულებს მიესაჯათ მრავალი წლის და 39 კაცს — სამუდამო კატორღა, ხოლო ესტონეთის მუშების ბელადი ტომპი დახვრეტილ იქნა. აჯანყება სასტიკად ჩააქრო ესტონეთის რეაქციულმა მთავრობამ. — **165**.

33 **«კომსომოლსკაია პრავდა»** — ყოველდღიური გაზეთი, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის ორგანო; გამოდის 1925 წლის მაისიდან რკპ(ბ) XIII ყრილობისა და რუსეთის ალკკ VI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. — **169**.

34 **«პოსლედნიე ნოვოსტი»** — კადეტ-თეთრგვარდიელ ემიგრანტების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1920 წლის აპრილიდან. გაზეთის რედაქტორი იყო კადეტების ლიდერი პ. ნ. მილიუკოვი. — **184**.

35 სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობა შესდგა მოსკოვში 1925 წლის 13 — 20 მაისს. ყრილობამ განიხილა საკითხები: სსრ კავშირის შემადგენლობაში თურქმენეთისა და უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შესვლის შესახებ, სსრ კავშირის მთავრობის ანგარიში, სსრ კავშირის მრეწველობის მდგომარეობა, საბჭოთა მშენებლობის საკითხები, გლეხური მეურნეობის აღმავლობისა და განმტკიცების ღონისძიებანი, წითელი არმიის შესახებ და სხვ. საბჭოთა მშენებლობის საკითხების შესახებ ყრილობაზე მოხსენება გააკეთა მ. ი. კალინინმა. — **204**.

36 ლაპარაკია კომინტერნის აღმასკომის V გაფართოებულ პლენუმზე, რომელიც შესდგა მოსკოვში 1925 წლის 21 მარტს — 6 აპრილს. (ი. ბ. სტალინის სიტყვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შესახებ კომინტერნის აღმასკომის V გაფართოებული პლენუმის ჩეხოსლოვაკიის კომისიის სხდომაზე, იხ. ეს ტომი, გვ. 64 — 74). — **208**.

37 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 317 — 352. — **224**.

38 იგულისხმება რიფების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომი მაროკოში საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რაც 1925 წლის გაზაფხულზე დაიწყო. მაროკოში 1924 წლის შემოდგო-

მაზე ესპანეთის საოკუპაციო არმიის დამარცხების შემდეგ საფრანგეთმა გადაწყვიტა ხელში ჩაეგდო მაროკოს ესპანური ზონა, რიფის ოლქი, და პროვოკაციის გზით გამოიწვია ომი. 1925 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში რიფებმა მთელი რიგი სერიოზული დამარცხება აგემეს ფრანგებს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საფრანგეთსა და ესპანეთს შორის სამხედრო კავშირი დაიდო, მათმა ჯარებმა 1926 წლის მაისში მოახერხეს რიფების დამარცხება. — **228.**

39 ლაპარაკია ინგლის-ამერიკისა და იაპონიის იმპერიალიზმის ჩარევაზე ჩინეთის საშინაო საქმეებში 1924 წლის მეორე ნახევარში. სამხრეთ ჩინეთში ინგლისელები თავიანთი სამხედრო-საზღვაო ძალებით დაეხმარნენ კანტონის კონტრრევოლუციონერი ვაჭრების ამბოხებას კანტონის რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ედგა სუნ იატ-სენი. ჩრდილოეთში ინგლის-ამერიკელმა და იაპონელმა იმპერიალისტებმა გააჩაღეს ომი თავიანთ დამქაშებს, ჩინელ გენერლებს შორის, — ერთი მხრივ, უ პეი-ფუსა და, მეორე მხრივ, ჩჟან ძო-ლინს შორის, ჩინეთის გაყოფისათვის. ინტერვენციამ გამოიწვია ჩინეთში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი აღმავლობა, რასაც მოჰყვა 1925 — 1927 წლების რევოლუცია. — **228.**

40 **«ბოლშევიკ»** — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორკვირეული თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდის 1924 წლის აპრილიდან. — **239.**

41 კომინტერნის V კონგრესი შესდგა მოსკოვში 1924 წლის 17 ივნისს — 8 ივლისს. დ. ზ. მანუილსკიმ 30 ივნისს კონგრესზე გააკეთა მოხსენება ნაციონალური საკითხის შესახებ. — **242.**

42 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XIX, გვ. 239 — 272. — **246.**

43 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». 1940, გვ. 71 — 93. დანართი. — **257.**

44 რუტ ფიშერი და მასლოვი — გერმანიის კომუნისტურ პარტიაში ტროცკისტული ჯგუფის ლიდერები. 1924 წლის აპრილში გერმა-

ნიის კომპარტიის ფრანკფურტის ყრილობაზე, მას შემდეგ, რაც გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობას ჩამოშორებულ იქნა ბრანდლერ-ტალჰეიმერის გაკოტრებული მემარჯვენე-ოპორტუნისტული ჯგუფი, რუტ ფიშერ — მასლოვის ჯგუფმა ხელთ იგდო ხელმძღვანელობა გერმანიის კომპარტიის ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტში. 1925 წლის შემოდგომაზე რუტ ფიშერი და მასლოვი თავიანთ მომხრეებიანად მოხსნილ იქნენ გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელი პოსტებიდან და 1926 წელს გარიცხულ იქნენ პარტიიდან როგორც კლასობრივი მტრის აგენტები. გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა ე. ტელმანი. — **261.**

45 რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის VI ყრილობა შესდგა მოსკოვში 1924 წლის 12 — 18 ივლისს. ყრილობამ განიხილა საკითხები: რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირისათვის რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის დარქმევის შესახებ, პოლიტიკური მდგომარეობისა და ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომში რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის დელეგაციის ანგარიში, რუსეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, ახალგაზრდათა შრომის პერსპექტივები და რუსეთის ალკკ ეკონომიური მუშაობის ამოცანები, რუსეთის ალკკ მუშაობის შესახებ სოფლად, რუსეთის ალკკ მუშაობის შესახებ წითელ არმიასა და ფლოტში და სხვ. რუსეთის ალკკ VI ყრილობა შეუერთდა რკპ(ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებებს და დაგმო ანტიპარტიულ გადახრებთან ბრძოლაში კომკავშირის ნეიტრალობის ოპორტუნისტული თეორია. (რუსეთის ალკკ VI ყრილობის გადაწყვეტილებანი იხ. «რუსეთის ალკკ VI საკავშირო ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებანი», მ., 1924). — **272.**

46 ვ. ი. ლენინი. «გეგმა და კონსპექტები ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ»» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 313). — **280.**

47 ვ. ი. ლენინი. სიტყვა რკპ(ბ) XI ყრილობის დახურვისას 1922 წლის 2 აპრილს (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 272). — **280.**

48 რკპ(ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის XXII საგუბერნიო კონფერენცია შესდგა 1925 წლის 1 — 10 დეკემბერს, პარტიის XIV ყრილობის წინ. ი. ბ. სტალინის აქ დაბეჭდილი წერილი გამოქვეყნდა 1925 წლის 8 დეკემბერს კონფერენციის დახურულ სხდომაზე. — **282.**

49 მოსკოვის XIV საგუბერნიო პარტიული კონფერენცია შესდგა 1925 წლის 5 — 13 დეკემბერს, პარტიის XIV ყრილობის წინ. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში კონფერენციამ მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. — **282.**

50 საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1925 წლის 18 — 31 დეკემბერს. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიშები, სარევიზიო კომისიის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის, კომინტერნის აღმასკომში რკპ(ბ) წარმომადგენლობის ანგარიშები და მოხსენებანი: პროფკავშირთა მუშაობის შესახებ, კომკავშირის მუშაობის შესახებ, პარტიული წესდების შეცვლის შესახებ და სხვ. ყრილობამ მთლიანად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი, დასახა სოციალიზმის გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის გზა, დაამტკიცა პარტიის გენერალური გეზი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ, უარყო ოპოზიციონერთა კაპიტულანტური გეგმები და ცენტრალურ კომიტეტს დაავალა გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინა პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობა პარტიის ისტორიაში შევიდა როგორც ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. იგი მიმდინარეობდა «ახალი ოპოზიციის» წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით, ოპოზიციისა, რომელიც სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას უარყოფდა. XIV ყრილობის გადაწყვეტილებით პარტიას ეწოდა საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) — საკ. კ. პ. (ბ). (საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 358 — 362). — **285.**

51 ლოკარნოს (შვეიცარია) კონფერენცია შესდგა 1925 წლის 5 —16 ოქტომბერს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ დიდი ბრიტა-

ნეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და გერმანია. (ლოკარნოს კონფერენციის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 299 — 300). — **298.**

52 გენუაში (იტალია) 1922 წლის 10 აპრილს — 19 მაისს შესდგა საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ, ერთი მხრივ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, იაპონია და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები, მეორე მხრივ — საბჭოთა რუსეთი. გენუის კონფერენცია მოწვეული იყო კაპიტალისტურ სამყაროსა და საბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობის გასარკვევად. კონფერენციის გახსნისას საბჭოთა დელეგაციამ გადაშალა ევროპის აღდგენის ფართო პროგრამა და წამოაყენა საყოველთაო განიარაღების პროექტი. საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი კონფერენციამ არ მიიღო.

1922 წლის 2 დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ მოსკოვში მოიწვია მეზობელი დასავლეთი სახელმწიფოების (ესტონეთის, ფინეთის, ლატვიის, პოლონეთისა და ლიტვის) წარმომადგენელთა კონფერენცია, სადაც განსახილველად დააყენა შეიარაღების პროპორციული შემცირების გეგმა. 1922 წლის 27 დეკემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობამ «მსოფლიოს ყველა ხალხისადმი» მიმართვაში დაადასტურა საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის ხაზი და მსოფლიოს ყველა მშრომელს მოუწოდა მხარი დაეჭირათ ამ ხაზისათვის. 1924 წლის თებერვალში რომის საზღვაო კონფერენციაზე საბჭოთა წარმომადგენელი გამოვიდა კონკრეტული წინადადებით საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ. — **308.**

53 იგულისხმება დიდ ბრიტანეთსა და სსრ კავშირს შორის გენერალური (საერთო) და სავაჭრო ხელშეკრულებანი, რომლებსაც ლონდონში 1924 წლის 8 აგვისტოს ხელი მოაწერეს საბჭოთა მთავრობისა და მაკდონალდის ლეიბორისტული მთავრობის წარმომადგენლებმა. ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1924 წლის ნოემბერში, უარი თქვა ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციაზე. — **319.**

54 მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი მეფის მთავრობის სახელმწიფო სესხების გაუქმების შესახებ მიღებულ იქნა 1918 წლის 21 იანვარს. — **319.**

55 ლაპარაკია ბოლდუინ — ოსტინ ჩემბერლენის კონსერვატიულ მთავრობაზე, რომელიც ხელისუფლებას 1924 წლის ნოემბერში ჩაუდგა სათავეში და შეცვალა მაკდონალდის ლეიბორისტული მთავრობა. — **321.**

56 **«ეკონომიჩესკაია ჟიზნ»** — ყოველდღიური გაზეთი, რსფს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიური და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სახელმწიფო ბანკის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და სხვ.) ორგანო; გამოდიოდა 1918 წლის ნოემბრიდან 1937 წლის ნოემბრამდე. — **328.**

57 იხ. ვ. ი. ლენინის ნაშრომები: **«»მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ»** (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXII, გვ. 503 — 528), **«სიტყვა სასურსათო გადასახადის შესახებ რკპ(ბ) ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის უჯრედთა მდივნებისა და პასუხისმგებელი წარმომადგენლების კრებაზე 1921 წლის 9 აპრილს»**, **«სასურსათო გადასახადის შესახებ»** (ტ. XXVI, გვ. 297 — 308, 317 — 352), **«რუსეთის რევოლუციის ხუთი წელი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები (მოხსენება კომინტერნის IV კონგრესზე 1922 წ. 13 ნოემბერს)»** (ტ. XXVII, გვ. 342 — 355). — **334.**

58 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1941, გვ. 566. — **344.**

59 იხ. ვ. ი. ლენინი. **«თავდაპირველი მონასახი თეზისებისა აგრარული საკითხის შესახებ (კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობისათვის)»** (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 266 — 278). — **356.**

60 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIV, გვ. 114. — **359.**

61 იგულისხმება **«სოფლის ღარიბ მოსახლეობაში პარტიის მუშაობის შესახებ»** ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო რკპ(ბ) ცენტრალური

კომიტეტის პლენუმის მიერ (1925 წ. 3 — 10 ოქტომბერი) მიღებული რეზოლუცია (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 38 — 41). — **362.**

62 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. V, გვ. 261 — 317 და გამოც. მე-4, ტ. 6, გვ. 325 — 392. — **363.**

63 «ბედნოტა» — ყოველდღიური გაზეთი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა 1918 წლის მარტიდან 1931 წლის იანვრამდე. — **396.**

64 «ლენინგრადსკაია პრავდა» — ყოველდღიური გაზეთი, საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების ორგანო; მისი გამოცემა დაიწყო 1918 წლიდან «პეტროგრადსკაია პრავდის» სახელწოდებით. 1924 წელს გაზეთს ეწოდა «ლენინგრადსკაია პრავდა». 1925 წლის დამლევს «ლენინგრადსკაია პრავდა» — რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩრდ.-დასავლ. საოლქო ბიუროს, პარტიის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის, პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს და საოლქო ეკონომიური თათბირის ორგანო — «ახალმა ოპოზიციამ» თავისი ფრაქციული ანტიპარტიული მიზნებისათვის გამოიყენა. — **414.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

1925

იანვრის დამდეგი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ჟურნალ «კრასნაია მოლოდიოჟის» რედაქციის წევრებს ჟურნალის ამოცანების შესახებ. საუბარი გამოქვეყნებულია ჟურნალ «კრასნაია მოლოდიოჟში» № 1 (5), 1925 წ. იანვარი.

5 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება მოსკოვში საექსკურსიოდ ჩამოსულ ქ. სტალინოს (იუზოვკა) პარტიული სკოლის მსმენელებს.

ი. ბ. სტალინმა დაწერა მიმართვა «მუშა და გლეხო ქალებო, გაბსოვდეთ და შეასრულეთ ილიჩის ანდერძი!». მიმართვა გამოქვეყნებულია ჟურნალ «რაბოტნიცას» № 1-ში, 1925 წ. იანვარი.

6 იანვარი. ი. ბ. სტალინი წერილს სწერს მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობას. წერილი გამოქვეყნებულია «უჩიტელსკაია გაზეტას» № 2-ში, 1925 წ. 10 იანვარს.

9 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სოფლად სამუშაოდ გაგზავნილ კომუნისტთა ჯგუფს.

10 იანვარი. ი. ბ. სტალინი პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ასოციაციის ხელმძღვანელებს სწერს წერილს პროლეტარულ მწერალთა კონფერენციის მოწვევის გამო.

17 — 20 იანვარი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

17 იანვარი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმების გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის ინფორმაციით ტროცკის გამოსვლის გამო ადგილობრივ ორგანიზაციათა რეზოლუციების შესახებ.

19 იანვარი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სიტყვას ამბობს მ. ვ. ფრუნზეს მოხსენების გამო — «სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის ასიგნების შესახებ» .

21 იანვარი. ი. ბ. სტალინის წერილი «რაბოჩაია გაზეტას» ვ. ი. ლენინის გარდაცვალების პირველი წლისთავის დღეს გამოქვეყნებულია «რაბოჩაია გაზეტას» № 17-ში.

25 იანვარი. ი. ბ. სტალინი წერს პასუხს ამხ. დ — ოვის წერილზე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის შესახებ.

26 იანვარი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე გამოდის სიტყვით ««დიმოვკის» შესახებ».

27 იანვარი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის XIII საგუბერნიო კონფერენციაზე გამოდის სიტყვით «პროლეტარიატისა და გლეხობის საკითხისათვის».

28 იანვარი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის სხდომებში.

30 იანვარი. ი. ბ. სტალინი უზბეკეთისა და თურქმენეთის კომპარტიების პირველი ყრილობებისათვის გაგზავნილ მისასალმებელ დეპეშებში განსაზღვრავს ამ

რესპუბლიკათა კომპარტიების ამოცანებს შუა აზიის გატარებული ნაციონალური გამიჯვნის შემდეგ. დეპეშები გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდა ვოსტოკას» № 29-ში, 1925 წ. 6 თებერვალს და გაზეთ «ტურკმენსკაია ისკრას» № 34-ში, 14 თებერვალს.

31 იანვარი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის XXI საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე ირჩევენ პარტიის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის შემადგენლობაში.

2 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება პროლეტარული მწერლების სრულიად საკავშირო ასოციაციის დელეგაციას პროლეტარული ლიტერატურის საკითხებზე.

3 თებერვალი. ი. ბ. სტალინის საუბარი ჰერცოგთან «გერმანიის კომუნისტური პარტიის პერსპექტივებისა და ბოლშევიზაციის შესახებ» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 27-ში.

6 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებს კომკავშირის მუშაობის საკითხებზე.

7 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება «პროლეტკულტის» პლენუმის დელეგაციას «პროლეტკულტის» შემდგომი მუშაობის საკითხებზე.

9 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებს კომკავშირის მუშაობის საკითხებზე.

15 თებერვალი. ი. ბ. სტალინი მისალმებას უგზავნის საბჭოების ცარიცინის VII საგუბერნიო ყრილობას.

18 თებერვალი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაში.

20 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ტულის გუბერნიის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებს კოოპერაციის მუშაობისა და საბინაო მშენებლობის საკითხებზე.

26 თებერვალი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაში.

28 თებერვალი. ი. ბ. სტალინი წერილს სწერს ამხ. მე — რტს გერმანიის კომპარტიაში არსებული მდგომარეობის საკითხზე.

6 მარტი. ი. ბ. სტალინი მისალმებას უგზავნის ტაჯიკეთის მშრომელებს ტაჯიკეთის ასს რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით. მისალმება გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდა ვოსტოკას» № 58-ში, 1925 წ. 12 მარტს.

8 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «ქალთა საერთაშორისო დღისათვის» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 56-ში.

9 მარტი. ი. ბ. სტალინმა ხელი მოაწერა ცნობას «რკპ(ბ) ყველა ორგანიზაციას» სრულიად საკავშირო პარტიული კონფერენციის მოწვევისა და კონფერენციის დღის წესრიგის შესახებ.

10 მარტი. ი. ბ. სტალინი წერილით მიმართავს ნიჟნი ნოვგოროდის სტალინის სახელობის ქვეითთა სკოლის კურსანტებს, მეთაურთა, პოლიტიკურ და მასწავლებელთა შემადგენლობას საპატიო კურსანტად მისი არჩევის გამო. წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ «ნიჟეგოროდსკაია კომუნის» № 45-ში, 1930 წ. 23 თებერვალს.

ი. ბ. სტალინი მისალმებას სწერს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რწმუნებულთა ცარიცინის საგუბერნიო ყრილობას და წარმატებებს უსურვებს სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელი გლეხობის ჩაბმის საქმეში.

13 მარტი. ი. ბ. სტალინმა დაწერა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი სუნ იატ-სენის გარდაცვალების გამო. მიმართვა გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 60-ში, 1925 წ. 14 მარტს.

14 და 16 მარტი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სოფლკორთა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგაციას.

15 მარტი. ი. ბ. სტალინი ყარა-ყირგიზეთის ავტონომიური ოლქის პირველ პარტიულ კონფერენციას უგზავნის მისალმებას, რომელშიც განსაზღვრავს ყარა-ყირგიზეთის კომუნისტების წინაშე მდგომ ამოცანებს. მისალმება გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდა ვოსტოკას» № 67-ში, 1925 წ. 26 მარტს.

17 მარტი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დელეგაციას, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის V გაფართოებულ პლენუმზე ჩამოვიდა.

21 მარტი — 6 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის V გაფართოებული პლენუმის მუშაობაში.

21 მარტი. ი. ბ. სტალინს ირჩევენ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის V გაფართოებული პლენუმის პოლიტიკური კომისიისა და ჩეხოსლოვაკიის კომისიის წევრად.

22 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «საერთაშორისო მდგომარეობისა და კომპარტიების ამოცანებისათვის» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 66-ში.

25 მარტი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ვლადიმირ ილიას-ძის სახელობისა და «დინამოს» ჭარხნების მუშათა დელეგაციებს, რომლებიც მას იწვევდნენ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და რაიონული საბჭოს საარჩევნო კრებებზე.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება წითელი ბალტიის ფლოტის ნაღმოსან «სტალინის» ეკიპაჟის დელეგაციას.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის ხელმძღვანელ მუშაკებს ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

27 მარტი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციას, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის V გაფართოებულ პლენუმზე ჩამოვიდა.

ი. ბ. სტალინი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებული პლენუმის ჩეხოსლოვაკიის კომისიის სხდომაზე გამოდის სიტყვით «ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შესახებ».

28 მარტი. ჩრდილოეთის რკინიგზის წევის სამსახურის 1-ლი უბნის მუშების კრებაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს დეპუტატად.

30 მარტი. ი. ბ. სტალინი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის V გაფართოებული პლენუმის ჩეხოსლოვაკიის ქვეკომისიის სხდომაზე გამოდის სიტყვებით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ი. ბ. სტალინი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებული პლენუმის იუგოსლავიის კომისიის სხდომაზე გამოდის

სიტყვით «ნაციონალური საკითხისათვის ოუგოსლავიაში».

ი. ბ. სტალინი ყირგიზეთის რესპუბლიკის დელეგაციას ესაუბრება ყირგიზეთში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ი. ბ. სტალინი გაზეთ «ბედნოტას» რედაქციის წარმომადგენლებს ესაუბრება გაზეთის გლეხური განყოფილების მუშაობის საკითხებზე.

1 აპრილი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ჩრდილოეთის რკინიგზის წევის სამსახურის 1-ლი უბნის მუშათა დელეგაციას, რომელმაც ი. ბ. სტალინს მოსკოვის საბჭოს დეპუტატობის მანდატი გადასცა.

3 აპრილი. ი. ბ. სტალინი აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ს. მ. კიროვისათვის გაგზავნილ დეპეშაში მიესალმება აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას მის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით. დეპეშა გამოქვეყნებულია გაზეთ «ბაკინსკი რაბოჩის» № 75-ში, 1925 წ. 5 აპრილს.

6 აპრილი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე გამოდის სიტყვით «სოფლის კომკავშირული აქტივის შესახებ».

7 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაში.

13 აპრილი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება პროლეტარული სტუდენტობის პირველი სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგაციას.

15 აპრილი. ი. ბ. სტალინი წერს მიმართვას «პროლეტარული სტუდენტობის პირველი სრულიად საკავშირო კონფერენციისადმი». მიმართვა გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 87-ში, 1925 წ. 16 აპრილს.

28 — 30 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

27 — 29 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობას.

1 მაისი. ი. ბ. სტალინი ესწრება ჯარების საპირველმაისო პარადს და მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე მოსკოვში.

2 მაისი. ი. ბ. სტალინი მისალმებას უგზავნის გაზეთ «პრავდა ვოსტოკას» (ტაშკენტი) რედაქციას ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის. მისალმება გამოქვეყნებულია «პრავდა ვოსტოკაში», სასწრაფო ნომერი, 1925 წ. 6 მაისს.

5 მაისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ოქტომბრის რკინიგზის მუშათა დელეგაციას.

6 მაისი. ი. ბ. სტალინი გაზეთ «პოდ ზნამენემ ილიჩა»-ს (აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ორგანო) სწერს მისალმებას, რომელშიც განსაზღვრავს გაზეთის წინაშე მდგომ ამოცანებს.

7 — 11, 16 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს საბჭოების სრულიად რუსეთის XII ყრილობის მუშაობაში.

9 მაისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოდის მოხსენებით «რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის».

11 მაისი. საბჭოების სრულიად რუსეთის XII ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

სრულიად რუსეთის XII მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია ი. ბ. სტალინს ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტ-

რალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

13 — 20 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობის მუშაობაში.

16 მაისი. ი. ბ. სტალინი აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტების კრებაზე გამოდის სიტყვით «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ».

20 მაისი. სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კავშირის საბჭოს წევრად.

21 მაისი. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია ი. ბ. სტალინს ირჩევს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

22 მაისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობის დელეგატებს თურქმენეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკებისაგან.

23 მაისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს.

25 მაისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობის დელეგატებს თურქმენეთის სს რესპუბლიკისა, ტაჯიკეთისა და ყაზახეთის ასს რესპუბლიკებისაგან ამ რესპუბლიკებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

29 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაში.

1 ივნისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება უზბეკეთის სს რესპუბლიკის, დაღისტნისა და ტაჯიკეთის ასს რესპუბლიკების ხელმძღვანელ მუშაკებს.

2 ივნისი. ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი და ა. ა. ანდრეევი წერილს უგზავნიან გაზეთ «კომსომოლსკაია პრავდის» რედაქციის წევრებს.

3 ივნისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამაზრო პარტიულ მუშაკთა კურსების მსმენელებს.

5 ივნისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაში.

9 ივნისი. ი. ბ. სტალინი ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში პასუხებს აძლევს **უნივერსიტეტის მსმენელთა** კითხვებზე.

13 ივნისი. ი. ბ. სტალინის მისალმება «ი. მ. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტს (ძირითადი და პროფესიული კურსების მეორე გამოშვების დღისათვის)» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 132-ში.

27 ივნისი. ი. ბ. სტალინი ტამბოვის, ორიოლის, ვორონეჟისა და კურსკის გუბერნიების საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს ესაუბრება **შავნიადაგიანი** ზოლის სახალხო მეურნეობის აღდგენის ღონისძიებებზე.

30 ივნისი. ი. ბ. სტალინის სტატია «ერთხელ კიდევ ნაციონალური საკითხისათვის (სემიჩის სტატიის გამო)» გამოქვეყნებულია ჟურნალ «ბოლშევიკის» № 11 — 12-ში.

8 ივლისი. ი. ბ. სტალინს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდო-

მაზე ირჩევენ პოლონეთის საკითხის კომისიის შემადგენლობაში.

4 ივლისი. ი. ბ. სტალინი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პოლონეთის კომისიის სხდომაზე გამოდის პოლონეთის კომპარტიაში არსებული მდგომარეობის საკითხის შესახებ.

ი. ბ. სტალინის მიერ გაზეთ «ნიცი-ნიცის» იაპონელ კორესპონდენტ ბ-ნ ფუსესათვის მიცემული ინტერვიუ «აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის შესახებ» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 150-ში.

29 ივლისი. ი. ბ. სტალინს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ირჩევს გერმანიის საკითხის კომისიის შემადგენლობაში.

18 აგვისტო. ი. ბ. სტალინი სტანიცა გორიაჩევოდსკაიას კაზაკობას მიმართავს წერილით სტანიცის ასი წლისთავის დღეს სტანიცის საპატიო კაზაკად მისი არჩევის შესახებ სიგელის გადაცემის საპასუხოდ. წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ «ტერეკის» № 189-ში, 1925 წ. 22 აგვისტოს.

12 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ვ. მ. მოლოტოვს სწერს წერილს ზინოვიევის სტატიის «ეპოქის ფილოსოფიის» ანტიბოლშევიკური ხასიათის შესახებ.

15 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი პასუხს წერს ამხ. ერმაკოვსკის ბარათზე.

19 სექტემბერი. ი. ბ. სტალინის მისალმება უჩ-დერეს სანატორიუმის დამსვენებელთადმი გამოქვეყნებულია გაზეთ «სოვეტსკი იუგის» № 215-ში.

24 სექტემბერი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ი. ბ. სტალინს ირჩევს შუა აზიაში მიწა-წყლის რეფორმის საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომი-

ტეტის შუა აზიის ბიუროს წინადადებათა განმხილველი კომისიის შემადგენლობაში.

28 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ყაზახეთის ასს რესპუბლიკის წარმომადგენლებს ესაუბრება რესპუბლიკის ნაციონალური და სახელმწიფო წყობილების საკითხებზე.

8 — 10 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

10 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი წერილს სწერს კლარა ცეტკინს გერმანიის კომპარტიაში საქმეთა მდგომარეობის გამო.

12 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება პარტიის თბილისისა და ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტების აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებათა მუშაკებს — რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მოწვეული აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებათა გამგეების თათბირის მონაწილეებს.

14 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებათა გამგეების თათბირის მონაწილეებს.

15 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინის მიერ ხელმოწერილი ცნობა რკპ(ბ) XIV ყრილობის მოწვევის შესახებ გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 236-ში.

19 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების წარმომადგენლებს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების საკითხზე.

ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე გამოდის სიტყვით თათართა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება კურსკის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს და პარტიის კურსკის საგუბერნიო კომიტეტის მდივანს სოფლად მუშაობის საკითხებზე.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება ტულის იარაღის ქარხნის მმართველს ქარხნის მუშაობის საკითხებზე.

23 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მისალმებით მიმართავს ბალტიის გემთმშენებელი ქარხნის მუშებს ხე-ტყის საზიდავი პირველი საბჭოთა გემის «ამხანაგ სტალინის» წყალზე ჩაშვების გამო. მისალმება გამოქვეყნებულია გაზეთ «იზვესტიას» № 246-ში, 1925 წ. 27 ოქტომბერს.

29 ოქტომბერი. «კომსომოლსკაია პრავდის» № 133-ში გამოქვეყნებულია ი. ბ. სტალინის პასუხები რედაქციის კითხვებზე კომკავშირის ამოცანების შესახებ.

ი. ბ. სტალინმა ბოტკინის (სოლდატენკოვის) საავადმყოფოში ინახულა ავადმყოფი მ. ვ. ფრუნზე.

31 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მიდის ბოტკინის საავადმყოფოში, სადაც იმ დროს ესვენა განსვენებული მ. ვ. ფრუნზეს გვამი.

2 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი დიდ თეატრში ესწრება მ. ვ. ფრუნზეს ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო სხდომას.

3 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი წითელ მოედანზე სიტყვას ამბობს მ. ვ. ფრუნზეს დაკრძალვაზე.

7 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «ოქტომბერი, ლენინი და ჩვენი განვითარების პერსპექტივები» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 255-ში.

9 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის ხელ-

მძღვანელ მუშაკებს კომკავშირის მუშაობის საკითხებზე.

15 ნოემბრამდე. ოქტომბრის რკინიგზის სტალინის სახელობის სახელოსნოების მუშათა პარტიული კრება ი. ბ. სტალინს ირჩევს დელეგატად ქალაქ მოსკოვის სოკოლნიკის რაიონის V პარტიულ კონფერენციაზე.

16 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება მელითონელთა და სამთო მრეწველობის მუშათა პროფკავშირების აზერბაიჯანის განყოფილებათა ხელმძღვანელებს მუშების მდგომარეობის შესახებ.

18 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაში.

ი. ბ. სტალინი მისალმებით მიმართავს ქალაქ მოსკოვის სოკოლნიკის რაიონის V პარტიულ კონფერენციას. მისალმება გამოქვეყნებულია გაზეთ «გუდოკის» № 265-ში, 1925 წ. 20 ნოემბერს.

23 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი დეპეშას უგზავნის ლენინგრადში ამბ. იაროსლავსკის რკპ(ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის XXII საგუბერნიო კონფერენციის მომზადების გამო.

1 დეკემბერი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის XXII საგუბერნიო კონფერენციაზე ირჩევენ კონფერენციის პრეზიდიუმის საპატიო წევრად.

5 დეკემბერი. ი. ბ. სტალინს ირჩევენ რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის XIV საგუბერნიო კონფერენციის პრეზიდიუმის საპატიო წევრად.

ი. ბ. სტალინის წერილი გაზეთ «ბედნოტას» რედაქციისადმი გამოქვეყნებულია «ბედნოტას» № 2278-ში.

8 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი წერილს სწერს რკპ(ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის XXII საგუბერნიო კონფერენციის პრეზიდიუმს. წერილი გამოქვეყნებულია ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისის» № 1-ში (58), 1934 წ.

9 დეკემბერი. რკპ(ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის XXII საგუბერნიო კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის შემადგენლობაში.

13 დეკემბერი. რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის XIV საგუბერნიო კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს რკპ(ბ) XIV ყრილობის დელეგატად.

15 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ხელს აწერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა მიმართვას «ახალი ოპოზიციისადმი» პარტიის ერთიანობის შენარჩუნების საკითხზე.

ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას და გამოდის სიტყვით რკპ(ბ)-სათვის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) — საკ. კ. პ. (ბ) დარქმევის შესახებ.

18 — 31 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მუშაობას.

18 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობისადმი.

23 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე გამოდის საბოლოო სიტყვით ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო.

ი. ბ. სტალინი გამოდის განცხადებით საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტე-

ტის ანგარიშის გამო რეზოლუციის პროექტის შესახებ. განცხადებაა გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» № 298-ში, 1925 წ. 31 დეკემბერს.

24 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმის მუშაობას; გამოდის სიტყვით გაზეთ «ლენინგრადსკაია პრავდის» შესახებ «ახალი ოპოზიციის» მიერ ამ გაზეთის თავისი ფრაქციული ანტიპარტიული მიზნებისათვის გამოყენებასთან დაკავშირებით.

31 დეკემბერი. ი. ბ. სტალინს საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის სხდომაზე ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

შინაარსი

	გვ.
წინასიტყვაობა	VII
მუშა და გლეხო ქალებო, გახსოვდეთ და შეასრულეთ ილიჩის ანდერძი!	1
მასწავლებელთა ყრილობას	3
ჟურნალ «კრასნაია მოლოდიოჟის» ამოცანების შესახებ	4
სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე. 1925 წ. 17 იანვარი	6
სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. 1925 წ. 19 იანვარი	12
«რაბოჩაია გაზეტას»	17
წერილი ამხ. დ — ოვს	18
«დიმოვკის» შესახებ. სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე. 1925 წ. 26 იანვარი	21

პროლეტარიატისა და გლეხობის საკითხისათვის. სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის XIII საგუბერნიო კონფერენციაზე. 1925 წ. 27 იანვარი. . 27

გერმანიის კომპარტიის პერსპექტივებისა და ბოლშევიზაციის შესახებ. საუბარი გერმანიის კომპარტიის წევრ ჰერცოგთან 37

წერილი ამხ. მე — რტს 46

ქალთა საერთაშორისო დღისათვის . . . 53

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი — ბოშინდანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს . . 55

საერთაშორისო მდგომარეობისა და კომპარტიების ამოცანებისათვის 57

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შესახებ. სიტყვა კომინტერნის აღმასკომის ჩეხოსლოვაკიის კომისიაში. 1925 წ. 27 მარტი 64

ნაციონალური საკითხისათვის იუგოსლავიაში. სიტყვა კომინტერნის აღმასკომის იუგოსლავიის კომისიაში. 1925 წ. 30 მარტი 75

სოფლის კომკავშირული აქტივის შესახებ. სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე. 1925 წ. 6 აპრილი. . . . 83

პროლეტარული სტუდენტობის პირველი სრულიად საკავშირო კონფერენციისადმი. მისამართვა. 92

რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის. მოხსენება რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. 1925 წ. 9 მაისი . . . . 98 — 145

I. საერთაშორისო მდგომარეობა 99

II. კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების მორიგი ამოცანები 111

III. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების კომუნისტური ელემენტების მორიგი ამოცანები . . 116

IV. სოციალიზმის ბედის შესახებ საბჭოთა კავშირში . 119

V. პარტიის პოლიტიკა სოფლად 133

VI. ლითონის მრეწველობის შესახებ 141

ალმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ. სიტყვა აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებაზე. 1925 წ. 18 მაისი . . . . 146 — 168

I. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ამოცანები აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ 148

II. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის ამოცანები აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მიმართ . 158

«კომსომოლსკაია პრავდის» რედაქციის ყველა წევრს 169

კითხვა-პასუხი. სიტყვა სვერდლოვის უნივერსიტეტში. 1925 წ. 9 ივნისი 173

ი. მ. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტს. ძირითადი და პროფესიული კურსების მეორე გამოშვების დღისათვის 234

ერთხელ კიდევ ნაციონალურზე საკითხისათვის. სემიჩის სტატიის გამო 238

ალმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის შესახებ. «ნიცა-ნიცის» იაპონელ კორესპონდენტ ბატონ ფუსესათვის მიცემული ინტერვიუ . . . 250

წერილი ამხ. ერმაკოვსკის 256

საუბარი აგიტპროპების თათბირის მონაწილეებთან. 1925 წ. 14 ოქტომბერი 259

კომკავშირის ამოცანების შესახებ. პასუხი «კომსომოლსკაია პრავდის» რედაქციის მიერ მიცემულ კითხვებზე 266

სიტყვა მ. ვ. ფრუნზეს დაკრძალვაზე. 1925 წ. 3 ნოემბერი 275

ოქტომბერი, ლენინი და ჩვენი განვითარების პერსპექტივები 277

წერილი ლენინგრადის XXII საბუბერნიო პარტიული კონფერენციის პრეზიდიუმს . . 282

საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობა. 1925 წ. 18 — 31 დეკემბერი . . . . . 285 — 428

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში. 18 დეკემბერი. . . . . 287 — 385

I. საერთაშორისო მდგომარეობა . . . . 287 — 326

1. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია . . . 289

2. იმპერიალიზმი, კოლონიები და ნახევრად-კოლონიები 296

3. გამარჯვებულნი და დამარცხებულნი . . 297

4. წინააღმდეგობანი გამარჯვებულ ქვეყნებს შორის 304

5. კაპიტალისტური სამყარო და საბჭოთა კავშირი. 309

6. სსრ კავშირის საგარეო მდგომარეობა . . 317
7. პარტიის ამოცანები 324
II. საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა . . 327 — 375
1. სახალხო მეურნეობა მთლიანად . . . 327
2. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა . . 345
3. ვაჭრობის საკითხები 349
4. კლასები, მათი აქტივობა, მათი თანაფარდობა 351
5. ლენინის სამი ლოზუნგი გლეხობის საკითხში. 356
6. ორი საფრთხე და ორი გადახრა გლეხობის საკითხში 366
7. პარტიის ამოცანები 371
III. პარტია . . . . . 376 — 385
საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო. 23 დეკემბერი . . 386 — 428
1. სოკოლნიკოვი და ჩვენი ქვეყნის დაუესიზაცია. 387
2. კამენევი და გლეხობისადმი ჩვენი დამოკიდებანი 389
3. ვინ დაუშვა შეცდომები? 393
4. როგორ იცავს სოკოლნიკოვი ღარიბ გლეხობას 394
5. იდეური ბრძოლა თუ ცილისწამება? . . 396
6. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ . 398
7. სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ . . 399
8. ზინოვიევი და გლეხობა 406
9. უთანხმოებათა ისტორიისათვის 415
10. ოპოზიციის პლატფორმა 423
11. მათი «მშვიდობისმოყვარეობა» 425
12. პარტია მიაღწევს ერთიანობას . . . 427
შენიშვნები 429
ქრონოგრაფიული ქრონიკა (1925) 444

ტირაჟი 35.000.
გადაეცა წარმოებას 28/II — 1949.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VIII — 1949.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 29 ¾.
შეკვ. 402
ფასი 6 მან.

•

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფიისა და გამომცემლობის
საქმ. სამმართვ. 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის, 50.